

41/3



114/5

# მნათობი

6-7 3

0 3 6 0 6 0 - 0 3 3 0 6 0

თბილისი  
1941



# მნათობი

სრულიად საქართველოს საშრომის მუშაკების  
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,  
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო  
ქურონალი

წელიწადი მეთვრამეტი

## 6-7

19  $\frac{\text{ივნისი — ივლისი}}{\text{ს ა ხ ე ლ გ ა მ ი}}$  41



რედაქტორი ალიო მავაშვილი.

---

ხელნაწერილია დასაბეჭდად 23/VII-41 წ. №34289. ინაწეობის ზომა 7 X 12. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. სააქტოო ფორმათა რაოდენობა = 18.2. შეკვეთის № 795/926. ტირაჟი 2500.

---

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორესის ქ. № 5.



# სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საბარეო საქმეთა სახალხო კომისრის აბხ. ვიჩაესლავ მიხეილის-ძე მ ო ლ ო ზ ო ვ ი ს გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 22 ივნისს

## საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

საბჭოთა მთავრობამ და მისმა მეთაურმა აბხ. სტალინმა დამაველეს გამოვიდე შემდეგი განცხადებით:

დღეს, დილის 4 საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაიმე პრეტენზიის წარუდგენლად, ომის გამოუცხადებლად, გერმანიის ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, იერიში მოიტანეს ჩვენს საზღვრებზე ბევრ ადგილას და თავისი თვითმფრინავებიდან ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ქალაქებს — ეიტომირს, კიევის, სევასტოპოლს, კაუნასსა და ზოგიერთ სხვას, ამასთან მოკლული და დაჭრილია 200-ზე მეტი კაცი. მტრის თვითმფრინავების თავდასხმა და საარტილერიო სროლა მოხდა აგრეთვე რუმინეთისა და ფინეთის ტერიტორიიდან.

ეს გაუგონარი თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე წარმოადგენს ცივილიზებულ ხალხთა ისტორიაში უმაგალითო მუხანათობას. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებულია ხელშეკრულება თავდაუსხმლობის შესახებ და საბჭოთა მთავრობა მთელი კეთილსინდისიერებით ასრულებდა ამ ხელშეკრულების ყველა პირობას. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში გერმანიის მთავრობას ერთხელაც არ შეეძლო წარედგინა სსრ კავშირისათვის არცერთი პრეტენზია ხელშეკრულების შესრულების მხრივ. მთელი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირზე ამ ყაჩაღური თავდასხმისათვის მთლიანად და სავსებით ეკისრებათ გერმანიის ფაშისტ მმართველებს.

უკვე მომხდარი თავდასხმის შემდეგ გერმანიის ელჩმა მოსკოვში შულენბურგმა დილის 5 საათსა და 30 წუთზე თავისი მთავრობის სახელით განმაცხადა მე, როგორც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, რომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ, გერმანიის აღმოსავლეთ საზღვართან წითელი არმიის ნაწილების თავმოყრასთან დაკავშირებით.

ამის საპასუხოდ მე საბჭოთა მთავრობის სახელით განვუცხადე, რომ უკანასკნელ წუთამდე გერმანიის მთავრობას არავითარი პრეტენზია არ წარუდგენია საბჭოთა მთავრობისათვის, რომ გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოზიციისა, და რომ ამით ფაშისტური გერმანია, თავდამსხმელ მხარეს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით მე აგრეთვე უნდა ვაჩვენებო, რომ ჩვენს ჯარებს და ჩვენს ავიაციას არცერთ პუნქტში არ დაუშვიათ საზღვრის დარღვევა და ამიტომ რუმინეთის რადიოს მიერ დღეს (დღის) უაქეთებელი განცხადება, თითქოს საბჭოთა ავიაციამ სროლა ატყენა რუმინეთის აეროდრომებს, მტკნარ სიცრუეს და პროვოკაციას წარმოადგენს. ასეთსავე სიცრუეს და პროვოკაციას წარმოადგენს მთელი დღევანდელი დეკლარაცია ჰიტლერისა, რომელიც ცდილობს უკანა რიცხვით შეითხნოს საბრალდებო მასალა საბჭოთა კავშირის მიერ საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის შეუსრულებლობის შესახებ.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმა უკვე მოხდა, საბჭოთა მთავრობამ ჩვენს ჯარებს უბრძანა უკუაგდონ ყაჩაღური თავდასხმა და განდევნონ გერმანიის ჯარები ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან.

ეს ომი ჩვენ თავზე მოგვახვია არა გერმანელმა ხალხმა, არა გერმანელმა მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ, რომელთა ტანჯვაც ჩვენ კარგად გვესმის, არამედ გერმანიის პირისისხლიან ფაშისტ მმართველთა ხროვამ, რომლებმაც დაიშინეს ფრანგები, ჩეხები, პოლონელები, სერბები, ნორვეგია, ბელგია, დანია, პოლანდია, საბერძნეთი და სხვა ხალხები.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ ჩვენი მამაკი არმია, ფლოტი და საბჭოთა ავიაციის უშიშარი შევარდნები ღირსეულად მოიხდინან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე, და გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ აგრესორს.

ჩვენს ხალხს პირველად როდი უხდება თავდამსხმელ გათავებებულ მტერთან შეხვედრა. ერთ დროს ნაპოლეონის ლაშქრობას რუსეთში ჩვენმა ხალხმა სამამულო ომით უპასუხა, და ნაპოლეონი დამარცხდა, მან კრაზი განიცადა. ასევე მოუვა გათავებებულ ჰიტლერსაც, რომელმაც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა გამოაცხადა. წითელი არმია და მთელი ჩვენი ხალხი კვლავ გააჩაღებენ ძღვევამოსილ სამამულო ომს სამშობლოსათვის, ღირსებისათვის, თავისუფლებისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა, ყველა მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, მამაკაცები და ქალები ჯეროვანი შეგნებით მოეცილებიან თავიანთ მოვალეობას, თავიანთ შრომას. ახლა მთელი ჩვენი ხალხი ისე მჭიდროდ დარაზმული და ერთიანი უნდა იყოს, როგორც არასოდეს არა ყოფილა. თვითუღმა ჩვენგანმა თავისთავს და სხვებს უნდა მოსთხოვოს დისციპლინა, ორგანიზებულობა, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტის შესაფერი თავგანწირვა, რათა უზრუნველვყოთ წითელი არმიის, ფლოტისა და ავიაციის მთელი საჭიროება, რათა უზრუნველვყოთ მტერზე გამარჯვება.

მთავრობა მოგიწოდებთ თქვენ, საბჭოთა კავშირის მოქალაქეო, კიდევ უფრო შეამჭიდროოთ თქვენი რიგები ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ჩვენი საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი ღიდი ბელადის ამ. სტალინის გარშემო.

ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

## თავდასვის სახელმწიფო კომიჯავის თავმჯდომარის ი. ბ. ს ჯ ა ლ ი ნ ი ს გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 3 ივლისს

ამხანაგებო! მოძალაქენო! ქმეგო და დეგო! ჩვენი არმიისა და  
ფლოტის მეომრებო! თქვენ მოგზაართავთ, ჩემო მეგობრებო!

პიტლერული გერმანიის მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს სამშო-  
ბლოზე, რაც 22 ივნისს დაიწყო, — გრძელდება. მიუხედავად წითელი არმიის  
გმირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ მტრის საუკეთესო  
დივიზიები და მისი ავიაციის საუკეთესო ნაწილები უკვე დამარცხდნენ და  
სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე, მტერი კვლავ წინ მოძვრება და ახალ-  
ახალი ძალები მოჰყავს ფრონტზე. პიტლერის ჯარმა მოახერხა ხელში ჩაეგ-  
დო ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნა-  
წილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი. ფაშისტური ავიაცია აფართოებს თა-  
ვის ყუმბარმშენთა მოქმედების რაიონებს, ყუმბარას უშენს მურმანსკს,  
ორშას, მოგილევს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშო-  
ბლო სერიოზული საფრთხის წინაშეა.

როგორ მოხდა, რომ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ ფაშისტურ  
ჯარს დაანება მთელი რიგი ჩვენი ქალაქები და რაიონები? ნუთუ გერმანულ  
ფაშისტთა ჯარი მართლაც უძლეველი ჯარია, როგორც ამას განუწყვეტლივ  
ვაპკვიან ფაშისტი მკვებარა პროპაგანდისტები?

რასაკვირველია, არა! ისტორია გვიჩვენებს, რომ უძლეველი არმიები არ  
არიან და არც ყოფილან. ნაპოლეონის არმიას უძლეველად სთვლიდნენ, მაგ-  
რამ იგი დაამარცხა ზან რუსეთის, ზან ინგლისის, ზან გერმანიის ჯარმა. პი-  
რველი იმპერიალისტური ომის პერიოდში ვილჰელმის გერმანიის არმიასაც  
უძლეველ არმიად სთვლიდნენ, მაგრამ მან რამდენჯერმე განიცადა მარცხი  
რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებისაგან და, ბოლოს, დამარცხე-  
ბულ იქნა ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ. იგივე უნდა ითქვას პიტლე-  
რის ახლანდელ გერმანულ-ფაშისტურ არმიაზე. ამ არმიას ჯერ კიდევ არ  
შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობა ევროპის კონტინენტზე. მხოლოდ  
ჩვენს ტერიტორიაზე წააწყდა იგი სერიოზულ წინააღმდეგო? ს. თუ ამ წი-  
ნააღმდეგობის შედეგად გერმანულ-ფაშისტური არმიის საუკეთესო დივიზი-  
ები დამარცხებული იქნენ ჩვენი წითელი არმიის მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ

პიტლერის ფაშისტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდევ, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი ტერიტორიის ნაწილი შეიქცევა ქვეყნად გერმანულ-ფაშისტურმა ჯარმა, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ფაშისტური გერმანიის ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანული ჯარისათვის ხელსაყრელ პირობებში და საბჭოთა ჯარისათვის არახელსაყრელ პირობებში დაიწყო. საქმე ის არის, რომ გერმანიის ჯარი, როგორც ისეთი ქვეყნის ჯარი, რომელიც ომს აწარმოებს, უკვე სავსებით მობილიზებული იყო და გერმანიის მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოყვანილი და სსრ კავშირის საზღვრებთან წამოწეული 170 დივიზია სავსებით მომზადებული იყო და მხოლოდ სიგნალს ელოდა გამოსვლისათვის, მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარი ჯერ კიდევ უნდა მობილიზებულიყო და საზღვრებისაკენ წაწეულიყო. აქ ცოტა მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ფაშისტურმა გერმანიამ მოულოდნელად და მუხანათურად დაარღვია 1939 წელს გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი, ანგარიში არ გაუწია იმას, რომ მას მთელი მსოფლიო თავდამსხმელ მხარედ ჩასთვლიდა. ვასაგებია, რომ ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას, რომელსაც არა სურდა პაქტის დარღვევის ინიციატივა ეკისრნა, არ შეეძლო ვერაგობის გზას დასდგომოდა.

შეიძლება იკითხოთ: როგორ მოხდა, რომ საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა დაედო თავდაუსხმელობის პაქტი ისეთ ვერაგ ადამიანებთან და მტარვალებთან, როგორიც არიან პიტლერი და რიბენტროპი? შეცდომა ზომ არ დაუშვია აქ საბჭოთა მთავრობას? რა თქმა უნდა, არა! თავდაუსხმელობის პაქტი არის ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანობის შესახებ დადებული პაქტი. სწორედ ასეთი პაქტი შემოგვთავაზა ჩვენ გერმანიამ 1939 წელს. შეეძლო თუ არა საბჭოთა მთავრობას უარი ეთქვა ასეთ წინადადებაზე? ეფიქრობ, რომ არცერთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს არ შეუძლია უარი სთქვას მეზობელ სახელმწიფოსთან სამშვიდობო შეთანხმებაზე, თუნდაც ამ სახელმწიფოს სათავეში ედგნენ ისეთი მტარვალები და კაცობიანები, როგორიც პიტლერი და რიბენტროპი არიან. და ეს, რა თქმა უნდა, ერთი აუცილებელი პირობით — თუ სამშვიდობო შეთანხმება არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ ლაზავს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და ღირსებას. როგორც ცნობილია, გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი სწორედ ასეთ პაქტს წარმოადგენს. რა მოვიგეთ ჩვენ იმით, რომ თავდაუსხმელობის პაქტი დავდევით გერმანიასთან? ჩვენ უზრუნველევავით ჩვენი ქვეყნისათვის მშვიდობიანობა წლინახევრის განმავლობაში და შესაძლებლობა ჩვენი ძალების მომზადებისა მტრის უქუსაგდებად, თუ ფაშისტური გერმანია, პაქტის მიუხედავად, გაბედავდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას. ეს გარკვეული მოგებაა ჩვენთვის და წაგება ფაშისტური გერმანიისათვის.



რა მოიგო და რა წააგო ფაშისტურმა გერმანიამ იმით, რომ ევროპულად დაარღვია პაქტი და თავს დაესხა სსრ კავშირს? ამით მან მიიღწია თავისი ჯარებისათვის ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას მოკლედ და შეერამ მან წააგო პოლიტიკურად, ეინაიდან მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავე თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა ავრესორმა. ექვი არ არის, რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისათვის მხოლოდ ეპიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება კი სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზედაც უნდა გაიშალოს წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი ფაშისტურ გერმანიასთან ომში.

აი რატომ არის, რომ მთელი ჩვენი მამაცი არმია, მთელი ჩვენი მამაცი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ყველა ჩვენი მფრინავი-შავარდენი, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ევროპის, ამერიკისა და აზიის ყველა საუკეთესო ადამიანი, ბოლოს, გერმანიის ყველა საუკეთესო ადამიანი — ჰგომბენ გერმანიის ფაშისტების ევრაგულ მოქმედებას და თანაგრძნობით ეპყრობიან საბჭოთა მთავრობას, იწონებენ საბჭოთა მთავრობის მოქმედებას და ხედავენ, რომ ჩვენი საჭმე სამართლიანია, რომ მტერი დამარცხებულ იქნება, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ.

ომის გამო, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, ჩვენი ქვეყანა ჩაება სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკებაში თავის უბოროტეს და ცბიერ მტერთან — გერმანიის ფაშიზმთან. ჩვენი ჯარები გმირულად ებრძვიან მტერს, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია ტანკებითა და ავიაციით. წითელი არმია და წითელი ფლოტი, სძლევენ რა მრავალ სიძნელეს, თავგანწირვით იბრძვიან თვითეული მტკაველი საბჭოთა მიწისათვის. ბრძოლაში ებმებიან წითელი არმიის მთავარი ძალები, რომელნიც ათასობით ტანკებითა და თვითმფრინავებით არიან შეიარაღებულნი. წითელი არმიის მეომართა მამაცობა უმაგალითოა. მტრისადმი ჩვენი წინააღმდეგობა მტკიცდება და ძლიერდება. წითელ არმიასთან ერთად სამშობლოს დასაცავად გამოდის მთელი საბჭოთა ხალხი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოვსპოთ საშიშროება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და რა ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ შევუმსროთ მტერი?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რათა ჩვენმა ადამიანებმა, საბჭოთა ადამიანებმა, შეიგნონ მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და უკუაგდონ უღარდელიობა, უზრუნველობა, მშვიდობიანი მშენებლობის განწყობილება, სავსებით გასაგები ომამდელ დროში, მაგრამ დამლუპველი ამჟამად, როდესაც ომმა ძირფესვიანად შესცვალა მდგომარეობა. მტერი სასტიკი და უღმობელია. იგი მიზნად ისახავს ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს აღად-

გინოს შემამულეთა ძალაუფლება, ალადგინოს ცარიზმი, დასაგრძოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, ლუბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელები და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს. საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩაეარდნენ. საქიროა, რათა საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ ეს და უკუაგდონ უღარდებლობა, რათა მოახდინონ თავისი თავის მობილიზება და გარდაქმნან მთელი თავიანთი მუშაობა ახალ, საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა.

შემდეგ, საქიროა, რათა ჩვენს რიგებში არ მოიპოვებოდნენ მოწუწუნენი და ლაჩრები, პანიკორები და დეზერტირები, რათა ჩვენი ადამიანები უშიშარნი იყვნენ ბრძოლაში და თავგანწირულად მიდიოდნენ ჩვენს სამამულო გამათავისუფლებელ ომში ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ. დიდი ლენინი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო შექმნა, ამბობდა, რომ საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე, გამბედაობა, უშიშრობა ბრძოლაში, მზადყოფნა იმისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. საქიროა, რათა ბოლშევიკის ეს ჩინებულ თვისება ახასიათებდეს წითელი არმიის, ჩვენი წითელი ფლოტისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მილიონებსა და მილიონებს.

ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდაექმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დაეუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს. საბჭოთა კავშირის ხალხები ახლა ხედავენ, რომ გერმანიის ფაშიზმი დაუცხრომელ ცოფმორეულ გაბოროტებასა და სიძულვილს იჩენს ჩვენი სამშობლოსადმი, რომელმაც ყველა მშრომელისათვის უზრუნველყო თავისუფალი შრომა და კეთილდღეობა. საბჭოთა კავშირის ხალხები უნდა აღსდგენ თავიანთი უფლებების, თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად მტრის წინააღმდეგ.

წითელი არმია, წითელი ფლოტი და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უნდა იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოდნენ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, უნდა იჩენდნენ ჩვენი ხალხის დამახასიათებელ გამბედაობას, ინიციატივასა და გამჭრიახობას.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ყოველმხრივი დახმარება წითელი არმიისადმი, უზრუნველყოთ მისი რიგების გაძლიერებული შევსება, უზრუნველყოთ მისი მომარაგება ყველაფრით, რაც საქიროა, მოვაწყოთ ჯარებისა და სამხედრო ტვირთების ტრანსპორტთა სწრაფად გადაყვანა. დაჭრილთათვის ფართო დახმარების აღმოჩენა.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ წითელი არმიის ზურგი და ამ ხაზის ინტერესებს დავუმორჩილოთ მთელი ჩვენი მუშაობა, უნდა უზრუნველვყოფოთ ყველა საწარმოს გაძლიერებული მუშაობა, მეტი მაშინის, ტრავლერების, ქვემების, ვაზნის, ჭურვის, თვითმფრინავის წარმოება, უნდა მოვაწყოთ ქარხნების, ელექტროსადგურების, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის დაცვა, უნდა მოვაგვაროთ ადგილობრივი საპაერო თავდაცვა.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკორებთან, ხმების გამაერცელებლებთან, უნდა მოვსპოთ ჯამუშები, დივერსანტები, მტრის პარაშუტისტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენ მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მტერი ვერაგია, ცბიერია, გამოცდილია მოტყუებაში და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ ავყვეთ პროვოკაციას. საჭიროა დაუყოვნებლივ მივცეთ საშხედრო ტრიბუნალის სამართალში, განურჩევლად პიროვნებისა, ყველა ის, ვინც თავისი პანიკორობითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს.

წითელი არმიის ნაწილების იძულებითი გადმონაცვლების დროს უნდა წამოვიღოთ მთელი მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა და არ დავუტოვოთ მტერს არცერთი ორთქლმავალი, არცერთი ვაგონი, არ დავუტოვოთ მოწინააღმდეგეს არცერთი კილოგრამი პური, არცერთი ლიტრი საწვავი. კოლმეურნეებმა უნდა გამოარეკონ მთელი საქონელი, პური დასაცავად უნდა ჩააბარონ სახელმწიფო ორგანოებს ზურგის რაიონებში გადმოსაზიდად. მთელი ძვირფასი ქონება, მათ შორის ფერადი ლითონები, პური და საწვავი, რომელიც კი არ შეიძლება გამოტანილ იქნას, უეჭველად უნდა მოისპოს.

მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში უნდა შევქმნათ ცხენოსანი და ქვეითი პარტიზანული რაზმები, უნდა შევქმნათ სადივერსიო ჯგუფები მტრის არმიის ნაწილებთან საბრძოლველად, ყველგან და ყოველ ადგილას პარტიზანული ომის გასაჩაღებლად, ხიდების, გზების ასაფეთქებლად, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის გასაფუჭებლად, ტყეებისა, საწყობებისა და ალალებისათვის ცეცხლის წასაკიდებლად. დაპყრობილ რაიონებში უნდა შევქმნათ ატტანელი პირობები მტრისათვის და ყველა მისი დამქმნისათვის, უნდა ვდევენოთ და მოვსპოთ ისინი ყოველ ნაბიჯზე, უნდა ჩავშალოთ ყველა მათი ღონისძიება.

ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად ვერ ჩაითვლება. იგი არა მარტო ორი არმიის ომია. იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ. ამ განმათავისუფლებელ ომში ჩვენ მარტონი არ ვიქ-

ნებით. ამ დიდ ომში ჩვენ ერთგულ მოკავშირეებად გვეყოლებოდა ევროპისა და ამერიკის ხალხები, მათ შორის გერმანელი ხალხი, რომელიც ებრუნებოდა მმართველებმა დაიმონეს. ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოსა და თავისუფლებასათვისა, შეერთების ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას პიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის პრემიერის ბ-ნ ჩერჩილის ისტორიული გამოსვლა საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დეკლარაცია, რომ იგი მზად არის დახმარება გაუწიოს ჩვენს ქვეყანას, — რასაც საბჭოთა კავშირის ხალხთა გულში მხოლოდ მადლობის გრძნობა შეუძლია გამოიწვიოს, — საცხებით ვასაგები და საგულისხმოა.

ამხანაგებო! ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში. თავდამსხმელ მტერთან საომრად წითელ არმიასთან ერთად გამოდიან მრავალ ათასობით მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. აღსდგებიან ჩვენი ხალხის მილიონიანი მასები. მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელები უკვე შეუდგნენ მრავალათასიანი სახალხო ლაშქრის შექმნას წითელი არმიის დასახმარებლად. ყოველ ქალაქში, რომელსაც მტრის თავდასხმის საფრთხე ემუქრება, ჩვენ უნდა შევექმნათ ასეთი სახალხო ლაშქარი, საბრძოლველად გამოვიყვანოთ ყველა მშრომელი, რათა ჩვენი მკერდით დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სამშობლო — ჩვენს სამამულო ომში გერმანიის ფაშისმთან.

იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნან სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, შექმნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც ახლა თავმოყრილია მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა თავის მუშაობას და მოუწოდებს მთელ ხალხს დაირაზმოს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო იმისათვის, რომ თავდადებით დაეხმაროს წითელ არმიასა და წითელ ფლოტს, გაანადგუროს მტერი, მოიპოვოს გამარჯვება.

მთელი ჩვენი ძალები — ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად!

ხალხის მთელი ძალები — მტრის გასანადგურებლად!

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!

## საგაელო ომი და საბჭოთა მხარობა

საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი პროგრესული კაცობრიობა უაღრესად აღაშფოთა ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი კეთილსინდისიერად ასრულებდა გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ყველა პირობას, გერმანიის პირისხლიანი ფაშისტური მთავრობა ყაჩაღრად, ომის გამოუცხადებლად და ვერაგულად დაესხა თავს მსოფლიო პროლეტარიატის ერთადერთ სამშობლოს, სოციალიზმის ქვეყანას, ნამდვილი დემოკრატიზმისა და მშვიდობის მოყვარე ქვეყანას.

იმ მრავალ მუხანათობიდან, რომელიც ევროპაში ჩაიდინა გერმანიის ფაშისტმა უკანასკნელი წლების მანძილზე, საბჭოთა კავშირზე ყაჩაღური თავდასხმა არის ისეთი ვერაგული მოქმედება, რომლის მსგავსიც არ იცის ცივილიზებულ ხალხთა ისტორიამ და რომელსაც არ შეიძლება შეურიგდეს ადამიანის გონება.

ფაშისტმა ბარბაროსებმა, რომელთაც დაიმონეს და გაძარცვეს საფრანგეთი, ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი, ავსტრია, ნორვეგია, ბელგია, დანია, პოლანდია, საბერძნეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და სხვა ხალხები, ახალი ლაშქრობა მოაწყვეს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ორასი მილიონი თავისუფალი ადამიანი მონებად აქციონ, ხელში ჩაიგდონ მშრომელთა მიერ ოფლითა და შრომით შექმნილი დოვლათი, გაანადგურონ სოციალიზმის ლამაზი ქვეყანა, აღადგინონ ჩვენში დავიწყებას მიცემული ბურჟუაზიული წყობილება და გერმანელი ფაშისტური ხროვის მხეცური დიქტატურის ხუნდები დაადგან ხალხს.

მაგრამ გათავებებული ფაშისტური ხროვა ანგარიშში მოსტყუვდა. იგი სულ მალე დარწმუნდება, რომ დიადი საბჭოთა ხალხი და მისი სახელოვანი მშობლიური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი უძლეველია, რომ თეთრ ზღვიდან შავ ზღვამდე გაკიმულ ხაზზე წარმოებული გააფთრებული ბრძოლა ფაშისტის უკანასკნელი გაბრძოლება და ამ გაბრძოლებაში ჰპოვებს იგი თავის სამარეს.

წითელმა არმიამ და საბჭოთა ხალხმა უდიდესი სამამულო ომი გააჩაღეს. ისინი გაუფონარო გმირობითა და ეაყკაცობით იბრძვიან ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ, ისინი იბრძვიან სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის, ღირსებისათვის, ასეთი ბრძოლა საბჭოთა მიწა-წყლის ხალხისათვის უცხო და პირველი არ არის. რუსი, უკრაინელი, ქართველი, სომეხი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ისტორია მდიდარია გმირული თავდადებისა და სიმტკიცის ზღაპრული მაგალითებით. ჩვენს ხალხს შორიულ წარსულსა და უახლოეს დროში მგზნებარე პატრიოტიზმის მრავალი მაგალითი

უჩვენებია მსოფლიოსათვის. ჩვენი გმირები საყოველთაოდ ცნობილი და სახელგანთქმულნი არიან.

დღევანდელი საბჭოთა ხალხები იმ გმირ წინაპართა მოდგმისა და მშობლების სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღტურვილნი გმირულად იბრძოდნენ გარეშე დამპყრობელთა წინააღმდეგ, სამშობლოს მიწა-წყლის დაცვისათვის, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვისათვის. ჩვენ მოდგმა ვართ იმ წინაპრებისა, რომლებმაც ვაეკაცურად შესწირეს თავი ხალხის თავისუფლებას, სამშობლოს თავისუფლებას, დიდი სოციალისტური რევოლუციის ძღვენამოსილ გამარჯვებას და რომელთაც თავგანწირვისა და სიმტკიცის ბრწყინვალე ტრადიციები დაგვიტოვეს.

ჩვენ ვართ დიადი ტრადიციების მემკვიდრენი, და ღირსეულად დავიცავთ და გავამდიდრებთ ამ ტრადიციებს. წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლები სამშობლოსა და თავისუფლებისათვის ალაფროვანებენ და დარაზმადვენ მსოფლიოს მრავალ ასეულ მილიონ მშრომელს საბჭოთა კავშირის გარშემო, მისი სამართლიანი სამამულო ომის მხარეზე.

გერმანიის პირსისხლიანმა ფაშისტებმა საბჭოთა კავშირთან ბრძოლით საბოლოოდ გამოაშკარავე თავისი თავი, როგორც მხეცურმა დამპყრობელმა, როგორც ვერაგმა და მუხანათმა, როგორც ისეთმა ხროვამ, რომლისათვისაც არ არსებობს არავითარი მორალი, გარდა მხეცობისა და ველური „მორალისა“.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ავტორიტეტი უფრო მეტად ამაღლდა მსოფლიოს თვალში. დედამიწის კიდით კიდემდე გაისმის საბჭოთა კავშირისადმი საუკეთესო ადამიანთა თანაგრძნობის მგზნებარე ხმა. მსოფლიოს ყველა კუთხის მშრომელები მხარს უჭერენ ჩვენს სამართლიან სამამულო ომს. ყველა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირს ომი არ უნდოდა, მაგრამ თავზე მოახვიეს ის ფაშისტმა ქოფაკებმა. და ახლა, როცა ომი უკვე გაჩაღებულია, მთელი საბჭოთა ხალხი, წითელ არმიასთან ერთად, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დგას. სოციალისტური სამშობლოს ყოველი მოქალაქის აზრი და ფიქრი იქითკენ არის მიმართული, რომ გავანადგუროთ და მოვსპოთ თავზედი და ვერაგი მტერი, დავიხსნათ ჩვენი ქვეყანა და მთელი კაცობრიობა ფაშისტური მხეცობისაგან.

საბჭოთა ხალხი ღრმად არის დარწმუნებული თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში. „პიტლერის ზროვამ ქარი დასთესა, იგი ქარიშხალს მოიშის“ („პრავდა“). მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ არამზადა ფაშისტ ნაძირალებზე გამარჯვება იოლი არ არის. ჩვენ უნდა შევიგნოთ მთელი სირთულე იმ საშიშროებისა, რომელიც გვემუქრება და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით მოვეყიდოთ საქმეს. ყოველი ჩვენი საქმიანობა მტკიცედ უნდა დავუკავშიროთ სამშობლოს დაცვას, რადგან ამიერიდან აღარ არსებობს მშვიდობიანი პროფესიები. ჩვენი გამარჯვების პირობაა მაქსიმალური ორგანიზებულობა, დისციპლინირება, შრომის მაღალი ნაყოფიერება, სიფიზლე, გაბედულობა, სამშობლოსათვის თავდადება. მტერზე გამარჯვებას უზრუნველყოფს წითელი არმიის სიძლიერე და მთელი საბჭოთა ხალხის მზადყოფნა. მისი დაუღალავი ზრუნვა—განამტკიცოს წითელი არმიის ზურგი.

„უწინარეს ყოვლისა საჭიროა. — ამბობს ამხანაგი სტალინი. — რათა ჩვენმა ადამიანებმა, საბჭოთა ადამიანებმა შევიგნოთ მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და უკუავდონ უღარდულობა, უზრუნველობა, მშვიდობიანი მშენებლობის განწყობილება, სავსებით გასა-

გები ომამდელ დროში, მაგრამ დამლუპველი ამჟამად, როდესაც ომში/ძირ-  
ფესვიანად შესცვალა მდგომარეობა. მტერი, სასტიკი და უღმობილია. იგი  
მიზნად ისახავს ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მოსაწყვლი,  
ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი  
მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი,  
დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ეს-  
ტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, კართველთა, სომეხთა, აზერ-  
ბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური  
კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გააგერმანელოს ისინი,  
გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე  
ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა  
სიკვდილ-სიცოცხლეს. საქმე ეხება იმას—თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა  
კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საჭიროა, რათა საბჭოთა  
ადამიანებმა შეივინონ ეს და უკუაგდონ უდარდელობა, რათა მოახდინონ თა-  
ვისი თავის მობილიზება და გარდაქმნან მთელი თავიანთი მუშაობა ახალ, სა-  
ომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა“.

პარტია, მთავრობა და დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი ჩვენს წინაშე  
უღიღეს ამოცანებს აყენებენ: მთელი ჩვენი მუშაობა დავუმორჩილოთ ჩვენი  
ქვეყნის დაცვის ინტერესებს, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ პატრიოტიზმის  
გრძნობა ხალხში და უფრო უკეთესად მოვაწყუთ მრეწველობის, ტრანსპორ-  
ტისა და სოფლის მეურნეობის მუშაობა.

ამ უღიღეს ამოცანათა გადაწყვეტის მომენტში საბჭოთა მწერლობას გან-  
საკუთრებული მოვალეობა აკისრია. არც ერთი ეპოქის მწერლობა ისე ახლო  
არ მდგარა თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან, როგორც საბჭოთა  
მწერლობა, რადგან საბჭოთა მწერლობა ნამდვილი ხალხური მწერლობაა. საბ-  
ჭოთა მწერლობა სოციალისტური რევოლუციის პირობაშია. საბჭოთა მწერალი  
ხალხის ღვიძლი შელია. ის თავისი შემოქმედების ინტერესებს ყოველთვის  
უმორჩილებდა და უმორჩილებს საბჭოთა ხალხის, პარტიისა და მთავრობის  
მიერ დასმულ საბრძოლო ამოცანებს. საბჭოთა მწერლებს საბჭოთა პატრი-  
ოტისათვის შესაფერი თავგანწირვის არა ერთი და ორი მაგალითი უჩვენებიათ.  
როცა სამშობლო საფრთხის წინაშე მდგარა, ისინი მხატვრული სიტყვითა და  
იარაღით ხელში იცავდნენ სამშობლოს ინტერესებს, ებრძოდნენ და ანადგუ-  
რებდნენ ვერაგ მტრებს.

ახლა ყველაზე დიდი და საპატიო გამოცდის წინაშე სდგას მთელი ჩვენი  
მწერლობა. ყველაზე ძლიერად მწერლებმა, კულტურისა და ხელოვნების  
მუშაკებმა უნდა იგრძნონ ის საშიშროება, რომელიც ამჟამად ჩვენს ქვეყანას  
ემუქრება. სოციალიზმისა და თავისუფლების მტრები, ფაშისტი ბარბაროსები  
ყველაზე შეუბრალებლად სპობენ და ანადგურებენ კულტურას, ლიტერატუ-  
რას, მეცნიერებას. ისინი მიისწრაფიან საყოველთაო უცოდინარობისაკენ,  
უკულტურობისაკენ, რომ მონობაში იყოლიონ მასები და დიდხანს და ადვი-  
ლად იბატონონ მრავალმილიონიან ხალხებზე.

საბჭოთა მწერლობის უპირველესი ამოცანაა—ამაღლოს ჩვენს ხალხში საბ-  
ჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა, გააჩალოს სიძულვილი ვერაგი მტრებისადმი,  
მათი ყველა ჯურის დამჭაშვებისადმი, ხელი შეუწყოს ბოლშევიკური სიფხიზ-  
ლისა და მხადყოფნის დანერგვას, ორგანიზებულობას, დისციპლინის განმტკი-  
ცებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ნორმალურ და მაღალხარისხიან მუ-

შაობას წარმოებაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა მწერლობა, თვითეული მწერალი მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა დაეხმაროს პარტიას, მთავრობას დივერსანტებთან, მავნებლებთან, მოლოდინებთან, პანიკორებთან ბრძოლაში. მან უნდა უჩვენოს ჩვენს მკითხველებს, რა დიდი ზიანის მოტანა შეუძლიანთ ამ პატარა ბოროტ კაცუნებს.

ჩვენმა მწერლებმა სწრაფად უნდა გარდაქმნან თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა. ეს მუშაობა მათ უშუალოდ უნდა დაუკავშირონ წითელი არმიის საბრძოლო უნარიანობის გაძლიერებასა და წითელი არმიის ზურგის განმტკიცებას. იმ მომენტიდან, როცა ომი დაიწყო, ჩვენი მწერლობისათვის აღარ არსებობს მშვიდობიანი თემები. საბჭოთა მწერლების მთელი შემოქმედებითი ცხოვრება უნდა გაიმსჭვალოს სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლის ინტერესებით, ისინი უნდა სთესდნენ და აღვიძებდნენ ხალხში დიადი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძობას, აუცილებელი გამარჯვების რწმენას; მხატვრული ნაწარმოები უნდა აფრთოვანებდეს ჩვენს მებრძოლეს, ბრძოლისა და შრომის ენტუზიაზმს ზრდიდეს მასებში.

საბჭოთა მწერლებმა უნდა გამოააშკარაონ და უჩვენონ მკითხველ მასებს ფაშიზმის მთელი მხეცური ბუნება, მისი ბარბაროსული არსი.

საბჭოთა მწერლების წმინდათა-წმინდა მოვალეობაა გაამახვილოს მასების ყურადღება ამზანავ სტალინის მიერ 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმული ისტორიული სიტყვის გარშემო, დაეხმაროს პარტიას და მთავრობას მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი ჩვენი რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზაციის საქმეში იმ ამოცანათა გადაწყვეტისათვის, რომლებიც დააყენა დიდმა პელადმა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

საბჭოთა მწერლობა მოახდენს მთელი თავისი ძალების სწრაფ მობილიზაციას და მომენტის მოთხოვნილების სიმაღლეზე აღმოჩნდება. საბჭოთა მწერლობა გაამართლებს იმ იმედს, რომელსაც მასზე ამყარებენ პარტია, მთავრობა და მთელი ჩვენი ხალხი. საბჭოთა მწერლები მხატვრული სიტყვითა და იარაღით ხელში იბრძობებენ მოწინავე ფრონტებზე. თავიანთი საბრძოლო ლექსებით, ნოველებით, ნარკვევებით აღანთებენ მებრძოლთა პატრიოტულ სულს და ხელს შეუწყობენ წითელი არმიის ბრძოლის წარმატებას, მტერზე გამარჯვებას.

დადგა მრისხანე და გადაწყვეტი ეამი. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს კომუნიზმსა და ფაშიზმს შორის, ცივილიზაციასა და ბარბაროსობას შორის. ამ ბრძოლაში მთელი კულტურული კაცობრიობა საბჭოთა კავშირის მხარეზეა. მტრებს დაეამარცხებთ. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.



ალიო მახაზვილი

## სიღრა ბებარჯვებისა

შამად შერგოს დედის რძე,  
ყოფს ჰყრიდეს პირ-ზიზღიანი,  
დაეცეს, ხსნას არ ელოდეს,  
ვერ მოიჩინოს ზიანი,  
დაძრწოდეს, გზას ვერ იკვლევდეს  
გახელებული, ზნიანი,  
მეწყერი წამოეწიოს,  
ღღე დაუბნელდეს მზიანი!

პურს ქამდეს, მიწა ეგონოს  
ყვავ-ყორნის ლეშად ქცეული,  
წყალს სვამდეს, სისხლი ეგონოს  
შხამ-გესლად ჩამოქცეული,  
იწვოდეს, იტანჯებოდეს,  
როგორც იუდა წყეული,  
მშიერ-მწყურვალი კედებოდეს  
მეზობლებს გამოქცეული!

ვინც უღალატოს სამშობლოს,  
დიად საბჭოთა მხარესა,  
მთავორებს — ეედხის ტყაოსნებს,  
მორთულ-მოფარჩულ არესა,  
ჩვენს მამულს, შრომით აღდგენილს.  
მშობლიურ მშეს და მთვარესა,  
ჭერმალალ ცას და ვარსკვლავებს,  
მოკაშკაშ-მოელეარესა!

სტალინის დროშა გავშალოთ —  
ორბის-ფრთა ნაპერწკლოვანი,  
დავსძახოთ ბრძოლის ყიფინა  
მრისხანე, ხმა-ცეცხლოვანი,  
მტრებს დავსცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს  
მათი ოხერა და გლოვანი,  
კვლავ ვასახელოთ გმირობით  
სამშობლო სახელოვანი!

25. VI. 41.



ა. აბაშელი

## სამ ლაიქუხა გუშინ

ცამ ლაიქუხა გუშინ,  
მეხიც გავარდა ბევრი,  
დილა გათენდა ქუში  
და ფეხზე დადგა ერი.  
ცამ ლაიქუხა გუშინ, —  
კარს მოგვადგაო მტერი!

როგორ ვაბედა ძალღმა  
ჩვენს გალავანზე ასვლა?  
უნდა დაფუშვით დაღმა,  
სისხლი და ცრემლი ვასვით!  
როგორ ვაბედა ძალღმა  
რკინის კედელზე ასვლა?

ვინ არი, სალახანა,  
კარებს რომ ძალით აღებს?  
იმისთვის ვზრდიდით ვანა  
ჩვენ ამ ბრწყინვალე ბაღებს,  
რომ ეს ბაღი და ყანა  
ეთელა მურტალ წაღებს?

ვანა იმისთვის მოვსპეთ  
შავი ჯალათი ძველი,  
ვანა იმისთვის ემოსეთ  
სინათლით მიწა ვრცელი,  
რომ ვანთიადის მომსწრეთ  
კვლავ დაგვეფენოდა ბნელი?!

არა! სამშობლოს იცავს  
ძლევეამოსილი ხმალი.  
ჩვენს აყვავებულ მიწას  
ვერვინ წაგვართმევს ძალით,  
რადგან ქვეყანას იცავს  
ძლევეამოსილი ხმალი.



ფეხზე დამდგარა მთელი  
 საბჭოთა ქვეყნის ერი.  
 დედა-სამშობლოს მცველი  
 ბრძოლის სიმღერებს მღერის.  
 ფეხზე დამდგარა მთელი  
 საბჭოთა ქვეყნის ერი.

ქართლოსიანთა ძენი  
 ძმებთან შეკრულან ფიცით.  
 მათ მტრის დახვედრა ჰშეენით  
 საკუთარ გულის ფიცრით.  
 ელვათა შუქის ფენით  
 გზას მიიკვლევენ მტკიცედ.

ბრძოლა იქნება დიდი,  
 ბრძოლა იქნება მკაცრი.  
 ვანა ერთი თუ შეიდი  
 ხმალი იელვებს ბასრი, —  
 ბრძოლა იქნება დიდი,  
 ბრძოლა იქნება მკაცრი!

მიწა დაიწყებს ზანზარს  
 უღმობელ ცეცხლის ფრქვევით.  
 მტერი დღეს ნახავს საზარს  
 ჩვენი მიჯნების ქვევით,  
 ჩვენ-კი გადვივლით საზღვარს  
 სტალინის დროშის რბევით.

ფაშისტურ აფთარს მისდევს  
 დიდ საბჭოეთის ლომი.  
 სირცხვილს და სიკვდილს მკიდეს  
 ჩვენი წაქცევის მდომი!  
 მოედო კიდით-კიდეს  
 მამულისათვის ომი!

23 ივნისი, 1941 წ.

სიმონ ჩიქოვანი

## მ რ ი ლ ე ქ ს ი

საკირველმანსო აღლუმისათვის  
მზადება გვირას მოედანზე

თეთრი რაშები, თეთრი და ლურჯა,  
რაშთა ჩრდილებით ივსება ქუჩა.  
აშრილებენ დროშებს ვაყები,  
მოფარდაშებენ თეთრი რაშები.  
ეს ლაშქარია ჩემი მამულის,  
და მეომრები გაშლიან აღლუმს,  
დინჯი ქვემების ხმა მეწამული  
მტრისთვის წაიღებს მქუხარე ლაღუმს.  
მიდიან დრონი, მშფოთარე დრონი,  
ეს სპა შეკრული თუ ესკადრონი —  
გადიშულიებს კიდიდან კიდით,  
მალე დაიხსნას ძმობილი შორი,  
მიწას ცხოვრება არგუნოს მშვიდი.

ლაშქარს არ ახლავს ვაი და კვნესა,  
ის მტრის მოსპობით სიცოცხლეს სთესავს

და სნაიპერის შაშხანის ტყვიას  
სიკვდილთან ერთად სიცოცხლე მიაქვს.

წითელი დროშით მოქრის მხედარი,  
მოათამაშებს ელეარე ლურჯას,  
დროშაზე სცოცხლობს სისხლი ნეტარი,  
ოქტომბერში რომ ნათლავდა ქუჩას.  
ცა მიეკვრება ნათელი მიწის  
ქურდულად დამცემს დაეძებს ლამით,  
ლაშქარმა მიხმო და გულით ვიწვი,  
მტერს დაუდგება განკითხვის ეამი.  
ჭრიან ცხენები თეთრი და ლურჯა,  
და ჩენი მიწის ყოველი მუჭა  
ჩენი გულივით მფეთქავი არი,

მეხანძრესავით დარეკეთ ხარი,  
მუდამ მზად იყოს მქუხარე ქუჩა.

კრემლის კოშკიდან დასცქერის ბრძენი,  
როგორ ელვარებს რაზმები სუფთად,  
ის სიცოცხლეა, ფიქრია ჩვენი,  
ვაზაფხულის და ოცნების სუნთქვა.

ხალხების შფოთვის, შეღებილს სისხლით,  
მოამშვიდობებს მარჯვენა მისი.

მიდიან დრონი, შფოთარე დრონი,  
მთელი ლაშქარი თუ ესკადრონი

დაცვარულია მამულის ნამით,  
რომ ძმებს რიერაფი აღნთოს ღამით.

მაშ, გააქროლეთ ცხენები ლურჯა,  
დღეს ჩვენი მიწის ყოველი მუკა  
ჩვენი გულივით მფეთქავი არი.  
მეხანძრესავით დარეკეთ ხარი,  
რომ ფხიზლად იყოს ყოველი ქუჩა!

მაისი. 1941 წელი.

### პატარა ხალხი

ო, ილეწება პატარა ხალხი,  
ვინც საბჭოეთის გარეშე ცხოვრობს,  
გათელილ მიწამ ჩაიკვა თაღი,  
ბავშვი თავივით დაეძმებს სოროს.  
მხეცი სასტიკი დაეცა საწყალს,  
თმაგაწეწილი გამოზრბის ქერივი,  
ცეცხლიან ჭარმა ნაშენი დასწვა  
და მოგვალული ბუნება ჩივის.  
ვით გაუმკლავდეს პატარა ერი!  
მბეუტავი კერა ჩაუქრონ ღამის.  
ცეცხლით ენგრევა ოჯახის ჭერი  
და ეშრიტება სილამე ყამირს.  
თვალი გააღე, პატარა მოძმევ,  
შენი კეთილი ოცნება იწვის:  
მტერმა გაგზადა სიკვდილის მოწმე  
და მოგოგვალვა სილამე მიწის.  
შენ გაახილე ნაკვამლი თვალი,  
ოდესლაც ჩვენაც ვიწოდით აგრე,  
ხელში გვეჭირა ვაზი და ხმალი,  
ომში ყვილით გვითრთოდა ბავე.





მაგრამ ჩვენ გაეხდით უძლევი ერი,  
 თექვსმეტი მოძმით ქართველი ხარობს,  
 სანთლად გვინთია მამულის ფერი  
 და მთიდან მოჰქუხს წინაპრის წყარო...  
 შენი სიმართლევ ჩვენს გულში ცოცხლობს,  
 ჩვენს ბაღში ჰყვავის ოცნება შენი,  
 შენთვის ანთებულ მშობლიურ კოცონს  
 ჰეშმარიტებით აღვივებს ზრძენი.  
 ო, დაიღწეა პატარა ხალხი,  
 მოსახლე ჩვენი საზღვრების მიღმა,  
 ფერფლად უქციეს პატარა ბაღი,  
 ყამირი მორწყო დაქცეულ სისხლმა.  
 ენგრევა ჰერი, მოისმის კენესა,  
 მტარვალის ჩეჭმა გათელავს ქალაქს,  
 მაგრამ აღადგენს დაღეწილ ერსაც  
 წითელი ლაშქრის გმირების ძალა.

მაისი. 1941.

ილო მოსაზვილი  
კონსტანტინე ლორთქიფანიძე

## ერთხელ, ღამით...

ლიტერატურული ხეყენარი

რკინიგზის მივარდნილი სადარაჯო.

უზოში ნიავი არხვეს თავნაყარ სიმინდს...

რკინიგზის დახურულ ბერასთან — მაღალი, მხრებში მოხრილი, თეთრწყვერა მოხუცი სანიშნო ბაირალით აცილებს მატარებელს.

ტყიან აღმართზე მძიმედ მიქშინავს ორთქლმავალი.

სადარაჯოს ფანჯარაში ეშხიანი, შავგვრემანი ქალი გამოჩნდა, — რკინიგზის დარაჯი მარო. ფანჯრის რაფაზე სწრაფად გადაჰყვებო პირსახოცი და უკანვე გატრიალდა.

უზოში, საჩეხთან მოხუცი ცხენს აბამს ორთვალაში. იგი მოწყენილია — უხალისოდ მოძრაობს.

გზატყეცილზე მოკპრის ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებით სავსე საბარგო ავტო-მანქანა. ისინი მღერიან ძველს ლაშქრულს...

„ომში წასვლა მას უხარის,  
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო“...

მანქანამ რკინიგზის ლიანდაგი გადასჭრა.

მოხუცმა ნალელიანად გახედა მანქანას... ამოიოხრა.

მარომ ოთახიდან გატენილი სამგზავრო ჩანთა გამოიტანა და ორთვალაზე დასდო.

ქალს ოთახიდან გამოჰყვებო ოცდაექვსი-ოცდარვა წლის მხარბეჭიანი ვაჟკაცი, — მარო მოუთმენლად გასცქერის ლიანდაგს.

— ჩქარა, ჩქარა!

გასძახა ქალმა და ხელი დაუქნია აჩქარებით მომავალ შუახნის რკინიგზელს. გზატყეცილზე ცხენების ჭენებით ჩაიარეს ჯარში გაწვეულმა სოფლის ბიჭებმა.

„დაბრუნება და შინ მოსვლა  
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“...

თითქოს აგრძელებენ ისინი მინელებულ სიმღერას.

მარომ სანიშნო ბაირაღების ბუდე მოიხსნა და მოსულ ტყეში გადსცა.

— მზის ჩასვლამდე დაებრუნდები, ალექსი!

გზატყეცილზე ურმის კრიალი მოისმა. ურემს უსხედან მხნე მოხუცი — ელისაბედი და რამდენიმე ახალგაზრდა.

„ლამაზი ცოლის პატრონსა  
უნდა ჰყავდეს ძალი ფრთხილი“...

ისინიც აგრძელებენ მინელებულ სიმღერას...

— ჩქარა, შაქრო, სიმღერაში შეგვეშველები!

გადმოსძახა ურმიდან მოხდენილმა, ქოჩორა ვაჟმა ორთვალასთან დაფაცურებულ ვაჟკაცს და ხარებს სახრე გადაუჭირა.

შაქრომ ხელი ჩამოართვა რკინიგზელს და გულთბილად გადაეხვია:

— ალექსი, თუ ძმა ხარ, მარჯვე ქალია, მაგრამ ხანდახან მაინც დახედე!

სთხოვა შაქრომ და ორთვალაზე ფეხშედგმულ მოხუცს ხელი შეაშველა.

— შენ კარგად იყავი, შაქრო! აჭაურობის დარღიწე გეჭნება!

დაამედა ალექსიმ და ბაირაღების ბუდე ქამარზე შეიბა.

მარო მარჯვედ ავიდა ორთვალაზე, ცხენი დაძრა.

— გზა მშვიდობისა, ხელი მოგემართოს, შაქრო!

მიაძახა ალექსიმ... მისი ძახილი თვითმფრინავის გუგუნვმა დაჰფარა.

ორთვალამ ლიანდაგი გადასჭრა, ტყისაკენ გაუხვია...

ტყიან შარაზე სიმღერა შემოიჭრა...

„ან უნდა ძალი ფრთხილობდეს,  
ანუ მისი დედათილი“...

და მანქანამ ჩაიჭროლა....

ტყიან შარაზე სოფლელი ბიჭები ცხენებს მოაგელვებენ...

მიჩქარის ურემი...

ცხენს მიჩქარებს მაროც...

თვითმფრინავის გუგუნვი გაძლიერდა.

შაქრო და მოხუცი ორთვალას უკანა კოფოზე ფეხებ-გადმოკიდებულნი სხედან... მოსჩანს ზურგშექცეული მარო.

შაქრომ ცას ახედა.

— ხედავ?

— რასა, შვილო!

უგუნებოდ შეეხიტყვა მოხუცი.

— ავე!

და შვილმა ცაზე მიუთითა.

მოხუცმა ხელი მოიჩრდილა:

ლრუბლიან ცაზე თვითმფრინავი მისცურავს.

— ეგნა..





ღრმად ამოიოხრა მოხუცმა:

— მაგის მომგონს დაეჭვა ოჯახე<sup>ქვეყნული</sup>

მერე რაღაც მოაგონდა, შვილის მარჯვენა ხელს ხელს<sup>მომჭეცხმ</sup> და სალოცი თითი გადაუკეცა.

— აბა გააკეთე, როგორც გასწავლე!

შაქროს ღიმილი მოერია, მაგრამ არ შეიმჩნია და მორჩილად შეასრულა მოხუცის სურვილი. ეტყობა, არ უნდა მამას აწყენინოს და სალოცი თითი ისე მოჭკეცა, თითქოს მოკრუნჩხული ჰქონდეს...

— ეგრე, შვილო, მე სწორედ ეგრე გადავურჩი სალდათობას... ორი დობტური დამეჭიდა, მაგრამა თითი ვერ გამისწორეს...

— ნუ გეშინია, ვერც მე გამისწორებენ, მამაჩემო!

მოხუცის გულის მოსაგებად დაიტრაბახა შაქრომ და რადგან სიცილი ვერ შეიმაგრა, მაროსაკენ მიიხედა.

ერთმანეთს გაუღიმეს და მოხუცს სიყვარულით გადახედეს.

მარომ ცხენს შოლტი მოუქნია.

ორთვალა მიჰქრის.

სამობილიზაციო უბანი.

გაშლილ მოედანზე, რომელსაც ასწლოვანი მუხები სჩრდილავენ, ჯგუფ-ჯგუფად შეყრილან გაწვეულნი და გამცილებელნი.

თითქოს დიდი სახალხო დღეობა იყოს, მოედნის გარშემო ჩამწყრივებულან აუტო-მანქანები, ჩარდახიანი ურმები, ორთვალეები, შეკაზმული ცხენები...

ორთვალადან ჩამოსვლისას მოხუცმა ფრთხილად მიმოიხედა, ხომ არავინ მიცქერისო... მერე შვილს სალოცი თითი მოუკეცა და თვალებში წყრომით თუ ვედრებით მიაჩერდა:

შაქრომ თვალით ანიშნა თანხმობა.

კმაყოფილმა მოხუცმა ისევ ხალხს გადახედა:

ჩარდახიან ურემთან უკრავს დოლი და გაშლილ წრეში ლექტურს უვლიან მოხუცი ელისაბედი და მისი ქოჩორა ვაჟი.

მოხუცი განცვიფრდა, წარბები შეიკრა და ელისაბედს ცერად გახედა.

— ნეტავ, რა აბტუნებს ამ ბებრუხუნას!

უკმაყოფილოდ ჩაიბურღლუნა და ადგილი მონინაცვლა:

კუნძზე ჩამომჯდარი მოხუცი მწყემსი ჩონგურს დამღერის:

„დაგვიძახოდე, სტალინო,  
ჯაერს არ შეგაქმევთ მტრისასა!  
ბეერი უკრავ და უკაფავ  
ფხას ამ ვაცვეთილ ხმლისასა...“

მოხუცს სიმღერა ჩამოართვა ახალგაზრდა მეჩონგურემ:

„მტერო, ქურდულად მომხდომო,  
თავი რომ გიგავს ხვედასა,  
სამშობლოს ხელი გაუშვი,  
თორემ გიტირებ დედასა.“

ვაეს ეხლა გოგომ ჩამოართვა სიმღერა.

«წადი, ქვეყანა გეძახის  
და შენი ხალხი გაცილებს,  
ასი რომ გქონდეს სიცოცხლე,  
სამშობლოს გაუნაწილ!»



ქალის სიმღერაში ძახილი შემოიჭრა:

— გიორგი ივანეს-ძე მინდიაშვილი!

ჩონგურიანი ვაჟი წამოიჭრა:

— არის!

დაიძახა, ჩონგური გვერდით მდგომ ახალგაზრდას გადასცა და ის-იყო წასვლელად მოემზადა, რომ გოგომაც ჩონგური დასდო, ვაჟი შეაჩერა, აჩაჩული ხალათი გაუსწორა, თმაში ჩაბნეული სავარცხელი ამოიძრო, ქოჩორი გადაეარცხნა და ზურგზე ალერსიანად წაპკრა ხელი.

ვაჟმა წრე გაარღვია და კიბე აირბინა.

მოხუცმა თვალი გააყოლა. იგი ხედავს, — ვაჟი მოხდენილად წარუდგა აივანზე გადმომდგარ მეთაურს.

მოხუცი რაღაცამ შეაფიქრა.

შვილს გადახედა.

შაქრო მაროს ესაუბრება:

— შენი ჭირიმე, მარო, შენ იცი და შენმა ქალობამ... ზომ იცი, რკინიგზას როგორი თვალი სჭირდება...

— ნუ გეშინია, ჩვენი უბანი ისევ სტახანოვური დარჩება!

ისევ ძახილი:

— მიხა ომანის-ძე ქადაგიშვილი!

მოხუცი ისევ აივანს მიაჩერდა.

— აქა ვარ!

და მეთაურს აზოვანი ახალგაზრდა წარუდგა.

იმავე წამში მას აქეთ-იქით ამოუდგა წლოვანებით ერთმანეთის მომდევნო, მასავით აზოვანი ორი ჭაბუკი.

გაკვირვებულმა მეთაურმა ჯერ ერთს გადახედა, მერე მეორეს:

— ჩვენ ძმები ვართ! გთხოვთ სამივე ერთად გავგზავნოთ ფრონტზე!

ერთხმად მიმართეს ძმებმა.

წარბშეკრულ მოხუცს თანდათან გაეხსნა შუბლი. თვალები გაუგანიერდა. თითქოს არ სჯეროდა, რასაც ხედავდა.

დამნაშავესავით თავი დახარა და გაუბედავად მიუახლოვდა შაქროს.

მარომ თვალი შეასწრო, რომ მამის დანახვაზე შაქრომ სწრაფად მოკეცა სალოკი თითი.

მაგრამ მოხუცმა შვილის ხელისგულზე ხელი შეაცურა, მოკეცილი თითი გაუმართა, და თვალებში დარცხენით შეხედა.

მაროს სიცილი წასკდა.

შაქრომ ალერსით მოხვია ხელი მოხუცს და სიცილით უთხრა:

— ხომ ნახე, თითის მოხრა თავის მოჭრაა, მამა-ჩემო!

შემდეგ მაროს მიუბრუნდა.

— ნულარ აგვიანებთ, მარო! სალამოს ალექსიმ თავის უბანს უნდა მიხედოს!

და ორთველადან სამგზავრო ჩანთა ვადმოიღო...

მაროს მოწყენა დაეტყო.

— ცოტახანს კიდე ვიქნები!

ყოყმანით მიუგო ცოლმა, უბიდან ქალაქში შეხვეული ამანათი ამოიღო და ჩანთაში ჩაუღო.

— რა არის?

შაქრომ ამანათს ხელი მიატანა, გახსნა და სახე გაუბრწყინდა.

იგი დასცქერის მაროს სურათს.

— არა, ამის აღგილი მანდ კი-არა, აი, აქ არის...

სურათი სათუთად შეახვია და მარცხენა უბის ჯიბეში ჩაიღო. მერე ცოლს გადაეხვია და გადააჭოცნა.

მოხუცმა ნამალაყად მოიწმინდა თვალზე მომდგარი ცრემლი... რამდენადაც შეეძლო, წელში გაიმართა და შეიღს დარღმეუმიწნეულად გადაეხვია.

— მტერი დაგიმარცხოს, სახელოვანი დამბრუნებოდე, შეილო!

დროშით მომავალი ახალგაზრდები სიმღერით შემოდიან მოედანზე:

„ომში წასვლა მას უხარის,  
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო!  
დაბრუნება და შინ მოსვლა,  
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო!“

ქარი აფრიალებს დროშას.

ირზევიან მუხის ტოტები.

ქარი შეიჭრა ტყეში და გზაზე დახრილი ტოტები ერთმანეთს შეახალა.

ავდარს აპირებს.

შორიდან ისმის მინელებული სიმღერა.

სიმღერას აჰყვამ ცხენის ფეხის ხმა...

გუნდის სიმღერა ცალხმა ღიღინში გადავიდა.

„ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო...“

ჩაიღიღინა მოხუცმა და მაროს გამამხნევებელი ღიმილით გადახედა.

ორთველა შეწყობილად არწევს მოხუცსა და მაროს.

მოხუცი ღიღინებს:

„ლამაზი ცოლის პატრონსა  
უნდა ჰყავდეს ძალი ფრთხილი,  
ან უნდა ძალი ფრთხილობდეს,  
ანუ მისი მამამთილი!“

მოხუცმა სიმღერის უკანასკნელი სიტყვა გამოარჩია და მაროს თავმოამწონედ შესცინა...



ქართული  
ენის ეროვნული  
ბიბლიოთეკა

უცებ სახე მოედრებლა:

მაროს ლოყაზე რამდენიმე წვეთი უბზინავს.

მოხუცმა ლილინი შესწყვიტა და იმავე წამს დანაოჭებულ დაეცა წვიმის წვეთები.

მოხუცმა ისევ მაროს ლოყას შეავლო თვალი და..

სახე გაუნათლდა:

— მე კი ცრემლები მეგონა...

— ცრემლი ჩვენს მტერს ნუ დაელოოს!

უთხრა მარომ და ხილაბანდის ყურით ლოყა შეიმშრალა.

ცხენს შოლტი გადაჰკრა.

ტყიან შარაზე მიჰქრის ორთვალა...

წვიმამ მოუხშირა...

ბოგირთან, მაღალი მუხების ძირას ცხენი უეცრად შესდგა, ყურები და-  
ძაგრა...

მარო წამოდგა, გზას დააცქერდა.

სწრაფად გადმოსტა...

წამოდგა მოხუციც...

მან შეამჩნია გზისპირად დამზობილი წითელარმიელი და იქვე, ჯაგებზე გაბ-  
ლართული პარაშუტი.

თვითონაც ჩამოხტა...

მარომ წითელარმიელი გულადმა გადმოაბრუნა, თავი აუწია...

პარაშუტის ღვედები სწრაფად მოაცილა და საყელო გაუხსნა.

— ცოცხალია?

დაუძახა მოხუცმა.

— ცოცხალია, მიშველე!

მარო წითელარმიელს მხრებში შეუდგა, მოხუციც მიეშველა...

გონმიხდილი ძლიეს მიასვენეს ორთვალასთან და ფარდაზე გამართეს.

მარომ ხელდახელ პარაშუტი მოკრიფა.

მოხუცი წითელარმიელს მიუჯდა.

მარომ პარაშუტი კოფოზე შეავლო, თვითონაც ავიდა და ცხენი სწრაფად  
დასძრა.

კოკისპირულად სწვიმს.

ორთვალა მიჰქრის...

ორთვალას ბორბალი გამალებით ბრუნავს და თანდათან ემსგავსება მატა-  
რებლის ბორბლის გამოხატულებას.

ორთვალის ხმაურიც თანდათან გადადის მატარებლის ხმაურში.

სწვიმს...

ბერასთან ფარანი კიაფობს — მარო აცილებს მატარებელს.

სადარაჯოს ოთახში, ფანჯარასთან მიდგმულ ტაბატზე მოსულიერებულ  
წითელარმიელი პაპიროსს ეწევა. ეტყობა, შეხვეული მკლავი ძლიერ სტკივა.

სასთუმალთან მოხუცი უზის.

ოთახს ანათებს კედლის ლამფა...

— ჩემს ბედათ ჩამოიარეთ, თორემ ამ ღამეში ეინ  
იცის რა დამემართებოდა..

სოჭვა წითელარმიელმა და ოთახი შეათვალიერა.  
 აკეცილ ფარდის იქით მაროს სწოლი მოსჩანს...  
 კედელზე რამდენიმე სურათი ჰკიდია...  
 წითელარმიელმა სურათებზე შეაჩერა თვალი...



— ქვეყანა დიდია, შვილო! გზაზე კაცი არ დაი-  
 ლევა...

მიუგო მოხუცმა.

და მარომაც კარი შემოაღო, — რძით სავსე ჭიქა შემოიტანა.

მოხუცი მაშინვე წამოდგა და რძალს მიახარა:

— ეხლა აღარა უჭირს-რა! კაცი რომ ციდან გად-  
 მოხტება და მიწამდე სული დაჰყვება, მემრე იმა-  
 რაღა მოჰკლავს!

მარომ რძე სკამზე დაუდგა წითელარმიელს...

— ძალიან გაწუხებთ?

— ამ ტკბილმა მოხუცმა ტკივილიც დამაფიწყა...

ღიმილით მიუგო წითელარმიელმა, მარცხენა ხელით ჭიქა აიღო, მაგრამ  
 შეინძრა თუ-არა, დაშავებული მკლავი ეტკინა და ისევ ბალიშზე მიესვენა...

— მე დაგაღვივებთ!

მარომ ჭიქა პირთან მიუტანა...

წითელარმიელმა ცოტა მოსვა.

გარეთ ქარი ზუზუნებს...

— როგორ ერთბაშად შეიცვალა ამინდი! ღამის  
 საცდელი გადმოხტომა მჭონდა! ქარმა ტყისაკენ  
 წამიღო. ეს კი მახსოვს, ხეებს რომ შევეხეთქე...  
 მერე აღარაფერი...

— თქვე კაი კაცებო და, ამოდენა დედამიწაზე აღ-  
 გილი დაიღია რომ ცაში გადასახლდით!

ნიშნის მიგებით უთხრა მოხუცმა.

— მტერს მიწაზედაც უნდა დავხვდეთ და ცა-  
 შიაც...

ჩაერია მარო.

— მამ ჩემი ბიჭიც უნდა გადმოახტუნონ?

იკითხა მოხუცმა.

— შენი ბიჭიც ჯარშია?

დაინტერესდა წითელარმიელი.

— განა მარტო ჩემი?! მთელი ქვეყნისა...

შორიდან მატარებლის კივილი მოისმა. მარო წამოდგა, კუთხეში მიდგმუ-  
 ლი ანთებული ფარანი აიღო და გარეთ გავიდა.

კივილი განმეორდა.

— აგე... ხედავ! სულ ისინი მიდიან! თითო ოჯა-  
 ხიდან სამ-სამი კაცი გამოდის... დედას უტირებენ  
 ი გერმანიას!

გადიდგულდა მოხუცი.

— იცოცხლე, ხალხი ბევრია, თუ მატარებლები  
 გვეყო!..

—მატარებლებიო... აბა ყური დაუვდე! ამაღამ არ დაგაძინებენ, იმდენი ჩაივლის...  
ოთახში მკაფიოდ ისმის ბორბლების მწყობრი ცემა ლტოლნიერებისას...

—წუხანდელს აქეთ სულ აგრე მიდიან...

სმენადქცეულ წითელარმიელს მოხუცის სიტყვები არც-კი გაუგონია... თითქოს რაღაც ენიშნა, — თვალეებში ახალი სხივი ჩაუდგა.

მატარებლის ხმაური მისწყდა...

მარო ოთახში დაბრუნდა და თითქოს უხლა მოაგონდაო, უცმაყოფილოდ მი-მართა მოხუცს...

—მამავ, წვიმამ გადაილო, ექიმს უნდა დავეძახოთ!

—ეხლავე გამოვიყვან ცხენსა...

აჩქარდა მოხუცი.

წითელარმიელს მოუხვეწრობა დაეტყო, მოხუცი შეაჩერა... და თითქოს ამ საბაბს ელოდაო, აჩქარებით წარმოსთქვა:

—ჩემთვის?! ამ შუალამისას ბერეკაცს რატომ აწუხებთ! თქვენ მომეშველეთ და ეხლავე ჩემი რადიო-აპარატით ჩემს ნაწილს დავეუკავშირდები...

სკამზე დადებულ ჩანთაზე ანიშნა:

—გამიხსენით, ვეთაყვა!

მოხუცი შესდგა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა უცხო რაღაც კოლოფს, რომელიც მარომ ჩანთიდან ამოიღო და წითელარმიელს მიაწოდა...

გორაკის თხემზე, კარავში, საველე რადიო-მიმღებთან რადისტო წითელ-არმიელები მოსკოვის სადგურს უსმენენ.

„ლაპარაკობს მოსკოვი, ლაპარაკობს მოსკოვი... მოისმინეთ საბ-ქოთა კომპოზიტორების მარშები“...

გუნდი მღერის: „Широка страна моя родная“.

პირველი რადისტო ლილინით აპყვა სიმღერას...

უცებ ლილინი შესწყვიტა და სმენად იქცა.

რადიო-აპარატში უცნობი სადგურის მანიშნებელი ხმები შეიჭრა. რადისტმა მანიშნე მისი ძებნა დაიწყო.

აპარატში მკაფიოდ მოისმა:

„მტკვარი... მტკვარი... მტკვარი...“

ქორი დაეცა რკინიგზის ხაზთან“...

ძახილი შეწყდა, რადისტო ვაფაციცებით ატრიალებს ჭახრაკს, მაგრამ აღარაფერი ისმის.

—ქორი დაეცა რკინიგზის ხაზთან...

ჩაფიქრებით გაიმეორა რადისტმა და ამხანაგს გადახედა:

—ეს რაღაც ქორია, კარგი სული არ უნდა იყოს!

ქალალღზე რაღაც დასწერა, კონვერტში ჩასდო და ამხანაგს მისცა:

—ეხლავე უფროსთან!

სადარაჯოს ოთახში რადიო-გადამცემთან მდგომი მოხუცი ღიმილით ეუბნება წითელარმიელს:

—ეს კარგი სახელი გამოუგონიათ თქვენთვის, შეილოსა! მართლაცა და ქორები ხართ!

— მამა, ეხლა მოვასვენოთ სტუმარი, მეც ცოტას წავიძინებ!

მარომ კედლის საათს შეხედა. საათი თორმეტს უჩვენებს, <sup>ერკონის</sup> <sup>გინჯლიძის</sup>  
— ოთხზე გამალვიძებ...

მოხუცმა ფარანი აიღო, თოფი გადაიკიდა და გარეთ გავიდა.

— გამალვიძეთ, თუ ხელმა შეგაწუხათ, ნუ მომერიდებით...

უთხრა ქალმა წითელარმიელს და ფარდა ჩამოუშვა.  
ღამეა.

კიანობს ფარანი, — თოფიანი მოხუცი რკინიგზის ლიანდაგს მიჰყვება.  
ღიღინებს:

„ომში წასვლა მას უხარის,  
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო“...

მოხუცის ღიღინს საათის ნელი რაკრაკი აჰყვია.

ოთახში საათის საკიდელი ქანაობს...

ისარი უახლოვდება ოთხს...

სძინავს კედლისაკენ პირშექცეულ წითელარმიელს.

სიჩუმეში მატარებლის შორეული კივილი შემოიჭრა და... წითელარმიელის  
მარცხენა მხარი ოდნავ შეირხა...

მატარებლის გუგუნე მოახლოვდა...

ვაგონების ბორბლების რიტმიულ ცემას ღრიტოზე გადაბენისას იმავე  
რიტმით აჰყვია წითელარმიელის ხელის მოძრაობა...

უბის წიგნაკის სუფთა ფურცელზე გამოჩნდა ფანქრის წვერი, რომელიც ხაზავს  
ჩხირებს ერთი-მეორეს მიყოლებით...

მატარებელმა ჩაიარა...

ხაზვა შესწყდა და ფანქრის წვერი ხაზების თვლას შეუდგა...

ჩხირების ბოლოში საერთო ჯამი გამოისახა—43 და იმეგ წამს წითელარმიელის  
ზურგს უკან რაღაც გარაჩხუნდა.

შემკრთალი წითელარმიელი სწრაფად გადმობრუნდა. იგი ძლივს იცნობა,  
ისე მოქცევია სახე შიშისაგან.

უმალვე დამშვიდდა, როდესაც ხმაურის მიზეზი გაიგო: რძიანი ქიქა კატის  
იატაკზე გადმოუგდია და გაუტეხია.

ფარდა შეირხა...

გამოიხედა მარომ.

წითელარმიელმა თავი მოიპძინარა.

მარომ მძინარე სტუმარს თვალი შეავლო და ფეხაკრეფით ტახტისაკენ წავიდა.

იატაკზე დაღვრილ რძეს კატა ფეხით მოაცილა... წითელარმიელს ფრთხილად  
შეახო შუბლზე მზრუნველი ხელი და საწოლის თავზე ჩამოკიდებულ სურათს  
მიაჩერდა... ეს შაქროს სურათია. ცოტა უფრო ზემოთ ამხანაგ სტალინის  
ახალგაზრდობის სურათი მოსჩანს...

მარომ ალერსიანად დახედა მძინარეს და შეხვეულ მკლავზე საბანი წაახურა.

მერე წითელარმიელის ტალახიანი ხალათი აიღო, სკამზე რომ იყო გადადებული, და გარეთ გავიდა...

თენდება.

ეზოში მოხუცი შეეგება.

წიგნი  
ნიკოლოზი

— ჩემო რძალო, ეს რა ნახა წუხელ ჩემმა თვალებმა! კაცი ამ გზაზე დადებრდი და ამოდენა მატარებელი ჯერ არ გამიცვილებია! ქრისტიანო, ორმოცდასამი ვაგონი დავთვალე, ორმოცდასამი, მაშა!

— ვინ იცის, იქნებ ჩემი შაქროც მაგ მატარებელმა წაიყვანა!

ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ქალმა... იქვე, ფანჯრის პირდაპირ, ონკანთან მიღგმულ ტაშტში ხალათის რეცხვა დაიწყო.

„მტკვარი... მტკვარი...“

მოესმა მაროს ფანჯრიდან.

ყური მიუგდო.

„მტკვარი... ქორი დაეცა რკინიგზის ხაზთან... ორმოცდასამი... ორმოცდასამი...“

მაროს სახეზე წამიერი გაოცება აღიბეჭდა და თითქოს რაღაცას იხსენებო, თათბისკენ მიმავალ მოხუცს გახედა.

მერე გაიმართა და...

საწოლზე წამოძვდარი წითელარმიელის თვალებს მაროს აღმაცერი მზერა შეატყდა.

წითელარმიელი შეცბა, მაგრამ წამსვე მოისაზრა:

— ხედავთ, როგორ დაიგვიანეს ჩვენებმა! ეხლა მეორედ გამოვიძახე...

— ჩელუსკინელები ყინულებში იპოვნეს და თქვენ აქ ვერ მოგაგნეს?!

არც-თუ გაკვირვებით, არც-თუ დაცინვით მიუგო მარომ.

— სხვისი ჭირი—ღობეს ჩხირიო, არ გაგიგონიათ?

გულშია წითელარმიელმა და უმაღვე შეატყო, მაროს მისი პასუხი რატომღაც არ მოეწონა.

ფანჯარას მოადგა, ქალს გამომცდელი თვალი შეავლო და ლილინი დაიწყო.

„დაბრუნება და შინ მოსვლა,

ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“!..

— ცოლი გყავთ?

შეეკითხა რეცხვაში გართული მარო.

— ჯარისკაცს ცოლი რა ოხრად უნდა! მოკლავენ და სხვას დარჩება...

თითქოს იხუმრა წითელარმიელმა და ქალის თვალებში ახლაც უკმაყოფილება შენიშნა.

მარომ გარეცხილი ხალათი მაჯაზე გადაიხვია და გულმოსულად გასწურა. ტყიან შარაზე, ნაცნობ ბოგირთან შეიარაღებული წითელარმიელები გამოვიდნენ.



გულდასმით შეათვალიერეს ახლო-მახლო ბილიკები, დაბურული კაკები და ისევ ტყეს მიჰფარდნენ.

სადრაჯოს ოთახში, ტახტზე სძინავს ღამენათვე მოხუც. ეპიქონუსი მარომ მაგიდაზე ხალათი გაფინა და ფანჯრის რაფაზე შედგმული ჩუქჩას მულო შეუბერა.

წითელარმიელმა რადიო-აპარატი ჩანთაში ჩასდო, მერე მაროს მიუახლოვდა და ქარბი თავაზიანობით უთხრა:

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ ამდენი სიკეთე!

— როგორ გეკადრებათ, მეც წითელარმიელის ცოლი ვარ! ჩემს ქმარსაც ვინმე გადაუხდის სამაგიეროს...

ასეთი ქარბი, თითქოს ძალდატანებული თავაზიანობით მიუგო ქალმა და ხალათის დაუთოვებას შეუდგა.

— ეს არის თქვენი ქმარი?

და წითელარმიელმა სურათზე მიუთითა.

— ეგ არის, დიახ!

— ესა?

წითელარმიელმა ეხლა მეორე სურათზე გადაიტანა თვალი.

მარომ თავი აიღო და... სახტად დარჩა.

ზარდაცემულივით გახედა ზურგშექცეულ წითელარმიელს.

წითელარმიელი მისჩერებია ახალგაზრდა სტალინის სურათს...

მარომ თვალი შეავლო სურათზე შებლზე ჩამოშლილ ქოჩორს, დიდიხნის უპარსავ სახეს, კისერზე მოხვეულ ჭრელ კაშნეს... და ქალს გაავებულ სახეზე ეტყობა, რომ იგი მიხვდა, რა კაციც იყო მისი სტუმარი.

და როდესაც პასუხის მომლოდინე „წითელარმიელმა“ მისკენ მოიხედა, მარო თავს მოერიდა და ცბიერი ღიმილით მიაგება.

— ეს...

ოდნავ შეეყოყმანდა:

— ეს მამა არის... მისი ახალგაზრდობის სურათია...

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ ორთქლმავლის კივილი მოისმა. ამ კივილმა მაროს მხნეობა შეჰმატა. დაძაბული სახე უცაბედმა აზრმა დაუწყნარა. იგი უფრო დატკბა...

სანიშნო ბაირალი სიცილით ხელში მიახეჩა „წითელარმიელს“.

— ამით გამიწიეთ პირველი სამსახური... მატარებელი გამიცილეთ... მანამდე მეც მოვათავებ...

და უთო სწრაფად გაუსვა ხალათს.

„წითელარმიელს“ მისი თხოვნა ჭკუაში დაუჯდა... ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

მარომ „წითელარმიელს“ თვალი მიადევნა და ფეთიანებით მიიჭრა მძინარე მოხუცთან:

— მამა... მამა...

მოხუცი გაოგნებული წამოჯდა ტახტზე.

ტყიან აღმართზე მძიმედ მოქშინავს მატარებელი.

სივინდებში ფრთხილად მიიპარება მოხუცი...

მატარებელი გამოვიდა გვირაბიდან...

„წითელარმიელი“ ბაირალით ხელში აცილებს მატარებელს...  
მიგრიალებენ ვაგონები:

— „ერთი... ორი... სამი... ოთხი...“

ჩურჩულით სთვლის „წითელარმიელი“.

ვაგონების გრიალში მკაფიოდ შეიჭრა ძველი ლაშქრული სიმღერა.

„ომში წასვლა მას უხარის,

ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო“...

მიპქრიან ღია ბაქნები, დატვირთული სხვადასხვა საომარი საჭურველით.

— ორმოცი... ერთი... ორი... სამი...

მიპქრიან ვაგონები, იარაღში ჩამჯდარი მეომრებით...

— ხუთი... ექვსი... შვიდი...

სიმღერა თანდათან ძლიერდება და შეძრწუნებულ „წითელარმიელს“ პირი ეკუმება... იგი გაშტერებული შესცქერის ძლევაშოსილი წითელი არმიის დაუსრულებელ ეშელონს...

სადარაჯო ოთახს კვამლის თხელი ბადე ეფინება,—მაგიდაზე მიტოვებულ უთოს ხალათი ამოუწვავს.

ჩაიქროლა უკანასკნელმა ვაგონმა...

და მოპირდაპირე ბერადან მოხუცმა ჩახმახიანი თოფი მოუღირა „წითელარმიელს“.

ელდანაცემმა ჯაშუშმა მოწყვეტილი ხელები ძლივს ასწია მაღლა...

და უმაღლვე ზურგიდან ჯაშუშს მაჯაში ვიღაც მისწვდა... ბაირალი გამოსტაცა...

ჯაშუშში მოტრიალდა...

მარომ ხელი მოიჭნია და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ჯაშუშს სილა გააწნა.

ჯაშუშმა განძრევა ვერ მოასწრო, რომ თოფმომარჯვებულ წითელარმიელთა ზისტების რკალი შემოერტყა.

გრგვინავს სიმღერა:

„ომში წასვლა მას უხარის,

ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო!

კონსტანტინე გამსახურდია

## ღაკით აღაჟენებელი

კარი პირველი

... „პოე ბრაჰმა, სამყაროს გამრიგვე,  
ღამეზე ადრე მოვიდა ეს ღამე.“

X

### გამარჩხული სხასლე<sup>1)</sup>

სააღდგომოდ დიდი სამზადისი ჰქონდათ გეგუთის სასახლეში. კარზე მომ-  
დგარმა დღესასწაულმა შეარიგა უმზრახნი.

მოდლოდნენ მძღვენენი ბედიიდან, ჰყონდიდიდან, გელათიდან, აწყვერიდან  
და ტაოსკარიდან.

საერისთაოდან ჩამოსულთა ცხენებს ველარ იტევდნენ თავლები.

უამრავი ხეასტავი დაიკლა. მარიამ დედოფალი და ბიზანტიელი სტუმრები  
აღარსად სჩანდნენ.

გიორგი მეფე საგონებელში ჩაეარდა: შეე ზღვასაც გადაუვლიდაო, ალბათ,  
ქარბორბალა გასული კვირისა.

არც წითელი პარასკევის ჟამნობის, არც გარდამოხსნის დასასწრებლად  
წასულა გიორგი მეფე ქუთათისს, არც მწუბრი მოუსმენია ბაგრატის ტაძარში.

სამზრობამდის უცადეს ბიზანტიელ სტუმრებს გეგუთში შაბათს, ბოლოს  
გაემგზავრნენ მეფე და უფლისწული სახლეულითა და ტაძრეულითურთ  
ქუთათისს.

ნიანია ბაგურიანსა და აზნაურ მორკენეველს ბედუნური კვიციები მიუბოძა  
სააღდგომოდ უფლისწულმა, თავათ ქუჯაი შეაკაზმინა თურქყოფილი.

გზას დაადგნენ თუ არა, შერგილ ლიბარტიანი და გიორგი ჰყონდიდელი  
შემოეგებათ ეგრისელი აზნაურებითურთ.

აღდგომას ბაგრატის ტაძარში უნდა ეწირა ქუთათელს, ცხრა ეპისკოპოსი  
ჰყავდა თანამწირველად წვეული.

ბიზანტიის კეისრების კარზე გაზრდილს ძლიერ უყვარდა მხარაის ბისონის  
ომფორებით მორთულ ეპისკოპოსების პათეთიური ლილინი, სააღდგომო ლი-  
ტანიები ეკლესიის გარშემო. ამიტომაც უნდოდა თან წაჰყოლოდა ქუთათისს  
მეფეს.

არა ჰქნა გიორგიმ.

<sup>1)</sup> იხ. „მნათობი“, № 5.

როგორ იქნება, შენც რომ სასახლიდან წახვიდე, ერთიც ვნახოთ, მოულოდნელად გვეწვიენ სტუმრები, ვინღა დაუხვდებაო გეგუთმე <sup>მეფე ულუკე</sup> ეამებოდა მახარაის, როცა მას კაცად ჩასთვლიდნენ, ჩაეფარებნენ <sup>ქუჩა</sup> ქუჩაში, ამიტომაც ხელი აიღო ქუთათისს წასვლაზე და ხალისიანად დარჩა გეგუთში. მწუხრის რეკვა მოიტანა თუ არა სალამოს ნიაემა, ანაზღად გაუფუჭდა გუნება. მრავალი აღდგომა მოაგონდა, სვებედნიერად გატარებულნი...

ყველას ჩრდილავდა უკანასკნელი, კონსტანტინეპოლში, კეისრის კარზე. იმ ღამეს დიდხანს უცდიდნენ დიდებულნი მანგაერის სასახლეში რომანოზ დიოგენსა და ევდოკიას.

ღელავდა იბერიელი სპარაზენი, როცა დედოფალი შემოვიდა, აელვარდნენ ლაღები მის ლორზე, მარმარის იატაკზე დაემხვნენ კუროპალატები, პრეპოზიტები და დომესტიკები.

„პოლიხრონიონ“ შეპალაღდეს იმპერატორსა და მის მეუღლეს.

მერმე დაიწყო სინკლიტის ცერემონიალი სგლა კანდიდატების და ესკუვიტების პალატებზე გზავალით, ხალკიდან აია სოფიას ტაძრისაკენ.

იდგა მოოქროვილი, თორით მორთული იბერიელი სპარაზენი ზეზის სკარამანგიან რაინდებს შორის და შეფარვით უქვერტდა ევდოკიას სათნოდ ზეაპყრობილ, მშვენიერ ხელებს, რომელიც წინა ღამეს ყელზე ჰქონდა შემოქლობილი გვინიკეას ოქროს საწოლზე მონებიერე მახარაის.

ხორალები გალობდნენ:

„Cum crucifixus est sepultus et tertia die resurrexit“...

ეს იყო უკანასკნელი ბედნიერი აღდგომა მახარაის ბობოქარ ცხოვრებაში. რისხვით მობრუნდა ცარგვალი მის უბედურ თავზე.

მიდიოდა ცაცხვების ზეივანში მახარაი, ვასაკების ხმა მოესმოდა რაიონის პირიდან, ისეთი ერთობლივი და მოსაწყენი, კიდემდის აევსო ჭმუნვისაგან სული.

გოლიათური მუხების ჩრდილები წვებოდნენ ციხის ეზოში.

კვამლისფერი ღრუბლები მიიჩქაროდნენ დასავლეთისაკენ, წითელ წამწამებს აპარპალებდა ცისკიდურზე მზე.

აუტანელი ეჩვენა მარტოსულს აღდგომა ღამის გატარება გეგუთში, ხელშინაურთა შორის.

მოისაზრა: შუალამედის მოვითავებ თადარიგს, ნაშუალამევეს ვინღა მოვა, მაინც მოვესწრებო ქუთათისში წირვას.

ცხენს მოვიკითხავო, ასე იფიქრა, რადგან რუსთავეს შემდეგ კოკლობდა იგი.

ციხის გაღავანს გადაღმა იყო თავლები. ალაყაფის კარებთან წამოუთარა ხნემ.

კრუნჩხვა შეიცნო სხეულში. ვანზე წაუვიდა ნაბიჯი, ტანაჯორივით დააბზრილა უცნაურმა ძალამ და მიწაზე დაცემა მოენატრა გარღვეულს. მერემეთუხუცესმა მოუსწრო. იგი ყველისციხიდან გადმოეყვანათ წინა დლით, არც მახარაის იცნობდა, არც თუ ბნელიანი ენახა ოდესმე.

ყვირილი მორთო მერემეთუხუცესმა.

მისრატულნი <sup>1)</sup> მოსცივიდნენ, ზელები გაუკრეს დუფმორეულს, საფეთქლები დაუზილეს, ასხურეს წყალი. სულ მცირე ხანში მოსულეირდა მახარაი, ქუთათისს წასვლა არც უხსენებია, სასახლეში მობრუნდა ისევ.

<sup>1)</sup> მისრატულნი — საჯინბოს მოხელე.



ბინდისას ჩვეულებრივად უკან დასდევდა მანდატურთა.

„ეგ ცოცხი დაგიქერია, ბერიკაცო, ხელში, ცოცხი უკაცოდ!“

უყვირის მახარაი ფარეშოუხუცესს.

„შენ, ჰეჲ, თავკობალავ, სულ რომ ენას ატარტალებ, ერთხელ მაინც გაანძრე ხელი“.

მისძახის ციცხეთუხუცესს.

ჭირისდღესავით სძავდათ მანდატურებს მახარაი, სამაგიეროდ ყმებსა და მონებს უყვარდათ იგი. ებრაელებოდა მდაბიორნი, მდაბიორისავე დიაცის ნაშვირს.

ეცოდებოდა მუდამ სამზარეულოში, სახაბაზოში, სახამლეში მოჭირნახულე ყმანი. ხშირად ესაუბრებოდა, ელაზღანდარებოდა მათ.

ყასაბს გაეხუმრა, პირუტყვის სისხლში ამოგანგლულს:

„სულტან აღფ-არსლანს დამგვანებხარ, ღეთისავარ“.

უაზროდ იჯღანება ყასაბი.

„როცა ანისი აიღო აღფ-არსლანმა, ათი ათასი სომეხი დაახოცვინა ერთ ღღეს, ქრისტიანების სისხლით გაავსებინა აუზი, სიამოვნებით იბანაყა შიგ“.

„კიდევ კარგი, სულტანს რომ ვგვანებეიარ და არა მონას, ბატონო“.

ლულულულებს მონაყოფილი ღეთისავარ.

დასატურისების შემდეგ ხორცს არა სკამდა მახარაი, ამიტომაც გულარეული შესცქეროდა კანხებზე დაკიდულ, გატყავულ ირმებს, გამომშინგულ ხბოებს, ოთხში ამოყვანილ თხებს. ლილაში ამოვლებულს წააგავდა ხეასტაგის ხორცი.

მწკრივად ელაგენ დაზგებზე ხარების, ვერძების, მოზერების თავები.

გამოუთქმელი ჭმუნვა გამოსჭვივოდა ლილარჩენილ თვალების ბინდისაფერ მზერიდან.

„როგორი საშინელია ადამიანი, ღეთისავარ! ამდენი ხეასტაგი დაგახოცინეს, ხვალ სუფრას მოუსხდებიან ქრისტეს სახელით მოქაღული ქრისტიანენი და შესანსლავენ ყველაფერს“.

„შესანსლავენ და მერმე როგორ! ძვლებსაც გამოხრავენ ჩვენი ბიჭები“.

ასიოდე ფრთა ქათამს საჩიხეში იქცევდნენ საყენკით.

ამასობაში მზარეულები დაეროდნენ, თავს წააცლიდნენ, გადაისროდნენ ფრინველებს.

გაცხარებული კენკავდნენ ცოცხალნი მარცვლებს.

თავწაჭრილნი ცეკვავდნენ სილაში, ხორხოცებდნენ ფრთების ბარტყუნისაგან აღტყინებული მამლები, კისერს წაიგძელებდნენ, სამიჯნუროდ წაეტანებოდნენ სიკვდილის ჭანგებში მოფრთხილვად დედლებს.

უხამსოდ იჯღანებოდნენ მეჭათშენი, უწმაწურ სიტყვებს რომავდნენ მახარაის ვასაგონად, რადგან იცოდნენ, ბილწსიტყვაობა უყვარდა საქურისს. მუდამ სათიბებში მომიჯნურე გოგო-ბიჭებს უჭკრეტდა მახარაი იღუმალ, უხამს შაირებს ათქმევიანებდა მონებს.

ახლა სახაბაზოებს მიაშურა. ერთბაშად თვალი წაატანა: უცნობი მხედარი ჭენებით მოადგა პირველ გოდოლს ციხისას. ჭყონდიდელის წარმოგზავნილი იჭნებაო, ასე იფიქრა.

ცაცხვის ქვეშ იდგა მტვერში ამოსვრილი მალემსრბოლი, სახელოთი იწმენდა შუბლიდან ოფლს.

ეზოთუხუცესს ცხვირთან მიეტანა ბერძნულად ნაწერი ეტრატი, ძლივს მარცვლავდა სიტყვებს. იუწყებოდა მწიგნობართუხუცესი მარიაკეცედედოფლისა: ტრაპიზონში დიდხანს ვუცადეთ ქვენა ქარს. ხუფთამდელი მღვდელს მღვდელწიეთ, დაიქანცაო დედოფალი ფრიად.

ნაკვირაცხოვლევს გამოვალთო ხუფთიდან. დღესასწაულებს ულოცავდა ძმებსა და რძალს მარიამ. პირთაკოცნას უთვლიდა უფლისწულს, მესურებო პატარძლის ნახვა. დიდად მიქესო რუსულადანი მცხეთელმა ბერებმა.

არ მოეწონა მახარაის ეს ამბავი. ასე ივარაუდა: სადაცაა ჩამოვა მარიამ, გამხნვედებიან რუსულანის თანამდგომნი გეგუთში, სწყველიდა მცხეთელ ბერებს, ჭრისტეს საფლავზე სალოცავად იერუსალიმს წასულთა.

ეტრატი დაგრაგნა და ეუბნება ეზოთუხუცესს:

„ხომ ვაფრთხილებდი სტეფანოზ მზარეულთუხუცესს წელან, !ნუ დახოცავთ მეთქი ამდენ ხვასტავს უსაზნოდ?“

სამასიოდე აზნაური და ცხრა ეპისკოპოსი ან როგორ მოერევა ამდენ ხორაგეულს?“

„აკი ღიპარტიანიც ჩამოსულა აზნაურებითურთ, ბატონო, ურბნელი ეპისკოპოსიცა თავისი ამალით?“

შელამებამდის უკან დასდევდა მახარაი: ციხეთუხუცესს, ფარგშეთუხუცესს და მზარეულთუხუცესს, უტატანებდა მანდატურთა:

„იჩქარეთ, იჩქარეთ, უთენია მობრძანდება პატრონი, სუფრა გაშლილი უნდა დაუხვდეს სტუმრებს“.



სასანთლეები ანთეს სასახლეში. როცა საშზადისი მოთავდა და თვალის მოსატყუებლად წამოწვენენ მანდატურნი და ხელშინაურნი მცირე ხნით, კიდევ ერთხელ ჩამოურა მახარაიმ მარანს, საშზადებსა და სახაბაზოებს. პირქვე ეყარნენ მიწაზე გამოთილი ყმები, მუხებისქვეშ ანთებულ კოკონებთან ჯერ კიდევ ისხდნენ ძილნასვამი მზარეულები, ზანტად ატრიალებდნენ შამფურებზე წამოგებულ დეკეულებს.

ტყიციანებდა ღვეღვზე დაღვრილი ცხიმი. სულწასული ბიჭები ციქნიდნენ ნაცეცხლარ ხორცს. მაღიანად ილუკემბოდნენ ბნელში.

თვალი შეასწრო მახარაიმ: მზარეულთავანს ერთს გოჭის კანჭი გაერქო პირში.

„გაგისხნილებია, თემყევი!“

ეუბნება იგი.

ძვალის გადაგდება მოასწრო მზარეულმა, პირდაფუფქული აბლუკუნდა პელშავი.

„ენაც ხომ არ გადაყლაპე, თემყევი?“

ეკითხება ღიმილით მახარაი.

„მაგას სატანა ჩაუსახლდა, ბატონიშვილო, გვამში, ამიტომაც წაერთონა“.

იხუმრა ღვთისავარმა.

„არაფერია, შვილო, არა პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით ამომავალი“.

ანუგეშა მახარაიმ მონა.

ბოლოს თავითაც დაქანცულობა შეიცნო მახარაიმ. ბაგრატიონებს ღვრბაზში წამოეწევიო მცირეს.

კუთხეებში სასანთლეები ენთო, ხატების წინ ბეუტავდენს ზეზის კატრუქები.

იწვა მახარაი პირადმა, შესცქეროდა სამზრეთის კედელზე დახატულ ფრესკოს ბაგრატ კუროპალატისას.

მოოქროვილი თორი ზედ ეცვა ცხენოსან მეფეს. დიდოსტატურად გამოეცა მხატვარს ულაცი ქუჯაი. გუშინდელ დღესავეთ ახსოვს მახარაის ამ სურათის დახატვა.

კედელზე გამომკრთალი აჩრდილი მამისა უჩვეულო სასოებას ჰგვრიდა მარტოსულს.

იმდენი სიკოცხლე ჩაეთქვა სურათისათვის ხელოვანს, გასაუბრება მოუნდებოდა მაცქერალს. სასანთლეების შუქზე ვარვარებდა საღმასურის თორნი და წითელი წაღები მხედრისა. აბრეშუმის თეთრ ქლამიდზე გარსმოვლებული არშიები ზეზისა.

თავკისერი წაეგრძელებინა ქუჯაის, ფაფარს უფორიაქებდა ქარი, ნესტოები გაგანიერებოდა, გონივრული, დიდრონი თვალებით შესცქეროდა ქარაფებზე აღმართულ ციხეს, ხეიხინებსო თითქოს ომს მოწყურვებული.

კედლისკენ მიბრუნდა მახარაი, თვლემდა უღიმღამოდ, თანაც ფიქრობდა გეგუთის სასახლის აღრულ საქმეთა გამო.

როგორი სირცხვილი აქამა მეფე გიორგიმ ტახტსა და ლაშქარს ვეყინში! ჯეროვანად გამოიყენებდნენ ამ ამბავს ბაგრატოვანთა მტერმოყვარენი, ალბათ.

თრიალეთელი აზნაურების უტიფარი ჩეენება მოაგონდა. აქამდის თუ მსტოვარების მიერ ყურმოკრული ამბები იკოდნენ გეგუთში, ახლა ურყევი ჩვენებანი ხელში ჰქონდა მეფეს.

სტუმრად მიწვეულ უფლისწულსა და ქყონდიდელს მუხანათურად მოკვლას უპირებდა ლიპარიტ.

ვის შეაწედა ასეთ თავხედობას ბაგრატ კუროპალატი?!

სულ სხვა რიგად მოექცა იგი მოლაღატე ლიპარიტ დიდს. ლოწობანი აილო, ლიპარიტი გააქცია და იმავე დღეს ნამუსი ახადა ერისთავის მეუღლეს მზისთვალას.

ბრაზი წაეკიდა მახარაის.

მტკიცედ გადასწვვიტა: კვირაცხოვლობა გაივლის თუ არა, ურჩიოს უფლისწულს, დაუყოვნებლივ შემოეწყოს კლდეკარს, ლიპარიტს თვალები დაუბნელოს, რატი ძელზე გასვას, რუსულანი მონაზვნად აღკვეცოს და შეირთოს დედისიმედი.

მხოლოდ ამ გზით მოედებოდა ბოლო ბალუაშ-ორბელიანთა დაუცხრომელ განდგომას.

ხირომანტების მისნობა ურყევად სჯეროდა მახარაის. თმახუჭუქა აცინგანის ნათქვამი მოაგონდა.

თრიალეთის ციხეებს თუ აღიხეამდა უფლისწული, მტკერის მარჯვენა ნაპირიც სამეფო გახდებოდა, კახეთ-ჰერეთსაც იოლად შემოიმტკიცებდა შემდგომ ამისა დავითი, ტფილისის ამირა რკალში მოემწყვედოდა და აღსრულებოდა ბაგრატოვანთა დიდი ხნის ნატვრა.

მესაწოლე ბერი უჭრუაი საცეცხლურს აელარუნებდა, უფლისწულის დარბაზში აკმევდა, ალოეს სუნი მისწვდა მახარაის ყნოსვას.  
წამოდგა.

ერქენულნი  
ხიზლიქოსუქა

უღიშლამოდ ანათებდა მთვარე ქვიშისფერ ღრუბლების ბლონდიდან.

ფოლადისებრი ლაპლაპი გადასდიოდა ზედ სარკმლამდის მოღწეულ ფურკლოვანს სუროსას. გოდოლებიდან მოჰქონდა ნიავს მეციხოვნეთა ერთობლივი ვალობა:

„ჭრისტე აღსდგა მკედრეთით, სიკედილითა სიკედილისა“.

გაათრეოლა მახარაის.

სხეული დაებრუნა, ისევ წამოწვა.

თავისი ბედნიერი სიყრმე მოაგონდა, გვეგუთის სასახლეში გატარებული.

იწვა თავდაღმა, უნებლიე ცრემლები მოყონავდნენ ლაწვებზე და ნელა, სულ ნელა ლილინებდა თავათაც, ხმას აყოლებდა სპათა ვალობას.

უფლისწულის დარბაზში ბერი უჭრუაი ხმამალლა კითხულობდა:

„პირველითაგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღეთისა თანა... ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა...“

სამოციოდე აღდგომის მანძილზე მოუსმენია მას ეს ადგილი და მხოლოდ ახლა ჩასწვდა იგი მის ცნობიერებას.

დაფიქრდა:

„ნუთუ მართლაც სიტყვა იყო პირველითაგანვე?..“

მთელი სიციოცხლე ასე სჯეროდა მას, რომ პირველითაგანვე იყო ხრმალი... ხრმალს შესწირა მან თავისი სიჭაბუკე და სივაჟაკე...

უცნაური რყევა შეიცნო. ასე ეგონა: წამომიარაო ხელმეორედ ზნემ.

ისევ შეტოცდა საწოლი.

შეტორტმანდა მის გასწვრივ მდგარი სასანთლე. ბლუჟუნა კაცის წამწამებსავეთ აპარპალდა ნიშებში დადგმულ კელაპტრების აღი.

მგლის ლეკვების ერთობლივი წყავწყავი შემოესმა. ციხის ეზოში აყმუვლდა მარტოხელა ძაღლი.

თითქოს ნიშანს უცდიდნო ბნელში, ახლა რამდენიმე აყმუვლდა ზედიზედ.

წამოდგა მახარაი, სარკმიდან გაიხედა.

სუროს ფოთლებთან იღუმალად ჩურჩულებდა ბნელზე უმრუმესი ღამე, ციხის გარშემო დავანებული უჩუმრად.

აღარსად სჩანდა მთვარე.

ვასაკების ხმა მოდიოდა შორიდან.

მომეჩვენაო, გაიფიქრა მახარაიმ.

უფლისწულის დარბაზიდან ისმოდა პუტუნი ბერისა, ნელი და ქანცილეული საესებით:

„მოვედ და იხილე და ვიხილე, აპა, ცხენი მწევანე...“

შეტორტმანდა დარბაზი, საწოლიდან გადმოვიარდას დაასწრო ძველმა მხედარმა, ზეწამოიჭრა. უჭრუაის ყვირილი მოესმა.

„უჭრუაი, პაუ, უჭრუაი!“ ომაზიანად შეეხმინა დაშინებულ ბერს.

უფლისწულის დარბაზში შევარდა მახარაი: აგურის იატაკზე პირქვე დამხობილი ლოცულობდა უჭრუაი.



წამოაყენა მახარაიმ, მაშალა გადმოიღო ნიშიდან და შეიტანა აკახტახე-ბულ ხელში.

შემზარავი გუგუნი მოისმა, გაქარჩხულივით შეტორტმანდა წამოხალდა სა-სახლე.

თაჩნებიდან გადმოცვივდნენ მუზარადები, წაჭრილი თავებივით გაგორდ-ნენ მის ფერხთით. ხატები მოსწყდნენ კედლებიდან, შეელეწნენ ურთიერთს, აგურის იატაკზე დაენარცხნენ ერთბაშად.

წამოდექიო, უყვირა მაშხალიანად წაქცეულ უქრუაის, ბაგრატისეულ დარ-ბაზისაკენ წარუძღვა თავათ.

ფეხი შესდგა თუ არა, ნახა სასანთლენი წაქცეულიყვენენ, ბნელოდა ირგე-ლივ, ზღურბლს გადასცდა და ცხენის ჭიხვინი შემოესმა ანაზლად.

შიაყურა, კვლავ შემოესმა ჭიხვინი ბნელში, არა მომავედავისა, არამედ ლაშქარს მიმავალი საომარი ცხენისა.

გაოცდა მახარაი. თავლები გაღავენს გადაღმა იყო, ამ დარბაზმდის რო-გორ მოაღწიოო ცხენის ხმამ?

ტალანში გაასწრეს ორთა.

საფეთქლებთან ოფლი გამოუვიდა ომებში უშიშარ იბერიელ სპარაზენს. მთელი სხეული უთრთოდა, ეკვეთებოდა მუხლი. მკედრული ძილი დაუ-ფლებოდა მანდატურთა, მერგიეთა და მეულუფეთა.

„პარაი!“

დაიღრიალა მახარაიმ.

წამოცვივდნენ ფარეშნი, მათ არც კი უგრძენიათ მიწისძვრა მთელი დღე ნარბნთ.

რა შემოესმათ, ბაგრატისეული საომარი ცხენი სასახლეში აქიხვინდაო, წამოსცვივდნენ პერანგსამარა ყმანი.

ხუმრობსო მახარაი, ასე ეგონათ ზოგთა.

დარბაზის კარი შეაღეს, მათაც მოეჩვენა იგივე, თავიერის მტერევიტ ზე-ახტებოდნენ მიმოფანტულ ხატებსა და ჭურჭელს, ციხის ეზოსკენ გარბოდნენ დამფრთხალნი.

ერუნი სინათლე მოედო ცას.

ისევ მოისმა შემზარავი გუგუნი მიწისგულიდან. სამხრეთის გოდოლი შეჰ-ქანდა, სოკოსავით გაიპო, და ადამიანების ყვირილი მოისმა ბნელში.

გოდოლებიდან გამოცვივდნენ მეციხოვნენი, სცეს საყვირები.

უთაფეამოდ გარბოდნენ ციხისთავი, ეზოთუხუცესი და მანდატურნი.

ბლაოდა საჩიხებში ზვასტაგი, საწყალობელად ყმოდნენ მგლის ლეკვებ-ბი, ნიავს მოჰქონდა თავლებიდან ცხენების გამუღმებული ჭიხვინი.

როცა მყუდროება ჩამოვარდა ციხის ეზოში, მახარაიმ აიყოლია მეციხოვნე-ნი და სასახლეში შეუძღვა.

უკუიქცნენ მეციხოვნენიც, რადგან მათაც ენიშნათ მახარაის მტკიცება:

აქიხვინდაო ბაგრატისეული საომარი ცხენი, კედელზე დახატული ოცი წლის წინად.

ადრიან დილით ორმოციოდე თოროსანი რაინდი მოადგა გეგუთის ციხეს, შეფე და ტაძრეული ეგონა მახარაის.

პერეტელი აზნაურნი აღმოჩნდნენ: ბარამ არიშიანი და ჭავთარ ბერიძისძე-ჯერაც მათი ცხენებიც არა ჰყავდათ დაბინავებული თვევლებში... როცა ბეშქენ ჯაყელი და გვარამ ერისთავი მოვიდნენ აზნაურთა მცირე ამოღობაზე.

## XI

## კვალად ერთი უცნაური ამბავი!

... მოხედა რისხვით უფალმან ჭვეანას, მთანი მაღალნი და კლდენი სასტიკნი მყარნი სახედ მტვერისა დაიგაღნეს, ჭალაქნი და სოფელნი დაირღვეს, ეკლესიანი დაიკეს, სახლნი დაინთქეს და იქნა საფლავ მათ შინა მკვიდრთა“ - დავითის ქრონიკა.

შავად გათენდა 1089 წლის აღდგომა.

ნაწირვეს ქუთათისიდან მობრუნებულს ასიოდე მეციხოვნის გვამი დაუხედა გეგუთის ციხეში მეფეს.

ლიონისფერი დაედო სახეზე გიორგის, აღიდებულ რიონზე გადასვლისას შემცირებულს.

საწოლის დარბაზში განმარტოვდა. ლეთისმშობლის ხატის წინაშე დაემხო დედოფალი ელენე, შეევედრა: იხსენიო განსაცდელისაგან საქრისტიანო.

მთელი სასახლე აფორიაქებული იყო. არავინ იცოდა, რა მოემოქმედნათ, რადგან მიწისძვრა გრძელდებოდა იმ დღესაც.

ვაზირთა უპირველესმან ბრძანა: კარის სამლოცველოში დაესვენებინათ მეციხოვნეთა ცხედრები. ეზოსმოდევარს ეხუცა სულის მათის სალხენად.

წინალამის უძინარი, თვალებს ძლივს ნაბავდა მახარაი. ჭვედაყბა უცახცახებდა.

ათუხთუხებული ეუბნება უფლისწულსა და ნიანიას:

„ხომ გეუბნებოდით, სატანაა მეთქი ის ზანგი!“

სატანააო?!

შეშფოთდა ქუთათელი.

ისედაც სატანის ჩვენება ჰქონდა აკვიატებული მთავარ-ეპისკოპოსს იმ ეამად; საქვეყნოდ ამტკიცებდა: წითელ პარასკევს ორი ეშმაკი მოადგაო ქუთათისის ციხეს, ადამიანის ძვლებით დატვირთულ ვირს მოუძლოდნენ ფეხშიშველნი, მდაბიორის ჩოხაში მორთულნი, მეციხოვნეებს ჯვრები უჩვენებიათ, გაფრენილანო წყეულნი.

„ჩემთანაც იყო იგი ზანგი. აღზევება მოგელისო, ასე მიჭაღდა, მაშ სატანა ყოფილა? ფუძ!“

ამბობდა შეშფოთებული ქუთათელი.

„გაჩნია, როგორი აღზევება, მეუფეო, ეგებ ძელზე გასმაც<sup>1)</sup> მოგწიოს, ვინ იცის“.

ქუთათელი მთავარ-ეპისკოპოსი ჩუმჩუმად ებრძოდა აფხაზეთის კათოლიკოსს ეესტრატის. რაკი ქუთათელი მოსაფლავე იყო მეფისა, კათოლიკოსობის მიტაცებაც ეწადა თავათ. უცნაური წყევლა იცოდა ქუთათელმა. ასე ამბობდნენ: ქვაც დაირღვევაო მის მიერ დაწყველილი.

<sup>1)</sup> ძელზე გასმას ძველ საქართველოში უწოდებდნენ: სარზე დასმას, ხანაც ჯვარზე გაკერას.

ბევრი წყევლა ევსტრატე, ვერაფერი დააკლო, ახლა ლოცულობდა: ჩაიბარეო მიხრწნილებაში გადამდგარის სული, უფალო.

მუცლითმეზღაპრის ნათქვამმა დიახაც გაახარა ქუთათელის მღვდელმთავრად აღბათ, ნაღდგომევეს მაინც ამოხდებოო ევსტრატის სული, სატანა ყოფილაო ის ზანგი, შეძრწუნდა მთავარ-ეპისკოპოსი ფრიად.

გიორგი მეფეს ხურეებამ მოუარა, ამიტომაც საწოლის დარბაზში მოგროვდნენ დიდებულნი და ეპისკოპოსნი.

ახლა ბაგრატიანული საომარი ცხენის აქიხენების ამბავი ჩამოავდო მახარაიმ. მეფეს ენიშნა, განგების განჩინების მაცნედ მიიჩნია ევეცა.

„კოდვათა ჩვენთათვის განგვიკითხა უფალმან, გომორელთა მიემზავსენით. მაგ ცხენი მინიშნებული მყავდა მეცა.“

როგორც კი მთაში გარეკავდნენ შერემენი, ჭინკები უზურავდნენ ფაფარს. დიდი თურქობის ეამს, სულკურთხეული დედაჩემი მარტოკა დარჩა გველთში. მე ყველისციხეში თანა მყავდა ქუჯაი, ხოლო გველთის სასახლეში ცხენის ხატება აქიხენდა თურმე. პარაკლისები აწირიენა განსვენებულმა დედამ“.

უფლისწული და ნიანია მუნვე ისხდნენ, არისტოტელს კითხულობდნენ ისინი დამლამობით იღუმალ, სასაცილოთაც არ ყოფნიდათ ეს ყოველივე, მაგრამ გაღიმებას ერიდებოდნენ.

ქუონდიდელი შემობრძანდა, კუთხეში დაჯდა მდუმარედ, მოუსვენრად ატრიალდებდა კრიალოსანს ხელიდან ხელში, ფერგამკრთალი, სახენაცვალი სრულიად.

„მომაკვდავი ქუჯაის ხმა საეჭვოდ მივიჩნიე წაღვლისთავში მეცა“.

მოკრძალებულად ჩააკერა საუბარში დედოფალმა ელენემ სიტყვა.

„ცხოველი მისანია, ამბობდა მახარაი, პირუტყვითა და ვარსკვლავითა მეშვეობით გვანიშნებს ხოლმე მოსალოდნელ სიმძიმოლს განგება, მაგრამ ჩვენ ყოფნი ვართ კაცნი ზენარული წამყოფის მიმართ“.

გიორგი მეფემ ამოიოხრა, სარკმლიდან შემოსულ უღიმღამო სინათლეს გაუსწორა თვალი.

სდუმდნენ თავჩაქინდრულნი დარბაისელნი, არვის გააჩნდა ნუგეშინის სიტყვა.

თავი აიღო ვაზირთა უპირველესმან, გიორგი მეფეს შეავლო მზერა და ესა სთქვა წყნარად:

„უფლის ნებას ანგელოსნი გვაუწყებენ კაცთა და არა პირუტყვნი, გინაცთომილნი“.

„მამათა ჩვენთა კოდეს და ჩვენც შეკოდებათა მათთა მოვიხვამთ“.

ამოიოხრა ქუთათელმა და თავისი მწითლრი წამწამები დააფახულა. გუნებაში იგი გულისხმობდა უწესო დიაკთა მოყვარულ ბაგრატ კუროპალატს, გიორგი მეფეს, რომელიც არ უშლიდა თავის მენადირეთ ხატის ტევრში ეშვზე ნადირობას, და აფხაზეთის კათალიკოსს.

(ამ „კოდელითა“ შორის მხოლოდ იმიტომ მოათავსა ქუთათელმა ევსტრატე, ხიზილაას სკამსო დიდ მარხეაში, თავს ამით იმართლებსო ბერიკაცი: ქვირითის ქამა სჯულისმდებელთ არ აუკრძალავთ, რადგან ჭრისტეს დროს არა სკამდნენო მას).

ბოლოს შეეშინდა ქუთათელს: ფარულ გულისხმას არ მიმიხედესო მეფე-ამიტომაც დასძინა:

„ამადაც არ უჩანს დასასრული ერისთავთა გულარძნილობას, მეფე ბატონო!

მანგლელისაგან წარმოგზავნილი ბერი მეახლა გუშინწინ, კანტონის ლიბარიტ ერისთავი ილესავსო ჩვენს წინააღმდეგ მახვილს.“

მახარაი მოეჭიდა ქუთათელის ნათქვამს. თრიალეთელი აზნაურების ჩვენებანი ახსენა.

აღშფოთებულნი იყვნენ: გვარამ, ბექის ციხის პატრონი, პერეთელი აზნაურნი: ბარამ არიშიანი და ქვეთარ ბარამისძე, ბედიელი ეპისკოპოსი და შერგილ ლიბარტიანი.

ყველანი ამ აზრს ადგნენ: ლიბარიტ ერისთავი და აღსართან კახთა მეფე თუ დროზე არ აელავმეთ, ქვემო ქართლიც გაგვეცლებო ხელიდან.

სდუმდა გიორგი ჭყონდიდელი მცირე ხანს, ბოლოს ბრძანა თავმოდრეკილად:

„ეს ყოველივე და სხვა მრავალი დარბაზის ერთა უნდა მოხსენდეს, ჩემის აზრით, მეფე ბატონო. გარდა ამისა, ისპაპანიდან მობრუნდნენ კაცი სარწმუნონი, წარგზავნილნი ჩვენს მიერ...“

დარბაზის ერთა ხსენება არ ებრიადა მეფეს.

საერთო აღშფოთებას ერთი ამბავიც ზედ დაერთო: კახთა მეფე აღსართან ისპაპანს წასულიყო, სულტან მალიქ შაჰს კარზე, ხოლო ძმისწულს მისას, კვირიკესა და ძაგან ერისთავს ციხენი წარეტაცა მეფის ერთგულ აზნაურებისა, ბარამ არიშიანისა და ქვეთარ ბარამისძისათვის, რადგან ისინი ვეყინში შევლოდნენ მეფეს.

სწორედ ამ დროს შემოვიდა მესტუმრეთუხუცესი, თაყვანისცა მეფეს და მოახსენა:

ლიბარიტ ორბელიანი და აზნაურნი გეახლნენ, დარბაზობაი ითხოვაო კლდეკარის ერისთავმან.

„კვლად ერთი უცნაური ამბავი!“

ეს უნდოდა ეთქვა მეფე გიორგის, მაგრამ თავი შეიკავა ანაზად. ვაზირთა უპირველესს მიაჩერდა, დუმილი მისი თანხმობად შეიცნო, მერმე უფლისწულს შეხედა, მდუმარედ მჯდომარეს.

ბოლოს მესტუმრეთუხუცესს მიუბრუნდა:

„ებრძანოს ხლება!“

უფლისწული აიძვრა ანაზად, ჭყონდიდელს შეავლო მზერა, ოქროკედლილ სელზე გაქვევებულს, ადგა და დასტოვა დარბაზი.

ჭყონდიდელი სასთაულთან დაუჯდა მეფეს, მცირე ხანს ესაუბრა ხმადაბლა, ბოლოს მოიბოდიშა: საქმე მაქვსო მცირეოდენი, დაეთხოვა პატრონს.

შიშის გარმა დაუბრა ქუთათელს, თავისი ომახიანი ანაგობის მიუხედავად ფრთხალი იყო ეპისკოპოსი ანტონი.

წარამარა ხელს ისვამდა მოწითაზრ წვერზე, ათრთოლებული ფიქრობდა თანაც: ვეშაგ სევანთა ერისთავზე უარეს დღეს დააყენებო ლიბარიტ ორბელიანს მეფე.

მახარაი გიორგის მიეჭრა, იგიც სასთაულთან დაუჯდა, ზედ ყურის ბიბილომდის მიუტანა ტუჩისპირა და უჩერჩულა:

„როგორ ბედავს ლიბარიტ სასახლეში გამოჩენას, ვეეო?!“

დიდრონი, სევდიანი თვალეზი დააფახულა გიორგიმ, საჩვენებელი თითი მიიტანა ბაგესთან, ანიშნა თავის ნახევარძმას: დადუმდიო.

დიდებულნი და ეპისკოპოსნი შეეშაღნენ უსიამო შეზვედროსათვის, როცა ლიპარიტ ორბელიანი და თრიალეთელი აზნაურნი შემოვიდნენ, უხერხული სიჩუმე დაეარდა დარბაზში.

ერქონულნი  
ნიგალირთუქა

ყველანი უსიტყვოდ უცდიდნენ, თუ რა მოხდებოდა.

თავათაც ახოვან ლიპარიტს თან შემოპყვა სამი აზნაური, თრიალეთის ნაძვებივით აშოლტილნი.

ტანმორჩილი მანგლელი ეპისკოპოსი ქინძის სარივით მოსჩანდა მათ შორის; გულზე ზელებდაკრეფილი უკან მოსდევდა მათ წელში მოდრეკილი კოზმან ბერი. ჩონჩხივით გამზადარ კაცს ნასხვისარივით ზედ ეკიდა საკმაოდ ბეწვაც-ლილი, ბერული ჩოხა.

უხმლოდ შემოვიდა ლიპარიტ, ხმალი და ფარი მებაჯრეს თან მოჰქონდა მის უკან, თავათაც უხმლოს. ცარიელი ქარქაშები ეკიდათ თრიალეთელ აზნაურებსაც წელზე.

„ქრისტე აღსდგა!“

სიტქვა ერისთავმა და გაულიმა მეფეს. აჩქარებული ნაბიჯით მიეჭრა, მუცელმოდრეკით ეამბორა გამოწვდილ მარჯვენას.

„ჰეშმარიტად!“

მიიღო პასუხი და წვერზე აკოცა გიორგიმ.

„ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად!“

გაიმეორეს თანადამსწრეთა.

ალერსიანად მოიკიოხა ზემდგომმა სტუმარმა სახლეულითურთ მეფე, მერმე ჭამუო გიორგიმ მესტუმრეთუხუცესს და მან მოართვა ლიპარიტს ოქროქედლილი სელი, ხოლო აზნაურები ხმაგაკმენდილნი დადგნენ ერისთავის უკან.

ჯერაც ჭაბუკს, ჭავთარ ბარამისძეს აროდეს ენახა ბალუაშ-ორბელიანი.

გაოცებული შესცქეროდა იგი თრიალეთის ერისთავს, რომელსაც სიბერეც ვერ მორეოდა.

უცნაური სათნოების იერი გადაჰკრავდა სავსებით უნაოჰო ლაწვისთავებს მისას, მორგვალეებულ წვერს, რომელსაც ჩუქურთმების დარად ზვეული კიდები ჰქონდა.

„ქუთათისს ვაპირებდი წირვაზე მოსულას, სიტქვა ლიპარიტმა, მაგრამ მტკვრის დიდროაიმ გადაგვასწრო მცხეთის ხიდზე ხუთშაბათს, ოთხახმით წამოვიყვანეთ ცხენები, ტასის კართან ძლივს მივაკვლიეთ ნაშუალამევეს ფონს.“

ახლა მიწისძვრის ამბები წამოიწყო ორბელიანმა, სკანდას ციხე დაიქცაო ჩემს თვალწინ.

ვიდრე მტკვრისა და მიწისძვრის გამო უთხრობდა გიორგი მეფეს ლიპარიტ, უფლისწულის დარბაზში ასეთი საუბარი ჰქონდათ დავითსა და ჰყონდიდელს: ჰყონდიდელი: „გავაოცა, ალბათ, უფლისწულო, ლიპარიტის სტუმრობამ, არა?“ უფლისწული — სდუმდა მცირე ხანს და მერმე ასე მიუგო: „თრიალეთის ერისთავი ისეთი კაცია, ვაზირთა უპირველესო, ბატონო, ყოველივე მოსალოდნელია მისგან.“

ჰყონდიდელი: — „შენ ეგ გინდოდა გეთქვა, კარგიცა და ავიცა, არა?“

უფლისწული: — „კარგისა, რა მოგახსენო.“

ჰყონდიდელი: — „საქმეც ეგაა, ქვეგამზედვარი სიავჭე არ განაზრახო, არამედ იმას ეცადო, სიკეთისადმი შეავუღიანო იგი.“

უფლისწული: — „უნდა გამოგიტყდეს, გიორგი ბატონო, მე ვერ ამიხსნია ამ დარბაზობის შეფარული მიზეზი.“

კონდიდელი: — „კოზმან ბერი მომიგზავნა დიდ მარხვას ქუონდიდეში, შემომითვალა: მითაყვანოს მეფემ და ვალეიარებო ჩემს დანაშაულს“.

უფლისწული: — „ეგეც კარგია, სინიღისის ქენჯნაც თუ შარხშიც მოქვსთავს. სრულად მაინც თუ აღვიარებს თავის ბრალს ლიპარიტ“.

კონდიდელი: „ჩემი ერთადერთი ბრალი ეგ არის, გამოურჩდაო რატი, ჩემდა უკითხავად მიემხროვო იგი აღსართანსა და კვირიკეს, მე თრიალეთში გიციდლით ჯარითურთ, მაგრამ თირკმლების ტყვიელმა შემიშალა ხელი. სხვა ყველაფერი მსტოვარების მოჭორილიაო“.

უფლისწული დადუმდა, ბოლოს თავი აიღო და ჰკითხა ვაზირთა უპირველესს:

„რას იუწყება ლიპარიტის ეზოსმოძღვარი ზოსიმე?“

„ზოსიმე ჩემთან იყო ვნების კვირას. უფლისწულის კლდექარში ჩამოსვლამ ნირი უცვალაო ერისთავს. რუსთავის ციხიდან გამოქცეულმა აიჩემა თურმე რატიმ: ლაშქარი გამატანე, ზურგიდან დავუვლიო უფლისწულს“.

„მერმე?“

იკითხა დავითმა.

„არა ჰქნაო ლიპარიტმა. ამასაც ამბობდა ზოსიმე: მარიამ დედოფლის ჩამოსვლას განარებული მოელისო ლიპარიტ, დამოყვრების იმედს ჯერაც არ ჰკარგავსო იგი“.

„დამოყვრებისაო?“

„არც ეგ დაუმალავს ზოსიმეს, განაგრძო კუონდიდელმა, ისპაპანიდან ვერ მოუღისო კარგი ამბები ერისთავს.“

ჩემი ცნობებიც დაემთხვენენ ზოსიმეს ნაუწყებს. ტაურკან ხათუნმა საცილოდ გაუხადა ბარქიაროკს ისპაპანის ტახტი“.

ორივენი სდუმდნენ მცირე ხანს. მახარაის ფეხის ხმა რა შემოესმა, თვალი გაუმართა კუონდიდელმა დავითს, თითქმის ჩურჩულით ეუბნება:

„უმათავერესი მაინც სხვაა, უფლისწულო, ჩვენთვის, სარწმუნო კაცნი იუწყებიან ისპაპანიდან: მუჰამედის შჯულზე შემდგარა კახთა მეფე აღსართან, მალიქ შაჰს ეთაყვანა თურმე, კახეთ-ჰერეთში ლაშქარი წარუგზავნია სულტანს.“

სწორედ ამ ჯარის თანდგომით წართვეს ციხენი არიშინასა და ბარამისძეს“. უფლისწული არ შემვრთალა, თითქოს ამასაც მოელოდაო, აუღელვებლად სთქვა:

„ახლა ყოველივე ნათელია ჩემთვის“.

კუონდიდელი წამოდგა:

„აი რა გვიყო ვეჟინმა! ჯერ კიდევ შარშან მაუწყეს ჰერეთიდან მსტოვართა: ხელახლა თავდასხმას მოელოდა აღსართან. ასე ამბობდა თურმე: უფლისწული არ შეგვაწვესო ამ სირცხვილს.“

ახლა, ასე ვგონებ, უფლისწულო ბატონო, თრიალეთის ერისთავიც თუ დადგა აღსართანის გზას, მტკვრის მარცხენა ნაპირი გამოგვეცლება ხელიდან“.



იმ საღამოს გააცივა გიორგის, ლოგინად ჩავარდა დაზაფრული მეფე. გრილი მტლები დაადო დედოფალმა ელენემ ზედიზედ. როცა სიცხე გამოუნელდა, ლიპარიტ ერისთავთან განმარტოება ისურვა.

დიდხანს საუბრობდნენ ორნი, მემამულენიც დაითხოვა დარბაზიდან მეფემ. ნაშუალამეც უფლისწული ახმობინა გიორგიმ. დავითს არ უნდოდა ამ საუბრის დასრუბა. დედოფალი ელენე და ჭყონდიდელი არ მოეშვენიერებულა. როცა უფლისწული საწოლის დარბაზში შევიდა, ლიპარიტი წამოიჭრა, გულშია, თავისი მოყვითანო კბილები მიანათა, აცალა სელზე დაჯდომა დავითს, შემდეგ ამისა სთქვა:

„ერწმუნე ჩემს პატიოსნებას, მეფე ბატონო, და შენც, უფლისწულო ჩვენო. მსტოვარები, ჩიაკაცები ამტუტებენ ქვეყანას, მე უძლური ვარ მათ მიმართ ბრძოლაში.“

როცა ყმაწვილი ვიყავი, ავიღებდი ხოლმე პაპისეულ ხმალს, გავილაშქრებდი ჩემს გუნებაში — ჯინჭრების წინააღმდეგ. უმოწყალოდ ვსხეპავდი ხმლითა, მაგრამ მაინც მკბენდნენ ტალღი წვივებზე. დამეთანხმებით, ახლა მე უკვე აღარ შემეფერება ჯინჭრებთან ომი“.

მღუმარედ შესცქეროდა უფლისწული ლიპარიტს. უქვრეტდა მის დიდრონ თვალებს. ჭერა წამწამების ჩრდილში ისე ბრწყინავდნენ ისინი, როგორც ოქროს ბუდეში ჩასმული პატიოსანი თვლები.

დიდისიშედის თვალები მოაგონდა ამ წუთში მას.

ამიტომაც მოხიბლა დავითი ლიპარიტის მზერამ.

უცნაურად მახლობელი ეჩვენა მას გულარძნილი ლიპარიტ, თითქოს სისხლისმიერი ნათესავი ყოფილიყოს ორბელიანი მისი.

და ახსენებდა თავის გუნებაში უფლისწული იმ საკვირველ გრძობას, რომელსაც წაქიდება წინ უძღვის ხშირად და ხანაც წაქიდების შემდეგ უფრო ტკბილია, ვიდრე ალერსის შემდეგ.

დინჯად, აუმღერეველად საუბრობდა ლიპარიტ. საამური, მკერდისმიერი ხმა ჰქონდა ერისთავს, თრიაქივით დამათრობელი. აძაგებდა „ჩიაკაცებსა და მოხალისე მსტოვარებს“.

მიუხვდა მეფე: ჭყონდიდელს რომ უღრენდა შეფარვით ლიპარიტ. არც გიორგის უყვარდა ჯაშუში, თუმცა კარგად იცოდა: მთელს სამეფოში, ტფილისის საამიროსა და მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებში, მისივე სახელით დაგზავნილი ჰყავდა მსტოვარნი ჭყონდიდელს.

ესენი იყვნენ მეტწილად ბერები, ერისკაცურად გადაცმულნი ხშირად, ღვინითა და თევზით მოვაჭრენი. მათ მიერ მოწოდებულ ცნობებს შეაწამებდა ხოლმე ურთიერთთან ვაზირთა უპირველესი.

„ჩემს საერისთაოში ჯერ არასოდეს მყოლია, მეფე ბატონო, მსტოვარი, განაგრძო ლიპარიტმა, რადგან კარგად ვიცი, მსტოვარი რომ გავიჩინო, მეგობარნი და თანამდგომნი ჩემნი აროდეს ინებებენ მოისყიდონ იგი, ცხადია, თავიანთი ერთგულებისა და პატიოსნების იმედით, ხოლო მტერნი ჩემნი ქრთამითა და პურმარლით იოლად მოიგებენ მსტოვართა გულს.“

მერმე ასე გამოვა, მტერს მიქებენ ისინი და მეგობრებს მიძაგებენ უთუოდ. ბოლოს ეგ მოხდება: მტერნი მომეახლებიან და თანამდგომნი შემომეცლებიან უცილოდ“.

ლიპარიტ ორბელიანი შესდგა, გიორგის გაუყარა თვალი, უფლისწულს შეხედა სახეზე, იგრძნო: მისი სიტყვები გულში ჩასწედნენ მეფეს, აუმღერეველად დასძინა:

„ეგეც უთქვამს, მოგეხსენებათ, ბრძენს: ისრებსა ჰგვანანო როგორც კეთილ-

ნი, ისე ბოროტნი სიტყვანი. უმარჯვოთაც რომ გაისროლო ისინი, ათხში ერთი მაინც მოხედება სანიშნოს.

ამიტომაც ხდება ამ ცხოვრებაში, მოგეხსენება, მეფევე ბატონის ნეტოთ უმტყნარესი ცილისწამებისაგან თუნდ უმცირესიც დარჩება ლაქა!

მსტოვარების გამო ლაპარაკით შებღალა ლიპარიტმა უფლისწულზე მოხდენილი შთაბეჭდილება. გიორგი მეფე გულფიცხი იყო, მაგრამ ბალღურად მიაშიტი ვაჟკაცო.

ამ წუთში მართლაც ირწმუნა მან: მსტოვარები აფუჭებენო ლიპარიტთან ურთიერთობას.

უფლისწულმა კარგად იცოდა: სტყუოდა ამ შემთხვევაში ლიპარიტ.

კოზმან ბერი იყო ორბელიანის უმთავრესი მსტოვარი. იგი ჟამიდან-ჟამზე გაჭრებოდა ხოლმე თრიალეთიდან.

ხან ისპაჰანში იყო, ხან ბაღდადში, ხან იერუსალიმში, ხან კონსტანტინოპოლში, მას მოჰქონდა ერისთავის სახლეულისათვის ქირმანული შალი, ბაღდადური ქსოვილი, ბიზანტიიდან ოჭრო და ვერცხლი, იერუსალიმიდან ხატები და ჯვრები, წმინდათა ნაწილები და ჭორები.

კოზმან ბერი თან ახლდა სალაშქროდ ლიპარიტს, იგი იყო მისი მესაწოლე-კარვისმცველი და მსტოვარი.

ეგეც არ დაეიწყნია უფლისწულს: კოზმან ბერი მაჰანკლობდა შარშან, მას ჰქონდა მინდობილი დედისიმედის გათხოვება ბარქიაროკზე. ამიტომაც გაეხარდა ოდნავ, როცა ლიპარიტის ამაღლაში დაინახა იგი.

## XII

### ლომს, თუნდ ცალთვალას, ვინ შეჰპადავს: ელაში ხარო?

„ვაზირთა სიბრძნე მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა წაგებული საქმე უნდა გამოსწორდეს, ხოლო აქიშთა, როცა მომაკედავი უნდა გადარჩეს. ყოველივე თუ კეთილად წარმართა, ყოველი კაცი ბრძენი გეგონება მაშინ“.

ძველ ჰინდური შეგონება.

მეორე დღეს, ორშაბათს, ჩვეულებისამებრ დაჯდა ჰყონდიდელი „სააჯო კარსა შიგან“, საწოლის მწიგნობარნი გარს უსხდნენ, ზარდახნის მწიგნობრებს აგზავნიდა სასახლის ეზოში მოზღვავებულ მომჩივანთა, მიწისძვრისაგან დაზარალებულთა და ქერივ-ობოლთა გასაკითხავად.

დიდძალი ხალხი დარჩენილიყო ცისქვეშ. ნაშუადღემდის ანაწილებდა ჰყონდიდელი მეფისა, დედოფლისა და უფლისწულის ღარიბთა ჭისაკებიდან საბადლოს.

ნასადილევს დაეთმა და ჰყონდიდელმა მცირე ამაღა აიყოლიეს და წავიდნენ ჭუთათისისა და მის მიმდგომ სოფლების მოსახლეველად.

ერთადერთი, სამეფო სასახლე გადარჩენილიყო უვნებლად.

რა გაიგებდნენ, უფლისწული მობრძანდებოა, გზის ასაქცევებთან გროვდებოდნენ მკვიდრნი, ღნაოდნენ ნაციები ბაღლები, შესწივოდნენ ატირებული დიაცები თავიანთ მწუხარებას ახალგაზრდა პატრონს.

მოლარენი გასცემდნენ სამადლოს, ზარდახნის მწიგნობარნი აღნუსხავდნენ დაღწილ ციხეებს, ეკლესიებსა და ქოლბაგებს.



მხოლოდ მესამე დღეს მობრუნდნენ გეგუთში. მეფე გიორგი მეორე იყო კვლავ.

ამავე დღესვე ეაგა ვაზირთა უპირველესი მეფეს: ვაწვიოვარქმევესნი ერნი. გიორგი სდუმდა კვლავინდებურად გაჯიქებულო.

ვეთინის შემდეგ მეფე გაურბოდა დარბაზის ერთა წვევას, რადგან ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა: ლაშქარს მოვაროვებ, კახეთ-ჰერეთს შემოვიმტკიცებ, ბოლოს შევეუდგებიო ლიპარიტ ერისთავის წურთენას. გამარჯვებული მოვიწვევო დარბაზის ერთა.

მრავალი რამ შეიცვალა მას შემდეგ, მაინც თავისას არ იშლიდა მეფე.

სალამოს მალემსრბოლნი მოვარდნენ აფხაზეთიდან, საეგროდან, სამცხიდან. ხევისთავნი და ციხისთავნი იუწყებოდნენ ქალაქთა, ციხეთა და ეკლესიათა იავარყოფას.

მიწისძვრას დაეზიანებინა არტანუჯის, ყველის, ქუმურლუხის ციხენი, ოშკისა და ბანას ტაძრები, იმერხევის მონასტრები, მგელციხისა და ციხე კაბერნის გოდოლნი, მრავალი სოფელი დედაწულიანად წაელეკა მეწყერებს.

აღდგომის წირვისას ჩამოქცეულყო თმოგვის ციხე, ნანგრევებს ჰქვეშ მოჰყოლოდა საყრმის მგვობარი გიორგისი, ერისთავი კახაბერისძე სახლეულითურთ.

გულშემოყრილმა მეფემ თავათვე ახმობინა ვაზირთა უპირველესი და უბრძანა: აწვიეო დარბაზის ერნი.



იმავე საღამოს კოზმან ბერი და მესაწოლე ლიპარიტისა ზარგარელი ეახლნენ რუსუდანს. კოზმან ბერმა წმინდა პელაგიას თმები ჩამოუტანა იერუსალიმის დედათა მონასტრის ილუმენისაგან წარმოგზავნილი დედოფალს.

დიდხანს ისმოდა რუსუდანის საწოლის დარბაზიდან ფსალმუნების გალობა და ღაღადისი.



ხანგრძლივად ცხენზე ჯდომისაგან დაქანცული იყო გიორგი ჭყონდიდელი, მაინც მოუსვენრად ტრიალებდა, რული არ ეციდებოდა თვალს.

სასანთლენი ჩააქრობინა, მემავშხალენი დაითხოვა, აუტანელი ერენა გარს მომდგარი სიმრუმე საგონებელში ჩავარდნილ ვაზირთა უპირველესს.

დარბაზის ერთადმი მოსახსენებელს თავს უყრიდა უძილო ღამეში.

კარგად ჰხედავდა: დალუპვის კიდესთან იყო მისული სამეფო. მარტოოდნ დარბაისლური თათბირი არას არგებდა საქმეს. ბჭობაზე მეტად მოჭმედება იყო ამ ქამად საშურო.

სწუხდა ჭყონდიდელი: ლოგინად რომ ჩავარდა გიორგი მეფე. ეს რომ არა, გადაწყვეტილი ჰქონდა წამომდგარიყო თავით, პატრონისათვის შეეკადრებინა: ახალგაზრდა უფლისწულს გზა დაუთმოე ახლა.

დარბაზობის დროს უთუოდ უფრო იოლი სათქმელი იქნებოდა ეგ.

თუ უფლისწულის გამეფება აქამდის ნაადრევად ერეენებოდა ჭყონდიდელს, ანლა თავათ დარწმუნდა: ეგ არისო ერთადერთი გზახსნისა.

თავის სარწმუნო კაცთა მეშვეობით იმასაც კარგად ჰხელდალა ვიწროთა უპირველესი, თუ რა ხდებოდა საქართველოს გარეშეც.

ნაადრულ ზღვასავეთ ტორტმანობდა ჩინეთის კედლებიდან (ქვემოთ მდის გადაფენილი საბრძანისი სელჯუქიანთა<sup>1)</sup>).

ამ სასულტანოს დიდი მპყრობელი ჯალალ-ალ-დინ მალიქ შაჰ სიბერეში იყო გადამდგარი, მაგრამ მაინც იბრძოდა გააფთრებული. დაუცხრომლად იღწვოდა ვაზირთა უპირველესი სულტანისა — ნიზამ ალ-მულკ, კაცი მეცნიერი და ომებში მრავალნაცადი.

შუა აზიიდან დედაწულიანად გადმოხვეწილმა სელჯუქიანმა თურქებმა ტახტი და სამეფო წაართვეს ლაზნევილების დინასტიას ირანისას, მცირე აზია და სირია წაპვლიჯეს ბიზანტიას, ანისი, კარისციხე<sup>2)</sup> და ოლითსნი — საქართველოს, მაგრამ დამშეული ბრბოებით გავსილი იყო სასულტანო მაინც. დაპყრობილი ქვეყნები გადასჰამეს, თავათ ვერც მიწას მოეკიდნენ და ვერც ვაჭრობას.

მალიქ შაჰს პაპა თორღულ-ბეგი და მამა მისი ალფ-არსლან მუდმივი ნადიშებითა და ნაალფართთ კვებავდნენ ნახევარ მილიონ მონასპისაგან შემდგარ დიდ ლაშქარს სელჯუქებისას.

მომჭირენი იყვნენ მალიქ შაჰ და ნიზამ ალ-მულკ. სცადეს შეათედზე დაეყვანათ ლაშქარი, აჯანყებამ იფეთქა ჯარში.

ბოლოს გადასწყვიტეს, შეიდას ათასამდე აეყვანათ ლაშქარი, ბიზანტიისათვის მოეთავებინათ ხელი, მთელი აზია და აფრიკა დაეპყროთ.

ამ სამზადისში დაბეგრეს გამარცხული ერები, დიდ მდინარეებთან საბაჟოები დაადგინეს. ასე რომ ამურ-დარიის ფონზე აქლემის გატარება ორი დიპრემი ღირდა, მონატაცები დიაცისა — ოცდაათი.

როცა ნამარცვი შემოელიათ სელჯუქებს, ახალი ომები მოითხოვეს ამირებმა. ხალიფის ტახტს წაეპოტინა ჯალალ-ედ-დაულაჰ-მოიზ-ედდინ მალიქ-შაჰ იემენ ემირ ალ მუშინი.

გიორგი ჭყონდიდელს ცნობა ჰქონდა ახლადმიღებული ბაღდადელ მსტოვარისაგან. იუწყებოდა სომხის ვაჭარი ვართაპეტანი:

ბაღდადის ხალიფი გაეყარა მალიქ შაჰს ქალს, სულტანს გამოეგზავნა თავისი ცოლყოფილი და ვაჟი ჯაფარი.

„ამირ ალ-მუშინი ასალირ“<sup>3)</sup> უწოდა მალიქ შაჰ თავის შვილისშვილს, ხალიფის ტახტს თვალს არ აცილებდა მაინც.

ამასობაში აჯანყდნენ ბუხარის, სამარყანდის და კაშგარის საამირონი.

ეგეც იცოდა ჭყონდიდელმა: ხელმეორედ აიღო სულტანმა ეს ქვეყნები, სისხლის წვიმები დააყენა გამარჯვებულმან, მათივე მშვილდის საბელებით მოაშთობინა ამირები, თვალები დასთხარა განდგომისათვის ტაქაშს, საკუთარ ძმას. მცირე სულტნებისა და ამირების გარდა სხვა მტრებიც ჰყავდა მალიქ შაჰს.

<sup>1)</sup> ს ე ლ ჯ უ ქ ი ა ნ ი — ამ თურქული მოდგმის წინაპარი იყო სელჯუქი, კაბაკას ტომისა და აფრაკაბის ნათესავის თურქი. მას ჰყავდა ოთხი ვაჟი: ისრაილ, მიკაილ, მუსა-ზიგუ და ჯუნის. 375 წ. ჰიჯრით, ჩ. წ. 985 წ. ამ ოთხთა ნაშიერებმა აიღეს თურქესტანი, ბოლოს დედაწულიანად, ფარებანად აყრილნი მოედნენ ირანს სამოგრების მამიებელნი. მიკაილის ვაჟი იყო დიდი სელჯუქი თორღულ-ბეგ.

<sup>2)</sup> კ ა რ ი ს ც ი ხ ე — ყარსი. ხანაც ერზერუმსაც უწოდებდნენ ძველად.

<sup>3)</sup> მორწმუნეთა პატარა ამირი.



კირსა ჩვენსა, რამეთუ დამდაბლდა სული ჩვენი და აღგვარა შეყვარებული ჩვენი...

ერაყნული  
გიგლიყოსია

... შეიბ მახვილი წელთა შენთა, ძლიერო...“  
ჰყონდიდელის დანახვაზე წამოიწია უფლისწული, ნუ აღგვიბო, შევედრა ვაზირთა უპირველესი.

უძილობის მიზეზი ჰკითხა.

აღსართან კახთა მეფის გამუსლიმების ამბავი წამოიწყო დავითმა.

საწერელთმპყრობელი იხმო ჰყონდიდელმა. საწერელნი მოატანინა და გამოსახა ქარტაზე ობობის დარი ხატება.

„ასე სჩვევიათ, უფლისწულო, სელაჯუკებს დაპყრობილ ქვეყნების წარტყვევნა.

მთავარი ლაშქარი სატახტოში შეიჭრება, ბოლოს ოთხად გაყოფენ მას, სხვა და სხვა მხარეს წარგზავნიან, კვლავ ოთხად გაყოფილს შეუსვენენ გადარჩენილ კიდევებს და ვააცლიან სისხლს, როგორც ბაბაქუა\*) თავის ქსელში მოხვედრილ მსხვერპლს.

ტფილისი წარგეტაცეს თურქთა, ახლა კახეთ-ჰერეთს გადასქამენ, თრიალეთის საერისთაოც თუ შემოიპტკიცეს, გამოჰყვებიან მტკერის მარცხენა ნაპირს, ბოლოს ლიხს გადმოლმა გვესტუმრებიან“...



ჰყონდიდელის წარმოდგენილი პიტაქის შემდეგ სამ დღეს გაგრძელდა დარბაზის ერთა ბჭობა.

გვარამ, ბექისციხის პატრონი, ლიპარიტ ერისთავი, ბეშქენ ჯაყელი, ნიანია ბაკურიანი და შერგილ ლიპარიტიანი მოითხოვნდნენ: დაუყოვნებლივ დადგინებას უფლისწულისას მეფედ.

გიორგი მეფე დაიქანცა, ჰაბუკი უფლისწულის მკლავს მიეწოდოთო ახლა.

მანგლელი ეპისკოპოსი იუწყებოდა: გადაცმული ხოჯებით გაიფსოვო თრიალეთის საერისთავო.

ურბნელი ეპისკოპოსი ყოყმანობდა:

—ჯერაც ყმა უფლისწული ჩვენი, ვა თუ გულფიცხობა გამოაჩნდეს სახელმწიფოს გამგებლობაში. ეგეც უნდა გვახსოვდეს, დიდებულნო: სიბერე და სიბრძნე ტოლად დადიან მუღამ.

თექვსმეტი წლისა რომ ასულიყო გოლგოთაზე მაცხოვარი ჩვენი, იგიც ვერ ზიდავდა ჯვარს“.

ლიპარიტ ერისთავი წამოადგა ხელახლა. არ დაეთანხმა ურბნელს. ბიზანტიის კეისრების მაგალითი მოიშველია, ზოგი მათგანი ხუთმეტი წლისაც აპყავდათო ტახტზე.

„რალა შორს მივდივართ, დაძინა ორბელიანმა, დავითის პაპა, ცხრა წლისა არ გაამეფეს ერისთავებმა განა, კუროპალატი ბაგრატი?!“

შერგილ ლიპარიტიანიც შეეპაექრა ურბნელს. რუსთავს მიმავალნი ჩავვაბარაო უფლისწული ჰყონდიდელმა, ნიანია ბაკურიანსა და მე. ჩვენ გამოვიჩინეთ გულფიცხობა სწორედ, გამოაცაო ჰაბუკმა ომებში გაქაღრებული კაცი.

ბედიელი ეპისკოპოსი წამოადგა, არა ერთგვის ვხლებივარ ბრძოლის ველებ-

\*) ბაბაქუა—ობობა.

ზე განსვენებულ ბაგრატ კუროპალატსა და ჩვენს პატრონს ვილოვანს, მეც გამაყვირეო ვუღლინჯობამ უფლისწულისამ რუსთავეის ბრძოლამი.

გამუღმებულად სდუმდა ქუთათელი ანტონი. ყველამ იცოდნენ, რომ უკვარდა გიორგი, ასე ეგონათ, სწორედ იგი მოითხოვდა მეფის გადსწავლას და გამეფებას უფლისწულისას.

ქუთათელი თავიდანვე იქვის თვალით შესცქეროდა დავითს. ჯერაც არ დავიწყებოდა აყიროსაგან გაკეთებულ კამილაგების ამბავი, იგიც ახსოვდა ანტონის, თავათ უფლისწულს არ დაუხურავს აყიროს კამილაგა თავზე, მაგრამ გულიანად ხარხარებდა ნიანია ბაკურიანის ოინზაზობის შემყურე.

არც დავითისა და ნიანიას მეგობრობა მოსწონდა მას. დასაყვითის დიდი დომესტიკის გრიგოლ ბაკურიანის უკანონო ვაჟი იყო ნიანია. აღშფოთებული გოდებდა ქუთათელი: ხარჭის ნაშობთან მეგობრობას როგორ კადრულობსო უფლისწული ჩვენი.

ერთადერთმა ქუთათელმა შეიკავა თავი, როცა დარბაზის ერთა დადგინეს მეფედ კურთხევა დავითისა.

წინასწარ განსაზღვრეს მომავალი ტახტისმტის ტიტულიც:

„აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე“.

როცა დარბაზობა დასრულდა, ვერავინ იკისრა ამის მოხსენება გიორგი მეფისათვის. ვაზირთა უპირველესიც შეეყვანდა, საერთოდ შეუდრეკელი ჭირში.

ქუთათელმა ანტონიმ ჩაიბუტუნა თავისთვის:

„ლომს, თუნდ ცალთვალას, ვინ შეჰბედავს: ელაში ხარო?“

არც ნიანია ბაკურიანს უყვარდა ქუთათელი, მან ყური მოჰკრა ქუთათელის ნახუმრევს, უფლისწულს უამბო იმ დღესვე.

მახარაიმ გაიგონა ეს, გაიღიმა და დადუმდა.

• •

მეორე დღეს დიდხანს უჯდა მახარაი სასთაულთან ავადმყოფ მეფეს.

ბოლოს საწოლის წინ დაგებულ ორბოვანზე წამოჯდა ფეხმორთხმული.

ორი კოჭი ეჭირა ხელში, ერთი შავი, ერთიც წითელი.

სათითაოდ მიიტანდა ტუჩთან, ჩაუთქვამდა, ზეაისროდა, ძირს დავარდნილს დახედავდა და იღიმოდა თავისთვის.

„რა გაციენებს, მახარაი ბედშავო?“

„შეეკითხა მეფე.“

ისევ გაიციინა მახარაიმ.

ველავ განუმეორა გიორგიმ კითხვა.

„არაფერია, გუშინ ერთ სულელს სიბრძნე დასცდენია ერთი“.

„რომელს რომელი?“

„იმ გამოწერულ ქუთათელს ასე უთქვამს, ვეფო: „ლომს, თუნდ ცალთვალას, ვინ შეჰბედავს: ელაში ხარო?“

„რად დასჭირვებია ეს იგავი ხუცესს?“

„შენ ხომ იცი, ფრთიანი სიტყვა თვით ისარზე უსწრაფესია და ბრძენ ვაზირზედაც უთამამესი. გუშინ დარბაზის ერთა დაუდგენიათ ტახტისმტედ<sup>1)</sup> დასმა უფლისწულისა, მაგრამ ვერავინ გიბედავს ამის მოხსენებას, ვეფო“.

<sup>1)</sup> ტახტისმტე-ბიზანტიასა და ძველ საქართველოში ხშირად ორი მეფე იჯდა ერთად-დაიმავე ტახტზე, ამას ტახტისმტე ერქვა.

გიორგი მეფემ ახმობინა უფლისწული და ვაზირთა უპირველესი, ორკენი გადაჰკოცნა, ცრემლმორეულმა დალოცა თავისი პირმშო.

გაოცდა მახარაი: ეს მან პირველად ნახა უჯიათ გიორგის თანაურს უწველი.

### XIII

#### მარიამ დედოფალი

„არც აპყვლემს, არც ფიდასს დარჩენით მარიამ დედოფლისებრ სრულყოფილი კმნილებანი ამ ქვეყნად.

ასე ამბობენ: გორგონა ჰეად აქცედაო ყველას, ვისაც თვალბში ჩაჩხედავდა თურმე, ხოლო მას, ვინც თუნდ ერთბელაც თვალს მოჰკრავდა მარიამს, უთუოდ წაერთმეოდა სული და გონება“.

ანნა კომნინი

ბოლოს მოაღწია მარიამ დედოფალმა. მას თან ახლდა დრუნგარი<sup>1)</sup> აღმოსავლეთის ფლოტისა, ლასკარის, დასავლეთის დიდი დომესტიკი გრიგოლ ბაკურიანი, ხალკიდონის, ხოსის და პაფლაგონის ეპისკოპოსები, საკუთარი ეზოს-მოდგარი ცინცილუკ, საწოლის მწიგნობარნი, პირისფარეზნი და შიმუნეარნი.

არა მარტო საქართველოში, მთელს მსოფლიოში განთქმული იყო მისი იგავიუწვედენელი სილამაზე. ქალაქებსა და დაბებში წინ უხვდებოდნენ მარიამსა და მის ამალას სამღვდელონი, აზნაურნი და უაზნონი, უამრავი ხალხი ხეობებიდან შემოკრეფილნი.

ეკისრულ სპილოსძვლის ეტლში იჯდა მარიამ, მარჯვნივ ხალკიდონის ეპისკოპოსი ებიფანე, რომელსაც „არამსმელს“ უწოდებდნენ თავის სეხნიის — კესარეის ეპისკოპოსისაგან გამოსარჩევად, მხარმარცხნივ კუროპალატის ქვრივი მელიტა, ბუკოლეონის სასახლის შიმუნეართა თვალი.

მარიამ დედოფალი წრფელად უყვარდათ საქართველოში არა მარტო თავისი უებარი სიტურფის გამო, არამედ როგორც დიდი მოამაგე და ქვრივობოლთა განმკითხავი.

ამიტომაც წირვის დაწყების წინ გიორგი მეფის შემდეგ მას ახსენებდნენ პირველად:

„კეთილად მსახურისა დედოფლისა ჩვენისა, მარიამ ავლუსტინაისნი მრავალცა არიან წელნი და ჟამნი“.

დიდი ნუგეში იყო მიწისძვრისა და თურქთა ძარცვისაგან დაბეჩავებულ ხალხისათვის გრიგოლ ბაკურიანის ჩამოსვლაც.

ბიზანტიის საკეისროს სარდალს, მასაც, საქართველოსკენ ეჭირა ცალი თვალი მუდამ. ბაკურიანმა გადასცა გიორგი მეფეს „ოლთისნი, კარის ციხე და მიმდგომნი ქვეყანანი“.

ორპირში დახედნენ სტუმრებს: უფლისწული, ნიანია ბაკურიანი, ლიპარიტ ორბელიანი, ბედიელი და ქუთათელი სამღვდელთა ამალითურთ, ათასზე მეტი თოროსანი რაინდი და კოზმან ბერი.

უფლისწული გადაჰკოცნა მარიამმა, გაიხარა თორ-აბჯარში ჩამჯდარი ძმისწულის მზილველმა.

მხარზე ხელი დაადო მერმე, ისევ შეხედა. „რა უცნაურად მგონებ სულ-კურთხეულ მამაჩემს!“

<sup>1)</sup> დრუნგარი — ბიზანტ. ფლოტის უფროსი.

ხელახლა აკოცა ლოყაზე.

დედოფალი ელენე მოიკითხა და როცა რუსუდანიც ახსენა, სახეზე ბინდმა გადაურბინა დავითს.

ეგვი შეატყო გულთმისანმა დიაცმა.

გაოცდა და გაიხარა, როცა ლიპარიტ ორბელიანი დაინახა მის ამაღაში.

უღბნება ორივეს:

„უშჯულოება მოძალებულია ჩვენზე, ქრისტესადმი სიყვარულმა უნდა განმტკიცოს სიყვარული პატრონსა და ყმას შორის“.

როცა დედოფლის დიდ კარავში მღვდელმთავრებმა მშვიდობით მობრძანების პარაკლისი მოათავეს, მიხრწნილებაში გადამდგარი ეპისკოპოსებიც ენებინად ჰკოცნიდნენ მის მშვენიერ ხელებს.

კოზმან ბერი ფერხით დაუვარდა, წითელ წაღებზე ეამბორა დედოფალს. მარიამის სილამაზისაგან მოიხიბლნენ ისინიცა, ვისაც ათი წლის წინად ასევე მშვენიერი ენახა იგი.

ოდნავ, სულ ოდნავ დასრულებულიყო ეს „ტანკენარი კვიპაროსი“, როგორც კონსტანტინოპოლში უწოდებდნენ მას.

ხელიკისფერი დაღმატიკა ეცვა, ოჭრომკედით მოჭარგული სახელურებითა, კეისრული წითელი წაღები, საფირონებითა და ლაღებით მოოჭვილნი.

უფლისწულისა და ქართველი რაინდების დანახვაზე ცხენზე შეჯდომა ინატრა.

მოართვეს ჯაჭვისფერი, თოროსანი ფაშატი, რომელსაც გიორგი მეფემ ხუმრობით შეარქვა მარიამისავე სააღერსო სახელი: „მაიკო“.

ქალწულოური სიკისკასით შემოახტა დედოფალი ცხენს, ვაჟაკურად მოუქნია მითრახი, ოთხახმით წამოიყვანა იგი, თავაზიანად გაეჯიბრა დავითსა და ლიპარიტს.

ორპირშივე მოიხიბლა ნიანია ბაკურიანი.

სულწასული ეროსი ჩაუსახლდა ახალგაზრდა ერისთავს გვამში. ნიანაგ მისი ჭერეტის მონატრული, საპატია მანძილზე მოსდევდა იგი დედოფალს ცხენდაცხენ და როცა მისი გულფიცხი ულაყი თავს წაართმევდა და გაუსწრებდა „მაიკოს“, ისევ და ისევ შეხედავდა გონებისწამლებ ამორძალს შეფარვით.

იმდენი სიხარული თან ჩამოჰყვა მარიამს, წამიერად გადაავიწყდა დავითს მიწისძვრისაგან მოგერილი სიმძიმელი. ლიპარიტსაც ისე ტკბილად ესაუბრებოდა იგი, როგორც იმ წლებში, როცა დედისიმედი ითვლებოდა „უფლისწულის თვალმშვენიერ სასძლოდ“.

იმერეთის ბარს ნაკლებად დატყობოდა მიწისძვრა, მიჰქროდნენ სივრცეში ვენახები, ბაღები და ხეადაბუნები, ლაღებივით ელავდა ფურცლოვანში ლოყებშეწითლებული ბალი.

თვალს ახარებდა აღუჩებით დახუნძლული შტოები, გუგულის ხმა ისმოდა ჭალებში.

ბარობდა მშობლიური ბუნების აღერსს მოწყურებული მარიამ.

მუხიანთან დაისვენეს ცხენოსნებმა.

მარიამ მიაშტერდა თავის ფაშატს.

მას პატარა თავი ჰქონდა, მრეში ფაფარი, განიერი მკერდი, საოლაენი<sup>1)</sup> წვრილნი და მძიმე ფლოქეები.

<sup>1)</sup> საოლაენი—ცხენის ფეხის ნაწილი, მუხლიდან ფლოქემადის.



„სადაურა ცხენია?“

შეეკითხა ლიპარიტს.

„ჩვენებური“.

მიიღო პასუხი.

მარიამი ყურებში წასწვდა ცხენს, ლოყა მიადო თავზე.

„როდის დაარქვეს ჩემი სახელი ამ ფაშატს?“

ეკითხება დავითს.

„შარშანწინ, მარიამობას“.

მიუგო უფლისწულმა.

თხემის რქაზე მოვალერსა მარიამი ცხენს და აკოცა ზედ.

ნიანია გაოცდა.

დედოფალმა შენიშნა ეს.

„რად გაოცდი, ქაბუჯო, განა არ იცი, ბერძენ კურობალატებს ჩვენებური ცხენიც რომ მირჩევინა?!“

ნიანიამ ინატრა გულში: ნეტავ ცხენად მაქცევდესო ძველბერძნული ღმერთი ძვეესი, რომელმაც იქსიონს დააწყებინა ცხენურად ჭიხვინი.

ლიპარიტ ერისთავს მოუბრუნდა მარიამ.

„იკოდე, ლიპარიტ, სხვის ქვეყანაში არ გაათხოვო ქალი, მე გეყოფი მაგალითად თუნდაც. ორი კეისრის ცოლყოფილი ვარ, ნეტავ რომელიმე ქართველ მეჯადაგისათვის“) მივეთხოვებინე განსვენებულ მამაჩემს“...

უფლისწულმა ისეთი იერი მიიღო, თითქოს არ ესმოდა დედოფლის ნაუბარი, ბარქიაროკი მოაგონდა მყისვე. ლიპარიტ ერისთავის ფიქრიც ბარქიაროკს მისწვდა ამ წუთში, სულთან მალიქ შაჰს ვაჟს.

მერმე ნიანიას მიუბრუნდა დედოფალი:

„შენი ვაჟკაცობა მიქქეს იერუსალიმს მიმავალმა მცხეთელმა ბერებმა.“

დათვური ღრიალით დავიშინებია მუჰამედ ატტავილ რუსთავში“.

ნიანიამ თავი დახარა დედოფლის წინაშე. ყვრიმალამდე გაწითლდა და მიუგო:

„ვაჟკაცობა უფლისწულისა იკითხეთ, ავგუსტა, მე ჩემის დაუდევრობით ლამის არ დავლუპე, დედოფალო ბატონო, ლაშქარი“.

ლიპარიტს არ უყვარდა, როცა მის სიახლოეს სხვათა ვაჟკაცობას აქებდა ვინმე, მაგრამ გულისნადების დასაფარავად ეს სთქვა:

„ქარგი ვაჟკაცია ნიანია ბაკურიანი“.



თვალი ვერ ძღებოდა კორღებზე შეფენილი სოფლების, ქარაფებზე აღმართული გოდოლებისა და ეკლესიების ჭვრეტისგან.

ყოველი მთა, ყოველი ტიხე თავის სიჭალწულეს აგონებდა მარიამს.

სიყრმიდანვე განებივრებული ჰყავდა იგი ბაგრატ კურობალატს. ჯერ კიდევ შვიდი წლის ბაღლი ჩამოაყვანინა მარიამ ბიზანტიაში მეფემ.

სწორედ იმ დღეს კონსტანტინოპოლში მოკვდა დედოფალი თეოდორა. მან-დვე მყოფ გიორგი მთაწმინდელს წამოსცდა:

„დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“.

1) მეჯადაგე—მეჯღანე.



მართლაც, ათი წლის შემდეგ კეისრის გვირგვინი თავზე დაადგეს მარიამს. კონსტანტინოპოლი ხელში ჩაიგდო მეამბოხე მიხაილ დუკამ, ალექსანდრიის დომესტიკი ანდრონიკი წარგზავნა მანციკერტთან დამარცხებულ კეისრის წინააღმდეგ.

რომანოზ დიოგენის ლაშქარს სარდლობდა სომეხი დიდებული ხაჩატურ. კეისრის ჯარი შემუსრა დომესტიკმა ანდრონიკმა, თავათ ხაჩატურმა ფასდაუღებელი მანიაკი აღმასებისა აჩუქა ანდრონიკს და თავს უშველა ამ გზით.

რომანოზ დიოგენი შეიპყრეს, ბნელ ხულაში ჩამწყვდიეს. თვალების დათხრა მიანდეს ერთ ებრაელს. ჯალათი საცებით ხამი აღმოჩნდა, შანთებით ამოსწვა დიოგენს თვალები, მაინც არ ეშვებოდა, თუმცა კეისარი ათას წმინდანს იმოწმებდა: დათხრილი მაჭვსო თვალები.

ბოლოს კონსტანტინოპოლში ჩამოათრიეს უსინათლო კეისარი და პროპანტიდის მონასტერში ბერად აღკვეცეს, იქვე, სადაც ორიოდ თვის წინად შემონაზუნდა მუღღლე მისი ევდოკია.

ოცი წლისა იყო ახალი კეისარი მიხაილ დუკა, მაგრამ მოხუცს უწოდებდნენ მას. არც ნადირობა უყვარდა, არც ომი, ქალებსა და ქეიფს საკმაოდ უნიჭო შაირების წერას არჩევდა.

მუდამ წიგნებში იყო ჩაფლული, მანდატორნი ქურდავდნენ, მათ დატუქსვასაც ვერ ახერხებდა ბუნებით თვინიერი კაცი.

ხაჩატურის მიერ ნაჩუქარი მანიაკი აღმასებისა მარიამს მიართვა დომესტიკმა ანდრონიკმა, როცა კეისარმა მიხაილ VII დუკამ შეირთო იგი.

დედოფალიც ხამი იყო სახელმწიფურ საქმეებში, იმპერიას განაგებდნენ კესაროსი იოანე, ფილოსოფოსი მიხაილ პსელოს და ბერი ნიკიფორიცა.

ამ ინტრიგანებისაგან შექირებულნი ხალხი უსასოოდ დრტვინავდა.

ამით ისარგებლა დიდებულმა ნიკიფორე ბოტანაიტესმა, რომელიც იღუმალ ეტრფოდა მარიამს.

დაქირავებული თურქებისა და ვორაგების<sup>1)</sup> ჯარებით შეებრძოლა ბოტანაიტესი კეისარს. დუკამ მიიმხრო მალიქ შაჰს ძმა—სოლიმანი, მაგრამ იგიც მოიჭრათამა მეამბოხემ.

ნიკიფორე ბოტანაიტესს წამოეშველნენ დასავლეთის დიდი დომესტიკი ალექსი კომნინი და სარდალი გრიგოლ ბაკურიანი.

ბოლოს კონსტანტინოპოლში შემოვიდნენ მეამბოხენი და კეისრული გვირგვინი თავზე დაადგეს ბოტანაიტესს.

ახალმა კეისარმა მოიწადინა ძველი იმპერატორების რომელიმე ოჯახთან დაკავშირება. მარიამსა და ევდოკიას დაადგა ბოტანაიტესმაც თვალი.

ბოლოს მარიამ დედოფალი აირჩია კეისარმა.

ახლა დომესტიკი ალექსი კომნინი შეიპყრო მარიამ დედოფლისა და კეისრული ტახტის შიტაცების წადილმა.

ალექსი კომნინის ძმას, ისააკს ცოლად ჰყავდა ბაგრატ კუროპალატის ნახევარიძმის დემეტრეს ქალი, ამით ისარგებლა ალექსიმ და მოუხშირა სასახლეში სიარულს. ავი ენების დასადუმებლად შეილობილად მოეყიდა მარიამს.

მოხუცებულ ბოტანაიტესს შვილი არ ეყოლა, ამიტომაც მიელტვოდა ტახ-

<sup>1)</sup> იგულისხმება „ვორიაგები“ რუსული ქრონიკისა.

ტის მემკვიდრედ თავისი ნათესავე სინადინი შეერაცხა, ხოლო მარიამს საკუთარი ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტის გამეფება ეწადა.

ამ იდუმალ განხეთქილებას ოჯახურს ყური მოჰკრა ალექსანდრე პირველი ერთ საღამოს იგი და მისი ძმა ისააკ ეწვიენ უგუნებოდ შექმნილ მარიამს. მიზეზი ჰკითხეს მოკრძალებულად.

„ეჰ, უცხოობაში გათხოვილ ქალისათვის რა საკითხავია მოწყენის მიზეზი“. ამოიოხრა მარიამმა.

„მე და ჩემი ძმა მარადის შენი ერთგული ვიქნებით, ავეუსტა, როცა გენებოს, გვიბრძანე და გვიყმე“.

ჯარების სარდლები დაქრთამა ალექსი კომნინმა. დრტინავდნენ ნაჭირავები სპანი, ხელფასის მომატებას ითხოვდნენ დამშუღლნი.

„იმპერატორი ბოტანიიტესი არ მანებებს, თორემ მე დიახაც მოგიმატებდით“.

ეუბნებოდა ალექსი.

დომესტიკმა კომნინმა მიიმხრო კესაროსი იოანე, იბერიელი მაგისტრი ივანე,<sup>1)</sup> რომელთაც დიდი ზეგავლენა ჰქონდათ საკეისროს გამგებლობაზე.

ალექსი ეზრახა გრიგოლ ბაქურიანს: თუ ტახტზე ასვლას შემადლებინებ, შენ იოგვემო დასავლეთის დომესტიკობას.

1081 წლის თებერვლის შვიდს კომნინები ღამით შეიპარნენ ბლახერნის სასახლის საჯინბოში, საუკეთესო ცხენები აირჩიეს, უკანა ფეხები დააჭრეს და ნარჩენთა და კონსტანტინოპოლიდან გაიქცნენ ლაშქრის ბანაკში.

კონსტანტინოპოლში რევოლუცია დაიწყო. უღარიბესი მოსახლეობა დაერიო დიდ ვაჭართა და აზნაურთა სასახლეებს და დაუწყო ძარცვა.

ალექსი კომნინმა მოიმხრო „უკვდავთა გვარდიაც“, მოისყიდა კონსტანტინოპოლის ციხისთავი „ნამეიცი“<sup>2)</sup> — პილპრახტი, რომელმაც ციხის კლიტენი გადასცა ალექსის.

ბოტანიიტესმა სთხოვა მემამობეებს:

„მე და ვებრდი, შვილი არ ვამაჩნია და ძირი, გვირგვინს ნუ წამართმევთ, ეგ კეისრული წითელი წაღებიც სიკვდილამდე შემარჩინეთ და როგორც გენებოთ, ისე მართეთ ქვეყანა“.

ყური არ ათხოვეს კეისრის ვედრებას, პერივპლეტის მონასტერში აღკვეცეს ბერად.

არ შემკრთალა მარიამ დედოფალი, იგი დიდხანს არ აპირებდა წმინდა პალატებიდან<sup>3)</sup> გასვლას, ეშინოდა: არაფერი მოსვლოდა „ქერაკულულიან მენელაის“ — კონსტანტინე პორფიროგენეტის.

ახალი კეისარიც სიყრმიდანვე ეტრფოდა მარიამს, ახლა მას ეწადა ცოლად შეერთო იგი, მაგრამ სასახლის პარტიამ გადასძალა და ირინია დეკა შერთეს ალექსის.

მარიამ დედოფალს მამულები დაუტოვეს ქრიზოპოლში, ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის კესაროსობა, წითელი წაღები და ოქროს ქრიზოპოლელი მიუბოძა კეისარმა, წითელი მელნით ხელმოწერილი.

<sup>1)</sup> იბერიელი მაგისტრი ივანე, ხშირად იხსენიება ბიზანტიურ ქრონიკებში. გამოურკვეველია მისი ვინაობა, იგივე ივანე დიდ როლს ასრულებდა კეისრის კონსტანტინე მონომახის დროს. (იხ. ანნა კომნინ).

<sup>2)</sup> „ნამეიცი“ უწოდებდნენ იმ დროს გერმანელებს სლავები.

<sup>3)</sup> წმინდა პალატები — ივლიუსებმა მოაფარი სასახლე ბიზანტიის კეისრებისა.

ბოლოს მანგანის სასახლეში გადავიდა ძიანად მარიამ. გრიგოლ ნატყვრიანი დასაყვანიის დიდი დომესტიკი გახდა.

ერეკლესული  
ბიბლიოთეკა

გეგუთის სასახლის დანახვამ დაამწუხრა მარიამ დედოფალი. როცა სადღოში შეიყვანა იგი დედოფალმა ელენემ, დარბაზში მხოლოდ რუსუდანი და პირისფარეში მისი ლაკლაკი იმყოფებოდნენ.

მარიამ დედოფალსაც ლაკლაკი ეგონა დედოფალი. როცა პირისფარეში დაფეთებული ზეწამოიჭრა, მარიამ შეკრთა უსახო დედოფლის დანახვისას და ცივად მიუშვირა რუსუდანს ლოყა.

უღიმღამო მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ გამოტრიალდა და მეფის დარბაზში შევიდა.

კოზმან ბერი სასთაულთან დაჩოქილიყო, გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებას უკითხავდა მეფეს, კონსტანტინოპოლიდან ახლად ჩამოტანილს.

„მებრალემა უფლისწული ჩენი!“

ამოიოხრა მარიამმა.

„რად იტყვი ამას, მაიკო, შეეკითხა გიორგი, მეფედ კურთხევას რომ ეუბი-რებთ, ეგებ იმიტომ, არა?“

მარიამს გააჟრჟოლა, სიქალწულის სახელი რა ესმა თავისი.

სდუმდა მცირე ხანს, მერმე თავი აიღო და ეს უთხრა ძმას:

„მე აღმასების მანიაკი ჩამოვუტანე, გიორგი, მას, დომესტიკის ანდრონიკის მიერ ნაჩუქარი, მაგრამ იცი რა ვითხრა?..“

ისევე დადუმდა და შემდგომ ამისა ეუბნება თითქმის ჩურჩულით: „ახალ დედოფალს უნდა შევეუნახო ეს მანიაკი“.

გიორგი მეფემ გაოცებულმა ზეახედა, ეს უნდოდა ეთქვა: რატომ ამბობო, მაიკო, ამას, მაგრამ კოზმან ბერს დაადგა თვალი და დადუმდა.

მარიამის ნათქვამის გამგონებმა გაიხარა კოზმან ბერმა, მუშტი მიიღო ბაგეზე და უხმოდ განაგრძო კითხვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

უიარაღო

## მ ა ძ ი ე ბ ე ლ ნ ი<sup>1</sup>

შელამე იქნებოდა. ფქვილით დატვირთული ურემი სათემო გზაზე ნელ-ნელა მიჰრაქუნებდა. ურემს ერთი გლეხი მიუძღოდა, მეორე უკან მისდევდა.

— აა, ბახვია, რა თვალის სეირი ვნახეთ დღეს! — სიცილით სთქვა უკან მიმავალმა გოძიამ და კვესი მაგრა ჩამოჰკრა.

— არ უნდა იყო, გოძია, კაცი მეტიჩარა, — დარიგების კილოთი მიუგო ბახვიათ. — რას გჯგის სხვისი საქმე, არწიყობს თუ რა ჯანდაბას ამბრობს... ეჰ, ნეტავ ბიჭი კარგად დამიხედებოდეს! — მოწყენით დაუმატა მან.

— არა, ბახვა, სიტყვის თქმისათვის თუ ყველას ასე მოუვიდა, ქვეყანაზე არ დაიდგომება, ბაბა, და ეს არის. ქვეყნის ლაგამი ვის გაუჭედა? ძუკუ მძებრადის ამბავი ვინ არ იცის?

— არ შევიდა ის კაცი ამდენ გარჩევაში და ეხლა როგორ გინდა? ის მძებრადები მაინც გასაწყვეტებია ყველა...

— მაინც რომ ყოველივე ბანძლი ამ ქალებით დაიწყება! — სთქვა გოძიამ. — მე მიტყვამს, ის საქმე მართო ამით არ გათავდება.

— ერთმანეთისთვის ტყავი გაეხადოთ, მე იმისთვის შეგები არ შევიყვარო! — მიუგო ბახვიათ. — ეგ, წრეულსაც თუ შარშანდელივით დამინადელა სიმინდი ნაბატონარის ვეჭილმა, შენი მტერი, შიმშილი შემომივარდება! — სევდიანად დაუმატა მან.

ხარები ნებაზე მიდიოდნენ, ურემი ჩუმად მიჰრიალებდა, ცაზე უანგარი-შო ვარსკვლავი საამურად ციმციმებდა.

ძუკუს საქციელი ბასილ მძებრადეს მეტის-მეტად ეწყინა. შელაპარაკდა კიდეც ამის გამო ცოლ-ქმარი: მარცხა თავგამოდებით იცავდა თავის საყვარელ ძუკუს.

— აბა როგორ იზამდა? ენა-წაგდებულმა ყაზახმა რომ ისეთები გაუბედა, მადლობელი, შენი ჭირიმეო, ეტყოდა?

ბასილ მძებრადე თავის შვილს კარგად იცნობდა. ძუკუს ოინები ხელის გულზე ეწერა. კუდას ხრიკებიც გაგებულნი ჰქონდა. მაგრამ გულს იმით ინუგეშებდა, რომ საქმე გამოაშკარავებული არ არის და, ალბათ, როგორმე თავისით ჩაიშლებათ. მაგრამ ახლა საქმე გამოაშკარავდა, მთელი სოფელი ალაპარაკდა. დიდი თუ პატარა ამაზე ბჭობდა და ბაასობდა.

<sup>1</sup>) დასასრული. იხ. „მნათობი“, № 5.

როგორც გამოცდილმა კაცმა, უმჯობესად სენო ეხლავე მორიგება და მშვიდობის ჩამოგდება. ყველაზე უფრო მაძინიასი ეშინოდა, მაგრამ ეხლა მეწისქვილე იყო და მოხუციც, მაგრამ გული მაინც ძველი, მტკიცე და მტკიცე იმდენი ჰქონდა, რომ ზოგიერთ ბიჭს ეხლაც არ დაუვარდებოდა. მართონელა კაცი იყო და სიცოცხლე შაურად არ მიაჩნდა. შეეძლო სადმე დაედარაჯები-  
ნა და როგორც ჩინებულ მსროლელს, ძუკუ მძებრად ტყვიით გავეგშირა. მერე მაძინია თუ გინდ ასო-ასოდ დაეკებათ და ცეცხლში დაეწვათ, ბასილს რას უშლიდა! ძუკუ ჯერ ახალგაზრდა იყო და მისი რიგიანად დაქორწინების დიდი იმედი ჰქონდა ბასილს. დაცოლმეილდება, დადინჯდება, ოჯახში მიდგება-მოდგება და ხასიათიც გამოეცვლებაო, ფიქრობდა მოხუცი.

ამიტომ მეორე დღეს წისქვილში თვითონ მივიდა. მაძინიას მოუფერა, ბო-  
ლიშვით რაღაცეები უთხრა. მაგრამ ბასილზე ნაკლებად გამოცდილი არც მაძინია იყო. მან იმავე დამეს ფიცი დასდო, რომ რასაც შესძლებს და რო-  
გორც შესძლებს სამაგიერო გადაუხადოს. თავის თავს აღთქმა მისცა, სანამ ცოცხალი იქნებოდა მძებრადის შეურთებელი მტერი ყოფილიყო. მაგრამ აშ-  
კარად ზომების მიღებას სრულიადაც არა ფიქრობდა. ბასილის მისვლა ძალიან გაუხარდა და მაშინვე შეურიგდა. ამასაც არ დასჯერდა და ბასილის სახლში მივიდა. მარიაც კარგად იცნობდა მაძინიას და საქმის ასე დაბოლავება იმა-  
საც გაუხარდა:

— რა იყო, შვილო, — მიეგება მარია: — სირცხვილი არ არის, — ღმერ-  
თო მომკალი! — ჩემს შვილს და შენ ასეთი აყალ-მაყალი მოგდიოდეთ! ისე სიცოცხლე ორივე ჩემ ბალანას, პირველად რომ გავიგონე, გულში ზაფრა-  
სავით მეცა. მაშინათვე მივხვდი, რომ აქ ვილაც სხვის, ღვთისაგან მოძულე-  
ბულის ჩანალაპარაკევი უნდა ყოფილიყო, თორემ ძუკუ, ჩემი ძუკუ? დედა მომკალი იმის შეტი იმისი ცუდი კაცობა ღმერთმა მარიკას ნუ აჩვენოს და მისი წითელი გვირგვინი დაუნახოს, რომ რამდენჯერ იმას ჩემთვის უთქვამს: ნანაო, მაძინიას რამე გაუგზავნეთ, ცოდვია, წისქვილში იტანჯება, ჩვენს სახლში გაზრდილიაო.

მაძინიამაც შესაფერი პასუხი გასცა და ისეთი ტკბილი მუსაიფი გააბეს,  
რომ უცნობ ვისმეს დიდი ხნის მეგობრები ეგონებოდა.

მეორეს მხრივ ამ ამბავმა თოხიტარიებიც ძალზე დააღონა. აშკარად ხე-  
დავდნენ, რომ მათ ქალიშვილს გაიანეს თავი ეჭრებოდა. დიდხანს აღარ დაა-  
ყოვნეს, მამა-შვილებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს სასწრა-  
ფოდ გაეთხოვეზინათ გაიანე. ამასთან ფარნა კარგა ბლომად ფულსაც შეჰპირ-  
და მზითვად. და აი საქმე ისე მოაწყვეს, რომ ერთ დამეს გაიანე ჰყონონიდან  
გააპარეს და მოშორებით, მეორე მხარაში მცხოვრებ შემძლებულ გლეხზე  
ჯვარი გადასწერეს. ამ ამბავმა ჰორიკანობას მართლაც მოუღო ბოლო.

გაიანეს გათხოვების შემდეგ ნიკოია თოხიტარიას საქმე უფრო კარგად წა-  
ვიდა: ისლით დახურული ძველი სახლი გაყიდა და ყავრით დახურული ახა-  
ლი ხუთთვალისანი ოდა დაიდგა. უფროს შვილსაც კაი მზითვეიანი ქალი  
შერთო.

ნიკოია თოხიტარია ახლა მთელ სოფელში ჰქუის საკითხი კაცი გახდა. თუმ-  
ცა თხუთმეტი წლის წინად იგივე თავი ედგა კისერზე, მაგრამ მის ჰქუის არა-  
ვინ ეწაფებოდა. ახლა-კი სულ სხვა იყო: სოფლის შეკრებულებაში რამე სა-  
ზოგადო საქმის გადაწყვეტის დროს ეკითხებოდნენ და მის აზრს მნიშვნე-

ლობას აძლევდნენ. ნიკოიასაც თავი ღირსეულად ეჭირა: ხელში ვერცხლით მოჭედული ლაბაშა ეკავა და მაღალყელიანი წაღებით დაბავებულად...

ს ი მ ლ ი მ ი მ ე ა

სევერიანე წყალაძეს ახალგაზრდობაში მღვდლობა ბევრად არ მოსწონდა. ჯერ დემოკრატობდა, მერე ლიბერალობდა. სემინარიაში სწავლის გათავების შემდეგ რაღაც სხვადასხვა სამსახურს წაიტანა. რამდენიმე წელიწადი ასე გაატარა, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა და ბოლოს ისევ მღვდლობას მიმართა. დედ-მამის არჩევის თანახმად ცოლი შეირთო და ჰყონონას მახლობლად ერთ სოფელში მღვდლად გამწესდა.

როცა ახალგაზრდა მღვდელი პირველად მივიდა თავის სამრევლოში, მედავითნესთან ჩამოხტა. მედავითნე ადგილობრივი მცხოვრები იყო და ახალ უფროსს ძალიან გულლიად დაუხვდა.

— ოხ, ბატონო მამაო, — დაიწყო მედავითნემ: — ჩვენი საქმე? ცხონებულ მამა პართენას კბილით ეჭირა სამრევლო, თორემ მაგათთანა ვარყენილ ხალხს მთელ ოდიშში ვერ იპოვნით. მე სიმართლეს გეუბნებით, ბატონო. ოცდახუთი წელიწადი გავიდა, რაც ამ ეკლესიაში მედავითნედ ვარ და აქაური ამბები ხელის გულზე ანი და ბანივით მაწერია. ცხონებული მამა პართენა? ნამდვილი კაცი იყო, იმას ვერაფერს გაუბედავდნენ, თორემ აქაური ხალხი...

— შენ ეს მითხარი. — გააწყვეტინა მღვდელმა, — ხალხი დადის თუ არა ეკლესიაში?

— ჰმ! ბატონო, ეკლესიაში ჯოხით ვერ შორეკავ, შობა-აღდგომას და ათორმეტ დღესასწაულებს ვარდა. როგორც მოგახსენეთ, ბატონო, მხეცი ხალხია. დრამის ფულის მოკრეფაზე რაც მათ ღრიჭინი უნდა, ღმერთმა დაგიფაროს. მე, მამაო, წინდაწინვე უნდა გაგაფრთხილოთ. ცხონებულს ამ მხრივ კარგად ჰქონდა საქმე დაყენებული. იმას ასე, ისეო ვერაფერს გაუბედავდა, ღარიბ-მარიბი, აპა-პა, იმასთან არ შეიძლებოდა. აღსარების მოქმელთა სიაში წერიხარ, ფულიც უნდა გადაიხადო, მოკლედ ეტყოდა ყველას სულ-განათლებული. ჩვენს მწერალთან ჰქონდა ცხონებულს საქმე დაჭერილი და, რასაკვირველია, ცოტას იმასაც... მაგრამ დრამის ფულს უკლისად ამოიღებდა...

სევერიანემ ისევ გააწყვეტინა:

— შენ ეს მითხარი, — გააწყვეტინა მღვდელმა, — ხალხი დადის თუ არა

— რასაკვირველია, ბატონო! მხოლოდ მწუხრსა და ცისკარზე არაფერს მოდიოდა და ეკლესიაში რისთვის წავიდოდით? წირვას-კი, რა თქმა უნდა. უბრალო კვირიაკებს ხშირად გამოუშვებდა ხოლმე ცხონებული. მაგრამ რა უნდა ეჭნა, აკი მოგახსენეთ, ჯიუტი ხალხია. თქვენ, მამაო, რასაკვირველია, სწავლული კაცი ბრძანდებით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ერთხელ დაყენებული საქმე არ უნდა მოიშალოს. ცხონებულს ჩინებულად ჰქონდა საქმე დაყენებული! ახლა რომ გადაასხვაფეროთ, თქვენთვისაც საზარალოა... ცოლ-შვილის პატრონი ბრძანდებით. ცხონებული გვირგვინზე ორი თუმნიდან დაიწყებდა ხოლმე. სხვაფრივ არ შეიძლება, მამაო. ჩვენი ხალხი ვაჭარი ხალხია. ხასიათი ისეთი აქვს, რომ ორი შაურიც რომ უთხრა, დაგელრიჯება: არა, ჩემო ბატონო, შენი ჰირიმე, ორი შაური როგორ იქნება, შეიდი კაპეიკი, შენ გენაცვალო, ბუზლუნს მოგიყვება. აქაურ ხალხთან მობოდიშება არ შეიძლება. რამდენჯერ შიგ ეკლესიაში კინალამ ხანჯალით აჩეხეს განსვენებული, მაგრამ მაინც გამაგრდა და თუმანზე ქვევით არ ჩამოსულა.

— თუ მაინც და მაინც ღარიბია, შე კაცო, ხომ ვერ ჩამოაბრჩობ? — ხმა-  
დაბლა შენიშნა მღვდელმა.

— აა, ბატონო, ამაზე იყო მეც მოგახსენეთ — სწრაფად <sup>ერკენულაი</sup> მე-  
დავითნემ. — ასე თუ დაიწყეთ, ბატონო, მშვიერი დავიბოცებით. ქვეყანას განა  
ჩვენ გავასწორებთ? აი ასე ამბობს თურმე გაღმა ფერდოელი ახალგაზრდა  
მღვდელი. ყოვლად სამღვდელოსაც, — გწყალობდეთ მისი მარჯვენა! — შეც-  
დომა მოსვლია, ჯერ სულ ძუძუმწოვარა რომ უკურთხებია. ახლახან გაამწე-  
სეს, მაგრამ რაც ჩვენ იმან ზარალი მოგვაყენა! დაგვლუბა, სწორედ დაგვლუ-  
პა. გლესს ჯვარს ხუთ მანეთად სწერს, მიცვალებულის სულის ფულს არ  
ართმევს, ფული თუ მისცეს, უსათუოდ უნდა უწიროს. დაადგება, შენ ხარ ჩემი  
ბატონი, ორშაბათს და „ხაკი, ხაკი“ ზარებს, მიყვება და მიყვება. პირვე-  
ლად სოფლელები ააბოძორა: დღეს უქმე ხომ არ არისო, გაცეხული ერთ-  
მანეთს ეკითხებოდნენ თურმე... უნდა მოგახსენო, მამაო, თქვენ, როგორც  
სწავლული, მაგრამ გამოცდილებით მე... ეს რა საწყენია? ოცდახუთი წელი-  
წადი აი თორმეტ ღვინობისთვის შესრულდა, რაც მე აქ მედავითნედ ვარ...  
ცხონებულმა კარგად იცოდა: თუმსის ნაკლებ სულის ფული არ აუღია. აი  
დეკანოზიც, კაცი მიღებული, ყოველ მხრივ განმტკიცებული, იმ კაცს გულ-  
მკერდი სისხლის ჯვრებით აქვს დახლართული, მაგრამ ისიც ასე იქცევა. ხალ-  
ხი უკვე მიეჩვია, წინააღმდეგი არაა.

სევერიანე დაფიქრდა. მის გონებაში ერთ წამს გაიბრინა მთელმა მისმა  
სიცოცხლემ. განა ყველაფერი ოცნება იყო?

— შენ ეს მითხარი, ქადაგება-მოძღვრებას როგორი ჩვეულია ხალხი? —  
პკითხა მღვდელმა.

— აქაურ კაცს რომ უქადაგო, რა გამოვა, ბატონო! ქადაგების რა გაეგება.  
მგელს სახარება რომ უკითხო, რას შეასმენ. განსვენებულს ჩინებულად ჰქონ-  
და საქმე დაყენებული, იცოდა აქაური ხალხის ხასიათი. აქაური დაბადებული  
და აღზრდილი არ იყო? ხან ასე მოუბრუნდებოდა, ხან ისე მიუბრუნდებოდა,  
თვითონ კი თავის დღეში არ იზარალებდა. თუ გასარიგებელი იყო რამე,  
ჩაერეოდა და ორივე მხრივ აკარავდა რასმე. კაცი იყო, ერთი სიტყვით, რაღა!  
ერთში კი, — აცხოვნოს ღმერთმა! — ცოტა კილი ქე ქონდა: მე ჩემ ზედდრს  
როგზე არ მძლევდა. ერთად ვიანგარიშოთო, იტყოდა განსვენებული. დღეს-  
ხვალ, დღეს-ხვალ და სიკვდილმაც მოუსწრო... მისი ქვრივი კი, ძველს კი არა,  
ნეტავ ახალს არ წამართმევდეს...

სევერიანეს გაეცინა. შეხედა მედავითნეს, რომელიც კარებთან იღვა და  
გაქაღარავებულ წვერზე დინჯად ხელს ისევამდა. „ნუ თუ ჩვენი სამსახურის  
მიზანი მხოლოდ ჩვენი მატერიალური უზრუნველყოფაა?“ ფიქრობდა  
მღვდელი.

## 12.

ერთ დღეს საფქვავე ნაკლებად იყო და მაძინია მარტოდ დარჩა წისკებლში.  
ფიცრებზე გაგორდა და, თამბაქოს კვამლში ვახვეული, ოცნებას მიეცა.

ამ დროს ტომარააკიდებული ბასილ მძებრაძის მოჯამაგირე შევიდა და  
მაძინიას გამარჯვება უთხრა.

მაძინიამ ზანტად შეხედა და უგულოდ უბასუნა.

— ადუ, ადუ, რას წამოწოლილხარ, ყაზახო, ჩქარა დააყარე! — ბრძანების  
კლოთი გაეხუმრა ივია მოჯამაგირე.

— შენი ყაზახის... — ჩემად შეუქურთხა მაძინიამ. — დააწარე, მერე ვინ გიშლის?

— სად დაეყარო?

— აი ღარის თავთან მიარბენინე, თავი მოუხსენი და შიგ სრითინი მოადინე! თეღლის დახამამებაზე დაიფქვება. მერე წაიღე და ხარდანაძის ქალს უჩუნაფუ<sup>1</sup> ღომი გაუკეთე.

— ხუმრობა იქით იყოს, მაძინია, თუ კაცი ხარ, ჩქარა დააყარე, თორემ უიმინოდაც ხარდანაძის ქალი ღამის არის გადაიჩიოს და ესეც თუ დროზე არ მივეტანე, შეიძლება სულ კისერიც მოიტეხოს.

— რა ამბავი ყოფილა?

— ვმ! ალბათ, წისქვილი არ გაგაგონებდა, თორემ ხარდანაძის ქალის კაპასს, აქ კი არა, მგონია, სასამართლოში გაიგონებდნენ. ჩემს გარდა, მის სახლში დღეს სადილი არავის უქამია. მე-კი, რა საეჭვოა, კარგად გეახელი.

— რა ყოფილა, რა მოუვიდათ? — გაიკვირვა მაძინიამ და ტახტიდან წამოდგა.

— სასწაული ენახე, კაცო, დღეს, სასწაული! რაც იმ გოგომ დღეს იტირა, იმას თუ გული არ გაუსქდა.

— რომელ გოგოს, ეხლა რომ აიყვანეს?

— ტასიას, შე კაცო, ბასილის ქალიშვილს. გოგო კი არა, ცირაა... ვაჟის მონაწერი ბარათი უპოვნეს.

— რას ამბობ, წიე? — გაიოცა მაძინიამ.

— აბა!

— მერე, წიე, ვის მოუწერია?

— ეხ, შე კაცო, სასწაულია, სასწაული! ვის მოუწერია და ფარნა თოზიტარიას, აქ სიმიინდს რომ ყიდულმბდა.

— წიე, ნუ მეუბნები სასწაულს ა, ი, ი! — ხელების ტკაცუნით წამოიძახა მაძინიამ და ერთ ადგილას გადარეულივით ტრიალი დაიწყო.

— მერე, კაცო, რა ხერხიანად მოქმედებდნენ თურმე: ფარნას მიუწერია უჩიტელიცა ქალი რომ არის, იმისთვის და იმას კი თავის ბარათთან ერთად ამისთვის გამოუგზავნია. მე მოვატანე იქით კვირას. ის უჩიტელიცა თუ ვილაცა, წინეთაც ხშირად სწერდა ხოლმე და სულ მე მომქონდა. ესეც სწერდა იქით და მე მიმქონდა. ბასილი და მარია აბა რას მოიფიქრებდნენ? დღეს დილით ძუკუ მიდიოდა ზ-ში, თურმე რაღაც ქალადი დასჭირდა და ეშმაკის დამკერი კი არ წააწყდა!

— რას ამბობ, წიე, რას ამბობ? აი დიდობა შენდა, რა მესმის! — კვირობდა მაძინია. — მერე, ბიჭო, მერე?

— მერე, ეს სიმიინდი ჩქარა დააყარე და კარგად დატყვი, საღამოზე მზად დამახვედრე, თორემ ზურგს კარგად აუტრელებენ შენს ივას. ახლა ხარების საქებნელად უნდა წავიდე... ეხ, ჩემი ცოდვა! — ამოიოხრა მოჯამავირემ, — ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს. ნეტავ ყველა ერთმანეთს მიაწყვიტა კი ვარგებულა ის ბიჭი სწორედ, კაი სამაგიერო ზისხირა?) ამოუღია... ნეტავ ჩქარა ვადა გამითავებოდეს, მეტი არაფერი მინდა. მაშინათვე დავეკრავ ფეხს და სოჩაში ამოვეყოფ თავს, იქ ბიძაშვილი მყავს, რაბანია მითვლის, აქ ჩამო-

<sup>1</sup>) მოუხარშავი.

<sup>2</sup>) სისხლი.



დრ, კაი ფულის საშოვარი ადგილიაო... აბა, აბა, ასეთი სასწაული ამბავია! — დაუმატა ივანემ და წისქვილიდან გავიდა.

— ჰაიტ, ჰაიტ! — იძახდა მამინია და ჯერ კიდევ გონს ვერ მოსწივოდა. — ეკ, მოგიკედეს მამინია, აქ თუ საქმე არ გაჩარხოს! მე რათ არა გამენდო ის ტბედური? არაფერ უსიამოვნებას არ შევახვედრებდი. თუ ივარგა, ახლა გამონდებდა. გოგომ თუ არ უღალატა! კარგად რომ არ ვიცი, როგორაა საქმე, მაგ ყურა ბიჭმა ხეირიანად ვერა სთქვა. ერთი მე გავიარო, მაგრამ აქ ვინ დავტოვო? რა ჯინზე არ მოდიან ეს ოჯახქორები დღეს, რომ არ ვიცი!

მამინიას ბევრი ლოდინი არ დასჭირდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ტომარაწამოკიდებული გლეხი შევიდა, მამინიას მიესალმა, გაიხედ-გამოიხედა და კმაყოფილებით გამოეღაპარა:

— ეს კარგია, საფქვევი ნაკლებად ყოფილა. ნავახშამში თუ ვამათავისუფლებ, მე ვიცი და ჩემმა სინიღისმა.

— შენს სინიღისზე თუ დავა საქმე, აშენდება ჩვენი ხორუა მახორობა. ლიტონი სიტყვით რომ პირს მიბან, ერთ დოქ მაქარს წამოვიძღვანიებდი ან ერთ სულგუნს გვიმარაში გავხვევდი და კალთაში შევიკეცავდი. ნებივრობ ყაზახი ახალ-მოყვანილ ცოლთან და სხვასაც რამე უნდა, არც კი ფიქრობ! — გაუჯავრდა მეწისქვილე.

— თუ კარგია, ერთი კი არა, ნეტავ ხუთზე ერთად გადაგწერა ჯვარი! — მიუგო გლეხმა.

— რომ გადაწერა, ვითომ ვერ მოუვლი თუ? ნუ გეშინია, თქვენსავით თავზე კი არ დევიჯენ... თუთუნი მაინც მოგეტანა?

— შართლა, მინდოდა რამე მომეტანა, მარა...

— რომ გდომოდა, ჩემო ძმაო, კიდევ მოიტანდი. შეშა მაინც მოაგროვე, შეშა, ამელამ ერთი ფინჩხი არა მაქვს, — მოწყალე კილოთი უთხრა მამინიამ. — აქაც ჩემ მოსვლამდი იყარაულე. თუ მე იმდენ ხანს დამავიანდეს, დიდი დოლაბი რომ ჩამოვიდეს, შენი დააყარე.

— ყა, შენი ქირი შემეყაროს! — მადლობით უთხრა გლეხმა.

— აბა, შენ იცი, აქ კარგად ყური უგდე! — ერთხელ კიდევ დაარია მამინიამ და ბასილის სახლისაკენ გასწია.

ბასილ მძებრამე მოწყენილი და დაღვრემილი, აივანზე გადმოშვდარიყო. მამინიას მისვლა ძალიან გაუხარდა.

— ა, ჩემო მამინია! — შორიდანვე მიამახა ბასილმა. — ჩემი გაბედნიერება ჯერ არ გაგიგია? მომილოცე რაღა, მომილოცე!

— ბედნიერება ღმერთმა ნუ მოგაკლოს, ბატონო, — მიუგო ბასილს ვითომ გაკვირვებულმა მამინიამ.

— ეს-ღა მაკლდა, ეს ბედნიერება-ღა მაკლდა ჩემს სიცოცხლეში და ესეც ხომ შემისრულდა, ახლა რაღა მიჭირს? — სთქვა ბასილმა და მწარედ ამოიოხრა.

მცირე ხნის შემდეგ ბასილი უფრო დალაგებით ლაპარაკობდა:

— სხვისთვის რაც დამიკნია, ის რომ შემარაგება, იმანაა ხის დამით კისერი გამომიღაქრა. თორემ ისე რამე მჭირდეს, მადლობა ღმერთს, რა გაეწყობა! დედა, ღმერთო! თვალი როგორ დამიბრმავედა, რომ ამდენხანს ვერაფერი შევამჩნიე? აბა რას მოვიფიქრებდი: მამი-ჩემის მერაბი მძებრადის მოსვლას კი მოველოდი და ჩემი ტასია, ჩემი სასოება ქალიშვილი ასე კისერზე

ვებს დამაჭერდა... დედა, ღმერთო! ვინ მოიფიქრებდა? არა... როგორც კაცი, შენ მოიფიქრებდი?!

— ჰმ! — გამოსცა რაღაც ბგერა ვითომ და დიდად შეწუხებული მძინინამ.

— ის მაზაკვალი ბიჭი კი... მაგრამ, ჰო, ტყუილად არაა ჩემთვის მოგვი დავითო, ყველა შენი თავითო...

— ამდენს ნუ სწუხართ, ბატონო, ჯერ ამ ზომამდე შესაწუხებელი არაფერია, — ლმობიერად შენიშნა მაძინიამ.

— ჰმ, შენს მტერს! ამაზე უარესი ვითომ კიდევ უნდა დამემართოს რამე? — იმედ-გადაწყვეტილი კილოთი წარმოსთქვა ბასილმა. — აბა ნახე, აბა შენი ყურით მოისმინე, თუ რასა სწერს ჩემს ქალიშვილს თოხიტარი: „ჩემო გონებოდან განუშორებელღოვო, ჩემო საფლავამდი განუყოფელღოვო.“ ასე სწერს, კაცო, ასე! და ჩემი ქალიშვილი კიდევ? — აქ ბასილმა უმწეოდ თავი ჩაჰკიდა დ კბილები გააკრაჰუნა, — ჩემი ქალიშვილი ყოვლისფერში თანამგრძნობია. სრულწლოვანი ვარო და ჩემი წერილების ქურდულად წაკითხვის ნება არავის აქვსო. სხვა კიდევ რა გინდა? უკაცრაო მოხსენება: თოხიტარიას ველი ამალამ და ოთახი დამიცალეთო, ზომ არ იტყოდა? მოვკვდი და ეს არის! ახლა კი მესმის: მართალი ყოფილა, ვინც ამბობდა, ქალს სწავლა რათ უნდაო. ამდენს რას მტანჯავდა, განა, თოხიტარია ჩემ შვილს უსწავლელს არ იკადრებდა?

— დამშვიდდით, ბატონო, თოხიტარიას თქვენ შვილთან რა უნდა?

— რა უნდა? ზოგიც ჩემ სასოება ქალიშვილს ჰკითხე. მაძინია, შენ, აბა, ჩვენ ოჯახში გაზრდილი ხარ და ჩვენი ავ-კარგი ყოველისფერი იცი. შენი თვლით გინახავს, რაც ვიყავით და ეხლა რაც ვართ. განა ამ ოცდაათი წლის წინეთ ამას ვინმე მოიფიქრებდა? ორი გროში რომ მოაგროვა ყაზახმა, შეხედეთ მამაძალს, ვის ეპოტინება! მაგრამ დამაცა, მე ჯერ ბასილი მქვიან... მაგისტანა ცხვირ-მოუშრობელ ბიჭებს კიდევ დავასწავლი ჰქუას!.. ამ ჩემ აბრადოვანს კი, მოგეცა სიკეთე, ჰქუა დავასწავლო. ვაჩვენებ. თუ როგორ უნდა ბარათების წერა!

— არაფერია, ბატონო, გული დაიმშვიდეთ, — მიუღო მაძინიამ. — კაი ღროს კი შეგიტყვიათ, მადლობა ღმერთს!

— აბა, კაცო! — ცოტა დამშვიდდა ბასილი. — დიდება შენდა ღმერთო. უცაბედად არ შევიტყვეთ! როგორც გითხარი, ძუკუ ზ-ში მიდიოდა, რაღაც შეკო-მოკონი, პიჭუ-პაჭუ საყიდელი გვინდოდა, არ გამახსენდება და ქალაღ-ზე დავიწერო. ქალაღში და მაგისტანებში სულ ის გასაქვავებელი ჩხრიკაობს...

— გაქვავება ღმერთმა აშოროს, — შენიშნა მაძინიამ.

— ერთი თარნაკი რომ არის ზ-ში, უჩიტელიცას რომ ემაზიან, თურმე იმას ამოუთხრია ჩემთვის თვალები. შევიდა ძუკუ ოთახში ქალაღის საძებ-ნელად და თოხიტარიას მონაწერი ბარათი არ გამოაჩინა. რომ წაიკითხა, მომეკიდა ცეცხლი, მაგრამ რას ვიზამდი! არა, ამანაა, კაცო, რომ გადამრია, ალბათ სხვა ბევრი მონაწერი ექნებოდა მაგისტანა, მაგრამ საღაც ისეთ ალაგას მიუმაღავს, რომ ვერ მივუკვლიეთ...

— არა, ბატონო, შენი ჭირიბე, — შემარიგებელი კილოთ მიუღო მაძინიამ: — თქვენ ამ ზომამდი საქმეს ნუ გააღვიარებთ. მე რა სიკეთეს მოველი ცხოვრებიდან. მაგრამ ღმერთმა იმდენი სიკეთე მიყოს, რამდენიც თქვენი ოჯახისთვის მსურდეს. საქმეს ნუ აშლით, ბატონო.

ამ დროს მძიმედ გამოვიდა მარცხი. მადინია საჩქაროდ წამოვდა და თავმდაბლად მიესალმა. მარცხამ ჩუმად თავი გადაიწია და მძიმედ ამოიხრჩა. სახეგაბუტულს თვალები ტირილისაგან დასიებოდა.

— ძუკუს მამა! სულ ასეც არ ვარგა, — მიუბრუნდა მარცხამ მარცხამ ტკბილი სიტყვა უთხარი, მოუფერე მაგ კინჩხ-მოსატეხს. დღეს წყალიც არ დაუღევია. თავის დღეში შეშეცოდებოდა, არ მეგონა, ამ დილით ისეთ გულზე ვიყავი, მაგარი ახლა გულს მწვავეს ცეცხლმოკიდებული, — გულაჩვილებულად სთქვა მარცხამ.

— მე რად მეუბნები, ნიკოია თოხიტარიას უთხარი, ალბათ, ის დაამშვიდებს. ახლა მისი ბაბა ხომ ის არის, მე რას შეეითხები?

— ის დღე თოხიტარიას არ მოესწრება, — ამაყად სთქვა ხარდანაძის ქალმა: — მანუჩარ ხარდანაძის შვილის შვილი პეტრეია თოხიტარიას შვილის შვილს რომ მიყავდეს?!

ბასილმა მწარედ ამოიხრჩა და სთქვა:

— რაც ეს საუბედურო აზნაურობა შემეძენა საძიებელი, მას აქეთ ერთიანად ავიხლართე და დავიხლართე: ხელ-ფეხი მომაკლდა, ხანში შევედი, სიღარიბე წამომეწვია და ახლა თოხიტარიაც ქალიშვილის გადაბირავენას მიპირებს. მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ და ბასილს მეძახიან, ამ ზომამდი თავს არ დავიციორებ, მგონია. ასეთ სამარცხენო საქმის ერთად-ერთი წამალია, როგორც ჩქარა გზა მიუჩინოთ... რომ გვარიანი ვინმე შემხვდებოდეს, ბევრს არ დავხედავ, თორემ თოხიტარია კი არა, მგონი, ჩემი ნამოჯალაბავი ლუკია ბარიაც თავს გამოყოფს...

გავიდა ხანი. დღე და ღამე იყრებოდა, როცა მადინია წისქვილიდან გამოვიდა, წისქვილს ზემოდან მოუარა და სიმინდებში შევიდა. პირი დაებანა, საგარეო ჩოხა ჩაეცვა და თავისი ერთიბეწო წვერულვაშიც დაეეარცხნა. თავი ახალი ყაბალახით შეეხვია. წისქვილი კი ერთს ჰყოვნონელსავე გლესს, თავის ნათლიმამას ჩაბარა, უთხრა: ერთ კაცთან ცოტა ანგარიში მაქვს, შეიძლება ნაშულამევაამდის დამაგვიანდეს და აბა შენ იციო.

კარგა ხანი იარა მადინიამ ტაროებით დატვირთულ სიმინდებში და, ბოლოს, ყანის გვერდით ფალაგეს მიაღდა, სადაც, ხშირი ბალახის გარდა, ხარობდა ეკლის ბუჩქნარი და მალალი წალამი. წალამს ფრთხილად გასწი-გამოსწია, დაიხარა, ახალი უნაგირი ამოიღო, მკლავზე დაიდო და ახედ-დახედა.

— გვარიანი უნაგირი ჰქონია, — ჩაილაპარაკა თავისთვის მადინიამ და ბალოში ხელით გასინჯა: — თო, თო, რბილია, ალბათ, შველის თმა ძვეს შიგ. ასეთი უნაგირი მეტია მაგისტანა ტრეკი ყაზახისათვის. ერთი თითი მტვერი კი აძევს, ეტყობა, რაც ცოლის მხითვეში გამოატანეს, მას აქეთ ზედ არც კი მჯდარა.

გაახსენდა მადინიას, როგორ მოჰპარა წუხელ ეს უნაგირი ერთ მახლობელ გლესს, როგორი ყეფა ასტეხეს ძალღებმა, როგორ გამოვიდა ნამძინარევი პატრონი გარეთ და როგორ აქეზებდა იგი ძალღებს უფულო ყიფინით: არიჭა, მიდით, არ გაუშვათო. თვითონ კი, ძილმორეული, საცვლებ-ამარა დერეფანში იდგა და ზანტად თეძოებს იფხანდა. მადინია მაშინ უკანა ოთახში უნაგირს კედლიდან იღებდა, კინალამ გაეცინა.

სიმინდ-სიმინდით წყლის პირად ერთ ისეთ ფალაგეს მიაღდა, სადაც თუ არ ვანგებ, კაცი თავის დღეში არ გაივლიდა. იქ ლიფონის ხეს და ეკალს კარვის



— არა, მართლა, შენი ჭირიმე, ბატონო ბასილ? — შესძახა უთომ ამ/ახალი ამბით გახარებულმა მადინამ. — მადლობა უფალს, მადლობა უფალს! მე ხომ გეუბნებოდით, ბატონო...

— აბა, შე კაცო! შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა! — მიუგრა მადინამ. — განახარა, ერთი სიტყვით, გამახარა. მე ვიცი, ბატონო, ჩემი ბაღანა ამბავი. მარის მამა ვარ, რის შშობელი? ჩემი შვილის, ჩემს ხელში გაზრდილის ხასიათი რაა არ ვიცი? როგორ გეკადრება! სიყვარულით მყავდა გაზრდილი და მაგისტანებს რაა გაბედავდა? მაგრამ იმ მენცარ ქალმა გადამიბირა, იმ უჩიტელნიცა რომ ქვიან, იმან დამიხუჭა თვალები. მე მერაბის შვილი არა ვყოფილვარ, ის თუ იქიდან არ გაეაძევე...

— მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! — ამბობდა აღტაცებული მადინა.

— ყოჩაღად ქე დავხვდი, ა, — ამაყად განაგრძო ბასილმა. — ისე ცეცხლივით არ მოვკიდებოდი, შენი მტერი, აბა-ბა! ქალის ჭკუა ხომ იცი? ქალებს საერთოდ ერთი გიდელი ჭკუა ჰქონდათო, ისიც თხამ შეუჭამა და ცარიელზე დაარჩინათ, — ბეკუ რომ მღეროდა, ხომ გაგიგონია? მაგრამ არ მომივკედეს ჩემი თავი, რომ მოვეკიდე და ალივით ავენთე, — აქ ბასილმა თვალები გადააბრიალა, — მოვიყვანე ჭკუაზე. ხარდანამის ქალმაც, მართალი უნდა თქვას კაცმა, გვარიანად გამოიღო ხელი...

— ოხ, ოხ, შენი ჭირიმე, — მოუდერა მადინამ: — კლდე ხარ, კლდე!

— ეხ, მადინა! — ამოიოხრა ბასილმა. — სადაა სიყმაწვილე! სიბერე შე-მომეპარა. შვილი კი საიმედო არა მყავს. შენთან, აბა, რა დასამალავია, ტუ-კურად შობა ყოველისფერს. იმ უჩიტელიცას ახირებია, კინაღამ დაუჭერიათ. ბატონო, ასე საქმე ვის გაგიგონია? აქ სხვა ხერხია საჭირო. იმას მერეც მოვასწრობ. ახლა კი ამ გოგოს საქმე გულს მიჭიჭინებს. საჩქაროდ უნდა როგორმე გზა უჩვენო, თორემ მთელ ქვეყანაზე ჭორი რომ გაიფანტება, მერე უარსია.

— მაგაზე ადვილი რაღაა, ბატონო, აღმასივით გოგო ხელში გყავს, შენმა შვილმა თუ გზა ვერ იშოვნა...

— ეხ, ბაბაია, განა არ იცი? — ტუბილად გააწყვეტინა ბასილმა. — როცა კაცს გიჭირს, სულ ასეა. ამას წინეთ თავს მატეხდნენ, კარებში ბუზს არ მიყენებდნენ. აზნაურები კი არა, გაქვს ღვთის წყალობა, თავადებიც აქეთ მეხიწებოდნენ. სეხი ფარქანიძემ. ოთხი სახარების მადლმა. ოთხჯერ გამოვიგზავნა მამული, უფროსი შვილისათვის უნდოდა. სხვა ვინ გინდა: გიორგი მოჩიკინაძე, ვახთა გოკიკილაძე, მელიტონ უყოკაია... რა ვიცი! ახლა, დასწყველოს ღმერთმა! არც ერთი ხმასაც არ იღებს. ალბათ, გამიწყრა ღმერთი, ჭორი გამივარდა და სასიძოებიც დამიფრთხო.

— რა თქვენი საკადრისია, ბატონო!

— როგორ არა, შვილო, განა არ ვიცი: თოხიტარია შეყვარებიაო, რომ გაიგონებენ, მერე ვახთა გოკიკილაძე ახლოს მოგეკარება? ვახთას პაპას მთავრის ღვიძლი ბიძაშვილი ყავდა ცოლად...

— ეს მართალია, ბატონო, მაგრამ, — გაბედა მადინამ, — გოკიკილაძე მაინც და მაინც ბევრი სახეიროც არაა. დადიას ნათესაობა, კეთილი, მაგრამ მართო ამით ახლანდელ დროში ძნელია, ბატონო, ცხოვრება. ჭკუას ბრწყინვალეა არა სწამს, ჭკუას სწამს, ბატონო, კაი სადილი და კაი ვახშამი. გოკიკილაძეს კი, განა შენ უკეთ არ იცი, სიმინდის ფქვილიც ხშირად მის სახ-

ლწი საწამლოდ არ მოეძებნება. რაც საუკეთესო მიწები ჰქონდა, ზოგი განა-  
 საჩუქრა, ზოგი დამბაჩა-ცხენებზე გაყიდა და ზოგიც დააგერევა. შარქმანწინ,  
 ერთი წითური ყაზახი რომ არის, ნაყვავილარი, ჯაგარს, ყელმ-ქიდეულებდა,  
 იმას მისი მიწა, ათი ქცევა ჰქონდა, ისეთი აქვს დაგირავებული, რომ ბაბუშერას  
 აქეთ მავისთანა მიწა ძვირია.

— ეს მეც ვიცი, მარა... — ცოტა დარცხვენით მიუგო ბასილმა, — რაც გინ-  
 და იყოს, მაინც თავადიშვილია ის კაცი. დიდ ხეს დიდი ნაფოტიც დაუცვივო,  
 ზომ გაგიგონია? ჯერ კიდევ ბევრი მამული აქვს.

— უარესი სადარლო ღმერთმა ნუ მოგცეს, ბატონო. თქვენი შვილი-კი...

— დაჩქარებით მინდოდა და... აბა რა დაგიმალო, — გულახდილად უთხრა  
 ბასილმა: — ერთი კაცი კი მეძლევა...

— ვინ ყოფილა, ბატონო?

ბასილი ერთ წუთს შეკოჭმანდა.

— სალაპარაკოდ კი არ მოგცემ, ჯერ გადაპრით რამე მეც არ ვიცი... თენ-  
 გიზ შექერავა მეძლევა, ხომ გაგიგონია?

— ყვე, რას მეუბნები? როგორ არ გამიგონია, იმასაც თავის დროზე ბევრი  
 ურბენია ჩემთან!

— ჰო, ცოტა ხნიერი კაცი კი უნდა იყოს, ასე ოცდაათუთხმეტი წლისა,  
 მაგრამ ეს ბევრი არაფერია. სხვაფრივ კაცი კაი მოსახლეა, კაი აზნაურიშვი-  
 ლი, საბუთი ისეთი შეუტანია, ქვას ხეთქავს, ადგილ-მამული ბევრი აქვს...

— კი, ბატონო, კი, ბატონო, ვიცი, ვიცი, იმას კარგად ვიცნობ. ერთ დროს  
 ჩემი შაგირდი არ იყო? — ამ უკანასკნელ სიტყვებს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი  
 მაძინიამ, თითქოს ამით ის უნდა გააგებინოს, რომ თუ კაცი ჩემი შაგირდი  
 იყო, ე. ი. როცა მე ქურდობა-ავაზაკობას მივდედი, მაშინ, თუ ჩემთან ვარ-  
 ჯიშობდა, სულ უკანასკნელი, ორმოცი წლისა და მეტისაც იქნებო.

— ჰო, ჰო, ახალგაზრდობაში იმასაც კი უყვარდა ღამ-ღამ სიარული, მაგ-  
 რამ ეს ვის არ გამოუცდია! სხვაფრივ კი, მოგეცა ღვთის წყალობა, გვარიანი  
 სულმოდგმული კაცია, — დაიმშვენა პირი ბასილმა.

— ჩინებული სასიძოა, — გაბერა მაძინიამაც, თუმცა გამოცდილი თვალები  
 ადვილად შეამჩნევდნენ, რომ ამ ამბავმა ძალზე შეაფიქრინა მეწისქვილე.

— გოგო კი რას ამბობს, ბატონო? — შეეკითხა მაძინია.

— რივიან საქმროს თუ ამომირჩევთ, წავეყვიბო.

«ყვე, ეს არაა კაი ამბავი! — ფიქრობდა მაძინია, როცა ბასილი წავიდა. — ეს  
 კარგად უნდა შევიტყო. თუ მართალია, შენი მტერი, ბევრ დავიდარაბას შეგ-  
 ვახვედრებს. იქნებ გოგოს უნდა? მაგრამ არა მგონია, იმას რაღა წაყვება?  
 ოცდაათუთხმეტი კი არა, ორმოცდახუთისაც იქნება. ქმრად კი არა, ტასიას პა-  
 პადაც გამოადგება».

გავიდა ორიოდე დღე ამის შემდეგ. სექტემბრის შუარიცხვები იყო. მაძი-  
 ნიამ ისადილა და ჩვეულებისამებრ ხმელ ფიცრებზე წამოწვა.

— გრ! — გაისმა გრიალი წისქვილის უკანა კედელზე. მაძინიამ თავი მალ-  
 ლა ასწია. კედელზე მეორე ბელტიც აგრუხუნდა.

მაძინიამ საჩქაროდ წისქვილს უკანიდან მოუარა, სიმინდებში შეიხედა და  
 თუმცა შორს იყო, მაინც იცნო ტასია.

სწრაფად მიუახლოვდა.

— თალბი ჩაგიცვამს და ვერც გიცანი! — მიეხმაურა მაძინია.

— მაშ თეთრს ხომ არ ჩაეცვამდი მგლოვიარობის დროს? — ვითომ და გაეხუმრა ქალი, მაგრამ მის სიტყვებში მწუხარება უფრო გამოეკრთოდა, ვიდრე ხუმრობა. ისინი ხშირ სიმინდებში შევიდნენ.

— მე, ვიცოდი. — სთქვა მადინიამ მცირე გამოლაპარაკების შემდეგ. — თვითონ მითხრა, მაგრამ ასე აჩქარებით გადაწყდებოდა, არ მეგონა. ა, როგორ უჯობს საქმეს?

— მეც იმითმ მოვედი შენთან, რომ მიჩიო რამე. როგორ ვქნა, თავი მოვიწამლო თუ წყალში დაეხრჩო? — სთქვა აქვეითებულმა ტასიამ.

— ქვეყანა ყირაშალა ხომ არ გადატრიალებულა, შე დალოცვილო, მაშინვე წყალს და შხამს რომ მივარდებით, რძის ფაფა ხომ არ არის?

— ქვეყანას რა გადატრიალებს, მაგრამ ჩემი საქმე კი სამუდამოდ გაფუჭდება. ჩქარობენ, ძალიან ჩქარობენ. ის კაცი, თუ შეატყობინეს, ზეგ კარზე მოგვადგება...

მადინია დაფიქრდა.

— ერთს ეჩხამ. — სთქვა ტასიამ: — მოდი ერთი საწამლავს დაეღვე რასმე, სასიკვდილეს კი არა, ავად გასახდომს და იმდენხანს ან მარხვა მომასწრებს, ან სხვა რამე...

— ყო, რას ამბობ? — მიუგო დაფიქრებულმა მადინიამ. — გაჩვენეს ის კაცი? — ჰკითხა ბოლოს.

— მაჩვენეს.

— სულ არ მოგეწონა?

ტასიამ მწყრალად გადახედა:

— შენ შირჩედი მაგის წაყოლას?

— რა ვიცი ახლა: ვის როგორ მოსწონს.

— შენ, მგონია, იცნობ იმას?

— როგორ არ ვიცნობ: თენგიზი, ცეცხლ-მოკიდებული, ჩემი ნაშაგირდალი არ არის? მაინც ახლა ზენა ქარივით საიდან გამოვარდა, ის ოჯახსაქცევი? ჩქარობენ კიდევ, ერთ თვეს მაინც მოიცდიდნენ... რას გეტყვი, იცი? — ღინჯად მიმართა მადინიამ. — შენ ნამდვილად ვიყვარს ის ბიჭი?

— მიყვარს, — მტკიცედ მიუგო ტასიამ.

— ნამდვილად?

— ნამდვილად.

— კარგი... იმასაც ეგრე უყვარხარ?

— ვუყვარვარ, მგონია: ვიცი, რომ ვუყვარვარ. პატარობიდანვე ერთმანეთის მეგობრები ვიყავით...

— მაშ ერთს გეტყვი: მე მენდობით თუ არა?

— შენი ნდობა რომ არ მქონოდა, არც აქ მოვიდოდი...

— უკიდურეს ზომას უნდა მივმართოთ. სხვაფრივ შეუძლებელია. იცოდე, რაც მე გითხრა, სიტყვა-სიტყვით უნდა შეასრულო. რას მოვიმოქმედებ და როგორ მოვიმოქმედებ, ყოველისფერს ეხლა ვერ გეტყვი, რადგან კარგად მეც არ ვიცი. ამ მოკლე დროში ერთი თავი და თავი მძიმე საქმე უნდა შევასრულო. შენ იმდენი ეცადე, რომ ორი კვირა როგორმე გააჯანჯლო და აქაურ ჯვრისწერას არ დასთანხმდე.

— აქაური ჯვრისწერა ბაბასაც არ სურს.

— აი უშველა ღმერთმა! — მზიარულად წამოიძახა მადინიამ. — ეს კარგი

მითხარი. გული ვაიმაგრე და იყავი ძველებურად. კარგი-თქვა, <sup>ღეთიხმე,</sup> მხოლოდ ორ კვირაზე ადრე და აქურ ჯვარისწერაზე არ დაფანტვულა. <sup>ქვეყნის</sup> ტასია საბლში წავიდა. მაძინია წისქვილში დაბრუნდა. <sup>ღვივ</sup> მოწეა და ფიქრს მიეცა.

„უნდა გავისხენო ყმაწვილკაცობა, სხვა გზა არ არის! — ამბობდა გულში მაძინია. — თავდაპირველად ფოთში უნდა წავიდე, მარა ისე კი რომ, ჩემ გარდა, აქ არაინ იცოდეს. უნდა შევიტყო, ის კაცი რას ფიქრობს. თუ ღვიძლი აქვს, ახლა გამოჩნდება და თუ არა, ტურას თავი პაპა მისს... მოვახერხებთ, მგონია. ერთი გამოცდილი კაცი იმათაც უნდა მიშოვნონ... არაფერია, მაძინიას ბევრი უარესიც მოუხერხებია“...

## 13.

კონსტანტინე ტომბაშვილი დახლთან სკამზე იჯდა, ცალი ხელი დახლზე ედო და თითებს ათამაშებდა. თუმცა ორმოც წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ჯერ ერთი ქალარაც არ ერია, საზე ნორჩი ჰქონდა, მზიარულად გამოიყურებოდა. დახლს შიგნით ფარნა იჯდა, წინ გრძლად გადაკეცილი, ანგარიშებით აქრელებული ქაღალდები ელაგა.

— ეს სულ დღევანდლებია, ფარნა? — ჰკითხა კონსტანტინემ.

— არა, გუშინდელიცაა. გუშინ დამოენაში ბევრხანს დამავიანდა და თეთრ დავთარში გადატანა ვერ მოვასწარი.

— კეთილი! — სთქვა კონსტანტინემ და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ განაგრძო: — სად არის ის კაცი, ამდენხანს რომ არ გამოჩნდა?

— ივანე? — ჰკითხა ფარნამ.

— ჰო!

— გზაც დიღია და საქონელსაც ბევრს ვერ დაუძალებენ. მდინარეებია გასასვლელი, ერთი, მეორე. აფხაზეთიდან კაი ძალი გზაა.

— ღმერთმა თუ მშვიდობით ჩამოიყვანა, იქაური საქონელი ახლა მსუქანი იქნება, ხორცსაც კარგი ფასი აქვს. არ ვიზარალებთ, მგონია. სიმინდის ფასიც რომ არ დაკარგულიყო კიდევ ერთ წელწაღს მაინც, ფულებს კი ვაეკეთებდით გვარიანად...

— ჰაი, ჰაი! — ნალვლიანად დაეთანხმა ფარნა. — ის ჩემ ჯინაზე მოხდა, მე რომ სიმინდის ყიდვა არ დამეწყო, ფასი არ დაეცემოდა...

— მერე, როგორ დაეცა... დღეს დილით ბუხთისკენ ფართხუნია ვნახე. ქილაში, ფუთში კი არა, ქილაში აბაზ-ხუთ შაურზე მეტი თუ მიეცი, საზარალოა.

— ნწ, ნწ! — უცმაყოფილოდ თავი გააქნია ფარნამ. — ახლა რომ ავეთი ვაქრობაა, სიმინდის ფასი სოფლებში ორი აბაზი მაინც რომ იყოს, მაშინ რალა იქნება?

— ოხო-ხო, მაშინ, მგონია, ხუთი ბიჭი კიდევ დაგვეჭირდებოდა.

სრული შუალამე შესრულდა. ფარნა თოხიტარია ფეხთგახდილი და ახალუხის დილებგახსნილი მაგიდასთან იდგა და ისევ დავთარს ათვალერებდა. მოგების წყურვილს იმდენად გაეტაცნა ყმაწვილი კაცი, რომ დავთარს ვერ ამოკრებდა. უკანასკნელად ერთხელ კიდევ ათვალეირ-ჩაათვალეირა დავთარი, მერე ახალუხის გახდას შეუდგა. სწორედ ამ დროს კარები ვიღამაც დააკაუნა.

— ვინ არის ნეტავ? — გაიკვირვა ფარნამ, ახალუხის საყინძებს ხელი გაუშვა და ყური დაუგდო.





კაცუნი განმეორდა.

— ვინ სახლკარ-დაქცეულია ამ შუა ღამეში? სამიკიტნო ხემაკიტნო ანის? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ფარნამ, შიშველი ფეხები კალთებში ჩადგა და ახალუნის ღიღების ბნევით მალაზიაში გავიდა.

— ეინა ხარ? — დაუძახა მან.

— მე ვარ, მე, — მოესმა მეზობელი მიკიტნის ნოქრის ნაცნობი ხმა.

— ფილიპე ხარ?

— მე გიბრძანებ!

— შენს რუმბივით გაბერილ აღას უბრძანე. რამ აგიშალა ამაღამ საღერღელი? რა გინდა ამ შუაღამეში, ღვინო ხომ არ შემოგვლია?

— თუ გინდ შენც ჩაგახჩიობ ღვინოში... აგერ ვილაცა გეტებს.

— ვინ? — გაიოცა ფარნამ.

— რა ეცი, შენი სოფლიდან უნდა იყო.

მკითხველი მიხვდება, რომ მამინია იყო. იგი შუაღამისას ჩავიდა ფოთში. ფარნას ძალზე გაუკვირდა. არ იცოდა, რა ეფიქრნა. გაიფიქრა, უბედურობა რამე მოხდა.

— არავითარი უბედურობა არ მომხდარა, თქვენ სახლში ყველანი კარგად არიან, მხოლოდ შენთან პირად ძალიან საჩქარო საქმე მაქვს და ერთ წუთს აქეთ გამოდი, — ხმადაბლა უთხრა მამინიამ.

— აქ შემოდი, შე კაცო!

— ცხენი ამ შუაღამეში აქ დავტოვო?

— რა უჭირს, სვეტზე მიიბი.

— ოო, თქვენ ჯერ კიდევ ბევრი გაკლიათ, ბაბაია! მე ცხენიდან ვერ ჩამოვალ. გამოდი ერთ წამს!

— კაცო, რას მეუბნები? ხის ტოტზე ხომ არ ვზივარ? ბიქს გავაღვიძებ, უკანიდან თავლაში შევაყვანიებ.

— ახლა შენც ერთი, დღესტრიკებსაც დაუძახე! მე, ბატონო, წუთებს ვიოვლი, ამაღამ ისევ ჭყონონაში უნდა ამოვეყო თავი, — მტკიცედ უთხრა მამინიამ.

ფარნა ვერ მიმხვდარყო, — რაში იყო საქმე, თუმცა გულმა ცოტად კი უგრძნო, რომ ტასიას რაღაც უსიამოვნება უნდა შეხვედროდა. ოთახში შებრუნდა, საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა, ნაბადი წამოისხა და გარედ გავიდა. რიონის პირისკენ გაემართნენ და ერთ ბნულ ალაგას გაჩერდნენ.

მამინიამ მოკლედ, მაგრამ დალაგებით უამბო ყველაფერი. ანთებული სანთელი რომ ვინმეს მიეტანა ფარნას სახესთან, შენიშნავდა, თუ რამდენად შემფოთებული იყო იგი. გაშეშდა, სიტყვის თქმას ველარ ახერხებდა, ბოლოს, როგორც იყო, მწარედ ამოიოხრა.

— რამ შეგაშინა, შე კაცო? მე აგერ არ ვარ. ჰაიტ, შე ძაბუნო! გროშად არა ღირხართ ახლანდელი ბიჭები! — გული გაუკეთა მამინიამ.

— ბანძლი თუ გინდა ეს არის! — მწუხარედ წარმოსთქვა ფარნამ. — ის ოხერი ბარათი...

— ახლა მავნაირებზე ჩივილი არ ვარგა, ახლა ვაქცაობაა საჭირო.

— ეგ ყოველისფერი ვიცი და სიცოცხლეს არ დავშოვავ. მაგრამ ეს მითხარი, შენ რით გადაგიხადო ამდენი დავალება?

— მაგისტანებსაც თავი დაანებე: მე თუ მათქმევინებ, ერთი წუთი ერთ მა-

ნათად მიღირს. ვინმე ნაცნობმა თუ მნახა აქ ამ ცხენით, დედა, დედა, რა დატრიალდება! შენ მხოლოდ გეტყვი, თუ ვარჯხარ, ახლა გეშინდება, ჩემზე კი სრული იმედი გქონდეს. ყური მოიტა აქ, — უთხრა მაძინიამ დედას და წინასწარ წუთს ყურში რალაცას ჩასწორებდა. მას მაინც ეშინოდა, სიბუნელი-ში ყურს არავინ გვიგდებდესო.

— ყა, რავე შეიძლება?! — გაიოცა ფარნამ.

— შე ვიცი, ბატონო, როგორ ჯობია! — მიუგო მაძინიამ. — შე ბასილ მძებრადეს კარგად ვიცნობ. გოგო თუ გინდ დღესვე წამოგყვება, მაგრამ ბასილი არ იზამს. სხვა თუ არ მოკლა, თავს მაინც მოიკლავს... მე რომ გეუბნები, ისე თუ მოხერხდა, მაშინ სულ სხვაა: გულს მოიყვანს, რა თქმა უნდა, მაგრამ დროება მაინც ყოველისფერს გაასწორებს. ვაეკაცობას ბასილი მძებრადე დააფასებს, იცოდე.

— კარგი, მაგრამ შენ რომ ამბობ, ამისი მოხერხება სთქვი რავე შეიძლება?

— რაც შეიძლება, ის მე ვიცი. შენ მხოლოდ ერთი დახელოვნებული, კაი ღვინის მსმელი კაცი უნდა იშოვნო. ისე უნდა მოხერხდეს, რომ ის კაცი იმათ მაყრებში მოყვეს. ეს თუ შეეძელით, მაშინ ადვილია. ყოველ შემთხვევაში, ამ დღეებში ჩემად უნდა ამოხვიდე ჭყონონაში...

მაძინია წისქვილში დაბრუნდა და ნელა კარი შეაღო. თითქმის თენდებოდა. სამივე დოლაბს გრიალი გაჰქონდა. ბეჩუნა მაძინიას ხმელ ტახტზე პირალმა იწვა და გემრიელად ხვრინავდა. ორი გარეშე სოფლელიც ტომარებზე იწვა. მაძინიამ საჩქაროდ გაიხადა და ტომარის გვერდით დაეგდო. მაშინვე შეკვდარი-ვით დაეძინა...

— რა მაგრა სძინავს მაგ ოჯახდაქცეულს! — მოესმა ყურში მაძინიას. — აგერ შუადღე კი იქნება და ერთხელ არ შენძრეულა. ხომ არ დათვრა სად-მე ნეტავი? — ამბობდა ვილაცა.

მაძინია ცოტ-ცოტად გამოერკვა და ბოლოს თვალებიც გააჭყიტა. მთელ ტანში სიმძიმეს გრძნობდა, წვივები და კანჭები ეწოდა.

— არ გაიღვიძო, არა, ჯერე, თუ კაცი ხარ, ერთი ტომარა კიდეე მაქვს და-საყრელი, — მოესმა ხმა.

მაძინია გადაბრუნდ-გადმობრუნდა, მიიფხან-მოიფხანა, რამდენჯერმე გაიზმორა, ფეხები გაკიმა და მიიმედ და ზანტად წამოდგა. წისქვილში მხოლოდ ერთი გარეშე სოფლელი იყო.

— ბეჩუნა სად არის? — თვალების ფშენებით და მთქნარებით იკითხა მაძინიამ.

— ბეჩუნა? — მიუგო ანტონიამ, — ბეჩუნა რა ხანია წავიდა.

— ბევრი ხანია წავიდა? — უახროდ და მთქნარებით წარმოსთქვა მაძინიამ.

— ცოტა ხანი კი ნუ გგონია, შენ რომ გძინავს. წუხელ ბევრი ხანი ვილა-პარაკეთ შე და ბეჩუნამ, შენ გიცადეთ, მაგრამ შენ ვერ მოგვესწარი და ჩვენ დაეძინეთ. დღეს დილით, ჩვენ რომ გამოგვეღვიძა, შენ გეძინა. ცოტა ხანი მოგიცადეთ, გიჯიკავეთ, მაგრამ არა გეშველა-რა, ბეჩუნას უნდოდა, ლოგინ-ზე დაწოლილიყავი, მაგრამ ძვრაც ვერ გიყავით. სწორედ დღეს ჩემი თვალით ვნახე: ძილს სასთუმალი არ უნდაო, არაკად რომ იტყვიან. ბეჩუნიას, ბალაჭუ-ჭუებით სავსე კაცს რა გააჩერებდა! მაშინათვე გაიტყა.

— ოო, — ლულულულებდა მაძინია, ხშირ-ხშირად ამთქნარებდა და თანდა-თან ერკვეოდა.

— კარგა ხანი დაგავიანდა, სანადიროდ იქნებოდი... ა, შე კოსკე შენა მავისთანებს კიდევ არ დაანებე თავი? — გაეხუმრა ანტონია.

— შე კაცო, ვალი ემართა ერთ კაცს. შინ არ დამიხვდა. ვუტალი ვუტალი, ძლივს მოეთრია, მერე ვილაპარაკეთ. მერე მოხუცებული კაცი რომ წამოვჩანჩალდი...

— ამოიღე რამე? — დაეკითხა ანტონია.

— იმდენი ღმერთი მისს ოჯახს ააშენებს! განა არ გაგიგონია: ვალი იქით მიიცინის, აქეთ კი ტირილ-ტირილით მოლოდავსო.. რა ვქნა, არ ვიცი, აგერ ზამთარი კარზე მომდგარია, არც ნაბადი მაქვს და არც სხვა რამე. ხანში შესულმა კაცმა ყოველ დღე სად ვიარო! იმ სიშორეზე ვალის ამოსაღებად? წუხელის კინაღამ ხუთ ალაგას ფეხი მოვიმტერიე, ცალკე წისქვილის დარდი...

— წისქვილს რა უქირდა, ისე ფხიზლად ვიყავით, რომ...

— ეი, გეტყობოდათ სიფხიზლე, — დაცინვით მიუგო მაძინიამ.

— ამას თავის დღეში არ დავიჯერებ! — შემოილაპარაკა ამ დროს ერთმა გლეხმა.

— ნანდულად ასეა და თუ არ დაიჯერებ, შენი ნებაა, — მიუგო მეორემ.

— რა ამბავია, რა მოხდა? — იკითხა მაძინიამ.

— ხომ ნახეს ლავრენტის ცხენი? მე ვამბობ, რომ...

— სუ, თუ ღმერთი გრწამს! — გაიოცა მაძინიამ.

— პო-და, მე ვამბობ, რომ... — გააგრძელა პირველად შემოსულმა გლეხმა, — ცხენი არ იყო, ბატონო, მოპარული, ეს კი არ მიჯერებს, — და გადახედა მეორეს.

— მოპარული რაეა არაა, — წამოიძახა მეორემ, — ჩემი თვალთ ვნახე, ცხენი ძლივს სდგას ფეხზე.

— რომ მოეპარათ, სისო, იმას ის კაცი უკან არ მოაბრუნებდა, ან საჩხერეს, ან წებელს აჩვენებდა.

— მაშ იმ ცხენზე, შენი ფიქრით, კაცი არ მჯდარა?

— რა ვუყოთ, რომ მჯდარა, ეს კიდევ არაა მოპარეა. შეჯდა ვილაც ღვთისგან მოძულეებული, საღდაც წავიდა და ისევ მოვიდა, მეტი არაფერი. ას ხატზე დავიფიცებ, რომ ეს ასეა და ახლა ეს მაინც და მაინც აბრაგიაო, მთელ სოფელს ეზუკუცია უნდა ჩაუყენონო...

— ძლიერ დახედნილია ცხენი? — იკითხა მაძინიამ.

— მეტის-მეტი, — მიუგო სისომ. — რაეც გინდა, ისე სთქვი. ეს საქმე დარისპანა ქუნჩიას არ აკლია, — მაინც არ იშლიდა სისოს.

— აბა სხვა ვინ გახედავდა ამისთანა საქმეს? — კვერი დაუკრა მაძინიამაც ისე გულგრილად, თითქოს ამ საქმეში არავითარი წილი არ უღვესო.

იმავ საღამოს მაძინიამ უნაგირი თავისს ადგილას ჩამოჰკიდა. პატრონს არც გატანა გაუგია, არც შეტანა...

კონსტანტინე ტომბაშვილი ძალიან მოწყენილი და დაფიქრებული იჯდა მაღაზიის უკანა ოთახში და მტერისაგან საკმაოდ შეგუესილ ფანჯარას შეჰყურებდა. ფარნა თოხიტარიაც არა ნაკლებ მოწყენილი იქვე კუთხეში იდგა და მორცხვად ძირს იყურებოდა.

— რას მეუბნები, კაცო, რას მეუბნები?! — წამოიძახა კონსტანტინემ და ფარნას შეხედა. — ნამდვილად გადაწყვიტე შენ გულში ეს საქმე?

ფარნა ხმას არ იღებდა, მხოლოდ თავი უფრო ძირს დახარა.

— რას ამბობ, კაცო? — უფრო და უფრო ცხარობდა კონსტანტინე — მე ჯერ სიზმარში ვარ, მგონია. დიდება შენდა ღმერთო! ბასილ მძებრატე? სადა- ურო სადაო, წმინდაო საბაო. კი გამიგონია, ვიცნობ კიდევ, <sup>სადაცაა მისი მისი</sup> ~~სადაცაა მისი~~ <sup>მისი მისი</sup> ~~მისი~~ ტომ მძებრატე რა იყო მისი, ნეტავ?

— ბიძაშვილი თუ რაღაც, დასწყევლოს ღმერთმა მისი თავი, — უგულოდ ჩაიჩურჩულა ფარნამ.

— მართლა დასწყევლოს! რა ჩემ საეშმაკოდ გააჩინა ისინი ღმერთმა!... კაცო, წარმოდგენილი გაქვს თუ არა, რაც მითხარი? აწონილი გაქვს თუ არა, რა სიმძიმე საქმეს ეტანები? აი ასეთი გატაცებული ხალხი ხართ, შვილო, ახალგაზრდები! თქვენი ფიქრით, ქვეყანა სათამაშო ბურთია, როგორც გინდათ, ისე აგორებთ თქვენ სურვილზე. ბიჭო, შენ ჯერ ცოლი კი არა, ტუჩებზე რძე არ შეგმრობია. ორი შენზე უფროსი კიდევ არის ჯერ უცოლო. ეს თუ გინდ ბევრი არაფერია. საღდათობა წინ გიძევს. შენი ძმები ძლივს გადავარჩინე. სულ ერთი და იგივე მაღლიანი კაცები ხომ არა სხედან იმ დალოცვილ პირსუსტიაში. ვინ იცის, როგორ დატრიალდება საქმე?

— რაც უნდა დამემართოს, ეს გადაწყვეტილია... თავი ცოცხალი არ მინდა, თუ... — ჩუმად წაიბუტბუტა ფარნამ.

— დიდება შენდა ღმერთო! რა სასოწარკვეთილი ხალხია! — პირჯვრის წერით წარმოსთქვა კონსტანტინემ. — ბიჭო, შენ კი გეწყინება და შენი დაბადების დღეს, ალბათ, გვარიანი ბიჭი ვიქნებოდით. შენ სახლში რომ პირველად მივედი და ივანე რომ დავიპირე, მაშინ შენ სულ პატარა იყავი. ვახსოვს, აბაზიანი რომ გაჩუქე?

ფარნამ მორცხვად ჩაიციხა და თავი უფრო ძირს დახარა.

— მაშინ მე, ეხლა რომ მიყურებ, ის კონსტანტინე ვიყავი, მაშინაც თითქმის ასეთივე გამოწყობილი იყო ჩემი მალაზია. შენ რად გეწყინება და მე მაშაპაველიც კი მამული მაქვს. სახლ-კარი როგორი გვაქვს, შენც კი იცი. მაგრამ ხომ ხედავ, ჩემო ძმაო, ვერც მე. ვერც იოსები ჯერ ცოლის შერთვას ვერ ვბედავთ. ცოლ-შვილი ტვირთია, დიდი მოვალეობაა. გარდა ამისა, რა იცი, რა ხასიათისა ვამოვა? ახლა შორიდან რომ კოცნით ერთმანეთს, ეკალი ვარდათ გეჩვენებათ, ჩემო ბაბაია, და რომ ერთმანეთს დაუახლოვდებით, ვარდი ეკლად მოგეჩვენებათ. ამის მაგალითი ერთი გინდა, ოცი თუ ათასი!

— ეს ყოვლისფერი მეც მესმის და ასე ნაჩქარევად არ მინდოდა, მაგრამ საქმე ასე დაიხლართა... — ჩუმად მიუგო ფარნამ.

— თოლი, ღმერთი ამოგაღებს ყველა მძებრატეებს! ის გოგოც რა ჩემ ჭირად გაჩენილა! — თითქმის შეჰყვირა კონსტანტინემ. — წიე, მეც ისაა, ცეცხლს რომ მიკიდებს! შენ ნუ გეწყინება და მძებრატეები, ბაბა, როგორც ყველა ჩვენი აზნაურები, თავმომწონე ხალხია. რომ არ ეცვას, მაინც თქმობები ჩამტვრეული აქვს ამყობით, მაინც ფართე-ფართეს ლაპარაკობს... ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არაა ახალ ტარზე დაგებული, ჯერ კიდევ ძველ ტარზე კანტალობს, თუმცა კი საცაა მოვარდება... პირად მე თუ მკითხავ, კისერიც მოუტეხია მძებრატესაც და სხვა აზნაურებსაც. მძებრატის კი არა, ნეტავ დადიანის ქალი შეირთო, მე რა დამაკლდება!.. შენ მე ჩემი ოჯახიდან არ გყოფ, მაგრამ სადარდელი ისაა, რომ აქ საქმე ნებაყოფლობაზე და მშვიდობიანობაზე არაა: ატყდება ქალის ღედ-მამა, ნათესავები, მტერ-მოყვარე, ჰაი ასე, ჰაი ისე, ატყდება ერთი განგაში, გაიმართება აყალ-მაყალი, დაითესება მტრობა, შეიძლება საქმე სისხლის ღერამდე მივიდეს, ან კიდევ მოკვდეს ვინმე. მერე

სისხლის სამართალი, გამომძიებელი, პროკურორი და დავიდარაბა. ერთი სიტყვით, აბრაგი უნდა გავხდეთ, რაღა! ქე მაინც მალაზია დავეკეთო და მხარზე ბერდენა გადავიკიდოთ. ან ხარჯი რამდენი წავა, ან რა რამდენი დაიკარგება! ვინც ჩრდილ-ქვეშ წამოწოლილია და უსაქმობაშია, მკვრივები სტკივა, იმისთვის ამისთანა დავიდარაბა მისწრებაა. მაგრამ ჩვენთვის? სინდის-ქვეშ სტკევი, ორი კვირაც რომ დაკარგო, რამდენად საზარალო იქნება? თუ დამიჯერებ და ეშმაკს მიაფურთხებ, ძალიან კარგს იხამ. დამერწმუნე, ახლა სისხლი სხვანაირად გიდულს, თორემ მაშინ, იცოდე, დამიმაღლებ...

მაგრამ ფარნას აშლილი ნერვები ასეთი ჰევიანური რჩევის მისაღებად ამ დროებით არ ვარგოდა. მან გულგრილად მოისმინა ადას სიტყვები და იმნაირი თვალებით შეხვდა, თითქოს ეუბნებო: ტყუილად ხარჯავ სიტყვებს, ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეაო.

გავიდა ამის შემდეგ ორი საათი და იმავ ოთახში შეკრებილიყვნენ: კონსტანტინე, მისი ძმა იოსები, ივანე, ფარნა და ერთიც ვილაც გრძელწვერა, მალალ-მალალი, ხანჯლით და რევოლვერით შეიარაღებული, მამაცი გამომეტყველების კაცი, რომელსაც მკერდზე წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი ეკიდა. ოთახის კარები დაკეტილი იყო.

— იცი, კოსტაია, რაზედ მოვიხმეთ? — დინჯად შეეკითხა კონსტანტინე თეთრ-ჯვარიანს.

— აბა, საიდან მეკოდინება? გულთმისანი არა ვარ! — სტკევა ეს უცნობმა და წვერზე ხელი ჩამოისვა.

— ერთი ისეთი მძიმე და მოულოდნელი საქმე გავიჩინა, საცა შენი დახმარება გვჭირია. თუ ვაჟკაცი ხარ, ვაჟკაცურად დაგვეხმარე და იცოდე, უბატვიცემლო არ დაგიჩნებით.

— რა არის, კაცო, ისეთი?

კოსტაია ტყობინჯელია ან, როგორც ზოგიერთები ეძახდნენ, კოსტაია აზნაურთაგანი იყო. როცა ბატონ-ყმობა გადავარდა, მამა მისს რვა მოსახლეყმა აღმოაჩნდა. ათი წლის შემდეგ ნაყმევებმა თავი გაინთავისუფლეს, ე. ი. მიზომილი მიწები შეისყიდეს, ამით ყოველივე კავშირი გაწყვიტეს ნაბატონართან და საეკუთარ ცხოვრებას დაადგნენ. კოსტაია მამის ერთად-ერთი შვილი იყო. უკანასკნელი ომიანობის დროს ადგილობრივ ცხენოსანთა რაზმში შევიდა და ციხისძირთან შეტაკებაში მსუბუქად დაიჭრა, რისთვისაც თეთრი ჯვარი მისცეს. ომის შემდეგ მამა მოუკვდა. დედა უფრო ადრე დაკარგა. ჯერ ცოლის შერთვა დააპირა, მაგრამ რაღაც კეჟაში არ დაუჯდა. მიჰყო ხელი და რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც მიწები ჰქონდა, მიჰყიდ-მოჰყიდა (მომეტებული ნაწილი მისმა ნაყმევებმა შეისყიდეს) და დარჩა ცარიელ-ტარიელი. სოფელში, აბა, რაღა გააჩერებდა და ისიც მოშორდა. მიჩნეული ბინა ერთ ალაგას არსად ჰქონდა. დღეს აქ იყო, ხვალ იქ. არავითარი ხელობა არ იცოდა და არავითარ საქმეს არ მისდევდა. იცოდა მხოლოდ ერთი რამ — ღვინის სმა. ამაში მართლა იშვიათად თუ ვინმე აჯობებდა. საკვირველი კიდევ ის იყო, რომ ძვირად თუ დაითვრებოდა. ჩხუბს და აყალ-მყალს არასოდეს არ ასტეხდა, თუმცა საკმაოდ გულადი კაცი იყო, და შეურაცყოფას არავის შეაჩენდა. ისე კი, მეტის-მეტად მხიარული, ზრდილობიანი კაცი და ტკბილი მომღერალი იყო და უკეთესი სამაყრო კაცი არ მოიძებნებოდა, და სოფელში თუ ქალაქში, თუ შემთხვევა იყო, უსათუოდ მიიწვევდნენ. ბანქო-ნარდის თამა-

შობაც უყვარდა. საცა უნდა მისულიყო, ყველგან სასურველი სტუდენტი იყო. ზოლო დროს ფოთს მიეჩვია, მთელი თვეებით რჩებოდა იქ. დრო მომეტებული ნაწილად ბანქოს სათამაშო ყავახანებში ატარებდა. **ქაქიძისული**

აი ამ კოსტაიას უამბეს ტომბაშვილებმა ფარნას და ტასის პრინციპებსა და მოკიდებულებს, მათი შეერთების დამაბრკოლებელი მიზეზები და დახმარება სთხოვეს.

კოსტაიამ ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, ფარნა აათვალისწინა-ჩაათვალისწინა და სიცილით წარმოსთქვა:

— შეხედეთ მაგ ყურუმსალს, ესლავე ხელი აზნაურისთვის რომ წაუბოტინებია! მაგრამ ან სად მიება, ან როგორ გაახერხა? ეს, ჩემო ბატონებო, მართლა რომ ძნელი საქმეა... ეს ისე უნდა მოხერხდეს, რომ ჩემზე ეჭვი არავინ აღოს...

— როგორც გინდა ისე მოახერხე, ოღონდ კი მოახერხე. ქალი ჩვენ მხარესაა, იცოდე.

— ქალი თუ ჩვენსკენ არ იქნება, როცა ჯარიც რომ გამაყოლო, ვერაფერს ვიზამ.

— ჩვენ გვინდა, არც ბასილი გაილანძლოს იმდენი და არც ეს პატიოსანი კაცი და ბრალი ამ შენისთანა, ვსთქვათ, მიწვეულ ხალხს გადაედოს. სამერ-მისოდ ასე ჯობია. ერთ დღეს მორიგება იქნება, ან მშვიდობა, — სთქვა კონსტანტინემ.

კოსტაია ჩაფიქრდა.

— იქ გვინდა რიგიანი ხელის შემწყობი, — წარმოსთქვა მან.

— ხელის შემწყობი ისეთი გეყოლება, რომ იმისთანას ვერსად მოსძებნი!

— ვინაა?

— მაძინია ჰქვიან, რულაია.

— რულაია? რომელი, ნააბრაავი ხომ არა?

— ის, პო!

— ვიცი, ვიცი. ის განა ცოცხალია? სად სახლობს ნეტავი?

— სახლობს კი არა. ის არ გინდა! მეწისქვილეთაა ჭყონონაში.

— კი მინახავს, კი მინახავს. თუ ძლიერ მოხუცი არაა, ივარგებს, თქმა არ უნდა.

— მოხუცი კი არა, შველივითაა, — მიუგო ივანემ.

კოსტაია გამხიარულდა, წვერ-ულვაშზე ხელი ჩამოისევა.

— აბა, შენ იცი, კოსტაია, და ჩვენ, იცოდე, უმადური არ დაგირჩებით. მე ვაქარი კაცი ვარ. აღთქმა, დაპირება და მაგნაირი აფხაზური წესების არა ვიცი-რა. თუ საქმეს, როგორც ვითხარით, ისე მოაგვარებ, აი შენი საჩუქარი, — კონსტანტინემ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ათთუმნიანი გამოაჩინა. კოსტაიას თვალები გაუბრწყინდა. — ეს ათთუმნიანი შენი საკუთრება იქნება, როცა საქმეს რიგიანად გაათავებ.

კოსტაია დაფიქრდა.

— მე, — სთქვა კოსტაიამ, — ბევრ რასმე ვერ გავაკეთებ. თავი და თავი, რასაც ვიზამ, ეს არის: ლაკარდისკენ წავალ. თენგიზ შქერავას ვიცნობ და ვითომ უცაბედად იმის სახლისკენ გავიარ. მე რომ დამინახავს, ალბათ, მიმიწვევს და შერე რაც შემიძლია, გავაკეთებ.

— აი, აი, ჩვენც ეგ გვინდა. თუ ეს მოხერხდა, სხვა თავის თავად მოეწყობა. რასაკვირველია, მაძინია წინდაწინ უნდა ნახო და მოელაპარაკო...

ასე დააწყეს და ასე მორიგდნენ საერთო თათბირზე. წახვლისას მკობრულად ხარისხის კავალერმა კოსტაია ტყობინჯელიმ ოცდახუთი მანეთი მინიჭ მიიღო კონსტანტინესაგან.

ერაკლესული  
შინაური

## 14.

ბასილ მძებრადის ოჯახში რაღაც არაჩვეულებრივი ფუსფუსი იყო. სამზადის სახლის კერაზე ვეებერთელა ცეცხლი იყო გაჩაღებული და ზედ სხვადასხვა საკმელი მზადდებოდა. ოდა ნათესავ-მეზობლებით დამათი ქალ-ვაყები იყო გაჭედული. უკანა ოთახში ბასილის ოჯახთან დაახლოებული რამდენიმე ქალი შეკრებილიყო: ტასიას საპატარძლოდ რთავდნენ. მარიკა კმაყოფილი სახით ხან შევიდოდა — საჭირო ტანისამოსს ან სხვა რამეს შეიტანდა, ხან სამზადისკენ წავიდოდა და სხვადასხვა დარიგებას იძლეოდა. თვითონ ტასიას თავი საკმაოდ თამამად ეჭირა, თუმცა სახე გავითრებული ჰქონდა.

— მე ვფიქრობ, — შეილაპარაკა მარიკამ და უკანა ოთახში ჩვეულები-სამებრ მიიმედ შევიდა, — რომ ამ აბრეშუმის კაბის ჩაცმა არ ღირს ამელამ. ამ ბნელაში ვინ ნახავს? ეხლა სამგზავროდ ის მიხაკისფერი შალის კაბა ჩავაცვათ და როცა იქ მივლენ, მაშინ გამოუცვლიან და საყდარში ამით წაიყვანენ.

დედის ხმაზე ტასიას მთელი ტანი ოდნავ აუკანკალდა, რამდენჯერმე მიიმედ ამოისუნთქა და დედას უკმაყოფილო თვალები შეაეღო. სხვა ქალებმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს. მარიკამ კი განაგრძო:

— სწორედ არ ურჩევ მაგ აბრეშუმის კაბის ჩაცმას. ამელამ ტყუილ-უბრალოდ ეკლესიაში მიეფხლიწება, კაბა კი ძვირფასია, გრანიცული აბრეშუმი...

— მე ეს კაბა მიჩვენია, — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა ტასიამ.

— ეცვას, ბატონო, ეცვას! — წამოეკომანდნენ სხვა ქალები.

— მე გავიგე, ბატონო, — წარმოსთქვა ერთმა აზნაურის ცოლმა, — რომ პირდაპირ ეკლესიაში მიიყვანენ და იმდენი დრო და ადგილი სად ექნებათ, რომ ეს გახადონ და სხვა ჩააცვან.

— თუ მასეა, კარგი! — დასთანხმდა მარიკა. — მაგრამ მოიცა, ერთს ვიკითხავ, ძუქუს მამას ეცოდინება, — სთქვა მარიკამ და ბასილის საძებნელად გავიდა.

ბასილ მძებრადე მეტად მხიარული და კმაყოფილი იყო. დღეს ხშირად მიდი-მოდიოდა ოდიდან სამზადში და სამზადიდან ოდაში, ეზოს ათვალეირებდა და სტუმრების დასახვედრად ემზადებოდა. ბიჭებს დარიგებას აძლევდა, როგორ მოქცეულიყვნენ. ყველას ტბილად ემუსაიფებოდა, ხუმრობდა და მხიარულობდა. ლეთის წინაშე, მართებდა კიდევ მხიარულება. დღეს აზნაური ბასილ მძებრადე ათხოვებდა თავის ერთად-ერთ ასულს ტასიას. ათხოვებდა აზნაურზე, ვინმე თენგიზ შექერავაზე. სხვადასხვა მიზეზისა გამო ქორწინება ისე ვერ მოაწყო, როგორც უნდოდა, მაგრამ რას იზამდა, საქმე აჩქარებულად მოხდა. მოლაპარაკება ასეთი ჰქონდა: თენგიზ შექერავა რამდენიმე კაცს გამოუგზავნიდა, ბასილიც ერთ-ორს ვისმეს გაატანდა და ქალს გაუგზავნიდა. ჯერ-ჯერობით, ერთი ცხენისა და ქალის უნაგირის გარდა, არაფერს აძლევდა. რამდენიმე თვის შემდეგ შექერავას ქალი უკან უნდა დაებრუნებინა. იმ ხნობით ბასილიც მოემზადებოდა, მზითვეს გამოუწყობდა, ნამდვილ ქორწილს გადაიხდიდა და საბოლოოდ გაისტუმრებდა. დღეს მხოლოდ შინაურულად ეწყობოდა ყველაფერი.

მზე ჩაეიდა, მაგრამ მაყრები არსად სჩანდნენ. ოდნავ შეშფოთებული ბასილი ეზოში ჩაეიდა, ეშინოდა, ეშმაკმა საქმე არ ჩამიშალოსო, ეჩქვინდა და მძინია გაჩნდა და მძიმედ თავის დაკვრით ბასილს მიესალმებოდა.

— სალამო მშვიდობისა, ბატონო! ბედნიერება, სიკეთე, მაგის ვაჟიშვილი ხუთი-ექვსი ღმერთმა მოგასწროს, — და სხვა ამგვარები უხვად მიაყარა მუწისქვილემ.

— ოხ, ჩემო მძინია! — გაუხარდა ბასილს, — ვმადლობ, ვმადლობ. მადლობა ღმერთს! ძლივს ძლივობით მოგაწყვე საქმე, მაგრამ ის ოჯახქორები რომ არა სჩანან!

— ჯერ რა დროს მათი მოსვლაა, ბატონო! ნამდვილი ქორწილი იყოს, სულ სხვაა, და ამნაირ დაჩქარებულ შემთხვევაში დღის სინათლეზე რომ მოვიდნენ, კიდევაც სირცხვილია.

— ჰო, ეს ასეა, ბაბაია, მაგრამ ხომ გაგიგონია: წყლის შეშინებული, ნამბა შეაშინაო. ვანა ასე სულწასულად მინდოდა საქმე? მაგრამ, რა ვქნა, შემთხვევამ ასე მოიტანა. კიდევ ეენაცვალე მის სახელს, გვარიან დროზე შევატყვეთოთრემ ჩემი ხელით კისერი გამოსაჭრელი გამიხდებოდა...

— წასული საქმე წასრულია, ბატონო, — ტუბილად მიუგო მძინიამ და ჩუმად უღვაშებში ჩაიციანა. — წასრული დაივიწყეთ, ბატონო, სამაგიეროს ღმერთი მომავალში მათი კარვად ყოფნით გადაგიხდით. ახლახან ვნახე, ბატონო, ერთი ლაკარდელი კაცი, — ალტაცებით განაგრძო მძინიამ, — და თენგიზზე ისეთი რამეები მითხრა კარგი, რომ სწორედ დიდად მესიამოვნა, დიდად დიდად...

— აა, მართლა? თუ გიყვარდე? — მოუთმენლად შეეკითხა ბასილი.

— ოხ, ბატონო, — გააზვიადა მძინიამ: — ყოვლისფერი გამოვკითხე. იმან, რასაკვირველია, ამ ამბის არაფერი იცოდა. მე ისე, სიტყვა გადაუყარო: როგორ სახლობენ, როგორ კარობენ თქვენში-მეთქი. აზნაურები ახლა სულ მოდგამილად ვინ არის-მეთქი. თენგიზ შქერავასავით მოსახლე და პურ-ღვინით ქებული ახლა, ამ დროებით არავინ, თითქმის მთელ ლაკარდაში, არავინ არისო, მითხრა...

— არა, მართლა, მართლა, სული ნუ წაგიწყდება?!

— აბა!

— ბასილი, ერთ წამს აქ მობრძანდი! — დაუძახა ვილაცამ ოდის აივნიდან. ბასილი საჩქაროდ მიბრუნდა.

— შენ არსად წახვიდე, მძინია, მეტი დაპატიება ნუ გჭირია, — მოსძახა ბასილმა.

მართლაც, როცა მთლად ჩამობნელდა, მაყრები მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ. შქერავას ახალგაზრდა ბიჭები გამოეგზავნა და მხოლოდ ორი კაცი, როგორც იტყვიან, „საქკუიანოდ“ გამოეყოლებინა. ერთი თავისი ბიძა, აზნაური სოლომონ შქერავა და მეორე — ჩვენი ნაცნობი კოსტაია ტუბინჯელია.

სტუმრების მოსვლისთანავე ბასილის სახლი გამხიარულდა. ყველა ხუმრობდა, ყველა იცინოდა. მაყრებმა სიმღერა შემოსძახეს, ქალებმა დაირაგაახურეს. შეიქნა ცეკვა-თამაში და დროს ტარება...

სალამოს ცხრა საათი იქნებოდა, როცა სტუმრები ვახშმად მიიწუჯეს.

— აბა, თქვენი ჰირიმე, ბატონებო: თუ კი არ დამაგვიანებთ, თქვენ იცით! — ხმაილლა სთქვა სოლომონმა, როცა ყველანი დასხდნენ. — დამე ბნელია, ბა-





ტონო, ცუდი, დამტრეული გზები გვაქვს. აქ ავიბარებთ, იქ მივალთ, ჯვარს დაეწერთ, ბევრი ხანი გავა. იქაც თქვენისთანა კეთილი და უკუტყუარები გვიცილიან... სიჩქარე გემართებს.

მამიებელი

— კი, კი, გენაცვალე! — დავმოწმა კოსტაია. — უნდა ძლიერ ვიჩქაროთ, ბატონო. მგონი, დავაგვიანდა კიდევ, თნგიშმა კი რაც შეიძლება, დაჩქარება გვთხოვა. ხომ მოგესხენებათ, სიძე კაცის ამბავი... გარდა ამისა, იქაური მღვდელი ძლიერ ჰიქყინა კაცი ყოფილა თურმე: შუალამეს თუ გადასცილდა, მერე ჯვარს არ წერსო. მე მაინც შემეძლოს ჯვარის წერა, თუმცა ერთი ჯვარი მეცა მაქვს, როგორც ვინდა ილაპარაკე, მეოთხე ხარისხის კავალური ვახლავარ!

— ჯვარს როგორ არ დასწერს! — წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა მყართაგანმა, რომელიც გასათხოვარ ქალოშვილების პირდაპირ იჯდა და შეთქვირებულ ვოგობებს შიშინოსავით შეჰყურებდა. — ჯვარს როგორ არ დასწერს! — გაიმეორა მან და ხმლის ტარს ხელი დაადო: — ქალაყველივით შუაში გავაგდებ!

— არა, ჩემო ბაბა, ჩემო ბატონო სოლომონ, — მშვიდად მიუბრუნდა ბასილი, რომელიც შუა დარბაზში იდგა და თავდარიღს იძლეოდა. — არა, ბაბა, მომითმინე! — აქ ბასილმა მარჯვენა ხელი მკერდზე მიიღო, მარცხენაში კი გრძელ-ტარიანი ყალიონი ეჭირა: — მართალია, ქვეყანა გადაბრუნდა და გადაირია, უფროს-უმცროსობა აღარაა... მაგრამ მაინც, რომ ვსთქვათ, ჯერ კიდევ ბასილი მჭვია. იცოდეთ, გული ჯერ კიდევ არ გამტეხია. თუმცა ჩემს მოსულებულობას ბევრი უსიამოვნება შეემთხვა, ღირსებაც საძებნელი გამიხდა... ქანის-წყლის აღმა დენას მოველოდი და მძებრადეს თუ აზნაურობის საბუთს მოსთხოვდენ, არ მეგონა! მაგრამ მადლობა ღმერთს! ეს მთელი ოდიშის საზოგადო გასაჭირია... დღეს ღვთის მადლით და ყველა ჩემი კეთილების შემწეობით ერთ-ერთი საყვარელი ბაღის რაღაც ბედნიერებას ვხედავ. ვაჟიც კი შეავს, მაგრამ ვაჟს კიდევ სხვა ჰქვია და ეს ბაღი კიდევ სულ სხვა ბაღანაა და რაკი ღმერთიან მისი ბედნიერება მაჩვენა, ასე აჩქარებულად, თქვენ რომ ფიქრობთ, როგორ შეიძლება?! მართალია, აჩქარებულად მომივიდა და თქვენი საკადრისი პატივისცემა არ გვაქვს, მაგრამ იმედი მაქვს, არ დამძრახავთ იმაზე, რაც არის, არ იჩქარებთ და ისიამოვნებთ...

— მართალია, ბატონო, თქვენი ბრძანება, მაგრამ... — დაიწყო სოლომონმა და ამ თავითვე ეტყობოდა, რომ ნახევარ საათს მაინც ილაპარაკებდა.

— აუ! უი! ვინ ხარ მამაკაცი?! — ისე დაიყვირა კოსტაიამ, რომ არათუ ყველანი გააჩუმა, სახლის კედლებსაც ხანხარი დააწყებინა. — სასწაული თუ გნებავთ, ამას ჰქვია: მოდგა, შენი ჰირიმე, ეს ბასილი მძებრადე, ეს ახალი ჩვენი მზახალი და დაიწყო ეამნი, მიყვა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ჩვენი თავიკაცი სოლომონ შექრავა და ეუბნება ალილოიას. და, როგორც ეტყობა, გათენებამდი ერთმანეთს ასე დაანუგეშებენ. შენ კი უყურე და უყურე! ღვინო ჩქარა უნდა დავლიოთ, პოლიტიკას თავი დაანებეთ, აჰაიტ!

— არიქა, ეცადე როგორმე, ჩემი ტიკები ამალამ გამოსწურო! — სიცილით მიმართა ბასილმა.

— ვაი შენს თავს! — თავმოწონედ გადასძახა სოლომონმა: — ეს სამიოთხი წელიწადია ღვინის სმას მოვუკელი, რაღაც დავსწუდი, თორემ შენისთანა ბიჭები ამას ვერ გამიბედავდნენ...

— შენ საღი ოთხი-კი არა, ოცი წლის წინედაც არ ბრძანდებოდით! ზემ-რობით მოუჭრა კოსტაიამ.—ბარიშნებო, ქალბატონებო, არ დაიჯეროთ, სულ ასე სანთელივით ჩაყვითლებული იყო. ოცდაათი წლის წინადაც შეგეს დაღუპული ორი ჭიქის ზევით კაცს არ უნახავს. ბეერს ნუ ლაპარაკობ: შეგიძლია თუ არა, აიღე ჭიქა და საქმეს შეუდექი, დაიწყე საღლეგარძელოები!

— იმდენი ღმერთი აგამენებს! — დინჯად ჩაილაპარაკა სოლომონმა. — ზუმრობა ზუმრობა და ტოლიმბაშობა მიუღოცოთ კოსტაია ტყობინჯელიას! — წამოიძახა სოლომონმა და ჭიქა ხელში აიღო.

— მე კარგად არ გახლავართ, ბატონებო, ექიმებმა ღვინის სმა ამიკრძალეს, — სთქვა ზუმრობით კოსტაიამ.

რადა ბეერი გავაგრძელოთ, ტოლუმბაშად კოსტაია აირჩიეს და ერთი საათის შემდეგ ყველა კარგა შეზარხოშებული იყო. ახალგაზრდა მაყრები ხარბად დაეწაფნენ სვირულ ღვინოს და კარგა შეთერნენ. თვით ჭალარა და თავაკად გამოგზავნილი სოლომონ შქერავა თამამად ველარ ხმარობდა ენას და როცა ვითომ ცხენების დასათვალღიერებლად გარედ გავიდა, ფეხებსაც სიმტკიცე დაეკარგათ. საკვირველი ის იყო, რომ თვითონ კოსტაიაც დაითრო, რაც მეტად იშვიათად ხდებოდა ხოლმე.

სალამოს თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა მაყრები ბასილის ეზოდან სიმღერით, დამბაჩების სროლით და ხმამაღლა ლაპარაკით გავიდნენ. მაყრად, რასაკვირველია, ძუკუც მიჰყვებოდა. წასვლის წინ ბასილმა ძუკუს საგანგებოდ დააბარა, ტასიასთვის ყური ვეღო და მის ცხენს არ მოშორებოდა. ბნელი და ცოტათი ცივი ღამე იყო და ყველანი ნაბღებსა და ყაბალახებში იყვნენ გახვეული.

ძუკუ ეზოდან გასვლის შემდეგ რამდენსამე ხანს მართლაც მისდევდა ტასიას გვერდში, მაგრამ როცა სახლს ერთი ვერსით დაშორდნენ, კოსტაიამ რაღაც ახალი სამასხრო სიმღერა დაიწყო და ყველანი ამღერდნენ, თუმცა ხმაშეუწყობლად. ძუკუმაც ჯერ შორიდან მოსძახა, მერე თანდათან მიუახლოვდა, ბოლოს მომღერლებში ჩაერია. კოსტაია ყვიროდა, ოხუნჯობდა, ვინ იცის, სადაურ საოხუნჯო ამბებს არ იგონებდა, ხარხარებდა, მგელივით ღმუოდა. ძალივით ჰყეფდა და ყველას ყურადღებას იპყრობდა.

ჭალა გაიარეს და ფერდობისკენ აუხვიეს. ფერდობიდან ღრმა ხევში უნდა ჩასულიყვნენ, სადაც პატარა ღელე მიჩუხჩუხებდა. ღელის კლდოვანი ნაპირები ხშირი ტყით, უფრო კი ბზის მაღალი ბუჩქნარით იყო დაფარული. ხევში ჩასასვლელი ბილიკი ისეთი დაქანებული და ვიწრო იყო, რომ ცხენოსნები უსათუოდ თითო-თითოდ უნდა ჩასულიყვნენ. იქ კოსტაია უფრო გამხიარულდა, მან ისეთი რამეები ჩამღერა, რომ ყველანი სიცილით იხოცებოდნენ.

— სწორედ ძვირფასია ასეთი კაცი, — სთქვა ერთმა.

— ეს რომ არ მოდიოდეს, დამეძინებოდა და ცხენიდან ჩამოვარდებოდი, — ამბობდა მეორე, არანაკლებ გადაკრული.

— არა, ის დიდი ჭიქა ჩემი დასალევი არ იყო, — სთქვა საყვედურის კილოთი მესამემ.

— საყოვლადწმინდო სულ დაგვაიწყდა! — გაიხსენა სხვამ და მზიარულად ჩაიკიჟინა....

— აფუ, აფუ! — მიიძახა რაღაცას კოსტაიამ, როცა მეორე სერზე აღიოდნენ და ბიჯურის ტყის ბოლოს უახლოვდებოდნენ. — აი დედანა, კაცის საქმე

ცოტა რამეა: ასე ერთი ხანია ღვინო არ მომკიდებია, მაინც რა მაგარი ღვინო იყო!

საერთო ხმაური და აურზაური შემდეგაც არ მინელეულა: მინელეულა და მინელეულა გაისმოდა მათრახების ტყაცა-ტყუცო, მღეროდნენ, ერთმანეთს წამაძლა ედევბოდნენ. ამასობაში ბიჯურის ტყეში შევიდნენ.

— სატახტო სულ უკან წამსვლია, ცხენი დამიშავდება, — სთქვა ცოტად გამოფხიზლებულმა სოლომონმა და ცხენი შეაჩერა.

— აგაშენა ღმერთმა, რომ გაგახსენდა! — გამოფხიზლდა მეორე: — ნათხოვარ ცხენზე ვზივარ, რომ დამიშავდეს — ხუმრობა როდია!

მეორეს — შესაშე მიჰყვა, შესამეს — მეოთხე და ყველანი შეჩერდნენ.

— მიდით, მიდით ერთი ვინმე! — დაიძახა სოლომონმა, — პატარძლის ცხენს მიხედეთ.

— აა, მართლა, აღმართ-დაღმართზე, აღბათ, უნაგირი მოეშვებოდა. აბა, ტასია, სადა ხარ? — დაიძახა ძუკუმი. — მაინც რა ბნელი ღამეა!

— საცაა მთვარე ამოვა და მერე გზა გაგვიადვილდება, — შენიშნა ერთმა მაყარმა.

— მიდით, ბიჭებო, მიდით!

— ელიზბარ, კინტირია, სისო, სადა ხართ? შენ არა, ბატონო ძუკუ, ბიჭები გაასწორებენ, — ზრდილობიანად მიუბრუნდა სოლომონი ძუკუს.

ბიჭებიც შხად იყვნენ ბრძანება შეესრულებინათ, მაგრამ თვით პატარძალი არსად სჩანდა...

— ღმერთო მომკალი ახლა! ღმერთო გამაქვავე! — თითქმის ტირილით ამბობდა სოლომონ შქერაეა.

— კაცო, რას ამბობთ, ხუმრობთ თუ რაე? — წამოიძახა კოსტაიამ.

— რა დროს ხუმრობაა, შე კაცო, ხუმრობა კი არა, დავლუპულვართ! არ ხედავ, კისერი გამოგვჭრია, პატარძალი დაკარგულა! ვინ მოსდევდა, კაცო, პატარძალს?

— ჯერ მე მოვდიოდი მის გვერდით და როცა... რომ... — დაიბნა ძუკუ.

— ახლა აქ იყო, მგონია, — სთქვა ერთმა.

— გაღმა ფერდზე ნამდვილად შევნიშნე, — ამბობდა მეორე.

— ღმერთო მომკალი! ღმერთო მომკალი!

— ჰაიტ, მამაძალი, ჰაიტ, მამაძალი! გამოგვჭრა ყელი! — იძახდა ძუკუ-ყველანი ცხენებზე შესხდნენ. ჰკვირობდნენ, იგინებოდნენ, თავს იწყევლიდნენ და უახროდ ერთ ადგილს სტკეპნიდნენ.

ცოტ-ცოტად გონს მოვიდნენ. ყველანი ერთბაშად გამოფხიზლდნენ. ერთი წუთის დაკარგვაც აღარ შეიძლებოდა. ძუკუმ გულახდით სთქვა, ვისზედაც ეჭვი ჰქონდა:

— ნამდვილად ასეა, ქალს მოუტყუილებივართ, კისერი თავის ხელით გამოუტრია ჩვენთვის და ეს არის... ვინმე მოპრიანებული ეყოლებოდა გზაზე... მომკედარვართ, მომკედარვართ ყველანი ერთად, თვალს ვერსად გავადებთ!

— მომკედარვართ, მომკედარვართ! — იმეორებდნენ სხვებიც.

— აბა რა უნდა ყოფილიყო, შე კაცო? ცხენიდან ჩამოვარდნილიყო, დაგვიძახებდა... ქარი ხომ არ მოიტაცებდა? ნეტავ ერთი ახლა ვინმე დამაძახას მკრავდეს გულში! — ამბობდა ძალზე შეწუხებული სოლომონ შქერაეა.

— ჰაიტ, თქვე ძაბუნებო! — დაიძახა კოსტაიამ. — ბევრი, ეს საქმე დავგვემართებოდა ნახევარი საათის უკან. აბა, გზები შეეკრათ! ამ ერთ წუთს ცაში ზომ არ აფრინდებოდა? აბა, ბიჭებო, ბიჭებო! — გაამხნვეს ვეძღვანე კოსტაიამ.

ყველანი კოსტაიას შემოეხვივნენ.

— არიქა, კოსტაია, შენ შემოგველე ჩამოქნილი სანთელივით! ამაღამ მიშველე როგორმე და მე რა შემიძლია: ღმერთი გადავიხდის სამავიეროს. შენთვისაც სასირცხვილო საქმეა, — ეხვეწებოდა სასოწარკვეთილი სოლომონი.

— ნუ გეშინიანთ! — ამხნვებდა კოსტაია.

— კოსტაია, შენ საითკენ წახვალ? — შეეკითხა სოლომონი.

— ჭალისკენ წახვალ, იქითური გზები ვიცი კარგად...

— აბა, შენი ჭირიშე, აბა, შენ იცი! — ხმის კანკალით ამბობდა სოლომონი.

— მომყევით მე! — დაიძახა ახლა ძუკუმ. — ის, ალბათ ვაკე კარისკენ წავიდოდა, მაგ მაშაძალს იქითკენ ნათესავეები ყავს, სხვა სად წაიყვანდა? თუ ჩავიგდე ხელში, საგულფთე ზორცივით ავეკბავ მაგ ღორის გაგდებულს! — ცხარობდა ძუკუ.

— არიქა, ბიჭებო, არიქა, ბიჭებო! — გასწყვილა კოსტაიამ და ფართო ფონისკენ გააქროლა ცხენი.

## 15.

კოსტაია ტყობინჯელიამ, რაც შეეძლო, პირნათლად შეასრულა დავალება, მაგრამ მაძინიასთან გამოცდილი და ერთგული კაცი რომ არა ჰყოლოდა, ვერაფერს გაზდებოდა, ყოველ შემთხვევაში, გაჭირდებოდა საქმის კეთილად დაგვირგვინება.

კოსტაია წინასწარ იყო მაძინიასთან. მოილაპარაკეს, მოისაზრეს და ყველაფერი ტასიას შეატყობინეს. გაითვალისწინეს ყოველნაირი მოსალოდნელი დაბრკოლება. ორი დღით ადრე კოსტაია და ფარნა კვლავ იყვნენ მაძინიასთან და ერთხელ კიდევ მოილაპარაკეს... ამის შემდეგ ფარნა ჭყონონიდან გავიდა, ხოლო კოსტაია ლაკარდისკენ გაეჩქარა, რადგან თენგიზ შქერავას მაყრად მიეწვია. ყველაფერი ეს ღამე და საიდუმლოდ მოხდა, ასე რომ არავის არაფერი გაუგია.

ბასილ მძებრადისას კოსტაიამ ღვინო მართლა ბევრი დალია, მაგრამ მთვრალი სრულებითაც არ იყო, მხოლოდ თავი მოაჩვენა ყველას მთვრალად, რომ ვინიცობაა, საყვედური ეთქვათ, გასამართლებელი საბუთი ჰქონოდა. ყველაზე მეტად კოსტაია სოლომონ შქერავას დათრობას შეეცადა და სოლომონმაც ბევრი არ დააყოვნა, — გემრიელმა ღვინომ თავისი ჰქნა. ახალგაზრდა მაყრები ზომ სულ წავიდნენ ხელიდან...

მაყრები რომ ასეთ ამბავში იყვნენ, მაძინია და ფარნა თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. ფარნამ ფოთიდან ზუთი ცხენოსანი ვაჟკაცი ამოიყვანა და ტყეში მაძინიას მიერ მიჩენილ ადგილას, იმის მახლობლად, სადაც მაყარს უნდა გაევილო, დამალა. თვითონ მაძინია-კი საღამოთი, როცა კარგად ჩამოხნეულდა, ფარნას მიერ გამოგზავნილ ჯორზე შეჯდა, სხვების შეუმჩნეველად ჭალას დაჰყვა, ჭყონონას ბოლოში ხშირ ბუნჩნარში ჯორიდან გადმოხტა და ლოდინი დაიწყო.

თითქმის ორი საათი ელოდა და, როგორც იყო, შორიდან სიმღერა მოესმა. მაძინიამ ჯორს მოსართავეები მაგრად მოუჭირა, ზედ შეჯდა, ნაბადი გაისწორა

და როცა მყარები მიუახლოვდნენ, ჩუმად მათში შეერია. მალე მოწას ტასია და გვერდში ამოუღვია. ძუკუ მასთან აღარ იყო. კოსტაია კი ხარხარებდა, ოხუნჯობდა...

სერიდან, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, მაქსიმალური სიძველით დაფარულ ხევში ჩაეშვა. ეს ადგილი ხალხის ფანტაზიამ ჰინკებით, ალებით და სხვა მოგონილი არსებებით დაასახლა. კლდიდან ქვეც რომ მომწყდარიყო და ღრმა ხევში ბრაგვანი მოედინა, ცრუმორწმუნე მგზავრი მაშინათვე ჰინკას დააბრალებდა და პირველის წერით გაეჩქარებოდა. აქ მაძინიამ რამდენიმე საიდუმლო ბილიცი იცოდა, რომლითაც მას ხშირად უვლია იმ ნეტარხსენებულ დროს. ახლო-მახლო იქ არავინ ესახლა, ან კი ვინ დასახლდებოდა კლდე-ღრეში?

კოსტაიამ შეპირებისამებრ ოხუნჯობას უმატა. მერე რამდენჯერმე მაგრა დაახველა. ეს ნიშანი იყო. ტასიამ ცხენი შეაჩერა, მაძინიაც შეჩერდა. როცა მყარები ათიოდე საეენით დაწინაურდნენ, მაძინია საჩქაროდ ჯორიდან გადახტა და ტასია ხელით ცხენიდან ჯორზე გადასვა. სწრაფად ცხენი გზის პირად ხის ტოტებზე მიიბა, უკან მიბრუნდა, სადავე ტასიას ხელში მისცა, ნაბადი დაკეცა და მხარზე გადაიგდო, მერე აღვირს ძირში ხელი წაავლო და ბილიკისკენ გადაუხვია. ჯერ დაღმართი იყო სავალი, ღელეს გასწვრივ, მერე ისეთ აღმართს შეუდგნენ, რომ, ჯორის გარდა, ვერავითარი ცხენი იმაზე ასვლას ვერ შესძლებდა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ დიდ ფალაგესთან გავიდნენ. მთელი გზა ჩუმად გაიარეს. მხოლოდ ერთხელ ჰკითხა მაძინიამ ტასიას, ხომ კარგად ზიხარო.

— შე კარგად ვზივარ, მხოლოდ ცხენი მწვევს გულს, ალბათ, დაიკარგება...

— ცხენს რა უჭირს, — ჩუმად ჩაიცინა მაძინიამ, — ის, ალბათ, აღვირს ვაწყვეტს და შინ მივა.

დიდ ფალაგესთან ტასია ჯორიდან გადმოიყვანა და ნაბადზე დასვა, არ ვასულა დიდი ხანი, რომ ფარნაც გამოჩნდა.

— აი, ფარნა. შენი ქირიმე, რაც შემეძლო, გავაკეთე. კოსტაიას მოსვლამდღი აქედან ფეხი არ გადასდგათ. ისიც, ალბათ, ჩქარა მოვა. ნუთუ ისე მივლენ შექრავას სახლში, რომ პატარძალს არ მოიკითხავენ? ვო, როცა გაიგებენ, რა ალიაქოთი აუტყდებათ. სათვალისეირო კი იქნება, აი სწორედ. მე კიდევ რამეში გამოვადგებოდით, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა: შეიძლება, წარამარა სირბილს რომ დაიწყებენ, წისქვილშიც შეიხედონ და, რომ არ დამინახავენ, ექვს აიღებენ.

სიტყვა ეს მაძინიამ და თავის წისქვილისკენ გაეშურა.

— აი, ხომ მოგაგენით? აა სად დამალულან, შეხედღე! ხომ ვიბონენ გამოქცეული პატარძალი. კინაღამ ქორწილი ჩაგვეშალა! — სიტყვა ნახევარი ხმით კოსტაიამ.

— ვაი შენი ჯავრი! — გამოეხმაურა ფარნა.

— ჰო, ხომ მოგაგენი! ათ თუმანს თუ დაუმატებ, ხომ კარგი, თუ არა და ეს არის, ვმართავ კიეინს!

— ვაი შენი ჯავრი! — გაიმეორა ისევ ფარნამ.

— მოიცა, მოიცა, აქ შენი სავაქრო არ არის. აქ დაეთარი და ყანთარი არ გამოვადგება. შენ ჩოთქს აქ გასაეალი არა აქვს! იძლევი თუ არა სხვა ათ თუმანს?

ტასიას შეეშინდა და შეშფოთებულმა ხელი წაავლო ფარნას.

— ყა, ჩემო ძმაო, — სთქვა კოსტაიამ: — ხუმრობაა, ხუმრობა, და ის თქვენი მაძინია-კი, როგორც გინდა სთქვი, ას კაცად ღირს. ძალიან გამოქანაღდა და მოხერხებული კაცია! ეე, კაცო, — უფრო დაუშვა კოსტაიამ ხმა, — ვინმეს სისხლს ვაგვიგონოს და ცეცხლი-გენია არ მოგვივიდოს, სადამბაჩო-საღეჭუროდ საქმე არ გაგვიხადოს!

— ნუ გეშინია, აქ, ეშმაკისა და ჩიტის გარდა, სიახლოვეს ხორცშესხმული არავინაა.

— თუ ღმერთმა თქვენი თავი ფოთში მშვიდობით მაჩვენა, მწვანე სუფრას უნდა მოუსხდეთ. შენ რომ იცი, ის ღვინო, სუკის მწვადები...

— მოვასწრობთ, მოვასწრობთ, კოსტაია, ახლა კი დაუფრქვართ; — დინჯად გააწყვეტინა ფარნამ და მზადებას შეუდგა.

— ახლავე, ახლავე. მაინც რა ბნელი ღამეა! — სთქვა კოსტაიამ და თვითონაც დაფაცურდა. — საბრალო სოლომონ შექრავა! ჩურჩუტი კაცის მეტი რა მინახავს ქვეყანაზე, მაგრამ სოლომონ შექრავა რომ ყოფილა, იმისთანა შენ მტერს შეახვედროს ორშაბათ დილას...

უნაგირ-მოსართავეები შეამოწმეს, შესხდნენ და გასწიეს.

— ჩემზე ექვი აიღეს თუ არა? — ჰკითხა ფარნამ.

— მაშინათვე, წარმოიდგინე! ძუკუმ მაშინათვე დაიყვირა: თოხტიარიამ გამოგვჭრა ყელიო.

ტასიამ მწარედ ამოიოხრა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

ისინი წყლის ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ. კოსტაია წინ მიუძღოდათ. ფართო ფონთან გადაუხვიეს და შარავნაზე გავიდნენ. უკვე სამშვიდობოს იყვნენ. კოსტაიამ ცოტაზე კიდევ გააიცლა.

— სად არიან შენი მაყრები? — ჰკითხა ფარნას.

— მარტოხელა დიდ მუხასთან მიცლიან.

— მე იმათ არ დავენახებები. იცოდე, ჩემზე შენც ნურაფერს ეტყვი, თუ არ ვითქვამს.

— არა, არ მითქვამს, იმათ არ იციან, ვინ არის და ვინ არა, — მიუგო ფარნამ.

— ჰო, ჰო, მასე! — კმაყოფილად მიუგო კოსტაიამ. — საბრალო სოლომონმა არ იცოდა, ბასილისათვის რანაირად შეეტყობინებინა... შენ ნახე, რა საინტერესო ახალი ამბავი გაჩნდება. სოფელში!

ამ სიტყვებით კოსტაია შეჩერდა, თანამგზავრებს გამოემშვიდობა, მიბრუნდა და თავის გზას გაუდგა. მალე ფარნა და ტასია დამალულ მაყრებს შეუერთდნენ და ფოთისკენ გაქუსლეს.

ბასილ მძებრაძე დაღვრემილი იჯდა ოდის აივანზე. ეტყობოდა, საიდანაც ახლად დაბრუნებული იყო. მაღალყელიანი ჩექმები ეცემა, ხმა-ხანჯალი ეკიდა, ქუდი ეხურა, ყაბალაში მხარზე გადაეგდო, ხელში მათრახი ეჭირა. მწარე ფიქრებს იმდენად გაეტაცა, რომ ჯერჯერობით არაფრის ვახდას არ აპირებდა. მარიკაც შორი-ახლო იჯდა, სახეზე ძალიან გამხდარიყო, თვალები ვალურჯებოდა.

მოჯამაგირე ბიქმა ოთახის კარიდან თავი გამოჰყო.

— ნახე? — შეეკითხა ბასილი.

— მოდიან, ბატონო.

მართლაც, ირაკლი და პაველე გამოჩნდნენ. მათი დაგლეჯილი ჩოხები და რამ-

დენიმე ადგილას გახეული წულები თვით უდარდელ კოსტიახაც რომ ენახა, სევდას მოჰგვრიდა.

— დედა, დედა, დედა! — მოთქმით ჩაიწუწუნა მარიკამ და ახლოდ შესულ ირაკლისა და პავლეს პასუხი არც კი გასცა საღამზე, მხოლოდ თავის კანტურით ქმარს მიუბრუნდა: — ნუთუ, ნუთუ? როგორ დავიჯერო! ნუთუ შენი თვალით ნახე ის აბრაღოვანი, ის კახა ისა? მაგის გრძელი თმა ხელზე არ დაიხვე და სულ მათრახის ცემით აქ არ მოათრიე? ჰმ! ჰმ! ჰმ! — ჩაიკენესა მწარედ მარიკამ. — ან დიდებულმა მართებლობამ, ან უფალმა პოლიციამ როგორ ინება, რომ თუ ყაზახმა კეთილშობილის ქალი გამოაჩინა და საქმესთანაც მიიყვანა, ყაზახი მაშინათვე, ნაობახში არ ჩააგდო და კეთილშობილ პირს მისი ასული არ ჩააბარა! ვახთანგიდან მოყოლებული კალონი ასე უნდა იყოს...

— კიდევ დამიჯინა ყაზახი და ვახთანგის კალონი! — გამოაჯავრა ბასილმა. — ნაობახში ჩაგდება კი არა, ის ყაზახი რომ შემოვიდა, იმ შენმა ახალმა პრისტავმა ხელი ჩამოართვა და გაუცინა.

— ვის?! — თითქმის შეჭვივლა მარიკამ.

— ვის?! — კიდევ გამოუჯავრა ბასილმა: — ვის და მაგისთანა ვირს? ვის და შენ სიძე ბატონს...

— დიღო! დიღო! დიღო! — კვლავ აწუწუნდა მარიკა. — ნეტავ იმ წუთს იქ ვყოფილვითყავი და მერე მომკვდარვითყავი! ნეტავ იმ წუთს იქ ვყოფილვითყავი და მერე ზიარობა არ მომსწრებოდა...

— იმდენი იხერია შენმა გვერდებმა, რომ ყოფილიყავი, ჩემზე მეტს შენ იქ ვერ გაარიგებდი! — უკმაყოფილოდ მოუჭრა სიტყვა ბასილმა. — რა მექნა, კაცო? — მიუბრუნდა ირაკლისა და პავლეს: — რა მექნა, რა, როცა პირი წყლით გამეცსო? ჩემი ხელით თავი ვერ მოვიკალი, სხვა რას ვიზამდი? რას იზამ, როცა შენი შენვე გკლავს! ქალი შენ მოიტაცეო, ჰკითხეს თოხიტარიას. ნებით წამოშვეა, ბატონო, — მიუგო მან. რას ქვია, ასე-ისეთ! — დაუბახურა ვეზნაჩალიკმა. უკაცრაოდ, ბატონო, მაგრამ თქვენ რომ არ მიბრძანებდეთ, სხვას მაგის პასუსხაც არ ვეტყვოდიო, — თამამად მიუგო იმ კაცმა. როგორ თუ პასუსხაც არ ვალირსებდიო, — კიდევ უფრო გაჯავრდა ვეზნაჩალიკი. ბატონო, ადამიანი იყო, თორემ ძროხა ხომ არ იყოო, თუ მოიტაცეს, ჰაი, ჰაი, მომიტაცესო, არ დაიძახებდა? ტყეში მარტო ხომ არ მიდიოდა? იმისთანა ლეკურიან-დამბაჩიან აღმასივით ბიჭებს ბელაურზე შემჯდარი შუაში მიყოლობდაო. განა შესაძლებელია იმნაირ გარემოებაში ჩემად ქალის მოტაცებო. ესეც რომ არ იყოს, აი, ბატონო, თვითონ ქალი, დასამალი და საძალადო არაფერი მაქვს, თუ მოვიტაცე, ლაპარაკი კარგად შეუძლია, თვითონაც კარგად მოგახსენებსო...

ბასილმა ამოიხზრა და მცირე სიჩუმის შემდეგ განაგრძო:

— ის წყეული იქვე იღბა, ფაფარი არ დაუდრეკია. მე არავის არ მოუტაც-ნივარ, ბატონო, ჩემი ნებით გავყევით. მე სრულწლოვანი ვარ და ვისაც მინდა, იმას გავყობიო. ეს კაკი ქმრად მინდოდა და ცოლად გავყევით. მე ამაში საკვირველს და ბუნების წინააღმდეგ არაფერს ვხედავ და მიკვირს, ამდენი ხალხი რამ აამბობრა, ააშფოთაო. შეჭრავას პირადად ჩემთან რა უნდა, — პირობა არ მიმიცია, ჯვარი ჩემზე არ დაუწერია, უბრალოდაც თავის დღეში არ გამომ-ლაპარაკებია, ერთი და მეორეო. მართლია, ჩემგნით კი გაილანძლა, მაგრამ ისე არ მექნა, სხვაგვარი გზა არ მქონდა, მის წინ ბოდიშს ვიხდი და თუ რამ ზა-

რალი მიეყენე, მიბრძანოს და გაეუწოროდებო. ამნაირად, ჩემი ძმარში ჩალა-გამოვლებული კი დაგეტოვა ყველანი, შენი ნაჩალიციც, მისი პატრო-  
შეიც, და სხვანიც მრავალნი...

— უჰ! უჰ! უჰ! — თავის ქნევით და კბილების კაწკაწით დანიწყო მარჯვამ! — მერე რაღათ გინდოდა ეს შენი ხანჯალი? ის რომ უსირცხვილოდ ენას ატან-  
ტალებდა, იქვე შუაზე გაეაბობდი! კრუხს რამდენი წიწილა შემოაკვდება, ვინ იცის, მაგრამ იმისთვის ქვეყანა ჯერ არ დაქცეულა!

— კიდევ! — გულმოსულად გადასძახა ბასილმა. — თავის სისულელეს რომ მაინც არ იშლის! აბა, რა უნდა გელაპარაკო! მერე, ჩემო ბატონო, — მიუბრუნ-  
და ბასილი ისევ ირაკლისა და პავლეს: — იქვე, სანაჩალიცო სახლთან ისეთი ფაიტონი მოაყენა იმ კაცმა, რომ სულ კრიალ-კრიალი გაუდიოდა, ოთხი ცხენი ისეთები შეება, რომ სულ ცხვირიდან ალი გამოუდიოდათ... იქვე, ყველას თვალწინ, ჩაიჯდინა ჩემი შვილი იმ კაცმა და მოკენჭილ ვაზზე რიხინ-რიხინი გაადინა. თუ მოწმობას გამომიგზავნი, კარგიო, შემომითვალა, თავდაბლა გთხოვო, და თუ უარზე დადგებით, მეტი ჭირმა არც მე შემეშაბა და არც შენ, მე იმაზე საქმე არ გავიფუტოო...

— ეს ყოვლისფერი, ალბათ, იმ ქუსლმოქცეული ყაზახის ხერხია, სულ იმის ბრალია! — ჩააყრა სიტყვა ირაკლიმ.

— ვისი?

— ნიკოიასი.

— ყა, რას მეუბნები? სად ნიკოია, ვინ ნიკოია! ნიკოიაზე აღრე, მგონია, მე შევიტყვე. ტყუილად მართალ კაცს დააბრალო, რა პატიოსნებაა. ის ამ საქმე-  
ში ყოვლად უმიზეზოა. ნიკოია ის კი არა, თავს იკლავდა. თავისი შვილი სა-  
ჯაროდ დატუქსა, მე დიდი ბოდიში-მორიდება მითხრა. რას ქვია, ვის ქვიაო? ან ჯერ რა ეცოლებოდა, ან თქვენთან რა ხელი ჰქონდა, მაგ ჭირამს მაგასაო. ჯერ მაგის უფროსის უფროსსაც არ ჰყავს ცოლი და ეს ვითომ რა ხანში გარ-  
დასული მყავდაო. ავარდა და დავარდა. სალდათობაც ჯერ არ გაუთავებია მაგ კისერმოსატენსო! სალაც ორიოდ გროშის საშოვად მყავდა, მეგონა, და რა ალიაჭოთი შემიყენა მაგ შეჩვენებულმა, მაგანაო. ყა იმას ვერაფერს დავაბ-  
რალე!

ბასილმა სული მოითქვა, ყალიონს მოუტაპუნა და ისევ განაგრძო:

— ამ საქმეში, ჩემო ძმაო, ბრალი მაქვს მე. მე, ბასილ მძებრატეს... მე კი არა, საერთოდ ჩვენ. ჩვენ კი არა, ახლანდელ დროებას! დრო-ე-ბას, დრო-  
ე-ბას, — გააგრძელა ბასილმა. — ის ხომ ქალის ღირსი არც ყოფილა, შტერავაა თუ ვინცლა ჭაკი ცხენი! გლაზა ვინმე, ულაზათო ვინმე ყოფილა! წარმოიდგინე, კაცებიც რომ ვერ გამომიგზავნა. ვილაც ცეტი-ცეტი, თავიანთ ჩრდილს რომ ეთამაშებიან, ისეთი ბაღნები გამომიგზავნა! იმათ ქალი კი არა, ნესვიც რომ მისცე, ხელიდან გაუფარდებოთ. ან კოსტაია ტყობინჯელია, გაცრუებული და გაკოტრებული? მამულ-დედული გაყიდა და სად დაეთრევა, კაცმა არ იცის!

ბასილი ჩაფიქრდა.

— ოი! — მწუხარედ ამოიკვნესა მან და ირაკლისა და პავლეს მიუბრუნდა: — იცი, თქვენ რაზე მოვიხმეთ?

— ქალადი მოსულა რაღაცაო, გავიგეთ, დებუტატ-საბრანიაა თუ პირსუს-  
ტია, იქიდანაო, — მიუგო ირაკლიმ.

— თუ იმ საბალაგროს ეშველა მაინც რამე? — შენიშნა პავლემ.



— ვაი ღმერთმა ისე უშველოს ამბაყო მღვდელს, ისე გაუთავოს და დაუწყვიტოს ღმერთმა ყოველი საქმე! არ ვიცი, მერაბის სულზე ვის რა და ვაბრალო! ერთი ასე ამბობს, მეორე ისე და, ჩემ გარდა, ყველა ვაღიქვამს და ვანსპეტაკებულ-გავერცხლებულია. კაცის საქმე რომ ერთხელ წაანათარა, ერთხელ რომ წანაბორძიკებულა, მერე მაგის საშველი წამალი არა ყოფილა თურმე. რომ წანაველა ხელიდან, გაუშვი და თავი გაანებე!

— რა ყოფილა, ბიძი: ჩვენ საქმეზე ცუდი რამე ხომ არ მოსულა? აქი ვაგზავნეთ გეროდიასი, — წამოიძახეს შეშინებული კილოთი ძმებმა და მათ ღობისოდაც ლურჯ სახეს შაბაიანის ფერი დაედო.

— სასიამოვნო ბევრი არაფერია და სახარჯო და თავსატეხი კი ბევრი, დიას, ბევრი! — მძიმედ წამოიძახა გულნატკენმა ბასილმა: — პეტერბუხთიდან ჩვენი საქმე, დაუმტკიცებელი, ისევ უკან დაუბრუნებიათ. — თითქმის ამოიკენესა ბასილმა: — საბუთში მერაბი სწერიას, მოწმეები-კი ზოგი ამბობს მერაბსო. ზოგი მერაბიკასო და ზოგიც მერაბასო. ხელახლა გამოიძიეთ და გამოგზავნეთო.

ამის გაგონებაზე ირაკლი და პავლე გაშეშდნენ.

— ღმერთო, შენ დააქციე მაგის ოჯახი! — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ყრულ წამოიძახა ირაკლიმ, თვითონაც არ იცოდა ვის სწყევლიდა, ვის ემდურებოდა.

— მერე იცით, — დაიწყო კვლავ ბასილმა: — მერე იცით, რას ნიშნავს ეს ხელახლა გამოიძიეთ? ე. ი. აიღეთ და ერთი ორას-სამასი მანეთი კიდეც წყალში გადაყარეთო. აი, ჩემო ძმაო, შენი აზნაურობა! — დინჯად გააგრძელა ბასილმა. — მოდი, ეძიე ახლა ტახტის აზნაურობა!

— ამდენი რომ არ უკითხავს მოწმეებისათვის მაგ ოჯახდაქცეულს? — ფრთხილად შენიშნა ისევ ირაკლიმ.

— ნამდვილია: როცა საერთოდ კითხულობდა, ზოგი მერაბიო, იძახდა, ზოგა მერაბიკაო. ზოგი მერაბაო, ნამდვილად მახსოვს, — სთქვა პავლემ.

— ეჰ, ჩემო პავლე: ურემი რომ გადაბრუნდება, ვზა მას უკან გამოჩნდებაო, ნოტქემია. მაშინათვე რომ შეგვემჩინა, ის იყო კარგი, თორემ ახლა გაეიხსენოთ, რას გვიშველის? ოხრად დარჩა მისი თავი, შენი საბუთიც და შენი გამომძიებელიც! ან რა უშობელი დაუკალი მაგ ჭირ-გაჩენილს, ან რამდენი ღვინო ჩაისხა მაგ ჩასაბანჯავ ხახაში, ან რა ოხარკალია მანათები ჩაუჩხრიალე ხელში! ჰმ! ამანაა, კაცო, რომ გადამრია, ამანაა სიცოცხლე რომ გამიმწარა, თორემ სხვა რაც მოხთა, რა ვუყო! განა შეილი, ჩემ გარდა, სხვას არ მოკვდომია? ერთი მოკვდა, მოკვდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ყველანი რომ ცოცხლად ვკედებით? ყველანი! ან მითხარი, სადღაა ფულები, რომელ წყაროდან მოაბრძანებ, ერთი მითხარი, თუ გიყვარდ? ხუთას ფუტს სიმინდს ვყიდდ, ახლა სამასსაც ვერ გავყიდი და იმაშიაც თითო აბაზს არ იძლევიან ხეირიანად... ხელახლა გამოიძიება, ხელახლა მოწმეები. ახლა ისინიც ფეხს გააბიჯებენ, მაგათაც დაისწავლეს, რაშია საქმე. ისევ ქრთამი და ქრთამი, ფული და ფული, ყოვლისფერს ფული! აა, თქვენ რას იტყვით? — შეაჩერდა ბასილი ძმებს.

ბასილს თვალები კაკლისტოლა გაუხდა, სახე გაუფითრდა და ტუჩები აუკანკალდა.

— რას იტყვით? — გაიმეორა მან. — სად არის ფული? წისქვილის ქვემოთ ჩემი მარჩენალი ჭალა გავყიდო ან ნიკოია თოხიტარიას დაუგირავო? აბა, რო-

გორ: ერთი: ჩემო მზახალო, ფულები მასესხე-თქვა, უნდა ვეღებო, პა... როგორ მიბრძანებთ? მაშ მართქე-თქვა, დაველოჯო? ან თოხი მზარზე გადავიკიდო და მეწერილმანე და მეფართლე ურიების ძარცვას შევედღე ტახტამ! ან... მზახალოს მამიებელი და ნაშოვნი ფულით მერაბიკა მერაბად გადაქისწო... სება სხვანაირად როგორ? რა უნდა ვქნა სამოცდაათი წლის მოზუტმა? ალბათ, ჩემი პირშო, ჩემი ძუკუ შოარბენინებს ფულებს! რასაკვირველია, სეკლატარის პოპროშიკად არ არის ოკრუენი სუდში? ან სტოლნაჩალიკად ვეშუპრავლენია-ში? ვაი იმის მეტი! განა არ შევენოდა, რომ ყოფილიყო? ის კი არა, ხუტუთა გლახაკის შვილმა თითქმის პრისთავობა იშოვნა, მხარი დაჯინჯილებული აქვს რ? კაცს, ლეთისგან განწირული ადამიანის საქმე ყოველთვის ასეა... ამა რა შვილი შყავს, რა ბიჭი? ღმერთი ჩემ შტერსაც ნუ გაუჩენს მაგისთანა შვილს-მეთქი, უნდა ვსთქვა რალა! ეს უნდა ვინატრო? კაი სანატრელია, მერაბის სულამე!..

კვლავ ჩაფიქრდა ბასილი.

— არა, ჰალა უნდა დავაგირავო, — დაიწყო ისევ თითქოს თავისთვის: — წისქვილსაც დავაგირავებ, ყოვლისფერს მივყიდ-მოვყიდი და აზნაურობას დავიმტკიცებ. სახლს ყავარი დაულპა, შიგნითაც ისე წვიმს, როგორც გარედ-აიენის კიბე ჩალა... ყველა ამას ხომ გაკეთება უნდა?! რით გააკეთებ? აზნაურობით? ვაი თუ ველარ გაგვადლოს, ვაი თუ ველარ შეგვემოსოს? ასე არ არის? თქვენ როგორ ფიქრობთ? — ბრახმორეული ამბობდა ბასილი — ჩემი ტასია ჩქარა თოხიტარიას ცოლი ვახდება... თოხიტარიას შვილს აკვანში არწევდეს იქნება, ოლოლოია, მიუალერსებს და ნანინას დაამღერებს... — აქ გული აუჩვილდა მოხუცს და თვალები ცრემლებით აევსო.

მარიკა აქვითინდა და უკანა ოთახისკენ გაეშურა.

— ა? ეს ყოვლისფერი ასე იქნება, მაგრამ ქვეყანას ამით რა ცვლილება მოუტა? — ხმის კანკალით გაავრძელა ბასილმა. — ვითომ, როგორ ფიქრობთ, კონის-წყალი გულშეწუხებული, ეს როგორ მოხდაო, ალმა დენას დაიწყებს? ან შეიძლება კალაპოტი გამოიცვალოს და სამი-ოთხი ქცევა საუკეთესო ჩენი მიწა ქვეშ მოიყოლიოს? ვაი ჩენი ცოდვა!..

დიდხანს იყო ამის შემდეგ სულგატრუნული. ბოლოს წამოიძახა:

— მაშ როგორ ვქნათ? — და მიმართა ბიძაშვილებს: — თქვენც დაავირავებთ?

ირაკლიმ და პავლემ ბასილს შეხედეს, მაგრამ პასუხი ვერ გამონახეს. მათი ენა სალაპარაკოდ ვერ დაიძრა. სამაგიეროდ მთელი მათი სახე, მთელი მათი სხეული და განსაკუთრებით უაზროდ გამტერებული თვალები ნათლად ამბობდნენ: რა უნდა დავაგირავოთ, რომ არა გვაბადია-რაო.

აზნაურები ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

ბუნებაც, თითქოს თანაუგრძნობსო მათ, გაყუჩებულიყო. მაგრამ უღმობელ ბუნებას მძებრადიების დარდი სრულებითაც არ აწუხებდა, იგი დიდხანს ვერ შოიცილიდა მათთვის.

— კვიტ, კვიტ, კვიტ! — გაისმა მახლობელი ხის ტოტზე რომელიღაც ჩიტის მზიარული ხმა.

ქარმაც შემოუბერა და ფოთლები ააშრილა.

გიორგი ჯიბლაძე

## ლერმონტოვი—დიდი რუსი პოეტი

საუკუნე ვაჭიდა იმ ტრაგიკული გასროლიდან, როცა მეფისა და მისი აგენტების მოსყიდული ტყვიით დაიღუპა დიდი რუსი პოეტი, მხატვრული სიტყვის გენიალური შემოქმედნი მიხეილ იური-ს-მე-ლერმონტოვი.

მას შემდეგ უდიდესი ისტორიული მოვლენები მოხდა. მრავალმა ამბავმა და დიდმა ისტორიულმა ფაქტებმა გაამდიდრეს კაცობრიობის ისტორია.

წარსულის მრავალი მხატვრული ქმნილება, რომელიც რევოლუციამდე დაუნდობლად იდევნებოდა, მზის სინათლეზე გამოტანილ იქნა მხოლოდ ჩვენს დროში, დიდი სტალინის ეპოქაში. ისინი ხალხის, ფართო მასების კუთვნილებად გადაიქცნენ. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის გენიალური ორგანიზატორები არიან ლენინი და სტალინი, ხალხს მისცა ნამდვილი კულტურული განძი წარსულისა და გიგანტური ასპარეზი გადაშალა ახალი, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის არნახული აყვავებისათვის. გაიფურჩქნა და აყვავდა ეს ახალი კულტურა, რომელიც წარსულს შექანიკურად კი არ უარყოფს, არამედ კრიტიკულად აფასებს. ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედებაც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელებმა მიიღეს, როგორც კულტურული მემკვიდრეობა. კრიტიკულად ითვისებს რა ამ მემკვიდრეობას, ჩვენი ქვეყანა აფასებს და პატივს სცემს ლერმონტოვის ხსოვნას. ამ დაფასებისა და მზრუნველობის ისტორიული დოკუმენტი მრავალია. ჯერ კიდევ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის რამდენიმე თვის შემდეგ, 1918 წლის 22 აგვისტოს გამოვიდა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „სოციალიზმის, რევოლუციისა და სხვ. დიდ მოღვაწეთა ძეგლების დადგმის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდა ლენინი. იმ მოღვაწეთა გვერდით, რომლებსაც ძეგლები უნდა აგებოდათ, მოხსენებული იყვნენ მწერლები: „1. ტოლსტოი, 2. დოსტოევსკი, 3. ლერმონტოვი, 4. პუშკინი, 5. გოგოლი, 6. რადიშევი, 7. ბელინსკი, 8. ოგარიოვი, 9. ჩერნიშევსკი, 10. მიხაილოვსკი, 11. დობროლიუბოვი, 12. პისარევი“<sup>1)</sup> და სხვა, სულ 20 მწერალი. მარტო აქედან გასაგები ხდება ის დიდი მზრუნველობა, რომელიც წარსულის მემკვიდრეობისადმი ოქტომბრის რევოლუციამ პირველ დღეებშივე გამოიჩინა. ლენინი და სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ კულტურას, ხელოვნებას და ლიტერატურას. როგორც ნ. კრუპსკაიას მოგონებიდანაა ცნობილი, ციმბირში ვადასახ-

<sup>1)</sup> იხ. „Ленин о культуре и искусстве“, 1938 г., стр. 100.

ლების დროს ლენინს თავის საწოლთან ახლოს ჰეგელის წიგნების კრებით ეწყო პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის თხზულებანი და ყოველ საღამოს ხელახლა კითხულობდა მათ<sup>1)</sup>.

რით აიხსნება ლერმონტოვის ასეთი სიღიადე, მისი პოპულარობა? ლერმონტოვი უდიდესი რუსი მწერალია, რომელმაც პუშკინთან ერთად რუსულ პოეზიაში ღრმა კვალი გაავლო.

პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი! — ამ სახელებმა მთელი ეპოქა შექმნეს გასული საუკუნის რუსულ ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ ლერმონტოვის სიცოცხლეში ბელინსკიმ თავის მეგობარს მისწერა: ლერმონტოვი არისო პუშკინის მემკვიდრე. დიდი რუსი კრიტიკოსი ერთგვარ შიშს გამოსთქვამდა და მას ჰქონდა ამის საფუძველი: მოსალოდნელი იყო ლერმონტოვის სიცოცხლის ისეთივე ტრაგიკული დასასრული, როგორც პუშკინისა. ბელინსკის გენიალური გონება არ შემცდარა. თუ პუშკინი ტირანი მეფის მონარქიამ 37 წლის ასაკში გამოაცალა ცხოვრებას, ლერმონტოვი კიდევ უფრო ახალგაზრდა დაიღუპა: 27 წლის პოეტი 1841 წლის 27 ივლისს მისივე ნაცნობ მარტინოვთან დუელში ვერაგულად მოკლეს.

მწარე და აუტანელი იყო მეფის თვითმპყრობელობის, ბატონყმური წყობილების პირობებში მოწინავე ადამიანთა ზედრი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ რადიშივემა თავი მოიკლა, ჩაადაევი გიჟად გამოაცხადა ნიკოლოზ პირველმა, ახალგაზრდა პოეტმა — 22 წლის ვენეციტინოვმა ხელი აიღო ცხოვრებაზე, საყოველთაოდ ცნობილია ბელინსკის, შეგენკოს, რილევის, ჩერნიშევსკის ტრაგედია, ხოლო რუსული ლიტერატურის ორი უდიდესი მწვერვალი — პუშკინი და ლერმონტოვი თვითმპყრობელობამ მუხანათურად გაასწორა მიწასთან. მართალია ისინი დუელში დაიღუპნენ, მაგრამ დღეს, დიდი სტალინის ეპოქაში, როცა უდიდესი მზრუნველობით ფასდება კულტურის ყველა ძვირფასი მონაცემი, როცა დამტვერიაებული არქივიდან მზის სინათლეზე გამოტანილია მრავალი დოკუმენტი, რომლებიც ფარდას ჰხდიან და ამხელენ სიმართლეს, საბოლოოდ დადასტურებულ იქნა, რომ პუშკინისა და ლერმონტოვის მკვლელობა წინასწარ განზრახვით მოაწყო მეფის თვითმპყრობელობამ თავისი მრავალრიცხოვანი აგენტების ქსელის საშუალებით.

პუშკინის შემდეგ ლერმონტოვი უდიდესი რუსი მწერალია, რომელმაც შემდგომ განაეითარა თავისი გენიალური წინამორბედის ახალი სიტყვა და მთელი რუსული ლიტერატურა დიდ შესაძლებლობათა გზაზე დააყენა. მის პოეზიაში გაისმა ისეთი ხმებიც, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არ ვიცოდით პუშკინის შემოქმედებაში. დიდი რუსი მწერალი, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი მიუთითებდა: „ლერმონტოვის ლექსებში ხმაძალდა ჟღერას იწყებენ ისეთი ნოტები, რომლებიც თითქმის სრულებით შეუშინეველია პუშკინის ნაწარმოებებში, — ეს არის საქმის, ცხოვრებაში აქტიურად ჩარევის მგზნებარე სურვილი“.

სამწერლო ასპარეზზე ლერმონტოვი გამოვიდა, როგორც თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების შეუპოვარი მამხილებელი. 1837 წელს პუშკინის დაღუპვასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსში, — „პოეტის გარდა-

<sup>1)</sup> იქვე, იბ. გვ. 117.

ცვალემა“, ლერმონტოვმა გაბედულად ამხილა ტირანი მეფე და მისი სისხლიანი სასახლე. პოეტმა ისინი გამოაცხადა თავისუფლების, გენიისა და დიდების ჯალათებად. ამ ლექსს, რომელიც ხელნაწერის სახით მხოლოდ შთელ რუსეთს, შედეგად მოჰყვა სასტიკი რეპრესიები პოეტის წინააღმდეგ. ლერმონტოვის პოეზიაში ძალუმად ისმის ბრძოლის, სიმართლის, კეთილშობილების ჰანგები, უკეთესი ცხოვრების რწმენა პოეტის სანუქვარი ფიჭვი და ოცნება იყო, მაგრამ თუ მან ვერ შესძლო პრაქტიკულად დაეწყო ბრძოლა ამ ოცნების განსახორციელებლად, სამაგიეროდ შემოქმედებაში ამ მხრივ ცოტა როდი ვააკეთა. ეპოქა, როცა ლერმონტოვი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, სულ სხვა იყო, პუშკინის ლიტერატურული დებიუტის ეპოქასთან შედარებით. პუშკინის პოეტური ცხოვრება ყალიბდებოდა დეკაბრისტული აჯანყების ისტორიულ პირობებში. როგორც ცნობილია, 1825 წლის დეკემბერში ეს აჯანყება უბედურებით დამთავრდა. დაიწყო სასტიკი რეაქციის ხანა. და როცა ლერმონტოვი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მაშინ მხოლოდ-და ცოცხალი იყო ხსოვნა დეკაბრისტებზე. მაგრამ ამ ფაქტს ამოდ არ ჩაუვლია. როგორც დიდი ლენინი გვასწავლის, დეკაბრისტებმა გამოადიძეს ჰერცენი.) ლერმონტოვის მხატვრულ შემოქმედებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც დეკაბრისტების დამარცხების, ისე 1825 წლის შემდეგ დაწყებული რეაქციის სუსხიანმა სინამდვილემ.

ლერმონტოვი თავადაზნაურ, მემამულე რევოლუციონერთა იმ ფრთის მისწრაფებათა გამოშატველია, რომელიც მართალია საშინლად შორს იდგახალხისაგან, მაგრამ, როგორც ლენინი ამბობს, მისი საქმე არ დაღუპულა. „თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბორონები და არაკნეევები, მრავლისაგან მრავალი ლოთი ოფიცრები, მოჩხუბრები, კარტის მოთამაშენი, ბაზრობა-საფარდულოების გმირები, მეძალეები, მოკრტიმლენი, მწკებლავები, მოჯალაბენი და გულკეთილი მანილოვები“. „და მათ შორის—სწერდა ჰერცენი — განვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, იმ გმირთა ფალანგა, რომელნიც, ვითარცა რომული და რეში, გარეული მხეცის რძით გამოიკვებნენ... ესენი იყვნენ ბუმბერაზები, თავით-ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოქედილნი. მოლაშქრე-თანამოსაგრენი, რომელნიც შეგნებულად და აშკარად გამოვიდნენ თავის დასალუპავად, რათა ახალი ცხოვრებისათვის გამოეღვიძებინათ ახალი თაობა და გაეწმინდათ ჯალათობის და მონტრობის წრეში დაბადებული შვილები“.

ასეთ შვილთა რიცხვს ეკუთვნოდა ჰერცენი.“) ამ შვილთა მრავალი მისწრაფება გამოიხატა ლერმონტოვის მხატვრულ შემოქმედებაში. და არ იყო შემთხვევითი, რომ ლერმონტოვის დრამებში, ლექსებსა და პროზაში მოცემულია ამ მწკებლავების, არაკნეევების, კარტის მოთამაშეების, ბაზრობა-საფარდულოების გმირების, მოჯალაბეებისა და გულკეთილი მანილოვების დაუნდობელი, მკაცრი კრიტიკა. ამით ლერმონტოვი მეგობრულ ხელს უწყობდა თავისი დროის მოწინავე, პროგრესიულ იდეებს, გამოხატავდა მათ, თავის შემოქმედებას კი აძლევდა დიდ ისტორიულ ღირებულებას.

მაგრამ ვინ იყო ლერმონტოვი?

მიხეილ იურის-ძე ლერმონტოვი დაიბადა მოსკოვში 1814 წელს. დედის

) იხ. ლენინი, თხზ., ტ. XV, გვ. 581.

) იხ. ლენინი, თხზ., ტ. XV, გვ. 575.

მხრივ მართალია იგი არისტოკრატის წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ მამამისი ხელმოკლე იყო. 3 წლის ბავშვს დედა გარდაეცვალა. მამა კი იძულებული შეიქნა აღრევე მოშორებოდა ოჯახს. „გადამდგარი კაპიტანის“ კორმონტოვის ნაცვლად პოეტს ზრდიდა ელიზავეტა არსენიევა — პოეტის დიდედა, რომელიც დაქვეითებული, მაგრამ არისტოკრატის წრეს ეკუთვნოდა. ოჯახურმა ტრაგედიამ ღრმა კვალი გააეღო ჰაბუტის ცხოვრებაში. აღრინდელ ავტობიოგრაფიულ ლექსებსა და დრამებში გაისმის პოეტის ღრმა გულისტკივილი იმის გამო, რომ იგი „ტანჯვის შვილია“. რომ მამამისმა არ იცოდა რა იყო სიმშვიდე, ხოლო დედის სიცოცხლე ჩაპჭრა ცრემლებში. 1831 წელს დაწერილი ტრაგედია „უცნაური კაცი“ მთლიანად ავტობიოგრაფიული თხზულებაა, რომელიც ალფგორიულად აგვიწერს იური ლერმონტოვისა და მარია მიხეილის-ასულის — პოეტის დედმამის ოჯახურ ტრაგედიას. დიდედის მხრუნველობით ლერმონტოვი ბავშობიდანვე სწავლობს ევროპულ ენებს, სრულიად ყმაწვილი ფრანგულ ენაზე სწერს პირველ მის პოეტურ თხზულებებს, ხოლო შემდეგ დიდი ვატაცებით კითხვლობს რუსული ლიტერატურის კლასიკოსების — ლომონოსოვის, დერჟავინის, ბატულშკოვის, კრილოვის, ოზეროვის და სხვ. ლექსებს. მის პოეტურ ცნობიერებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ ევროპული ლიტერატურიდან ბაირონი და რუსეთში პუშკინი. იმ გარემოებამ, რომ პოეტი ბავშვობიდანვე დაუკავშირდა კავკასიას, სადაც იგი დიდედას მინერალურ წყლებზე დაჰყავდა, ხოლო ახალგაზრდა კორნეტი, შემდეგ კი პორუჩიკი ორჯერ გადაასახლეს კავკასიაში სასჯელის მოსახდელად (ლექსისათვის — „პოეტის გარდაცვალება“ და ერნესტ დე ბარანტთან დუელის გამო), ლერმონტოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო კავკასიის ზღაპრულ ბუნებას, ვაკელებით მტეი, ვიდრე თვით პუშკინის პოეზიაში. ლერმონტოვის შთამაგონებელ ლექსებში კავკასიის ზვიად მთებს და ამაყ ბუნებას განმაცვიფრებელი მხატვრული სახეები ამკობს. მისი პოემების დიდი ნაწილის სიუჟეტი კი კავკასიის ფონზეა გაშლილი. დაწყებული „იზმაილ ბეით“ და დამთავრებული „დემონით“, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ პოემა-ლექსებზე, როგორცაა, მაგალითად, „ლტოლეილი“, ლერმონტოვის შემოქმედება კავკასიასთან რალაც განსაკუთრებული ძალებითაა დაკავშირებული. პირველად პუშკინმა, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო ფართოდ ლერმონტოვმა დაამკვიდრა კავკასია რუსულ ლიტერატურაში.

პუშკინისა და ბაირონის გავლენით დაიწყო ლერმონტოვის მძლავრი პოეტური მჯავისცემა. შემთხვევითი არ იყო, რომ ჩერნიშევსკი ლერმონტოვს პუშკინთან ერთად სთვლიდა რუსულ ლიტერატურაში ბაირონის თემის ღირსეულ წარმომადგენლად. ლერმონტოვმა ჰაბუტობაშივე იგრძნო ბაირონის პოეზიასთან სიახლოვე. ტომას მურის წიგნმა ბაირონზე მას კიდევ უფრო მკვეთრად შეაცნობინა ეს პოეტური ნათესაობა. მაგრამ ბაირონისა და ლერმონტოვის პოეზია იგივეობის სფეროში ვერ თავსდება. თუ ლერმონტოვს მსოფლიო რომანტიზმის კორიფეისთან საერთო ჰქონდა, როგორც თვითონვე ამბობს, ტანჯვის, სიმშვიდის ამაოდ ძიების, სამშობლოდან განდევნილობის მხრივ, შემდეგ მკვეთრად შეიცნო, რომ იგი არ არის ბაირონი, რომ იგი მასავით ქვეყნად დევნილია, მხოლოდ „с русской душою“.

ეს იყო იმის ხაზგასმაც, რომ ლერმონტოვი საკუთარ შემოქმედებას ორგანიულად უკავშირებდა თავისივე ქვეყნის ცხოვრებას, მის ჭირ-ვარამს, ზრუ-

ნავდა მისი ხალხისათვის, მისი ინტერესებისათვის, ცდილობდა სამშობლო ქვეყანას ეცხოვრა უკეთესად, თუმცა ბრწყინვალედ გრძობდა. როგორც ეს აღნიშნა ლექსში — „გამომშვიდობება“, რომ „სამშობლო მის... ქვეყნდა“, ენაიდან „სამშობლო იქ არის, სადაც ჩვენ ვუყვარვართ“. მეფის თვითმპყრობელობას და ბატონყმურ წყობილებას კი სძულდა ლერმონტოვი. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ პოეტის ტრაგიკულ დაღუპვას თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილება ასეთი სიტყვებით შეხვდა: „ძალის ძალღური სიკვდილი“. მაგრამ სამშობლო, არა სისხლიანი მეფეებისა და მისი აგენტებისა, არამედ ხალხის სამშობლო ლერმონტოვს უსაზღვროდ უყვარდა და ამ სიყვარულს მკითხველი ადვილად გრძობს მის შემოქმედებაში. ეს იყო სიყვარული რუსეთის ველების, ტყეების, მდინარეებისა და ზღვების, მისი მოწყვნილი სოფლებისადმი. ამ სიყვარულის ადგილს ვერაჲინ იკავებდა პოეტის გულში. ლერმონტოვი ხომ თვითონვე ამბობს:

— Люблю отчизну я, но странною любовью!  
 Не победит ее рассудок мой!  
 Ни слава, купленная кровью,  
 Ни полный гордого доверия покой,  
 Ни темной старины заветные преданья  
 Не шевелят во мне отрадного мечтанья“.

ლერმონტოვის შემოქმედებაში თავიდანვე გაისმა თვითმპყრობელური სინამდვილისადმი შეუროგებლობის პანგი, რომელმაც მის პოეზიას პუბლიცისტური სიმახვილე მისცა. დიდი პოეტი ამ მხრივ წინ უბიძგებდა რუსულ ლექსს. მართალია, თავდაპირველად ეს იყო იდეალსა და სინამდვილეს შორის ზოგადი კონფლიქტის გამოხატვა, მაგრამ შემდეგ მან მიიღო კონკრეტული ფორმა და გადაიზარდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოეტის აშკარა ამხედრებაში. 1831 წელს 17 წლის ახალგაზრდა იგონებს, რომ ბავშვობიდანვე იგი რაღაც უცნაურს ეძებდა, მაგრამ ვერ ჰპოვა, სწორედ ისევე, როგორც დიდმა ქართველმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომელმაც ექვი არ არის განიცადა ლერმონტოვის გაელენა, ვერსად ჰპოვა ყმაწვილკაცობის დროინდელი აღთქმანი. და სწორედ ისე, როგორც ბაირონის პოეზიაში გაისმა მძლავრი ხმა თავისუფლების ძიებისა, ლერმონტოვის შემოქმედებაშიც დაუცხრომელი ლტოლვაა თავისუფლებისაკენ.

მძლავრი და მღელვარეა ლერმონტოვის ლირიკა. იგი არ არის მინორული, თუ ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისი არ მივიღეთ მხედველობაში. ლერმონტოვის ლირიკა გამოირჩევა მებრძოლი ტემპერამენტით, ჭარბშლისებური სიძლიერით. მისი ლირიკისათვის უცხო არ იყო რევოლუციის თემაც. ჯერ კიდევ ჰაბუკმა პოეტმა მთელი არსებით თანაუგრძნო საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციას მშვენიერი ლექსით — „30 ივლისი. — 1830 წლის (პარიზი)“. ამ ლექსში მძლავრი პროტესტია მეფის ტირანიისადმი და ხალხის გულმხურვალე სიყვარული:

„О! чем заплотишь ты, тиран,  
 За эту праведную кровь,  
 За кровь людей, за кровь граждан“.

თავისუფლების წყურვილით არის აღსავსე ლერმონტოვის მთელი მხატვრული შემოქმედება. მისი „რკინის ლექსი“ არის ბრძოლა და ძიება ამ თავისუფლებისაკენ.

ვისუფლებსა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ლერმონტოვი რატაც განსაკუთრებული სიყვარულით მოსაეს ქარიშხალს, რომელშიც იგი ამ თავისუფლების იდეალის განსახიერებას პოულობს. ლექსში „ლერმონტოვი წუხილს გამოსთქვამს იმის გამო, თუ რატომ არ არის ფრინველი, რომ ამაყად გადასცუროს ცის ტატნობი და მხოლოდ ერთი — თავისუფლება უყვარდეს. ამ თავისუფლების ღირიკული სიმღერაა „ტუსალიც“. თავისი მღელვარე აზრებისა და ჰუმანიური გრძნობების თავშესაფარს ლერმონტოვი შემთხვევით როდი ეძებდა ქარიშხალში. „იალქანი“ ამ ტენდენციის გენიალური მხატვრული სახეა. ეს აჯანყებული იალქანი არც ბედნიერებას ეძებს და არც მისგან ვარბის. იგი ეძებს ქარიშხალს, თითქოს ქარიშხალში იყოს სიმშვიდე. მაგრამ ამ იდეების დასაყრდენი არსად სჩანდა და აქედან სავსებით გასაგები ხდება ის პესიმიზმი, მარტოობის ის ფილოსოფია, რომელიც ასე დამახასიათებელია ლერმონტოვის ფილოსოფიისათვის, მისი აზრებისათვის, რომლებიც მხატვრულ სახეებში გამოჰქვეთა პოეტმა ლექსებად, პროზად, დრამატიულ თხზულებებად.

რა იყო ეს ფილოსოფია?

რომანტიზმის ფილოსოფიური საყრდენი იყო იდეალიზმი, თავისი მრავალი მიმდინარეობით. მაგრამ განსაკუთრებით ფიხტე და შელინგი იყვნენ ის ფილოსოფოსები, რომლებმაც თვალსაჩინო გავლენა იქონიეს მსოფლიო რომანტიზმზე. სამყაროს იდეალისტური განმარტება რომანტიკოსი პოეტების მხატვრულ შემოქმედებაში სპეციფიკურ სახეს ღებულობდა. როგორ განმარტავდა იდეალიზმი სამყაროს? იდეალიზმს „...სამყარო შიანია „აბსოლუტური იდეის“, „მსოფლიო სულის“, „ცნობიერების“ განსახიერებად...“ იგი „... ამტკიცებს, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ ჩვენი ცნობიერება, რომ მატერიალური სამყარო, ყოფიერება, ბუნება არსებობს მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს შეგრძნებებში, წარმოდგენებში, ცნებებში...“, იდეალიზმი „...სადავოს ხდის სამყაროს და მის კანონზომიერებათა შეცნობის შესაძლებლობას, არ სწამს, რომ ჩვენი ცოდნა სარწმუნოა, არ სცნობს ობიექტურ ჭეშმარიტებას, და სთვლის, რომ სამყარო აღსავეს „ნიეთებით თავითა-ვად“, რომლებიც არასოდეს არ შეიძლება შეცნობილ იქნან მეცნიერების მიერ...“<sup>1)</sup> ასეთია იდეალიზმის კლასიკური დახასიათება, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა თავის ისტორიულ ნაშრომში — „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“.

როგორც ვთქვით, იდეალიზმი იყო რომანტიზმის ფილოსოფიური წყარო. სამყაროს განმარტების იდეალისტური კონცეპცია გაბატონებულია რომანტიკოსების მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ, როგორც ცნობილია, ლერმონტოვის პოეზია, ისევე როგორც ბარათაშვილისა, მებრძოლი განწყობილებით განირჩევა ლეოპარდისა და ნოვალისის უკიდურესი პესიმიზმის, სამყაროს პასიური ჰერეტისაგან; ამიტომ მათ შემოქმედებაში ჩვენ შემთხვევით არ ვპოულობთ მატერიალისტურ შეხედულებებსაც, თუმცა ეს მატერიალიზმი გულუბრყვილოა, რომელიც ეპოქის ჩარჩოებს არ სცილდება. ეს მატერიალიზმი გამოიხატა მიწიერ სინამდვილესთან იმ ცნობილ დაბრუნებაში, რომლის პანგები ისმის ლერმონტოვის ლექსებში „ლოცვა“, „მკვდრის სიყვარული“, აგრეთვე ბარათაშვილის „მერანში“ და „ფიქრი მტკვრის პირას“. ბარათაშვი-

<sup>1)</sup> იხ. ი. სტალინი — „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოცემა, გვ. 673, 674, 675.



ლისა და ლერმონტოვის შემოქმედება კი ძლიერ ახლოა ერთმანეთთან. მათ შორის ბევრია საერთო<sup>1)</sup>.

ლერმონტოვმა გარკვეული გავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე. ჯერ კიდევ ადრე მის ლექსებს თარგმნიდნენ გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და მრავალი სხვა ქართველი მწერალი. ბარათაშვილი რომ ახლოს იცნობდა ლერმონტოვის პოეზიას, ნათლად სჩანს გრიგოლ ორბელიანისადმი 1843 წლის 21 აგვისტოს მის მიერ გაგზავნილი წერილიდან, სადაც ჩვენს სახელგანთქმულ პოეტს მოჰყავს ორი სტრიქონი ლერმონტოვის ცნობილი ლექსიდან „И скушно и грустно“, ლექსიდან, რომელშიაც თვითმპყრობელობისადმი მძულვარება ლერმონტოვმა იმით გამოხატა, რომ ცხოვრება „ცალიერ და სულელურ ხუმრობად“ გამოაცხადა.

თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილება სძულდა ლერმონტოვს. ამიტომ ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. ჯერ კიდევ 1838 წელს ლერმონტოვმა დასწერა ლექსი „ფიჭი“, სადაც უაღრესად სეკტიკური შეხედულება გამოსთქვა. „მოწყენით ვუცქერ მე ჩემს თაობას, — ამბობდა პოეტი, — მისი მომავალი ან ცალიერია, ან ბინდითაა მოცული“. კიდევ უფრო ადრე ლერმონტოვმა მწუხარედ ამოიგმინა, რომ იგი შიშით უცქერის მომავალს და წარსულს მოწყენით. პოეტი ოცნებობს იმ სანუკვარ მომავალზე, რომელიც უჩვენებს მისი ცხოვრების დანიშნულებას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „ტყვე რაინდმა“ ვერ ჰპოვა ეს უკანასკნელი. 1840 წლის დასაწყისში, დე ბარანტთან დღეების გამო ლერმონტოვი დააპატიმრეს და მოათავსეს „ორდონანს-ბაუზში“, სადაც იგი ინახულა ბელინსკიმ. ეს იყო ბელინსკისა და ლერმონტოვის პირველი შეხვედრა. ბელინსკი აღფრთოვანებული დარჩა ლერმონტოვთან საუბრით. იმავე წლის 16 აპრილს ე. ბოტკინისადმი გაგზავნილ წერილში გენიალური რუსი კრიტიკოსი სწერდა: „მე პირველად ენახე ნამდვილი ლერმონტოვი, როგორიც ყოველთვის მსურდა მენახა იგი“. იმავე წლის მაისში ლერმონტოვი ემშვიდობებდა რუსეთს, ვინაიდან ნიკოლოზ პირველმა გადაასახლა კავკასიაში. რაღაც უცნაური ძალით იგრძნო ლერმონტოვმა ზიზღი და მძულვარება ტირანი მეფისადმი. ეს სიძულვილი მან უძლიერესი პოეტური სახეებით გამოხატა თავის ლექსში, რომლითაც გამოეთხოვა რუსეთს:

—Прощай, немтая Россия,  
Страна рабов, страна господ,  
И вы, мундиры голубые,  
И ты, послушный им народ.

Быть может, за хребтом Кавказа  
Укроюсь от твоих царей,  
От их всевидящего глаза,  
От их всеслышащих ушей“.

1841 წლის თებერვალში ლერმონტოვი ორი თვით ისევ პეტერბურგშია. ეს იყო უკანასკნელი გამოთხოვება პოეტისა სამშობლოსთან. 1840 წლის შემოდგომაზე გამოვიდა მისი ლექსების წიგნი. ამ დროს პოეტი კავკასიაში იყო. ბელინსკიმ აღფრთოვანებული წერილი უძღვნა ახლადგამოსულ წიგნს. ამ მაღალ შეფასებას ნათლად მოწმობენ დიდი რუსი ჰეგელიანელის შემდე-

<sup>1)</sup> ეს საკითხი ვრცლად არის განხილული ჩვენს წერილში—„ლერმონტოვი და ბარათაშვილი“ (იხ. ეტრნ. „მნათობი“, № 5—6, 1936 წ.).

გი სიტყვები: „ჯერ კიდევ არ ვუწოდებთ ჩვენ მას არც ბაირონს, არც/გოეტეს, არც პუშკინს და არ ვიტყვით, რომ მისგან თავის დროზე გამოვა ბაირონი, გოეტე ან პუშკინი, რადგან დარწმუნებული ვართ, <sup>მისგან</sup> <sup>მისგან</sup> არ გამოვა არც პირველი, არც მეორე, არც მესამე, არამედ გამოვა — ლერმონტოვი“. ამავე წელს გამოვიდა ლერმონტოვის მხატვრული პროზა — განმაცვიფრებელი შედევრი „ჩვენი დროის გმირი“, რომელმაც ერთბაშად ასტყორცნა პოეტის სახელი დიდების მწვერვალზე. საკმარისია ითქვას, რომ ლერმონტოვის მხატვრულ პროზას უაღრესად მაღალი შეფასება მისცა მხატვრული სიტყვის გენიალურმა ოსტატმა ლევ ტოლსტოიმ. „ანა კარენინას“ ავტორს განსაკუთრებით მოსწონდა რა „ჩვენი დროის გმირი“, მაინც ცალკე გამოჰყოფდა „ტამანს“.

ლერმონტოვის მხატვრული პროზის პირველი ექსპერიმენტები იყო „ვადიმი“ და „თავადის ასული ლიგოვსკაია“. პირველი ნაწარმოები საყურადღებოა იმით, რომ მკვეთრად ამხელს ბატონყმური წყობილების საშინელებას. აქ დაყენებულია გლეხთა საკითხი და არის მოწოდება თავისუფლებისაკენ. ეს ნაწარმოები ლერმონტოვს არ დაუმთავრებია, ხოლო მეორე გამოყენებულ იქნა რომანში — „ჩვენი დროის გმირი“.

გრიგოლ ალექსანდრეს-ძე პეჩორინი, რომანის მთავარი გმირი, ლერმონტოვმა დახატა როგორც თავისი თანამედროვე თაობის პორტრეტი. დიდი პოეტი რომანის წინასიტყვაობაში მიუთითებდა: „ჩვენი დროის გმირი“, მოწყალებო ხელმწიფეო, მართლაც რომ პორტრეტია, მაგრამ ერთი კაციისა კი არა: ეს არის პორტრეტი მთელი ჩვენი თაობის მანკთაგან შეთხზული, მათი სრული განვითარებული სახით“. პეჩორინის პროტოტიპი იყო ონეგინი. მაგრამ მათ შორის ერთგვარ სხვაობას მაინც ვპოულობთ. პეჩორინი უფრო მეტად პესიმისტია, უფრო მეტად პასიური და სინამდვილისადმი ინდიფერენტულად განწყობილი, ვიდრე მისი პროტოტიპი. პეჩორინის მთელი ტრაგედია არ არის პერსონალური. ეს იყო ნიკოლოზ პალკინის დროინდელი ახალგაზრდა თაობის ტრაგედია. ეს თაობა გაორებული იყო. რეაქციის სუსხიანი სინამდვილე მას უკარგავდა ცხოვრების მიზანს. ისინი ზედმეტ ადამიანებად გრძნობდნენ თავს. ამიტომ, რომ პეჩორინის პიროვნებაში ორი ადამიანი ცხოვრობს. მაგრამ ორივე ეს ადამიანი სუსტია. პირველი თითქოს მიისწრაფის პრაქტიკული ცხოვრებისაკენ, მაგრამ მას ოდნავაც არ ჰყოფნის ძალა საამისოდ; აქედან პესიმიზმი და ცხოვრებისაგან განდგომა; მეორე კრიტიკულად უყურებს პირველს, თვითანალიზის საზღვარს არ სცილდება; აქედან თეორიული წყარო უმოქმედობისა. სულში რაღაც საშინელი ყინვა, როცა სისხლში ცეცხლი ვიზგივებს — ეს პეჩორინის გაორებული პორტრეტის მოზღვანული ცხადყოფაა. პეჩორინი თავისთავს ყაჩაღების გემის ბაქანზე აღზრდილს უწოდებს. ეს იყო მაგარი სილის გაწენა მეფის თვითმპყრობელობისადმი.

ნიკოლოზ პალკინის სუსხიანმა რეჟიმმა, მემამულურ-ბატონყმური წყობილების — ადამიანის ამ უსახიზღრესი დამამცირებელი ინსტიტუტის უხეშობამ და ძალმომრეობამ პეჩორინში დაბადა ავანტურისტული მიდრეკილება. ბელას მოტაცება, პაზამატთან შემპარავი დიალოგები, მერი ლიგოვსკაიას სიყვარულის მთელი ფონი, მისადმი დამოკიდებულება, გრუშნიცკისთან დღეელი, უარი იმ ქალის ცოლად შერთვაზე, ვისთვისაც საკუთარი სიცოცხლე ტყვეის წინაშე დააყენა, ბოლოს ტამანში მომხდარი ამბები, რასაც იგი სრულ-



ლიად შემთხვევით გადაურჩა, — ყოველივე ეს პეჩორინის არსებაში რაღაც ცივ, გაყინულ, ავანტურისტულ ბუნებას ამჟღავნებს. პეჩორინი ქვეყნის რა-საც კი შეეხება, ყოველივეს ამსხვრევს. ამას თვითონაც კარგად აღიქმებდა და ამსხვრია ბელას და კაზბიჩის, მერის და გრუშნიცკის, ვერას და სემიონ კასილიევიჩის ბედნიერება, თუნდაც წამიერად შეარყია მაქსიმ მაქსიმოვიჩის, იანკოს და მისი შეყვარებულის მყუდროება ისე, რომ თვითონაც არ ყოფი-ლა დამშვიდებული, ყოველთვის საკუთარი სიცოცხლის რაღაც შემადრწუნე-ბელი გულცივობით განწირვის პირობებში. და ხშირად პეჩორინი კრიტიკუ-რად გადახედავს რა განვლილ დღეებს, ნანობს, რომ იგი ასე მოიქცა. ტამა-ნის ამბავმა სერიოზულად ჩააფიქრა და დააღონა მისი არსება. ეს პეჩორი-ნის მიზეზით დარჩა უსინათლო ბიჭი სრულიად უპატრონოდ, რომელიც „...დიღხანს, დიღხანს ტიროდა.. მე დავღონდი, — ამბობს პეჩორინი. — რად შემადგოდ ბედმა პატიოსან კონტრაბანდისტთა მშვიდობიან წრეში? ვით ქვამ დამშვიდებული რუს ზედაპირზე, მე შევარყიე მათი მყუდროება და ქვასა-ვით, კინალამ თითონ მეც დავიძირე!“ პეჩორინი გრძნობს, რომ იგი სიყალ-ბისა და პირმოთნეობაზე აშენებულმა საზოგადოებამ გააფუქა, გარყვნა. ამი-ტომ ჰგოდებს ასე მკაცრად და ნაღვლიანად, ცხოვრებას ამიტომ უცქერის ასე გულცივად, ასე ინდიფერენტულად. მისი სახის ეს მტანჯველი იარები შეუმჩნეველი არ რჩება ნახ და სათუთ მერი ლიგოვსკაიასაც კი, რომელიც პეჩორინში ხედავს რაღაც მაგიურ, დემონურ ძალას, ეშინია მისი, მაგრამ შესაძლოა ამ შიშის წყალობით ეცოდება და ებრალება იგი. პეჩორინის ენა ზასრია და გამგმირავი. იგი დაუნდობლად სპობს და ანადგურებს მოწინა-აღმდეგეს. „თქვენ საშიში კაცი ხართ! — ეუბნება პეჩორინს მერი... — მე ვირ-ჩევიდი ტყეში დანით მკვლელს ჩაეუვარდე ხელთ, ვიდრე თქვენი ენის წერა გავხდებ... მე გულწრფელად ვთხოვთ: თუ თქვენ განიზრახოთ ჩემზე ავის თქმა, სჯობს აიღოთ დანა და დამკლათ, მე მგონია ეს თქვენთვის ძნელი არ იქნება“. პეჩორინის ხასიათის ეს მხარე, ეს უცნაურება პირველი დაახლო-ვებისთანავე იგრძნო ჭარბავმა მაქსიმ მაქსიმოვიჩამ. „შემიძლია გულდადებით ეთქვა, — ამბობს მაქსიმ მაქსიმოვიჩი პეჩორინზე, — რომ მშვენიერი ყმაწვილი იყო, მხოლოდ ცოტათი უცნაური“. პეჩორინი ყველაფერზე თანახმაა, გარდა თავისუფლების დაკარგვისა. ამიტომ გაურბის იგი ოჯახურ ბედნიერებას, ჰგონია რა იგი მისი ბორკილი. „ოცჯერ ჩემს სიცოცხლეს, პატიოსნებასაც კი წაევაგებ, მაგრამ თავისუფლებას კი არ გაეყიდი“. ეს არის მისი არსების ში-ნაგანი მოთხოვნა. იგი, როგორც თვითონ ამბობს, „დიღხანია ცხოვრობს თავით და არა გულით“. პეჩორინი გაურბის სულიერ სიმშვიდეს, ვინაიდან მას ვერ ურიგდება. იგი ცხოვრების ჭარიშხალმა აფორიაქა და სურს მუდამ აფორიაქებული იყოს, ვინაიდან სხვა გზას ვერ ხედავს. მას ჰქონდა დაბადე-ბიდანვე თანდაყოლილი კარგი თვისებები, „კეთილშობილი მიდრეკილება, ნიჭი, მოწოდება, მაგრამ ყველაფერი წაართვეს. ვინ იყო ამაში დამნაშავე? რომანი ბრალსა სდებს თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სინამდვილეს და ამა-შია მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

„ჩვენი დროის გმირი“ რუსულ ლიტერატურაში მკვიდრ საფუძველს უყრის მამხილებელ ლიტერატურას, რომელიც ასე განვითარდა 50-იან და 60-იან წლებში. ეს იყო რომანტიულ-რეალისტური რომანი, რომელმაც რუსულ ლი-ტერატურაში მთელი ეპოქა შექმნა.

შგავასად დიდი რომანტიკოსებისა, ლერმონტოვმა ზოგად კაცობრიულ ცდებს უძღვნა გენიალური პოემა „დემონი“. პოეტური სიძლიერის ძიწრვე ამ პოემის გვერდით უნდა მოვიხსენიოთ „სიმღერა ვაჟარ კალაშნიკოვსა“ (რომელიც მდიდარი რუსული ფოლკლორული მასალის ოსტატურ გამოყენებას წარმოადგენს, „ბოიარინი ორშა“ და „მწირო“.

კავკასიის ხალხის ბრძოლას მეფის დამპყრობელი პოლიტიკის წინააღმდეგ ლერმონტოვმა უძღვნა პოემა „იშმაილ ბეი“.

„იშმაილ ბეი“ ბაირონისტული პოემია. ეგზოტიკური მიდრეკილება სჩანს ამ პოემაში ისევე, როგორც ბაირონის აღმოსავლურ პოემებში. „მოგესალმები, კავკასიაე ქედებქალარაე“, „რა რიგ მიყვარდა კავკასიაე, ლალო ბუნებაე, შენი შეილების მეომრული ზნე-ჩვეულება“ — ეს ლირიკული სიმღერები მკვეთრად ამჟღავნებენ ლერმონტოვის სიყვარულს კავკასიისადმი. პოემის მთელი სიუჟეტი ისეა გაშლილი, რომ იგი რელიეფურად გვიხატავს ავტორის მისწრაფებას — თანაუგრძნოს მთიელთა უთანასწორო ბრძოლას თვითმპყრობელური მონარქიის კოლონიზატორულ-დამპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ, მის ვადამწეარ აულებს, კავკასიის ხალხს. ეს თანაგრძნობა და სიმპატიები პოემის განუყრელი ნაწილია თავიდან ბოლომდე. პოემის დრამატიზმს აძლიერებს ორმხრივი წინააღმდეგობის რკალი — გარეგანი და შინაგანი. პირველი რთულია და ტრაგიზმით სავსე. არანაკლებია მეორეც. იშმაილი რომანტიული ფერებით არის დახატული. „თუმც უტოდველმა, მან დაიწყო ცხოვრება თვისი, როგორც მრავალნი ამთავრებენ: დანაშაულით“. მისი დაბადებაც და აღსასრულიც მთიელთა ზნე-ჩვეულების დარღვევა იყო. რუსეთში აღზრდილს, ჩერქეზთა ადათებს დიდხანს მოშორებულს, მას, მართალია, ვულწრფელად სტანჯავდა თავისი სამშობლოს ბედი, მაგრამ ახალ კულტურას მაინც თავისი ვაეღენა მოეხდინა მის არსებაზე. თითქოს ეს არ არის მიზეზი განხეთქილებიისა. ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ პოემის ფინალში ვგებულობთ, როცა გამოორთქებული როსლამბეგი ჰკლავს თავის ძმას იშმაილს და მოკლულს უპოვის „ოქროსფერი ზილფი ქალისა“, „თეთრი ჯვარი, ზოლებიან ლენტით შემბმული“, როცა გამომკლავნდა, რომ იშმაილი „რკჯულის მოღალატეა“, რომელსაც „საფლავს არ გაუთხრის მაჰმადიანი“. და ბოლოს, როცა პოეტი მთიელთა გულისწყრომას გამოხატავს სიტყვებით — „Пусть кончит жизнь, как начал — один“ — ეს მარტოობა, განდგომილობა და ვანდენა ბაირონისტული პოეზიის ფილოსოფიური წყარო, პესიმიზმის საფუძველი და არსებითი ნიშანი იყო. ამიტომ შემთხვევითი არ არის შემდეგი ფაქტი: ამ სამ ნაწილიან პოემას ლერმონტოვმა სამი ეპიგრაფი წაუშმდღარა და აქედან ორი ეკუთვნოდა ბაირონს: პირველ ნაწილს ბაირონის „გიაურიდან“, მეორე ნაწილს ვალტერ სკოტის პოემიდან „მარმიონი“ და მესამე ნაწილს ბაირონის პოემიდან „ლარა“. ბაირონი თვით პოემის ტექსტშიც იხსენიება. იგი დაწერილია 1832 წელს, როცა პოეტი 18 წლის ახალგაზრდა იყო. ეს პოემა ისე ძლიერია, რომ მის შესახებ ზოგიერთი რუსი კრიტიკოსი ასეთ აზრს გამოსთქვამს: „იშმაილ ბეი“ ლიტერატურულად აჭარბებს ბაირონსა და მიცქევიჩის „კონრად ვალენროდს“.

ჟანრობრივად ლერმონტოვი მრავალმხრივი შემომქმედია. ახალგაზრდობიდანვე დაეწაფა იგი დრამატურგიას და დაგვიტოვა ისეთი დრამები, როგორცაა „ესპანელები“, „ორი ძმა“, „უცნაური კაცი“, „Menschen und Liegeschaffen“ და „მასკარადი“. ზოგიერთი მათგანი თავისუფლების იდეებით სუნ-

თქავს. ნაწილი კი მთლიანად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. საგულისხმოა, რომ ჭაბუკობაში დაწერილი ეს დრამები (როგორც გავლენაც ვერ შეუძლებს მათ შექსპირის, შილერისა და დასავლეთ ევროპის სხვა დრამატურკებთან), მის ავტორს მაინც ამხელენ, როგორც დიდ შემომქმედს.

ლერმონტოვის დრამებზე აღბეჭდილია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოსკოვის თეატრის გავლენა.

მოსკოვის თეატრს, რომელიც დაკავშირებულია მიხეილ მედოკსის, თედორე კოკოშკინის, რუსული თეატრალური კულტურის კორიფეების შჩეპკინისა და მოჩალოვის სახელებთან, ლერმონტოვი ახლო იცნობდა. ერთერთ წერილში, 1827 წელს, ლერმონტოვი სწერდა თავის ნათესავ მარიამ შან-გირეის: „...მე ვიყავი თეატრში, სადაც ენახე ოპერა „უჩინარი“, სწორედ ის, რომელიც მოსკოვში ენახე 8 წლის წინათ“. 1827 წელს ლერმონტოვი 13 წლის ახალგაზრდა იყო. ამგვარად, მას 5 წლის ბავშვს პირველად უნახავს თეატრი და ისეთი დიდი შთაბეჭდილება დარჩენია, რომ კიდევ დამახსოვრებია. მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში შესვლამ, 1828 წელს, ლერმონტოვი მკიდროდ დააკავშირა თეატრთან. მოსკოვის თეატრი ამ დროს ახლო კავშირში იყო უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან. შჩეპკინი და მოჩალოვი იყვნენ მიზეზი ამ დაახლოვებისა. მათი თამაში, როლების გავება, აქტიორული ოსტატობა, შილერის ტრაგედიები უნივერსიტეტის პროფესორისა და სტუდენტების მზურვალე მსჯელობის საგნად იქცოდნენ. ცნობილია ბელინსკის წერილი მოჩალოვზე — „ჰამლეტი, შექსპირის დრამა და მოჩალოვი ჰამლეტის როლში“. ეს წერილი დაიწერა 1838 წელს, იმასთან დაკავშირებით, რომ 1837 წლის 22 იანვარს მოჩალოვი პირველად გამოვიდა ჰამლეტის როლში. უფრო ადრეც, ლერმონტოვის სტუდენტობაში, მოსკოვის თეატრი უკვე ბრწყინავდა შჩეპკინისა და მოჩალოვის გენიალური აქტიორული თამაშით. ორივე ეს მსახიობი აღიარებული იყო სკენის ვირტუოზებად, პეტერბურგში ასევე ბრწყინავდა დიდი მსახიობი კარატიგინი. ზოგიერთი მას მოჩალოვზე მალლა აყენებდა, უმრავლესობა კი შჩეპკინთან ერთად, მოჩალოვს აქტიორული თამაშის მიუწვდომელ მწვერვალად სთვლიდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ლერმონტოვის წერილში მ. შან-გირეისადმი, 1829 წელს, პირდაპირ არის ნათქვამი: „...მოჩალოვი ბევრ ადგილზე აქარბებს კარატიგინს“. თუ რამდენად ღრმად ერკვეოდა ახალგაზრდა ლერმონტოვი თეატრისა და დრამატურგიის საკითხებში, ნათლად მოწმობს შემდეგი ფაქტიც. როგორც ცნობილია, მოჩალოვის დროს შექსპირის „ჰამლეტის“ ინგლისურიდან თარგმანი რუსულ ენაზე არ არსებობდა. იყო მხოლოდ ფრანგულიდან თარგმანი ვისკოვატოვისა, ისიც შემეცირებული და არაზუსტი. ლერმონტოვი ამის გამო გულისტკივილით სწერდა თავის ერთერთ ნათესავს, რომ „...ამ თარგმანებს, სამწუხაროდ, თამაშობენ ჩვენს თეატრში“. ამგვარად, ლერმონტოვი ბავშვობიდანვე დაუკავშირდა თეატრს, რამაც დიდი გავლენა იქონია მომავალ პოეტზე. დრამატული თხზულების შექმნის პირველი ცდა იყო პუშკინის პოემის „ბოშების“ ოპერისათვის ლობრეტოდ გადაკეთება. პატარა ნაწყვეტში, რომელიც ჩვენამდე არის მოღწეული, <sup>1)</sup> შენარჩუნებულია სახელი ზემფრა და სიუჟეტი უცვლელად არის დატოვებული. გარდა ამისა, დარჩენილია ლერმონტოვის მიერ

<sup>1)</sup> იხ. М. Ю. Лермонтов. „Полное собрание сочинений“, т. III, стр. 481 — 482, 1940 г.

დაწერილი რამდენიმე სიუჟეტი დრამებისათვის. მავალითადა, ვახაჩი შამისა და დის, ახალგაზრდა მხედრის ტრაგედია, აგრეთვე სიუჟეტი ტრაგედისათვის, რისთვისაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო „სატოტოვი“ (სიუჟეტი რომანი „ატალა“. ასევე ჩანაწერები ტრაგედისათვის „მარია“ და მრავალი სხვა. პირველი დიდი სერიოზული დრამატიული თხზულება იყო „ესპანელები“, რომელიც დაიწერა 1830 წელს.

არსებობს მოსაზრება, რომ ლერმონტოვის წინაპარი იყო ესპანელი პერკო-გი ლერმი, რომელიც შემდეგ შოტლანდიაში გაიქცა. შესაძლებელია თავის დროზე ალბათ ამ მოსაზრებამ მიიყვანა პოეტი იმ დასკვნამდე, რომ ტრაგედის სიუჟეტი გაეშალა ესპანეთის ცხოვრებიდან. ამ ტრაგედის პირველი და მეორე აქტი ატარებს შილერის „ყაჩაღების“, აგრეთვე „ვერაგობა და სიყვარულის“ გავლენას. სიუჟეტის მხრივ იგრძნობა ლესინგის „ნათან ბრძენის“ გამოყენებაც. შილერის ტრაგედიები ლერმონტოვმა მოსკოვის თეატრის სცენაზე ნახა მოჩალოვის განმაცვიფრებელი შესრულებით. სიუჟეტში გვხვდება პოეტის ოჯახური ტრაგედიის ზოგიერთი სცენაც. „ესპანელები“ მძლავრი სოციალური თხზულებაა. ახალგაზრდა პოეტი სოციალური უთანასწორობის საკმაოდ მკაცრ სურათებს გვიხატავს და ამავდროს ამხელს რელიგიის მსახურთა სიყაღბეს. უთვისტომო, უსახლკარო ახალგაზრდა ფერნანდოს უყვარს ესპანელი თავადის დონ-ალვარესის ქალიშვილი ემილია. მამა, რომელიც ამჟამად თავისი გვაროვნული წარმოშობით და ქონებით, ფერნანდოს უტრძალავს ამ სიყვარულს. იგი ამტკიცებს, რომ ცოლქმრობა უბედურებაა, როცა ქმარსა და ცოლს შორის ქონებრივი უთანასწორობაა. ასეთივე აზრისაა მისი მეუღლე, ემილიას დედინაცვალი, დონა მარია. ფერნანდო დასცინის ამ შეხედულებას. იგი გრძნობს, რომ მთელი არსებით მალა დგას მთელ ამ ალვარესების ავლა-დიდებაზე. და რატომ უნდა იყოს მათი მონა? იგი ვერ ურიგდება მონობას. მას ურჩევნია სიმშვილით მოკვდეს, ვიდრე აიტანოს მალალი წრისაგან დამცირება. ტრაგედია ამხელს პატრი სორინის შინაგან სიღამპლეს: იგი დამნაშავე უფროა, ვიდრე „სულიერი მამა“ და „ღვთის მსახური“. სორინი არაფერს ერიდება, არც ფულს, არც მკვლევლობას, არც მოტაცებას, ოღონდ ემილია, რომელიც მას უყვარს, ხელში ჩაიგდოს. სორინისათვის, ისევე როგორც დონ-ალვარესისა და დონა მარიასათვის ოქრო, ფული ყველაფერია: ისინი მზად არიან ყოველგვარი დანაშაულის ჩასადენად, ვინაიდან სწამთ, რომ ფულით შეიძენენ ინდულგენციებს და ღმერთი დანაშაულს აპატიებს. „ესპანელებში“ მთელი რიგი ისტატიური სცენებია, რომლებიც მკვეთრად გვიხატავენ სოციალური უთანასწორობის საშინელებას. ეს პიესა თავიდან ბოლომდე რომანტიკულია.

1830 წელს დაიწერა ლერმონტოვის მეორე დრამაც „Menschen und Liegenschaften“ („ადამიანები და ვნებანი“). ამ ნაწარმოებში 16 წლის ახალგაზრდა ლერმონტოვი ბრძოლას უცხადებს ბატონყმობას და გვიხატავს მის სუსხიან სინამდვილეს. აქაც ვხვდებით ლერმონტოვის ავტობიოგრაფიიდან ნაცნობ სურათებს. მოხუცი მემამულე ქალის მართა ივანოვნას პორტრეტში, მის სიმკაცრეში ძნელი არ არის გამოვიცნოთ პოეტის დიდება ელიზავეტა არსენიევა. ზოლო მართას შვილიშვილის — იურის პიროვნებაში, მის პროგრესიულ შეხედულებებებში — თვით ლერმონტოვი. ამ დრამაში ასახულია ბატონყმური სინამდვილე მთელი თავისი სიმკაცრით, ბარბაროსობით, რასაც პოეტი ბრძოლას უცხადებს და წამოჭრილია გლეხთა საკითხიც. შეიძლება და-

ბეჯითებით ითქვას, რომ ეს ნაწარმოები ბატონყმური წყობილების ანონაკ-ლები მკაცრი კრიტიკაა, ვიდრე ახალგაზრდა ბელინსკის „დიმიტრი კალინინი“. ამ პიესაში უკვე აღარ არის ეგზოტიკა, მთელი მასალა აღებულია რუსეთის ცხოვრებიდან.

ერთი წლის შემდეგ ლერმონტოვმა დასწერა დრამა „უცნაური კაცი“, რომელშიაც კიდევ უფრო მკვეთრად აისახა ბატონყმური წყობილების კრიტიკა და პროტესტი მის წინააღმდეგ. ამ დრამის წინასიტყვაობაში ლერმონტოვი მიუთითებს, რომ მის მიერ ამბავი აღებულია სინამდვილიდან. „პიროვნებები, რომლებიც მე გამოვხატე, ყველანი აღებულია ბუნებიდან, — სწერს ლერმონტოვი, — და ვისურვებდი, რომ ისინი ყოფილიყვნენ გამოცნობილი...“<sup>1)</sup> როგორც ვხედავთ, დიდია ამ დრამის სოციალური ღიაპაზონი. აქ, ამ „უცნაურ კაცში“ გაისმის თავისუფლების მოყვარული სიტყვები.

ლერმონტოვის დრამატიულ თხზულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს „მასკარადს“. 1835 წელს მეფის ცენზურამ აკრძალა მისი დადგმა. 1836 წელსაც იგივე განმეორდა. შესამე რედაქცია კი ბენკენდორფმა არ გაუშვა. მარტო აქედან გასაგები ხდება ამ დრამის შინაარსი. „მასკარადი“ ამხელს არისტოკრატებს, მის ზნე-დაცემულობას, გარყვნილებას, უშინაარსო, ფუქსავეატურ ცხოვრებას, ეს ნაწარმოები გასული საუკუნის 30-40-იანი წლების თავადაზნაურული საზოგადოების მძლავრი კრიტიკაა. ინტრიგები, კარტის თამაში, განუწყვეტელი ჭეიფი, გარყვნილება, პირფერობა, მატყუარობა, სხვისი ძარცვით და გათელვით პირადი ბედნიერების მიღწევა — აი „მაღალი საზოგადოების“ სურათი, რომელიც ლერმონტოვმა დაგვიხატა „მასკარადში“. მთელი ამ არისტოკრატის ფილოსოფიას გამოხატავს პიესის მთავარი მომქმედი პირის არბენინის მეგობარი კაზარინი, რომელიც ამბობს:

„Что ни толкуй Вольтер или Декарт,  
Мир для меня—колода карт.  
Жизнь—банк: рок мечет, я играю  
И правила игры я к людям применяю.“<sup>2)</sup>

ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ პროტესტი ისმის დრამაშიც „ორი ძმა“, რომელიც ლერმონტოვმა 1836 წელს დაწერა. პიესის ერთერთი მთავარი მომქმედი პირია თავადი ლიგოვსკი, რომელიც ყოველივეს ფულითა და გვაროვნული წარჩინებით ზომავს. ლიგოვსკის აქვს ორი შამული და 3000 ყმა გლეხის მფლობელია. ფულის ძალა, ქონების ძალა მის თვალში ფეტიშად არის ქცეული. ყველა მას უნდა დაემონოს. თვითონაც ამ ფულში ხედავს თავის ძალას. იგი მზად არის ჭალის თვითულ ხვევნაში გადაიხადოს ათი ათასი მანეთი. ამ ფულის ძალას ხედავს იური რადინიცი. იგი ტყუილად კი არ ამბობს: „ბატონი მილიონი — აქ ყველაფერია“.

<sup>1)</sup> იხ. М. Ю. Лермонтов. „Полное собрание сочинений“, т. III, стр. 220. 1940 г.

<sup>2)</sup> იხ. М. Ю. Лермонтов. „Полное собрание сочинений“, т. III, стр. 220. 1940 г.

ლერმონტოვის დრამების მძლავრი სოციალური შინაარსი, ნიკოლოზ ბირველის დროინდელი საზოგადოების, ბატონყმური წყობილების კრიტიკა დიდ რუს პოეტს გვიხატავენ როგორც ძალადობის, ექსპლოატაციის, სოციალური უთანასწორობის შეუპოვარ მამხილებელს, გვიხატავენ ლერმონტოვს, რომელიც იდეურად ერთი იყო პოეზიაშიც, პროზაშიც და დრამატურგიაშიც.

1941 წლის 27 ივლისს 100 წელი შესრულდება ლერმონტოვის ტრაგიკული დაღუპვიდან. საბჭოთა საზოგადოებრივობა, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო გაცხოველებით მოემზადა ამ თარიღის აღსანიშნავად. ისე როგორც პუშკინისა და რუსთაველის, წერეთლის, ჭავჭავაძისა და შევჩენკოს, „დავით სასუნცისა“ და „ჯანგარის“ იუბილეები, ლერმონტოვის მკვლევობიდან 100 წლისთავის აღნიშვნა წარმოადგენს კიდევ ერთ მძლავრ დემონსტრაციას იმისა, თუ როგორ მშობლიურად ზრუნავს ლენინ-სტალინის დიადი პარტია კულტურული მემკვიდრეობის დაფასებისა და კრიტიკული ათვისებისათვის, დემონსტრაციას იმისა, რომ საბჭოთა კავშირი, სადაც დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ძლევამოსილად შენდება კომუნისმი, ნამდვილად არის მოწინავე კულტურის ქვეყანა.



ალექსანდრე კუთათელი

## ლერმონოვი

• • •

შენ შეამბოხე კაბუჯი სჩანდი,  
შარავეანდელი არ მოგფენია,  
როცა განგმირეს ჯალათის ფანდით  
პუშკინი: რუსი ხალხის გენია.

წამოეწია მგოსანს ყორანი  
და დაუფლა ყრუ მარადისი,  
მაგრამ მარადეაჲს მოსაგონარი  
დარჩა უკვდავი სახელი მისი.

დარჩა მშვენებით მეტყველი ქნარი,  
კეთილგრძნობათა მღალღებელი,  
თავისუფლების მხნე ამგდარი  
და მტარვალისთვის მსჯავრის  
მღებელი.

მიტომ კრძალავდა მგოსანის გლოვას  
თავისუფალი ნიჰის ჯალათი,  
მიტომ შეშფოთდა მეფის ჯალაბი  
და ტახტის მცველი დათვების ზროვა.

მეფე-თავადთა უმსგავსო ჭორით  
ავზნიანობდა კვლავ ბენკენდორფი,  
სასახლის უკან მიგდებულ როფში  
თავსლაფდასხმული, ველური ღორი.

მაშინ დააწყვე, როგორც ლატანი,  
ცეცხლმოდებული ლექსში შუბები  
და აღშფოთების ხალხში გამტანი  
შურისძიება დანაგუბები.

ყუმბარად იქცა ლექსი პატარა,  
შენი ძახილი, ზღვად მონადენი,  
და სთქვეს: მხედარმა როგორ ატარა  
მტარვალის მიმართ ზიზღი ამდენი?!

იყო ყოველი შენი უჯრედი  
მგოსნის მკველლობით აღშფოთებული,  
თავისუფლების გრძნობით უშრეტი  
და შრისხანებით აღმოდებული.

მტკიცედ ნაჭედი ლექსი — ფოლადი  
შენ შემოკარი მეფის დამქაშებს.  
ჯადო სიტყვებით ისე ჰქოლავდი,  
თითქო ტყვიები მოსწყდა დამბაჩებს.

მაგრამ მოგხურა მეფემ ფარაჯა  
და შენ, ტყვექმნილი და განკიცხული,  
მკედართა სიაში გადარიცხული,  
კავკასიაში უღვთოდ დაგსაჯა.

ყაბარდოული ცხენით მოჰქროდი,  
როგორც ჩერქეზი ომში იმ დამით  
და სისხამდლით ნახე ოქროთი  
შემოჭედული ხმალი იმამის.

ის აკიაფდა, ვით იალბუზის  
თოვლი ვარვარა და ყარა-ჩაი,  
წყალთან აჰკაფა ყაზახი რუსი  
და შემოგესმა დაჭრილთა: ვაი.

ჩამოატარეს ჩერქეზთ ქალები  
ჩადრით, ჩარდახით მოკაზმულები,  
და ცეცხლს ანთებდნენ ცხენთა  
ნალები,  
ქალთ მოტაცებას მონატრულები.

შენ მოგაგონდა ამორძალები,  
როცა შეგხედა ერთმა კავშით  
და იმ შეხედვით და მოკრძალებით  
შეერთი და მთიდან ველზე დაეშვი.

წინ გაშლილიყო კავშიანი,  
უკაცრიელი დაღესტნის ველი.  
შეხედით ერთმანეთს: მწირი გვიანი  
და გარუჯული უდაბნო მწველი.

დაღესტნის ზეცა და მზე უწყალო  
უდაბნოს მკერდში კოკონს უნთებდა  
და დავეღალა რბენით სიწყალი,  
ურჩი ულაცი, მაგარკუნთება.

მკერდში იგრძენი მწარე იარა,  
მაგრამ არ გასურდა სიკვდილის კილვა,  
რადგან ღრუბელმა გადაიარა  
და შენ გეწვია შეუადღის ხილვა.

დაპრილს გიხმობდა ასულის ხელი,  
თვალი გიშერი და სევდიანი,  
ტყვექმნილი შველის შიშველი ყელი  
და მთა ბეშტაუ ქურჩითმანი.

• • •

იწექ, გართობდა უდაბნოს ალი,  
მალლა იწევდა ცა ლურჯ ფენებად.  
ციდან გიკქერდა ჩერქეზი ქალი  
და შენ ასახე იგი ჩვენება:

— ნეტავ იმ ქალის მამა, იმამი,  
იყოს მოყვარე, ჩემი სიმამრი,  
შეგვაზარხოშოს ქართლის მაჭარმა,  
მან კი ჰაფიზის მითხრას მაჯამა.

ან მიფეშქეშოს ხმალი ქებული,  
გმირთაგმირების ხელში ნაჭერი

და ყურანიდან ამოღუნული  
ოქროს სიტყვებით სამგზის ნაჭელი.  
ერაყენული  
გინჯულიყუქუქა  
ალბათ გასქედეს იგი დამასკოს,  
წმინდა ფოლადი ხორასანისა,  
რომ ვიაურებს გულზე დავვასოს  
ღღისით: მზის შუქი, ღამით: ალისა.

იქნების იყო ოდესღაც იგი  
მამშვენებელი დიდი ჰალიფის,  
მაგრამ მოვიდა, ჟამთა ყალიბით,  
ცხელ არაბეთის დაცემის რიგი.

ტყვექმნილ იმამის წმინდა ის ხმალი  
მეფეს გადასცა ახლა განგებამ.  
ვიცი, ფოლადი იგი რისხვარი  
ჩარჩის ღუქანში დაიჭანგება. —

და შეგეცოდა შენ ჩერქეზები  
და მათი ხმალი გადატეხილი,  
მთა, აულები, მიწა, ხეხილი.  
ცად აზიდული ლურჯი ქედები.

კვლავ მოგეჩვენა აქლემის კეზი  
და ზედ ის ქალი კავშით მჯდარი.  
ლტოლვილ ჩერქეზებს მორეკდა რუსი.  
ურმით მოჰქონდათ იმამი მკვდარი.

შენ კი კვლავ ეგდე ცხელ უდაბნოში,  
როგორც ჩერქეზი პატივყარილი,  
მწირი, ტყვექმნილი და უდაფნოთა,  
მეფის რუსეთთან ბრძოლით დაღლილი.

• • •

მოირწეოდა შორს ქარავანი,  
თითქოს ელოდა მექა-მედინა,  
და ამ ცხოვრების ავან-ჩავანით  
სასომიხილი გული გეტყინა.

და მიზგითიდან როს მუეძინმა  
გამოიტირა დაღესტნის ველი,  
მყისეუ ძახილზე შენ მიგეძინა,  
ნახე სიზმარში სამშობლო მწველი:

„გაჩაღებული იყო ნადიმი  
მშობელ მხარეში სანთლის ალებით.  
ყვავილშემკული, ტურფა, ნატიფი  
მასლაათობდნენ ჩემზე ქალები.

მაგრამ მღუმარე და საკვირველი  
იჯდა მათ შორის ერთი ასული  
და სული, უცხო მხარის მხილველი,  
სევდიან ძილში იყო წასული.

და ნახა ქალმა სიზმარი ავი:  
დალესტნის ველზე ნაცნობი მკვდარი,  
მკერდის წყლულიდან, ბოლივით შავი,  
გადმოდოდა გვამს სისხლის ღვარი“.

• • •

ახდა ეგ შენი წინასწარხილვა,  
თითქო ბერძნების ბრძენმა კასანდრამ  
სულში საოცრად ამოიკივლა  
და მან წყეული ბედი გალანდა.

მთაში გავარდა ავი და მბაჩია  
და შენ უსულოდ განერთხე მიწას,  
ხოლო ვერავი მკვლელნი გავაჩიჩია,  
რადგან მტარვალნი მსუღბს მკვლელს  
იცავს.

და წამოვიდა ქუხილი მთაში,  
აედარი, წვიმა კოკისპირული,  
თითქო გგლოვობდა ქვეყანა მაშინ,  
კლდეზე რომ ეგდე გულგანგმირული.

ჩაგიქრა კაბუქს ღია თვალეებში  
საოცრებათა სული მხილველი,  
სული ამაყი, გასაკვირველი,  
მწირი, ტანჯული და ნაწვალეები.

მაგრამ მარადეამს მოსაგონარი  
დარჩა უკვდავი სახელი შენი,  
განწირულ ბრძოლით აღსავსე დღენი  
და პეჩორინზე თქმული რომანი.

პირობი ვიასელი

## მ. ლერმონოვს

გიყვარდა ჩვენი ცა დაბატული  
ღრუბლის კოშკებით და ვარსკვლავებით,  
ჩვენი გარემო მუდამ ნატრული,  
რუსულ ლექსებში საჭებრად თქმული  
ვარდით, შაირით და მაღალ მთებით.

გახსენ ბუნების მძიმე კარები.  
შეხედე ლავარდს — მნათობთა ბუდეს.  
გწვავდა ელვები — ცის სატევრები  
და ქარვიანი ყურძნის მტევნები,  
ცოცხალ ვარდებით აივსე უბე.

დასტოვე ბილწი... დაუბანელი  
მეფის რუსეთი, ცრემლი, ვაება,  
მეგობრის გული, ცხოვრება ძნელი,  
ლამაზი ქალის ნანატრი ხელი  
და ლექსში ჰპოვე შენ უკვდავება.

ქართველის მკლავზე დალიე სული —  
განთიადისთვის, ღამის მთეველი,  
იქნებ წინ გედგა მიწა ქართული,  
შენი ლექსებით რუსეთს განთქმული:  
ვაზით, შაირით, მწვანე ტყე-ველით.

იქნებ უხმობდი თამარის სახელს,  
რომ ეთქვა შენთვის ტკბილი გალობა,  
იქნებ იმ დროში შენ დაინახე  
ჩვენი ახალი ცხოვრების სახე  
და ბედნიერი შთამომავლობა.

მ. ი. ლეჩოხიძე

## მეხსიანე მეხსიანი

გამოვეთხოვე რა მაქსიმ მაქსიმინს, მე ჩქარა გავიარე თერგის და დარიალის ხეობები, ვისაუხმე ყაზბეგში. ჩაი დავლიე ლარსში, ხოლო ვახშობისას ვლადიკავკაზს მივალწიე. დაგიხსნით მთების აწერისაგან, შეძახილისაგან, რომელიც არაფერს არ გამოსთქვამს, სურათებისაგან, რომელიც არაფერს არ გამოჰხატავენ, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც იქ არ ყოფილა, და სტატისტიკური შენიშვნებისაგან, რომელთაც სრულიად არაფერს არ წაიკითხავს.

მე გავჩერდი სასტუმროში, სადაც ყველა მგზავრი ჩერდება და სადაც, ამისდამიუხედავად, ვერავის შეაწვევიანებდით ხოზობსა და ვერ მოახარუვინებდით შჩის, იმიტომ რომ სამი ინვალიდი, რომელთაც სასტუმრო აქვთ მინდობილი, ისეთი სულელები და ისეთი მთვრალები არიან, რომ მათგან ვერავითარ აზრს ვერ გამოიტან.

მე გამომიცხადეს, სამი დღე კიდევ უნდა გაატაროთ აქ, ვინაიდან „ოკაზია“ ეკატერინოღარიდან ჯერ არ მოსულა და, მაშასადამე, უკანაც ვერ გაემგზავრებაო. რა ოკაზიაა!.. მაგრამ ცუდი კალამბური ნუგეში არაა რუსი კაცისთვის, და მე, თავის გასართობად, განვიზრახე მაქსიმ მაქსიმინის მოთხრობა ჩამეწერა ბელას შესახებ; არ წარმომედგინა, რომ ის პირველი რგოლი იქნებოდა მოთხრობების გრძელ ჯაჭვში: ხომ ხედავთ, რა მკაცრი შედეგები აქვს ხანდახან მცირეწიშენელოვან შემთხვევას... თქვენ კი, შეიძლება, არც კი იცოდეთ, რა არის „ოკაზია“. ესაა მცველი რაზმი, რომელიც ნახევარი როტა ქვეითი ჯარისკაცებისა და ერთი ზარბაზნისაგან შეესდგება; ის ვლადიკავკაზიდან ყაბარდოზე მიმავალ ალაღს მისდევს ეკატერინოგრადამდე.

პირველი დღე მეტისმეტი მოწყენილი ვიყავი; მეორე დღეს დილა ადრიადად ეზოში ფოჩანი შემოდის... აჰ, მაქსიმ მაქსიმინი!.. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, როგორც ძველ მეგობრებს შეეფერება, ჩემი ოხახი შევთავაზე. იმან ცერემონიებს არ მიმართა, მხარზე ხელი დამარტყა და პირი მოღრიცა, თითქო გაიცინაო. რა ახირებული კაცია!..

მაქსიმ მაქსიმინს ღრმა ცოდნა ჰქონდა სამზარეულო ხელოვნებაში. მან საოცრად კარგად შესწვა ხოზობი, მარჯვედ მოასხა კიტრის მარილწყალი, და უნდა ვალიარო, რომ უმისოდ მშრალ კერძზე დავრჩებოდი. ერთმა ბოთლმა კახურმა ხელი შეგვიწყო დაგვევიწყნა, რომ ჩვენი ტრაპეზი მცირერიცხოვან

ვერძისა, სახელდობრ მხოლოდ ერთისაგან შესდგებოდა; ჩიბუხებს, მოვუკიდეთ და ჩამოვუკეით, — მე ფანჯარასთან, ის გახურებულ ღუმელთან იჯდებოდა რომ ნესტიანი და ცივი ღღე იდგა. ჩვენ ვსდუმდით. რაზე ვსდუმდით? ვინაა რაყანა... მან თავის თავზე უკვე მიაშობო ყველაფერი, რაც თავისუფალი იყო, მე კი არაფერი მქონდა საამბობი. ფანჯარაში ვიციკირებოდი. ხეებს შუა მრავალი დიბალი სახლი მოსჩანდა, გაფანტული თერგის ნაპირას, თვით თერგი აქ თანდათან ფართოვდებოდა; ხოლო მოშორებით ლურჯად ამართულიყო მთების კარჩხალიანი კედელი, რომლის იქით ყაზბეგი იციკირებოდა თავისი თეთრი საკარდნალო ქუდით. მე ამ მთებს აზრით ვეთხოვებოდი: ისინი მენანებოდნენ...

დიდხანს ვიჯექით ამრიგად. შუე ცივ მწვერვალებს ეფარებოდა, და მოთეთრო ნისლი ველზე იფანტებოდა, როცა ქუჩაში საგზაო ზანზალაკების წკრიპი და მეეტლეების ყვირილი მოისმა. სასტუმროს ეზოში რამდენიმე ფორანი შემოვიდა ქუჩიანი სომხებითურთ, მათ ცალიერი საგზაო კალიასკა მოჰყვა; მის მსუბუქ სიარულს, მოხერხებულ მოწყობილობას და კონტა გარეგნობას რაღაც საზღვარგარეთული ბეჭედი ჰქონდა. მას მოსდევდა გრძელ ულვაშებიანი, ჰუნგრულ ქურთუკიანი მამაკაცი, საკმაოდ კარგად ჩაცმული ლაქიისთვის; ვინც მის მამაკურ მიხრა-მოხრას მიჰყვებოდა ყურადღებას, დააკვირდებოდა თუ როგორ ჰყრიდა ის ნაცარს ჩიბუხიდან და უყვიროდა მეეტლეს, ის არ შეცდებოდა მისი ხელობის გამოცნობაში: ის აშკარად ზარმაცი ბატონის განებივრებული მსახური იყო, რაღაც რუსი ფიგაროს მსგავსი. — ერთი მითხარი, გეთაყვა, — დავუძახე მას ფანჯარაში. — ეს ოკაზია ხომ არ მოსულა? — მან თავხედურად შემომხედა, ყელსახვევი გაისწორა და პირი იბრუნა: მისმა გიგრად მის გვერდით მომავალმა სომეხმა ღიმილით მიპასუხა. ჰო, ოკაზია მოვიდა და ხეალ დილით უკან ბრუნდებო. — „მადლობა დმერთს!“ სიტყვა მაქსიმ მაქსიმინმა, რომელიც ამ დროს ფანჯარასთან მოვიდა. „რა საუცხოვო კალიასკა!“ დაუმატა მან: „ალბათ, რომელიმე მოხელე თბილისში მიემგზავრება გამოძიების საწარმოებლად. ეტყობა, არ იცნობს ჩვენს მთებს. ნუ ეხუმრები მათ, ჩემო კარგო: ისინი თუნდ ინგლისურ ეტლს დაგინჯლრევენ.“ — ეს ვინ უნდა იყოს — წავიდეთ ერთი, გავივით... — ჩვენ ტალანში გავედით. ტალანის ბოლოში ღია კარი მოსჩანდა, იქ გვერდის ოთახში ლაქიას და მეეტლეს ჩემოდნები შეჰქონდათ.

„მისმინე, ძმობილო“, ჰკითხა მას შტაბსკაპიტანმა, „ვისია ეს საუცხოვო კალიასკა?... ჰა... მშვენიერი კალიასკა?“ ლაქიას არ მოუხედავს, რაღაცას თაქსისთვის ბურტყუნებდა და თან ჩემოდანს ხსნიდა. მაქსიმ მაქსიმინს გული მოუვიდა; მან ხელი დაადო ამ უზრდელ კაცს და უთხრა: „მე შენ გეუბნები, ჩემო კეთილო!“

— ვისია კალიასკა?... ჩემი ბატონის...

„შენი ბატონი ვინაა?...“

— პეჩორინი...

„რას ამბობ? რას ამბობ? პეჩორინი?... აჰ, ღმერთო ჩემო!.. კავკასიაში ხომ არ უმსახურნია?“ წამოიძახა მაქსიმ მაქსიმინმა და სახელოში ხელი მტაცა. თვალეში სიხარული უკრთოდა.

— მგონია უმსახურნია, — დიდი ხანი არაა, რაც მე მათთან ვარ.

„ჰო, ჰო!.. გრიგორი ალექსანდროვიჩი... ხომ ასე ეძახიან... მე და შენი ბა-

ტონი მეგობრები ვიყავით“, დაუმატა მან და მეგობრულად მხრებზე/ხელი დაარტყა ლაქიას, ისე რომ აძულა შეტორტმანებულო... *ერკონულაი*

— უკაცრავათ, ბატონო, თქვენ ხელს მიშლით, — უთხრა ლაქიას მხრებზე/ხელი შექმუზებით.

„ეჰ, ძმაო, შენ რა ყოფილხარ?... იცი მე და შენი ბატონი გულითადი მეგობრები ვიყავით, ერთად ვცხოვრობდით... თვითონ სადღა დარჩა?...“

მსახურმა გვითხრა, პეჩორინი პოლკოვნიკ ნ...თან დარჩა ვახშმად და ლაქიას გასათევადო.

„აქ არ შემოვა ამ სადამოს?“ ჰკითხა მაქსიმ მაქსიმიანი: „ან შენ, ჩემო კეთილო, მასთან ხომ არ წახვალ რაიმესთვის... თუ წახვიდე, უთხარი აქ მაქსიმ მაქსიმიანი თქო; ასე უთხარი... მან უკვე იცის... ოთხ აბაზიანს მოგცემ არაყისთვის...“

ლაქიას, ასეთი მცირედი საჩუქრის აღთქმის გაგონებაზე, სახეზე ზიზღი აღებუკდა; მაგრამ მან მაინც დაარწმუნა მაქსიმ მაქსიმიანი, შევასრულებთ თქვენს დაეაღებასო.

— ახლავე მოიბრუნს... — მითხრა მაქსიმ მაქსიმიანი გამარჯვებულის სახით: — წავალ, ჰიშვართან დაველოდები... ეხ, ვწუხვარ, რომ ნ...ს ვერ ვიცივობ.

მაქსიმ მაქსიმიანი ჰიშვართან დაჯდა მერხზე, მე კი ჩემს ოთახში წავედი. მართალი ვითხრათ, მეც, ცოტა არ იყოს, მოუთმენლად ველოდი ამ პეჩორინის მოსვლას; თუმცა შტაბსკაპიტანის სიტყვების მიხედვით მე მასზე არახელსაყრელი წარმოდგენა შევადგინე, მაინც მისი ხასიათის ზოგიერთი თვისება საყურადღებოდ მეჩვენა. ერთი საათის შემდეგ ინვალიდმა ადუღებული სამოვარი და ჩაიდანა შემოიტანა. — „მაქსიმ მაქსიმიანი, ჩაი ხომ არ გინდათ?“ დაუძახე ფანჯრიდან.

— გმადლობთ; რაღაც როდი მინდა.

„მოდით, დალიეთ! ხომ ხედავთ, უკვე გვიანაა, ცივა“.

— არა უშავს; გმადლობთ...

„როგორც გენებოთ!“ — მე მარტო დავიწყე ჩაის სმა; ხუთი წუთის შემდეგ ჩემი მოხუცი შემოდის: — თქვენ მართალი ხართ: უკეთესია ჩაი დაელო, — მე კი სულ ველოდი... დიდი ხანია მისი მსახური მასთან წავიდა, მაგრამ ეტყობა თვითონ ის რაღაცამ დააგვიანა“.

მან საჩქაროდ გადაყლაპა ერთი ფინჯანი ჩაი, უარი სთქვა მეორეზე და ხელახლა ჰიშვართან დაბრუნდა ცოტა არ იყოს შემფოთებული: ცხადი იყო მოხუცს აწუხებდა პეჩორინის მიერ ათვალისწინება, მით უმეტეს, რომ სულ ცოტა ხნის წინად მითხრა, მეგობრები ვართო, და ჯერ კიდევ ერთი საათის წინად დაარწმუნებული იყო, რომ ის მოიბრუნდა, როგორც კი მის სახელს გაიგონებდა.

უკვე გვიან იყო და ბნელოდა, როცა ხელახლა გავაღე ფანჯარა და მაქსიმ მაქსიმიანს დავუძახე, დროა დაიძინოთ მეოთხე; რაღაც ჩაილულულდა; ხელახლა მოვიპატივე, — მან არაფერი არ მიპასუხა.

მე დივანზე წამოვწექი შინელში გახვეული, ხოლო ტახტზე სანთელი დავტოვე; ჩქარა ძილი მომერია და მთელ ღამეს მშვიდობიანად ვიძინებდი, თუ ძალიან გვიან მაქსიმ მაქსიმიანი ოთახში არ შემოსულიყო და არ გავეღვიძებინა.

ნე. მან ჩიბუხი მაგიდაზე დააგდო, ბოლოსცემა დაიწყო, ცეცხლს შეუქცია ღუმელში. ბოლოს დაწვა, მაგრამ დიდხანს ახველა, აფურთხა, ეჭრებოდა.

— ბალღინჯოები ხომ არ გებნენ, — შევეკითხე მე.

„ჰო, ბალღინჯოები...“ მიპასუხა მან და ღრმად ამოიხრა.

მეორე დღეს დილით ადრე გამომეღვიძა; მაგრამ მაქსიმ მაქსიმინს დაესწრო. ის ჭიშკართან აღმოვაჩინე, მერხზე მჯდომარე. „მე კომენდანტთან უნდა წავიდე“, მითხრა მან, „გეთაყვა, თუ პეჩორინი მოვიდეს, შემატყობინეთ...“

აღვუთქვი. ის აჩქარებით წავიდა, თითქო მის სხეულს ხელახლა ჭაბუკური ძალა და მოქნილობა შეეძინოს.

დილა გრილი და მშვენიერი იყო. მთებზე, როგორც ჰეროვანი მთების ახალი წყება, მოვარაყული ღრუბლები შეგროვილიყო; ჭიშკრის წინ ფართო მოედანი იშლებოდა; იმას იქით მდებარე ბაზარი საესე იყო ხალხით. იმიტომ რომ კვირა დღე იყო; ფეხშიშველი ოსის ბიჭები, რომელთაც ზურგზე ფიჭის თაფლიანი შულდაკები მოეკიდათ, ჩემს გარშემო ტრიალობდნენ; მე მათ შევეუყურებე; მათთვის როდი მეცალა, მე გულკეთილი შტაბსკაპიტანის მოუსვენრობა ვადმომელო.

არ ვასულა ათი წუთიც, და მოედნის ბოლოში გამოჩნდა ის, ვისაც ველოდით. ის მოდიოდა პოლკოვნიკ ნ...თან ერთად, რომელმაც ის სასტუმრომდე მოაცილა; შემდეგ პოლკოვნიკი გამოეთხოვა და თვითონ ციხისკენ გაბრუნდა. მე მაშინვე ინვალიდი გავუგზავნე მაქსიმ მაქსიმინს.

პეჩორინს მისი ლაქია შეეგება და მოახსენა, ახლავე შეაბამენ კალიასკასო; შემდეგ მას სიგარების კოლოფი გადასცა, მისგან რამდენიმე ვანკარგულემა მიიღო და წავიდა შესასრულებლად. მისმა ბატონმა სიგარი მოსწია, ორჯერ დაამთქნარა და მერხზე ჩამოჯდა ჭიშკრის მეორე მხარეზე. ახლა მისი სურათი უნდა დაგინატოთ.

ის შეატანისა იყო; მისი კარგად მოყვანილი, წერწყტი წელი და ფართო ბეჭები ამტკიცებდნენ, რომ ის მაგარი აგებულებისა იყო, ადვილად გადაიტანდა მოხეტიალე ცხოვრებისა და ჰერის ცვალებადობისაგან გამომდინარე სიძინელებს, რომ ის დაძლეული არ იყო არც სატახტო ქალაქის გარყვნილი ცხოვრებით, არც სულიერი ჭარიშხლებით; მის დამტკერიანებულ ხავერდის სერთუქს ქვეშ, რომელიც მხოლოდ ორ ქვედა ღილზე იყო შეკრული, ადვილად სჩანდა თვალის მომჭრელი სუფთა თეთრეული, რომელიც ამტლავებდა, რომ მას წესიერი ადამიანის ჩვეულებები ჰქონდა; მისი დალაქავებული ხელთათმანები თითქო საგანგებოდ იყო გამოჭრილი მის პატარა არისტოკრატიულ ხელზე, და როცა ერთი ხელთათმანი წაიძრო, მე ვამაოცა მისმა ფერმკრთალმა გამხდარმა თითებმა. დაუდევარი და ზარმაცი სიარული ჰქონდა, მაგრამ მე შევამჩნიე, რომ ხელებს არ აქნევდა, — ეს გულჩათხრობილი ხასიათის უტყუარი ნიშანია. მაგრამ ეს ჩემი საკუთარი შენიშვნებია, დაფუძნებული ჩემსავე დაკვირვებაზე, და სრულიადაც არ მინდა, თქვენ მათი ბრმად მიღება გაიძულოთ. როცა მერხზე ჩამოჯდა, მისი პირდაპირი ტანი ისე მოიზნიქა, თითქო ხერხემალში არც ერთი ძვალი არ ჰქონოდა; მთელი მისი სხეულის მდგომარეობამ რაღაც ნერვიული სისუსტე გამოჰხატა. ისე იჯდა, როგორც ბალზაკის ოცდაათი წლის კეკლუცი ქალი დამღლეული ბალის შემდეგ თავის ბუმბულიან სავარძელში ჯდება ხოლმე. პირველი შეხედვით მე ოცდასამ წელზე მეტს არ მივეყმდი, მაგრამ შემდეგ მზად ვიყავი ოცდაათიც მიმეცა. სახეზე რა-



დაც ბავშვური ჰქონდა. ქალივით ნაზი კანი ჰქონდა; ბუნებრივად ჯერა თმა მზატვრულად ამთარებდა მის ფერმკრთალ, კეთილშობილ შუბლს, რომელზედაც მხოლოდ დიდი დაკვირვების შემდეგ შეამჩნევდით ნაოქების კალსის ნაოქები ერთი მეორეს სერავდა და, ალბათ მხოლოდ გულისწყრომისა და სულიერი შეშფოთების მომენტებში, წუთებში სჩანდა უფრო აშკარად. დია ფერის თმის მიუხედავად, მას შავი უღვაში და წარბები ჰქონდა, — ესაა ადამიანის ჯიშის მაჩვენებელი, როგორც შავი ფაფარი და შავი ძუა თეთრი ცხენის ჯიშის მაჩვენებელია. რათა სურათი დავამთავრო, ვიტყვი, რომ ცოტათი აბუეკილი ცხვირი, თვალისმომკრელი თეთრი კბილები და თაფლისფერი თვალები ჰქონდა; ამ თვალებზე კიდევ რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა.

ერთი რომ, მას თვალები არ უცინოდნენ, როცა თვითონ იცინოდა. — ნუ თუ თქვენ ასეთი უცნაური რამ არ შეგიმჩნევიათ ზოგიერთ ადამიანში?.. ეს ან ბოროტი ზნის ნიშანია ან კიდევ ღრმა მუღმივი სევდისა. ნახევრად დაბრილ წამწამებში ისინი რაღაც ფოსფორისებურად ელვარებდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს არ იყო სულიერი სიცხოველის ან ცელქი ფანტაზიის ანარეკლი: ეს იყო ელვარება მსგავსი გლუვი ფოლადისა, თვალისმომკრელი, მაგრამ ცივი; მისი გამოხედვა ხანმოკლე, მაგრამ გამკვალავი და მძიმე, არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქო მოუერიდებელ კითხვას იძლევაო, და კადნიერი გეჩვენებოდათ, თუ ესოდენ გულგრილად წყნარი არ ყოფილიყო. შეიძლება ყველა ეს შენიშვნა თავში მომივიდა მხოლოდ იმიტომ, რომ მე ვიცოდი მისი ცხოვრების ზოგიერთი წერილმანი; შეიძლება სხვაზე მის გარეგნობას სრულიად სხვანაირი შთაბეჭდილება მოეხდინა; მაგრამ რადგან მის შესახებ სხვისგან ვერავისგან ვერაფერს ვაიგებთ, ძალაუვნებურად უნდა დასჯერდეთ ამ სურათს. ბოლოს ვიტყვი, რომ ის საერთოდ ულამაზო არ იყო და ერთ-ერთი ის ორიგინალური ფიზიონომია ჰქონდა, რომელიც განსაკუთრებით მოსწონთ ქალებს.

ცხენები უკვე შებმული იყვნენ; ზანზალაკი ხანდახან წარუწობდა ოდრიკალის ქვეშ, ხოლო ლაქია უკვე ორჯერ მივიდა პეჩორინთან, რათა მოესხენებია, ყოველივე მზად არისო; მაქსიმ მაქსიმიჩი კი ჯერ არ სჩანდა. საბედნიეროდ ჩემორინი ფიქრებში იყო წასული, კავკასიონის ლურჯ კარჩხალებს უცქეროდა და როგორც ეტყობოდა, სრულიად არ ჩქარობდა გამგზავრებას. მე მივეუახლოვდი: „თუ ცოტათი დაცდას ისურვებთ“, ვუთხარი მას, „ძველ მეგობართან შეხვედრის სიამოვნება გელით“...

— ჰო, მართლა! — სწრაფად მიპასუხა მან: — გუშინ მითხრეს, მაგრამ სად არის ის? — მე უკან მოვიხედე მოედნისკენ და მაქსიმ მაქსიმიჩი დავინახე; ქუდმოგლეჯილი მობოდა... რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ჩვენთან იყო; ძლივს სუნთქავდა; ოფლი სახიდან წურწურით ჩამოდიოდა; ქალარა თმა გაწეწოდა ქუდს ქვემოთ და შუბლზე მიწებებოდა; მუხლები უკანკალებდა... მას უნდოდა ყელზე გადახვეოდა პეჩორინს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცივად, თუმცა მეგობრული ღიმილით გაუწოდა ხელი. შტაბსკაპიტანი ერთი წუთით სახტად დარჩა, მაგრამ შემდეგ ორივე ხელით ხარბად მოეჭიდა მის ხელს: მას ლაპარაკის უნარი წართმეული ჰქონდა..

— როგორი მოხარული ვარ, ძვირფასო მაქსიმ მაქსიმიჩი! როგორ ცხოვრობთ? — ჰკითხა პეჩორინმა.

„შენ?.. თქვენ?“ წაილულულა თვალცრემლიანმა მოხუცმა... რამდენმა წელმა... რამდენმა დღემ... და საით?..“

— სპარსეთში მივდივარ, და კიდევ იქით...

„ნუ თუ ახლავე?.. დაიცადეთ, ძვირფასო!.. ნუ თუ ახლავე განვშორდებით ერთმანეთს?.. რამდენი ხანია არ მინახიხართ...“

— მაგვიანდება, მაქსიმ მაქსიმოჩი, — ასეთი იყო პასუხი.

„ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო! საით მიიჩქარით ასე? მე თქვენთვის ბევრი რამის თქმა მინდოდა... ბევრის გამოკითხვა... რა მოხდა? სამსახურიდან გამოსხვედით?.. როგორ... რას აკეთებდით?“

— მოწყენილი ვიყავი, — უპასუხა პეჩორინმა ღიმილით.

„გახსოვთ თუ არა ჩვენი ცხოვრება ციხესიმაგრეში?.. საუცხოვო ქვეყანა სანადიროდ... თქვენ ხომ სროლა გიყვარდათ... ბელა?..“

პეჩორინი ოდნავ გაფითრდა და მიბრუნდა...

— ჰო, მახსოვს, — სთქვა მან და თითქმის მაშინვე ძალდატანებულად დაამთქნარა...

მაქსიმ მაქსიმოჩიმა ხეწნა დაუწყო, კიდევ ორიოდ საათი დარჩო. „მშვენიერად ვისადილებთ“, უთხრა მან: „ორი ხოხობი მაქვს; კახური კი აქ საუცხოვოა... რასაკვირველია, ისეთი არაა როგორც საქართველოში, მაგრამ საუკეთესო ხარისხისა... ვისაუბრებთ... თქვენ მიაშობთ როგორ ცხოვრობდით პეტერბურგში... ჰა?..“

— მართალი ვითხრათ, საამბოები არაფერი არ მაქვს, ძვირფასო მაქსიმ მაქსიმოჩი... მამ მშვიდობით, დრო არ იცდის... მეჩქარება... გმადლობთ, რომ არ დამივიწყეთ... — დაუმატა მან და ხელი ჩამოართვა.

მოხუცმა წარბები შეიკმუნა... ის შეწუხებული და გულმოსული იყო, თუმცა სცდილობდა ამის დამალვას. „დავიწყება!“ — წაიბუტბუტა მან: „მე კი არაფერი დამივიწყნია... როგორც გენებოთ!.. ასე არ ველოდი თქვენთან შეხვედრას...“

— კარგი, კარგი! — უთხრა პეჩორინმა და მეგობრულად გადაეხვია: — ნუ თუ მე იგივე არა ვარ?.. რა გაეწყობა? ყველას თავისი გზა აქვს... ღმერთმა იცის, შევეუბრებით თუ არა კიდევ ერთმანეთს... — როცა ამ სიტყვებს ამბობდა, ის უკვე კალიასკაში ოჯდა, ხოლო შეეტლემ უკვე სადავეებს მოჰკიდა ხელი.

„დაიცა, დაიცა!“ — დაივიწყა უკებ მაქსიმ მაქსიმოჩიმა და კალიასკის კარს ჩაეჭიდა: „კინალამ დამივიწყდა... მე თქვენი ქალაქები დამჩნა, გრიგორი ალექსანდროვიჩი... თან დაეთორე... მეგონა საქართველოში გნახავდი, და აი სად შეგვახვედრა ღმერთმა... რა ვუყო ამ ქალაქებს?..“

— რაც გენებოთ! — უპასუხა პეჩორინმა. — მშვიდობით!

„მამ თქვენ სპარსეთში მიდიხართ?.. როდის დაბრუნდებით?..“ უყვიროდა მაქსიმ მაქსიმოჩი...

კალიასკა უკვე მოშორებით იყო. მაგრამ პეჩორინმა ხელით ანიშნა რაღაც, რაც შეიძლებოდა შემდეგნაირად გადაგვეთარგმნა: საეჭვოა... ან და რა საჭიროა...

დიდი ხანია უკვე არ ისმოდა არც ზანზალაის წყრიალი, არც ბორბლების რახუნე კაჟიან გზაზე, საბრალო ბებერი კი იმავე ადგილას იდგა ღრმად ჩაფიქრებული.

„პო,“ — სთქვა მან ბოლოს და სცადა გულგრილი გამომეტყველება მიეღო, თუმცა გულისჯავრის ცრემლი დროგამოშვებით ციმციმებდა მის წამწამებზე: „რასაკვირველია, ჩვენ მეგობრები ვიყავით, — მაგრამ ჩვენ გრძელ ვიცხოვრებთ ჩვენს საუკუნეში!.. რა ვარ მე იმისთვის? არც მდიდარი ვარ, არც მაღალჩინოსანი, ასაკითაც შეუფერებელი ვარ... შეხედე, როგორი ფრანტი გამხდარა, რა კი ხელახლა პეტერბურგში მოხვედრილა... რა კალიასკაა!.. რა ტვირთი უძევს!.. და ლაქიაც როგორი ამაყია!..“ ეს სიტყვები ირონიული ღიმილით იყო წარმოთქმული. „ერთი მითხარით“ — განაგრძო მან და მე მომიბრუნდა. — „რას ფიქრობთ ამის შესახებ? რა ეშმაკი ერეკება ახლა სპარსეთისკენ?.. რა სასაცილოა, ღმერთმანი, სასაცილოა!.. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ ის თავქარიანი კაცი იყო, რომელზედაც დაიმედება არ შეიძლებოდა... სამწუხაროა, რომ ის ცუდად გაათავებს... არც შეიძლება სხვანაირად მოხდეს... მე ყოველთვის მითქვამს, რომ სახეირო არაფერია იმათში, ვინც ძველ მეგობრებს იფიწყებს...“ აქ მან პირი იბრუნა, რათა თავისი მღელვარება დაემალა, და ეზოში დაიწყო სიარული თავისი ფორნის გარშემო: ვითომ და ესაო, ბორბლებს ვათვლიერებო, ნამდვილად კი მისი თვალები ყოველ წუთს ცრემლებით ივსებოდა.

— მაქსიმ მაქსიმინი, — ვუთხარი მე მას, — რა ქალაღები დაგიტოვათ პეჩორინმა?

„ღმერთმა იცის მისი თავი! რაღაც ჩანაწერები...“

— რისთვის გამოიყენებთ?

„როგორ? ვაზნებს გავაკეთებინებ“.

— მომეცით, უკეთესია.

იმან გაოცებით შემომხედა, რაღაც წაილულლულა და ხელის ფათური დაიწყო ჩემოდანში; აი ერთი რვეული ამოიღო და ზიზღით გადააგდო მიწაზე; შემდეგ მეორეს, მესამეს, მეათეს იგივე ბედი ეწვია: მის გულისწყრომაში იყო ბავშვური; მე ეს სასაცილოდ და შესაბრალოსად მეჩვენა...

— აი სულ აქ არის, — მითხრა მან: — მოვილოცავთ, კარგი რამ მოიძიეთ...

„და შემიძლია სურვილისამებრ გამოვიყენო?“

— თუნდაც გაზეთებში დაბეჭდეთ. რა მესაქმება!.. მე რა, მისი მეგობარი ვარ თუ ნათესავი? მართალია, ჩვენ ღიზნანს ვიცხოვრეთ ერთ ჰერ ჰერეში... მაგრამ განა ცოტა ვისმესთან მიცხოვრია?..

მე ხელი ვტაცე ქალაღებს და საჩქაროდ წავიღე, რადგან მეშინოდა, არ ინანოს შტაბსკაპიტანმა მეტყი. ცოტა ხნის შემდეგ გამოგვიცხადეს, ერთი საათის შემდეგ ოკაზია დაიძვრებო: მე ვუბრძანე ცხენები შეებათ. შტაბსკაპიტანი ოთახში შემოვიდა, როცა მე ჭლდს ვიხურავდი; როგორც ეტყობოდა, ის არ ეშხადებოდა სამოგზაუროდ: მას რაღაც ძალდატანებელი ცივი გამომეტყველება ჰქონდა.

„თქვენ, მაქსიმ მაქსიმინი, განა არ მოღიხართ?“

— არა.

„რატომ?“

— ჯერ კიდევ კომენდანტი არ მინახავს, მე კი ზოგიერთი სახაზინო ნივთი მაქვს ჩასაბარებელი.

„კი მაგრამ თქვენ ხომ იყავით მასთან?“

— ვიყავი. რასაკვირველია, — სთქვა მან ბორძიკით, — მაგრამ ის შინ არ იყო... მე კი ვერ დავუცადე.

მე გავუთხარე: საბრალო მოხუცმა, შეიძლება პირველად თავის სიტყვებში, სამსახურის საქმეს თავი დაანება „საკუთარი საქიროებისაფუქი“ და დაიღვინა ენით რომ ვთქვათ, — და როგორ იქნა დაჯილდოებული. გიგლინიძე  
— ძალიან ვწუხვარ, — ვუთხარი მას, — ძალიან ვწუხვარ, მაქსიმ მაქსიმიჩი, რომ ჩვენ ნაადრევად უნდა გავშორდეთ ერთმანეთს.

„სად უნდა გამოგედევნოთ ჩვენ, გაუნათლებელი ბერიკაცები!.. თქვენ მაღალი საზოგადოების ამპარტავანი ახალგაზრდობა ხართ: სანამ ჩერქეზების ტყვიები გემუქრებათ, კიდევ რაღაცას ჰგეხვართ... შემდეგ კი თუ კაცი შეგხვდებათ, ხელის გამოწოდებაც კი გრცხვენინათ“.

— შე ეს საყვედური არ დამიმსახურებია, მაქსიმ მაქსიმიჩი.

„ეს ისე, სიტყვამ მოიტანა; გისურვებთ ყოველგვარ ბედნიერებასა და მხიარულ გზას!“

ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ მშრალად გამოვემშვიდობეთ. გულკეთილი მაქსიმ მაქსიმიჩი ჯიუტ, ბუზღუნა შტაბსკაპიტანად იქცა. და რატომ? იმიტომ რომ პეჩორინმა გაფანტულობისა და სხვა მიზეზის გამო მას ხელი გაუწოდა, მაშინ როცა თვითონ მას უნდოდა ყელზე გადახვეოდა. სამწუხარო სანახავია, როცა ჭაბუკი ჰყარგავს თავის საუკეთესო იმედებსა და ოცნებებს, როცა მის წინაშე იფლითება ვარდისფერი ლეჩაქი, რომელშიც ის უცქეროდა ადამიანურ საქმეებსა და გრძნობებს, თუმცა არის იმედი, რომ ის ძველ ცდომილებას ახალით შესცვლის, არა ნაკლებ სწრაფმავალით, მაგრამ სამაგიეროდ არა ნაკლებ ტკბილით... მაგრამ რით შეიძლება მისი შეცვლა მაქსიმ მაქსიმიჩის ასაკში? ძალაუვნებურად გული გამოიფიტება, ხოლო სული დაიხშება...

მე მარტოდ მარტო გავემგზავრე.

თარგმანი ზმარონი ქიქოძისა

მ. ი. ლეონიძის

## უაგალისი

როგორღაც მოხდა, რომ ორი კვირა კაზაკების სტანიცაში ვიცხოვრე მარცხენა ფლანგზე; იქვე იდგა ქვეითა ჯარის ბატალიონი; ოფიცრები ერთმანეთთან ვიკრიბებოდით მორიგეობით, საღამოობით ქალაქის ვთამაშობდით.

ერთხელ ბოსტონი მოგვწყინდა, ქალაქი მაგიდის ქვეშ შევეყარეთ და ძალიან დიდხანს დავრჩით მაიორ ს... სას; საუბარი არაჩვეულებრივად თავშესაქცევარი იყო. ვმსჯელობდით იმის შესახებ, რომ შესლიმანური რწმენა, თითქო ადამიანის ბედი ზეტაზე იყოს აღბეჭდილი, ჩვენს შორისაც პოულობს მრავალ თავყანისმცემელს; თვითეულმა ჩვენგანმა სხვადასხვა არაჩვეულებრივი შემთხვევა გვიამბო *pro* ან *contra* <sup>1)</sup>

„ყოველივე ეს არაფერს არ ამტკიცებს, ბატონებო“, სთქვა მოხუცმა მაიორმა. „არც ერთი თქვენგანი ზომ იმ უცნაური შემთხვევების მოწმე არ ყოფილა, რომლითაც თქვენს შეხედულებებს ადასტურებთ?“

— რასაკვირველია, არც ერთი, — უპასუხა ბევრმა ჩვენგანმა: — მაგრამ ჩვენ სარწმუნო ადამიანებისაგან გავიგონეთ...

„ყოველივე ეს უაზრობაა“, სთქვა ვიღაცამ: „სად არიან ეს სარწმუნო ადამიანები, რომელთაც უნახავთ ჩვენი სიკვდილის საათის აღმნიშვნელი სია?.. და თუ არსებობს ბედისწერა, რისთვისღა გვაქვს მოცემული ნებისყოფა, გონება? რად უნდა მივცეთ ანგარიში ჩვენი ყოფაქცევის შესახებ?“

ამ დროს ერთი ოფიცერი, რომელიც ოთახის კუთხეში იჯდა, წამოდგა, აუჩქარებლად მივიდა მაგიდასთან და ყველას წყნარად და დღესასწაულებრივად გადახედა. როგორც მისი გვარიდან სჩანდა, ის წარმოშობით სერბი იყო.

პორტიკ ვულიჩის გარეგნობა საცხებით შეეფერებოდა მის ხასიათს. მალაღობი ტანი და შეფეგრემანი პირისახე, შავი თმა, შავი გამჭვალავი თვალები, დიდი, მაგრამ სწორი ცხვირი, მისი ნაცის კუთხნილება, სევდიანი და ცივი გლიმება, რომელიც მუდამ ამოძრავებდა მის ტუჩებს, — ყოველივე ეს თითქო შეთანხმებული იყო, რათა მისთვის იმ განსაკუთრებული არსების გარეგნობა მიეცა, რომელსაც არ შეუძლია თავისი აზრები და ენებათა ლეღვანი ბედის მიერ მიჩენილ ამხანაგებს გაუნაწილოს.

<sup>1)</sup> დასადასტურებლად ან საწინააღმდეგოდ.

ის მამაცი იყო; ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ მკვეთრად; არავის არ ანდობდა თავის სულიერ და ოჯახურ საიდუმლოებათ; ლენინოს ფიტუქმეს ქრულიად არ სვამდა, — ახალგაზრდა კახაეის ქალებს, რომელთა მიწვევადველურებს გაგება ძნელია მათ უნახავად, ის არასოდეს არ დასდევდა. ამბობდნენ, პოლკოვნიკის ცოლი გულგრილად ვერ უტკებრის მის მეტყველ თვალებსო; მაგრამ ვულხი სერიოზულად ჯავრობდა, როცა ამაზე ნართაულად წამოუგდებდნენ ლაპარაკს.

მხოლოდ ერთი გატაცება ჰქონდა, რომელსაც არ მალავდა — გატაცება ქალღმრთის თამაშობით. მწვანე მაგიდასთან ყველაფერს ივიწყებდა და ჩვეულებრივ აგებდა; მაგრამ მუდმივი მარცხი მხოლოდ აღიზიანებდა მის კერპ ბუნებას. ამბობდნენ, ერთხელ ექსპედიციის დროს, ღამით, ის ბალიშზე არიგებდა ბანკსო; თურმე ძალიან მოსდიოდა. უცებ სროლის ხმა გაისმა, განგაში ატყდა, ყველანი წამოცვივდნენ და იარაღს ეცნენ. „დასვი ვა-ბანკ!“ შესძახა ვულხიმ წამოუდგომლად ერთ ერთ თავის ცხარე პორტნიორს. — შედიანი მოდის, — უპასუხა ამ უკანასკნელმა და გაიქცა. საყოველთაო არევდარევის მიუხედავად ვულხიმ დაასრულა ტალია; მოწინააღმდეგემ მოიგო.

როდესაც ვულხი რაზმში გამოცხადდა, იქ უკვე ძლიერი თოფის სროლა იყო ამტყდარი. მას ყურადღება არ მიუტყვევია არც ჩაჩნების ტყვიებისა, არც მათი ხმლებისთვის: მაშინვე თავისი ბედნიერი პორტნიორი მონახა.

„შედიანი გამოვიდა!“ დაუძახა მან, როცა ბოლოს დაინახა მოწინავე რაზმში, რომელიც მტერს აძევებდა ტყიდან; მივიდა მასთან, ჭისა და საფულე ამოიღო და თავის ბედნიერ მოწინააღმდეგეს გადასცა, მიუხედავთ იმისა, რომ ეს უკანასკნელი ეუბნებოდა, რა დროს წაგებული ფულის გადახდააო. ამ არასასიამოვნო ვალდებულების შესრულების შემდეგ ის წინ გაეპარდა, ჯარისკაცები ვაიტაცა და ბრძოლის დასრულებამდე შეუშფოთებლად სროლით უპასუხებდა ჩაჩნების სროლას.

როცა პორტუჩიკი ვულხი მაგიდასთან მივიდა, ყველანი დადუმდნენ, ვინაიდან მისგან რაიმე ორიგინალურ საქციელს ელოდნენ.

„ბატონებო!“ სთქვა მან (მას დამშვიდებული ხმა ჰქონდა, თუმცა ერთი ტონით დაბლა ლაპარაკობდა ჩვეულებრივზე): „ბატონებო, რა საჭიროა ცალიერი კამათი? თქვენ დამამტკიცებელი საბუთები გნებაეთ? მე თქვენ წინადადებას გაძლევთ, თქვენზევე გასინჯოთ, შეუძლია ადამიანს თვითნებურად განავოს თავისი სიცოცხლე, თუ თვითულ ჩვენგანს წინდაწინვე საბედისწერო წუთი აქვს დანიშნული... ვის სურს?“

— მე არა, მე არა! — გაისმა ყოველი მხრიდან: — აი ახირებული კაცი! რა არ მოუვა თავში...

— სანაძლეოს ედებ, — ვუთხარი მე ხუმრობით.

„რას?“

— ვამტკიცებ, რომ ბედისწერა არ არსებობს, — ვთქვი მე და მაგიდაზე იციოდე ჩერვონეცი დავყარე — მთელი თანხა, რაც ჯიბეში მქონდა.

„მოდის“, მიპასუხა ვულხიმ ყრუ ხმით. „მაიორო, თქვენ იყავით მსაჯული; აი თხუთმეტი ჩერვონეცი; დანარჩენი ხუთი თქვენ ჩემი გამართებით, მეგობრობა გამიწიეთ და დაუმატეთ.“

— კარგი, — უპასუხა მაიორომა: — მხოლოდ არ მესმის, რაშია საქმე, და როგორ გადასწყვეტთ საკამათო საკითხს?

ვულიჩი უსიტყვოთ გავიდა მაიორის საწოლ ოთახში; ჩვენ უკან გავვეცი-  
ის კედელთან მივიდა, სადაც იარაღი ეკიდა, და ალაღბედზე ლურჯმინიდან  
ერთერთი ჩამოიღო სხვადასხვა კალიბრისანი დამბაჩებიდან. ჩვენ უსიტყვოთ  
არა გვესმოდა რა; მაგრამ როცა ჩახმაზი მომართა და ფალიაზე თოფის წა-  
მალი დაჰყარა, მრავალმა ჩვენგანმა ძალაუნებურად შეჰყვირა და ხელი სტა-  
ცა მას.

— რას შერები? დაიცა, ეს სიგიჟეა! — შეესძახეთ მას.

„ბატონებო“, სთქვამან აუჩქარებლად და ხელი გაინთავისუფლა: „ვის სურს  
ჩემ მაგიერ ოცი ჩერვონეტი გადაიხადოს?“

ყველანი დადუმდნენ და განშორდნენ.

ვულიჩი მეორე ოთახში გავიდა და მაგიდას მიუჯდა; ყველანი უკან გავ-  
ვეციით. მან გვანიშნა, ირგვლივ დაგვექითო. უსიტყვოთ დავემორჩილეთ: ამ  
მომენტში მან რაღაც საიდუმლო ძალა მოიპოვა ჩვენზე. მე თვალეებში ჩავაშ-  
ტერდი; მაგრამ ის მშვიდად და უმოძრაოდ შეხედა ჩემს გამომტყდელ შეხე-  
დას, და მის ფერმკრთალ ტუჩებზე ღიმილმა გადაიბრინა; მაგრამ ამ გულ-  
გრილობის მიუხედავად, მე შეგონა, სიკვდილის ბეჭედს ვხედავ მის ფერმიხ-  
დილ სახეზე მეთქი. მე შემინიშნავს, და მრავალ ხნიერ მეომარს დაუდასტუ-  
რებია ჩემი დაკვირვება, რომ ზშირად იმ ადამიანის სახეზე, რომელიც რამ-  
დენიმე საათის შემდეგ უნდა მოკვდეს, არის რაღაც აუცილებელი ბედისწე-  
რის უცნაური ბეჭედი, ისე რომ შეჩვეული თვალი იშვიათად შესცდება.

„თქვენ დღეს მოკვდებით“, ეუთხარი მას. ის მკვირცხლად ჩემსკენ მობრუნ-  
და, მაგრამ აუჩქარებლად და წყნარად მიპასუხა:

— შეიძლება პო, შეიძლება არა...

შემდეგ მაიორს მიმართა, გატენილია თუ არა დამბაჩო. შემფოთებულ  
მაიორს კარგად როდი ახსოვდა.

„გეყოფა, ვულიჩ!“ დაიძახა ვილაკამ: „ალბათ, გატენილია, რაკი თავში  
ეკიდა; რას ხუმრობ!“

— უფუნური ხუმრობაა, — დაუმატა ვილაკამ.

— ორმოცდაათ მანეთს ვდებ ზუთის წინააღმდეგ, რომ დამბაჩა გატენილი  
არაა! — დაიძახა შესამემ.

ახალი სანაძლეოები დაიდო.

მე მომწყინდა ეს გრძელი ცერემონია. „ყური დამიგდეთ“, ეუთხარი მე: „ან  
თავში ტყვია ირტყით, ან დამბაჩა თავის ადგილას ჩამოჰკიდეთ, და დასაძი-  
ნებლად წავიდეთ“.

— რასაკვირველია, — წამოიძახა მრავალმა დამსწრემ, — დასაძინებლად წა-  
ვიდეთ.

— ბატონებო, მე თქვენ ვთხოვთ, ადგილიდან არ დაიძრათ! — სთქვა ვუ-  
ლიჩმა და დამბაჩა მიიღო შუბლზე.

ყველანი თითქო გაქვავდნენ. „ბატონო პეჩორინო“, დაუმატა მან: „ერთი  
ქალაღი აიღეთ და ზევით ააგდეთ“.

მე მაგიდიდან, როგორც ახლა მახსოვს, ჩერვის ტუში ავიღე და ზევით შე-  
ვაგდე: ყველა სულგაკმენდილი იჯდა; ყველა შიშითა და რაღაც გაურკვევე-  
ლი ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალებს აცეცებდა დამბაჩიდან საბედის-  
წერო ტუშისკენ, რომელიც ჰაერში თრთოდა და ნელა ეშვებოდა ძირს: რო-  
გორც კი ის მაგიდას შეეხო, ვულიჩმა ჩახმაზის ფეხი გამოსწია... უმტყუნა.

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა ბევრმა ჩვენგანმა: — გატენილი არ ყოფილა.

„მინც ვნახოთ“, — სთქვა ვულიჩმა, ხელახლა ჩახმახი ფეხზე შეაყენა და დაუმიზნა ქუდს, რომელიც ფანჯრის თავზე იყო დაკიდებული; დაშინებულმა გავარდა — კვამლმა ოთახი აავსო; როცა ის გაიფანტა, ქუდი ჩამოიღეს: ის შუაში იყო გახვრეტილი, ხოლო ტყვია ღრმად ჩამჯდარიყო კედელში.

სამი წუთის განმავლობაში ვერაეინ კრინტი ვერ დასძრა; ვულიჩმა წყნარად ჩაჰყარა თავის ქისაში ჩემი ჩერვონცები.

დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რად არ გავარდა პირველად დამბაჩა; ზოგი ამტკიცებდა, ფალია, ალბათ, დანაგვიანებული იყო; სხვები ჩურჩულობდნენ, პირველად თოფის წამალი ნესტიანი იყო, ხოლო შემდეგ ვულიჩმა ახალი დააყარა; მაგრამ მე ვთქვი, ეს ეგვი უსამართლოა, იმიტომ რომ მე თვალი არ მომიშორებია დამბაჩისათვის მეთქი.

„თქვენ ბედი გაქვთ თამაშობაში“, ვუთხარი მე ვულიჩს...

— პირველად სიცოცხლეში, — მიპასუხა მან და თვითკმაყოფილებით გაიღიმა: — ეს სჯობს ბანკსა და შტოსს.

„სამაგიეროთ ცოტათი უფრო სახიფათოა“.

— მაშ ახლა გწამთ ბედისწერა?

„მწამს; მხოლოდ ახლა არ მესმის, რად მეგონა, თითქო დღეს აუცილებლად უნდა მომკვდარიყავით“...

იგივე კაცა, რომელიც ცოტა ხნის წინად ასე მშვიდად იმიზნებდა შუბლში, ახლა უცებ აენტო და შეშფოთდა.

— კმარა! — სთქვა მან და წამოდგა: — ჩვენი სანაძლეო დასრულდა, და ახლა თქვენი შენიშვნები უადგილოდ მიმჩნია... — ქუდი აიღო და გავიდა. ეს მე უცნაურად მეჩვენა, — და არა ტყუილ-უბრალოდ.

ჩქარა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ; ყველანი სხვადასხვანაირად მსჯელობდნენ ვულიჩის ახილებაზე და, ალბათ, ერთხმად ეგოისტს მიწოდებდნენ, იმიტომ რომ სანაძლეო დავდე ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც ტყვეით თავის მოკვლა უნდოდა; თითქო მას უჩემოთ არ შეეძლო მარჯვე შემთხვევის პოვნა...

მე შინ ვბრუნდებოდი სტანიცის ცალიერი მისახვევ-მოსახვევებით; სახლების კბილოვანს პორიზონტზე მთვარე გამოჩნდა, საესე და ხანძარივით წითელი; ვარსკვლავები მშვიდად ციმციმებდნენ მუქ ლურჯ გუმბათზე, და მე გამეცინა, როცა გამახსენდა, რომ ოდესღაც არსებობდნენ ბრძენთა ბრძენი ადამიანები, რომელნიც ფიქრობდნენ, ცის მნათობები მონაწილეობას ღებულობენ ჩვენს უმნიშვნელო ბრძოლებში მიწის ნაჭრისა ან რაღაც მოგონილი უფლებებისთვისო. და რა ხდება? ეს კანდელები, რომელნიც, მათი აზრით, მხოლოდ იმისთვის იყვნენ ანთებული, რომ მათი ბრძოლები და გამარჯვებები გაენათებინათ, წინანდებურად ანთიან და ბრწყინავენ, მათი გულისთქმები და იმედები კი დიდი ხანია მათთან ერთად ჩაჰქრენ, როგორც ჰქრება ცეცხლი, ტყის პირას ანთებული უზრუნველი მგზავრის მიერ. მაგრამ სამაგიეროდ რა ნებისყოფის ძალას ანიჭებდა მათ რწმენა, რომ მთელი ზეცა, თავისი ურიცხვი მცხოვრებით, ჩვენ გვიცქერის მუნჯი, მაგრამ უცვლელი თანაგრძობით!.. ჩვენ კი, მათს ბეჩავ ჩამომავალთ, რომელნიც მიწაზე დავხეტიალობთ რწმენასა და სიამაყეს მოკლებულნი, სიამოვნებისა და შიშისაგან განძარცულნი, გარდა იმ უნებური შიშისა, რომელიც გულს კუმშავს იმ აზრის გახსენებაზე, რომ აუცილებელი დასასრული მოგველის, ჩვენ ნიჭი აღარ შეგვწევს



დიდი მსხვერპლის გასაღებად არც კაცობრიობის კეთილდღეობისა, არც ჩვენი საკუთარი ბედნიერებისთვის; ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, ეს ბედნიერება შეუძლებელია: ჩვენ ვულგარილად გადავდივართ ექვიდან <sup>მეცხრე სტეფანე</sup> მკვლელობის სიღრმეში, როგორც ჩვენი წინაპრები ერთი შეცდომიდან მეორეზე გადადიოდნენ; მაგრამ ჩვენ აღარ გვაქვს არც მათი იმედი, არც თვით ის გაურკვეველი, თუმცა ძლიერი სიამოვნება, რომელსაც სული ყოველ ბრძოლაში პროლოზს ადამიანებისა და ბედისწერის წინააღმდეგ...

და მრავალი ასეთი აზრი მომდიოდა თავში; მე მათ არ ვაკაგებდი, იმიტომ რომ არ მიყვარს რაიმე განყენებულ აზრზე განერება; ან რა საჭიროა ეს?.. ჭაბუკურ ასაკში მე მეოცნებე ვიყავი; მე მიყვარდა მორიგეობით ხან მკმუნვარე, ხან ფერად-ფერადი ოცნებების ალერსი, ამ ოცნებებს მე მოუსვენარი და ხარბი ფანტაზია მიხატავდა. მაგრამ რა დამრჩა აქედან? მხოლოდ დაღლილობა, თითქო ღამით ბრძოლა მჭონოდეს მოჩვენებასთან, და ბუნდოვანი მოგონება, აღსავსე სინანულით. ამ ამო ბრძოლაში დაეხარჯე სულის სიცხოველვც და ნებისყოფის შეუღრკველობაც, რომელიც აუცილებლად საჭიროა ნამდვილი ცხოვრებისთვის; ამ ცხოვრებაში ფეხი შევდგი მას შემდეგ, რაც ის უკვე აზრით მჭონდა განცილი, და ის მოსაწყენად და საძაგლად მეჩვენა, როგორც ადამიანს, რომელიც კარგად ნაცნობი წიგნის უხეირო წაბაძულობას კითხულობს.

ამ საღამოს მომხდარმა ამბავმა ჩემზე საკმაოდ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და ნერვები გამიღიზიანა. არ ვიცი ნამდვილად, მწამს ამჟამად ბედისწერა თუ არა, მაგრამ იმ ღამეს მტკიცედ მწამდა: დამამტკიცებელი საბუთი განსაცვიფრებელი იყო, და მიუხედავად იმისა, რომ მე დავცინე ჩვენს წინაპრებს და მათს მასიამოვნებელს ასტროლოგიას, ძალაუნებურად მათვე კალაპოტში მოვეჭექე; მაგრამ ჩემი თავი დროზე შევაჩერე ამ სახიფათო გზაზე, და რადგან წესად მჭონდა არაფერი არ უარმყო გადაჭრით და არაფერი არ მერწმუნა ბრმად, მეტაფიზიკა გვერდზე გადავისროლე და ფეხქვეშ დავიწყე ცქერა. ასეთი სიფრთხილე სწორედ რომ საჭირო იყო: ფეხი წავკარი რაღაც მსხვილსა და რბილს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, არა-ცოცხალსა და კინალამ დავეცი. დავიხარე (მთვარე უკვე პირდაპირ გზას ანათებდა) და რა დაღინახე: ჩემ წინ ღორი ეგდო, ხმლით შუაზე გადაჭრილი... ძლივს მოვასწარი ამის დანახვა, რომ ნაბიჯების ხმა ვავიგონე: შეუკიდან ორი კაზაკი გამორბოდა; ერთი მომიახლოვდა და შემეკითხა: ხომ არ დავინახავთ მთვრალი კაზაკი, რომელიც ღორს მისდევდაო. მე ვუპასუხე, კაზაკი არ შემხედვრია მეთქი და მისი შმაგი მამაცობის მსხვერპლი დავანახე.

„უყურე ამ აფხაქს!“ სიტყვა მეორე კაზაკმა: „როგორც კი მაქარს დალევს, დაიწყებს ყველაფრის კეპვას, რაც კი გზად შეხვდება. გამოუდგეთ, ერემეიჩ; უნდა შევკრათ, თორემ...“

ისინი გამშორდნენ, მე კი გზა განვაგრძე დიდი სიფრთხილით, და ბოლოს ბედნიერად მივალწიე ჩემს ბინას.

მე ეცხოვრობდი ერთ ბებერ ურიადნიკისას, რომელიც მიყვარდა მისი კეთილი ზნის, ხოლო განსაკუთრებით მისი ღამაში ქალიშვილი ნასტიას გულისთვის.

როგორც ჩვეულებრივ, ისე ახლაც ქალი ჭიშკართან მიცდიდა, ქურჭში გახვეული; მთვარე ანათებდა მის სანდომიან ტუჩებს, ვალურჯებულს ღამის სიცივისაგან. დანახვისთანავე გამიღიმა. მაგრამ მე მისთვის არ მცხელოდა.

„შვიდობით, ნასტია!“ ვუთხარი მე, როცა გვერდით ჩაეუარე. მას უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ მხოლოდ ამოიხზრა.

ჩემი ოთახის კარი მოვიხურე, სანთელი ავანთე და ლეონტი დავეხუტე; მაგრამ ამეამად ძილი ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს არ მომეკარა. აღმოსავლეთით უკვე ინათა, როცა დამეძინა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ამ ღამით ვამოძინება არ მეწერა. დილით ოთხ საათზე ღრმა მუშტმა ფანჯარაზე დამიბრახუნა. მე წამოვხტი: რა მოხდა?.. „ადექი, ტანთ ჩაიცვი!“ მიძახოდა რამდენიმე ხმა. მე საჩქაროდ ჩავიცვი და გარეთ ვავედი. „იცი, რა მოხდა?“ მითხრა ერთხმად სამმა ოფიცერმა, რომელნიც ჩემთან მოსულიყვნენ: იმათ მკვდრის ფერი ედოთ.

— რა?

„ვუღიჩი მოუკლავთ“.

მე გავეჭვავდი.

„ჰო, მოკლულია“, გაიმეორეს მათ: „ჩქარა წავიდეთ“.

— სად წავიდეთ?

„გზაში გაივებ“.

წავედი. მით მიამბეს ყველაფერი, რაც მომხდარიყო, სხვადასხვა შენიშვნის დამატებით უცნაური ბედისწერის შესახებ, რომელმაც ის სიკვდილს გადაარჩინა ნახევარი საათის წინად სიკვდილამდე. ვუღიჩი თურმე მარტო მიდიოდა ბნელ ქუჩაში; მას ის მთვრალი კაზაკი შეხეჩებოდა, რომელმაც ღორი აბალთა, და შეიძლებოდა მას გვერდით ვაეელო ისე, რომ ის არც კი შეენიშნა, თუ ვუღიჩი უცებ არ გაჩერებულობო და არ ეთქვა: „ვის ეძებ, ძმობილო?“—შენ!—ეპასუხნა კაზაკს, ხმალი შემოერტყა და გაეჩეხა მხრიდან დაწყებული თითქმის გულამდე... ორ კაზაკს, რომელნიც მე შემხედნენ და მკვლელს გამოუდგნენ, მიესწროთ, ხელში აეყვანათ დაკოდილი, მაგრამ ის უკვე სულს ლევდა თურმე; მხოლოდ ორი სიტყვა ეთქვა: „ის მართალია!“ — მხოლოდ მე მესმოდა ამ სიტყვების ბნელი მნიშვნელობა: ისინი მე შემეხებოდნენ; მე იმ უბედურს ჩემდა უნებურად ვუწინასწარმეტყველე მისი ბედი; ინსტინქტმა არ მიღალატა: მე სწორად ამოვიკითხე მის შეცვლილ სახეზე მოახლოებული სიკვდილის ნიშანი.

მკვლელი ცალიერ ქობში ჩაკეტილიყო, სტანიცის ბოლოში: ჩვენ იქით მივდიოდით. მრავალი დედაკაცი მიბრბოდა იქით ტირილით; დროვამოშვებით რომელიმე ჩამორჩენილი კაზაკი გამოარბოდა ქუჩაში. საჩქაროდ ხანჯალს ირტყამდა წელზე და სირბილით წინ გვისწრებდა. საშინელი ჩოჩქოლი იდგა.

აი, ბოლოს მივალწიეთ: ვხედავთ ქობის გარშემო, რომლის კარები და დარბაზები შიგნიდანაა დაკეტილი, ბრბო სდგას. ოფიცრები და კაზაკები გაცხარებით მსჯელობდნენ; ქალები მოსთქვამენ და ღრიალებენ. მათ შორის თვალში მეცა ერთი დედაბერის მნიშვნელოვანი სახე, რომელიც შეშლილის სასოწარკვეთილებას გამოჰხატავდა. ის მსხვილ მორზე იჯდა მუხლებზე დაყრდნობილი, ხოლო თავი ხელებზე დაედო: ეს იყო მკვლელის დედა. მისი ტუჩები დროვამოშვებით მოძრაობდა... ლოცვას ბუტბუტობდა თუ წყევლას?

საჭირო იყო რამის ვადაწყვეტა და დამნაშავეის დაჭერა. მაგრამ ვერავინ ვერ ბედავდა პირველი სცემოდა.

მე ფანჯარასთან მივედი და დარბაზის ქუქრუტანაში შევიხედე: ის იატაკზე იწვა ფერწასული და მარჯვენა ხელში დამბაჩა ეჭირა; გვერდით სისხლიანი ხმალი ედო. საშინელი იყო მისი მეტყველი თვალების ბრიალი; ხანდახან ის

შეთრთოლდებოდა და თავზე ხელს იტაცებდა ხოლმე, თითქო ბუნდოვანად იხსენებდა წუხანდელ ამბავს. მე მაინცა და მაინც დიდი შეუძრავი ექვსი წელიწადი ვერ ამოვივითხე მის მოუსვენარ გამოხედვაში და მაიორს ვეფხვარე უცვლელ-უბრალოდ არ უბრძანებთ კარი შეამტერიონ და კაზაკები შევარდნენ, ვინაი-დან სჯობია ეს ახლა ვააკეთოთ, ვიდრე შემდეგ, როცა ის საესებით გონს მოვა მეთქი.

ამ დროს კართან მოხუცი იასაული მივიდა და საბელი დაუძახა; იმან უპასუხა.

— შეგიკოდავს, ძმაო ეფიმიჩ, — უთხრა იასაულმა: — ვერას გახდები, და-მორჩილდი!

„არ დავმორჩილდები!“ უპასუხა კაზაკმა.

— ღმერთს შეხედუ! შენ ხომ შეჩვენებული ჩაჩანი არ ხარ, შენ პატიოსანი ქრისტიანი ხარ. თუ ცოდვამ გზა ავიბნია, რა გაეწყობა: შენს ბედისწერას ვერ გადახვალ!

„არ დავმორჩილდები!“ წამოძახა კაზაკმა მრისხანედ, და მოისმა როგორ აჩხარუნდა ფეხზე შეყენებული ჩახმახი.

— ჰეი, ძალუე! — უთხრა იასაულმა დედაბერს: — მოელაპარაკე შენს შეილს; ვინძლო გაგიგონოს... ეს მხოლოდ ღვთის განრისხებაა და მეტი არა-ფერი. შეხედე, ეს ბატონებიც ორი საათია უცდიან.

დედაბერმა თვალები მიაშტერა და თავი გაიქნია.

— ვასილი პეტროვიჩ, — სთქვა იასაულმა და მაიორთან მივიდა: — ის არ დაგვენდებდა — მე მას ვიცნობ; ხოლო თუ კარი შევამტერიეთ, ბევრს ჩვენ-ვანს დახოცავს. ხომ არ გვიბრძანებთ, ტყვია ვესროლოთ? დარაბაში ფართო ქუჭრუტანაა.

ამ დროს თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა: ვულიჩის მსგავსად ბედის გა-მოცდა განვიზრახე.

„დაიცადეთ“, ვუთხარი მაიორს: „მე მას ცოცხალს დავიჭერ“. იასაულს ვუბრძანე, ლაპარაკი გააბი მასთან მეთქი, ხოლო კართან სამი კაზაკი დავა-ყენე: მათ ის უნდა შეემტერიათ და ჩემი ნიშნის მიცემისთანავე მომშველე-ბოდნენ; მე კი ჭობს უკან მოვუარე და საბედისწერო ფანჯარას მივუახლოვ-დი: გული აჩქარებით მიცემდა.

— აჰ, შენ წყეულო! — შესძახა იასაულმა: — დაგეცინი თუ? ან შეიძლება ფიქრობ, რომ ვერ მოგერევით. — მან კარის ბრახუნი დაიწყო მთელი ძალღო-ნით: მე ქუჭრუტანას მივადექი და თვალყურის დევნება დავუწყე კაზაკს, რომელიც ამ მხრიდან არ ელოდა თავდასხმას; უცებ დარაბა მოვგლიჯე და ფანჯარაში გადავეარდი ყირამალა. ტყვიამ ზედ ყურთან გამიზუზუნა და ეპოლეტი მომგლიჯა. მაგრამ კვამლმა, რომელმაც ოთახი აავსო, ჩემს მოწი-ნააღმდეგეს ხელი შეუშალა მის გვერდით მდებარე ხმალი ეპოვნა. მე ხელებ-ში ჩავეკიდე; კაზაკები შემოცვივდნენ, და არ გაუვლია სამ წუთს, რომ ბო-როტმომქმედი უკვე გაბაწრული და მცველებშემორტყმული იყო. ხალხი გაიფანტა, ოფიცრებმა მომილოცეს, და, მართლაც, მოსალოცავი იყო.

ამის შემდეგ თითქო კაცი როგორ არ უნდა ვახდეს ფატალისტი? მაგრამ ვინ იცის დანამდელებით, დარწმუნებულია თუ არა ის რამეში?.. და რა ხში-რად ვლებულობთ ჩვენ რწმენად იმას, რაც მხოლოდ გრძნობათა მოტყუება ან გონების ცდომილებაა... მე მიყვარს ყველაფერში ეჭვის შეტანა: ეს განწყო-ბილება ხელს არ უშლის ხასიათის გაბედულებას; პირიქით, რაც შემეხება მე,

ყოველთვის უფრო გაბედულად მივდივარ წინ, როცა არ ვიცი, რა შელის. სიკვდილზე უარესი ხომ არაფერი მოხდება, სიკვდილს კი ვერასოდეს ვეშინები.

როცა ციხეში დავბრუნდი, მაქსიმ მაქსიმოჩს ვუამბე ყოველთვის რაღაცა უფროსს ვაძიებდი და რის მოწმეც ვაგებდი: მინდოდა მისი აზრი გამეგო ბედისწერის შესახებ. მან თავდაპირველად ვერ გაიგო ეს სიტყვა, მაგრამ მე ავეუხსენი შეძლებისამებრ; მაშინ მნიშვნელოვნად თავი გაიჭნია და სთქვა:

„დიახ, რასაკვირველია. ეს საკმაოდ თავსატეხი რამაა... ესეცაა, რომ აზიური ჩახმახი ხშირად მტყუვნდება, თუ ცუდათაა გაპოხილი ან თუ თითი მაგრად არ დააჭირე. მართალი გითხრათ, არ მიყვარს აგრეთვე ჩერქეზული შაშხანა; რალაც შეუფერებელია ჩვენი კაცისთვის; კონდაზი პატარა აქვს, — თუ არ გაფრთხილდი, ცხვირს გაგირუჯავს... სამაგიეროდ ისეთი ხმლები აქვთ, რომ უკეთესი აღარ შეიძლება“.

ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ დაუმატა:

„მებრალემა საწყალი... რა ეშმაკმა აიძულა მთვრალ კაცს გამოლაპარაკებოდა ღამით... ალბათ, ასეთი იყო მისი ბედი“.

მეტი ვერაფერი გამოვტყუე: მას საზოგადოთ არ უყვარს მეტაფიზიკური კამათი.

თარგმანი ზაქარია ჭიჭიშვილისა.

მ. ი. ლერმონოვი

## გ ე მ ა ნ ი

ტამანი რუსეთის საზღვისპირა ქალაქთა შორის ერთი უსაძაგლესი ქალაქია. კინაღამ სული არ ამომხდა იქ შიმშილით. ამას გარდა დახრჩობაც დამიპირეს. გვიანი ღამე იყო, როცა მე იქ საფოსტო ფორნით ჩაველ. შეფორნემ დაღლილი ცხენები ქალაქის მისასვლელთან გამართულ ერთად-ერთი ქვის სახლის წინ შეაყენა. გუშავს, ზღვისპირელ კაზაკს, ზანზალაკთა უღრიალი ჩაესმა თუ არა, ნაშინარევზე შეშფოთებული ხმით მოგვაყვირა: „ვინ არის?“ ურიალნიკი და ათისთავიც გარეთ გამოცვივდნენ. მე მათ ავეუხსენ, რომ სახელმწიფო საჭიროებათა გამო მომქმედ რაზმში მივდივარ და სადგური მინდა. ათისთავმაც ქალაქს წავვიყვანა. სადაც არ მიველით, ყველგან უარით გამოგვისტუმრეს, — სადგომი ყველგან დაკავებული აღმოჩნდა. ციოდა, თან სამი ღამის უძილობით ვიყავ გაწამებული და მოთმინება აღარ მეყო. „მიმიყვა სადმე, შე ავაზაკო! თუნდაც ეშმაკთან, ოღონდ ერთი წაფთელიმო.“ „ერთი ბინა კიდევ არის, — სთქვა ათისთავმა და თან კისერი მოიფხანა: — მხოლოდ ვეჭვობ, რომ თქვენს კეთილშობილებას მოეწონოს. ნაძრახი ადგილია“. უკანასკნელ სიტყვათა მნიშვნელობა კარგად ვერ გავიგე. ვუბრძანე, გაგვძლოლოდა, და ჭუჭყიან მოსახვევებში კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ, სადაც მე მხოლოდ ძველთაძველ ღობეებს ვხედავდი, ზედ ზღვის პირას ერთს არც თუ ისე დიდ ქოხს მივადექით.

ჩემი ახალი საცხოვრებლის ლელის ბურულსა და თეთრად შეფეთილ კედლებს სავსე მთვარე აქათქათებდა. რიყის ქვით შემოზღუდულ ეზოში მეორე უფრო პატარა და უფრო ძველი ქოხმახი წაფერდილიყო. ჩემი ქოხი ზღვისკენ დაშვებულ ფრიალოზე ეკიდა და ძირს ჩაქუფრული ტალღები განუწყვეტელი ბუტბუტით ტლაშუნობდნენ. ბადრი მთვარე მშვიდად დასცქეროდა მუდამ მშფოთვარე, მაგრამ მის შორჩილ სტიქიონსა და თეთრ ათინათში იოლად ვარჩევდი ორადორ ხომალდს, რომელთა გემსართავეები მჭრქალ ცისკიდურზე ზარღლის ქსელივით შავად, უძრავად ინაკეთებოდნენ. „ნავთსადგურში ხომალდნი მდგარან“, გავიფიქრე. „მაშ ხვალ გელენჯიკისაკენ გავემართები“.

მსახურის მოვალეობას ჩემთან ლინიის კაზაკი ასრულებდა. ჩემოდნის ჩამოდებისა და მეფორნის გაშვების ბრძანებისთანავე, ქოხის პატრონს გავძახე, მაგრამ არსად ბაიბური არ ისმოდა; ვაკაკუნებ, ისევ დუმილი... ეს რა ბედენაა? ბოლოს წინკარიდან ერთი თოთხმეტოდე წლის ბიჭი გამოძვრა.

„სახლის პატრონი სადაა?“ — არ არის. „როგორ? სულ არ არის?“ — სულ. „დიასახლისი?“ — ქალაქშია. „მაშ კარს ვინ გამოიღებს?“ — ვეტიფანე ვეტიფანოვი. „კარის წიხლის კერით შევევლიჯე თუ არა, სახეში ნესტიანი ჰვენილი წყლით ვეწმავი?“ — არა. ასანთს ვავეკარი და, ბიჭს სახეში რომ შევაშუქე, წყვილმა ბისტმა თეთრად შემომანათა: ბიჭი ბრმა იყო, დაბადებიდანვე უსინათლო. ჩემ წინ უძრავად იდგა და მე მის სახეს ვაკვირდებოდი.

გამოვტყდები და ვიტყვი, რომ მე ძალზე ცრულშეგონებული ადამიანი ვარ ყველა უსინათლოს, ელამის, ყრუ-მუნჯის, უფეხოს, უხელოს, კუზიანისა და სხვა ამგვარი ზეიბრის მიმართ. შემწინეული მაქვს, რომ ადამიანის გარეგნობასა და მის სულიერ სამყაროს შორის რაღაც საოცარი თანაფარდობა არსებობს: თითქოს იგი რომელიმე ასოს ან უნარის დაკარგვასთან ერთად სულის რომელიღაც გრძნობასაც ჰკარგავდეს.

მე ყურადღებით ვაკვირდებოდი ბრმის გამომეტყველებას, მაგრამ რა უნდა ამომეკითხა ისეთ სახეში, რომელსაც თვალები არ გააჩნდა?.. დიდხანს ვუცქეროდი ჩემდა უნებური სიბრალულით და უცებ შევაცტე, რომ ბრმას თხელ სიფრიფანა ტუჩებზე ღიმილმა ოდნავ შესამჩნევად გადაუქროლა. ამ ღიმილმა ჩემში მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილება გამოიწვია. გულში ექვმა გამბზვალა, რომ ეს ბრმა არც თუ ისე ბრმაა, როგორც მეჩვენება; ამაოდ ვარწმუნებდი თავს, რომ ჯანსაღ თვალის გუგათა ბისტებად მოჩვენება შეუძლებელი საქმეა და ან რა მიზანი უნდა ჰქონოდა ამგვარ სიყალბეს? მაგრამ რას იზამ, თუ შე ხშირად ვემორჩილები ხოლმე ამ ჩემს აკვიატებულ ცრურწმენას.

ვეკითხები: „სახლის პატრონის შვილი ხომ არა ხარ?“ — არა. „მაშ ვინა ხარ?“ — ობოლი, უბადრუკი. „დიასახლისის შვილები თუ ჰყავს?“ — არა. ერთი ქალი ჰყავდა და ისიც ვიღაც თათარს ზღვის იქით გაეკიდა. „ვინ თათარს?“ — ეშმაკმა ნუ იცის იმისი თავი! ყირიმელ თათარს, ვიღაც ქერჩელ მენავეს.

ქოხში შეველ: მთელ დგამს მხოლოდ ორი ძელსკამი, მაგიდა და ღუმელთან მიდგმული დიდი სკივრი შეადგენდა. არც ერთ კედელზე ხატი არ ეკიდა, — ცუდად მენიშნა! ჩალუწილ მინაში ზღვაური მძლავრად ჰბერდა. ჩემოდნიდან ცვილის ნაშვვი ამოვიღე და, ავანთე თუ არა, ნივთების დალაგებას შევეუღიქეთებე თოფი და ხმალი მივაყუდე, დამბაჩები მაგიდაზე დავაწყე, ჩემი ნაბადი ერთ ძელსკამზე ვავშალე, ხოლო კაზაკმა თავისი მეორეზე, — მიწვა და ათ წუთს შემდეგ ზერინიც ამოუშვა. მე კი არ შეძინებოდა, თვალწინ სულ ის ბრმა ბიჭი მედგა.

ამ წვალებაში ერთი საათი მინც გავიდა. სარკმელში შემონათებული მთვარის სხივი იატაკზე თეთრად თინათინებდა. უეცრად ძირს დაცემულ კაშკაშა ზოლს ჩრდილმა გადაურბინა და მიიჩქმალა. არაფრით მე იმისი წარმოდგენა არ შემეძლო, რომ ეს არსება ზღვაში ლარად ჩაშვებულ კბოლზე გადაარბენას შესძლებდა. მაგრამ სხვა გზა რომ არსად ჰქონდა! წამოვდექი, ახალუხი გადავიცივი, ხანჯალი ავისხი და, ქოხიდან ფეხაკრეფით რომ გავეულ, ეხედავ, ის ბრმა ჩემკენ მოემართება. ყორეს მოფარებული ჩავსაფრდი და მან ფრთხილი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით გვერდით ჩამიარა. ილღიაში რაღაც ბოხჩა ამოეჩარა და ნავთსადგურის მიმართულებით ვიწრო, ციცაბო ბილიკით ძირს დაეშვა; „იმ დღეს მუნჯნი ღალადსა ჰყოფენ და ბრმათა თვალნი აღუხილებათ“, გაეფიქრე და მალულად ისე მივეყე, რომ თვალთახედვიდან არ დამკარგვოდა.

ამასობაში მთვარეც ღრუბლებს მიეფარა და ზღვაზე ნისლი ისე წამოქექფრა, რომ უახლოესი ზომალდის კიჩოზე ანთებული ფანარი ძლიერ იბრუნებოდა. ნაპირზე ამოზრდილ კაჭრების ირგვლივ ზვირთნი თეთრად იმუქვებოდნენ და შთანთქმით ემუქრებოდნენ. მე, თვალხილული, ამ ციკაბოზე ძლიერ ვეშვებოდი, ის კი უკვე ძირს იყო და წყლის გასწვრივ ისე ახლოს მიაბიჯებდა, რომ გეგონებოდა, ესაა ტალღა შეეხმის და თან წაიტანსო; მაგრამ ყველაფრით ეტყობოდა, თუნდაც იმ სიბეჯითით, რომლითაც ის ქვიდან ქვაზე ფეხს ადგამდა და ხნარცვებს თავს მარჯვედ არიდებდა, რომ ეს მისთვის პირველი გასეირნება არ იყო. ბოლოს შედგა, ყური თითქოს რაღაცას მიუგო, უცებ ჩაჯდა და ის ბოხნაც გვერდით მოიღო. მე კლდეს მოვეფარე და მის ყოველ მოძრაობას თვალყურს გადაციცებით ვადევნებდი. რამდენიმე წუთს შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეზე ვილაკის თეთრი ლანდიც გამოჩნდა; ლანდი ბრმას მიუახლოვდა და გვერდით მიუჯდა. წამოჭროლებულ ქარს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოჰქონდა ჩემსკენ მათი საუბარი.

„რაო, უსინათლოე?“ მომესმა ქალის ხმა. — გესმის, ქარიშხალია: ზღვა ისე წახდა, რომ ამაღამ იანკო, ალბათ, ვერ მოვა. „იანკოს ქარიშხალი ვერ შეაშინებს“, მიუგო ბრმამ. — ნისლი იბურება. — მოუჭრა ქალმა მწუხარებით.

— მით უკეთესი! მით უფრო უჩინრად ჩაუვლის გუშავთა ზომალდებს, — იყო პასუხი. „რომ დაიღუბოს?“ — დიდი ამბავი! კვირის წირვაზე ულენტოდ წახვალ და ის იქნება.

სიჩუმე ჩამოვარდა; მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებდა: ჩემთან ეს ბრმა ენას უკრაინულად უკიდებდა და ახლა აქ წმინდა რუსულსა სჭრიდა.

— აი! გუეზნებოდი! ხედავ, მართალი გამოვდექ! — სიტყვა ისევ ბრმამ და ტაში ტაშს შემოჰკრა: — იანკოს არც ზღვისა, არც ქარიშხლისა, არც ნისლისა და არც მონაპირე გუშავების არ ეშინია; აბა ყური მიუგდე, წყალი ტლაშუნობს! მე რას მოვტყუელები, — ეს იმისი გრძელი ნიჩბები!

ქალი მაშინვე წამოხტა და შორეთს შემფოთებულად გახედა.

„შენ ბოდავ, უსინათლოე! მე ვერას ვხედავ!“

გამოვტყულები და ვიტყვი, — რამდენი არ ვეცადე, ვერც მე დავინახე ნავის მსგავსი რამ; ამ მოლოდინში ათიოდ წუთმა მაინც გაიარა და, აი, მართლაც მთად ამდგარ ზვირთებს შორის რაღაც შავი წერტილი გამოინაკეთა; წერტილი იგი ხან დიდდებოდა, ხან კნინდებოდა. ტალღის ქეჩოზე ნავი ჯერ ნელა იზარებოდა, იერე მოსხლეტით ეშვებოდა და ნაპირს თანდათან უახლოვდებოდა. რაოდენ თავაღებული უნდა ყოფილიყო კაცი, რომელსაც ასეთ საშინელ ღამეში ნავით ოცვერსიანი სრუტის გამოცურვა გაებედნა! ალბათ, მეტად დიდი უნდა ყოფილიყო მიზეზი, რის გამოც მან ასეთ ამინდში ეს ნაბიჯი გადადგა. ასე ვფიქრობდი და თან ტლუ ნავს გულის უნებური ძვრით გავტყეროდი; იგი იხვივით ყვირთავდა წყალში და ნიჩაბთა ფრთისებურ დარტყმით აქაფებულ უფსკრულიდან კვლავ ზემოთ ვარდებოდა; მე მეგონა, რომ ის აი, ეს-ეს არის, ნაპირს შემოეხლება და ნაფოტებად იქცევა, მაგრამ მენავემ გვერდი მარჯვედ აუქცია და პაწია ნავისაყუდელში უენებლად შესრიალდა. ნაპირზე ვილაც თათრის-ჭულდინი შუა ტანის კაცი ვადმოხტა; დამხდურთ ხელით ანიშნა და სამთავემ ნავიდან რაღაც ვადმოიტანა. ტვირთი ისე დიდი იყო, რომ მე ახლაც მიკვირს, როგორ გაუძლო ნავმა და არ დაიღუბა. თითო-

თითო ბოხჩა ზურგზე მოიდგეს, გეზი ნაპირ-ნაპირ აიღეს და თვალს მიუფარნენ. შინ უნდა დაებრუნებულყავ; მაგრამ გამოეტყულები, — ამ უცხოელმა ამბავმა ისე ამადორიაქა, რომ მოუთმენლობისაგან გათენებდა მისი ვატიანი.

ჩემ კაზაკს დილით გაეღვიძა და, ისევ ჩაცმული რომ დამინახა, სახტად დარჩა. ჩემი უძილობის მიზეზი მაინც არ გავუმხილე. ერთხანს სარკმელში ცის სილურჯითა და აქეთ-იქით მიმოფანტულ ღრუბლების ცქერით ვტყებობდი. ყირიმის შორეული ნაპირი ცისკიდურის გასწვრივ ლაინისფერ ზოლად მიიზიდებოდა. მე მაშინვე ციხე-სიმაგრე ფანაგორიას მივაშურე, — მინდოდა ციხისთავისაგან შემეტყო, თუ როდის მოხერხდებოდა ჩემი გელენჯიკს გამგზავრება.

მაგრამ ამაოდ! ციხისთავმა ვერავითარი გადაწყვეტილი პასუხი ვერ მომცა. ნავთსადგურში მყოფი ზომალდები ყველა ან მოგუშაგენი იყვნენ, ანდა სავაჭრონი, რომელთა დატვირთვა ჯერ არც დაეწყოთ. „იქნებ, ამ ორ-სამ დღეში საფოსტო გეგმა შემოიაროს“, სთქვა ციხისთავმა, „და მაშინ ენახოთ.“ შინ გაწბილებული, გაგულისებული რომ დაებრუნდი, კარებში გულგახეთქილი კაზაკი შემომეგება.

— ცუდათაა საქმე, თქვენო კეთილშობილებავ! — მომახალა მისეღისთანავე. „სხვა რა გზა გვაქვს“. — ვუპასუხე. „მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, როდის გაეაღწევთ აქედან“. ამ სიტყვებმა ის კიდევ უფრო შეაშფოთა და ყურში იღუმალად ჩამჩურჩულა: — ნაძრახ ადგილას დაგვიღვია ბინა, თქვენო კეთილშობილებავ! დღეს ერთ შავზღვისპირელ ურიადნიკს წავეყარე; ძველ ნაცნობს, — შარშან რაზმში ერთად ვიყავით; ვუთხარ თუ არა, სადაცა ვცხოვრობთ, მაშინვე ის მითხრა: — იქ რამ დაგაყენათო? ნაძრახი ადგილია და ხალხიც სახელგატეხილიო!.. მართლაც და, ვინაა ეს ბრმა, კაცმა რომ იკითხოს? ყველგან მარტო დაეთრევა, — ბაზარში, ფურნეში, წყალზე... როგორც ჰგავს, აქ ამეებისათვის თვალი შეუჩვევიათ.

„რას იზამ! დიასახლისი ზომ არ გინახავს?“

— წახველით თუ არა, ერთი დედაბერი მოეხირა, თან ქალიშვილი ახლდა.

„ვინ ქალი, რა ქალი? იმას შვილი როდი ჰყავს?“

— ღმერთმა ნუ იცის, ვინა! ის ბებერი აგერ იქა ზის, თავის ქოხში.

მაშინვე იქით გავეშურე. ქოხში ღუმელი ღლღუნებდა და ზედ ღარიბებისათვის საკმაოდ მდიდრული კერძი იხარშებოდა. ყოველ ჩემ შეკითხვაზე დედაბერი მეუბნებოდა, რომ ყრუა და არაფერი არ ესმის. რას ვიზამდი? ავდექ და ბრმას მივუბრუნდი, ღუმელს შეშას რომ უკეთებდა. „შენ ეი, ბრუციანო ჰინაკე!“ — და ამ სიტყვებით ყური ავუსილაქე. „აბა ერთი გამოტყდი, სად დაეხირობოდი წუხელ იმ ბოხჩით?“ ჩემი ბრმა უცებ ატირდა, აღრიალდა და ავიშვიშდა: „სად უნდა ვყოფილიყავ?... არსადაც არ ვყოფილვარ... რის ბოხჩაო, რა ბოხჩაო?“ დედაბერს სმენა მხოლოდ ახლა გავხსნა და გაგულისებულად აბუზღუნდა: „უბრალო კაცს რას არ მოუგონებენ... მერე ისიც სააყარს! რას ერჩით მაგ უბედურს, რა დაგიშავათ?“ მე ყოველივე ეს საკმაოდ მომბეზრდა და გარეთ იმ გადაწყვეტილებით გაველ, რომ საიდუმლოება რაოაც არ უნდა დამჯდომოდა, გამეხსნა.

ნაბადში გახვეული იქვე, ყორესთან, ქვაზე ჩამოვჯექ და უნაპირო სივრცეების ცქერით თავს ვიქცევდი. ჩემ წინ წუხანდელი ქაროშლით აფუტკნული ზღვა ლაღად გაშლილიყო და მისმა დიდი ქალაქივით ერთფეროვანმა გუ-



გუნმა აზრით ჩრდილოეთში, ჩვენს მზრალ დედაქალაქში, გადამისროლა. მოგონებებით აღლევებული ბურანში წაველ. ამ ყოფაში ერთი საათი, ვინ იცის, იქნებ მეტიც, გავიდა... უეცრად ჩემი ყურადღება რაღაც სიმღერის-მსგავსმა მიიქცია. ყური მივუგდე, — მართლაც სიმღერა იყო, ქალი მღეროდა, მაგრამ საიდან მოდიოდა ეს ხმა სანუკვარი? სიმღერა ხან გაბმულად, კაეშნიანად ზუზუნებდა, ხან მოჩქარებულად და სიცოცხლით აღსავსე კილო ტკბილად გაისმოდა. მიმოვიხედე, — არავინ იყო. ყური კვლავ მივაბყარ, — ხმანი თითქოს ციდან ეშვებოდნენ, — ზემოთ ავიხედე: ჩემი ქოხის სახურავზე ზოლიანი კაბით მოსილი ქალიშვილი წარმტაცად იდგა და თმაგაშლილი ნამდვილ ფერიას ჰგავდა. თვალნი მზისაგან ხელით მოეჩრდილებინა და სიერცეებს ჯიუტად გასცქეროდა. ხან უდარდელად კისკისებდა და თავის თავს ხმამაღლა ესაუბრებოდა, ხან ისევ იმ თავის ლალ სიმღერას ღიღინებდა.

ეს სიმღერა ისე წარმტაცი იყო, რომ სიტყვა-სიტყვით დავიმახსოვრე:

ლურჯ ზღვაზე ლაღ,  
 გამუდმებულად  
 ჰქრიან ხომალდნი  
 თეთრაფრიანნი.  
 ხომალდთა შორის  
 მეც დაეჭრი ნავით,  
 უაფრო ნავით,  
 წყვილნიზიანით.  
 უცებ დაბერავს  
 ქარი, — ხომალდნი  
 აფრებს გაშლიან,  
 განიბნევიან.  
 მე დავეშობი  
 და ლოცვად ვდგები:  
 „ზღვაო გულზეაგო,  
 ნუ შემტეხები.  
 ხედავ, საესე მაქვს  
 ნივთებით ნავი  
 და თაველებულს  
 მიმავს ბნელ ღამით“.

მე თავიხთავად გამახსენდა, რომ წუხელ სწორედ ეს ხმა მესმოდა: წუთით ჩავფიქრდი და, კვლავ ზემოთ რომ ავიხედე, ქალი აღარ იყო. უცებ მან რაღაც სხვა სიმღერის ღიღინითა და თითების ტკაცუნით წინ ჩამიჭროლა, დედაბერთან შეიბრინა და მათ შორის რაღაც დავა ჩამოვარდა. ბებერი ანჩხლობდა, ის კი იცინოდა. და აი, ვხედავ, ისევ მოხტის ჩემი წყლის ფერია; გამისწორდა თუ არა, შედგა, თვალეზში თითქოს გაკვირვებით ჩამაცქერდა; მერე არხეინად შებრუნდა და ნავთსადგურისაკენ წყნარად გაემართა. მაგრამ საქმე ამითი როდი ვათავებულა: ის გოგონა მთელი დღე ჩემი ბინის ირგვლივ ტრიალებდა, სულ ცეკვავდა, კენტრუშებდა. სწორედ რომ საოცარი რამ არსება იყო. მის სახეში სიგიჟის ნატამალსაც ვერ ამოიკითხავდი; პირიქით, ცინცხალა თვალებით გამჭირახად მაკვირდებოდა და ეს თვალნი რაღაც მიმზიდველი, ანდამატისებური ძალით იყენენ აღსავსენი. წამისწამ ისე იცქირებოდნენ, თითქოს მუდამ რაღაც შეკითხვას მოელოდნენ ჩემგან, მაგრამ კრინტს დაეძრავდი თუ არა, მაშინვე მაცდური ღიმილით გამიბრბოდა.

გადაწყვეტილად ვიტყვი, რომ მეტი ამგვარი ქალის მნახველი არა უნარ. ის სრულიადაც არ იყო მზეთუნახავი, მაგრამ მე ხომ სილამაზის სატიზშიც ჩემი შეხედულება მაქვს... იგი აღსავე იყო ბუნების სილალით. მისი სილალითი ჯიშში, როგორც ცხენისთვის, დიდი რამეა; ეს აღმოჩენა ახალგაზრდა საფრანგეთის ეკუთვნის. ის, ესე იგი, ჯიშში, და არა ახალგაზრდა საფრანგეთი, უმთავრესად სიარულში და ხელ-ფეხის ლაზათში მტლავნდება; განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობის ცხვირის მოყვანილობაა. ქალის სოთ ცხვირს რუსეთში უფრო იშვიათად შეხედებით, ვიდრე მოხდენილ ფეხებს. ჩემი მგალობელი 18 წლისა თუ იქნებოდა. უჩვეულო მოჭნილობა ტანისა, თავისებური, მხოლოდ მისებური დახრა თავისა, გრძელი ბობრი თმები, კისერსა და მხრებზე ოდნავ მოკიდებული მზე ოქროსფრად აღბეჭდვოდა, მაგრამ სოთი ცხვირი! — ყოველივე ეს მე ძალზე მაჯადოვებდა. თუმცა მისი აღმაცერი გამოხედვა რაღაც საკვირველ უქარებლობასა და საექვოს შეიცავდა, თუმცა მისი ღიმილიც რაღაც შეუცნობლობით იყო აღსავე, მაგრამ ასეთია ძალა ცრულშეგონებულისა და რას იზამ: ამ სოთმა ცხვირმა გონება ხომ სულ დამიკარგა; წუთით წარმოვიდგინე, რომ აქ გოეთეს მინიონა ვპოვე და რომ ეს ახირებული არსება სწორედ მისი გერმანული წარმოდგენის ნაყოფია და მართლაც, მათ შორის დიდი იყო მსგავსება: იგეთივე სწრაფი ცვალებადობა გუნებისა, უცარი გადასვლა უდიდეს მშფოთვარებისაგან სრულს უძრაობაში, იგეთივე იღუმალი სიტყვა-პასუხი, იგეთივე კუნტრუში, უცნაური სიმღერები...

სალამო ხანს კარებში მივიმწყვედი და ბაასი გავუბი.

„ერთი ეს მითხარ, ლამაზო, რას აკეთებდი დღეს სახურავზე?“ — ქარს ვამოწმებდი, საიდან ქროდა... „მერე რათ გინდოდა? სიმღერით ბედს ხომ არ ეძახდი?“ — სადაც გემღერება, ბედსაც იქ ეწევი. „სიმღერას რომ ხშირად ტირილიც მოჰყოლია?“ — მერე რა ვუყოთ? სადაც არა სჯობს, ცუდი სჯაბნის და ბედსა და უბედობას შორის კი არც ისე დიდი მანძილია. „ეგ სიმღერა ვიღამ გასწავლა?“ — არავისაც არ უსწავლებია; მინდა და ვმღერო; ვისიც გერია, ის ვაიგონებს, ვისიც არა, ის ვერც მიხედება... „შენი სახელი, მგალობელი?“ — მომნათლავს ჰკითხე. „ვინაა მერე შენი ნათლია?“ — აბა მე რა ვიცი. „ეგ, შე გულჩახვეულო! აი, მე კი ცოტა რამ ვიცი.“ (სახე ოდნავაც არ შესცვლია, არც ტურები შეურხევი, თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეს სიტყვები მას არც შეეხებოდა). „მე შეეიტყე, რომ შენ წუხელ ზღვის პირას იყავ“, და როგორმე რომ გამეცბუნებინა, დიდის ამბით მოეუყევე; რაც ვნახე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! პასუხის მაგიერ ერთი გულიანად გადაიკისკისა. — ბევრი გინახავთ და ცოტა იცით; და რაც იცით, არსად წამოგცდეთ. „აი, მაგალითად, გუნებაში რომ გამოიაროს და ციხისთავს მოეახსენო?“ და აქ თავი ძალზე დინჯად, სასტიკადაც დაევიკირე. მაგრამ ის კვლავ თავისებურად შეყუნტრუშდა, კვლავ თავისებური სიმღერა შემოსძახა, ბუნქნარიდან უცებ აფრთხილებული ჩიტივით სადღაც მიიჩქმალა და ჩემი უკანასკნელი სიტყვები ჰაერში დარჩა; მე მაშინ არ მივრძენია, თუ რა დიდი მნიშვნელობისა იყო ეს ჩემი სიტყვები და აკი შემდეგ სანანებლადაც გამიხდა!

დაბინდდა. კაზაკმა ქეთლი ცეცხლზე ლაშქრულად შემოდგა, მე სანთელი ავანთე და, მაგიდასთან მოწყობილმა, საგზაო ჩიბუხი ვავაბოლე. ის იყო მეორე ჰიკა ჩაისა ველიდი, რომ ამ დროს ჩემს უკან კარი აჭრიალდა და ვილაც ფეხაკრეფით შემოვიდა. მივიხედე, — წყლის ფერია იყო. ჩემ წინ წყნარად, უსიტყვოდ დაჯდა და თვალი თვალში გამიყარა. არ ვიცი, რატომ, და ეს შე-

მოხედვა ძალზე გულში ჩამწვდომად მომეჩვენა; ამ შემოხედვამ ის წუთები მომაგონა, როცა ჩემი ცხოვრება ისე თავნებურად აფორიაქდა, ვერცხვითავე ისე ეჭირა, თითქოს ჩემგან ისევ იმ რაღაც შეკითხვას მოელოდა, მგეტყობოდა რატომღაც გაცხუნებულად ვიჯექ და ხმას არ ვიღებდი. ქალს სახეზე მკრთალი ფერი ედო, რაც მის სულიერ მღელვარებას ამჟღავნებდა; მისი ხელი როგორღაც უსაგნოდ ფათურობდა მაგიდაზე და აშკარად ვამჩნევდი, რომ თითები თრთოდნენ; გულმკერდი ადიოდ-დადიოდა და ხან თითქოს სუნთქვაც უჩერდებოდა. ამ თამაშმა მე თავი ისე ვამაბებრა, რომ მზად ვიყავ დღშილი უხეშად დამერღვია, ესე იგი, ჩაიზე მიმეპატიყნა, მაგრამ ამ დროს ფერია ფეხზე წამოიჭრა, ხელები კისერზე შემომხვია და სველი და მწველი ტუჩებით ტუჩზე დამეკონა. თვალთ დამიბნელდა, თავბრუ დამესხა; მკერდზე მაშინვე მთელი ახალგაზრდული ენინანობით მივიკარ, მაგრამ როდი დამნებდა, ხელში გველივით გამისრიალდა.—ყველა რომ დაიძინებს, ნაპირზე გამო, — ყურში ჩამჩურჩულა და გარეთ გავარდა. დერეფანში იატაკზე ქეთლი და სანთელი იდგა, სიჩქარეში წამოდო და ორივე გადააპირქვევა. „ქალი კი არა, ალქაჯია!“ — ამოხდა კახაკს, რომელიც იქვე მიყრილ თივაზე მიწოლილიყო და ცხელი ჩანს ნარჩენით გულ-ღვიძლის შესურებაზე ოცნებობდა. მე ისე ვიყავ გოგნებულის, რომ მხოლოდ ამ ხმაურმა გამომარკვია.

ორიოდ საათის შემდეგ ნავთსადგურში სრული სიწყნარე ჩამოვარდა. კახაკი გავაღვიძე და გავაფრთხილე: „სროლის ხმა მოგესმას თუ არა, ნაპირს მოაშურე“. მან თვლები გოგნებულად დააქუცა და თავისთავად მიპასუხა: „მესმის, თქვენო კეთილშობილებავ!“ დამბაჩა ქამარში გავიჩქე და გარეთ გაველ. ის ციკაბოზე დაშვებულ ბილიკთან მიცდიდა. ტანთ ზედმეტად თხელი სამოსი ეცვა, ხოლო მოქნილი წელი ცახოციტ აეკრა.

„მოწყვეით!“ ხელი ჩამჭიდა და ორთავ ძირს დავეშვით. ახლაც არ მესმის როგორ გადაერჩი და როგორ არ მოვიტეხე იმ ღამით კისერი; ძირს ჩავედით, მარჯვნივ ავუქციეთ და იმ გზას დავადექით, წუხელ ბრმას რომ მივდევდი. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო და მხოლოდ წყვილი ვარსკვლავი წყვილ შუქურასავით კიაფებდა მუქ-ლურჯ ცარგვალში. ტალღები ერთურთს მძიმედ აგორდებოდნენ და ნაპირზე გამოირიყულ ნავს ოდნავ არწევდნენ. „ნავში ჩავსხდეთ“, სთქვა ჩემმა თანამგზავრმა. შევეყოყმანდი. მე სრულიადაც არა ვარ სენტიმენტალურ სეირნობათა მოყვარული, მაგრამ მაინც, ნავში ჩახტა თუ არა, მეც თან მივეყე. გამორკვევაც ვერ მოვასწარ, რომ ნავმა ზღვას მისცა თავი. „ეს რას ნიშნავს?“ ვიკითხე გაგულისებით. — ეს იმას ნიშნავს, — სთქვა ქალმა: — იმას ნიშნავს, რომ მიყვარხარ... — სკამზე დამსვა, წელზე ხელი შემომხვია და ლოყით ლოყაზე ნაზად მომეყრდნო. მისი მგზნებარე სუნთქვა სახეზე ტკბილად ამელამუნა. უეცრად წყალში რაღაც დგაფუნით ჩავარდა, — წელზე ხელი მოვისვი, ჩემი დამბაჩა აღარ იყო. საშინელი ეჭვებით შეპყრობილს სისხლი თავში ამივარდა. მოვიხედე, — ნაპირს ორმოცდაათი საყენით გავშორებოდით და მე კი ცურვა არ ვიცოდი! მინდა ეს ქალი როგორმე მოვიშორო, მაგრამ სამოსში კატასავით ჩამაფრინდა და უცებ ისე მძლავრად მიბიძგა, რომ კინაღამ ზღვაში არ გადამაგდო. ნავი დაირყა, მაგრამ თავი შევიმაგრე და ჩვენ შორის სასტიკი ბრძოლა შეიქმნა; ბრაზმა და რისხვამ ძალღონე გამოირკვია, მაგრამ შევატყვე, რომ სიმარდით მაინც ისა მჯობნიდა... „რა გინდა ჩემგან?“ — მივაძახე და ხელში ხელი ღონიერად მოუჭირე; თითებმა ტაკუნის

იწყეს, მაგრამ ერთიც არ დაუცენესია: მისი გველისებური არსება ტანჯვას მედგრად იტანდა.

— შენ მოწმე ხარ, — მიპასუხა: — და დაგვასმენ. — უცებ ანტიკონსერვატივი ძალით მომიქნია და წაქეუული ნავის კიდეს ღონიერად მიმანალა; ორთავე წელამდე ზღვაში ვიყავით გადაკიდებულო; ქალის თმა წყალში ეყარა. გადამწყვეტი წუთი დადგა. მუხლით ნავის ზროს მივეყრდენ და ცალი ხელი თმაში, ხოლო მეორე ყელში რომ ვტაცე, ხელი შემიშვა. მე დრო ვიხელთე და მაშინვე ზღვაში გადავისროლე.

საკმაოდ ბნელოდა. ქალის თავი ერთი-ორჯერ კიდევ გამოჩნდა ზღვის ქაფთა შორის და მერე არა დამინახავს-რა...

ნავში ერთი შუაში გადატეხილი ნიჩაბი ეგდო, ის მოვიხმარე და რის ვაივაგლახით ნაპირს მივალწიე. ქობისაკენ ნაპირის გაყოლებით რომ მივიღიოდი, თან ჩემდა უნებურად იქით ვიცქირებოდი, სადაც ის ბრმა წუხელ დამის მენავეს ელოდებოდა; მაღლით მთვარე ამოსულიყო და ისე მომეჩვენა, თითქოს ნაპირზე ვილაც თეთრადმოსილი იჯდა; სულმა წამძლია, ფეხაკრეფით უფრო ახლოს მიველ და კბოდეზე აშლილ ბალახზე დავწექი; თავი ავიღე და ისე არ გამკვირვებია, როგორც გამეხარდა, როცა იქ ის ჩემი ალქაჯი შევიცან; სველი ტანისამოსი მოქნილ ტანზე მჭიდროდ შემოტმანსოდა და მის ქვეშ მაღალი გულმკერდი მკაფიოდ ინაკეთებოდა. მალე ზღვაში ნავიც გამოჩნდა და ნაპირს სწრაფად უახლოვდებოდა. ისევე, როგორც წუხელ, ნავიდან ის თათრის-ქუდიანი ვაცი გადმოვიდა, მხოლოდ თმა ახლა კაზაკურ ყაიდაზე შეეკრიჭა და ქამარში ბებუთი ჰქონდა გარკობილი. „იანკო“, სთქვა ქალმა: „დავიღუპეთ!“ საუბარი განაგრძეს, მაგრამ ისე იღუმალად ლაპარაკობდნენ, რომ არაფერი არ გამიგონია.

— ის ბრმა სადღაა? — იკითხა ბოლოს იანკომ ხმის აწევით. „საქმეზე გავგზავნე“, იყო პასუხი. რამდენიმე წუთს შემდეგ ბრმაც გამოჩნდა. ზურგზე ტომარა ეკიდა და ეს ტომარა ნავში მოათავეს.

„ბრმავე, ყური მიგდე!“ სთქვა იანკომ. „იმ ადგილს კარგა გაუფრთხილდი... ხომ იცი? ძვირფასი საქონელია... უთხარ (სახელი ვერ გავიგონე), რომ მე მეტი მისი კაცი აღარა ვარ; საქმე ცუდად მობრუნდა და ვეღარ მნახავს; საშიშროებამ იმატა; წავალ, საქმეს სხვაგან გავიჩენ. ის კი ჩემსავით ხელაღებულს ბარე ორ დღეს ვერ ნახავს. ისიც უთხარ, ზომაზე მეტად ხელმოჭერილი რომ არ ყოფილიყავ, იანკო ასე ადვილად არ შეგეღეოდა-თქო; ჩემთვის გზა ყველგან ხსნილია, ყველგან, სადაც ქარი ჰჭრის და ზღვა ტლაშუნობს“. მკირე ხნის ღუმლის შემდეგ იანკომ კვლავ განაგრძო: „ეს ვოგოც თან მიმყავს. მაგისი აქ დატოვება არ იქნება; იმ დედაბერს კი უთხარ, რომ ნუ აგვიანებს, გუდა-ნაბადი აიკრას. უთხარ, ნამუსიც კარგი საქონელია და სული პატრონს ჩააბარე-თქო. ისიც უთხარ, რომ მეტს ვეღარ გვნახავს“.

— მე? — იკითხა საწყლად უსინათლომ.

— რას მარგინარ? — იყო პასუხი.

ამასობაში ის ჩემი წყლის ფერია ნავში ჩახტა და ამხანავს ხელი დაუქნია. იანკომ ბრმას ხელში რალაც შეაჩჩა და ისე უთხრა: „აჰა, ესეც შენ, წადი და თაფლის კვერი იყიდე“. — ეს რაა? — იკითხა უსინათლომ. „მაშ, აჰა, კიდე!“ და ქვაზე დაცემული ფული გაწკრიალდა. ბრმამ ფულს ხელიც არ ახლო. იანკო ნავში ჩახტა; ზღვაური ნაპირიდან ჰჭროდა: პაწია აფრა ხელად გაწალეს და ნაპირს უცებ გაშორდნენ; ბრმა ისევე იჯდა და უცებ რალაც ტირი-

ლეს მსგავსი შემომესმა: ბრმა მართლაც ტიროდა, ტიროდა დიდხანს, დიდ-  
ხანს... გული დარდით ამევსო. რა ბედმა ვადმომაგდო აქ, ამ კატეტიქსან  
კონტრაბანდისტთა შორის? ისე, როგორც ანკარაში ვაჭარულს შეკა-  
ვარდნილმა ქვამ, ავაფორიაქე მათი მყუდროობა და კინალამ თვითონაც ქვასა-  
ვით არ წაველ ბსკერისაკენ!

შინ დავბრუნდი. დერეფანში თითქმის ბოლომდე დამწვარი სანთელი ტკა-  
ცუნობდა. კაზაკს თავისი თოფი ორივე ხელით მაგრა ჩაებლუჯა და, მიუხე-  
დავად ჩემი ბრძანებისა, გულდაგულ ეძინა. არც გამიღვიძებია, სანთელი  
ოთახში შევიტანე და ვხედავ, რომ ჩემი ზარდახში, ვერცხლის სევადიანი ხმა-  
ლი და მეგობრისაგან ნასახსოვრები ლეკური ხანჯალი აღარ იყო. ახლა კი  
მივხვდი, თუ რა ტომარას მიათრევდა ის წყვეული უსინათლო! კაზაკი არც თუ  
ისე ზრდილად მუჯლუგუნის კერით გავადვიძე, ვლანძღე, მიწასთან გავასწო-  
რე, მაგრამ რაღა დროისა იყო. უფროსებთან რას ვიჩივლებდი! სასაცილო-  
დაც არ ეყოფოდათ, როცა გაიგებდნენ, რომ ერთმა ბრმამ გამძარცვა, ხოლო  
თვრამეტორდე წლის გოგონამ ზღვაში კინალამ არ გადამაგდო. კიდევ მად-  
ლობა ღმერთს, რომ იმ დილით გამგზავრებისა და ტამანის დატოვების საშუალე-  
ბა მომეცა! რა დაემართათ იმ დედაბერსა და საწყალ უსინათლოს, არა ვიცო-  
რა. ან რა მესაქმებოდა ადამიანის ბედისა თუ უბედობისადმი მე, ერთ მოხე-  
ტიალე ოფიცერს, ისიც სახელმწიფო საჭიროებათა საგზურით ხელში!..

თარგმანი ლეონა შენგელაიანი.

მ. ი. ლაშოვნიძე

## მ ნ ი რ ი

„ტამით გვამე მცირე თაფლი  
და ამა, მე მოვეკვდები“.  
წიგნი პირველი მეფეთა.

### I

სად მტკვარს არაგვი ტალღათა ტყორცნით  
გადაჰხვევია, დასავით ჰკოცნის,  
სად ორივე სჩქეფენ შერთულად მდენი,  
ჯერ არ წარსულა მრავალი წელი, —  
იქ მონასტერი ყოფილა ძველი,  
რომლის დანგრეულ კარიბჭის სვეტებს  
მთის ძირს გამვლელნი ეხლაცა სჰვრეტენ.  
ქონგურ-ბურჯები, ტაძრის თაღები  
მოსჩანან, მგზავრთა თვალის წამლები.  
იქ ნელსაკმევის აღარ დის ბოლი,  
საცეცხლურიდან ხვეული რგოლი;  
არ ისმის ღამით ბერთა გალობა,  
რომ ღმერთსა სთხოვონ ჩვენთვის წყალობა;  
ნანგრევთ დარაჯად ეხლა იქ არი  
მხოლოდ ჭაღარა და ცოცხალმკვდარი,  
მოხუცი ერთი, მთლად ჩამომდნარი;  
დამივიწყაო სიკვდილმა, ჰგოდებს  
და მტვერს გადაჰგვის საფლავის ლოდებს,  
რომელთა ზედან ეს იკითხება,  
რომ წარხოცათ ძველი დიდება;  
და რომ ურდოთგან შეიწრებულმა  
გვირგვინოსანმა, ძალას კლებულმა  
ამ და ამ მეფემ, წელს ამ და ამას  
ერი გადასცა რუსეთს, ვით მამას.

და საქართველოს ღეთის მადლი ციდან  
გადმოველინა იმავე დღიდან;  
თვის ბაღთა ჩრდილში მას შემდეგ ჰყვავის,  
მას შემდეგ ასცდა ხვედრი ბედშავის; —

ურდოთ შესევა აღარა ჰზარავს,  
მეგობრის ხიშტი მათგან იფარავს.



## II

რუს გენერალსა, ნაომარს მთაში,  
ტფილისს მიჰყავდა ერთხელ ტყვე ბავშვი,  
იგი ექვსი წლის ძლივს იქნებოდა,  
შორ გზას ეგვემნა, თითქმის კვდებოდა.  
მთის ქურციკივით მფრთხალი და კუშტი,  
თან ლერწამივით მოქნილი, სუსტი;  
მაგრამ მტანჯველ სენს აღეგზნო ისა,  
შთაედგა სული მძლე წინაპრისა,  
არრას ჩიოდა ქანცმილეული,  
თითქო მოთმენას ხანგრძლივ ჩვეული;  
დაფიცულივით არცერთი კვნესა  
იმის ნორჩ ბავეს არ ამოეშვა.  
საჰმელსაც ზიზლით ერიდებოდა,  
ასე ამაყად, მშვიდად კვდებოდა.  
იქ ერთმა ბერმა ის შეიცოდა,  
ნახა რა სნებით ბალლი იწვოდა,  
თავის სენაკში მისცა მას ბინა,  
უვლიდა, სიკვდილს გადაარჩინა.  
ვერ გაეტაცნა ის ბავშურ ლხენას,  
ერიდებოდა ჯერ კიდევ ყველას,  
სდუმდა, ოხრავდა მარტოდ მავალი,  
აღმოსაველეთზე მიეპყრა თვალი; —  
სამშობლოსადმი ყოველის მძლეველი,  
სწვავდა ნალველი გაურკვეველი.  
შემდეგ ტყვეობას შეეწყო ისა;  
იწყო მიხვედრა უცხო ენისა;  
ქრისტიანულად უკვე მონათლეს,  
თუმც ქვეყნის ავ-კარგს ჯერ ვერც-კი არჩევს.  
არ მოსწრებოდა ჯერ სიჭაბუკე,  
ბერად აღკვეცა უნდოდა უკვე.  
და შემოდგომის ერთ ღამეს რა ჰქნა? —  
ირგვლივ ტყით ბურვილ მთებში ის გაჰჭრა...  
სამი დღის ძებნით მოღალეს თვალი,  
მაგრამ ვერ ნახეს იმისი კვალი;  
შემდეგ გულწასულს შეჰხვდნენ მღებარეს,  
კვლავ სავანეში შემოაფარეს.  
საშინლად იყო იგი გამზდარი,  
ქანც-მილეული და ფერგამკრთალი.  
თითქო ხანგრძლივი ჯაფისგან დნება,  
ან განეცადოს სიყმილი, სნება.  
კითხვაზე პასუხს არვის აძლევდა,  
ჰკნობა, ძაბუნს დღითი-დღე სძლევდა.



და ეღებოდა სამარის კარი;  
 მაშინ მოვიდა მასთან მოძღვარი,  
 დასჭირდა ბევრი რჩევა, ვედრება,  
 რომ აღსარება შეეხებას ედრება.  
 და ავადმყოფი ამაყი, კუშტი,  
 ჯერჯდ უსმენდა, სნებათგან სუსტი,  
 შემდეგ წამოჯდა, მოძღვარს მიენდო,  
 გადმოსცა, გულში რა ცეცხლი ენთო.

## III

„მისთვის მოსულხარ, — გმადლობ მაშაო, —  
 გგონია მტანჯავს ფიქრი ამაო;  
 ვსურს მომისმინო მე აღსარება,  
 მაშ ვალიარებ, გულს მოეშვება:  
 მე არ მიქნია ხალხისთვის ავი,  
 ამიტომ ვგონებ ჩემი ამბავი  
 შენთვის მცირედი სასარგებლოა.  
 მირჩევ მოგითხრო სული, აწ დროა  
 და სულის თხრობა კი... შესაძლოა?  
 ჯერ ყრმამ არ ვიცი კეთილდღეობა  
 და გამოეცადე წლობით ტყვეობა.  
 რომ გამიცვლიდნენ, ამ წლებს მივცემდი  
 და წუთით ყოფნას იქ ავირჩევდი,  
 სად დეღვა, შფოთი მელიოდა სრული.  
 ამ ერთი ფიქრით ვიყავ მოცული,  
 მან აღმიტაცა, აღმინთო სული,  
 ის შემომიჩნდა მღრღნელ მატლივითა,  
 გული დამიპოვ და დამიფლითა.  
 ლოცვებით დახშულ სენაკებს ჰგომობდა  
 და ჩემს ოცნებას იქით იხმობდა,  
 სასურველ ქვეყნად... სადაც საბრძოლო  
 განგაშს და გზნებას არ უჩანს ბოლო.  
 სად კლდეებს ჰბურავს ბურუსი თალხი,  
 სად ვით არწივი, ფრთასა ჰშლის ხალხი.  
 ამ მისწრაფებას ცრემლი და სევდა  
 დამის წყვილიაღში მისაზრდობდა,  
 და ეს სურვილი ცოდვაა განა?  
 დეე მისმენდეს ცა და ქვეყანა,  
 ჩემთვის ეს არის წმინდათა წმინდა  
 და პატიება თქვენი არ მინდა!“

## IV

„მოხუცო! ბევრჯერ მსმენია წინეთ,  
 რომ თქვენ მე სიკვდილს გადამარჩინეთ.  
 რისთვის გადაერჩი! — კუშტი, გვემული,  
 როგორც ფოთოლი ძირს დაცემული,





ხეს მოწყვეტილი სეტყვაში, თქეშში,  
 მე გაგიზარდე ყრუ მონასტერში;  
 უმანკო სულით, ჯერ ისევ ბალდი,  
 ხოლო ბედით ბერს შემოსა თალხი..  
 ვერვის ვეტყოდი, ვერც გამებედა  
 წმინდა სიტყვები, „მამა“ და „დედა“,  
 შენ სავანეში, ჰფიქრობდი ამას,  
 დამაფიწყებდი უტყბეს დედმამას.  
 მაგრამ ამათ, ბგერანი ესე  
 დაბადებიდან გულს ჩაეთესე.  
 ყველას გააჩნდა სამშობლო, კერა,  
 რაც აქ ჩემს ირგვლივ ვერ ვბოვე, ვერა!  
 სხვანი ხარობდნენ მეგობრით, მშათი,  
 მე კი საფლავიც დავკარგე მათი.  
 მაშინ არ ვნამე ცრემლებით თვალი  
 და მივეც ფიცი, გულს იღუშალი:  
 მეპოვა ვინმე ჩვენივე მზრისა,  
 უცნობი იყოს თუნდ ჩემთვის ისა,  
 გულში ჩამეკრა, სევდა გამენდო  
 და თუნდ წამიერ ისიც ამენთო.  
 ვაჰ, ის ოცნება, შვენებით სრული,  
 აწ დამელუბა ვით დაისრული!  
 უცხო მზარეში, მე აქვე ვრჩები,  
 ტყვე. უთვისტომო აქვე მოვკვდები!“

## V

„არა, სამარე მე არა მზარავს,  
 ამბობენ, ტანჯვას იქ ძილი ჰფარავს,  
 მარადის მშვიდი, მარადის ცივი;  
 მაგრამ ვით დავთმო სიცოცხლის სხივი?..  
 მე ჯერ ყრმა ვარ!.. ყრმა!.. არ გქონდა გული  
 შენ ყრმას ოცნებით გახელებული?  
 გახსოვს, გიცდია შენაც ფარული  
 ან სიძულვილი, ან სიყვარული?  
 ან შენი გული ტკბილად არ სძგერდა,  
 როდესაც ველზე მზე ისრებს ჰფენდა  
 მაღალ ბურჯების ღრმა სათვალედან?  
 სად სიო გრილი მოჰქრის გარედან...  
 იქ ხან უცნობი ქვეყნისა ბავშვი  
 კედელს ეკვრება დაღვრემილ თაღში,  
 მტრედი მთრთოლვარე, მტრედი საბუთი,  
 როდესაც აკრთობს ქუხილის წუთი...  
 მაგრამ, წარმტაცი ესე ქვეყანა,  
 შენ უძღურს აღარ გიზიდავს განა?  
 აღარც იშენებ სურვილთა კარავს,  
 რადგანაც უკვე ჰალარა გფარავს.

რა გენაღვლება, შენი გზა წყდება,  
 ავიც და კარგიც დაგავიწყდება;  
 გზა მეც მელოდა, მოხუცო, დიდი,  
 ცხოვრებას სხვაგვარს მეც გავივლიდი!”



## VI

„გინდა იცოდე, მთებში რა ენახე  
 მონასტრის ზღუდე რომ გადავლახე?!  
 ზეგანი ტურფა თვით სამოთხეზე,  
 ტყე გვირგვინივით შვენოდა თხემზე.  
 აშრიალეზდა მას მაღლი ქარი,  
 ფერხულს უვლიდა ტყეც, ეშხით მთერალი.  
 ენახე უთვალავ მთებისა გროვა,  
 მკმუნვარედ მდგომნი, თითქო აქვსთ გლოვა.  
 ნაპრალთა შორის მდინარე ჰქუხდა,  
 მთების გათიშვით თითქო ის სწუხდა;  
 და გამოვიცან მთის ფიქრი სრული,  
 ცით მომენიჭა გრძნობა მისნური.  
 ვხედავდი მრავალ ნაპრალთა კრებას,  
 თითქო ცდილობდნენ კვლავ შეერთებას.  
 გადარღვეულან მათაა გულები,  
 შეყრის სურვილით დაღადრულები,  
 მაგრამ დღე დნება, წლები სხლტებიან, —  
 ნაპრალნი ველარ შეერთდებიან!  
 მთაგრეხილების ვიხილე კრება,  
 გასაოცარი, ვით მოჩვენება;  
 განთიადს ნისლი იქ მიეფინა,  
 ვით საკმეველი სახატეს წინა;  
 მათაა მწვერვალნი, ცამდე აწვდილი,  
 სადაც ღრუბლები აშლილან დილით  
 და მათი თეთრი ქარავნის რხევა,  
 აღმოსავლეთის გეზს მიემთხვევა,  
 ვით ფრინველთ გუნდი ღამე ნათევი,  
 უცხოეთისკენ ფრენას ნაჩვევი.  
 სჩანდა კაკასი, შორს ღრუბლებს იქით,  
 თოვლს მოეღვარეს აღმასის ჯილით  
 ჰალარა თავი შეემკო მისი, —  
 ეს იყო ურყევ მთის საკადრისი.  
 და გულს მომეშვა, განელდა ალი,  
 თითქო მომესმა ხმა იღუმალი,  
 რომ ჩენი ფუძე თავად იქ იყო.  
 წარსულზე ფიქრმა იქით წამიღო,  
 მოგონებათა კარი გამიღო...“

## VII



„და მომაგონდა სახლი, მამული,  
 ჩვენი ხეობა, ჩვენი აული;  
 ხეების ჩრდილში ოდნავ ჩნდა ისა,  
 როს მოსცურავდა ბინდი ღამისა;  
 თითქმ მესმოდა შორით ხმაური,  
 გამოძახილი, აურზაური.  
 საღამოს ეამზედ ძაღლების ყეფა,  
 როდესაც ჯოგი შინ იკრიბება.  
 მახსოვს შავგვრემან მოხეტთა სახე,  
 მთვარიან ღამეს ისინი ვნახე  
 ჩვენი სახლის წინ, ბრგე ვაეკაცები,  
 მძლავრი სურვილით ანატაცები.  
 დაფიქრებულნი ძელზედ სხდებოდნენ  
 და იქ მამაჩემს ელოდებოდნენ.  
 ჰშვენიოდათ წელზედ ხანჯლები ყველას,  
 და ქარქაშებზედ სევადი ელავს...  
 ყველა ეს ბუნდად მე გამახსენდა,  
 როგორც სიხმარი ჩემს თვალწინ ჰფრენდა.  
 თვით მამაჩემი?— გამომეცხადა,  
 შეკაზმულიყო საომრად მთლად.  
 მახსოვს მე მისი აბჯრის ზრიალი,  
 გაწმენდილ თოფის ელვა-პრიალი.  
 ამაყი სახე, ურყევი ნება,  
 თვალთა ისარნი გარს ეფინება.  
 საყვარელ დების თვალების სხივი,  
 მათ განშორებას სევდითა ეჩივი!  
 იმათი ხმები რა ტკბილად ეღერდნენ,  
 როცა აკვანში ნანას მიმღერდნენ.  
 ჩვენს ხეობაში მოჰქუხდა ღვარი,  
 ის ღრმა არ იყო, მაგრამ არც წყნარი;  
 ოქროს სილაზე იმ ხევის პირად  
 მე სათამაშოდ გავბოდი ხშირად  
 და თვალ-მახვილი, ქცეული შხირად,  
 ეუღარაჯებდი მფრინავ მერცხალსა,  
 წვიმის წინ ფრთას რომ გაჰკრავდა წყალსა...  
 და გამახსენდა ჩვენი სახლკარი,  
 როდესაც ენთო კერაზედ კვარი;  
 მიყვარდა გრძელი ამბების სმენა,  
 რომ წინაპრები არ გვგვანდნენ ჩვენა;  
 მყუდრო ღამეში ხსენება მათი,  
 ცხოვრება ვისაც ჰქონდა ხალვათი.

## VIII



გინდა გაიგო რა ვიმოქმედე,  
 როს თავისუფლად გაქრა გავბედე?  
 იმ სამ დღეს ვიგრძენ შებვა ნეტარი,  
 გავცოცხლდი თითქო მანამდე მკვდარი.  
 ჩემი არსება, იმ სამ დღის ვარდა,  
 შენსავით მოხუცს, უძლურსა ჰგავდა.  
 დიდხანია მე განმეზრახა,  
 რომ მინდორ-ველი ვადამელახა;  
 გამეგო ქვეყნის წესი და რიგი, —  
 მშვენიერია ნამდვილად იგი?  
 გამეგო, ეზნდებით ამ ქვეყნად რისთვის, —  
 თავისუფლების თუ ტყვეობისთვის?  
 და იმ საშინელ წყვილად ღამეში  
 თქვენ რომ გზარავდათ ელვა და თქეში,  
 თქვენ რომ ტაძარში შეგროვდით ყველა,  
 რომ მეტანიით გეთხოვათ შველა.  
 მაშინ გავიჟერ! — ო, გრიგალ-ქარი  
 თუ შემხვდებოდა უმეტეს ჩქარი,  
 ვადევნებოდი, ვით მეგობარი.  
 თვალსა მტაცებდნენ ღრუბლები თეთრი.  
 მსურდა ხელთ მეგდო თვით ელვა მკვეთრი..  
 ამ კედლებს შორის, მითხარ, სად არი  
 ამის სანაცვლო, ამის ბადალი?  
 თუმც მოკლე იყო შეხვედრა ისა  
 მღელვარე გულთან მჰქეპარე ცისა.

## IX

დიდხანს ვავრბოდი, არ ვიცი, სადა.  
 ერთმა ვარსკვლავმაც არ გამინათა  
 გზა უძნელესი წვიმიან ღამით,  
 რომ მესარგებლა გაქცეულს ამით.  
 იმ ღამეს ტყეში ჰაერი სუფთა  
 გულმა ტანჯულმა შებებით ისუნთქა.  
 დიდხანს ვირბინე, ბოლოს დაღლილი  
 წავწექ ტალახში. სად იყო ძილი!  
 ყური წავეგდე, არსით ჩქამია,  
 მღევარი არ სჩანს, ბნელი ღამეა.  
 თავსხმა შენელდა, აღარც ელავდა,  
 მკრთალი ნათელი ბნელ ცას სერავდა.  
 ცის დასავალზე, სკვრეტდნენ თვალეზი,  
 მოქარგულიყვნენ მთის მწვერვალები.  
 ვიწექ მდუმარე, გაუნძრეველი,  
 იმ მარტოობის თმენით მძლეველი.  
 ხანდინან ზევში ტურა კიოლა,



ბალღივით, თითქო რაღაც სტკიოდა.  
და მისცურავდა რიყეზედ გველი,  
მისი პერანგი გლუვი და პრელი  
ბზინავდა, როგორც ქავლი ანკარა,  
მაგრამ გულს შიში არ მომეკარა!  
მხეცივით მე თვით ხალხს განვეშორე  
და კლდე ვიფარე, ვით გველმა ყორე.

## X

ღრმა ხეობაში, იქვე ჩემს ქვევით,  
ღვარი ბორგავდა ტალღათა რხევით;  
მძვინვარედ ჩქეფდა, ქუხილით რბოდა,  
გეგონებოდათ ამბოხი ბრბოთა;  
მისი უსიტყვო დავა, გოდება  
რომ გზა ჩახერგეს დიდმა ლოდებმა;  
და უსასრულო ყვედრება ავი  
ჩემს ყურს არ დარჩა შეუნიშნავი.  
ზვირთი წამიერ თითქო ყუჩობდა,  
კვლავ ლოდზედ ბტოდა, ისევ უჩრობდა.  
მაგრამ... ბურუსი შთანთქა აისმა  
და ცაში ფრინველთ სტვენა გაისმა.  
ცერიან ფოთლებზედ დაირხა ქარი  
და გადმოეშვა ოქროს ცისკარი.  
ყვავილთაც ფშვენით წამოიწიეს,  
დაბლა აფრქვეედნენ ნამს, როგორც მძივებს.  
მეც ყვავილივით თავაწეულმა,  
იმ განთიადის ეშხით ძლეულმა  
ვიფიქრე, ირგვლივ მიმოვიხედე  
და რაც ვიხილე, თქმა ვით გაგებდო! —  
კლდის-პირას ვიწექ, და მეცა ელდა...  
ქვევით ღვართქაფი ბორგავდა, ღრენდა.  
ქიმების წვეტნი ჩანდნენ იმ კლდიდან, —  
ზედ ავი სული თუ ჩაივლიდა, —  
ოდეს ცის რისხვა დაატყდა მეხად  
და ქვესკნელისკენ გადმოიჩეხა.

## XI

ირგვლივ ჰყვავდა წალკოტად ყველა  
მცენარეული, ვით ცისარტყელა.  
ცის ნამი ცრემლად ზედ დაფრქვეთდა  
და ვაზი სუროთ შემოჰხვეოდა,  
ფოთლები მისი ზურმუხტს ვამსგავსე,  
ძვირფას საყურეს — მტევნები სავსე;  
იმით ტკბილ ნექტარს მფრთხალი, ვით ქურდი,  
მალმალ ესხმოდა ფრინველთა გუნდი.  
მე ძირსვე გავწექ კვლავ განაბული



და გატაცებით მიეუბნებოდა ყური.  
 ესდენ შხიბლავდა ხმა უცნაური,  
 რომლის ჯადოსნურ ჩურჩულში თითქო  
 ნელი საუბრით მთლად აღმოითქვა  
 ცისა და ქვეყნის იღუმალება,  
 ბუჩქნართა შორის რაც იმალება.  
 ბუნება მრავალნაირი ხმისა  
 ყველა ურთიერთს იქ შეეთვისა,  
 იღვა ზეიმის, დიდების ეამი;  
 მხოლოდ ეს იყო, სიტყვა და ჩქამი  
 არსით ისმოდა გოროზ კაცისა,  
 ქვეყნიერების ურჩია ისა.  
 მაშინ რაც მწვევდა განცდათა ალი,  
 თუმცა გამიჭრა იმ ფიქრთა კვალი,  
 რარიგ მინდოდა სიტყვებით მეთქვა,  
 რომ გულს ოცნებით კიდევ ეფეთქა!  
 კამარა ცისა იყო იმ დილით  
 ისეთი სუფთა, გადაწმენდილი,  
 რომ ვინც ბეჯითი თვალითა მზერდა,  
 ანგელოზთ ფრენას იქ შეამჩნევდა.  
 ესდენ კრიალა, ღრმად გამჭვირვალე,  
 ვრცელი ლაქვარდი ატკობდა თვალებს,  
 სრულად მტაცებდა სულსა და გულსა  
 ვიდრე შეადლის სიციხით დაგულსა,  
 არ ჩამეშალა ოცნების ქსელი  
 და არ გამიმშრა წყურვილით ყელი.

## XII

მაშინ მოქნილ ბუჩქს ჩავეიდე ხელი,  
 იმ სიმაღლიდან უფსკრულს ჩამსვლელი  
 რაც კი შემეძლო ფრთხილად ვსხლტოდი  
 ქიმიდან ქიმზე, — ჩამეჭკა ლოდი, —  
 გამომეცალა ფეხმოსაკიდი,  
 ბუქი ავარდა ჩემს ზევით დიდი;  
 ჰვეშ ჰვები კლდეზედ გორვითა ხტოდნენ  
 და მდინარეში ზათქით ინთქმოდნენ.  
 შე ჩასავარდნად უფსკრულს ვეკიდე,  
 მაგრამ იმედით ესუნთქავდი კიდევ;  
 ასე ლაღია ჰაბუკის ძალა, —  
 არ მაშინებდა სიკვდილი, არა!  
 როდესაც კლდიდან ჩავცურდი ხევში,  
 მდინარის სიო მომწვდა სახეში,  
 მხეფებს აფრქვევდა მთის ნაკადული, —  
 დაეწაფე და ვიჯერე გული.  
 უცებ ხმა მესმა... მსუბუქ ნაბიჯით  
 ვიღოდა ვინმე; პერობილი იქვით



სწრაფად ბუჩქებში მე მივეფარე,  
რომ დამეზვერნა ქურდულად არე.  
ვიგოძენ კანკალი მე უნებური,  
გავიმახვილე თვალი და ყური;  
ჩემსკენ მოჰფრენდა ხმა როგორც ქარი;  
მოიმღეროდა ქართველი ქალი;  
ხმა ბუნებრივი იგი ცხოველი,  
ტკბილი და ლალი ბგერა ყოველი,  
ეფინებოდა მთასა და ბარსა,  
თითქო ეძახდა ტოლ-მეგობარსა;  
და იმ უბრალო სიმღერის ძალა  
ჩემში არა და არ წაიშალა,  
მას შემდეგ ყოველ მწუხრის პირს უმალ  
აგივ სიმღერა მესმის იდუმალ.

## XIII

კოკა შეედგა ქართველ ქალს მხარზედ,  
ვიწრო ბილიკით ვიდოდა წყალზედ  
და ხან თუ ქვებზედ უსხლტოდა ფეხი,  
იცინოდა, რომ არ იცის ხერხი,  
ღარიბად ეცვა იმ ყმაწვილ ქალსა,  
ზე აეკეცა გრძელ ჩადრის კალთა, —  
იადვილებდა სიარულს ისა;  
სახეზედ აჩნდა ლაქები მზისა;  
მის ბაგე-ლაწვნი და ყელი-სურა,  
აღმურს და სიცხეს მთლად დაებურა.  
შავად ელაფდნენ მისი თვალები,  
თითქო სწვავენო ტრფობის ალები;  
ეგონებ იმ თვალთა ისარი მეცა,  
მგზნებარე ფიქრმა ამლეწა მეცა.  
და მიბნედილმა დავხუქე თვალი...  
მირაკრაკებდა კოკაში წყალი,  
და ერთხანს მესმა ოდნავ შრიალი...  
სხვა არაფერი, ეს მახსოვს მხოლოდ,  
გრძნობა წამერთვა, დაერჩი უგონოდ.  
როცა მოვეგე გრძნობას და ფიქრსა,  
გულს მოწოლილი სისხლი მიიქცა,  
მოვეცოცხლდი, ირგვლივ მოვაღლე თვალი, —  
უკვე შორს იყო ქართველი ქალი.  
ნაბიჯი მისი თუმც იყო ნელი,  
მსუბუქი ფრენით გაველო ველი.  
და თუმცა მხარზედ ტვირთი მიჰკვროდა,  
როგორც ნიავე ნელ-ნელ მიჰქროდა.  
ის მიარხევდა ალვისებრ წელსა,  
მასებრ მეფურად ამკობდა ველსა.  
წამოჩრდილულში, იქვე მახლობლად



კლდეს ორი სახლი მიჰკვროდა ობლად;  
და იქ ერთ ბანზედ ბოლავდა ზვრელი,  
მოსჩქეფდა კომლი ყომრალის ფერი.  
ის ეხლაც თითქო ჩემ თვალწინ არი,  
ვხედავ გაილო ნელნელა კარი.  
და იგი კარი კვლავ მიიკეტა...  
შენ კი ჩემს ნაღველს მიჰხედები, ნეტა?  
და რომ მიმიხედე არც მსურს, არც მჯერა.  
მე ჩემს ხვაშიადს ვერ გავთქვამ, ვერა!  
იმა წუთების ტანჯვა და შვება  
ჩემში დარჩება, ჩემთან მოკვდება.

## XIV

განაწამებმა უძილო ღამით  
თვალი მოვხუჭე შვება-სიამით,  
წამოსაწოლად რა ვნახე ჩრდილი,  
უმაღ საამო მეუფლა ძილი.  
სიზმარშიც ვნახე იგივე ჩვენება,  
ქართველი ქალის ნორჩი შვენება,  
და უცნაური ტბილ-მწარე სევდა  
გულს მიკვნესებდა, სიზმარშიც მსდევდა,  
ველარ ვსუნთქავდი, არ მქონდა ძალი  
და ამ ბორგვაში გავაღე თვალი.  
ღამეს მოესწრო და უკვე მთვარე  
გაბადრულიყო შუქ-მოელვარე,  
ეპარებოდა მას ღრუბლის ქულა,  
თითქო ცდილობდა ჩაენთქა სულა.  
ღედამიწაზედ ირგვლივ ბნელოდა  
და მყუდროება ნათელს ელოდა.  
მხოლოდ მწვერვალებს თივლიანს, მკვეთრად  
გადაჯაჭვეულებს, ვით ფოჩი თეთრად,  
აელვარებდნენ შორს ჩემს წინ მთები,  
აქ კი ნაპირზე სცემდნენ ზვირთები.  
მაგრამ მცირე შუქს ვამჩნევდი წამით,  
როგორც ვარსკვლავი მოსწყდება ღამით,  
იციმციმებდა და ჩაჭრებოდა, —  
ნაცნობ სახლიდან ის იქნებოდა;  
ერთხანს მომინდა იქ დავანება,  
მაგრამ ამ სურვილს არ მივეც ნება;  
ეძლიე სიმშვილის მწვავე იარა,  
არ დავიმცირე მე თავი, არა!  
ერთად-ერთ მიზნით ვიყავ მწუხარე,  
რომ მომეძებნა სამშობლო მხარე,  
რომ სწორე გზისთვის მომეკრა თვალი  
მივისწრაფოდი მუნჯი, შემკრთალი.  
თვით უღრან ტყეში შესვლას ვბედავდი,



მაგრამ იქიდან მთებს ვერ ვხედავდი,  
ველარსით მოვკარ მშობელ მთებს თვალი  
და ამერია მთლად გზა და კვალი.



## XV

მარცხმა სიცოფით ამინთო გული,  
სურათა ქსელში მთლად ჩახლართული  
და ჩამალული ჯაგნარი ვგლიჯე,  
ამაოთ... წალმა ვერ წაევაბიჯე...  
უსაზღვრო იყო ტყე შავი, ხშირი,  
თითქო ჩემს სამტროდ შეეკრა პირი.  
და იქ მილიონ თვალებით შავით,  
მთლად მოპირქეშე, თითქო სიავით  
მომჩერებოდა სიბნელე ღამის,  
ბუჩქის ყოველი ტოტიდან ღამის,  
თავბრუ მესხმოდა... და მე შავებედად,  
ხეზედ ავეტურდი შორს გასახედად,  
მაგრამ შორით-შორს ცის დასავალთან  
გადაშლილიყო ისევე ტყის კალთა.  
მაშინ დაბლავე დავქანდი ჩქარა  
და ბოლმა ცრემლად გადმოიღვარა;  
ცრემლთა მთოველი მიწასა ვლრდნიდი,  
ის იყო ჩემთვის ცივი და ფლადი.  
ცხელი ცრემლებით მიწა გახურდა,  
მაგრამ მე შველა არვისგან მსურდა:  
სამუდამქამოდ, როგორც ნადირი,  
კაცთაგან განვდეგ, ვიბრუნე პირი.  
ველად დავრბოდი მე გარეწარი,  
გაქსუებული, ნადირთა დარი.  
თუ წამცდებოდა სიტყვა ამაო,  
სიტყვა „მიშველეთ“, ვფიცავ, მამაო, —  
შეურაცხოფდა ჩემსავე სმენას,  
ამოვიგლეჯდი უსუსურ ენას!

## XVI

შენ გახსოვს ჩემი ბავშვობის ხანა, —  
ჩემს თვალზედ ცრემლი გინახავს განა?  
იქ კი ჩემს ირგვლივ არვის ვხედავდი  
და გულსაოხად ქვითინს ვხედავდი!...  
იქ ტყე ყრუ იყო, ვინ შემარცხვენდა?  
მთვარეც ზეციდან ცივად დამცქერდა.  
როცა ტირილით ვიოხე გული,  
ყოველი მხრიდან ტყით მოზღოუდული  
მცირედი ველი შევნიშნე წინა,  
მთვარეს ზედ შუქი მიმოეფინა.  
ზოგან ქვიშა ჩნდა და ზოგან მოლი,



იქ ნაპერწყალი გამოსხლტა ორი  
და აიშართა უეცრად ჩრდილი:  
ტყიდან იმ ველზე რალაც ნადირი,  
გადმოხტა, გაწვა და გზა გალობა.  
მოჰსურებოდა თითქო ლალობა.  
ო, ვეფხვი იყო მძლეთა-მძლე ისა,  
მარად სტუმარი უდაბურ ტყისა.  
ვგონებ ახალი მსხვერპლის ძვალს ზრავდა,  
რომ კმაყოფილი ზედ დაჰორინავდა.  
ნადირი იგი მოსისხლე თვალებს  
გაუშტერებდა კაშკაშა მთვარეს,  
და თან ალერსით კედს აიქნევდა, —  
შუქი მის ბეწვზედ ვერცხლისფრად სცემდა.  
მე მოვიმარჯვე ხის მსხვილი ტოტი  
და შებრძოლების ენითა ვთროთდი.  
ბრძოლის, სისხლის ღვრის ვიყავ მონატრე,  
თუმცა ეს ხვედრი მომესპო ადრე,  
მაგრამ იმ დღიდან დარწმუნდა გული,  
რომ ბრძოლისთვის ვარ დაბადებული,  
და ჩემს მამულში თუ დაერჩებოდი,  
სიმარჯვით არვის ჩამოვრჩებოდი!

## XVII

მე ღამის ჩრდილში ველოდი დროსა,  
და რა ნადირმა მტერი იყნოსა,  
უცებ აღმუელდა, დააღო ზახა,  
საზარელ გმინვით ამოიძახა;  
ბასრი კლანჭებით მიწასა სთხრიდა,  
შემდეგ ტორები მალა აზიდა,  
ზეაიშართა და ისევ გაწვა...  
წამს მოვისაზრე მე თავის დაცვა,  
თორემ ცოფიან ნახტომით ისა,  
მემუქრებოდა მყისვე სიკვდილსა.  
ხელთ მოვიმარჯვე მე აშართული  
მთლად საიმედო, ვით მკრელი ცული,  
ძალუმად დაგვარ კობალის ყუა  
და ფართე შუბლი გაეუბე შუა.  
ვით ადამიანს, გმინვა აღმოხდა,  
ჯერ გადაგორდა, ისევ წამოხტა.  
სისხლმომჩქეფარე თვალს ვერც ახელდა,  
მაგრამ ბრძოლისთვის უფრო გახელდა.  
გაათრებულნი ხელაზლა მეცა,  
სასტიკ ბრძოლაში შევები მეცა.

## XVIII



ის დასაგლეჯად გულს დამეჭვრა,  
 მაგრამ სიმარჯვით ვერ მძლია, ვერა!  
 მას ჩემი კაპი ვაძგერე მალე  
 ხორხში და ორჯერ დავუტრიალე...  
 აღმუვლდა მწარედ ჩემი მოძალე,  
 მაინც მომეჭდო მძლავრი თათებით,  
 წყვილი გველივით ჩავისლართენით.  
 თითქო მეგობრებს ხვეენა გველირსა,  
 მაგრად ჩაქრულნი დავეციოთ ძირსა...  
 და ძირს განვაგრძეთ ბრძოლა ძნიადი,  
 შემოგვხვეოდა ღამის წყვილიადი.  
 იმ საზარელ წუთს გაცოფდა გული,  
 გავანჩხლდი, როგორც ვეფხვი ველური.  
 ძეცა ვლრინავდი, ვხენეშდი, ვით ისა,  
 თითქო მეც მზარდა ბუნავმა ტყისა.  
 წამერთო სიტყვა, ჩამვარდა ენა,  
 შემეძლო მხოლოდ ველური ღრენა.  
 თითქო ოდითვე, ბავშობით, დიდხანს  
 არც შევჩვეულვარ ბგერებს და სიტყვას.  
 მაგრამ მოვალე მტერი სულ მთლადა,  
 ძლივსლა ფორთხავდა, ძლივსლა სუნთქავდა,  
 უკანასკნელად ის მომეძალა  
 და უკვე ღონე გამოეცალა.  
 თვალნი მრისხანედ შემომანათა,  
 თითქო რამ შემრჩა მისგან ვალადა;  
 დაფახა თვალნი აწ უხამხამოდ,  
 ეწვია ძილი სამუდამამოდ.  
 მაგრამ ნადირი, ჩემგან ძლეული,  
 იყო თამამი, ბრძოლას ჩვეული:  
 მტერს შეუპოვარს არ გაჰქცევია,  
 გაბედულ მებრძოლს ასე სჩვევია.

## XIX

აჰა, ჩემს გულზედ მოავლე თვალი, —  
 ისევ მატყვია ბჭყალების კვალი,  
 ჯერ არ შეკრულა კრილობა, არა!  
 თუ გრილი მიწა ვადაეფარა,  
 უმალ აყუჩებს ტყვილებს ისა, —  
 სიკვდილი წყლულებს შეუკრავს პირსა.  
 არც გამახსენდა მაშინ მე წყლული,  
 თავს დავაძალე, მოვიტყვი სული.  
 და ისევ ვიწყე ტყეში ყიალი,  
 მაგრამ ურჩობდა ბედი ტიალი...

არ წარმიმართა სწორი გზა გეზად,  
ასე დამცინა უსასტიკესად.



## XX

როდესაც ტყიდან მე გამოველი,  
დღეს შეჭაროდა უკვე ყოველი,  
ვარსკვლავთ კრებულნიც აღარსად სჩანდნენ,  
დღის სინათლეზედ უკვე მიმქრალდნენ.  
ტყე დაღვრემილი ალაპარაკდა  
და შორს აულშიც კომლი ავარდა.  
გადაუქროლა ნიაჟა მინდორს,  
რალაც გუგუნი მომესმა იმ დროს,  
მე იქვე დავჯექი, დავუგდე ყური,  
მაგრამ ნიაჟთან გაქტრა გუგუნი.  
თვალი მოეაღლე მიდამოს შალე  
და თითქო ვიცან ის არე-მარე.  
რა გავერკვიე, სიმწრით ავივსე,  
რომ ტყვეობაში დაებრუნდი ისევ;  
რომ სულ ამაოდ მე იმ სამ დღეში  
იდუმალ მიზნით დაეძრწოდი ტყეში.  
სულ უნაყოფოდ ვითმენდი ქირსა,  
ქვეყნის მოხილვა განა მეღირსა!  
მხოლოდ დაბურულ შფოთიან ტყეში  
მრავალი წრთობით, ტანჯვით და კენესით  
თავისუფლება ვიგემე ტკბილი  
და უშალ გაქტრა მისი აჩრდილი.  
რისთვის დამატყდა ამდენი ავი  
და მომშითო ჯერედ გაუფურჩქნავი?  
წმინდა სამშობლოს ველარ მნახველი,  
ვედები, საფლავში მიმდევს ნაღველი!  
იმედდათქმული აწ ვალრქენ კბილებს,  
და შებრალებაც თქვენი მაწბილებს.  
ექვით ვიყავი ჯერ კიდევ საესე,  
მე ეს საშინელ სიზმარს ვამსგავსე.  
მაგრამ შორს ისევ ჩამოჰკრეს ზარი  
და სინამდვილემ დამცა თავზარი.  
აჰა, ვიცანი მე იგი მაშინ  
და გამახსენდა, რომ ბავშვობაში  
მან ჩემს ოცნებას ბევრჯერ დასცინა.  
როცა მშობლები მედგნენ თვალწინა,  
როს მიტაცებდა ლალი ჩვენება;  
ტრიალ მინდორზედ ცხენის ქენება!  
ჩვენს მთებში ბრძოლა, — მწყურთან  
დღემდი, —  
სად ყველას მარტო მე ვამარცხებდი...



სასომიხილი ვისმენდი ზარსა,  
 არ მისველებდნენ ცრემლები თვალსა,  
 ვგრძნობდი თვითეულ ზარის გუგუნზე  
 თითქო მე უროს მირტყამდნენ გულზე;  
 ვულმა გაიგო ის ზარი-გლოვა,  
 რომ სანატრელი დრო აღარ მოვა,  
 ვერასდროს ველარ მოვიხდი ვალსა,  
 ველარ მივაგნებ სამშობლოს კვალსა.

## XXI

მაშ მე ღირსი ვარ ჩემი ხვედრისა:  
 ძლიერი ცხენი დასცემდა ძირსა  
 უგვანო მხედარს, უცხო მხარეში  
 და თავისუფალ ქენებ-თარეშით  
 თავის ქვეყნისკენ გზას გადასქრიდა.  
 მე მასთან რა ვარ, ვედრები რითა?  
 რისთვის აივსო სურვილით გული?  
 რალათ აზავთდა სევდა და წყლული?  
 ეს იყო მხოლოდ სწრაფვა უძღურის,  
 ანთება, ბოდვა ავადმყოფ სულის.  
 აქ ტყვეობაში მე გადავგვარდი  
 როგორც უმზეო საკანში ვარდი,  
 რომელიც ჩრდილში ვერ იფურჩქნება  
 და მზის ლოდინში ყვითლდება, ქენება;  
 ეამი გავიდა და ვარდი იგი,  
 სადაც ყვავოდა სხვა ვარდთა რიგი,  
 ბაღში კეთილმა ხელმა გადაარგო,  
 მაგრამ მზის სხივმა მას ველარ არგო.  
 თუმც ყველა არსი იქ ზეიმობდა,  
 და ყოფნას ტკბილი სუნთქვით უხმობდა,  
 მაგრამ გამოჩნდა რა განთიადი,  
 მზე აღიმართა ცაზედ დიადი,  
 სხივებმა მწველმა მოთენთეს ვარდი,  
 რადგან საკანში იყო ნაზარდი...

## XXII

მეც დავისიცი, ვით ვარდი ისა,  
 მთენთავდა ცეცხლი უღმობელ დღისა,  
 თუმცა დაღლილმა თავი ჩაემალე  
 ბალახში, მაგრამ ამოდ, მალე  
 ვიგრძენ ფოთლები ხმელი რაოდენ  
 ეკლის გვირგვინად შუბლს მეწმინდოდენ.  
 თვით დედამიწაც გაავდა ჩემდა,  
 ცეცხლის ენებით სახეში მცემდა.



ბრუნავდა მალა ბრიალა ალი  
 სწრაფ ნაპერწკლებად, როგორც ბორბალი.  
 ორთქლი ფრიალოს გადათეთრებულს  
 სდიოდა, ქმნიდა ღრუბელთა კრებულს.  
 მიწას ეძინა სასოწარკვეთილს,  
 თითქო არლარას ელოდა კეთილს.  
 შთანთქა ყოველი აღმურთა ტალღამ,  
 შესძახოს ეგებ მინდორში ღალღამ,  
 კრიჭინა მაინც ამ დიდ სიცხეზე,  
 შემოსძახებდეს კრიმანჭულს ხეზე,  
 რომ გააყრუოს მთელი სამყარო,  
 ან ატიტინდეს ბავშურად წყარო.  
 მხოლოდ-ღა გველმა გაისრიალა,  
 გამხმარი შამბი ააშრიალა.  
 იმ გველის ზურგი ყვითელზოლებმა  
 ოქროვან ნაწერს გაეტოლებმა,  
 ხმალი ფხიანი მსგავსს თუ ჰპოვებდა,  
 ქვიშაზე ცურვით ის კვალს სტოვებდა,  
 ხან ნებიერობდა თამაშით, წოლით  
 ხან ეხვეოდა სამკეცი რგოლით;  
 ხან აწყდებოდა ნახტომით კიდეს,  
 თითქოს უეცრად ცეცხლი წაჰკიდეს.  
 სხანს ბოლოს მასაც წაერთვა ძალა,  
 შორს ბუჩქნარებში გადაიმალა.

## XXIII

და იღგა ცაში ნათელი მშვიდი,  
 შორს შავად ჩანდა ორი მთა დიდი.  
 იქ ბორიოში გამოჩნდა ჩვენი  
 მონასტრის ზღუდე, ქონგურთა წვერი  
 ბზინავდა მზეზე, თვალის მომჭრელი.  
 ქვევით მთის ძირას არაგვი, მტკვარი  
 მისრიალებდნენ თანხმობით მტკბარი.  
 ვერცხლის არშიად კუნძულებს ვარსა  
 შემოაშვეოდნენ, უხშობდნენ კარსა.  
 ასდევდნენ ნორჩი ჩირგვების შრიალს,  
 აცხოველებდნენ ბუნების ტრფიალს.  
 — კიდევ შორსა ვარ, — ვიფიქრე ეს-ღა  
 მაგრამ აქ უკვე თავბრუ დამესხა.  
 ელდამ უცებმა დამიგო მახე:  
 ველარც წამოვდექ, ვერც დავიძახე.  
 ენა გაშეშდა, გამოშრა სასა,  
 ველარ ვიღებდი სრულებით ხმასა;  
 სამარისაკენ სული გარბოდა  
 და სასიკვდილო დამეწყო ბოდვა.



მკმუნვარე გულმა ამოიკენესა.  
 სიცხით ანთებულს მეჩვენა ესა:  
 იღუმალეებით ბურვილ არეში  
 ჩავძირულიყავ ღრმა მდინარეში,  
 ის მასველებდა სიცხისგან ხურვილს  
 და თან მიკლავდა უსაზღვრო წყურვილს,  
 ნაკადი მისი, ცივი ყინულზე,  
 ჩამრაკრაკებდა, მხვდებოდა გულზე...  
 იმდენად იყო საამო, ტკბილი, —  
 არ მომპაროდა, ვშიშობდი, ძილი.  
 ჩემს ზევით ზვირთი ზვირთს აწყდებოდა  
 და ზედ მზის სხივთა სარკე ტყდებოდა.  
 ბროლის ქაფებში ჩაშვებულ სვეტად  
 დამატკობელი მთვარეზედ მეტად.  
 იმა სხივებში თევზთ ქარავენები,  
 მითამაშოდნენ, მისხლტოდნენ ვნებით;  
 ერთი მათგანი მე დამახსოვდა,  
 თითქო აღერსით ბადეს მიქსოვდა,  
 მოისწრაფოდა ჩემსკენ, მოჰქროდა,  
 ქიცვები ზურგზედ ოქროსი ჰქონდა.  
 იგი მრავალგზის თავს მეველებოდა,  
 და ჰსურდა უფრო ახლოს მხლებოდა.  
 მას მწვანე თვალში მომრგვალო ხაზი  
 ღრმად აღბეჭდოდა, ვით სევდა ნაზი.  
 მეტად მოვეყავდი განცვიფრებაში  
 მე მის ზარივით წკრიალა ხმაურს.  
 ჩამჩურჩულებდა ამბავს უცნაურს,  
 ხანა მღეროდა და ხანა სდუმდა,  
 ჩემი გართობა სიმღერით ჰსურდა:

და მოთქვამდა: „ჩემო ნორჩო,  
 მხოლოდ წყალში არის შვება,  
 მოდი ჩემთან, აქვე დარჩი,  
 ვიცდის ცივი მყუდროება.  
 შემოვიკრებ მე თევზ-ქალებს  
 და ჩაგიბამთ ღზინს, ფერხულსა,  
 აკვესებ მიმქრალ თვალებს,  
 სულს მოითქვამ, დაქანცულსა.  
 დაიძინე! ღბილად წვები  
 გამჰვირვალე საბნის ქვეშე,  
 დე ასეულს ასწვდნენ წლები, —  
 შენ ტკბილ სიზმრით ინუგეშე...  
 სასურველო! ვით დავმალო,  
 შენ ხარ ჩემი სატრფიალო,  
 გეტრფი, ჩემო შვების წყარო,  
 თვით სიცოცხლის შესადარო“.



დიღხანს და დიღხანს მივაპყარ სმენა,  
მეჩვენა თითქო ნაკადის დენა  
ჩართულა თევზის მღერათა შორის  
და ერთად მესმის ლულუნი ორის.  
აქ გრძნობამ ჩემზედ აიღო ხელი  
და თვალეზშიაც ჩაქრა ნათელი.  
გიჟური ბოდვაც შეჩერდა მგონი,  
მოვეშვი, მოეწყდი, დაკვარგე გონი.

## XXIV

ამგვარ ყოფაში თურმე მიპოვეს.  
დანარჩენს შენვე ნახავდი ყოველს;  
ჩემი ამბავი გათავდა, კმარა,  
გინდა მერწმუნე და გინდა არა.  
მე გული მხოლოდ ერთზე-ლა მწყდება  
რომ ჩემი გვამი, — ტყაე-ძვალთა წყება  
მშობელ მიწაში არ ჩაიშლება.  
აქ ჩემი ტანჯვის მწვავე იარებს  
ტკივილით არვინ გაიზიარებს,  
ყრუა ჩემთვის ამ საკანის ქვეები  
და უსახელოდ აქ დავინთქმები.

## XXV

მშვიდობით, მამავ!.. მომეცი ხელი:  
შეეხე ჩემს ხელს, ვით არის ცხელი!..  
და შეგიძლიან მერწმუნო, მენდო,  
ეს ცეცხლი გულში ყრმობიდგან მენტო;  
აწ ველარ შევეძელ იმისი დაცვა,  
მან თვისი ციხის კედლები გასწვა,  
ჩემში საზრდელი ველარა ჰპოვა  
და მისთვის ურგი აწ მიმატოვა.  
იმავე შემოქმედს ის უბრუნდება,  
ვინც თადარიგით ტანჯვა და შვება  
კანონიერად ჩვენ გვიწილდა.  
მაგრამ რა, თუნდაც აღსრულდეს მთლადა:  
განისვენებდეს ედემში სული,  
ამა ქვეყნიდგან ტანჯვით გასული?  
ვაპ, თუ მომცემდით ორიოდ წამით,  
ფრიალო კლდეებს, სადაც სიამით  
ჯერ ისევ ბაღლი მე ვთამაშობდი, —  
იმ საუკუნო ედემს დავეთმობდი.

## XXVI

როცა შემატყო — ამოდის სული,  
გწამდეს, ახლოა ეს დასასრული,  
გადამაწეინეთ ბაღში მათ შორის,  
სად აკაცია ჰყვარდა ორი,  
თეთრი მტევნებით გადაპენტილი.





იქვე ბალახი შრიალებს ხშირი  
 სურნელი მათი ეკმევა მდელოს,  
 ეგების ტანჯვა მან შემინელოს.  
 იქ ფოთლებს, ოქროსფრად გამჟვრვალეს  
 მზე შარად ცელქურ ცეკვას ავალებს. —  
 უკანასკნელად ხარბი თვალებით  
 ვიამებ ლაქვარდ დღის ბრწყინვალეობით...  
 უთხარ, იქ დადგან საკაცე ჩემი,  
 კავკასიონი იქიდან მჩენი  
 გამოაშურებს უგრილეს სიოს,  
 რომ მწუხარება მან ჩემი სძლიოს...  
 მწვერვალებიდგან ქარის ხმა მოვა,  
 ვიგრძნობ, — მომაკვდავს გამომეთხოვა...  
 სულის ამოსვლას შეეხედებით შვებით,  
 თუ კიდევ დაეტკბი მშობლიურ ხმებითა  
 და მე ვიფიქრებ, რომ ჩემთან არი  
 მოსიყვარულე ძმა, მეგობარი,  
 ის ყურადღებით შევლება თავსა,  
 ცივ ოფლსა მწმენდავს მე მომაკვდავსა;  
 ნელი ხმით მასმენს იმ ტკბილ სიმღერებს  
 რაც სამშობლოსთვის გულს ააძგერებს...  
 მაშინ ამ ფიქრით მე განვისვენებ  
 და აღარავის არ შევაჩვენებ!...“

თარგმანი ბაბილინასი.

პოლკოვნიკი ნ. კოდორაძე

## 1. 3. სუპროვი

ალექსანდრე ვასილისძე სუპროვს მსოფლიოს დიდ მხედართმთავართა რიგში ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს. სუპროვი განსაკუთრებული მხედართმთავარი იყო: მან არ იცოდა, რა იყო დამარცხება, მას არასოდეს უკან არ დაუხევია, არასოდეს და არავისგან დამარცხება არ განუცდია. რამდენჯერაც იბრძოდა, იმდენჯერვე იმარჯვებდა.

როდესაც ერთმა ავსტრიელმა გენერალმა ჰკითხა სუპროვს, თუ რაში იყო მის გამარჯვებათა საიდუმლოება, სუპროვმა უპასუხა:

— გიყვარდეს ჯარისკაცი, მას შენ ეყვარები. ამაშია მთელი საიდუმლოება.

სუპროვი სრულყოფილად დაუფლებული იყო ომის ინსტრუმენტს — არმიის ცოცხალ ძალას, იგი ახლოს იცნობდა ჯარისკაცებს და ესმოდა მათი გულისანდები. ამავე დროს იგი საუცხოოდ იყო დაუფლებული ბრძოლის წარმოების ხელოვნებას. იგი ომის უბადლო ოსტატი იყო.

სუპროვის ზოგიერთი მოშურნენი მის წარმატებებს „იღბლით“ ხსნიდნენ. სუპროვი ამაზე უპასუხებდა:

— დღეს იღბალი, ხვალ იღბალი; ღმერთო შეგეწიე, როდისმე უნარიც მომეცით.

ჯარისკაცები ხედავდნენ სუპროვის დიდ სამხედრო ოსტატობას და ღრმად სწამდათ ყოველი მისი წამოწყების წარმატება. როდესაც სუპროვი იზმაილთან მივიდა, რომ ხელში ჩაეგდო ციხე, რომელიც მიუვალ სიმაგრედ ითვლებოდა, მან ჯარისკაცებს განუცხადა:

— ციხე, ღმერთო შეგეწიე, გვარიანია. კედლები მაღალია, ორმოები ღრმა, ალებით კი უნდა ავიღოთ.

და ჯარისკაცებიც სრულიად დაუეჭვებლად უპასუხებდნენ:

— შენი მეთაურობით ავიღებთ!

სუპროვმა იცოდა როგორ ჩასწვდომოდა გულში რუს ჯარისკაცს; მას ჰქონდა უნარი აღეფრთოვანებინა ჯარები, შეეკავშირებინა ისინი და წაეყვანა ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად.

სუპროვი სამხედრო საქმეში იყო დიდი ნოვატორი, რომელმაც წინ გაუსწრო თავის საუკუნეს. მან უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა რუსი ხალხის სამხედრო ხელოვნება, რუსეთის იარაღის სახელი. ხალხში ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს სუპროვის, გენიალური რუსი მხედართმთავრის, ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგული შვილის ლეგენდარულ ლაშქრობათა ხსოვნა.



★

სუვოროვი სუსტი დაიბადა, იგი გამხდარი ბავშვი იყო. სუვოროვის მამა, მცირე შეძლების აზნაური, სამხედრო კაცი იყო, მაგრამ თავის შვილს სამოქალაქო სამსახურისათვის ამზადებდა და ამიტომ ბავშვობიდანვე არ ჩასწერა ჯარში, როგორც ეს მაშინ თავადაზნაურობის წრეში იყო მიღებული. (იმ დროს აზნაურები ჩვეულებრივად თავის შვილებს ჯარში თითქმის დაბადების მომენტიდანვე სწერდნენ და, სანამ ბავშვები იზრდებოდნენ, მათ ხარისხი ემატებოდათ. ასე, რომ ნამდვილ სამხედრო სამსახურს ისინი ერთბაშად ოფიცრის ხარისხით იწყებდნენ).

სუვოროვის მამა სამხედრო წიგნებს სთარგმნიდა უცხო ენებიდან რუსულ ენაზე და დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ბავშვი ძალიან ნიჭიერი იყო. მალე ისწავლა კითხვა და დიდი ინტერესით კითხულობდა მამის წიგნებს. მას ყველაზე მეტად სამხედრო საქმე აინტერესებდა და განსაკუთრებით გატაცებული იყო იმ წიგნებით, რომლებშიც ნაამბობი იყო დიდ მხედართმთავრებზე.

12 წლის სუვოროვი ყველას აოცებდა სამხედრო საქმის ცოდნით. მას ეუბნებოდნენ, სუსტი ხარ და სამხედრო კაცი ვერ იქნები. მაგრამ ბავშვს არ უნდოდა შერიგებოდა ამ აზრს. მან დაიწყო თავის ჯანმრთელობის გამაგრება: განზრახ რჩებოდა დიდხანს ჰაერზე, ხანგრძლივად სეირნობდა სიცივესა და წვიმაში, გაკირვებაში აყენებდა თავს, რომ გამოემუშავებინა ისეთი თვისებები, რომლებიც საჭიროა ჯარისკაცისათვის.

სუვოროვის მამის ერთერთი მეგობარი, გენერალი ჰანიბალი, უფრო ახლოს რომ გაეცნო ბავშვს, გაოცდა მისი ნიჭით და დაარწმუნა მშობლები არ აეკრძალათ ბავშვისათვის საყვარელი საქმე. ამის შემდეგ სუვოროვი ბოლკში ჩასწერეს. 1745 წელს, როდესაც 15 წლისა იყო, იგი ნამდვილ სამხედრო სამსახურში შევიდა. მსახურებდა რიგითს ჯარისკაცად: მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ მისცეს ოფიცრის ხარისხი.

ჯარისკაცებში ცხოვრება საუკეთესო სამხედრო სკოლა იყო სუვოროვისათვის. აქ იგი გამოიბრძმედა, მიეჩვია ჯარის სადა და მკაცრ ცხოვრებას. სემიონოვისკის პოლკის ყაზარმანი იგი დაუახლოვდა ჯარისკაცებს, კარგად შეისწავლა მათი საქიროებანი, მისწრაფებანი, ისწავლა ჯარისკაცებთან ლაპარაკი მათთვის მახლობელი, გასაგები ენით. შემდეგში ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. ჯარი ერთი სიტყვისთანავე, ხშირად ერთი მოძრაობისთანავე გაუგებდა აზრს თავის უფროსს და მოქმედებდა მისთვის საჭირო მიმართულებით.

სუვოროვისათვის სერაიოზული სამხედრო სკოლა იყო მისი მონაწილეობა შეიღწლიან ომში (1756—1763 წლები). ამ ომში სუვოროვმა შეიქცნო, თუ როგორ არ უნდა ომის წარმოება. მან დაინახა, რომ იქ, სადაც ინიციატივას, სისწრაფესა და სიმამაცეს შეიძლებოდა დიდი წარმატება მოჰყოლოდა, იქ ბრძანებებითა და წესდებათა უსიკოცლო დებულებებით შებოჭილი გენერლები ყოყმანობდნენ, ვადამწყვეტ მოქმედებას არ მიმართავდნენ და ამის შედეგად ბრძოლაში მარცხდებოდნენ ან ხელიდან უშვებდნენ მომენტს გამარჯვების მისაღწევად.

იმ დროს ომები ისე როდი სწარმოებდა, როგორც ახლა. უმალლეს მეთაურთა შემადგენლობასაც კი არ შეეძლო რაიმე ინიციატივის გამოჩენა, ვინაიდან მხოლოდ მთავარსარდალს უნდა ეფიქრნა, დანარჩენებს კი ბრძალ შესრულებინათ მისი ბრძანებანი. მთავარსარდალს ხელმძღვანელობა რომ შე-

სძლებოდა, მას ბრძოლაში პირადად უნდა დაენახა მთელი საბრძოლო წყობა. ბრძოლა სწარმოებდა ვაკე, გაშლილ ადგილზე, აუცილებლად დღისით და ჩვეულებრივად წლის ისეთ დროს, როდესაც სითბოა. ბრძოლაში მტერზე შეტევისას მარშით მიდიოდნენ და სწორებას იცადენენ, როგორც პირადად: დამარცხებულ მოწინააღმდეგეს არ სდევნიდნენ, რომ მომარაგების ბაზებს არ მოსწყვეტოდნენ. ყველა მოქმედებაში უფრო იმას ცდილობდნენ, რომ წესდების დებულება არ დაერღვიათ, ვიდრე იმას, რომ გამარჯვება მოეპოვებინათ. არმიებში გაბატონებული იყო მკაცრი, ფიზიკურ ძალადობაზე დამყარებული დისციპლინა, ჯარისკაცებს ჯოხებით სცემდნენ.

ყველა ის ნაკლი, რაც ჰქონდა დასავლეთ ევროპის არმიებს და პირველ რიგში პრუსიის არმიას, რომელსაც ყველა დანარჩენი არმიები ბაძავდნენ, ახასიათებდა რუსეთის არმიასაც.

სუვოროვს ეჯავრებოდა ეს წესები. იგი იცნობდა რუს ჯარისკაცებს და დარწმუნებული იყო, რომ მას ჰქონდა უნარი შეგნებულად, არა შიშით, არამედ სინდისით შეესრულებინა თავისი მოვალეობა და მამაცად ებრძოლა მტერთან. იგი ვერ იტანდა ფორმალისმსა და რუტინას და ეძებდა ახალ გზებს სამხედრო საქმეში.

შეიძწლიანი ომის შედეგად სუვოროვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ომში გამარჯვების მიღწევა შეიძლება მხოლოდ სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედებით: წესდების დებულება ყოველთვის ვერ გაითვალისწინებს ვითარებას, რომელიც ომში იქმნება; უნდა შეისწავლო ვითარება და იმოქმედო მის შესაბამისად. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სუვოროვი წესდებებს უარყოფდა; იგი მოითხოვდა, რომ წესდებები გამოეყენებინათ შექმნილი ვითარების შესაბამისად.

შეიძწლიანი ომის შემდეგ სუვოროვი პოლკის მეთაურად დაინიშნა. მან სხვანაირად დაიწყო ომისათვის პოლკის მომზადება. თავის პოლკში საბრძოლო მომზადების ამოცანად მან დასახა: ესწავლებინათ ჯარისკაცებისათვის მხოლოდ ის, რასაც ისინი ომში შეხვდებიან, ესწავლებინათ მოქმედება მხოლოდ ისე, როგორც ომში მოუხდებათ მოქმედება: ჯარის წინაშე ძირითად მიზნად დაესახათ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება.

სუვოროვის მეცადინეობის ჩვეულებრივი ხერხი იყო იერიში ბოლომდე. პოლკი იყოფოდა ორ ნაწილად და ერთ მათგანს იერიში მიჰქონდა მეორეზე. თვითუფლები მათგანი ცდილობდა უკუეჭტია „მოწინააღმდეგე“. ეს იერიშები უდიდეს დახლოვნებას აძლევდა სუვოროვის ჯარისკაცებს. ისინი მიეჩვივნენ ადგილმდებარეობის დაბრკოლებათა გადალახვას, ყოველნაირ ამინდში, დღისით და ღამით, წლის ყოველნაირ დროს მოქმედებას, სწრაფ გადასვლას და მოწინააღმდეგის იმ სუსტი ადგილების მონახვას, რომელზეც შეიძლება დარტყმა.

ჯარების მომზადების სუვოროვის მეთოდებმა მალე ბრწყინვალე შედეგები გამოიღო.

როცა პოლონეთში რაზმს მეთაურობდა, სუვოროვმა უკვე პრაქტიკაში გამოიყენა ჯარების გაძლიერის ახალი ფორმები. 1771 წელს მას თავისი რაზმით იერიში უნდა მიეტანა პოლონელთა რაზმზე, რომელსაც პან პულავსკის მეთაურობით ლანსკრონასთან ძლიერ გამაგრებული პოზიცია ეჭირა.

პულავსკის მიაჩნდა, რომ მისი პოზიცია მიუვალე იყო. პოლონელების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სუვოროვის რაზმი მოულოდნელად

დაესხა მას თავს ზურგიდან და თითქოს სამხედრო მოქმედებისათვის უხერხულ დროს — განთიადზე. მოკლე ხანში პოლონელთა რაზმები განადგურებულ იქნა. პულავსკი ვაიქცა, პოლონელები კი ამის შემდეგ ემზადებოდნენ ისინი გაიფანტნენ არა იმდენად მოწინააღმდეგის შიშით, რამდენადაც გაოცებისაგან და რომ სუვოროვმა ისინი მხოლოდ იმიტომ დაამარცხა, რომ იგი წესების თანახმად, წესდების მიხედვით არ მოქმედებდა.

სუვოროვი კი ამბობდა, რომ „მტერს დრო არ უნდა მისცე; უნდა ისარგებლო, რამდენადაც შესაძლებელია, მისი თუნდაც მცირეოდენი შეცდომით და თამამად დაარტყა მას ყველაზე სუსტ ადგილას“.

დამახასიათებელია, რომ თავის შენიშვნებში ლანსკრონის შესახებ სუვოროვი დასძენს: „მაგრამ საჭიროა, რომ ჯარებს თავისი ხელმძღვანელისა ესმოდეთ“. თუ დასაველეთ ევროპის არმიებში ფიქრობდნენ, რომ ოფიცრები და გენერლებიც კი არ უნდა მსჯელობდნენ, და არ უნდა ესმოდეთ იმ ოპერაციების აზრი, რომელთა შესრულებასაც მათ მთავარსარდალი უბრძანებს, სუვოროვი, პირიქით, მოითხოვდა, ჯარისკაცებსაც კი უნდა ესმოდეთ თავისი უფროსის მანევრი. ამით მას საბრძოლო მომზადების საქმეში სრულიად ახალი, იმ დროისათვის უჩვეულო შეხედულება შეჰქონდა.

პულავსკის განადგურების შემდეგ სუვოროვი ქალაქ ლიუბლინის კომენდანტი იყო. იქ უქმად ჯდომა არ მოსწონდა სუვოროვს, რომელიც მოქმედებას იყო მოწყურებული. როდესაც შეიტყო, რომ ახლოს მოქმედებდა პოლონელთა რაზმი, რომელსაც ოგინსკი მეთაურობდა, სუვოროვმა გადასწყვიტა მისი დამარცხება. თავის უფროსს გენერალ ვეიმარნს მან გაუგზავნა მოკლე ცნობა: „ზარბაზანი გავარდა, სუვოროვი ლაშქრად წავიდა“.

ბნელ ღამეს იგი თავს დაესხა ოგინსკის და დაამარცხა იგი სტოლოვიჩთან. ოგინსკის დამარცხება სუვოროვის ინიციატივა იყო, ხოლო ინიციატივას მაშინ კატეგორიულად სდევნიდნენ ჯარებში.

სუვოროვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინიციატივის განვითარებას მის ხელქვეით ჯარებში. „ნაბიჯი უკან, — ამბობდა იგი, — სიკვდილია; წინ ორი, სამი, ათი — ნებას მოგცემთ“.

როდესაც პოლკსა და რაზმს მეთაურობდა, სუვოროვი ყოველი მეცადინეობისა და ბრძოლის შემდეგ აუცილებლად აწყობდა ჩატარებულ ოპერაციის გარჩევას, ყველა იმის თანდასწრებით, ვინც მასში მონაწილეობდა: იგი აღნიშნავდა ზოგის შეცდომებს, მიუთითებდა სხვების ღირსებაზე, აუცილებლად აჯილდოებდა იმათ, ვინც თავი გამოიჩინა, და გამოჰყოფდა მათ საერთო მისიდან. ეს საბრძოლო განწყობილებას ჰქმნიდა ჯარში და ნერგავდა მტერზე გამარჯვების სურვილს.

სუვოროვი ჯარისკაცისათვის გასაგებ ენაზე აწარმოებდა საუბარს. სუვოროვის დარიგებებს სწერდნენ, და შემდეგში ამ დარიგებებიდან შეიქმნა საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „გამარჯვების მეცნიერება“. ეს „მეცნიერება“ ყოველივე იმის კვირტსენციას წარმოადგენს, რასაც მოითხოვდა სუვოროვი თავისი ჯარებისაგან.

სუვოროვის დარიგებანი და მითითებანი იმდენად გასაგები იყო, რომ მათ ჯარებში მალე იხსომებდნენ. ხოლო ვინაიდან მათ თან ერთოდა მაგალითები საბრძოლო მოქმედებიდან, ეს დარიგებანი სახელმძღვანელო იყო როგორც ჯარისკაცებისათვის, ისე ოფიცრებისათვის. ეს დარიგებანი ხელს უწყობდნენ

მხედართმთავრისა და მისი ჯარების კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირებას და ურთიერთგაგებას.

„გამარჯვების მეცნიერება“ შესდგება მოკლე, სხარტ<sup>სახარტო</sup> ხუნძისაგან, რომლებიც საბრძოლო ლოზუნგებს უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ დარეგებებს.

ამ ლოზუნგებს ხალხური ანდაზებისა და თქმების ფორმა ეძლეოდა, და ჯარები მათ სწრაფად იხსომებდნენ, როგორც სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის.

„ორმო ღრმა არ არის, გაღაენი მაღალი არ არის; ორმოში ჩახტი, გაღაენს გადააბტი. ხიშტი დაცხე, დაკა, გარეკე, ტყვედ წამოიყვანე!“ („Ров не глубок, вал не высок, бросся в ров, скачи через вал. Ударь в штыки, коли, гони, бери в полон!“).

„ტყვია სამ დღეს შეინახე, ხან კი მთელ კამპანიაშიც, როცა არ იშოვება. ისროლე იშვიათად, მაგრამ მარჯვედ. ხიშტი მაგრად დასცხე. ტყვია მოტყუვდება, ხიშტი არ მოტყუვდება: ტყვია სულელია, ხიშტი ყოჩაღი!“ („Пуля дура, штык молодец!“) და სხვ.

სუევიორემა კარგად იცოდა, რომ ჯარისკაცებს ესმოდათ მისი, როდესაც მას მიუთითებდნენ, სუსტი ხმა გაქვს და ჯარების წინაშე შეტად წყნარად ლაპარაკობო, იგი უპასუხებდა, არა უშავს რა, წინანი გაიგონებენ და უკან მდგომთ უამბობენ, ხეალ დილით კი მთელ ჯარს ეცოდინება ის, რაც მე გამოვაცხადებო. სუევიორეს შეეძლო ყოველთვის დარწმუნებული ყოფილიყო იმაში, რომ ჯარს ესმოდა მისი განკარგულებანი და ისე მოიქცეოდა, როგორც იგი მოსთხოვდა.

★

პოლონეთის კამპანიისათვის სუევიორევი დაჯილდოებულ იქნა და გენერალ-მაიორის ხარისხი მიიღო. ამის შემდეგ, 1773 წელს, იგი გაიგზავნა ბალკანეთის ფრონტზე, სადაც ამ დროს სწარმოებდა ომი თურქეთთან. რუსეთის ჯარების მთავარსარდალმა რუმინცევმა სუევიორევი გულცივად მიიღო და გაგზავნა იგი დუნაიზე, სადარაჯო რაზმის უფროსად. ეს რაზმი გაშლილი იყო დუნაის მარცხენა ნაპირის ფართო სივრცეზე. უმოქმედობა სუევიორევის ბუნებას ვერ ეგუებოდა. როდესაც სუევიორემა შეიტყო, რომ დუნაის ვალმა, სოფელ ტურტუკაისთან, თავს იყრიდნენ თურქების ძალები, რომ მარცხენა ნაპირზე გადმოსულიყვნენ და თავს დასხმოდნენ რუსებს, მან ერთ ღამეს თავისი რაზმი დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა, იქ თავს დაესხა თურქებს და გაანადგურა ისინი. ამის შემდეგ მან გაუგზავნა რუმინცევის მოხსენება, რომელშიც აცნობებდა: „დიდება ღმერთს, დიდება თქვენ. ტურტუკაი აღებულა — და მე იქ ვარ“. („Слава богу, слава Вам. Туртукай взят — и я там“).

რუმინცევი გააბრაზა სუევიორევის ასეთმა „უღიანიკლიზობამ“. მან სამართალში მისცა სუევიორევი და მიაღწია იმას, რომ მას სასიკედილო განაჩენი გამოუტანეს. მაგრამ განაჩენი არ დაამტკიცა დედოფალმა ეკატერინე მეორემ, რომელმაც განაჩენს წააწერა, გამარჯვებულთ არ ასამართლებენო. სუევიორევი გაამართლეს.

შემდეგი საინტერესო მომენტი სუევიორევის საბრძოლო მოღვაწეობიდან არის მისი გამარჯვება ფოქშანთან 1789 წელს. აქ იგი სარდლობდა რაზმს,

რომელსაც ავსტრიელებთან კავშირში უნდა ემოქმედნა თურქების წინააღმდეგ.

ავსტრიელების რაზმს, რომელიც რიცხვით სუვოროვის რაზმს აღემატებოდა, კობურგის პრინცი მეთაურობდა. ავსტრიელებმა გამოარქვეყნეს, რომ მათ წინააღმდეგ თურქების მნიშვნელოვანი ძალები მიდიოდნენ. კობურგის პრინცმა სუვოროვს დახმარება სთხოვა.

პრინცი მოელოდა, რომ სუვოროვი თავისი რაზმით რამდენიმე დღის შემდეგ მივიდოდა. მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სუვოროვმა, ერთი დღის შემდეგ, გაიარა რა გაფუჭებულ გზებზე 50 კილომეტრზე მეტი მანძილი, თავისი რაზმი შეუერთა ავსტრიელების რაზმს და მოითხოვა დაუყოვნებლივ გალაშქრება თურქების წინააღმდეგ. პრინცმა სუვოროვის მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ გაკვირვებული იყო, რომ სუვოროვმა მასთან პირად შეხვედრას თავი აარიდა. ფოკშანთან მოკავშირეებმა დაამარცხეს თურქები. როდესაც ამის შემდეგ პრინცი სუვოროვს შეხვდა, ჰკითხა მას, რატომ არ ისურვეთ ჩემთან შეხვედრა ბრძოლამდეო. ამაზე სუვოროვმა უპასუხა, შეხვედრისას, ალბათ, სამხედრო მეცნიერების საფუძველზე, დამიწყებდით მტკიცებას, რომ თურქების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გალაშქრება შეუძლებელი იყო; დავაში დრო გავიდა, ომში კი საჭიროა სწრაფი, ვითარების შესაბამისი მოქმედებაო. ისევე, როგორც ყოველთვის, სუვოროვს მიაჩნდა, რომ მეცნიერების მითითებანი შესწორებულ უნდა იქნას პრაქტიკის დასკვნებით, ხოლო პრაქტიკა თეორიის გაყინულ ფორმებთან არ უნდა იქნას შეგუებულიო.

ფოკშანთან თურქების განადგურება მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა რუსებისა და ავსტრიელების შეკავშირებული რაზმის ბრძოლისა თურქების წინააღმდეგ. მოკავშირეთა შეხვედრა თურქების მთავარ ძალებთან მოხდა მდინარე რიმნიცის რაიონში 1789 წლის 27 სექტემბერს.

მოახდინა რა დაზვერვა და პირადად შეაფასა რა ვითარება, სუვოროვმა იმ დროისათვის არაჩვეულებრივად დააწყო თავისი ჯარები. მან ჯარები ორ ჯგუფად გაყო. პირველს, — უმცირესს, — ამოცანად დაუსახა დაებანდებინა თურქების მთავარი ძალები, მეორეს კი, რომელსაც თვითონ სარდლობდა, ამ დროს მოწინააღმდეგის ფლანგისათვის უნდა შემოეცლო და ზურგიდან დაერტყა მისთვის.

ამ მანევრმა გამარჯვება გამოიწვია. თურქები შედრკნენ და გაიქცნენ. ბრძოლის ველი მოკლულებითა და დაჭრილებით მოიფინა. თურქების უზარმაზარი არმია გაფანტულ იქნა.

სუვოროვმა იმით მიიღწია გამარჯვებას, რომ იხმარა მტრისათვის სრულიად მოულოდნელი მანევრი. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ყოველთვის, იგი მოქმედებდა არა დადგენილი წესებით, არამედ ფრონტზე შექმნილი ვითარების შესაბამისად. ამაში გამოჩნდა სუვოროვის, როგორც მხედართმთავრის, უდიდესი ოსტატობა. მისთვის არ არსებობდა შაბლონი და გატკეპნილი გზები სამხედრო საქმეში. ყოველ ბრძოლაში იგი შემომქმედი იყო და ჰქმნიდა საცხებით ახალს, რაც უპასუხებდა მის წინაშე მდგომ ამოცანებს და შესაბამებოდა მოცემულ მომენტს.

რიმნიციდან სრული ერთი წლის შემდეგ, 1790 წელს, სუვოროვმა კვლავ უჩვენა მსოფლიოს ახალი რამ სამხედრო ხელოვნებაში. აქამდე იგი იმარჯვებდა საველე ბრძოლაში. იზმაილთან მას მოელოდა ამოცანა, რომელიც

მას წინათ არ შეხვედრია, — თურქების ძლიერი ციხის აღება. იმ დროის მიხედვით ეს ციხე მიუვალ სიმაგრედ ითვლებოდა. დაათვალიერა რა იგი და დარწმუნდა რა მის სიმაგრეთა ძალაში, სუევიროვმა დასახსნა იგი შემდეგმა.

წინასწარ მან იზმაილის კომენდანტს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მე აქ მოვედი. ფქრისათვის 24 საათი — თავისუფლებაა, პირველი ჩემი ვასროლა — დატყვევება, იერიში — სიკვდილი, რასაც გიტოვებთ მოსაფიქრებლად“. თურქებმა უპასუხეს, უმალ ცა დაეცემა დედაშიწას და დუნაის დინება უკულმა შებრუნდება, ვიდრე მიუვალი იზმაილი დაგნებდებოდეთო.

ამის შემდეგ სუევიროვი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას ციხის იერიშისათვის. ჯარები იზმაილიდან წაიყვანეს. ციხიდან მოშორებით სუევიროვმა ააშენა ამ ციხის მსგავსი სიმაგრე და დაიწყო იქ ჯარის სწავლება. ასეთი სწავლების შედეგად ყველამ, თვით უკანასკნელმა ჯარისკაცმაც კი, შეიტყო, თუ რა სამუშაო მოელოდა იერიშის დროს.

როდესაც ყველაფერი მზად იყო, სუევიროვმა ჯარები იზმაილთან მიიყვანა და დაიწყო ღამ-ღამობით იერიშის დემონსტრაცია. რაკეტის სიგნალზე, დოლის ცემაზე ჯარები საიერიშოდ წამოიშლებოდნენ. თურქები გაღავანზე გამოცვივდებოდნენ და იერიშის მოსაგერიებლად გაემზადებოდნენ. მაგრამ განგაში ყალბი აღმოჩნდებოდა ხოლმე. სუევიროვმა ამგვარად მოადუნა თურქების სიფხიზლე, 1790 წლის 10-11 დეკემბერს ღამით თურქები-სათვის მოულოდნელად დაიწყო ნამდვილი იერიში, და რუსეთის ჯარების კოლონები შეიჭრნენ იზმაილში.

იზმაილის აღებამ და ოთხი წლის შემდეგ ვარშავასთან პრაგის ციხის აღებამ მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი სუევიროვს. სუევიროვის სახელი პირზე ეკერა რუსეთის არმიას. ვარშავის აღების შემდეგ სუევიროვს ფელდ-მარშალის ხარისხი მისცეს.

და მიუხედავად ამისა, რაც უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს ეს, სუევიროვი ამის შემდეგ მალე გადაეცეს არმიიდან, გაგზავნეს თავის სოფელ კონჩანსკოეში და იქ პოლიციის მეთვალყურეობა დააწესეს მასზე. ეს მოხდა იმპერატორ პავლეს ბრძანებით. პავლე ტახტზე ავიდა თავისი დედის, ეკატერინე II სიკვდილის შემდეგ. მან გადასწყვიტა რუსეთში შემოეღო ისეთივე წესები, როგორც მის დროს გაბატონებული იყო პრუსიაში, სადაც მეფობდა ფრიდრიხ II. ბუნებით შეზღუდულ პავლე მეორეს მექანიკურად გადმოჰქონდა რუსეთის არმიაში პრუსიული წესები. ჯარების სწავლების ნაცვლად მან შემოიღო უაზრო, მკაცრი წრთენა. ჯარისკაცები გამოაწყეს საპარადო, მოძრაობის შემოქმედ მუნდირებში, თავზე ჩამოაცვეს პუდრომოყრილი, კულულებიანი პარიაკები. მათ აიძულებდნენ „პრუსიული ნაბიჯით“, მარშით სიარულს და მწყობრში ოდნავი შეცდომისათვის ჯოხებით სცემდნენ. სუევიროვი სასტიკად ილაშქრებდა ამ წესების წინააღმდეგ.

პავლე, რომელიც წინააღმდეგობას ვერ ითმენდა, არ მოერიდა იმას, რომ გადაეყენებინა სუევიროვი და გაეგზავნა იგი მიყრუებულ სოფელში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

★

სუევიროვმა კონჩანსკოეში ორ წელზე მეტ ხანს დაჰყო. მაგრამ დასავლეთ ევროპაში შექმნილმა ვითარებამ აიძულა პავლე კვლავ მიეწვია იგი ჯარში. ევროპის სხვა სახელმწიფოებთან კოალიციაში რუსეთი ამ დროს აწარმოე-



ბდა ომს საფრანგეთთან. საომარი მოქმედება ამ დროს განაღებულა იყო იტალიაში, და რუსეთის ჯარები იქ უნდა წასულიყვნენ ფრანგებთან საბრძოლველად. მოკავშირეების, უმთავრესად ინგლისის, მოთხოვნის შესრულებისათვის იტალიაში უნდა ჩასდგომოდა რუსეთის არმიას, რომელიც ჩტალიის ტერიტორიაზე იგზავნებოდა. მოხუცი სუვოროვი გადასახლებიდან გამოიწვიეს და იტალიაში გაგზავნეს.

სუვოროვის ლაშქრობა იტალიაში მისი მხედართმთავრული ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს. აქ იგი შეხვდა ევროპის პირველხარისხოვან ჯარებს, რომლებსაც გამოცდილი მხედართმთავრები მეთაურობდნენ. ჯარს მოქმედება უზღებოდა სრულიად ახალ ვითარებაში, ჩრდილოეთ იტალიის მთიან რაიონში და შემდეგ მდინარე პოს დაბლობში, რომელიც დასერილია მრავალი მდინარითა და ნაკადულით.

და მიუხედავად ამისა, ომის ამ უჩვეულო ასპარეზზე, სრულიად სხვა პირობებში, მოქმედებდა რა ევროპის პირველხარისხოვანი ჯარების წინააღმდეგ, ბრძოლებში მდინარე ტრებიაზე და სოფელ მოვისთან, სუვოროვმა ორჯერ სასტიკად დაამარცხა ფრანგები. ეს გამარჯვებანი იმდენად დიდი იყო, რომ ფრანგებმა თითქმის დასცალეს ჩრდილოეთ იტალია, და სუვოროვის ჯარებს კიდევ მცირე ძალონის დახარჯვა სჭირდებოდათ, რომ სრულებით განედევნათ ისინი იტალიიდან, ხოლო იქიდან წასულიყვნენ შემდგომი მოქმედების განსავითარებლად საფრანგეთში, პარიზზე.

მაგრამ რუსების ასეთმა წარმატებამ დააფრთხო „მოკავშირენი“ — ავსტრიელები. მათ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ რუსები, ხელში ჩაიგდებდნენ რა ჩრდილოეთ იტალიას, შემდეგ ავსტრიელებს აღარ მისცემდნენ მას, და ამიტომ წამოაყენეს წინადადება, რომ სუვოროვის არმია შეერთებოდა რუსეთის იმ არმიას, რომელიც შვეიცარიაში მოქმედებდა.

სუვოროვი შვეიცარიაში გაგზავნეს ძნელად გასავლელი გზებით, ალპის მთებზე. ჯარი უნდა გადასულიყო ალპის ერთერთ მწვერვალზე, სენ-გოტარდზე. ავსტრიელებმა არ მისცეს სუვოროვს მეგზურები, ადგილის რუკები და საჭირო სასაბაღნე ალალი. ლაშქრობა შემოდგომაზე იყო, როდესაც მთებში თოვლი მოვიდა და მწვერვალებზე ქარბუქი მძვინვარებდა; სუვოროვს გზაზე ელოებოდნენ საფრანგეთის ჯარები, რომლებსაც მცირე ძალებით შეეძლოთ მისი მოძრაობის შეჩერება.

ყოველივე ამან ისეთი სიძნელეები შექმნა, რომლებიც თითქოს გადაულახავი იყო. მიუხედავად ამისა, სუვოროვის არმიამ გადალახა სენ-გოტარდი, დაამარცხა ფრანგები ეშმაკის ხიდან, გადაიარა ალპები, გადავიდა შვეიცარიაში და მთელი მსოფლიო გააკვირვა თავისი გმირობით.

მაგრამ შვეიცარიაში საომარი მოქმედება აღარ განაღებულა. საფრანგეთის წინააღმდეგ მომქმედ სახელმწიფოთა კოალიცია დაიშალა, და იმპერატორმა პავლემ თავისი ჯარები რუსეთში გაიწვია.

სუვოროვი პეტერბურგში გაიწვიეს. გზაში მან შეიტყო, რომ ის კვლავ შერისხეს. მისმა მომხრეებმა მეფის კარზე ამჯერადაც ჩირქი მოსცხეს დიდ მხედართმთავარს.

სუვოროვმა, რომელიც უკვე 70 წლისა იყო და აქედან 50 წელიწადზე მეტი ვატარებული ჰქონდა მწყობრში, თანაც ავად იყო გადატანილი შრომისა და ვაჭირებისაგან, ველარ აიტანა ახალი ლახვარი. იგი პეტერბურგში

ისე ჩავიდა, რომ არავის არ შეუმჩნევია, დასახლდა ერთ შორეულ რაიონთან, სადაც მძიმედ გახდა ავად და მალე გარდაიცვალა.

დამახასიათებელია ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კრისტიანული ეკლესიის დროს ალექსანდრე ნეველის ტაძარში, პეტერბურგში. როდესაც კატაფალკი, რომელზეც სუვოროვის კუმბო ესვენა, ტაძრის კარიბჭესთან მივიდა, ეპეი დაიბადა, გაივლიდა თუ ვერა კატაფალკი კარიბჭის დაბალ თაღ ქვეშ. იქ მდგომმა ძველმა სუვოროველმა ჯარისკაცმა მტკიცე რწმენით განაცხადა: „გაივლის; ყველგან გადიოდა, აქაც გაივლის“. და მართლაც კატაფალკმა გაიარა.

სუვოროვი მართლაც ყველგან გადიოდა და თავის საბრძოლო მოქმედებაში ყველგან მხოლოდ წინ მიდიოდა. მან არ იცოდა უკანდახვევა და კრძალავდა კიდევ ამ სიტყვის ხმარებას, ამბობდა, ასეთი სიტყვა რუსულ ენაში არ არსებობსო.

### ★

სუვოროვი შემთხვევით როდი იმარჯვებდა. იგი იმარჯვებდა თავისი დიდი ოსტატობის, სიმამაცის, რკინისებური სიმტკიცის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ მტკიცედ დაკავშირებული იყო ჯარებთან და ჰქონდა უნარი გაეძლიერებინა მათი საბრძოლო განწყობილება.

სუვოროვი თავისი დროის განათლებული და კულტურული ადამიანი იყო: ამან საშუალება მისცა მას დიდად აემალეებინა სამხედრო კულტურის საქმე რუსეთში და ამ მიმართულებით უდიდესი შედეგებისათვის მიეღწია.

სუვოროვის ძირითადი ამოცანა იყო მტრის დამარცხება, მასზე გამარჯვების მიღწევა. ამისათვის საჭირო იყო მოქმედება არა შაბლონით, არამედ ვითარების მიხედვით. შეისწავლო ვითარება, შეისწავლო მოწინააღმდეგე, რომ გესმოდეს მისი მოქმედება, გამოიცნო მისი განზრახვა, ხელში აიღო შეტევის ინიციატივა და დაჰკრა მოწინააღმდეგეს ყველაზე სუსტ ადგილას. დაჰკრა უეცრად — აი მთავარი, რასაც ასწავლიდა სუვოროვი. „მოულოდნელობა ნახევარი გამარჯვებაა; გააკვირვებ — გაიმარჯვებ“, — ამბობდა სუვოროვი ჯარების სწავლების დროს.

თვალზომა, სისწრაფე და შეტევა განსაზღვრავს გამარჯვებას. მაგრამ ეს, მიუთითებდა სუვოროვი, მხოლოდ მაშინ მოგვიპოვებს გამარჯვებას, როდესაც ჯარებს ეცოდინებათ, როგორ იმოქმედონ ომში. ამიტომ სუვოროვი მოითხოვდა, რომ ჯარისკაცი მშვიდობიანობის დროსაც ისე ყოფილიყო, როგორც ომში; მშვიდობიანობის დროსაც მას მხოლოდ ის უნდა ასწავლო, რასაც ის ომში აკეთებდა. არ შეიძლება მოვერიდოთ იმას, რომ მშვიდობიან პირობებში სწავლება ძნელი იქნება. სუვოროვი ამბობდა: „სწავლაში თუ ვაგვიჩირდება, ლაშქრობა ვაგვიადვილდება. სწავლა თუ იოლი იქნება, ლაშქრობაში ვაგვიჩირდება“. საბრძოლო მომზადების მთელი სისტემა სუვოროვის ისე ჰქონდა აგებული, რომ ჯარისკაცი ყოველ დროს მზად იყო ომისთვის.

ომის წარმოების სუვოროვისეული წესები, ჯარების სწავლების მისი მეთოდიკა იმდენად ცხოველყოფელი იყო, რომ მათ საგრძნობ წილად შეინარჩუნეს თავისი ღირებულება დღემდე.

სუვოროვის ენა თავისი სისხარტით, სიზუსტითა და გამომსახველობით ახლაც შეიძლება წარმოადგენდეს სამხედრო ენის ნიმუშს.

სუვოროვის მთელი რიგი მითითებანი და რჩევანი მისი ცნობილი ინსტრუქციიდან — „გამარჯვების მეცნიერება“ 1918 წელს შეტანილ იქნა ლეონტი ლეონტიძის სახით „წითელარმიელის წიგნაკში“, რომლის ნიმუშიც ლენინმა დაამტკიცა.

წითელი არმიის საბრძოლო მომზადების გარდაქმნაში, რაც ამ ბოლო დროს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით ჩატარდა თანამედროვე ომების გამოცდილების საფუძველზე, სუვოროვის მითითებებმა, სუვოროვის გამოცდილებამ ფასდაუღებელი როლი ითამაშა. წითელ არმიაში ამჟამად ცხოვრებაში ტარდება სუვოროვის წესი — ვასწავლოთ ჯარებს მხოლოდ ისე, როგორც ომში ხდება.

სუვოროვის სიკვდილის შემდეგ 141 წელიწადი გავიდა, მაგრამ მისდამი ინტერესი დღემდე არ გამქრალა; ეს ინტერესი კანონიერია, ვინაიდან სუვოროვი სრულყოფილად დაუფლებული იყო გამარჯვების იმ ხელოვნებას, რომელსაც დაუფლებული უნდა იყვნენ წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები.

### მ. ვ. ბაგრატიონი

## უშიშარი სარღალი<sup>1)</sup>

1940 წელს შესრულდა 175 წელი პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის დაბადების დღიდან. ხოლო სამი წლის წინათ 125 წელი გავიდა ბოროდინოს ბრძოლიდან, რომელშიც უშიშარი მხედართმთავარი უშკლავდებოდა საფრანგეთის არმიის იერიშებს და სასიკვდილოდ დაიჭრა. ჩვენმა ქვეყანამ ღირსეულად აღნიშნა შენგრაბენის, ბოროდინოს და მრავალი სხვა ბრძოლის გამორის, სუვოროვის მოწაფისა და კუტუზოვის მეგობრის, რუს ჯარისკაცთა საყვარელი წინამძღოლის ცხოვრების ეს ორი მოვლენა.

ჩვენმა მხრუნველმა მთავრობამ არც მე დამივიწყა, სამოცდაათი წლის მოხუცი ქალი, ბაგრატიონის უკანასკნელი ცოცხალი შთამომავალი, და პერსონალური პენსია დამინიშნა. როდესაც ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციამ წინადადება მომცა დამეწერა ნარკვევი ჩემს დიდ წინაპარზე, სიხარულით მოვეციდე კალამს ხელი, რათა გავუზიარო მკითხველს ის, რაც ვიცი მამაჩემის ნაამბობით „პაპა პეტრეზე“ და რაც წამოკითხავს ბაგრატიონის წერილებში და მის შესახებ დაწერილ ნაშრომებში.

შორეულ ბავშვობაში ჩვენი საყვარელი თამაშობა იყო „რვაას თორმეტი წლის ომის“ თამაში. ჩვენ ვამაყობდით „1812 წლის ბაგრატიონით“ და ეზრდებოდით მასზე ნაამბობის შთაბეჭდილებით. ჩემი ძმები რიგრიგობით წარმოადგენდნენ ხოლმე ბაგრატიონს, ჩემ დას კი თუმცა არ შეეძლო ამ როლის თამაში, მაგრამ მაინც ყოველთვის ბიჭების მხარეზე იყო. როდესაც ერთხელ, თამაშის დროს მე, ყველაზე უმცროსმა და გაუბედავმა, ტირილი დავიწყე, დამ მომამბა: „არ გაბედო! არ გაბედო ტირილი. პაპა დაჭრილიც კი განაგრძობდა სარდლობას!“

დას შურდა ძმების ბედი, რომლებიც კადეტთა კორპუსში შევიდნენ, და სწუხდა, რომ მას არასოდეს ექნებოდა ისეთი ორდენები, როგორიც პაპა ბაგრატიონს ჰქონდა.

მაგრამ აი გავიდა წლები, შემდეგ ათეული წლებიც. ჩემი და, ელისაბედ პეტრეს-ასული, რომელიც ერთი წლის წინათ გარდაიცვალა, მონაწილეობას იღებდა, როგორც მოწყალეების და, პირველ იმპერიალისტურ ომში და ყველა ხარისხის გიორგის მედალები მიიღო.

ჩემმა ძმებმა მთელი სიცოცხლე ჯარში იმსახურეს. უკანასკნელმა მათგანმა, დიმიტრი პეტრეს-ძემ, მთელი თავისი ძალღონე რუსეთის ცხენოსან ჯარს

<sup>1)</sup> მ. ვ. ბაგრატიონის ეს წერილი დაბეჭდილია ჟურნალ „ოგონიოკის“ № 15-ში სათაურით — „პაპაჩემი“. — ლიტერატურული დამუშავება ნ. ბრაციონის.

შესწირა. იგი წითელ არმიაში მსახურებდა ცხენოსანთა სკოლის უფროსად და ამ პოსტზე გარდაიცვალა.

ჩემით მთავრდება ბაგრატიონის გვარი, და მე მინდა, რომ ჩვენთან მშობ-  
ლოს რაც შეიძლება მეტი ადამიანები იცნობდნენ 1812 წელს ომის გამო, ის  
პეტრე აევანეს-ძე ბაგრატიონის ცხოვრებას.

პეტრე აევანეს-ძე ბაგრატიონი საქართველოს მეფეების — ბაგრატიდების შთამომავალი იყო. მისი მშობლები გადასახლდნენ ყიზლარში, სადაც 1765 წელს მათ შეეძინა ვაჟი პეტრე. მგზნებარე და გაბედული, იგი ახალგაზრდობიდანვე მიისწრაფოდა სამხედრო სამსახურისაკენ, 1782 წელს მან დასტოვა ყიზლარი და წავიდა პეტრებურგში. სადაც ცხოვრობდა მამიდამისი, ქენინა გოლიცინა. გოლიცინამ რეკომენდაცია მისცა ჰაბუეს თავად პოტიომკინთან, და ბაგრატიონი სერჟანტად დანიშნეს კავკასიის მუშვეტერთა მე-2 პოლკში.

ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდა სერჟანტი უკვე მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში. კავკასიაში მას ბრძოლა მოუხდა ჩაჩნების წინააღმდეგ, რომლებთანაც მის მშობლებს გულითადი მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. და აი, რუსებისათვის მარცხით დამთავრებულ ერთ ბრძოლაში ბაგრატიონი კინალამ დაიღუპა. მთელი მისი რაზმი განადგურებულ იქნა, ხოლო თვითონ იგი მძიმედ დაჭრილი მოჰყვა მთელ გორა ცხედრებ ქვეშ, სადაც იგი ჩაჩნებმა იპოვნეს. პატივს სცემდნენ რა ბაგრატიონის სიმაშაყეს და ახსოვდათ რა მის მშობლებთან მეგობრობა, ჩაჩნებმა მოარჩინეს ტყვე და რუსეთის ჯარის ბანაკში მიიყვანეს იგი.

1788 წელს თურქების წინააღმდეგ ომში, ოჩაკოვის გარემოცვისა და აღების დროს, ბაგრატიონმა თავისი სიმაშაყით სუვოროვის ყურადღება მიიპყრო. დიდმა შინდართმთავარმა დაიახლოვა ახალგაზრდა ოფიცერი. ისინი ერთად მომბდნენ პოლონელი კონფედერატების წინააღმდეგ; სიმაშაყისათვის, რაც ბაგრატიონმა პრავის იერიშის დროს გამოიჩინა, სუვოროვმა მას მადლობა გამოუცხადა.

1799 წელს ომი გადავიდა იტალიაში და შვეიცარიის ალპებში. და იქ რუსმა ჯარისკაცებმა სუვოროვისა და ბაგრატიონის სარდლობით უკვედვი სახელი მოიხვეჭეს. სძლევდა რა იტალიის მცხოვნარე მზის ქვეშ და გაყინულ ალპებზე ლაშქრობის სიძნელეებს, ბაგრატიონი ყოველთვის მიუძღოდა რუსეთის არმიის აევანგარდს, მას პირველს მიჰქონდა იერიში მტერზე. მან პირველმა დაიწყო ბრძოლა მდინარე ადაზე. სადაც სუვოროვმა დაამარცხა ფრანგი გენერალი შერერი, პირველმა ჩასცა ლახვარი საფრანგეთის მარშალ მაკდონალდს მდინარე ტრებიანზე. თვითონ გაუძღვა იერიშზე ჯარისკაცებს ქალაქ ნოვის წინააღმდეგ, სადაც თავს იცავდა ელზერის არმია. ყველგან გამარჯვებული გამოდიოდა სუვოროვის არმია, ყველგან მას ბაგრატიონი უკაფავდა გზას.

ასე გაიარეს მათ მთელი იტალია და შემდეგ შეასრულეს სახელგანთქმული გადასვლა ალპებზე შვეიცარიაში, რომ ეხსნათ რუსეთის და ავსტრიის ჯარები, რომლებიც ფრანგებთან იბრძოდნენ. სუვოროვს თავისი არმია ალპების მწვერვალებზე მიჰყავდა. ჯარების აევანგარდში მან კვლავ დაიყენა თავისი საყვარელი მეომარი ბაგრატიონი.

ალბების ვიწრო ზეობებში ქარბუქი მძინევაობდა; ყინვა და ქარი ჰყინავდა ჯარისკაცებს, მაგრამ სუვოროვსა და ბაგრატიონს სულ მალე დაჭილა მიჰყავდათ ისინი და, ბოლოს, მიაღწიეს სენ-გოტარდის ქედს. მალევე მათ დაეცა, რომელიც გადებული იყო საშინელ უფსკრულზე. ამ მიუვალ პოზიციებზე მიელოდა მათ მტერი. თითქოს არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც შესძლებდა ფრანგების უკუქცევას. მაგრამ აი, სუვოროვის ბრძანებით ბაგრატიონმა თავისი გრენადერებით შემოუარა ფრანგებს და უკანიდან დაესხა მათ თავს. ამავე დროს იერიშზე გადავიდა სუვოროვიც. ფრანგები გაიქცნენ. რუსეთის არმია წინ წავიდა, კვლავ გადალახა მრავალი საფრთხე და მტრის ფანდები, და სახელმწიფოებრილი დაბრუნდა რუსეთში.



ახალგაზრდა გმირს ყველგან დიდი პატივისცემით ზედებოდნენ, ის კი, მიუხედავად თავისი დამსახურებისა, გენერალ-მაიორის ხარისხისა და დიდი შთამომავლობისა, მეტად თავდაბალი და მორცხვიც კი იყო.

როდესაც ბაგრატიონი საზოგადოებაში მოხვდებოდა, იგი ცდილობდა ქალებისაგან შორს ყოფილიყო. ერთხელ მეფის კარზე გამართულ ბალზე ბაგრატიონი შეხვდა გრაფის-ასულ ელისაბედ პავლეს-ასულ სკავრონსკაიას, პეტერბურგში ყველაზე სახელგანთქმულ ლამაზ გასათხოვარ ქალს.

როდესაც ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილმა კოპწია ქალმა შეამჩნია, თუ რა ყურადღებით ექცეოდნენ ყველანი ბაგრატიონს, მან გადასწყვიტა გასცნობოდა მას, რაც თავის მეგობრებს განუცხადა. იგი გააფრთხილეს, თავადი ბაგრატიონი ქალებს გაურბისო. მიუხედავად ამისა, გრაფის-ასულმა ერთ-ერთ თავის კავალერს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ წარმადგინე ბაგრატიონთანო. კავალერმა გრაფის-ასულის სურვილი შეასრულა. შემკრთალმა ბაგრატიონმა გადასწყვიტა ბალიდან წასვლა. ბაგრატიონის უყურადღებობითა და მეგობარი ქალებისა და თავყვანისმცემლების ზემოთ შეშფოთებულმა, განებივრებულმა ლამაზმა ქალმა დაივიწყა საზოგადოებაში მიღებული წესები და თვითონ გაემართა გენერლისაკენ, რომელიც წასვლას აპირებდა. მან ბაგრატიონს უკანდასახევი გზა გადაუჭრა და მომხიბლავი ხმით უთხრა, მამაც გენერალს სუსტი ქალის წინაშე უკანდახევა არ შეშვენისო. ასე მოხდა მათი ერთმანეთთან გაცნობა. მგზნებარე გმირი მალე უიმედო სიყვარულმა შეიპყრო, და მანინ გრაფის-ასულმა სკავრონსკაიამ დასცინა ბაგრატიონის გრძობას და აგრძობინა, რომ არასოდეს მისი ცოლი არ გახდებოდა.

ბაგრატიონი მოღუშული და სევდიანი დადიოდა, და ეს შეამჩნია პავლე პირველმა.

- რა დამართა თავად ბაგრატიონს? — ჰკითხა მეფემ თავის ადიუტანტს.
- შეყვარებულია, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა ადიუტანტმა.
- ვინ უყვარს?
- გრაფის-ასული სკავრონსკაია.
- მერე ეგრე მოწყენილი რატომ არის? — მოითხოვდა ახსნა-განმარტებას პავლე პირველი.
- იგი შეყვარებულია, მაგრამ ქალის მხრივ ეს მხოლოდ კოპწიაობაა, — მიუგეს მას.
- არა, ეგრე არ იქნება! — გაჯავრდა მეფე და უბრძანა ადიუტანტს:

„სტატს-დამა სკაერონსკაია (ელისაბედის დედა. — რედ.) ხვალ იავეისა ქალიშვილით ჩემთან სასახლეში გამოცხადდეს და გრაფის-ასული ჯვარსაწერ ტანსაცმელში იყოს გამოწყობილი. გენერალ-მაიორ ბაგრატიონსს კი უბრძანეთ ხვალ საგუშაგოთა შეცვლის შემდეგ ჩემთან დარჩეს...“

მეორე დღეს სკაერონსკები, რომლებიც ვერ მიმხედარიყვნენ, თუ რა საჭირო იყო ეს მასკარადი, სასახლეში გამოცხადდნენ. პაულე პირველმა გამოუცხადა მათ, რომ ელისაბედ სკაერონსკაიას თხოულობს თავად ბაგრატიონისათვის და თვითონ იქნება მამობილი. ქორწილი დღესვე უნდა იქნესო. სკაერონსკები შეშფოთდნენ, მათ მიეშველა მღვდელი, რომელმაც მეფეს მოახსენა, ჯვარის დაწერა არ შეიძლება, იმიტომ, რომ დიდი მარხვა არ გასულაო. მაგრამ გაჯაფრებულმა იმპერატორმა უპასუხა, ლოდინი არ შეიძლება, ბაგრატიონი ლაშქრობაში უნდა წავიდესო. და მღვდელმა, რომელსაც, ისევე როგორც მთელ პეტერბურგს, ყველაზე მეტად მეფის რისხვისა ეშინოდა, ჯვარი გადასწერა ბაგრატიონს და გრაფის-ასულ სკაერონსკაიას.

პაულემ ბაგრატიონს აურჩია ულამაზესი ცოლი, ვეებერთელა ქონების პატრონი, მაგრამ მათ ოჯახური ბედნიერება არ ჰქონიათ. მალე კენინა ბაგრატიონი წავიდა ვენაში, სადაც შეჰქმნა სალონი. სალონის ცენტრალური ფიგურა იყო კენინას თაყვანისმცემელი, დიპლომატი მეტერნიზი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ფანდებს აწუბდა, ბაგრატიონს კი თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების განმავლობაში არ დაუტოვებია ბრძოლის ველი ომებში, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა.)

1805 წელს ბაგრატიონი სარდლობდა რუსეთის იმ არმიის არიერგარდს, რომელიც კუტუზოვმა აესტრიაში წაიყვანა, რათა აესტრიელებთან ერთად შებრძოლებოდა ნაპოლეონს. მაგრამ რუსების მისვლამდე აესტრიელები დამარცხდნენ და ტყვედ დანებდნენ ფრანგებს. კუტუზოვი იძულებული გახდა უკან დაეხია.

აი მაშინ, სოფელ შენგრაბენთან, კვლავ ისახელა თავი ბაგრატიონმა. ექვსი ათასი ჯარისკაცით ოგი აკავებდა ოცდაათი ათასი ფრანგის იერიშებს და უმკლავდებოდა ნაპოლეონის მარშლების ყოველი მხრიდან მოწოლას. ღამით ბაგრატიონმა გაარღვია მტრის ხშირი კოლონები და, შეასრულა რა საბრძოლო დავალება, გაემართა, რათა შეერთებოდა კუტუზოვს. ბაგრატიონმა ტყვედ წამოიყვანა 50 ფრანგი ჯარისკაცი, სამი ოფიცერი, ხელთ იგდო მათი დროშა, გამოიყვანა ყველა თავისი დაჭრილი, არ დაუტოვებია არცერთი ზარბაზანი.

— არიერგარდი იმისათვის ვართ, — ასწავლიდა ჯარისკაცებს ბაგრატიონი, — რომ მტერს არაფერი დავუტოვოთ.

კუტუზოვმა იშუამდგომლა, რომ ბაგრატიონი დაეჯილდოვებინათ გიორგის მე-2 კლასის ორდენით და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხით „სხვადასხვა საქმეებში დამსახურებისათვის, ამ უკანდახვევის დროს ყოველ ნაბიჯზე თავის გამოჩენისათვის და სოფელ შენგრაბენთან ბრძოლისათვის“.

\*) 1812 წელს ბაგრატიონის სიკვდილის შემდეგ სკაერონსკაია კვლავ ბრწყინავდა პარიზსა და ვენაში, თავისი ზნოვანების მიუხედავად მან მოხიზლა ახალგაზრდა ინგლისელი ლორდი პოვენი და ცოლად გაჰყვა მას, თუმცა ბაგრატიონის გვარი დაიტოვა. გარდაიცვალა ნიცაში, ღრმად მოხუცებულად.

შენგრაბენის შემდეგ აუსტერლიცთან მომხდარ მძიმე ბრძოლაში მარცხად ბაგრატიონმა გამოიყვანა წარმატებით თავისი მეზობელი კოლონა, მთელ დღეს უმკლავდებოდა იგი უძლიერეს მტერს, ხოლო შემდეგ დაქვეითდა უკანდახეულ ჯარებს.

ლევ ტოლსტოიმ „ომსა და მშვიდობაში“ აგვიწერა, თუ რა პატივისცემით შეხედნენ ბაგრატიონს მოსკოვში ამ გმირული საქმეების შემდეგ.

მაგრამ მშვიდობიანობამ დიდხანს არ გასტანა.

1806 წელს დაიწყო რუსეთის მეორე ომი საფრანგეთთან. ამჯერად პოლონეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე. და კვლავ რუსეთის ჯარების აენგარდში ბაგრატიონი მიდიოდა. მძიმე დრო იყო. იცვლებოდნენ მთავარსარდლები, ჯარისკაცებს არ ჰქონდათ პური და ტანისამოსი, ისინი იხოცებოდნენ არა მარტო ბრძოლებში, არამედ სიცივისა და ავადმყოფობისგანაც, და მთელ ამ გაჭირვებას მათთან ერთად იზიარებდა მათი გენერალი, რომელსაც არსად და არასოდეს არ დაუტოვებია ისინი. ორ საშინელ ბრძოლაში შეეჯახნენ რუსები ფრანგებს ამ ომში. ჯერ პრეისიშვილაუსთან, სადაც რუსებმა ნაპოლეონის ყველა იერიში მოიგერიეს. ამ ბრძოლაში ბაგრატიონი ყველაზე საშიშარ ადგილებზე ხელმძღვანელობდა ბრძოლას, ხოლო როდესაც დადგა კრიტიკული მომენტი, მან ხელში აიღო დროშა და წინ გაუძღვა რუსეთის არმიას. მეორე ბრძოლა, ფრიდლანდთან, ჩვენთვის საშუაბაროდ დამთავრდა. ჯარებს მაშინ ბენიგსენი ხელმძღვანელობდა. მან ისე უხეიროდ დააწყო თავისი არმია, რომ ნაპოლეონმა მაშინვე აღმოაჩინა მისი შეცდომა და დაუყოვნებლივ დასძრა თავისი ჯარები იერიშზე რუსების წინააღმდეგ — რუსები მდინარე ალასთან მიმწყვედელი აღმოჩნდნენ. ბევრი დაიღუპა ამ მდინარეში, ბევრი — ფრანგთა ზარბაზნების ყუმბარებით.

უკანასკნელ წუთში ბაგრატიონს გარს შემოეხვიენენ მოსკოვის პოლკის ჯარისკაცები და იგი გაუძღვა მათ კონტრიერიშზე, რითაც ბევრს მისცა ვადარჩენის და მდინარეზე გადასვლის საშუალება. ბაგრატიონმა ხმალი იშიშვლა და იბრძოდა როგორც რიგითი ჯარისკაცი, მან უკანასკნელმა დასტოვა სისხლით მორწყული ბრძოლის ველი.

1807 წელს ტილზიტში დადებულმა ზავმა გენერალ ბაგრატიონს ხანგრძლივი მოსვენება ვერ მისცა. 1808 წელს იგი სარდლობდა მე-21 ქვეითა დივიზიას და მონაწილეობა მიიღო შვედებთან ომში. ფინეთის სუსტიანი ზამთარი, მისი უღრანი ტყეები, ღრმა თოვლი პოლონეთის ჯაშუებსა და ლაფზე უფრო ძნელი გადასალახავი იყო, მაგრამ ბაგრატიონი ამანაც ვერ შეაჩერა. თავისი დივიზიით მან მთელი ფინეთი გაიარა და სანაპიროზე გავიდა. შვედებთან ომი გაქიანურდა. 1809 წლის ზამთარში გადაწყვეტილ იქნა ზღვის ყურეზე შეეციაში გასვლა და სტოკჰოლმის აღება. ყველა გენერალი უარს ამბობდა ამ ლაშქრობაზე. გრაფმა არაჩვევმა რჩევა ჰკითხა ბაგრატიონს და ასეთი პასუხი მიიღო: „გვიბრძანეთ, წავალთ...“ და მართლაც იგი გაუძღვა თავის ჯარებს ზღვის ყურეს ყინულზე, გარეკა შვედები და ფინელები, ხელთ იგდო ბევრი ტყვე და ზარბაზნები და დაიკავა ალანდის კუნძულები.

როდესაც ბაგრატიონის აენგარდმა შეეცოის ნაპირებს მიალწია, შვედებმა ზავზე დაიწყეს ლაპარაკი.

გათავდა თუ არა ომი, ბაგრატიონს ინფანტერიის გენერლის ზარისხი მის-



ცეს და დანიშნეს რუსეთის იმ არმიის მთავარსარდალად, რომელიც ღუნაიზე თურქების წინააღმდეგ იბრძოდა.

და აი ბაგრატიონის წინაშე გადაშლილია არა ფინეთის <sup>არმიის</sup> და <sup>საზღვაო</sup> ტყე-  
ები, არამედ ღუნაის ნაპირის ფართო ველები, და მის <sup>გარდა</sup> <sup>სტან-</sup>  
ჯაეს არა სიცივე, არამედ სიციხე და ეპიდემიები.

სულ მოკლე ხანში ბაგრატიონმა აიღო მანჩის, გირსოვის, იზმაილის, ბრაილოვის ციხე-სიმაგრეები, დაამარცხა თურქების 15-ათასიანი კორპუსი რასევატთან და მიიღო ალექსანდრე პირველის რესკრიპტი. „თქვენი წინამძღოლობით მომქმედი ჯარების ვაჟაკობამ და სიმამაცემ, — ნათქვამი იყო რესკრიპტში, — ახალი სახელი მოუხვეჭეს მათ და მოგვცეს შემდგომი წარმატების იმედი“. მაგრამ ამჯერად წარმატება ვერ იქნა მიღწეული. ჯარებში შიმშილი და ეპიდემიები მძვინვარებდა. არა ბრძოლაში, არამედ ლაზარეთებში იღუპებოდა ბაგრატიონის არმია. რომელსაც მეფემ არ მიაწოდა სურსათ-სანოვავე და გაატარებინა ზამთარი უდაბურ, უტყეო ველებში.

დიდხანს არწმუნებდა ბაგრატიონი ალექსანდრე პირველს გაფრთხილებოდნენ არმიას, გადმოსულიყვნენ ღუნაის გადმოღმა. გაემაგრებინათ ჯარები და დაეწყოთ ახალი კამპანია გაზაფხულზე. ბოლოს მიაღწია ამას, მაგრამ გადაყენებულ იქნა მთავარსარდლის პოსტიდან.

ბაგრატიონს აფასებდნენ სუვოროვიც, კუტუზოვიც და ნაპოლეონიც. რომელიც მას რუსეთის არმიის საუკეთესო გენერალად სთვლიდა. მას აფასებდნენ, სიყვარულით უყურებდნენ და მისი უძლიველობის რწმენით გამსჭვალული იყვნენ რუსი ჯარისკაცები, ხოლო 1812 წლის ომმა ცხადყო, თურის უნარი შესწევდა ბაგრატიონს.



1812 წლის გაზაფხულზე, როდესაც ნაპოლეონის დიდი არმია, რომელიც ნახევარი მილიონი ჯარისკაცისაგან შესდგებოდა, ნემანზე იყრიდა თავს, მის წინააღმდეგ იდგა რუსეთის ორი არმია. 1-ლ არმიაში, რომელსაც ბარკლაი-დე-ტოლი სარდლობდა, 118 ათასი ჯარისკაცი იყო, მე-2-ში კი. რომელსაც ბაგრატიონი სარდლობდა — სულ 35 ათასი. საომარი მოქმედების გეგმით, რომელიც გერმანელმა გენერალმა პფულმა შეადგინა, ორივე არმია განლაგებული იყო ერთმანეთის დაშორებით: 1-ლი — ნემანის ნაპირზე, ხოლო მე-2 — სამხრეთ ლიტვაში.

ნაპოლეონის ურდოებმა რუსეთის საზღვარი გადმოლახეს და იწყეს ორივე არმიის გარშემორტყმა. ბარკლაი-დე-ტოლიმ, არმია რომ გადაერჩინა, დაიწყო უკანდახევა სმოლენსკისაკენ, და მეფემ უბრძანა ბაგრატიონს აგრეთვე უკან დაეხია ბარკლაისთან შესაერთებლად. ნაპოლეონი ცდილობდა ხელი შეეშალა ამ შეერთებისათვის და აჩქარებდა თავის გენერლებს ბოლო მოეღოთ მე-2 არმიისათვის, თვითონ კი პირველ არმიას დაედევნა. ბაგრატიონის არმიას მარშალ დავეს არმია აწვებოდა.

ბაგრატიონმა მეტად ოსტატურად დააღწია თავი ფრანგების მარწუხებს. უძლიერესი მოწინააღმდეგის წინაშე უკანდახევა მან სრული წარმატებით შეასრულა. ბაგრატიონი უკან იხევდა ბრძოლებით. უკანდახევას იფარავდნენ ცხენოსანი ჯარი და ყაზახები, რომლებსაც უძლიერესი კონტრიერიშები მიჰქონდათ ფრანგების წინააღმდეგ. 25 ივლისს ბაგრატიონი გადმოვიდა

დნებრზე ნოვი ბიზოვთან და გადაუხვია სმოლენსკისაკენ. საბრძოლო წარღვრებით შედიოდა ბაგრატიონის არმია სმოლენსკში და ქება-დიდება მოსაგდა თავის მხედართმთავარს. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ჯარებმა დღე-ღამე ბრძოლებით გამოიარეს ბელორუსიის ტყეები და კარბები.

1-ლი და მე-2 არმიები შეერთდნენ, მაგრამ პოზიცია სმოლენსკთან ჩვენთვის იმდენად უხერხული აღმოჩნდა, რომ გადაწყდა კვლავ უკანდახვევა.

მაღე ორივე არმიის მთავარსარდლად დაინიშნა ძველი სუეოროველი მ. ი. კუტუზოვი. მან მიიყვანა რუსეთის არმია ბოროდინომდე და იქ გენერალური ბრძოლა გაუმართა ნაპოლეონს.

ეს ბაგრატიონის უკანასკნელი ბრძოლა იყო. მისი ჯარები იცავდნენ ბოროდინოს პოზიციის ყველაზე სახიფათო ადგილს, ამ პოზიციის მარცხენა ფლანგზე, სოფელ სემიონოვსკაიასთან, ნაპოლეონის მთავარი ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც ნაპოლეონის საუკეთესო მარშლები — დაეუ, ნეი და მიურატი სარდლობდნენ, ბევრჯერ გადმოჰყავდათ მათ იერიშზე თავისი ჯარები, მაგრამ ბაგრატიონი ყოველთვის უკუაქცევდა მათ. მარშლები გააფთრებული და გაბოროტებული იყვნენ. ისინი თავს უყრიდნენ თავიანთ დამარცხებულ პოლკებს, სთხოვდნენ ნაპოლეონს ძველი გვარდიის დახმარებას და კვლავ უტევდნენ ბაგრატიონის სიმამრებს. ის კი, როგორც ყოველთვის, აუღელვებლად განაგრძობდა განკარგულებათა გაცემას, ხოლო გადამწყვეტ მომენტში წინ გაუძღვა კირასირთა დივიზიას. აქ დასრულდა მისი გმირული სარბიელი: ყუმბარის ნატეხმა მას ფეხი დაუშხვრია.

ბაგრატიონი ეტლით სასწრაფოდ გაგზავნეს მოსკოვში, მაგრამ ოპერაციის გაკეთება აღარ მოხერხდა, იმიტომ რომ მოსკოვს უკვე ნაპოლეონი უახლოვდებოდა, და დაჭრილი ბაგრატიონი ელადიმირში წაიყვანეს. მიუხედავად ჭრილობებით გამოწვეული ტკივილებისა, მიუხედავად საშინელი ტანჯვისა შემოდგომაზე ცუდი გზებით მოგზაურობის შედეგად, გენერალს ერთი კენესაც არ აღმოხდომია.

ელადიმირში რომ მიადწიეს, დაჭრილის მდგომარეობა გაუარესდა. ჭრილობა გაუწმინდეს, ამოუღეს ყუმბარის ნატეხები თეძოს ძელიდან. ექიმებმა ბაგრატიონს წინადადება მისცეს ფეხი მოეჭრათ. მან უარი განაცხადა.

მიუხედავად ტანჯვისა, ბაგრატიონი კვლავ თავისი არმიის ინტერესებით ცოცხლობდა, გზავნიდა იქ საჭირო ჭაღალდებს, მაგრამ მას უშალავდნენ, რომ მოსკოვი ნაპოლეონს დაუტოვეს. პასუხი რომ ვერ მიიღო, ბაგრატიონმა დაიბარა უნტერ-ოფიცერი და თვითონ უბრძანა წაეღო პაკეტი მოსკოვში. უნტერ-ოფიცერმა არ იცოდა, რომ ბაგრატიონს მოსკოვის დაცემას უშალავდნენ, და მოახსენა, ნაპოლეონი უკვე მოსკოვშიაო.

საშინლად შეშფოთებული ბაგრატიონი საწოლიდან წამოვარდა, დაეცა და გრძნობა დაჰკარგა. დაიწყო განგრენა. 1812 წლის 24 სექტემბერს გენერალი ბაგრატიონი გარდაიცვალა.

## 8. გრომონი

საბჭოთა კავშირის გმირი

### რა არის სიმაყვარება?

სიმაყვარება მატარებს რთული ცნებაა. ხშირად ერთი და იგივე საქციელი ფასდება სხვადასხვანაირად: ერთნი ამ საქციელს სიმაყვარებად სთვლიან, მეორენი ფიქრობენ, რომ ამ კაცს არ ჩაუდენია არაფერი განსაკუთრებული.

სიმაყვარებელი დიდ როლს თამაშობს თვითშთაბეჭებაში. თუ კაცი შთაბეჭებას თავისთავს, რომ მას ეშინიან, ძალიან ძნელია ამ აზრის დაძლევა. ავიღოთ უბრალო მაგალითი: ყველას შეუძლიან გაიაროს ოთახის იატაკის ფიცარზე-არავის აზრად არ მოუვა, რომ ამის ჩადენა საშიშია. მაგრამ წარმოდგინეთ ასეთივე ვიწრო ფიცარი, რომელიც უფსკრულზეა გადადებული და რომელზე გავლაც საჭიროა. საშიშია? რა თქმა უნდა, საშიშია. ყველა როდი გაბედავს ამ ფიცარით უფსკრულზე გადასვლას და მას, ვინც ამ ფიცარზე გადავიდის, მამაცად ჩასთვლიან. ამავე დროს კი მას არაფერი განსაკუთრებული არ ჩაუდენია: ეს ფიცარი ისეთივე იყო, როგორც ოთახის იატაკის ფიცარი.

როცა ადამიანი ხედავს და თვითონვე აჯერებს თავის თავს, რომ უფსკრულზე გადასვლა ფიცარის საშუალებით საშიშია, მაშინ ხელები და ფეხები მას აღარ ემორჩილებიან. მაშინ ადამიანს ეშინიან.

თუ ვილაპარაკებთ შეგნებულ სიმაყვარებაზე, ისეთ შემთხვევებზე, როცა ადამიანს შეუძლიან ნათლად წარმოდგენა იმისა, თუ რას სჩადის იგი და რამდენად საშიშია მისი ქცევა, მაშინ შეიძლება წარმოიშვას აზრთა სხვადასხვაობა. ადამიანი ფიქრობს: „გააკეთებ თუ არა მე ამას?“ და იმისთვის, რომ გააკეთო, შენს თავს მტკიცედ უნდა უთხრა: „კი, მე ამას გააკეთებ! მე ეს უნდა გააკეთო, რაღაც არ უნდა დამიჯღღეს, საშიშროების მიუხედავად“. უნდა შთააგონოს შენს თავს აზრი, რომ შენ ეს უნდა გააკეთო, და მაშინ ნამდვილად გააკეთებ.

არ უნდა იფიქრო, რომ სიმაყვარება რაღაც განსაკუთრებულია, რომელიც მხოლოდ ცალკეულ, რაღაც არაჩვეულებრივ ადამიანებს ახასიათებს.

მამაცად გახდომა ყველას შეუძლიან. საჭიროა მხოლოდ დიდხანს სისტემატურად ზარდო შენი თავი გმირობის სულით, მიაჩვიო შენი თავი შენი გადაწყვეტილების დამორჩილებას, მტკიცედ შეასრულო ის, რის გაკეთებაც გადასწყვიტე. ბევრი ფიქრობს, რომ ავიაციის უმთავრესი ტექნიკაა. საკმაოა სრულყოფილად დაეუფლო ტექნიკას და დანარჩენი თავისთავად მოვა. ეს სწორი არაა. ხშირად ხდება, რომ გაწრთენილი ნებისყოფა, მომზადებული ფსიქიკა სწყვეტს საქმის წარმატებას.

როგორც მექანიკოსი ამოწმებს გაფრენის წინ მოტორის მუშაობას, მის

ყველა ნაწილს, ასევე თვითმფრინავის მმართველს უნდა მოამზადოს თავისი ფსიქიკა, უნდა მოამზადოს არა მარტო თითოეული მოძრაობის დასაბრუნებელი, არამედ ნებისყოფის დასამორჩილებლადაც. ვიკტორიანი

ერთ მფრინავს ვიცნობდი. იგი შვიდი წლის განმავლობაში ფრინავდა დიდი თვითმფრინავებით სუფთად, კარგად და ცოდნით. ტექნიკურად საკმაოდ სრულყოფილად იყო მომზადებული. და, აი, ერთხელ, გაფრენისას, თვითმფრინავს, რომელსაც ეს მფრინავი მართავდა, უეცრად გაუფუჭდა ოთხი მოტორიდან ერთი. მფრინავმა კარგად იცოდა, რომ მომუშავე სამი მოტორის ძალა სრულიად საკმარისი იყო, რომ ჰაეროდრომამდე მიედწია. იგი გაფრინდა, მაგრამ ვერ იანგარიშა როგორ მიფრინავდა, ჰაეროდრომს ვერ შეხედა და გადაუარა. როგორც სჩანს, ამან იგი ააღელვა, მან ხელახლა ააშუშავა მოტორი და შემოუარა ახალ წრეს, რომ ხელახლა წასულიყო ჰაეროდრომისკენ საპირო მიმართულებით და დაშვებულყო სწორად. მაგრამ, როცა თვითმფრინავი შემოატრიალა, შემოაბრუნა იგი გაფუჭებული მოტორის მხარეს. მფრინავმა იცოდა, რომ ეს სწორი არ იყო. ჩვეულებრივ პირობებში რომ გვეითხათ მისთვის, რომელ მხარეს შემობრუნდები, როცა ერთი მოტორთაგანი გაფუჭებულია, იგი ვარკვევით ვიპასუხებდათ: მომუშავე მოტორის მხარეს“.

აი, ჰაერში, ხიფათის მომენტში, მფრინავმა მანქანა არასწორად შემოაბრუნა გაფუჭებული მოტორის მხარეს. ამის გამო ახლაც ვერ დაეშვა ჰაეროდრომზე. და ისე დაიბნა, რომ დაკარგა სწორად დაშვების ყოველგვარი იმედი. დაეშვა, სადაც მოუხდა, ჰაეროდრომისაგან შორს, დაამსხვრია მანქანა, დაშავდა თვითონაც.

ეს ავარია არ შეიძლებოდა ახსნილიყო მფრინავის ტექნიკური მოუზადებლობით. მაგრამ, როგორც სჩანს, იგი ფსიქიკურად იყო საკმაოდ მოუმზადებული. მძიმე წუთში მან ვერ შესძლო ეთქვა თავისთავისთვის მტკიცედ და აშკარად: „რაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა დავეშვა ჰაეროდრომზე.“

აი, კიდევ შემთხვევა ჩემი საკუთარი პრაქტიკიდან, რომელმაც საშუალება მომცა შემეცნო, როგორ უნდა მოიქცე საშიშროების მომენტში.

1927 წელს ჩვენ ვცდიდით თვითმფრინავს ბურლიდან გამოსვლით.

ბურლი საზიფათო ფიგურაა, რადგან სიმაღლე ძალიან სწრაფად იკარგება. ჰაერში დაშვებული ყოველგვარი შეცდომა ჩვეულებრივად თავდება სისწრაფის დაკარგვით და თვითმფრინავის ბურლში გადასვლით. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბურლის შესწავლა, რომ იცოდეს მისგან თავის დაღწევა საპირო მომენტში.

იმ დროს ჩვენ არ ვიცოდით, რომ არიან ისეთი თვითმფრინავები, რომლებიც ბურლიდან ვერ გამოდიან. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გავიგე, რომ თვითმფრინავით, რომელსაც ჩვენ ვცდიდით, არ შეიძლებოდა ბურლში შესვლა. ის ისე იყო მოწყობილი, რომ ბურლში შესვლის შემდეგ აღარ შეიძლებოდა მისგან თავის დაღწევა. გაფრენის წინ ამხანაგებმა მითხრეს წამელო თან პარაშუტი. მე უარი ვთქვი. იმ წლებში პარაშუტიზმს ჯერ კიდევ არა ჰქონდა ისეთი მასობრივი გავრცელება, როგორიც ახლა აქვს. მაგრამ ამხანაგებმა მაინც დამითანხმეს წამელო პარაშუტი და გამოთხოვებისას უფრო ხუმრობით, ვიდრე სერიოზულად, მომცეს რამდენიმე საქმიანი რჩევა.

გამოეტყუდები, რომ ცოტა ყურადღება მივაქციე ყველა ამ ლაპარაკსა და დავას. მაგრამ მაინც იმის გამო, რომ მანქანა ახალი იყო და უჩვეულო ტიპისა და რომ გაფრენა იყო საპასუხისმგებლო, და შედეგში წინასწარ ვერ

ვერკვევოდი, გავფრინდი არა ისეთი გრძნობით, როგორითაც ყოველდღიურად ვფრინავდი. ვღელავდი არც ისე ძლიერ, ცოტაოდნავ.

ავიღე საჭირო სიმალლე, გამოვთიშე მობრუნების და შევედგა ჩემს მას შემდეგ, რაც თვითმფრინავმა ხუთი ზეულის გააკეთა, მე საქე ჩავაყენე ისეთ მდგომარეობაში, რომლის დროსაც მანქანა უნდა გამოსულიყო ბურლიდან. თვითმფრინავმა განაგრძო ტრიალი, კიდევ ერთი ზეულის, მეორე, მესამე.

ეს უკვე სასიამოვნო აღარ იყო. ვიგრძენი მოახლოვებული ხიფათი. მეხუთე და მეექვსე ზეულის შემდეგ გავიგე, რომ საქმე ცუდად იყო. მაგრამ თვითმფრინავის ბურლიდან გამოყვანის ცდა არ შემიწყვეტია, ვიდრე არ დავრწმუნდი საბოლოოდ, რომ მანქანა სრულიად აღარ ემორჩილებოდა საქეს. „რა ვქნა? გადმოვხტე პარაშუტით, თუ დავრჩე მანქანაში?“

გადაწყვიტე გადმოხტომა: სხვა გამოსავალი არ იყო. მოვიხსენი ღვედი, რომელიც თვითმფრინავზე მამაგრებდა, ვსცადე ასვლა და ნაპირზე ჩამოვდომა. ეს ძნელი საქმე აღმოჩნდა. ცენტრმიმკეცი ძალა ისე მაკრავდა ადგილს, რომ მისგან მოწყვეტა თითქმის შეუძლებელი იყო. ამას გარდა, ძალიან ძნელი იყო ამბულბინა ჩემი თავი და მიმეტოვებინა თვითმფრინავი. მე მაშინ ფიზიკურად და ფსიქიურად ძალიან კარგად ვიყავი გაწრთენილი. მუხლებზე და იდაყვებზე დაყრდნობილი გამოვხობდი, სწორედ რომ გამოვხობდი, კაბინის ნაპირზე დავჯექ, გადავიწიე უკან და გადმოვეშვი. როგორც კი პაერში მოვხვდი, დავიწყე ფიქრი, რას შევება ჩემი თვითმფრინავი? უნდა ვეცადო, რომ არსად წამომედოს. გავიხედე, მაგრამ ვერაფერი დავინახე. შემდეგ რაღაცამ ხმამალა გაიხმაურა თავს ზემოთ, და ძლიერ დამჭახა მხრებთან. ეს პარაშუტი გაიხსნა. ყველაზე უფრო ჩამომდგარმა სიჩუმემ გამაოცა. გავისწორე პარაშუტი და იქვე ვიგრძენ, რომ ძალიან გამიხურდა ლოყები. მამასადამე, მთელი დროის განმავლობაში სწორად ვიქცეოდი. სისხლი ტვინში მომაწვა.

თუ კაცი ფიქრდება, თუ მას ფეხები უკანკალებს და სისხლი ტვინიდან უკან უბრუნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ეშინიან. ასეთ წუთებში თუ კაცი რამეს გადაწყვეტს, სწორი არ იქნება. მე კი არ შემეშინდა და ვმოქმედებდი სწორად და მოფიქრებულად.

ძირს მდგომმა ამხანაგებმა მითხრეს, რომ მე თვითმფრინავიდან გადმოვხტი ბურლის მეოცდარე ზეულზე, როცა გადარჩენა უკვე შეუძლებელი სჩანდა...

ძალიან კარგად დამახსოვდა ის, რაც სთქვა სიმამაცეზე მიხეილ ივანესძე კალინინმა დაჯილდოვებული მებრძოლების და წითელი არმიის მეთაურებისთვის ორდენის გადაცემისას. ამხ. კალინინმა სთქვა, რომ საბჭოთა კავშირში გულადი ადამიანი ბევრია. ნიჭიერი, თავისი საქმის სრულყოფილად მცოდნეც საკმაოა, მაგრამ მათგან გამირები და მამაკები ხლებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც შეუძლიათ საჭირო მომენტში მთლიანად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და მთელი ნიჭიერება გაბედული მოქმედების ჩასადენად.

ვალენტინა გრიზოდუბოვას, პოლინა ოსიპენკოს და მარინა რასკოვას გადაფრენის შემდეგ თვითმფრინავი „როდინათი“, ამ თავგანწირულ მფრინავებთან შეხვედრის გამო კრემლში გამართულ ბანკეტზე მე წარმოვსთქვი სადღეგრძელო იმაზე, რომ საბჭოთა მფრინავებმა დაიპყრონ ყველა მსოფლიო საავიაციო რეკორდი.

ჩემს სადღეგრძელოს უპასუხა ამხანაგმა სტალინმა. მან სთქვა, რომ

რეკორდების დაპყრობა ძალიან კარგი საქმეა, მხოლოდ, მოითხოვს დიდ წინდახედულებას და ზედმიწევნილობას. ყველა მფრინავს არ შეიძლება დაევალოს რეკორდის დამყარება, — შეიძლება დაევალოს ეს მხოლოდ უჩვენი დროის მფრინავს, რომელიც გამბედაობას აერთებს სიფრთხილესთან, ცოდნასთან, ზუსტ ანგარიშთან“.

ამგვარად ნამდვილი სიმამაცე როდია ბრმა, თავშეუკავებელი მოქმედება. იგი სულიერი აღელვების წუთში ჩადენილი თავგანწირული მოქმედება როდია, როცა ადამიანი ვერ ამჩნევს საფრთხეს, რომელიც მას ემუქრება. ნამდვილი სიმამაცე გულადობის შეერთებაა სიფრთხილესთან და სწორ ანგარიშთან, იგი მოხერხებული გამოყენებაა საჭირო წუთში მთელი ძალის, ნიჭისა და ცოდნის. აი, რა არის ნამდვილი სიმამაცე.

ადამიანს არ შეუძლიან შემთხვევით გახდეს მამაცი. თუ მან ჩაიდინა ჭეშმარიტად მამაცური საქციელი, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ფსიქიკურად მომზადებული იყო ამისათვის და რომ მძიმე წუთში მან მთლიანად შესძლო გამოეჩინა მთელი თავისი ნიჭი და ცოდნა. საშიშარი, არაჩვეულებრივი გარემოებანი იქცნენ მისი ფსიქიკისა და ნებისყოფის მომზადებულობის გამოცდად.

ადამიანი, რომელმაც ჩააბარა ეს გამოცდა, მამაცი ადამიანია.

## დ. ლევიტანოვი

საბჭოთა კავშირის გმირი, კავიტანი.

# ს ი მ ა მ ა ც ე

ისტორიამ ათეული და ასეული მაგალითი იცის დიდი რუსი ხალხის ვაჟ-კაცობისა და სიმამაცისა. ალექსანდრე სუვოროვი იყო სარდალი, რომელმაც არ იცოდა დამარცხება. არ იყო ისეთი სიძნელე, რომლიდანაც სუვოროვის გენიას არ ეპოვნა გამოსავალი. ის არ განიცდიდა მტრის წინაშე შიშს. პირიქით, საშიშროების გრძნობა მის ძალებს აათევებდა.

— მხოლოდ წინ! — იყო მისი დევიზი. სუვოროვის სწრაფი მარში თავბრუს ჰხვევდა მტერს. სახელოვანი სუვოროვი თავზარს სცემდა და ამარცხებდა მტრებს იმიტომ, რომ იგი მამაცი იყო და უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო.

პირველი იმპერიალისტური ომის დროს ერთი რუსი ჯარისკაცი ხანგრძლივად ებრძოდა მოწინააღმდეგის დანაყოფს. მიდიოდა რა საზღვრების გასწვრივ, იგი ტყვიას უშენდა მოწინააღმდეგის შეჯგუფებას და არ აძლევდა მას თავდასხმაზე გადმოსვლის საშუალებას. ვინ იცის, რამდენხანს გაგრძელდებოდა ეს უთანასწორო ბრძოლა, მაგრამ თავგანწირულ ჯარისკაცს გამოეღია საომარი მასალა, იგი იძულებული გახდა შეეწყვიტა ბრძოლა და დაეწყო ზოხვით ზურგისაკენ დაბრუნება. რამდენიმე წუთის შემდეგ მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა... ცარიელ პოზიციებზე.

ომში წარმატება დამოკიდებულია აუღელვებლობაზე, გამძლეობაზე, და თვითიველი მეომრის მაღალ სამხედრო გაწრთენილობაზე. წითელი არმიის ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება ამბობს: „იმისთვის, რომ გასტებო მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა და მოსპო იგი, თითოეული მეომარი და მეთაური გამსჭვალული უნდა იყოს რწმენით, რადაც უნდა დაუჯდეს, ყოველგვარი სიძნელის მიუხედავად, შეასრულოს დასახული ამოცანა“.

ჩვენ ვიცით მაგალითი ერთი მებრძოლის შეუდრეკელი ბრძოლისა მრავალი მტრის წინააღმდეგ. „ამბობენ გაბედულება ქალაქებს იპყრობსო. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა გამბედაობა, თავგანწირვა, რისკისათვის მზად ყოფნა ერთდება შესანიშნავ ცოდნასთან“ (სტალინი). გამბედაობა, რომელიც შეერთებულია მაღალ საბრძოლო გაწვრთნილობასთან, მებრძოლის მაღალ მორალურ მდგომარეობასთან, უძლეველად ხდის მას.

მაგრამ ნამდვილი გამბედაობა და სიმამაცე უპირველეს ყოვლისა არის არა თავზეხელაღებულება, არც მხოლოდ ვაჟკაცური მოქმედება. მამაცი არის დიდი ნებისყოფის პატრონი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, რომელიც ზუსტად გაითვალისწინებს თავის მოქმედებას და რომელსაც შეუძლიან რისკის გაწევა.

„რისკი კეთილშობილი საქმეა“, — ამბობს ბრძნული რუსული ანდრეხა და ძალიან ხშირად იმისთვის, რომ მოიპოვო მტერზე გამარჯვება, საჭიროა რისკი. რთულ და საპასუხისმგებლო სამხედრო ოპერაციებში მამაცი პროლეტარულ მხედართმთავარს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მარშალს კ. ე. ვოროშილოვს არა ერთხელ გაუწევია რისკი.

მოვიყვან მხოლოდ ერთ, ჩემთვის ცნობილ ეპიზოდს. კლიმ ვოროშილოვი დონისაკენ მიიწედა თავისი ეშელონით. მაგრამ დონზე ხიდი აფეთქებული აღმოჩნდა. ხიდის აღსადგენად არაერთი სარემონტო საშუალება არ მოიპოვებოდა. ვოროშილოვმა გადასწყვიტა დონის „ამოყოფა“.

მრავალ ათას ადამიანს მიჰქონდა ქვა, მიწა, აგური, და ჰყრიდნენ ყველა ამას დონში. ამგვარად, ასე გაკეთებულ ნაყარზე ამართეს ხეებისა და ფიცრების საყრდენი, სიმაგრისათვის ამოავსეს შიგნით ქვით აფეთქებული ხიდის სიმაღლემდე და შეწყვეტილი სვლა აღდგენილი იქნა. ვიდრე ხიდი შენდებოდა, ამხანაგმა ვოროშილოვმა მოაწყო აქტიური თავდაცვა და ერთი თვის განმავლობაში, არა თუ უზრუნველყო ხიდის მშენებლობა, არამედ ხშირად ამარცხებდა კიდევ თეთრ კაზაკებს.

\* \* \*

წითელი არმიის მეომრები მამაცი, თავგანწირული, საბჭოთა სამშობლოს უაღრესად ერთგული ადამიანები არიან. სამშობლოს სიყვარული, სამხედრო საქმის ცოდნა, მტრისადმი სიძულვილი საბჭოთა ადამიანს მტრის ზარის დამცემ მეომრად ხდის.

იმ ქვედანაყოფში, რომელსაც მე ვემთაყობი. მსახურებდა წითელარმიელი ბაიანდინი. როცა იგი მარჯვენა მხარში დასჭრეს, ბაიანდინი კიდევ ხუთ საათს ვანაგრძობდა ბრძოლას.

— მარცხენა ხელი მთელი მაქვსო, გაიძახოდა იგი და არაფრისთვის არ უნდოდა ბრძოლის ველის მიტოვება.

ცნობილია, რა მნიშვნელობა აქვს დაზვერვას. მწვერავი აუცილებლად მამაცი, ყოველ წუთში თავგანწირვისათვის მზადყოფი უნდა იყოს. მწვერავი ხომ სრულიად უცნობ ადგილებში მიიწევს წინ და არ იცის, როგორი „სიურპრიზები“ ელის მას ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ბუჩქს იქით.

საჭირო იყო ადგილის დაზვერვა და „ენის“ შოვნა. ეს ძნელი ამოცანა სარდლობამ უმცროს ლეიტენანტ ბორისენკოს დაავალა. უმცროსი ლეიტენანტი ბორისენკო ორი წითელარმიელის თანხლებით გაემართა დასაზვერავად.

საათზე მეტს მიდიოდნენ ღამით მწვერავები კაობიან ადგილებში. შემთხვევით ისინი წააწყდნენ მოწინააღმდეგის მძინარე ასეულს. ერთმა მწვერავეთაგანმა კონდახი ჩაჰკრა თავში ჯარისკაცს, მაგრამ მან დაიყვირა. საჭირო იყო ელვისებური მოქმედება, დაუბნელობა მოწინააღმდეგით გარშემორტყმულ გარემოში.

მეომრებმა იწყეს ხელყუმბარების სროლა, ხოლო ბორისენკომ ამასობაში დასცა ერთი უნტეროფიცერი, დაუბნო პირი, მოიგდო მხარზე და თან წამოიყვანა. სამი მამაცი ბრძოლით გამობრუნდა ღამეში, შეასრულა რა სარდლობის დავალება.

მოვიყვან კიდევ ერთ ეპიზოდს.



ეს იყო თეთრფინელებთან ბრძოლის დღეებში. ერთი ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელიც ზედიზედ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, მწყობრიდან გამოვიდა ნაწილის მეთაური.

იმავე ნაწილის წითელარმიელმა გაბრიელ კუზიაკინმა, რომელიც უკვე სახეში იყო დაჭრილი ნაღმის ნამსხვრევით და სისხლი სდიოდა, მაინც იკისრა ნაწილის მეთაურობა და წარმატებით მოიგერია მტრის იერიშები.

როცა კუზიაკინის თვალწინ დაიღუპა ორი ტყვიამფრქვეველი — ორი მეგობარი, იგი არ დაიბნა. კუზიაკინმა პოზიციებზე დასდგა ტყვიამფრქვეველები და ერთად-ერთი აფრქვევდა ცეცხლს, რიგრიგობით ორივე ტყვიამფრქვევიდან. ეს იყო არა ბრმა, უგონო სიმამაცე ერთი წითელარმიელისა. არა, ეს იყო რწმენა თავის ძალაში და თავისი დიადი საქმისადმი. ასე იბრძვიან, ასე მომბენ საბჭოთა პატრიოტები, თავიანთი სამშობლოს ერთგულნი უკანასკნელ ამოსუნთქვამდის, ყოველგვარ პირობებში, რამდენჯერმე რიცხობრივად გადაჭარბებული მტრის წინააღმდეგაც კი.

ახალგაზრდა, მოკრძალებულმა წითელარმიელმა გაბრიელ კუზიაკინმა სიმამაცე გამოიჩინა, მთავრობამ დიდად დააფასა კუზიაკინის გმირობა და მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის სახელი.

### 3. კაზუბა

საბჭოთა კავშირის გმირი, სატანკო ჯარის გენერალ-მაიორი

## თავგანწირულება

„სამშობლოს დაცვა თითოეული მოქალაქის წმინდათა წმინდა მოვალეობაა“, — ამბობს სტალინური კონსტიტუციის 133-ე მუხლი.

ამ მუხლის თანახმად, 18 წელს მიღწეული და სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი, თითოეული მოქალაქე დიდი საბჭოთა კავშირისა ჩაირიცხება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში.

ჩვენი წითელი ჯარია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ზრდიან მებრძოლებს, მეთაურებს და პოლიტ-მუშაკებს ჯარის ყოველგვარი სახეობისთვის, ზრდიან სულით ძლიერ, თავგანწირულს, გამბედავ, მამაც და ამტან ადამიანებს, ზრდიან ყოველგვარ პირობებში, რომლებიც უახლოვდებიან საომარი მოქმედების პირობებს. წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში ყველაზე ძვირფასად ითვლებიან სტალინური ეპოქის ადამიანები, რომლებიც მზად არიან სამშობლოს კეთილდღეობას შეეწირონ სრული თავგანწირულებით.

დიდი რუსი სარდალი სუვოროვი თავის ჯარს აღფრთოვანებდა ხოლმე „თავგანწირვის პირადი მაგალითით.“

ჩვენ, სოციალისტური სამშობლოს პატრიოტებმა, უნდა გადმოვიღოთ ჩვენი წინაპრების გამოცდილებიდან ყველაზე საუკეთესო ნიმუშები.

ჩვენი მოქალაქის თავგანწირვას და სიმამაცეს ზრდის თვითონ სახელმწიფოს მთელი სისტემა. თავგანწირვის ჩვევა მუშავდება სახლში, სკოლაში, არმიაში. ჩვენი ზალხი მებრძოლი ხალხია, უყვარს თავისი წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ძვირფასად მიაჩნია იგი და თავის საპატიო მოვალეობად სთვლის ემსახუროს იმ საბრძოლო დროშებს, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ბრძოლის ველებზე ხასანთან, ხალხინგოლთან, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებისას და ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლისას.

საბრძოლო-სამხედრო აღზრდას თავგანწირული მეომრები, მეთაურები და პოლიტ-მუშაკები ლეზულობენ წითელი არმიისა და ფლოტის რიგებში. ამ აღზრდას აღწევენ მიღებული სამხედრო ცოდნით, ყოველდღიური პრაქტიკული სრულქმნის, ჯარის თავისი სახეობისადმი საყვარელი დამოკიდებულების შედეგად.

ასე იზრდებიან თავგანწირული სტალინური ტანკისტებიც, ჩვენი სამშობლოს ერთგული შვილები.

მოვიყვან ტანკისტების თავგანწირულების რამდენიმე მაგალითს:

ნე სატანკო ბატალიონი მაიორის ამხ. კალიადინის მეთაურობით წელს უწყობდა თავისი ქვეითი ნაწილის შეტევას. თეთრმა ფინელებმა, დაინახეს რა ტანკები, შესწყვიტეს ტყვიამფრქვევების სროლა. ტანკები ვერ შედგენ საცეცხლურ მიზანს, რომელიც უნდა ჩააჩუმონ, რათა უზრუნველყონ თავიანთი ქვეითი ჯარის წინ წაწევა. მაშინ თავგანწირულება მეთაურმა გადასწყვიტა „მიიზიდოს მტრის ცეცხლი თავისკენ“. უბრძანა რა ყველა ტანკის მეთაურს, დაჰკვირებოდნენ მოწინააღმდეგის ცეცხლს, იგი თვითონ გამოდის ტანკიდან და მიდის წინ. ფინელებმა რამდენიმე წერტიდან დაუშინეს ტყვიამფრქვევები. თავგანწირული მეთაური ეცემოდა და ისევ ფეხზე დგებოდა, გადაიბრუნდა წინ და თან ტყვიამფრქვევების ცეცხლს იზიდავდა თავისკენ. ტანკისტებმა კი, რომელთაც აღმოაჩინეს ის ადგილი, საიდანაც მოწინააღმდეგე ტყვიამფრქვევებს ესროდა მათ მეთაურს, ცეცხლითა და თავისი მასით მოსპეს თეთრფინელთა ტყვიამფრქვევის ბუდეები.. ამ მეთოდით თავგანწირულება მაიორმა ამხ. კალიადინმა მოწინააღმდეგის არა ერთი ათეული ტყვიამფრქვევის ბუდე მოსპო.

მაიორ კალიადინს უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი და თავისი ბოლშევიკური პარტია. ამიტომაც მოქმედებდა იგი ასე თავგანწირულად. მეორე შემთხვევა:

სატანკო ასეულის უფროსი ლეიტენანტის ამხანაგ რედკოვის წინაშე დასახული იყო ამოცანა: ბრძოლის დროს ეშოვნა „ენა“. დეკემბრის დღეს მან თავისი სატანკო ასეულით ექვსჯერ მიიტანა იერიში. უკანასკნელი იერიშის დროს დასახლებულ „ლ...“ პუნქტთან მოწინააღმდეგის 37-მილიმეტრიანმა ყუმბარამ გახვრიტა ტანკის უკანა ევრტიკალური ჯავშანი, ნამსხვრევებმა გაატანეს ტანსაცმელში და ერთი ნამსხვრევი გაეხირა ამართული ხელყუმბარის ტარში. მაგრამ რედკოვი როდი დაიბნა. მან დაინახა რამდენიმე თეთრფინელი, ქვის ყორის წინ გაწოლილი. ამხ. რედკოვმა გახსნა მომკვეთი ცეცხლი და თან მიუახლოვდა გაწოლილ თეთრფინელებს. ფინელები, რომელთაც სცადეს ქვის ყორისკენ (ე. ი. თავიანთკენ) გაქცევა, დაიხოცნენ. სამი თეთრფინელი ჩვენსკენ გამოიქცა. ამხ. რედკოვმა თავისი ცეცხლით თეთრფინელები აიძულა ჩვენსკენ გამოქცეულიყვნენ უფრო ჩქარა, უშენდა რა მთელი დროის განმავლობაში მათ ტყვიამფრქვევს. ზუსტი და ეშმაკური ცეცხლი ტანკისტისა, მოერეკებოდა თეთრფინელებს ქვის ყორიდან ჩვენს მხარეს. ასე შეასრულა უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. რედკოვმა საბრძოლო ბრძანება—„ეშოვნა ენა“.

ტანკისტების საბრძოლო ცხოვრებიდან ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

საბჭოთა ტანკისტები სტალინური ეპოქის ადამიანები არიან, მოყვარულნი თავიანთი სამშობლოსი, თავიანთი ხალხის, თავიანთი პარტიის, თავიანთი ძვირფასი მასწავლებლის და ბელადის იოსებ ბესარიონის ძე სტალინისა.

საბჭოთა ტანკისტებს მზად ჰყავთ თავიანთი ფოლადის სტალინური ცხენები, მათი ქვემეხები მიმართულია ყველა იმის მოსასპობად, ვინც სოციალიზმის სიმაგრეზე თავდასხმას შეეცდება.

ა. ფიჭაღალი

## სოცხალი მიაკოვსკის შესახებ

მიაკოვსკი პირველად 1919 წელს ვნახე. შემდეგ მრავალჯერ შეხვედრი-  
ვარ. სამწუხაროდ, ბევრი რამ ამ შეხვედრიდან წარიშალა ჩემს მეხსიერე-  
ბაში. ახლა ვნანობ, რომ არ ვიწერდი ნახულსა და მოსმენილს (მხოლოდ  
რამდენიმე მისი საჯარო გამოსვლა მაქვს ჩაწერილი). მაშინ ეს ფიქრად არ  
მომდიოდა. ვანა იმიტომ, რომ არ მესმოდა მიაკოვსკი, არ ვაფასებდი მას.  
არა, ვიცოდი, რომ იგი დიდი, უზარმაზარი პოეტია. იყო პერიოდები, როცა  
ყოველდღე ვხედავდი მას. სხვა დროს კი საკმაო იყო აველოთ ტელეფონის  
ყურ-მილი, გეტყვით ნომერი 30-32 და შემოგვსმოდით ნაცნობი და განუწყ-  
ვრებელი ბოხი ხმა, და სწორედ იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი, ყოველდღი-  
ური მოვლენა იყო, აზრადაც არ მოგდიოდათ ჩაგეწერათ ნალაპარაკები. ახლა  
ბევრი რამის აღდგენას ვეღარ ვახერხებ.

აქ მინდა ვილაპარაკო მხოლოდ იმაზე, რაც თავით მინახავს და მომისმენია.  
ამიტომაც ჩემს მოგონებას ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხასიათი აქვს და მასში ზოგი  
რამ შემთხვევითია.

მიაკოვსკი სწერდა: „როცა გენიალური ადამიანი, დიდი გაქირვებისა და  
არცნობის შემდეგ, მიღწევს დიდ სახელს, ჩვენ გვინტერესებს ყოველი  
შტრიხი, ყოველი ანეგდოტი მისი ცხოვრებიდან“ (იხ. წერილი ფილშე „არა  
ფულისათვის დაბადებული“). ეს სიტყვები თვითონ მასაც უდგება.

ჩემს ჩანაწერებს არა აქვთ იმის პრეტენზია, რომ აღადგინონ მიაკოვსკის  
პორტრეტი. მაგრამ იმათგან, ვინც მიაკოვსკის შეხვედრია, რაც უფრო მეტნი  
გამოაქვეყნებენ მოგონებებს მის შესახებ, მით უფრო სრულად აღსდგება პო-  
ეტის სახე ამ თანდათან დაგროვილი შტრიხებიდან. შევეცდები ნაწყვეტ-ნაწყვე-  
ტი ხასიათი ჩემი ჩანაწერებისა ნაწილობრივ მაინც შევავსო იმით, რომ გაიმ-  
ბოთ იმ პირობებზეც, რომლებშიაც ამათუი პერიოდში მიმდინარეობდა მა-  
იაკოვსკის მოღვაწეობა.

ასე და ამრიგად მე მიაკოვსკი პირველად ვნახე 1919 წელს, შემოდგომა-  
ზე. თვითონ პოეტს მე უფრო ადრე ვავეცანი, ვიდრე მის ნაწარმოებთ. ეს  
ცოტა უჩვეულო იყო. მაგრამ ვაგუენა, რომელიც ჩემზე მოახდინა მიაკოვს-  
კიმ, განიცადა ჩემი თაობის ბევრმა ადამიანმა, ამიტომაც ნებას მივეცემ თავს  
ვილაპარაკო ამ ვაგუენაზე.

მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი. ვმუშაობდი როსტა-ში (რუსეთის სატე-  
ლეგრაფო სააგენტო) როსტა-ს თანამშრომლების ერთ საღამოზე ჩვენი კლუ-  
ბის სცენიდან მოვისმინე მიაკოვსკის ლექსები თვით მიაკოვსკის მიერ წა-  
კითხული. ავტორმაც და ლექსმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე

დავიწყე მიაკოვსკის კითხვა. მან დაჩრდილა ჩემს წარმოდგენაში პოეტის იმი-  
ბოლისტები, რომლებიც მე მანამდე მიტაცებდნენ. ნარინჯისფერი ეჭვები  
ჩამოვლწივს, რომელზედაც დიდი ასობით ეწერა: „ყველაფერი იმსჯე-  
ლეთ“ მიაკოვსკის მიერ შეთხზული 1909 — 1919“, კითხვობდნენ თავდავიწყ-  
ებით, სწავლობდნენ ზეპირად. ის მე თან მქონდა პეტერბურგში 1920 წლის  
ზაფხულს, და მე განვიციდიდი ამ, ჩემთვის უცნობ ქალაქს „პეტერბურგის  
უკანასკნელი ზღაპრის“ და მიაკოვსკის სხვა პეტერბურგული ლექსების სახე-  
ებში. ბევრი ჩვენთავანისთვის, ახალგაზრდობისათვის, რომელმაც ოქტომბრის  
რევოლუციასთან ერთად შესდგა ფეხი ცხოვრებაში, მიაკოვსკი ჩვენი პოეტი  
იყო. იმით, რომ თავის ლექსებსა და პოემებში მან შეჰკრა, შეადგა ის  
გრძნობები და აზრები, რომლებითაც ჩვენ ვცოცხლობდით, და ამრი-  
გად ისინი ახლებურად გადაგვიშალა ჩვენ და, რაც მთავარია, ამ წიგნის  
(„ყველაფერი ვლადიმერ მიაკოვსკის მიერ შეთხზული“) უკანასკნელ  
განყოფილებაში ჩვენ ვიპოვეთ ის, რაც არ გააჩნდა არცერთ პოეტს:  
„მარცხნივ მარში,“ „ჩვენი მარში,“ „მისტერია ბუფ“, ახალი სიტყვები,  
რომლებიც გახდნენ ჩვენი სიტყვები, რომლებიც გველაპარაკებოდნენ ჩვენს  
რევოლუციაზე.



როსტა იყო დიდი დაწესებულება, რომელიც არსებობდა ჯერ სრულიად  
რუსეთის ცაქთან, ხოლო შემდეგ განსახკომთან.

ყოველი სატელეგრაფო სააგენტოსთვის ჩვეულებრივ ფუნქციებს გარდა,  
რაც საშინაო, ცენტრალურ და უცხოეთის (საზღვარგარეთის) ინფორმაციაში  
მდგომარეობდა, როსტა ინსტრუქტაჟს უწევდა თავის ადგილობრივ განყოფი-  
ლებებს (და თავის განყოფილებებს სააგენტოთა მატარებლებსა და გემებ-  
ზე). როსტა ხელმძღვანელობდა საერთოდ პერიფერიულ პრესას, სცემდა გა-  
ზეთს გაზეთებისათვის: „აგიტ-როსტას“, რომელიც ცალ გვერდზე იბეჭდე-  
ბოდა და შეიცავდა წერილებს, მიმოხილვებს, შენიშვნებს. ყველა ამას ადგი-  
ლობრივი გაზეთები იყენებდნენ. როსტა სცემდა კედლის გაზეთს „როსტა“-ს,  
ეურნალს „წითელ ეურნალისტ“-ს, უშვებდა სააგენტოთა პლაკატებს და  
„როსტას ფანჯარას“, აწვდიდა სხვადასხვა დაწესებულებას გაზეთების ამო-  
ნაჭრებს. ერთის სიტყვით, ეს იყო საბჭოთა პრესის თავისებური ცენტრი.  
ბევრს როსტაში მომუშავეთავანს (ზოგს მაშინ, ზოგსაც შემდეგ), მნიშვნე-  
ლოვანი ადგილი ეჭირა არა მარტო პრესის, არამედ კულტურის სხვა დარ-  
გებში. როსტა მოთავსებული იყო დიდ სახლში, რომელიც გამოდიოდა მა-  
ლაია ლუბიანკაზე, სრეტენსკზე და მილიუტინის შესახვევში. ძირითად განყო-  
ფილებებს მთელი მეოთხე სართული ეჭირათ.

თუ სამხატვრო განყოფილების კარს შეაღებდით (ეს განყოფილება სცემდა  
პლაკატებს და „როსტას ფანჯარებს“), თამბაქოს ბოლში გაარჩევდით სამ  
უზარმაზარ ძიას, კბილებში გაჩრილ პაპიროსებით. სამივეს უჩვეულოდ ძლი-  
ერი, ბოხი ხმა ჰქონდა.

ზოგჯერ ეს ძიები იატაკზე გაწოლილნი ხატავდნენ პლაკატებს და მათ  
ზურგსა და პლაკატებზე გადალაგება ვიხდებოდა. სამეული „სამხატვრო გან-  
ყოფილების კოლეგია“ იყო. მასში შედიოდნენ: ვლადიმერ ვლადიმერისძე  
მიაკოვსკი, მიხეილ მიხეილისძე ჩერემნიხი და ივანე ანდრიასძე მალიუტინი.  
საკუთრივ როსტას სამხატვრო სიაში ირიცხებოდა მხოლოდ ჩერემნიხი, რო-

გორც სამხატვრო განყოფილების გამგე, მაიაკოვსკი და მალოფტინი კომითვ-  
ლებოდნენ სანარდო წესით მომუშავე შტატგარეშე თანამშრომლებად, მაგ-  
რამ სამივე ერთნაირი დატვირთით მუშაობდა, შეწყობილად. *მარქსიზმი*

მაიაკოვსკის ხუმრობა უყვარდა, მაგრამ იმ გამანადგურებელ საკვებისა-  
გან განსხვავებით, რომლებსაც მაიაკოვსკი ესტრადიდან ისროდა, მისი ოხუნ-  
ჯობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ლმობიერი იყო.

ერთხელ ლენინგრაღში ვაპირებდი წასვლას. შევდივარ როსტას პასუხის-  
მგებელ ხელმძღვანელთან (ასეთი იყო ოფიციალური ტიტული) პ. მ. კერტენ-  
ცევთან, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა პეტერბურგიდან. ახალ თეატრა-  
ლურ დადგმებზე ვსაუბრობთ. ვეკითხები კერტენცევს: „რა უნდა ნახოს კაცმა  
პეტერბურგში?“ იქვე მყოფმა მაიაკოვსკიმ მომიგო კერტენცევის მაგიერ:  
„ისაკიევის ტაძარი ნახეთ, ძალიან საინტერესოა“.

როსტას თანამშრომლების კოლექტივი არაჩვეულებრივად შეწყობილი იყო.  
ხშირად ჩვენს კლუბში იმართებოდა სხვადასხვაგვარი საღამოები. საღამოები-  
დიდ ინტერესს იწვევდნენ, დარბაზი მუდამ სავსე იყო. ზოგჯერ ამ საღამოებ-  
ზე მაიაკოვსკი გამოდიოდა. ასე, მაგალითად, 1920 წლის ექვს ნოემბერს როს-  
ტას თანამშრომლების საღამოზე, რომელიც გაიმართა ოქტომბრის რევოლუ-  
ციის სამი წლის თავის აღსანიშნავად, მაიაკოვსკიმ წაიკითხა „მზე“ („უჩვე-  
ულო თავგადასავალი“), „პოემა ღეზერტირზე“ და სხვა ნაწარმოებნი.



ლექსს, რომელსაც ჩვეულებრივ „მზე“-ს ეძახიან, მაიაკოვსკის ნაწარმოებ-  
თა კრებულში ეწოდება „უჩვეულო თავგადასავალი, რომელიც შეემთხვა  
ვლადიმერ მაიაკოვსკის“. მაგრამ მაიაკოვსკი ამ ლექსის ესტრადიდან კითხვი-  
სას ამ ვრცელ სათაურს კიდევ უფრო ვრცლად წარმოსთქვამდა „უჩვეულო,  
წარმოდგენილი თავგადასავალი, რომელიც შეემთხვა ვლადიმერ მაიაკოვსკის  
და სხვა.“ ამ სათაურს მაიაკოვსკი აცხადებდა ხაზგასმული პათოსით, რომელ-  
შიაც თითქოს შეერთებული იყო აღფრთოვანება და გაოცება უჩვეულო შემ-  
თხვევის გამო. პათეტიურად წარმოსთქვამდა მაიაკოვსკი პირველ სტრი-  
ქონებს.

სიტყვა ხერელს (дыра) განსაკუთრებულ ბგერითს ელფერს აძლევდა—იგ-  
რძნობოდა მოწიწება ამ ფენომენის ილუმინაციისადმი. საზეიმო ტონით მიმ-  
დინარებოდა აღწერა, თუ როგორ „ჩადიოდა და ამოდიოდა კაშკაშა მზე.“

მაგრამ შემდეგ მაიაკოვსკი სწრაფად და პროზაული ტონით წარმოსთქვამ-  
და: „ужасно злить меня вот это стало“. შემდეგ ის კვლავ უბრუნდებო-  
და პათეტიურ ინტონაციას, მაგრამ მასში ყოველთვის იგრძნობოდა ირონიუ-  
ლი კილო.

უკანასკნელ სიტყვებს, „ВОТ ЛОЗУНГ МОЙ И СОЛНЦА!“ მაიაკოვსკი წარმოს-  
თქვამდა დიდის რისხით. „ჩემი“ წარმოითქმოდა მნიშვნელოვნად, „და მზისა“  
კი („и солнца“) არაფრად ჩამგდებ კილოზე, ხელის ჩაქნევით. მაგრამ რამდენ-  
იმე ხნის შემდეგ მან შესცვალა ფინალის კითხვის მანერა: „და მზისა“  
 („и солнца“) ისმოდა უკვე საზეიმოდ და ხელი ზევით იწეოდა—ლექსმა  
მიიღო უფრო სერიოზული და განმამტკიცებელი ინტონაციური დასასრული.

რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე „მზე“ დაიწერებოდა, გაიხსნა ბეჭდვითი  
სიტყვის სახლი. ის როსტას თაოსნობით მოეწყო და როსტას ბევრი თანამშ-

რომელი იღებდა მონაწილეობას მის ორგანიზაციასა და საქმიანობაში. მათ აკოვსკი ბეჭდვითი სიტყვის სახლის გამგეობის წევრი იყო.

ბეჭდვითი სიტყვის სახლი მალე მოსკოვის მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად გადაიქცა. აქ თავს იყრიდნენ არა მარტო ევროპელი ინტელიგენტი, არამედ მწერლები, მსახიობები, რეჟისორები. ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის, ყოფა-ცხოვრების პრობლემებისადმი ინტერესის არაჩვეულებრივ ზრდამ ქალაქის ნაკლებობის პირობებში გამოიწვია დიდი რაოდენობა დისპუტებისა. ეს დისპუტები ეწყობოდა როგორც ბეჭდვითი სიტყვის სახლში, ისე სხვაგან.

1920 და 1921 წლები საესე იყო ამ დისპუტებით. მათ აკოვსკი ერთ-ერთი უაქტიურესი მონაწილე იყო. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ მარტო 1920 წლის ნოემბრის მიწურულში ის გამოვიდა სულ მცირე სამ დიდ კონცერტზე: 22 ნოემბერს რ. ს. ფ. ს. რ.-ის თეატრში დისპუტზე წარმოდგენა „განთიადების“ გარშემო, 26 ნოემბერს ბეჭდვითი სიტყვის სახლში ლუნაჩარსკის პიესების გარშემო გამართულ დისპუტზე და 30 ნოემბერს პოლიტიკური მუხეუ-უმში გამართულ დისპუტზე ვ. ა. ბრიუსოვის გარშემო.

დისპუტები მიმდინარეობდნენ მეტად დაძაბულ ატმოსფერაში. მღელვარება არაჩვეულებრივად ძლიერი იყო. სამწუხაროდ, გადარჩა მხოლოდ მცირე რაოდენობა მათ აკოვსკის გამოსვლების სტენოგრაფიული ჩანაწერებისა. მაგრამ ჩემს უბის წიგნაკში აღმოვაჩინე მოკლე ჩანაწერი მათ აკოვსკის გამოსვლისა ვალ. ბრიუსოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში. სტენოგრაფებისა და საგაზეთო ანგარიშების უქონლობის პირობებში ამ ჩანაწერის მოყვანა ღირს:

„რევოლუციური დამოკიდებულება ხელოვნებისადმი აუცილებლად მოითხოვს ხელოვნებისა და მისი პირობების ზუსტ შესწავლას. ხელოვნების ცნება შრომის ცნებაა. ლიტერატურაში მასალა სიტყვაა. აუცილებელია რევოლუციური დამოკიდებულება მასალისადმი. ენა ვითარდება ცხოვრებასთან ერთად და ზოგჯერ ჩამორჩება მას. მაშინ ხდება პოეზიის მასალის ჩამორჩენა დანარჩენ ცხოვრებისაგან. პოეზია მოითხოვს მეცნიერულ ანალიზს: ნიჭიერება ახასიათებს არა მარტო ხელოვნებას, არამედ ყველა სხვა სამუშაოსაც. მწერლის ღირებულების საზომია ის ახალი, რაც მან სიტყვაში შეიტანა. პოეზია არ უნდა იყოს უშინაარსო, მაგრამ ამასთან ერთად მან უნდა გადასჭრას წმინდა სიტყვიერი ამოცანებიც. პოეზია აღიქმება მხოლოდ თანამედროვეობის მეშვეობით. ყველაზე უფრო რევოლუციური შინაარსიც არ შეიძლება იყოს რევოლუციური, სიტყვისადმი რევოლუციური მიდგომის გარეშე. ასე, „მისტერია ბუფ“-ში რევოლუციურ თემასთან ერთად დასმულია საეტიკური ამოცანა სიტყვის სფეროში: „ჩასტუმკების“ ენის აღდგენა. საჭიროა ენის გარევალუციონერება. პოეტის დამოკიდებულება თავის მასალისადმი ისეთივე კეთილსინდისიერი უნდა იყოს, როგორც ზეინკლისა ფოლადისადმი.“

მე აღმოვაჩინე აგრეთვე ჩემს მიერ ჩაწერილი მოხსენება მათ აკოვსკისა — თემაზე: „საწარმოო პრობლემა და ხელოვნება“, რომელიც მან გააკეთა ბეჭდვითი სიტყვის სახლში 1921 წლის 29 იანვარს.

სამოქალაქო ომის შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანამ მათ დღის წესრიგში დააყენა საწარმოო პრობლემა. მათ აკოვსკი თავის მოხსენებაში გამომდინარეობდა იმ პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის გამოცდილებიდან, რომელსაც როსტა აწარმოებდა. მათ აკოვსკი ამბობდა: „ჩვენ ეწარმოებდით თეთრგვარდიელების საწინააღმდეგო აგიტაციას, და

ახლა საწარმოო აგიტაციისათვის ჩვენ თავიდან უნდა დავიწყოთ. ჩვენ ვეწოდით აგიტაციას ისე, რომ არ ვეყრდნობოდით რაიმე მონაცემებს. მაგრამ ახლა გვაქვს გამოცდილება. ბიუროკრატიაში ცოტას როდესაც ვხედავთ, ჩვენს სააგიტაციო მუშაობას. ამის მაჩვენებელია ისტორია რუსეთის პლაკატისა, რომელიც მიმართული იყო პოლონელი პანების წინააღმდეგ. ჩვენ ვაეკეთეთ პლაკატები დონბასის ტრანსპორტის შესახებ, საქმის გაჭინურების წინააღმდეგ, სპეციალური პლაკატები მაღაროელებზე, სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო ხელოვნებაში არ მოიპოვება არც ერთი სააგიტაციო შრომითი ნაწარმოები. უნდა შეიქმნას მეცნიერული ბიურო აგიტაციის სხვადასხვა სახეობის შემოქმედების შესასწავლად. აგიტაცია უნდა იყოს კონკრეტული. დეტალები უნდა ავიღოთ არა ზოგადი პრინციპებიდან. შემარცხენე ხელოვნება უნდა იმუშაებდეს აგიტაციის ახალ მეთოდებს.“

ამ პერიოდში მაიაკოვსკი რამდენჯერმე გამოვიდა ახლად დასრულებულ პოემის „150.000.000“ კითხვით. ამ პოემას კითხულობდა მთლიანად, კითხულობდა ცალკე ნაწილებსაც. სანამ საბოლოო ტექსტი არ დაიბეჭდა, მას ხშირად შეჰქონდა შიგ ცვლილება. მაიაკოვსკიმ მაჩუქა პოემის ამონაბეჭდები და მასში აღმოჩნდა რამდენიმე ათეული სტრიქონი, რომლებიც არ შესულან საბოლოო ტექსტში. გარდა ამისა, მაიაკოვსკიმ მაჩუქა მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი პოემისა „მზე“ შემდეგი წარწერით: „ამხ. ფევრალსკის ყველა კუთვნილი ალერსით უძღვნის მაიაკოვსკი 9/III 21 წ.“

1920-21 წლებში მაიაკოვსკი დიდად იყო დაინტერესებული თეატრის საკითხებით.

ალბათ, ამასთან დაკავშირებით ვინმე ნ. ფ-ს თავში მოუვიდა ყოველად სულელური აზრი. მან „თეატრის მოამბეში“ (№ 29—30) მოათავსა შენიშვნა, სადაც ოპერის „Жизнь за царя“ („ივან სუსანინი“) მარადიული, საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობის შესანარჩუნებლად აყენებდა ოპერის „ახალი“ სცენარის პროექტს. მას მოქმედება გადაჰქონდა საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის 1920 წლის ომის პირობებში. ის წინადადებას აძლევდა მაიაკოვსკის, დაეწერა ახალი ლიბრეტო. მე წავიკითხე ეს შენიშვნა და ვუთხარი ამის შესახებ მაიაკოვსკის. მაიაკოვსკიმ გამომართვა ეურნალი და შევიდა პოლიტიკანთაღების სამმართველოს საპლაკატო სახელოსნოში. ერთი საათის შემდეგ ის დაბრუნდა და ეურნალი ჩემს მაგიდაზე დასდო. როცა შევეკითხე, რას იტყვი ამ „მომზიბვლელ“ წინადადებაზე მეთქი, მომიგო — ჩემი აზრი ეურნალს დავაწერეო. გადავშალე ეურნალი და დავინახე, რომ შენიშვნაზე გარდვი-გარდმო დიდი ასოებით წაწერილი იყო: „იდიოტი“. ეურნალის ეს ნომერი მაიაკოვსკის წარწერით იხანება „თეატრის მოამბის“ ჩემს კომპლექტში.

მაგრამ თუ ასეთმა შემგუებელმა მიდგომამ კლასიკოსებისადმი მასში აღმფოთება და ზიზლი გამოიწვია, ეს არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ უარყოფდა წარსულის ხელოვნების ნაწარმოებთა სააგიტაციო მიზნით გამოყენებას. მაიაკოვსკის ასეთი გამოყენება შესაძლებლად მიიჩნდა მაშინ, როცა ნაწარმოების ხასიათი ამის შესაძლებლობას იძლეოდა. ამიტომ დასთანხმდა იგი დაეწერა ახალი, პოლიტიკურად აქტუალური ტექსტი ოფენბახის ოპერეტისთვის „მშვენიერი ელენე“. იგი უნდა დადგმულიყო პოლიტიკური ოპერეტის თეატრში.

ამ თეატრის მოწყობა განზრახული იყო 1921 წელს, მაგრამ განზრახვა არ



განხორციელდა! უმჯობესია, ამ ახალ ტექსტთან იყო დაკავშირებული ერთ-ერთი „სატირის ფანჯარის“ ტექსტი. 1921 წლის აგვისტოში შევედით და არა საპლაკატო სახელოსნოში, თვალში მომხვდა მთავრობის სახელმძღვანელო დასარულებული „სატირის ფანჯარა“ ხელოვნების მუშაკთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებისა, სათაურით „მშვენიერი ელენე“. გადავიწერე „სატირის ფანჯარის“ ტექსტი და თოთხმეტი წლის შემდეგ 1935 წელს გამოვაქვეყნე „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (№ 21, 15 აპრილი). მთავრობამ გამოიყენა პარისის რონდო „მშვენიერი ელენედან“ საფრანგეთში ჩამოყალიბებულ ვოლგის ნაპირების დამშეულთა დამხმარე კომიტეტის წინააღმდეგ მიმართულ სკეტჩის დასაწერად. ეს „დამხმარე კომიტეტი“ საბჭოთა რუსეთის უბოროტეს მტრებისაგან შესდგებოდა: და „სამი ღმერთ-ქალის“ მაგივრად გაჩნდა „სამი ფრანგი“:

„Раз три француза спорить стали  
Спорят день и спорят ночь:  
На Руси заголодали,  
Надо русским нам помочь“.

მთავრობის მთავარ თეატრალურ წამოწყებას 1920-21 წლის სეზონში შეადგენდა „მისტერია ბუფ“-ის მეორე რედაქციის შექმნა. როცა გავიგე, რომ მან დაასრულა მისტერიის წერა, ვუთხარი, გადავბეჭდავ მეთქი მას როსტას სამდივნოს აპარატის მანქანაზე, რომელიც ჩემს განკარგულებაში იმყოფებოდა. მთავრობის დამთანხმდა. ერთი ეკზემპლიარი ჩემთვის დავიტოვე. ბევრი ხნის შემდეგ, როცა მთავრობის ნაწარმოებთა სრული კრებულის შესამუშავებლად დასაბეჭდად, მომავინდა ეს ეკზემპლიარი, რომელიც პარიოსის ქალაქში იყო დაბეჭდილი. მოვძებნე იგი და მასში აღმოვაჩინე რამდენიმე საინტერესო განსხვავება. კერძოდ ამ ეკზემპლიარის ტექსტში (მეხუთე მოქმედებაში) აღმოჩნდა საინტერესო გამოხმაურება 1920-21 წელს პროფკავშირების გარშემო გამართულ დისკუსიაზე.

ამ დისკუსიაზე ყველაზე უფრო დაძაბულ მომენტში იქმნებოდა სწორედ „მისტერია ბუფის“ მეორე რედაქცია. მთავრობის დაცინის ბუხარის, რომელმაც შექმნა ანტიპარტიული „ბუფერული ფრაქცია“.



„მისტერია ბუფ“ მე ახალი თეატრის დასაწყისად მიმაჩნდა. მე, რასაკვირველია, წავედი მის პრემიერაზე რ. ს. ფ. რ.-ის პირველ თეატრში. პრემიერა შესდგა 1921 წლის 1 მაისს. მოვახერხე ცარიელ დარბაზში შესვლა. მაყურებლებს ჯერ არ უშვებდნენ: ამ დადგმაში ფარდა არ არის, — მთელი სცენა ღიაა. მიმდინარეობდა უკანასკნელი სამზადისი სპექტაკლისთვის. წითელფესკიანი რეჟისორი განკარგულებებს იძლეოდა. ისმოდა მისი ძაბილი: „მთავრობის, აი იქ“, „ვოლოდია, აი ის გააკეთე.“ და მე დიდად ვამიყვირე, რომ მთავრობის, რომელიც მუდამ მეტად დამოუკიდებელი ხასიათის ადამიანად მეჩვენებოდა, აქ მორჩილად და დიდის მონდომებით ასრულებდა ყველაფერს, რასაც კი მას ავალბებდნენ. თითქოს რეჟისორის თანაშემწე ყოფილიყოს. თითქოს დაპიწყებოდა, რომ ის არის პიესის ავტორი. მოულოდნელად გაგაოცებდათ ზოგჯერ ტექსტის ახალი ადგილი, ახალი ხუმრობა, რომელსაც არ იცნობდით არც პიესით, არც წინანდელი წარმოდგენის მიხედვით. ეს იყო ახალი

ჩანართი აქტუალურ თემაზე, რომლითაც მიაიკოვსკი დროგამოშვებით ახლებდა სექტაკლს.

დიდად დასანანი, რომ ამ ჩანართების ტექსტი არ შენახულა

ეროვნული  
არქივი

ბრძოლა „მისტერია ბუფ“-ის გარშემო მიმდინარეობდა მაყურებელთა დარბაზში, დისპუტზე, დაწესებულებებში. ის გადაიზრდებოდა ხოლმე ბრძოლად ახალი ხელოვნებისათვის. ლიტერატურული და სცენური ფორმის უჩვეულობა მიაიკოვსკის წინააღმდეგ ამხედრებდა ზოგიერთ იმასაც, ვისაც მისთვის მხარი უნდა დაეჭირა. ზოგიერთები პარტიულ ბილეთს იქნევდნენ, მარქსს ფიცულობდნენ და სდევნიდნენ მიაიკოვსკის. პრესის საშუალებით და ყოველი ღონით აფერხებდნენ მის ნაწარმოებთა გავრცელებას. ზოგი ამთავანი მართლაც იყვნენ გონება ჩლუნგები. მათ არ შესწევდათ უნარი გაეგოთ ახალი სიტყვა შემოქმედებაში, სხვები კი, როგორც ეს შემდეგში გამოიჩვენა, ხალხის შენიღბული მტრები აღმოჩნდნენ. ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა მიაიკოვსკის პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოში და მეც ამ დაწესებულებიდან ფეხი ამომაკეთინეს უმთავრესად „მიაიკოვსკისათვის“.

მიაიკოვსკის უხდებოდა ბრძოლა ორ ფრონტზე ახალი ხელოვნების ამ მტრების წინააღმდეგ და იმ ბოკემის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა მიტმანოდა ახალ ხელოვნებას და რომელიც მას სახელს უტებდა, რომელსაც რღვევის ელემენტი შეჰქონდა ლიტერატურაში:

„Футуристики,  
Имажинистики,  
Акменстики  
Запутавшиеся в паутине рифм“.

მიაიკოვსკი ძალიან ხშირად გამოდიოდა საჯაროდ როგორც ლიტერატურის, ისე თეატრის საკითხებზე. მისი მიზანდასახულობის პრინციპულობა ხელს არ უშლიდა მას თავისი გამოსვლებისათვის მეტად ცოცხალი, მზიარული ხასიათი მიეცა. მაგონდება ორი მისი ოხუნჯობა იმავე 1921 წლის თეატრალურ დისპუტებზე. ერთხელ, როცა კამერულ თეატრში „რომეო და ჯულიეტას“ დადგმის შესახებ იყო ლაპარაკი, მიაიკოვსკიმ წინადადება შემოიტანა მისთვის (პიესისათვის) შემოკლებულად დაერქმიათ „რიდჯ.“ ერთხელ საკითხი იდგა месткомдрама-ს სუსტი მუშაობის შესახებ, ამ დაწესებულებას სათავეში ედგა ბასალიგო. მიაიკოვსკიმ გადააბა-გადახლართა დაწესებულების სახელი და ხელმძღვანელის გვარი და გამოვიდა: ბასოდრამა და მასკოდრიგა.

ამის შემდეგ ერთხანს იშვიათად ვხვდებოდი მიაიკოვსკის. ვხვდავდი უმთავრესად საღამოებზე პოლიტექნიკურ მუზეუმში და სხვაგან გამართულ დისპუტებზე. მაგონდება, როცა ერთხელ საშვები ვთხოვე მის საღამოზე შესასვლელად, ასე მომიგო: „თავით დასწერეთ საშვები ჩემს საღამოზე და ჩემს მაგივრად მოაწერეთ ხელი“. ამ პერიოდის მისი გამოსვლები ხშირად აუწერი-ათ და ბევრი მისი მახელილი სიტყვა მოუყვანიათ, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში მაინც დარჩა ზოგი რამ გამოუქვეყნებელი. ასე, მაგალითად, თითქოს ენის განახლების მიზნით ის წინადადებას იძლეოდა გადაეკეთებინათ ანდაზები, ან შეეცვალათ სიტყვები: „В темноте да не обедали“, ან ორ ანდაზას გადააბამ-

და ხოლმე. ასე, მაგალითად, ორი ანდაზისაგან: „Не плюй в колодез, пригодится воды напиться“ და „Слово не воробей, вылетит, не поймашь“ — ერთი გამოჰყავდა: „Не плюй в колодез, вылетит, не поймашь“.

თუ ვინმე დამსწრეთაგანი ერთბაშად ვერ მისწვდებოდა ოხუნჯობას, მიაკოვსკი ამბობდა: „ამასთან სამშაბათს უნდა იოხუნჯო, თუ გინდა პარასკევს გაიცინოსო.“

ერთ საღამოზე მიაკოვსკის ცხარე კამათი ჰქონდა სიტყვიერების პროფესორებთან ლექსთა საკითხებზე. მიაკოვსკი აცხადებდა, რომ არა სცნობს ტრადიციულ ლექსთაწყობის ზომებს. ჩემმა დამ, ტანმორჩილმა ქალიშვილმა, ლიტერატურული ინსტიტუტის სტუდენტმა, ადგილიდან დაიძახა: „მაშ ეს როგორაა, ვლადიმერ ვლადიმერისძე, თქვენც გაქვთ იამბები“ და მოიყვანა მაგალითი. მიაკოვსკიმ ჩემს დას გადახედა და სთქვა: „ქალიშვილო, მე აქ ისეთ სპილოებს ვეომები, რომ შეიძლება თქვენ გაიჰყლიტოთ“—ო.

ზოგჯერ მიაკოვსკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ პოეტები ან ისეთები, რომელთაც თავი პოეტებად მოჰქონდათ. სხვებს არ ჩამორჩა ესენინიც. მიაკოვსკის ერთ-ერთ საღამოზე პოლიტექნიკურ მუზეუმში ესენინი იღდა დარბაზის გვერდით, გასასვლელში და მიაკოვსკის ესროდა რაღაც საკმაოდ უთავბოლო და არც თუ ისე თავაზიან რეპლიკებს. მიაკოვსკი, რომელიც ჩვეულებრივად დიდად არ ერიდებოდა თავის მოწინააღმდეგეებს, ესენინს რბილად და თავშეკავებულად უპასუხებდა. აფასებდა და ზოგავდა დიდ და ავადმყოფ პოეტს. სამაგიეროდ არ ზოგავდა იგი ლიტერატურას მიტმასნილ ხალხს.

მიაკოვსკი არაჩვეულებრივად ცოცხლად ლაპარაკობდა. ამას ერთოდა მიაკოვსკის რეპლიკები ამა თუ იმ მოძრაობაზე აუდიტორიაში, ან ფრაზები და სიტყვები, დაკავშირებული რაიმე მოქმედებასთან. ამიტომაცაა, რომ მისი სიტყვების სტენოგრაფიაში გვხვდება ცალკეული ადგილები, რომლებიც გაუგებარი დარჩება, თუ არ გამოვარკვევთ ამ გამოსვლის კონკრეტულ ვითარებას. მაგალითად, მიაკოვსკის ნაწარმოებთა სრულ კრებულში (ტომი 17, გვ. 364. მ., 1937) დაბეჭდილი მისი გამოსვლა „რევიზორის“ დადგმის გარშემო გამართულ დისპუტზე (დისპუტი შესდგა 1927 წლის 3 იანვარს) იწყება შემდეგი სიტყვებით: „ამხანაგებო, რატომ ჰიხვინებთ“. ამ რეპლიკას ჩვენთვის გასაგებად ხდის თვითონ ფორმა მიაკოვსკის გამოჩენისა მაყურებელთა წინაშე ამ შემთხვევაში. ავანსცენაზე გამოსასვლელად მიაკოვსკიმ სკამზე გადაალაჯა. ამ მოძრაობით მან ხაზი გაუსვა თავის სიმალეს და იმავე დროს გამოხატა თავისი განზრახვა გასწორებოდა თავის წინამორბედს ტრიბუნაზე, პროფ. სრეტენკის (დონის როსტოვიდან), რომლის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს მიაკოვსკი უარყოფდა. კომიკურმა ელფერმა, რომელიც მიაკოვსკიმ თავის გამოსვლას მისცა, დარბაზში სიცილი გამოიწვია. ამით აიხსნება რეპლიკა „ჰიხვინზე“.

გარდა ამ პერიოდის გამოსვლებისა, მაგონდება ერთი შემთხვევა ეურნალ „მოლოდაია გვარდიას“ რედაქციაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1926 თუ

1927 წელს მე მერგებოდა ჰონორარი წერილებისთვის, რომლებიც დაიბეჭდა ამ ჟურნალში. მაგრამ ბუხპალტერია აკიანურებდა ფულის ქვეყნის დასახულ ამ სიტყვებით მისტურება: „მოდით ფულის გაცემის შეწყვეტაში“. ფულის გაცემის შემდეგ დღეებში იგივე ხდებოდა. ეს რამდენჯერმე განმეორდა. ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ სხვა ავტორები. ფულის გაცემის ერთ-ერთ დღეს, როცა ავტორებმა ეს სტანდარტული პასუხი მიიღეს და ამ გაკიანურებით აღშფოთებულნი წასვლას აპირებდნენ, ბუხპალტერიაში შემოვიდა მაიაკოვსკი თავისი ლექსის ჰონორარის მისაღებად. მასაც უარი უთხრეს. მაგრამ მაიაკოვსკი არ მოეშვა. იატაკზე ურახუნებდა თავის დიდ ჯოხს და დაეინებით მოითხოვდა, რომ ბუხპალტერიას შეეწყვიტა ეს ჯანჯლობა და დაუყოვნებლივ მიეცა ჰონორარი. მან უცებ გამოარქვია, რომ ფული ყოფილა. მაიაკოვსკი კარგი ამხანაგი იყო: მან დაეინებით მოითხოვა, რომ ჰონორარი გადაეხადათ არა მარტო მისთვის, არამედ ყველა იმათთვის, ვინც ელოდებოდა ფულს. ბიუროკრატები იძულებული გახდნენ დამორჩილებულიყვნენ, და ჩვენ ყველამ მივიღეთ კუთვნილი ჰონორარი.

ძალიან საინტერესოდ მოიქცა ასეთ შემთხვევაში ესენინი. მას არ გადაუხადეს ფული სახელგამში. მაშინ ის დადგა ბუხპალტერიის ოთახში და დაიწყო თავისი ლექსების ხმამაღლა კითხვა. ეს გაიგეს სახელგამის სხვა განყოფილებებში და თანამშრომლები მიაწყდნენ ბუხპალტერიას ესენინის მოსასმენად. დაწესებულებაში მუშაობა შეჩერდა, სხვა გზა არ იყო, ესენინისთვის უნდა გადაეხადათ კუთვნილი ჰონორარი.



1928 წლის დეკემბერს თეატრის კოლექტივი შეიკრიბა თეატრის შენობის ზემო სართულში, სარეპეტიციო დარბაზში. მაიაკოვსკი წინ წამოდგა რვეულით ხელში და წარმოსთქვა თავისი ახლად დასრულებული პიესის სათაური — „ბალონიზო“. ეს მეტად „პროზაული“ სიტყვა მის წარმოთქმაში თავისებურად გაისმა — აღერდა თვითვეული ასოს ფონეტიკა. დამსწრეები ისედაც დაძაბული ყურადღებით უცდიდნენ, თუ როდის დაიწყებდა საყვარელი პოეტი კითხვას, წარმოთქმულმა სათაურმა ისინი გაამხნევა, თითქოს ერთი დაკვრით გადაიყვანა კომედიის სახეების სამყაროში.

პირველი სიტყვებიდანვე გაიტაცა მაყურებლები გონება-მახვილობის ელვარებამ, სახეების ძალამ, საერთო მოფიჭრებისა და ცალკეული სიტუაციების არაჩვეულებრივობამ და მკითხველ-ავტორის არაჩვეულებრივმა ხელოვნებამ. ცალკეული პიერების ღიმილს სცვლიდა მთელი დარბაზის გამაყრუებელი ზარხარი. როცა მაიაკოვსკიმ კითხვა დაამთავრა, თეატრის კოლექტივმა აღტაცებული ოვაცია გაუმართა. დიდხანს ვერ დამშვიდდენ, გონს ვერ მოვიდნენ მიღებული სიამოვნებისაგან, დაენანათ, რომ პიესა ასე მოკლე იყო.

მეორე დღეს მაიაკოვსკიმ პიესა წაიკითხა თეატრის მხატვრულ-პოლიტიკური საბჭოს გაფართოებულ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ მწერლები, ჟურნალისტები, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. პიესას მაიაკოვსკი თეატრის სცენიდან კითხულობდა. პიესამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ, როცა დამსწრეთ სთხოვეს გამოეთქვათ თავიანთი აზრი, ერთბაშად ვერაინი გადასწყვიტა გამოსვლა. კრებამ ერთსულოვნად (მხოლოდ ორმა შეიკავა თავი) მიიღო ჩემ მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია:

„სამხატვრო-პოლიტიკური საბჭოს, რომელმაც თავის გადართობით სსრკ-მაზე მოისმინა ვლადიმერ მაიაკოვსკის პიესა „ბაღინჯო“, მიიჩნია, ეს უმნიშვნელოვანეს მოვლენად საბჭოთა დრამატურგიაში, როგორც პირველი, ისე მხატვრული თვალსაზრისით, და ესაღმება მის შეტანას მხატვრულარში.“

მაგრამ მაინც საჭირო იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა პიესაზე, დამსწრები არ იშლებოდნენ. ბოლოს ერთი ნაწილი კრებისა სარეპეტიციო დარბაზში გავიდა და იქ გაიმართა განხილვა. ამ განხილვაზე მაიაკოვსკი ორჯერ გამოვიდა და ორივე მისი გამოსვლა ჩაწერილი მაქვს. მან სთქვა:

„მე სრულიად არ მოველი, რომ დაესწერდი პიესას და ამით მოიხსნებოდა საჭიროება დრამატიულ ლიტერატურაში: პიესა უნდა განვიხილოთ ჩვენი თეატრების „შედარებითი ნაღობი(კონცეფციის)“<sup>1)</sup> თვალსაზრისით. მისი მთავარი ღირსება ეს არის. იგი ოპტიმისტური საბჭოთა პიესაა. რაც შეეხება წერილმანებს, მეშინოდა, პიესა ყველას არ მოსწონებოდა, რაც იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საძაგელი რაღაც დაეწერე. მაგრამ აგერ გროსმან-რომშინმა სთქვა, რომ პიესა საზიზღრობაა, ბლაგვი და ბრიყველი რამეო. მე წინააღმდეგი ვარ გამაესთეტიურებელი საწყისისა, წინააღმდეგი ვარ ბრძოლის შეცვლისა მოჩიფნიფე ლიტერატურული ლაპარაკით. „კომსომოლსკია პრავდა“-ში ჩემი მუშაობის შემდეგ უნდა განვაცხადო: მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმშვიდის დამრღვევია, მე ვერ ვიტან უპარტიო ლაპარაკს. სანამ არამზადობა კიდევ არსებობს ცხოვრებაში, მე ამას ამნისტიას ვერ მივანიჭებ მხატვრულ ნაწარმოებში. პიესაში მოცემულია ფაქტები ობიექტურ, ფილისტერულ სიბილწეზე, როგორც საუკუნის, ისე დღევანდელი დღისა. რომ შემწანები თავს „ვიწროდ“ გრძნობდნენ კოლექტივში, მე ამის ჩვენება არ შემეძლო, ეს ცალკე თემაა. მე ეს მხოლოდ აღვნიშნე. მე გამომაქვს პიესა კომკავშირული აუდიტორიის სამსჯავროზე. ვიდრე პიესა დაიდგმებოდეს, მე მასში შევიტან მთელ რიგ ჩანართებს. რაც შეეხება გამომგონებლის ფიგურას, მე არ დავეძებ დრამატურგიულ წესებს, მე ასე ვიტყვი: თუ პირველ მოქმედებაში არის თოფი, მეორე მოქმედებაში ის უნდა გაქრეს.“<sup>2)</sup> ნაწარმოები იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ის კეთდება წესების წინააღმდეგ. მე კურსს ვღებულობ კომკავშირის მასაზე. არ შეიძლება ვარაუდი დაიჭირო მთელს კაცობრიობაზე: ნახევარი მათგანი არამზადები არიან, ნახევარი—სიმპატიურნი.“

მეორე გამოსვლისას მაიაკოვსკიმ განაცხადა:

„მე ჩავურთავ პიესაში აქტუალურ პოლიტიკურ ყოფაცხოვრებით ახალ ამბებს. მე ჩავურთავ უტკინი და ეაროვი იმიტომ, რომ მათ თავიანთი ლექსებიდან გამოაქვთ ტოლსტოისებური დასკვნები და დღესვე ზურგს აქცევენ ბრძოლას. პიესას ჩემთან ერთად ჰქმნიდა კომკავშირი და „კომსომოლსკია პრავდა“, თუმცა მას მხოლოდ ჩემი გვარი აქვს მოწერილი, ჩვენ მას ერთად ვქმნიდით. ლიტოვსკი მე მიჩიქვს ყოველი სპექტაკლის წინ გამოვიდვ შესავალი სიტყვით. ამ პიესას ის იხსნის, რომ ყოველი სპექტაკლი არ დასრულ-

<sup>1)</sup> ტერმინი აღებულია „ბაღინჯოს“ უკანასკნელი სურათიდან.

<sup>2)</sup> ამით მაიაკოვსკი პასუხს აძლევდა ერთერთ ორატორს, რომელიც ცდილობდა „ბაღინჯო“-ში გამოვანილ გამომგონებლისათვის მიეყენებინა ჩუხოვის განსაზღვრა: „თოფი, რომელიც არ ისვრის“.

დება ლიტოვსკის ბოლოსიტყვით. მკითხველები წაიკითხავენ მის წერილებს მხოლოდ დღეს, მას შემდეგ, რაც უკვე იჯერებენ გულს სიტყვით. სპექტაკლს ვაკეთებ მე, რეჟისორი, მსახიობები, მაცურებლებმა მსტრატეგები, გამნათებლები და სხვანი. პიესაში არის არა სოციალიზმი, არც მისი ხუთწლედ, ეს კი შეიძლება მოხდეს სამი ხუთწლედის შემდეგ: რასაკვირველია, მე არ ვუჩვენებ სოციალისტურ საზოგადოებას. დღეს მე დამებადა აზრი სასარგებლო რამეზე. სოციალისტურ ადამიანზე. ახლა მე საერთოდ გადავალ პიესებზე, ვინაიდან ლექსების წერა ძალიან გაადვილდა. წინადადება შემომაქვს, კენჭი ვუყაროთ პიესას.“

ამ წინადადების წინააღმდეგ გამოსულთ მაიაკოვსკიმ მიუგო ციტატით თავისი ლექსიდან:

„Розданные Луначарским  
венки лавровые —  
сложим  
в общий  
товарищеский суп“.

მე მაინტერესებს არა შექება, არამედ დახმარება საქმეშიო, დაასრულა მან.



თეატრი მაშინვე შეუდგა პიესაზე მუშაობას. მაიაკოვსკი მოითხოვდა, მოეწვიათ კუკრინიკსები (იმ დროს დამწყები მხატვრები, თანამშრომლები ლიტერატურულ ჟურნალებს). მაიაკოვსკი მონაწილეობდა ყველა თათბირში, რომელზედაც ირჩეოდა სპექტაკლის საგნობრივი გაფორმების საკითხი, შექმნდა კონკრეტული წინადადებები.

ის აქტიურად მონაწილეობდა რეპეტიციებში: მან თავს იღო მსახიობებთან მუშაობა სიტყვიერ მასალაზე და სპექტაკლის სიტყვიერი მხარეც მან დაამუშავა.

რეპეტიციების პროცესში მაიაკოვსკი აესებდა პიესის ტექსტს, ყველას, ვინაც შემთხვევა ჰქონდა მოესმინა „ბაღლინჯო“, მაიაკოვსკის მიერ წაკითხული, ანციფრებდა კომედიის უჩვეულო ლაკონიურობა. ეს ლაკონიურობა პიესას დიდ სიმძაფრესა და მოძრაობას აძლევდა, მაგრამ იმავე დროს იგი იყო მიზეზი ზოგიერთი დახასიათების დაუსრულებლობისა, არა საქმავო სიმკვეთრისა. მაიაკოვსკიმ თვითონ აღმოაჩინა ეს ხარვეზები. ის მხედველობაში ღებულობდა მაცურებელთა შენიშვნებს. კერძოდ, ის დიდის ყურადღებით ექცეოდა მსახიობებისა და რეჟისორების მოსაზრებებს. ყველაფერი ეს აძლევდა ავტორს მასალას თავისი პიესის შესავსებად ჩანართებით, და ხშირად მაიაკოვსკის რეპეტიციაზე მოჰქონდა ახალი ტექსტი კომედიის ამათუიმი ადგილისათვის.

მაგალითად, ერთ-ერთ რეპეტიციაზე მან მოიტანა ორი ჩანართი პრისიპკინის როლის ტექსტისთვის პირველ მოქმედებაში. პირველი რეპლიკით პრისიპკინი მიმართავს თავის მწერტონელს „გაფაქიზებული ცხოვრების“ შესათვისებლად:

„ამხანაგო ბაიან, მე წინააღმდეგი ვარ ამ მეშხანური ყოფის, იაღონებისა

და სხვა რამისა... მე მაღალი მოთხოვნების კაცი ვარ... მე სარკინი კარადა მინტერესებს\*.

მეორე კი მიმართულია პრისიპკინის ყოფილ საყვარლის მიმართ.  
 „მოქალაქე, ჩვენი სიყვარული ლიკვიდირებულია. ხელს ვერ შევძლებთ სხვა სუფალ მოქალაქეობრივ გრძნობას, მე მილიციას დაევძახებ“. ამ ჩანართების სატირული სიმძაფრე შედეგია მოულოდნელი, თუმცა ამ შემთხვევაში სავსებით გამართული ფორმისა. (მაღალი მოთხოვნები — სარკინი კარადა; თავისუფალი გრძნობა — მილიციის გამოძახება). ეს ისე ზედგამოჭრილი გამოდგა, რომ მსახიობები დიდხანს ხარხარებდნენ და ტაშს უკრავდნენ მიაკოვსკის. ასევე დიდი ალტაცებით მიიღეს მათ მიაკოვსკის მიერ ხელახლა დაწერილი დასაწყისი მესამე მოქმედებისა, რომელშიაც პრისიპკინი დარბაისლურად „ქორწილს გახსნილად აცხადებს.“

მუშაობა მიაკოვსკისთან ხალისიანად და შეწყობილად მიმდინარეობდა.

„ბალღინჯოს“ დადგმის შემდეგ თეატრი ამზადებდა ი. სელენსკის ტრაგედიას „კომანდარში № 2.“ პიესაში ბევრი რამ სადავო იყო. 1929 წლის 4 მაისს თეატრის სამხატვრო პოლიტიკური საბჭო, რომლის წევრიც იყო მიაკოვსკი, მთავარ სარეპერტუარო კომიტეტის სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოსთან ერთად შეიკრიბა სპექტაკლის რეპეტიციის განმეორებით გასასინჯად. თათბირის ზოგიერთი წევრი პიესის მოხსნას მოითხოვდა. ტრაგედიის იმ ადგილებს შორის, რომლებიც იქვს იწვევდნენ, იყო ერთი სიმღერის რეფრენი ერთ-ერთ ინტერმედიამი: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს ომს!“ ერთ-ერთმა ორატორმა, რომელიც ამ რეფრენს შეეხო, სთქვა: „მიაკოვსკი ამბობს, რომ შეიძლება ითქვას: „სამოქალაქო ომსო“. ამაზე მიაკოვსკიმ ადგილიდან დაიძახა: „მე ნეტავი ჩემს ლექსებს გავართმეველე თავს, სად შემიძლიან სხვების სწორება“.

მიაკოვსკი გამოვიდა კამათის დასასრულს და სთქვა: „ამხანაგებო, მე სელენსკისთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფები. პიესა („ბალღინჯო“—ფ.) უკვე დაიდგა და მან უკვე გადაიტანა ლანძღვა. მე რომ შემერჩია წერილები, რომლებიც ურთიერთს აბათილებენ, აღმოჩნდებოდა, რომ აღარაფერი დარჩა.

საკითხი ორი ნაწილისაგან შესდგება. პირველი არას ნაწარმოების მხატვრული ღირებულების შეფასება: მოდი, ნუ ვიკისრებთ ამის ვადაწყვეტას, მივანდოთ ეს კრიტიკას.

გარდა ამისა, დღეს ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ საკითხი პიესის დაშვების თუ არადაშვების შესახებ.

იმისთვის, რომ მოვხსნათ სპექტაკლი — უნდა არსებობდეს მეტად სერიოზული წინამძღვრები. მე მგონია, რომ არ არსებობენ ასეთი წინამძღვრები. წერილმანები, როგორც, მაგ. „გაუმარჯოს ომს!“ ვერ გადასწყვეტენ პიესის ბედს. შეიძლება საჭირო იყოს ჩართვა: „გაუმარჯოს სამოქალაქო ომს“.

დღეს ჩვენ ხელი მოვკიდეთ ისეთ საქმეს, რასაც უნდა არკვევდეს პრესა და საზოგადოებრივობა. ჩვენ არ უნდა ვიკისროთ ასეთი ფუნქციები. თუ ჩვენ ასე მივეუდგებით სპექტაკლს, რასაკვირველია, ის უნდა წავიდეს. ვნახოთ — ის წავა ან დამარცხდება“.

მთავარმა სარეპერტუარო კომიტეტმა დაადგინა პიესის გაშუბა, როგორ მოითხოვა, შეცვლილიყო პიესის სათაური და სიტყვები: „გაუმარჯოს ომს“, შეეცა მთავარი პერსონაჟის, ოკონის მონოლოგი; მოხსნა „ვერტუნი“-ტეატრის მიერ შეტანილი სცენა გამცემ ოკონის დახვრეტისა. თეატრის საბჭომ მაშინვე განაგრძო სხდომა, მაიაკოვსკიმ ხელახლა მოითხოვა სიტყვა და შეეხო მთავარ სარეპერტუარო კომიტეტის ყველა მოთხოვნას:

„მე მინკვიფრებს კამათის ვნებიანობა. ჩემთვის მთავარი საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ არ დაერთოდნენ პიესის დადგმის ნებას. მე მხოლოდ იმიტომ გამოვედი კამათში, რომ მეგონა, პიესის ბედი ძაფზე ჰქიდა. ახლა უნდა შევაჯამოთ. პიესა ნებადართულია. ახლა მოითხოვენ შესწორებას. ამაზე ან დაეთანხმდებით ან არა. კიდეც მოვილაპარაკებთ. ჩვენ მივიღეთ ის ცვლილებები, რომელზედაც აქ იყო ლაპარაკი, მონოლოგების შემცირება ჩვენ შეგვიძლიან. ეს უკვე დათმობის 23%-ია, „გაუმარჯოს ომს“ შეიძლება შეიცვალოს. ეს უკვე 50%-ით დამაყოფილება იქნება.“

ახლა სათაურის შესახებ. „ბალნინჯოს“ აფიშაში 1929 წლის და 1979 წლის მაგივრად ორივე შემთხვევაში დასწერეს 1929 წელი. ეს შეცდომა არავის არ აგდებს სასაცილო მდგომარეობაში. მე რომ სეღვისნსკის ადგილას ვიყო, ვიტყვოდი: უწოდეთ, როგორც გინდათ. ეს უკვე 75% დათმობა იქნება. რჩება 25%.

ვთხოვთ მთავარ სარეპერტუარო კომიტეტს, რომ მან მოაწყოს განხილვა. თუ კიდეც ატყდება კამათი, მაშინ საკითხის განხილვა გადავიტანოთ ფართო აუდიტორიაში. ძირითადი დაბრკოლება უკანასკნელი სცენაა. გაუგებარია, თუ რაზე ატყდა ასეთი ცხარე კამათი. მე მგონია, ყველაზე მთავარია: უნდა ვიდღესასწაულოთ გამარჯვება, რომ პიესის დადგმის ნება დაგვრთეს.“<sup>1)</sup>

1930 წლის 25 თებერვალს გაიხსნა თეატრის მუშაკთა კლუბი, ძველი პიენის შესახვევში, სარდაფში. კლუბის დარბაზი გაქედილი იყო პატარა მაგიდებით, რომელსაც შემოუსხდნენ დამსწრენი. პატარა ესტრადაზე კი ეწყობოდა გამოსვლები. მაიაკოვსკი თავის ნაცნობ ჭალთან ერთად ესტრადიდან დაშორებით იჯდა. იგი ესტრადაზე გაიწვიეს. მაიაკოვსკიმ გადასჭრა დარბაზი, ავიდა ესტრადაზე და დაიწყო კითხვა. ეს იყო „Во весь голос“. დამსწრეთა შორის თითქმის ყველას პირველად უხდებოდა ამ ნაწარმოების მოსმენა. მან მოახდინა უდიდესი შთაბეჭდილება, რომლის ძალა და სიღრმე ასე უცნაურად ეკონტრასტებოდა ბანკეტის პირობებს.

მე მასში ვიგრძენი მაიაკოვსკის შემოქმედების ახალი დიდი ეტაპის გრანდიოზული დასაწყისი. ხელად წამოიჭრა შედარება პუშკინის „ძეგლთან“, მაგრამ არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ ეს ანდერძი იყო. განა შეიძლებოდა გვეფიქრა ასე მახლობელ დასასრულზე?

ამავე პერიოდში ყურნალში „სოვეტსკი თეატრ“ დაიბეჭდა ჩემი წერილი მაიაკოვსკის დრამატურგიაზე. წერილში, სხვათა შორის, ვიხსენიებდი 1920 წელს დაწერილ მაიაკოვსკის პატარა აგეტიკესებს. მან მომიწონა წერილი და დასძინა:

„საიდან მოგავონდა სატირის თეატრისათვის დაწერილი პატარა პიესები, ისინი შე თვითონაც აღარ მახსოვან“. მე გავაცანი ჩემი განზრახვა, დამეწერა უფ-

<sup>1)</sup> მაიაკოვსკის გამოსვლა „კომანდარი № 2“-ს განხილვაზე მოცემულია ჯერ გამოუქვეყნებელი სტენოგრაფის მიხედვით, ყველაფერი დანარჩენი ჩემი ჩანაწერის მიხედვით.



როს დიდი შრომა მის დრამატურგიაზე და კვითხე, ხომ არ გაწომრება ჩემს წერილში რაიმე მნიშვნელოვანი სანახაობითი ხასიათის ნაწარმოები. მთაქოვსკიმ მითხრა: „არა, ეს არის ყველაფერი“ (მთაქოვსკი სცდებოდა, მისი წყვილყდა ორი ნაწარმოები. ერთი იმათგანი, „გუშინდელი გმირობა“, რამდენიმე წლის შემდეგ აღმოაჩინა ბრიკმა, ხოლო მეორე — „სოფლიო კლასობრივი ბრძოლის ჩემპიონატი“, თითონ მე ვიპოვე). მცირე ფიქრის შემდეგ მან დასძინა: „აი შეიძლება აიღოთ ჩემი გამოსვლები ესტრადიდან, — ესეც ხომ თეატრია“.

მთაქოვსკის შესანიშნავ პიესას „აბანოს“, რომელიც დღესაც არ არის შესაფერისად გავებული და დაფასებული, მაშინაც არა ხედა წილად ის წარმატება, რომელიც მან დაიმსახურა. უპირველეს ყოვლისა, რაპპ-ის ხელმძღვანელებმა იმდენი მოახერხეს, რომ ეურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა რამდენიმე უარყოფითი, პიესისა და სპექტაკლის აბსოლუტურად უსამართლო შეფასება. და თვით მაყურებლის ერთ ნაწილს, რომელიც აღზრდილი იყო დაბალხარისხიან დრამატურგიაზე, რასაც თეატრში ნერგავდნენ როგორც ხალხის მტრები, ისე წერილფენა დრამატურგები, გაუძნელდა პიესის გავება, რომელიც თავისი ბრწყინვალე ნოვატორული ოსტატობით უპირისპირდებოდა მთელ ამ მაკულატურას, მით უმეტეს, რომ დადგმაში დაშვებულ იქნა რამდენიმე შეცდომა. ატმოსფერა პიესის გარშემო ძალზე დამაბული იყო. ამ ატმოსფერაში, მეთერთმეტე დღეს პრემიერის შემდეგ, ერთ დღეს, 27 მარტს, შესდგა „აბანოს“ ორი განხილვა. დილით შესდგა განხილვა „ვეჩერნაია მოსკვა“-ში: იქ რედაქტორის მაგიდის გარშემო შეგროვდა ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ რამდენიმე მუშა და გაზეთების თანამშრომლები. თეატრალური კრიტიკოსებიდან დავესწარით მ. ზაგორსკი და მე. თუმცა განხილვის ბევრმა მონაწილემ არ მოიწონა „აბანო“, მაინც მუშებმა გამოამჟღავნეს საყვებით კეთილმოსურნე დამოკიდებულება მთაქოვსკისადმი, და მთაქოვსკი, იცავდა რა თავის პიესას, საყვებით დამშვიდებული იყო. საღამოს დისპუტი გაიმართა ბეჭდვითი სიტყვის სახლში. ორატორების უმრავლესობა, შემთხვევითი ხალხი, რომელსაც ხელოვნებისა ბევრი არაფერი გაეგებოდათ, გამოდიოდა „აბანოს“ წინააღმდეგ და ღობე-ყორეს ედებოდა. მთაქოვსკი ჯერ არ იყო მოსულე დისპუტზე. ერთ-ერთი ორატორის სიტყვის დროს ვაისმა რეპლიკა, ნაცნობი ხმით წარმოთქმული. ყველამ მიიხნდა. დარბაზის შემოსასვლელში, კარზე მიყრდნობილი, იდგა მთაქოვსკი და პირქუშად ღეჭდა პაპიროსს. შემდეგ ის ავიდა ესტრადაზე და სიტყვა წარმოსთქვა. სასტიკად ეკამათებოდა იგი „აბანოს“ მოწინააღმდეგეებს, ასაბუთებდა თავის სიმართლეს. მაგრამ სჩანდა, რომ უძძიმდებოდა უსამართლო თავდასხმის გადატანა და საღამომ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა.

10 აპრილს, ოთხი დღით ადრე ტრაგიკულ გასროლამდე, „აბანოს“ სპექტაკლზე თეატრის დერეფანში შეგხვდი მთაქოვსკის. ძალიან პირქუშად გამოიყურებოდა. მინდოდა მისი გამხნეება, ვუთხარი, რომ აი „პრავდა“-ში გამოქვეყნდა წერილი, რომელიც „აბანოს“ ობიექტურ შეფასებას იძლევა მეთქი. მთაქოვსკიმ მომიგო: „სულ ერთია, ახლა უკვე გვიან არისო.“ მე მაშინ ასე გავიგე ეს თქმა: სულ ერთია, უკვე მოასწრეს პიესის გამოთათხვაო. მისი სიკვდილის შემდეგ ვიგრძენი ამ სიტყვების სხვა მნიშვნელობა. მთაქოვსკი გამომემშვიდობა და წავიდა. მას შემდეგ იგი აღარ მინახავს.



ქარტლელი

მაიაკოვსკის გარდაცვალების რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი ქვეყანაში ლოში. მთავარ ქუჩაზე ხეებია ვარდის ყვავილებით (ხავერდები). რიონი: მის ნაპირას ტალანიანი სახლები, შავი ქეიშა, წითელი წყალი, — წინა დღეს სწვიმდა და მან ჩარეცხა მდინარეში წითელი თიხა, ამიტომაც მდინარე წითელია. მეორე დღეს რიონი უკვე რუხი იყო, პატარა ბიჭები დასცურავენ შმაგ მდინარეში, ოსტატურად უვლიან გვერდს წყლის ზედაპირზე ამოჩრილ ქვებს. თამაშობენ სილაზე. ოცდახუთმეტი წლის წინათ ასევე ატარებდა დროს მაიაკოვსკი:

„А я  
Убег<sup>1)</sup> на берег Риона  
и шаялся  
Ни черта не делая ровно,  
Без груза рубах,  
Без башмачного груза,  
Жарился в кутанском зное.  
Вворочивал солнцу то спину,  
то пузо,  
Пока под ложечкой не заноет“.

მაიაკოვსკის დასთან, ოღლა ვლადიმერის ასულთან ერთად, ჩვენ დავდიოდით ქალაქში და ვათვალისწინებდით სახლებს, სადაც ცხოვრობდა მაიაკოვსკი. ერთი სახლის წინ იჯდა მიხრწნილი მოხუცი ქალი. ოღლა ვლადიმერის ასულმა ჰკითხა მას: ვერ შეცანიით? საკმარისი იყო სახელის წარმოთქმა, რომ მოხუცმა ქალმა, რომელსაც ოცდაათი წელი აღარ ენახა ოღლა ვლადიმერის ასული, ხელად გაიხსენა ის, ქუთაისიდან წასული პატარა გოგონა. დაიწყო მათი ერთად ვატარებული დღეების მესხიერებაში ზმამალა აღდგენა. „აი ამ ღობეზე უყვარდა ვალოდიას ჩამოჯდომა“ და სხვა. ამ შეხვედრამ დამარწმუნა, რომ მაიაკოვსკების ოჯახი ძალიან უყვარდა აქ ყველას.

ქუთაისიდან ოცდაათი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს დიდი ბალნეობიანი სოფელი ბაღდადი, რომელიც ახლა პოეტის სახელს ატარებს. აქ ხეობა ვიწროვდება და მთებში იჭრება.

წყნარი სოფლის ქუჩა. ქვიანი გზა. მესრები, ხოლო მესრებს იქით სიმინდის ყანები, ვენახები, მაცვლის ბუჩქები, ხეხილი.

Я видел места,  
Где инжир с анвой  
Росли  
без труда  
У рта моего“.

ქართული წარწერა: „მაიაკოვსკის ქუჩა.“ ქუჩის ბოლოში ხიდი მთის მდინარე ხანისწყალზე. საოცრად გამსჭვირვალე და საამუშრია ეს წყალი. ხიდის იქით გუჭუხიძის სახლი, სადაც დაიბადა მაიაკოვსკი. ჩვეულებრივი ქართული

<sup>1)</sup> თუმცა პოემის „შეყვარს“ ყველა გამოცემაში დაბეჭდილია „убег“, მე მგონია, ეს ბეჭდვითი შეცდომაა: უნდა იყოს „убегал“ იმიტომ, რომ აქ ყველგან მრავალგნითი მოქმედება და კიდევ იმიტომ, რომ მაიაკოვსკის არ უყვარდა სიტყვების დსვედო-სახალხო დამახინჯება.

სოფლური სახლი. მოხუცი ქართველი, რომელსაც მე გამოვესაუბრე, ზიბასუხებს, რომ ძალიან კარგად ანსოვს მიაკოვსკის მამა მეტყვევს, გულთბილად ლაპარაკობს მის კარგ ხასიათზე, გულშემატკივრობაზე, კაცობრივად კარგ დამოკიდებულებაზე. და მოხუცმა წარმოსთქვა სიტყვები, რომლებმაც გამოაცხადა: „ის იყო, როგორც ჩვენი მამა“. როცა გლეხი და ისიც ძველი რეჟიმის ოფიციალური ენის საზიზღარი გამოთქმით „ინოროდცი“ ასეთი სიტყვებით იგონებს მეფის მთავრობის ჩინოვნიკს, ეს ძალიან ბევრის მოქმელია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მიაკოვსკი ძალიან დაახლოვებული იყო მშრომელ ხალხთან და თავისუფალი იყო ნაციონალური შეზღუდულობისაგან. ეს მეტყველებს იმაზე, თუ რა ღრმადაა ჩამარხული მიაკოვსკის შემოქმედების ხალხურობისა და ინტერნაციონალიზმის ძირები.

ეს ძირები უნდა ვეძიოთ იქ, კავკასიის ქედს გადაღმა. მიაკოვსკი ცამეტი წლისა იყო, როცა დასტოვა საქართველო. იგი შემდეგ დროგამოშვებით ჩადიოდა თბილისში, ის თავს მასთან დაკავშირებულად გრძნობდა.

Только  
нога  
Ступила в Кавказ.  
Я вспомнил,  
что я —  
грузин”.

ნათელი და ამავე დროს ჩამუჭებული ზაფხულის ღამე. მამადავითის მთა. ქვევით ფართოდ გაშლილან თბილისის კაშკაშა ჭალები. ჩემი თანამგზავრი ქართველი მწერალი ამბობს: „ათი წლის წინათ აქ იდგა მიაკოვსკი, დასტკეროდა ამ ჭალებს, და მან სთქვა, თითქოს გადაყირავდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცაო.“

ვარსკვლავებით მოჭედილი საქართველოს ცა გადმოყირავდა მიაკოვსკის პოეზიაშიც. მასში იგრძნობა სუფთა, გამსჭვირვალე მთის ჰაერი, სიღრმე. და არა მარტო აზრებში, — თვით ხმებშიაც.

მთიულეთში (საქართველოს ერთ-ერთ მთიან რაიონში) მე მოვდიოდი არაგვის ნაპირას, ყურს ვუგდებდი ბობოქარი მდინარის ხმაურს და შემხვედრი გლეხების ლაპარაკს. ვგრძნობდი, რომ ქართული ენის ბგერებში აისახა საქართველოს ბუნება: ხორხისმიერ ბგერებში მსწრაფლმსროლავე ნაკადების ჩხრიალი მოისმოდა, ხოლო რუსეთის ველების მეტყველებებისთვის უცხო სისრულეში მთის მწვერვალები მოსჩანდნენ.

და იმავე ბგერების რელიეფურობა გვხვდება მიაკოვსკის პოეზიაში, განსაკუთრებით მიაკოვსკის პირიდან მოსმენილ პოეზიაში. ის ჰქუხდა საკუთარი ინტონაციების ვაეკაცურ ამღერებაში, თანხმოვანების ძალაში და ხმოვანების სრულადობაში. ამ ხმას შეეძლო ექუხა, როგორც მთის ზეაგს, და შეეძლო ადვილად აქრილიყო ცაში.

ის, ვინც ერთხელ მოისმინა ეს ხმა, რომელშიაც ქართული მწვერვალები გადამრავლებული იყო რუსული ველების სიფართოვეზე, ამას არასოდეს არ დაივიწყებს.

ზ. ელილი

## ს ა ი ნ გ ი ლ ო

ისტორიული წარსული

მოკლე მიმოხილვა

პატარა წინასიტყვაობა.—ქართველთა და ლეკთა ურთიერთობა ძველად.—  
ლეკთა პირველი ახალშენები.—ლეკების თანდათინ ჩამოსახლება საინგილო-  
ში.—შაჰაბასი და ყარაღაჩის ხანები.—ქარბელაქანი და მათი თემები.—  
თემების შინაგანი მოწყობილობა.—საქართველოს აკლება-აწიოკება ლეკები-  
საგან.—აზერბაიჯანის დარბევა.—რას უშვებოდნენ ლეკები ტყვეებს? —  
მონებით ვაჭრობა ქარში.

მთელ იმ ტერიტორიას, რომელიც დღეს საინგილოს უჭირავს, და მის  
გაგრძელებას ხალხალამდის უძველეს დროიდანვე ჰერეთი ერქვა. მის საზ-  
ღვარს აღმოსავლეთით ხალხალი<sup>1)</sup> შეადგენდა, ხოლო სამხრეთით — ქალაქი  
ჰერა, რომელიც მდ. ალაზნისა და ივრის შესართავთან მდებარეობდა.

შემდგომში, როცა აქ ქართველთა მოსახლეობა და ძალა-უფლება შესუსტ-  
და და ჰერეთი დღევანდელ საინგილოს ფარგლებში მოექცა, მისი სახელწო-  
დებაც შეიცვალა. სახელწოდება ჰერეთი ისტორიას ჩაჰპარდა და დარჩენილ  
ტერიტორიას გაღმამხარი ანუ კაკ-ელისენი ეწოდა. მშართველად ამ ქვეყნისა  
მოქრავი ინიშნებოდა, რომელსაც რეზიდენცია ხშირად დღევანდელ ალია-  
ბათში ჰქონდა (ალიაბათს მაშინ ელისენი ერქვა). გაღმამხარი მაშინ კახეთის  
სამეფოს ფარგლებში შედიოდა და კახეთს ემორჩილებოდა. საინგილო მაშინ  
მჭიდროდ იყო დასახლებული, ისე მჭიდროდ, რომ ერთ ბატონიშვილს  
უთქვამს თურმე — როდის გამიტიალდება გაღმამხარი, რომ სანადირო ადგი-  
ლი მქონდესო. ეს მოსახლეობა მხნე დარაჯად ედგა საქართველოს აღმოსავ-  
ლეთ საზღვრებს. მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისში საშინელმა გრივალმა  
და ქართველთა გაღმამხარს კახეთს, განსაკუთრებით საინგილოს, რასაც  
მოჰყვა საქართველოს ძალა-უფლების ძალზე შესუსტება გაღმამხარში და  
დაღესტნელი ლეკების საბოლოო ჩამოსახლება.

ამ ლეკებმა გაღმამხარში ორი პოლიტიკური ერთეული ჩამოაყალიბეს. ეს  
ერთეულები იყვნენ: ქარ-ბელაქან-ავარელ ლეკთა თემების კავშირი, რომელ-  
თაც ზელთ იგდეს საინგილოს ტერიტორიის ორი-მესამედი (დღევანდელი  
ზაქათლისა და ბელაქანის რაიონები), და ელისუს სასულთნო — წაზურელ  
ლეკთა პოლიტიკური ერთეული (დღევანდელი კახის რაიონი).

<sup>1)</sup> იხ. „მნათობი“, № 5.

<sup>2)</sup> ხალხალი მდებარეობს უდინების დღევანდელ სოფ. ვართაშნის მახლობლად.

ამრიგად საინგილოს სურათი შეიცვალა და მისი ეროვნულ შემადგენლობაც ძალზე აჭრელდა. საინგილო ვალეკდა, მასში ქართველებს კაცობრივად დენობა-და დარჩა, ისიც მარტო კახისა და ზაქათლის რაიონებში.

ქართველებსა და დაღესტნელებს, განსაკუთრებით კი ავარელებს, უძველეს დროიდანვე ჰქონდათ ურთიერთობა, მეგობრობა და ნათესაური კავშირი. ამავე დროიდან იწყება წარჩინებულ ავარელთა გადმოსახლება საქართველოში. ცნობილია, რომ ჯერ ისევე ვურამ მეფის დროს საქართველოში გადმოსახლდა დაღესტნიდან სამი ძმა წილოსანი, როსტომი და ბაბილა, მათთან მოიყვანეს 70 ყმა და ქსნის ხეობაში დასახლდნენ. ისინი შეიქმნენ ქსნის ერისთავების წინაპრებად. მათ მოჰყენენ შემდეგში დაღესტნიდან სხვა წარჩინებული პირნი<sup>1)</sup>. მათ ჩქარა ისეთი პატივი და ყურადღება დაიმსახურეს, რომ ქართველთა მეფეებმა თავიდაშვილის ხარისხი მისცეს.

ნათესაური კავშირიც არა იშვიათი იყო ქართველებსა და დაღესტნელებს შორის. ცნობილია, რომ კახეთის მეფეს ლეონს ცოლად ჰყავდა დაღესტნის მამხალის ქალიშვილი.

ქართველთა და ლეკთა ურთიერთ პატივისცემა იმდენად ძლიერი იყო, რომ ავარელთა სახანოში დადგენილებაც კი იყო: თუ ვინცოთაა ოდესმე ავარიის ხანთა ჩამომავლობა ამოწყდებოდა, ხანად წარჩინებულ ქართველთაგან უნდა ამოერჩიათ<sup>2)</sup>.

საქართველოს აღორძინების ხანაში, დაწყებული დავით აღმაშენებლიდან, დაღესტანი საქართველოს სამფლობელოს ნაწილს შეადგენდა და ქართველთა ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდა. განათლება, მწიგნობრობა და ქრისტიანობა ქართველებმა შეიტანეს დაღესტანში. ქართველმა სამღვდლოებამ მთელი ეპარქიები დააარსა და ეკლესიები ააშენა. ეს ეკლესიები ზოგან დღესაც ხელთუხლებლად დგანან და უტყუარი მოწმენი არიან ქართველთა გავლენისა დაღესტანზე.

ასეთი გაძლიერებული მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა იყო ქართველებსა და ლეკებს შორის. ამ ურთიერთობისა და მისვლა-მოსვლის დროს ლეკები აშკარად ჰხედავდნენ საქართველოს ბუნების სიმდიდრეს. იქ, დაღესტანში, ხრიოკი, ტიტველა მთები, სადაც ხშირად ხეირიანად ბალახიც კი არ მოდის, აქ კი ირგვლივ მწვანით შემოსილი მიდამო, უღრანი ტყეები და ხეხილთა და ბალ-ვენახით სავსე სოფლები. იქ წვიმით და თქემით ჩამორეცხილი მთის კალთები, რომელნიც იმდენს მოსავალსაც კი არ იძლეოდნენ, რომ კაცს ცოლშვილი ნახეარი წლის განმავლობაში გამოეკვებნა, აქ კი ნოყიერი, ლონიერი ადგილები, რომლებიც ზღვა მოსავალს იძლევიან. ამას დაუმატეთ მიწის სივიწროვე დაღესტანში, რომელზედაც ველარ დატუულიყო ძალზე მომრავლებული მოსახლეობა. ბუნებრივი იყო, თუ ის მდიდარ საინგილოსაკენ გამოიქცირებოდა. ძველად მარტო წარჩინებული ლეკები მოიწვედნენ საქართველოსაკენ და აქ ესახლებოდნენ, ახლა გლეხობა, ღარიბი მოსახლეობაც მოიწივეს აქეთკენ. ლეკები ჩამოდიან საინგილოში სამუშაოდ: ხელზე მოსამსახურებად, მკალავებად, დურგლებად. ამ ხალხს ინგილოები გულდადრებს ეძახიან, ე. ი. გულგაღვლილებს, ღარიბ-ღატაკებს, და სხვადასხვა სამუშაოში იხმარიებენ. აქეთკენვე, შირაქსა და აღიაზლოში, მოჰყავთ ლეკებს თავიანთი

<sup>1)</sup> იხ. ურ. „ივრია“, 1884 წ., № 4.

<sup>2)</sup> იხ. „Сборник о кавказских горцах, сказания очевидца о Шамиле“.

ცხვის ფარები და საზამთრო საძოვრებს იმართავენ. ზოგნი მათგანი სულაც რჩებიან საინგილოში, აქა-იქ გვედლებიან ქართველ სოფლებს, ყველაზე ახალშენი ლეკებისა, რომლის შესახებაც ისტორიას ცნობა გვეძლევა. აქა-რი იყო. აი ამის შესახებ რას ამბობს ბატონიშვილი ვახუშტი: „მთებს იქით არის ფიფინეთი, სადაც მეფე ლეონმა დაასახლა ლეკები (იგულისხმებიან ავარულნი), რათა ზაფხულობით ეზიდნათ მისთვის მთებიდან ყინული, და ესე იყო თვინიერ არჩილამდე. შემდეგ ფიფინს დაერქვა ქარი. ლეკებმა ის გადააქციეს სიმაგრეთ და განითქვეს სახელი“<sup>1)</sup>. ასეთსავე ცნობას ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“.

ეს გადმოცემა შემდეგის შესწორებით უნდა მივიღოთ. თვით ფიფინეთი მაშინ შვიდროდ ყოფილა დასახლებული ქართველებით, რის დამამტკიცებელიც არის დღესაც დაცული ამ ადგილებში სამი ეკლესია და დიდ მანძილზე მოფანტული მრავალი ნასახლარი. სოფელს გვერდით ჩამოუდის მდინარე თალაჩაი, კავკასიის მთებიდან გამომდინარე, რომლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ქარი. ლეკები სწორედ ამ ადგილებში (სადაც დღევანდელი ქარი არსებობს) დაუსახლბია ლეონ მეფეს და არა ფიფინეთში, ე. ი. მდინარის მეორე მხარეს, საიდანაც პირდაპირი გზა მიდის დაღესტნისაკენ და უფრო ადგილიც იქნებოდა ყინულის ჩამოტანა. თვით სახელი ქარი ლეკურად ნიშნავს ვზა-კვალს, რითაც ლეკნი დაღესტნისაკენ გასაველს აღნიშნავენ.

ამ პირველ ახალშენს, რასაკვირველია, სხვა ახალშენებიც მოჰყვებოდა. მელაქნის ზემოთ, კარგა მოშორებით, მეორე წყება ლეკებმა ტყე გასჩეხეს და ჩასახლდნენ და როცა შემდეგ ლეკები მომაგრდნენ საინგილოში, ძირს ჩამოვიდნენ და სოფელი კავახიოლი დააარსეს.<sup>2)</sup> მათ მიჰყვნენ სხვა ახალშენებიც. ქართველი სოფლების წყებას ნელნელა ლეკთა სოფლების წყებაც მისდევდა. იგივე ვახუშტი ამბობს, რომ XVI საუკუნის დასასრულს გაღმამხარში ლეკები უკვე შესამჩნევ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. ისინი ჯერჯერობით წყნარად იყვნენ, კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ და ყრველ გადასახლასა და ხარკს ისევე იხდიდნენ, როგორც თვით კახეთის მოსახლეობაო.

დადა 1616 წელი, როდესაც ისტორიაში არ გაგონილი ქართველი და საშინელება დაატყდა კახეთს, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილს, გაღმამხარს — საინგილოს. ამ წელს შემოესია კახეთს ირანის მბრძანებელი შაჰ-აბასი. ეს შემოსევა და აწიოკება უმაგალითო იყო ისტორიაში. მარტო დღევანდელ საინგილოდან, — ამბობს ისტორიკოსი დიმ. ჯანაშვილი, — შაჰაბასმა გადაასახლა ირანში 100.000 სული, გარდა იმისა, რაც ადგილობრივ იყო გაწვეტილიო. ამ ქვეყნის ამოწყვეტასა და აკლება-აწიოკებაში განსაკუთრებით დიდს როლს თამაშობდნენ ავარული ლეკები. შაჰაბასმა, შემოესია თუ არა კახეთს, მაშინვე მოწოდება გაუგზავნა ლეკებს, სთხოვდა — გზები შეეკრათ ქართველთათვის, მთებში არ გაეშვათ გასაბიზნად, ამოეწყვიტათ მცხოვრებნი და გადაებუგათ მთელი კახეთი. სამაგიეროდ კპირდებოდა დიდს წყალობას და განთავისუფლებულ ადგილების ჩუქებას. წაქეზებულნი შაჰაბასის ამ დაპირებით, ლეკები მხნედ შეუდგნენ ბრძანების ასრულებას. კალამი ვერ ასწერს იმ საშინელებას, რასაც ლეკები ჩადიოდნენ: სპარსელებმა არ

<sup>1)</sup> ვახუშტი — „გეოგრაფია საქართველოსი“.

<sup>2)</sup> ასე გადმოიცეს თვით კავახიოლის ლეკებმა, რომლებიც ამბობენ, რომ ჯერ ჩვენს სოფელი ტყეში იყო და შემდეგ ჩამოვედით აქაო.

იკოდნენ მთებში გზაკვალი, სადაც ქართველები იხიზნებოდნენ, ლეკები მიუძღოდნენ წინ, გზებს უჩვენებდნენ სპარსელებს და მათთან ერთად ანადგურებდნენ გახიზნულ ქართველებს. მთელი დაღესტანი მარტოა ქაბუხეთს და გაღმამხარს და რაც სპარსთა მახელის გადარჩა, იმას ისინი უღებდნენ ბოლოს. „მთელი კახეთი, — ამბობს შაჰაბასის თანამედროვე მწერალი ისკანდერ მუნში, — ისეთს დღეში ჩაეარდა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს ქრისტიანობას, მას შემდეგ რაც მუსულმანობა გაჩნდა ქვეყანაზე“.

დიახ, გაწყდა, დაცარიელდა მარგალიტი საქართველოსი — გაღმამხარი, ნაცრად იქცა სწავლა-განათლების კერა ბელაქანი, ამოვარდნენ და განადგურდნენ ისეთი დიდი სოფლები, როგორიც კატეხია, ჯინიხი, ფიფინეთი, ლოქართი და სხვა მრავალი. აზრებულ და გაპარტახებულ სოფლებში დიდი ხნის შემდეგ ძლივს გამოჩნდა აქა-იქ ლინდადქეული თითო-ოროლა ქართველი, მთის უღრან ტყეში გადაარჩენილი. ტურფა გაღმამხარი — საინგილო გაქპრა, ამოვარდა.

ლეკები ამის შემდეგ დაუბრკოლებლად ჩამოდოდნენ საინგილოში და ავსებდნენ დაცარიელებულ სოფლებს. მათ ყოველმხრივ დახმარებას უწყევდნენ სპარსელების მიერ დაყენებული ხანები, რომელთაც რეზიდენცია ყარაღაჯში ჰქონდათ, საინგილოსა და ქიზიყის საზღვარზე. ჯერ ისევ შაჰაბასმა, საინგილოდან გასვლის დროს, ყარაღაჯში ხანად დაყენებულ ფეიქარხანს უბრძანა — ტკბილი სიტყვით ჩამოეტყუილებინა მთებიდან გახიზნული ქართველები და შემდეგ ისინიც ამოეწყვიტა და მოესპო.<sup>1)</sup>

შაჰაბასის ამ ანდერძს გულმოდგინედ ასრულებდნენ ფეიქარხანის შემდეგი ხანებიც, რომელნიც განგებ საქართველოს ამოსაგდებად იყენენ გამწესებულნი. მათ თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა, ისინი დღემუდამ უსევდნენ ლეკებს ქართველებს. მათი სამართლით, ლეკი, თუ იგი ქართველს მოჰკლავდა, საჩუჭრისა და ჭების ღირსი იყო, თუ პირიქით, ქართველი მოჰკლავდა ლეკს, მაშინ თავს მოჰკვეთდნენ ქართველს.

ამგვარმა პოლიტიკამ თავისი გაიტანა, გაღმამხარი ლეკებით გაივსო და უკვე ორგანიზებულად შეუდგნენ ამ ქვეყნის ამოწყვეტას.

აქ საჭიროა ცოტა შევჩერდეთ და ორიოდ სიტყვით დავასურათოთ შინაური წესწყობილება ლეკთა ამ თემებისა.

მართვა-გამგეობის სისტემა ლეკებმა უცვლელად გადმოიტანეს თავიანთი სამშობლო დაღესტნიდან. იქ კიდევ, როგორც საქართველოს მთიან ადგილებში ძველად, თემური წყობილება იყო გამეფებული. ეს დრომოკმული სახე წესწყობილებისა გაამეფეს ახლად დაქერილ ქვეყანაშიც. საინგილოში ახლად დასახლებული ლეკთა სოფლები ეჭვს თემად გაიყო; ბელაქანისა — სოფლებით წინუბანი, ჰანდრისხევი და ბელაქანი თავიანთი ბინებით; ქარისა — სოფლებით: გოგამი, მაწიხი, სუმაილო, ყაბიზდარა, ყარაღაჯლო, დარდოკაში, ჰარი; კატეხისა — სოფლებით: გუდარები, თვით კატეხი, დონლუზბურუნ, ყაიმულალა; თალისა — სოფლებით: კარვეხი, თვით თალა აუარებელი ბინებით (ეს ბინები იწყება თვით სოფელთან, რომელიც კავკასიის მთების ძირში მდებარეობს, და გრძელდება ალაზნამდის); ჯინიხისა — სოფლებით: ჯინიხი, გოზბარახი, ჯიმჯიმახი, ალასკარი, მამქეხი; მურბახისა — სოფლებით: ზემომურხახი, ქვემომურხახი, საფუჩნი.

<sup>1)</sup> ან. ფურცელაძე — „ბრძოლა საქართველოს მოსახლობლად“.

შინაგანი ცხოვრება სოფლების ამგვარი იყო: ყოველი სოფელი დაყოფილი იყო გვარებად, ანუ ლეკურად თოხუმებად. ყველა საგვარეულოს ჰყავდა თავისი მამასახლისი — ქეთხუდა. თოხუმის ყველა წევრი თანასწორი უფლებებით სარგებლობდა. ამიტომ ყველას შეეძლო არჩეულიყო საგვარეულის წარმომადგენლად — ქეთხუდად, მაგრამ შემდეგში ეს თანამდებობა ანუ ქეთხულობა გვარეულობის გამდიდრებულმა წარმომადგენლებმა ჩაიგდეს ხელში და მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. გვარეულობის ქეთხუდა თავმჯდომარეობდა საგვარეო საქმეების გარჩევის დროს ჯამაათის ყრილობაზე და წარმომადგენლად იგზავნებოდა როგორც სხვა საგვარეულებთან, ისე სხვა თემებთან საჭირო სათემო საქმეების მოსაგვარებლად და ვადასაწყვეტად.

საგვარეულო ქეთხულების გარდა, ყოველ სოფელს ჰყავდა: სასოფლო ქეთხუდა, იმამი ყოველგვარი სარწმუნოებრივი საკითხის გასარჩევად და მოსაგვარებლად, ტაბუნბაში, რომელსაც სისრულეში მოჰყავდა ქეთხულებისა და ჯამაათის გადაწყვეტილებანი, და ჩოუში ანუ გზირი გასაგზავნ-გამოსაგზავნად.

თემის სათავეში ჯამაათი იდგა. ყოველი საკითხი ჯამაათის ყრილობაზე უნდა გარჩეულიყო და მისგან მიეღო დასტური და ნებართვა. თემს თავისი მთავარი სამმართველოცა ჰქონდა, რომელიც შესდგებოდა სოფლისა და დიდი საგვარეულოების ქეთხულებისა და ყაზისაგან. მთავარ სამმართველოს ფუნქციაში შედიოდა ურთიერთობის გაბმა კავშირის სხვა თემებთან, საქმისწარმოება და კავშირი ამიერ-კავკასიის სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან (ხანებთან, ბეგებთან, მეფეებთან და თავადებთან), ომისა და ზავის საკითხები, მამულების სადაო საქმეების გარჩევა, ხარჯების აკრეფა და სხვა. ამასთან ეს სამმართველო უზენაესი სასამართლოც იყო თემისა, არჩედა საგვარეულოსა და თემებში მომხდარ საქმეებს, თანამდებობის პირობაგან ჩადენილ ბოროტმოქმედებას და სხვ. იგივე სამმართველო მზრუნველობა-დანმარებას უწევდა ქვრივობლებს, უმწეო მოხუცებს და გაჭირვებულ-დავრდომილებს.

თუმცა ომისა და ზავის პირობებს სამმართველო იმუშავებდა, მაგრამ მისი ეს გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა ყოფილიყო ჯამაათის ყრილობაზე და მისი დასტური და თანხმობა უნდა მიეღო.

ამგვარად იყო მოწყობილი ექვსივე თემი. შინაურ ცხოვრებაში ისინი დამოუკიდებელი იყვნენ. იმ საკითხებს კი, რომელნიც ყველა თემს ეხებოდა, საერთო ძალღონით იმუშავებდნენ. თუმცა ეს თემები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, მაგრამ სინამდვილეში ჭარი იდგა კავშირის სათავეში, იგი განაგებდა და მზრუნველობდა ყველაფერში, ის იყო დედაბოძი მთელი კავშირისა. მის, როგორც უხუცესი თემის, ხელში იყო ძალა-უფლება და დროშა კავშირისა. ჭარს პრესტიჟი და გავლენა დიდი ჰქონდა როგორც კავშირში, ისე უცხო ერებთან დამოკიდებულებაში. ამასთან იგი ყველაზე უფრო მდიდარი და შეძლებული იყო — ისეთი დიდი მამულები არც ერთ თემს არ მოეძებნებოდა. ბელაქანი და კატეხი თავიდანვე მისი მამანალები იყვნენ, ჭარის თემის ყოველივე გადაწყვეტილებას და სურვილს ისინი უსიტყვოდ იღებდნენ. შემდეგში ასეთსავე ყოფაში ჩავარდნენ სხვა თემებიც. ერთის სიტყვით, ჭარი მზრუნველობდა, დანარჩენი თემები მის სიტყვა-განკარგულებას ასრულებდნენ. თვით კავშირი მთელ ამიერ-კავკასიაში ცნობილი იყო ჭარ-ბელაქანად ან მარტო ჭარად.

ის საქმეები, რომელთაც საერთო მნიშვნელობა ჰქონდათ ყველა თემისა-



თვის, საერთო კრებაზე ირჩეოდა. ამ კრებაზე დასწრება და მონაწილეობის მიღება, გარდა ქეთხუდებისა, ყველას შეეძლო. ყრილობა ერთხელვე არჩეულ ადგილას ხდებოდა. ეს ადგილი მუხახის ხეობაში მდებარეობდა, ~~ჩვენს მხარეში~~ მინდორზე. იქ გამოტანილი დადგენილება და გადაწყვეტილებას ~~სხვა~~ ~~სხვა~~ იყო თემის ყველა წევრისათვის.

თემი ავიარელ ლეკებისაგან შესდგებოდა. მათში ერია თითო-ორილა ქართველიც; უკვე გალექებული. ახალი წევრების მიღება თემში უჯამაათოდ არა ხდებოდა. ჯამაათს ის პირი, ვისაც მასში შესვლა სურდა, უნდა ეშვილნა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით—და მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა იგი სრულუფლებიანი წევრი ჯამაათისა.

ასეთი იყო შინაგანი ცხოვრება ჭარ-ბელაქნისა, გარეგნობით კი იგი ნამდვილ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. ჭარი ის ადგილი იყო, სადაც თავს იყრიდნენ და ირახმებოდნენ დალესტნიდან ჩამოსული ლეკები, უერთებოდნენ ადგილობრივ ლეკებს და გამოჩენილი ბელადების ხელმძღვანელობით სადავლოდ მიდიოდნენ. ლეკები უმთავრესად პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდნენ, თუმცა არა იშვიათი იყო დიდი ბრძოლებიც დიდი გაწოთნილი ჯარით.

დღიდან მათი საბოლოო დამკვიდრებისა გაღმამხრის ტერიტორიაზე და ძალუფლების ხელში ჩაგდებისა, იწყება გაუთავებელი და დაუსრულებელი ბრძოლა და თავდასხმა საქართველოსა და აზერბაიჯანზე, უმთავრესად პირველზე. მთელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე სწარმოებდა ეს გაუთავებელი ბრძოლა, რომელსაც დასასრული და ბოლო არ უჩანდა და რომელიც ძალიან ხშირად მეტად მწვავე ხასიათს ღებულობდა.

სავალალო და სამწუხარო ამ ბრძოლებში ხშირად ის იყო, რომ ზოგჯერ თვით ქართველები ემზრობოდნენ ლეკებს, რითაც საქმე უფრო რთულდებოდა და საფრთხეში ვარდებოდა მთელი ქვეყანა. „გალეკდნენ ქიზიყელნი და გაღმამხარელნი და მისცეს პირი ლეკთა“, ამბობს ერთ ადგილას „ქართლის ცხოვრება“. „გლეხები ხომ გულუბრყვილონი არიან და ადვილად იჯერებენ ყველაფერს: ისინი მიემზრნენ ლეკებს და მათთან ერთად მოქმედებდნენ ჩვენს წინააღმდეგ“, — სწერს იმამ ყულიხან, კახეთის ბრძანებელი.

დღესაც ბევრს ახსოვს შიშის მომგვრელი ლეკთა ბელადების სახელები. ესენი იყვნენ: მელაჩი, ჩანჩელ მუსა, ნურმამედი, კოხტა. ისე გათამამდნენ ისინი და ისეთი დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხზე, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, რომ შემდეგში, როცა რუსეთი დამკვიდრდა საქართველოში, ისიც ვერას გახდა ამ ქვეყნის ამომგდებ კოხტა-ბელადთან. ბოლოს, რათა მოემდლიერებინა და ქვეყნის აკლებაზე ხელი აეღებინებინა კოხტასათვის, რუსეთის მთავრობამ მას პენსია დაუნიშნა — 300 მანეთი წელიწადში.<sup>1)</sup>

ადვილად წარმოსადგენია, რა ხეირი დაეყრებოდა საქართველოს ლეკთა მუდმივი თარეშისაგან. მთელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე ვაჭიმულია ეს გაუთავებელი და დაუსრულებელი ბრძოლა.

მაგრამ უმჯობესია თვით „ქართლის ცხოვრება“ ავალაპარაკოთ: „სობრებენ ლეკები ქართლ-კახეთს, რომელ აღარ იპოვება შენობა ქართლსა შინა თენიერ ციხეთა და სიმაგრეთა“. „ხოლო 1645 წელსა კვალად ატყდნენ ჭარელნი და დალესტნელნი რბევად გაღმამხრისა (საინგილოსი), ქართლისა და კახეთისა. ორასობით და სამასობით დადიოდნენ. მრავლად მრავალთა ადგილ-

<sup>1)</sup> იხ. A. K. A. K., ტ. IV.

თა და დიდათ შეიმჭირნეს ქვეყანა“. „ქართლი ლეკებით საგნე იყო აღვილი აღარ იყო, რომ ლეკი არ ყოფილიყო“. აი რასა სწერს იმამ ყულიბანი (დავით II), კახეთის მეფე, სპარსეთში მაშინ მთავარ-სპასალარად მყოფი მუსლიმანური შვილს ვახტანგს: „მტრისა მახვილი მოსვენებას არ გვაძლევს, ლეკნი თანდათან უფრო იკრეფენ ძალ-ღონეს და მრავლდებიან. ისეთი კეთხე არ არის, სადაც მათგან სისხლი არ იღვრებოდეს. თუ შენმა შეამდგომლობამ დახმარება არაფერი აღმოგვიჩინა, მაშინ ჩვენი საქმე წასულია, ჩვენი ქვეყანა დაიღუპება საუკუნოდ. აჭამდის ჩვენ გვეზოდონენ ბელაქნელი ლეკები, ეხლა მათ მიემატნენ გულხადრები (დაღესტნის ლარიზ-ლატაკი ლეკები). ლეკებმა ხელთ იგდეს აგრეთვე რამდენიმე თავადი. ისწრაფეთ ფიცხლავ მოგვეშველოთ, თორემ ცუდი დღე დაგვაადგება.“<sup>1)</sup>

ამგვარი ცნობებით საგნეა როგორც „ქართლის ცხოვრება“, ისე იმ დროის ყველა ქრონიკა და ისტორიული წყარო. ასეთი საზარელი ამბები ტრიალებდა დღე-მუდამ არა თუ საინგილოში და ქართლ-კახეთში, არამედ იმერეთსა და ახალციხეშიც. აი რას ვკითხულობთ იმავე „ქართლის ცხოვრებაში“: „დაღესტნის ჯარი გადავიდა იმერეთს, რაჭის სოფლები მოარბიეს, სამასამდის ტყვე ქრისტიანი იშოვეს და წამოვიდნენ. ახალციხის ფაშა კიდევ ერეკლე მეფესა სწერს: „ჩემი ქვეყანა ლეკმა გააიხრა და მრავალი საქონელი წარიტაცა.“<sup>2)</sup>

ზოგჯერ ქვეყნის მმართველნი ფულით ცდილობდნენ ლეკების დამშვიდებას. 1714 წლიდან კახეთის მეფე, შემოსენებული იმამ ყულიბანი ას თუმანს აძლევდა ლეკებს ყოველწლივ. 1722 წელს ლეკები თბილისს დაეცნენ და 60.000 მანეთი გადაახდევინეს მტხოვრებთ. 1734 წელს ნადირშაჰმა სპარსელთა და კახელთა შეერთებული ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ, მაგრამ ლეკებმა სძლიეს და უკუაქციეს. განშეორებით გაგზავნა კიდევ ნადირშაჰმა უფრო ძლიერი ჯარი მათ წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ვერ გასტეხა ლეკები.

ქართლ-კახეთის გარდა, ლეკებისაგან მოსვენება არა ჰქონდა აზერბაიჯანსაც. ნუხის ხანი და ელისუს სულთანი სულ ფეხქვეშ ჰყავდათ გათელილი. ტახტზე ვერც ერთი ვერ ავიდოდა, თუ ქარ-ბელაქნისაგან ლოცვა-კურთხევას არ აიღებდნენ. თუ უიმითოდ ავიდოდნენ ტახტზე, მყისვე უკანვე გადმოაგდებდნენ. შორეულ განჯასა და შემახასაც არა ერთი მწარე დღე ახსოვს მათგან. 1710 წელს შემახას მიუცვიდნენ, აიღეს იგი და დიდი ხარკი გადაახდევინეს მთელი შირვანი გაძარცვეს და შტერად აქციეს.

მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ქარი თავის მოკავშირე თემებით სუქქდა და ჰქუხდა. თავზარსა სცემდა არა მარტო საქართველოს და აზერბაიჯანს, — შორეულ ქვეყნებსაც. მისი სახელი შორს იყო გავარდნილი, კავკასიის იქითაც. ოსმალეთი და სპარსეთი აღარ აცდიდნენ ერთმანეთს, რომ თავისკენ გადაებირებინათ ქარელნი და თავის მომხრედ გაეხადათ. 1742 წელს ოსმალეთის დიდი ვეზირი წერილობით მიჰმართავს ქარელებს, ქება-დიდებას შეასბამს მათ და სთხოვს სპარსელებთან ბრძოლის დროს მხარი მისცენ და დახმარება აღმოუჩინონ ოსმალეთს. მათვე მიმართა ინგლისელმა პოლკოვნიკმა მარტერსონმა, რომელმაც პირადად ინახულა ქარელები და სთხოვა, დახმარება აღმოუჩინონ სპარსეთისათვის რუსებთან ბრძოლის დროს.

<sup>1)</sup> იხ. ბროსეს Historie de Georgie, ტ. II.

<sup>2)</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 476, 487, 491, 435, 457.

მთავარ ობიექტს ლეკების მტაცებლობისას ხალხი შეადგენდა. ლეკები აშკარად ნადირობდნენ ხალხზე, იტაცებდნენ ყველას — დიდსა და პატარას, ქალსა თუ კაცს. მთელ ქართლ-კახეთში ისეთი მდგომარეობა იქმნებოდა, რომ მინდორში კაცი ვერ გასულიყო, თუ თავით ფეხებამდის შეიარაღებული არ იქნებოდა.

რას უშვებოდა ქარ-ბელაქანი მოტაცებულ ხალხს, ტყვეებს? საწარმოები და პლანტაციები მას არ გააჩნდა, რომ იქ ემუშავებინა და მოეხმარა ამდენი მუშა ხალხი. მაშ სად მიჰყავდათ, რას უშვებოდნენ ამოდენა ხალხს? იმ დროს, როგორც ცნობილია, ბევრს ქვეყანაში არსებობდა სამარცხვინო ხელობა, რომელსაც მონობით ვაჭრობა ერქვა. თვით დასავლეთ საქართველოშიაც, შავის ზღვის სანაპიროზე, გაჩაღებული იყო ასეთი ვაჭრობა და არა ერთი და ორი ქართველი იყიდებოდა ოსმალეთის ბაზრებში. ასეთივე ამბავი იყო დაღესტანში. მოტაცებული ხალხი, რომლის უმრავლესობასაც ქართველები შეადგენდნენ, კარგ სავაჭრო მასალას წარმოადგენდა. ჰარამა ფართოდ გახსნა ეს სავაჭრო ბაზარი და ჩქარა ისეთი სახელი გაითქვა მონობით ვაჭრობაში, რომ პირველი ადგილი დაიჭირა მთელს კავკასიაში. აქ მოდიოდნენ სავაჭროდ ოსმალეთისა და სპარსეთის შორეული ადგილებიდანაც კი. ჰარი გულუხვ მასპინძლობას უწყევდა მათ. მაგრამ თუ მონების ფასი დაეცემოდა ადგილობრივ, მაშინ ლეკს თითონ მიჰყავდა ტყვეები გასასყიდად ოსმალეთის დიდ სავაჭრო ბაზრებში. ახალციხე, რომელიც იმ დროს ოსმალეთის სამფლობელოს წარმოადგენდა, ხშირად სავსე იყო ხოლმე გასასყიდი ქართველებით. მაგრამ ლეკს თუ ტყვედ წარჩინებული ქართველი — თავადი ან სხვა ვინმე ჩაუვარდებოდა, ის მაშინვე არ გამყვანდა გასასყიდად, — უცდიდა პატრონებს და თუ კარგ გამოსასყიდ ფასს მისცემდნენ, ანთავისუფლებდა. ასე იტანჯებოდა მთელი აღმოსავლეთი საქართველო.

ამგვარი საქციელით ლეკები ორ საქმეს აკეთებდნენ: ჯერ ერთი, ქართლ-კახეთის მოსახლეობას ძალზე ამცირებდნენ, რომ შემდეგ მათ ნაოხარზე თითონ მოეკალათნათ, და მეორე — კარგა ფულს შოულობდნენ ამითი. თავზეხელაღებულ ლეკების საქციელს ბოლოს რუსეთმაც მიაქცია ყურადღება. მაგრამ მაშინ რუსეთს საკმაო ძალა არ გააჩნდა. ის მხოლოდ ეგრეთწოდებულ „კავკასიის ლინიაზე“ იყო გამაგრებული. ამიტომ მან მხოლოდ განკარგულება გასცა, გამოეყვანა ლეკთაგან მოტაცებული ქართველები, სომხები, ბერძნები და მიეცათ თითო კაცში 15 — 30 მანეთამდე, განთავისუფლებულნი დაესახლებინათ ასტრახანში ან ყიზლიარში და თუ ქართველები და სომხები ამას არ მოისურვებდნენ, ნება მიეცათ სამშობლოში დაბრუნებულყვენ<sup>1)</sup>.

ვერაფერს გახდა ლეკებთან თვით სახელგანთქმული მეფე ერეკლეც, ის ერეკლე, რომელმაც არა ერთი და ორი დიდი ბრძოლა მოიგო არა თუ საქართველოში, არამედ სპარსეთშიაც იქ მთავარსარდლად ყოფნის დროს. ერეკლეს სახელი და გმირობა შორეულ ევროპაშიც კი იყო გავარდნილი და თვით გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ამრიგად ამხნევებდა თავის ჯარებს: „ისე იბრძოლეთ, როგორც მეფე ერეკლეს ჯარი იბრძვის აზიაში“. აი ამ ერეკლეს გმირობამაც ვერაფერი გასჭრა მოთარეშე ლეკებთან.

ძალიან ძნელი იყო ლეკებთან ბრძოლა. ლეკები უმთავრესად პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდნენ, რომლისათვისაც დაუღვევლი რეზერვები ჰყავდათ.

<sup>1)</sup> И. Бутков—„Матер. для новой истории Кавказа“.

ამ რეზერვებს იძლეოდა მთელი დაღესტანი. ბევრჯერ აჯობა ერევანს, ბევრჯერ მიუხდა ქარ-ბელაქანს და აიკლო იგი, მაგრამ დაღესტნიდან ახლო-ახალი რეზერვები მოდიოდნენ და ხელახლა ესეოდნენ საქართველს.

## II.

## ვლისუს სასულთნო

## ქართული წყაროების მიხედვით

რას წარმოადგენდა ელისუს სასულთნო.—მისი მმართველნი გურამიშვილები.—შაჰის ფირმანები.—წახური და მისი ხეობა ძველად.—წახურელი ლეკების ნათესაობა ქართველებთან და მათი გადმოსახლება საინგილოში.—ელისუს სულთნები და მათი რეზიდენცია.—როგორ ეპყრობოდნენ სულთნები ინგოლოებს.—უქანასკნელი სულთანი დანიელ ბატონი.—მისი ოინები და შამილთან გაქცევა.—სასულთნოს გაუქმება.

მეორე პოლიტიკური ერთეული, რომელმაც გაღმამხრის აღმოსავლეთი ნაწილი დაიჭირა, მისი ტერიტორიის შესამედი იყო—ელისუს სასულთნო<sup>1)</sup>. ეს სასულთნო იწყებოდა კავკასიის მთების გადაღმა, წახურის ხეობაში (მდ. სამურის სათავეში, ქურინის სახანოს მიჯნიდან), იქიდან სამხრეთისაკენ გადმოდიოდა და სარუბაშ-ელისუს გზით ქურმუხის ხეობაში ჩამოდიოდა, შემდეგ გაივლიდა დაბა კახს, დღევანდელი კახის რაიონის ცენტრს, გარდი-გარდმო გადასჭრიდა საინგილოს და მდინარე ალაზნის მიჯნამდე მიდიოდა. დასავლეთით საზღვრავდა მას მდინარე მუხახჩაი და ყაპჩაი, აღმოსავლეთით შექის სახანო, მდინარეებით ყანიყობით და ეგრიჩაით. სიგრძე ამ სასულთნოსი 80 კილომეტრს არ აღემატებოდა, სიგანე — 10-15 კილომეტრს. ფართობი 2,100 კვ. კილომეტრს უდრიდა. რუსეთის დამკვიდრების დროს აქ 21.000 სული მოსახლეობდა.

უძველეს დროში ეს მხარე (ვანსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი ნაწილი) წუჭეთის საერისთაოს წარმოადგენდა და საქართველოს ფარგლებში შედიოდა. საქართველოსთვის მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მასზე გადმოდიოდა დაღესტნიდან დიდი გზა, რომელიც საინგილო-გაღმამხარისთვის იგივე დარიალისკარი იყო. ამ გზით შემოდიოდნენ უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიაში მოხეტიალე ურდოები საინგილოს ასაკლებად. ამ კარების ჩაქცევა, მისი დაცვა, მტრის არ შემოშვება შუაგულ საქართველოში კაცელებსა და წახურელებსა ჰქონდათ დავალებული. წახურში ამისთვის დიდი ციხე-სიმაგრე იყო აგებული, რომელსაც არაბთა გეოგრაფნი ყალატსიარს ეძახოდნენ და თან დასძენდნენ, ამგვარი ციხე-სიმაგრე ახლო-მახლო არსად მოიძებნებოა. საქართველოს ასაკლებად წამოსული მტერი ჯერ წახურსა და მის ციხეს უნდა დასტაკებოდა და თუ ის ვერ გაუძღებდა, მაშინ ციხე-კოშკებით გამაგრებულ კახი-ქურმუხის ვიწრო ხეობაში შეეგებებოდა მტერს ქართველობა. ორივე ეს სოფელი მზნე დარაჯად უდგა ამ თავისებურ დარიალის კარს და აქედან იცავდა დანარჩენს საქართველოს.

შეგრამ მარტო დაღესტნიდან არ მოელოდა შიში საინგილოს, უფრო მეტად საშიში იყო მისი აღმოსავლეთი მხარე, საიდანაც შემოდიოდა დიდი შარაგზა აზერბაიჯან-შირვანიდან. სწორედ იქ იყო საჭირო დიდი სიფრთხილე,

<sup>1)</sup> სიტყვა სულთანი აქ ნიშნავს ხანსა და ბეგს შუა წოდება-თანამდებობას.

რომ მტერს არ გადმოელახა იგი, გზა არ გაეკაფა საქართველოსაკენ საქართველოს მატთანე საესეა აქედან შემოსული მტრის ამბებით. თურქეთსანს მიდამოებში მოხეტიალე მონღოლთა ურდოებს არა ერთხელ ალყა შემოარტყდა საქედან საქართველო. მათ წინამძღოლებს ლალაფაშას, ალთემურის და ემტრჯანდოს ხსოვნა დღესაც არის დარჩენილი საინგილოში, და იმ ადგილებს, სადაც ურდოებს დაუბანაქნიათ, დღესაც მათი სახელი ეწოდება.

ეს ის გზა-ხიდი იყო ურდოებისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა გაევილოთ, თუ სურდათ საქართველოში შეჭრა და მისი მიწა-წყლის ხელში ჩაგდება. ამიტომ შემოჭრილს მტერს პირველად საქართველოს ეს სანაპირო კუთხე უნდა ჩაეგდო ხელში და ისე გაეკაფა გზა დანარჩენ საქართველოსაკენ. პირველად საინგილოს ანუ, ძველი ტერმინით, გაღმამხარს უნდა დასტაკებოდა და თუ ამას ვერ შესძლებდა, ვერც გზას გაიკვლევდა შუაგულ საქართველოსაკენ. ამ განაპირა მხარეს უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს თავდაცვაში გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ეს ის პლაცდარში იყო, რომლის დამპყრობსაც შეეძლო მუდამ შიშსა და შორჩილებაში ჰყოლოდა მთელი კახეთი და აღმოსავლეთი საქართველო. ასეთი დიდი მნიშვნელობა ამ მხარისა კარგად ესმოდათ ქართველ მეფეებს, ამიტომ ისინი მზრუნველობას არ აკლებდნენ მის გამაგრებას. მცხოვრებთ მუდამ ანებიერებდნენ, საჩუქრებით ავსებდნენ და აზატნი იყვნენ ე. ი. ყოველივე სახელმწიფო გადასახადისაგან თავისუფალნი.

ჩვენი ქვეყნის მტრებსაც კარგად ესმოდათ ამ ადგილის დიდი მნიშვნელობა და ყოველთვის ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. ამგვარი ცდა არა ერთი და ორი იყო. მაგრამ რაც ლალაფაშამ და ალთემურმა ვერ მოახერხეს, ის შესძლო ცბიერი შაჰაბასის პოლიტიკამ. ამ მტარვალმა მოახერხა ამ პროვინციის წაგლეჯა საქართველოსაგან. აი რას ამბობს ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“. „1602 წელს მოუღო კაკი კახეთის მეფე ალექსანდრე მეორეს და მის წილ მიიტვა შეიდასი თუმანი ყოველ წელს“. ეს ლაკონიური ცნობა „ქართლის ცხოვრებისა“ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამ აიძულა მეფე ალექსანდრე ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადაეღვა, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ძალმომრეობის აქტია. მეფე ალექსანდრეს იძულებულს გახდიდა შაჰი ასეთს კომპრომისზე წასულიყო.

ბატონიშვილი ვახუშტი შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ ამბავს: „ვახვახიშვილი წარსდგა შაჰაბასის წინაშე 1595 წელს, მიიღო მუსულმანობა და როცა მივიდა ერევანს, იხმო მეფე ალექსანდრე თავისთან, წაართვა კაკი და გაასულთნა იქ იგი,“ ე. ი. ვახვახიშვილი. მაგრამ გამაჰმადიანებულ ვახვახიშვილს დიდხანს არ უპარპაშნია. 1620 წელს შაჰაბასმა ვახვახიშვილს ჩამოართვა სულთნობა და გადასცა იგი გურამიშვილს. არც „ქართლის ცხოვრება“ და არც ვახუშტი არ იხსენიებენ, თუ რად გადასდგა ასეთი ნაბიჯი შაჰაბასმა და რად წაართვა სულთნობა ვახვახიშვილს. შესაძლებელია გურამიშვილმა თავდაპირველად არ გამოიჩინა სულმდაბლობა და არ უღალატა თავის ქვეყანას, მაგრამ შემდეგში, როცა დაინახა, რომ მის კუთვნილ სამფლობელოში სხვა პარპაშობდა, სჯული გამოიცვალა და შაჰაბასმაც მას გადასცა სულთნობა, ან შეიძლება ვახვახიშვილი არ გამოდგა შაჰის პოლიტიკის მუყაითი აღმსრულებელი და ამან აიძულა შაჰი ჩამოერთმია მისთვის სულთნობა. აი ეს ფირმანიც გურამიშვილის სახელობაზე გაცემული: „კაკის სამფლობელოს მიწებს, რომელიც ქართველი მეფეების სამფლობელოს შეადგენდა, უმოწყალებად ვუბოძებთ

გურამიშვილს (სპარსულად გურამ-ოღლი) და ამასვე ვნიშნავთ სამფლობელოს გამგე-მთავრად.<sup>\*)</sup>

სპარსეთს დიდი ხნის სურვილი შეუსრულდა, საქართველს მლქცდარმი ხელთ იგდო და შიგ თავისი კაცი ჩააყენა. შემდეგი შაჰები სპარსეთის დასტურებდნენ შაჰაბასისაგან ვაცემულ ამ ფირმანს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ორ ფირმანს: ერთი მათგანი ნაბოძებია 1624 წელს, ხოლო მეორე 1631 წელს შაჰსეფისაგან. პირველი მათგანი დაახლოებით შემდეგს ამბობს: „სამფლობელოს კაკისას, რომელიც ეკუთნოდათ და განაგებდნენ ქართველი გურამიშვილები, ვუმტკიცებთ მათ ჩამომავლობას ზაალბეგსა და კასუმბეგსა. ყმინი და ქვეშევრდომნი ამა სამფლობელოსი უნდა დაბრუნდნენ თავთავიანთს ადგილას, ასევე ემსახურონ ზაალბეგსა და კასუმბეგს, როგორც მათ მამას გურამოღლის“.

მეორე ფირმანში ნათქვამია „გეობეგმა გურამ-ოღლიმ (გურამიშვილიმ), ჩამომავლობით ქართველმა, წარმოგვიდგინა ფირმანი ჩვენის წინამოადგილისა, რომლითაც მას ნაბოძები აქვს უმაღლესად სამფლობელო (სამთავრო) კაკისა და უქვეშევრდომილესად გვთხოვს ჩვენც დავადასტუროთ იგი. ვუსრულებთ რა ამ თხოვნას გეობეგს, ვუბრძანებთ, იყვეს მუდამ ჩვენი ერთგული და აღმსახუროს ყურადღება ჩვენის ძმის როსტომ ხანისა“.<sup>\*)</sup>

ეს როსტომხანი ანუ ზოსრო მირზა ცნობილი მთავარსარდალი იყო სპარსეთისა და შაჰსეფიმ გაამეფა კახეთში თეიმურაზ მეფის ადგილას. გიობეგი კიდევ ის გიობეგია, რომელიც თავის ძმასთან თორღასთან ერთად ამ პროვინციას განაგებდა. გიობეგი, როგორც თვით ფირმანიდან სჩანს, ქართველი ყოფილა, გვარად ისიც გურამიშვილი. ეს გურამიშვილები ყოფილან ბატონ-პატრონი ამ პროვინციისა მას შემდეგ, რაც შაჰაბასმა ჩამოაშორა იგი კახეთს.

ერთი სიტყვით, საქართველოს აღმოსავლეთ მხარეში სპარსეთმა შექმნა ცალკე სამფლობელო-სამთავრო, რომელსაც სასულთნო უწოდა და რომელიც მრისხანე მოწინააღმდეგედ ჩაუსახლა კახეთს. თუმცა მისი გამგენი ჩამომავლობით ქართველები იყვნენ, მაგრამ სულით და გულით ისინი სპარსეთის პოლიტიკას ანხორციელებდნენ.

საქიროდ მიმანია აქ ცოტახანს შეეჩერდეთ და მოკლედ მაინც გავეცნოთ წახურის ავგარგს, იმ წახურისას, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული და წუქეთის საერისთაოს სახელწოდებით, ქართველებთან და, განსაკუთრებით, ინგილოებთან ქირსა და ლხინში ერთ ჭაპანსა სწევდა. ქართველებმა შეიტანეს წახურში სწავლა, განათლება, მწიგნობრობა და ბოლოს, ქრისტიანობაც. ამიტომ მათ ყოფაცხოვრებას აშკარა ბეჭედი აზის საქართველოს ზეგავლენისა. თვით წახურელები დღესაც ამბობენ: ჩვენ და კაცელები (ინგილოები) ძმები ვართ, ერთად ვიყავით ყოველ ქირვარაშში და ერთად ვცემდით შემოსულ მტერს პასუხსაო. არც სტყუიან წახურელები: კაცს პირწავარდნილი ინგილოები ეგონება ისინი, დიდი მსგავსებაა მათ შორის, როგორც სახის გამომეტყველებაში, აგრეთვე ზნესა, ხასიათსა და ჩვეულება-ადათში. ყველაზე დიდი გავლენა და ნათესაობა კი წახურელების ენას ეტყობა.

ცნობილი ლინგვისტი უსლარი, რომელმაც მრავალი დაღესტნური ენა გა-

<sup>\*)</sup> ფურცელზე — „Грузинская дворянская“.

<sup>\*)</sup> იქვე, გვ. 88.

მოიკვლია, წახურელთა ის შესახებ ამბობს: „ამ სოფლიდან (ე. ი. ქურიდან) წახურისაკენ რომ შევყვეთ, აგრეთვე კავკასიის მთაგრებილესკეთიდან, სუსკენ, არსებობს ცალკე ენა, წახურულად წოდებული, რომელიც შეეხება ჯერ-ჯერობით არა გვაქვს დაბეჯითებით ცნობებიო.“

წახურულ ენაზე ლაპარაკობს მარტოდ-მარტო წახურის ხეობის მოსახლეობა ათამდის სოფელი, მას არავითარი ნათესაობა არა აქვს დაღესტნის სხვა ენებთან. უსლარი რომ კარგად დაჰკვირვებოდა, აშკარად შეატყობდა ამ ენის მახლობელ ნათესაობას ქართულ ენასთან, მრავალი სიტყვა პირდაპირ ქართულიდან არის აღებული და იგივე მნიშვნელობა აქვს ქართულში: ხელ ნიშნავს ხელს, წაბლ-წაბლს, ბალახ-ბალახს, ყელ-ყელს, ხონჩა-ხონჩას, ხანჯალ-ხანჯალს, სკამ-სკამს, საათ-საათს, თუნგ-თუნგს, ლამ-ლამს, წითელ-წითელს, მუხმუხას, ვარდ-ვარდს, ქალ-ქალას ან ტყეს, ჩექმა-ჩექმას და კიდევ სხვა მრავალი, რომელნიც პირდაპირ ქართულიდან არიან აღებული და რომელთაც ბოლო ხმოვანი ასო აქვთ მოკვეცილი.

მრავალია ისეთი სიტყვაც, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეცვლილა: კნინ მაგალითად, ნიშნავს პატარას (ქართული დაკნინება), კოკ-კოვზს, ბარკ-ძვალს (ბარკალი), სივა-ცივას, წა-წვას, დაფანჩა-დამბანჩას, ადამ-ადამიანს, კეთხე-ხეთქეს, კატამ-ქათამს, ქელი-ქეას და სხვა მრავალი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიტყვების უმრავლესობა ბოლოში წახურულში ხმოვანს ასოს ჰკარგავს და უხმოვად თავდება. მსგავსი დაბოლოება აქვთ ინგლისურ სიტყვებსაც (განსაკუთრებით კაცისას). ინგილოები ხმოვანი ასოთი არასდროს არ ათავებენ სიტყვებს. მაგალითად, თეთრის მაგიერ ამბობენ თეთრ, არას მაგიერად არ, კაცის მაგიერად კაც და სხვა. რატომ არ შეიძლება წახურული ენა ქართული ენის შორეულ კილოკავს წარმოადგენდეს? მეტად საინტერესო და საპიროა, რომ ჩვენმა ლინგვისტებმა ყურადღება მიაქციონ წახურულ ენას, შეისწავლონ იგი და გამოარკვიონ მისი დამოკიდებულება ქართულთან.

ქართული სახელები ჰქვიათ მთებს, მდინარეებს, სოფლებს წახურის ხეობაში. ასეთია მთების სახელები: გამოცანა, საფანტი, დინდიდა (დიდი მთა), გურჯიდალ (ქართველების მთა) და სხვა; სოფლის სახელებიც მეტწილად ქართულია: კირმიწა, რომელსაც ეზღანდელი წახურელები კირმიწს ეძახიან, ე. ი. ბოლო ხმოვან ასოს აკლებენ, პირდაპირ ქართულია. ასეთი სახელწოდება იქიდან დაჩქმევია სოფელს, რომ მის სიახლოვეს მრავალი კირის მინაგვარი მიწა მოიპოვება, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი სახლების გასაღესად და გასათეთრებლად ხმარობენ. მეორე სოფელს ყინა ეწოდება, ეს სახელი ქართული სიტყვის — ყინვისაგან წარმოსდგება. ეს სოფელი ძალზე ცივ ადგილას მდებარეობს; ზამთარში მზე სრულიად არა ხედება. მესამე სოფელს ქურდულა ჰქვიათ. საინჯილოდან დაღესტანში მიმავალს პირველად ეს სოფელი ხედება მთის გადაღმა. ეს სოფელი ისე ქურდულად არის შეჭრილი კავკასიონის მთების ქიშში, რომ ვიდრე ზედ არ წაადგებით, ვერ დაინახავთ.

წახურში, ამ უძველეს სოფელში, ძალიან ბევრი ქრისტიანული კულტის ნაშთი ყოფილა დარჩენილი. წახურელები ქრისტიანები ყოფილან 1550 წლამდის მაინც, ამის უტყუარ საბუთს მცხეთის კათალიკოსის მოგზაურობა გვაძლევს. ამ კათალიკოსმა მოინახულა საქართველოს განაპირა ეპარქიები და ეკლესიები და მათ შორის წახურის ეკლესიაც, სადაც ჰპოვა საეკლესიო წიგნების სიმცირე და უბრძანა გიშ-ქურმუხის მთავარ ეპისკოპოსს, გადაეწერინე-

ბინა ახალი წიგნები და წარეგზავნა წახურისა და სხვათა ეკლესიებისათვის. როგორც აღენიშნეთ, ქრისტიანული კულტურის ნაშთი წახურშიც ბევრეე ყოფილა ძველად. ის დიდი მიზნითი, რომელიც შუა სოფელშია, ძველად იქვეა ყოფილა, რომელსაც ბევრი ქართული წარწერა ჰქონია ქვებზე ამოჭრილი. მაგრამ როცა შემდეგში მიზნითად გადააკეთეს, ზოგი წარწერაიანი ქვა ძირს დაატანესო. ენახეთ 1915 წელს მხოლოდ ერთ კედელში ჩატანებული ქვა, რომელიც ნატეხი უნდა იყვეს დიდი ქვისა და რომელზედაც გერ კიდევ კარგად გაირჩევა ორი ასომთავრული ასო და ექვსი დანარჩენი ასოების გარჩევა შეუძლებელია. ამ ასოებს ორ-ორი წერტილი უზით წინ. გარდა ამისა, ქართული წარწერები ყოფილა სასაფლაოს ქვებზედაც. ეს სასაფლაო მდინარე სამურის ნაპირას ყოფილა, წყალი სიხრიდა მას თურმე, მცხოვრებნი ბეჭდებს, სამაჯურებს და სხვა სამკაულებს პოულობდნენ, მაგრამ მდინარე სამურმა თან და თან წალეკა და წაიღო სასაფლაო. ამ ეპადა წახურის მიდამოებში აღარაფერი მოიძებნება ქართული წარწერებით, ყველაფერი არაბულით არის შეცვლილი.

მთელს წახურის ხეობაში უდიდესი სოფელი თვით წახურია, რომელიც უძველეს დროში დიდი ქალაქი იყო თურმე, მას „ცრი“-ს სახელწოდებით იხსენიებენ სომეხთა მწერალნი. სომეხთა მეისტორიე კალანკატვაცი თავის „აელანთა ისტორიაში“ ამბობს, რომ ამ ქალაქში უქადაგანია ვინმე გრიგორს, რომელიც თურმე უწამებიათ დაღესტანში. იქვე ყოფილა ვინმე მღვდელი, რომელსაც მოწაფეები ჰყოლია, ესენი დაუბოქნიათ ქალ. ცრიში ანუ წახურში. მათი გვაგები ვიდაც სირელ მამებს მოუტანიათ მაკს (კაკს), დაუსაფლავებიათ და იქვე აუშენებიათ მონასტერი. არაბთა გეოგრაფნი მოიხსენებენ ამავე ქალაქის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ყალატსიარს უწოდებენ. ამ ქალაქის სიახლოვეს, ამბობს არაბთა გეოგრაფი მოსულდი, — ყალატსიარზე უკეთესი არსად მოიპოვებაო. თვით წახური ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს და ადვილად შეუძლიან მტრის ყოველივე იერიშის მოგერიებაო. ეს ციხე ირგვლივ შემორტყმული ჰქონია მთელს წახურს, მაგრამ დღეს აქ აღარაფერი დარჩენილა მისი მოსაგონებელი ნაშთი.

ასეთი იყო წახური წარსულში. ის დიდ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ვალაღებულნი წახური ხანდისხან წინააღმდეგობასაც კი უწევდა თავის მტროპოლიას. ამისი მაგალითი მოჰყავს თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც ამბობს, რომ მეფემ გაგზავნა ქართველნი და კახნი ზურაბის სარდლობით წახურელებთან საბრძოლველადო. <sup>1)</sup> თეიმურაზ ბატონიშვილი არ ამბობს, რითი იყო გამოწვეული ლაშქრობა და რა შედეგი მოჰყვა მას.

წახური გამრავლდა. მის მცირემოსავლიან ფერდობებს შეკედლებული მოსახლეობა გამოსავალს ეძებს და ნელ-ნელა იძვრის საინგილოსაკენ. შაჰაბასის შემოსევის შემდეგ ემიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. დაცარიელებული სოფლები გაივსო წახურელი ლეკებით. ერთის სიტყვით, მთელი აღმოსავლეთი საინგილო გაივსო ამ ემიგრანტებით და ეს პროცესი ემიგრაციისა თითქმის დღესაც არ შენელებულა. მოიფინა საინგილოს აღმოსავლეთი ნაწილი წახურელი ლეკებით, ეხლა აქ 26 სოფელია წახურელებისა.

საფიქრებელი იყო, რომ წახურელი ლეკები, რომელნიც ენით, ზნე-ხასიათით, ჩვეულება-ადათით უფრო ახლოს იდგნენ ინგილოებთან, დაუმეგობრდებოდნენ მათ, დაუახლოვდებოდნენ და მათ ენას შეითვისებდნენ. მაგრამ ასე არ

<sup>1)</sup> იხ. თეიმურაზ ბატონიშვილის „არჩილიანი“.



მომხდარა, ისინი სრულიად განზე გაუდგნენ ქართველებს და თითოეული (აზერბაიჯანული) ენა და ზნე-ჩვეულება შეითვისეს: დროთა განმავლობაში სრულიად დაივიწყეს საკუთარი ენა და სულით ხორცამდე გვეყურდნენ რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ მათსა და ქართველებს შორის მთელი გარღვეული კედელი კედელი იყო აღმართული და ამ კედელმა ხომ თვით ინგილოთა სოფლებიც იმსხვერპლა. ეს გარღვეული კედელი ხომ სარწმუნოება იყო.

წახურელების საინგილოში გადასახლებით სასულთნოს რეზიდენციას აღარა ეხედავთ წახურში და მით უმეტეს კაკში. სულთნის რეზიდენცია ეხლა სოფ. ელისუშია, რის გამოც თვით სასულთნოს ელისუს სასულთნო დაერქვა. შესაძლებელია რეზიდენცია იმიტომ გადაიტანეს ელისუში, რომ იგი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს, მოხერხებულ ადგილას არის, სამი მხრიდან მალალი მთებით არის შემორტყმული და მტრისგან მიუდგომელია. გარდა ამისა, პაერიც გრილია, მრავალი საუცხოვო წყაროებით არის შემკული და მშვენიერ საავარაყო ადგილად ითვლება.

პირველი სულთანი, რომელმაც ელისუში დაიწყო ცხოვრება, იყო ადიკურ-კულე, აზერბაიჯანული წყაროების გადმოცემით. სულთნობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა, სულთანს ირჩევდნენ მხოლოდ სულთნის გვარეულობიდან, ვისაც ხალხის ყრილობა აირჩევდა, ის იყო სასულთნოს მმართველად. პირველად ასეთი პირის არჩევა ირანის შაჰის ფირმანით დასტურდებოდა, შემდეგში ეს როლი ქარ-ბელაქანმა აიღო.

საინტერესოა, რა დამოკიდებულებაში იყვნენ სულთანთან მისი ქვეშევრდომნი. ეს დამოკიდებულება სამგვარი იყო, იმის და მიხედვით თუ რომელს ეროვნებას ეკუთვნოდით. წახურელი ლეკები, რომელნიც ოთხ თემად იყვნენ გაერთიანებულნი, არაფერს არ იხდიდნენ, გარდა სამხედრო ბეგარისა, ე. ი. იმის დროს აძლევდნენ საჭირო რაოდენობის მხედრობას. სოფელი ელისუ, სადაც სულთნის რეზიდენცია იყო, გამუდმებით აძლევდა 24 ნუკრს სულთნის სამოსამსახუროდ. სხვა არავითარს გადასახადს ლეკები არ იხდიდნენ. შინაურ საქმეებსაც ლეკთა საზოგადოებები თითონვე აწარმოებდნენ და ელისუს სულთანი მათს საქმეებში არ ერეოდა.

მეორე კატეგორიის ხალხს ეკუთვნოდნენ ინგილოები, რომელნიც ყველაზე უფრო მეტად იყვნენ დაბეგრილნი და მთავარ წყაროსაც სასულთნოს შემოსავლისას ინგილოთა შემოსავალი შეადგენდა. გადასახადები ერთნაირი არ იყო ინგილოთა სოფლებისთვის. კაკელი იხდიდა სამ თალარ ხორბალს, სამ თალარ ჭერს, აბრეშუმს და ერთი ცხენის საპალნე ყურძენს. გარდა ამისა, ინგილოს უნდა მიეტანა სულთნისთვის ერთი ცხენის საპალნე ბზე და ზუთი ჩანახი ხორბალი მისი დალაქისათვის. ინგილოების მეორე სოფელი ალიბეგლო იხდიდა თითო თალარ პურს, ბრინჯს ან ფეტვს, რომელიც თითონვე თავისივე ურმით უნდა მიეტანათ სულთნისათვის სოფ. ელისუში. შემდეგში სულთნებმა ალიბეგოელებს მიუმატეს აბრეშუმის გადასახადიც (ლიტრა თითო მოსახლენზე) და კიდევ ყურძენი, რომლის რაოდენობაც განსაზღვრული არ იყო და დამოკიდებული იყო მის მოსავლიანობაზე. მესამე ინგილოების სოფელს მუშაბაშს უნდა მიერთებია სულთნისათვის ყოველ დიდ დღესასწაულში ძღვენად გადაწყვეტილი რაოდენობა არყისა, მშრისა და ნიგვზისა, გარდა ამისა, უნდა გადაეხადნა თითო თალარი პური, ჭერი, ბრინჯი, ფეტვი და ერთი ლიტრა აბრეშუმი იმ ბეგისათვის, რომელთანაც მიტანას თვით სულთანი დააკისრებდა. ეს ბეგები გადმო-

სულნი იყვნენ წახურადან და ჯამაგირის სახით აძლევდა მათ სულთანამ ან ვადასახადს.

რაც შეეხება მულალებს ანუ თათრებს, რომელნიც უმთავრესად შარში მოსახლეობდნენ, მათი ვადასახადი ინგილოების მესამედს შესდევდა. მათგან ერთად, თვით სოფ. კახში, რომლის თავსა და ბოლოს თათრები არიან ჩასახლებული, ისინი იხდიდნენ კომლზე თითო თალარ ხორბალს და ერთ ლიტრა აბრეშუმს.

აქედან აშკარად სჩანს, რომ ყველაზე დიდად და უზომოდ ინგილოები იყვნენ დაბეგრისნი და მთელი სასულთნოს შემნახველები და მარჩენალნი ისინი იყვნენ.

პირველი სულთანი, რომელმაც ბინა დაიღო ელისუსში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო ადიკურკული, შემდეგ ალიბეგი, მეხმედხანი, ალისულთანი. ამ უკანასკნელის დროს მოხდა ელისუს სასულთნოს შეერთება რუსეთთან.

როცა რუსეთის მთავარსარდალმა ჭარ-ბელაქანი დაიპყრო, რუსეთის ძლიერებით შეშინებული ალისულთანი მოწიწებით მიეგება რუსეთის მხედრებს და ქვეშევრდომობაზე თანხმობა გამოუცხადა. ამრიგად ელისუს სასულთნო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს და სრულიად ჩამოშორდა როგორც სპარსეთს, ისე ჭარ-ბელაქანს. ამით ალისულთანს, რასაკვირველია, საკუთარი მთავრობის შენარჩუნება უნდოდა. 1803 წლის 17 აპრილს მისმა წარმომადგენლებმა თბილისში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. ნიშნად ქვეშევრდომობისა, სულთანმა ციციანოვს, კავკასიის მაშინდელ მთავარსარდალს, საუცხოვო ცენი მიართვა, რის სამაგიეროდაც ციციანოვმა ძვირფასი ბეჭედი გაუგზავნა.

ხელშეკრულების ძალით სულთანს უნდა ეხადნა როგორც ფულადი, აგრეთვე ნატურალური (აბრეშუმით) ვადასახადი ყოველწლიურად. სულთანი რჩებოდა თავის ძალა-უფლებასში, ისევე, როგორც ხელშეკრულებამდე იყო.

შემდეგი სულთანი ახმედი თვით ეახლა მთავარმართველს გუდოვიჩს ქვეშევრდომობის გამოსაცხადებლად და თან ჩაიყვანა 13 წლის ვაჟიშვილი დანიელი (შემდეგში გასულტნებული), დაუტევა მძევლად და სთხოვა აღეზარდათ კეთილშობილთა სასწავლებელში. სულთან ახმედხანს, გუდოვიჩის შემადგომლობით, დაენიშნა 1200 მანეთი პენსია წლიურად.

13 წლის დანიელი აღიზარდა იმ კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც მრავალი ქართველი თავად-აზნაურის შვილი იზრდებოდა, ხოლო შემდეგ სამხედრო სასწავლებელში შევიდა. მისი ოცნება იყო გამხდარიყო ელისუს სულთანად და გარდაიცვალა თუ არა მისი მამა ახმედხანი, მაშინვე იქ გაჩნდა, თავი სულთანად გამოაცხადა და რადგან წინააღმდეგობის თქმა ვერაფერს გაბედა, კავკასიის მთავარმმართველმაც ის დაამტკიცა სულთანად.

დანიელ სულთანი ანუ დანიელ ბატონი, როგორც მას ინგილოები ეძახდნენ, მეტად თავმოყვარე, მრისხანე და შეუპოვარი კაცი იყო, რუსეთის მთავრობასთან ძალზე ვათამამებული და გენერალ-მაიორის ჩინით დაჯილდოებული.

ხალხის ვადმოცემით, დანიელ ბატონის სამართალში შებრალება და პატიება არ ეწერა, ყველაფერში წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდა, რითაც თავზარსა სცემდა მცხოვრებთა. ასე ვასინჯეთ უბრალო ქურდობისათვისაც კი ცხვირსა და ყურსა სჭრიდა ადამიანს, ტყუილის მოქმელსა და ცბიერს—ენას, კაცის მკვლელს—ხელებს, შეძვე დედაკაცს ტომარაში ჩასვამდა, შიგ კატებს ჩაუსვამდა და ისე სტანჯავდა და აწამებდა. ასეთი ბარბაროსული სასაჯელი იცოდა თურმე დანიელმა. ირგვლივ მისის შიშით ყველანი ძრწოდნენ. თუმცა

კიო, იტყვიან ხოლმე მოხუცები, რომელთაც კარგად ახსოვთ დანიელ ბატონი, ჭურდობა, საქონლის მოტაცება იმ ზომამდე მოსპოვო, რომ პირუტყვი მთელი დღე უპატრონოდ ყოფილიყო გაშვებული მინდვრად იალალზედ, ჭეცხეს უპატრინ ახლებდა, გარდა ნადირისაო. დანიელის სისასტიკეს საზღვარი არაა — საქონლსა ქალის გათხოვება, ცოლის შერთვა დანიელის დაუკითხავად არავის შეეძლო.

ყველა ამისთვის საჭირო იყო დანიელ ბატონის ლოცვა-კურთხევა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ დანიელისათვის კარგა დიდი საყიდელი უნდა მიერთმიათ ფულად ან ზორაგეულით. მისცემდით ყველა ამას, მაგრამ ადამიანი დარწმუნებული არ იყო, რომ ხელს იმ ქალს იმავე დანიელის ბრძანებით არ წაგართმევდნენ, ამისთვის საკმარისი იყო მისულიყო ვინმე და საჭირო ძღვენი მეორთმია დანიელისათვის, რომ ბრძანება გაეცა — ქალი ახლა ამას მიათხოვეთო.

როგორც ვსთქვით, დანიელი მეტად სასტიკი ადამიანი იყო. კახის შუაბაზარში ჩამოახრჩობინა ორი წარჩინებული ინგილო ხუციშვილი და ოთარაშვილი. ხალხი მეტის-მეტად ღელავდა და რაც დრო გადიოდა, მისი ბოლმა იზრდებოდა. ამას ხელს უწყობდნენ მისი ძმებიც, რომელნიც იმ თავითვე მტრულად უცქეროდნენ დანიელს, როგორც უკანონოდ ტახტის დამპყრს. დანიელი არც უფროსი შვილი იყო მამისა, არც ხალხის მიერ არჩეული. გამოდიოდა, რომ ძალმომრეობით ჩაეგდო ხელში მემკვიდრეობა. დანიელიც ამრეზილი იყო ძმებზე. იმის ყურს ესმოდა ძმების გმინვა, ამიტომ მოინდომა ორივე უფროსი ძმის გაჭრობა.

ერთი, მამედხანი, სოფ. კახის თავში მოჰკლა ქეიფის დროს. გადმოცემა ამბობს, დანიელმა განგებ მოიწვია ძმა საჭეიფოდ და როცა შეზარხოშდნენ, დანიელმა უთხრა: — შენ არ იცი როგორ უნდა ღვინის სმა, უნდა უცებ ასწიო ყანწი, კისერი გადაიგდო და თვალის დახამხამებაზე გადაყლაპოო. ახმედმაც ასე ჰქნა, მაგრამ გადაიღო თუ არა კისერი, დანიელმა იმიშვლა ხმალი, დაჰკრა კისერში და იქვე სული გააფრთხოინა. მეორე ძმა, ნავლი ბეგი კიდევ ბადარლოში მოაკვლევინა თავის ნუკრებს, ისიც ქეიფის დროს.

იმავე ხანებში რეორგანიზაცია მოხდა მთელს საინგილოში. დანიელის სამფლობელო კარ-ბელაქნის ოლქს შეუერთეს და დანიელ ოლქის უფროსისაგან დამოკიდებული გახდა, თითქმის უბრალო ბოჭაულის ხარისხით. დანიელმა ეს იუკადრისა და საჩივარი გაუგზავნა იმპერატორს, მინისტრს და მთავარმართებელს. მაგრამ ვერაფერს გახდა, ელისუს სასულთნოს დღეები დათვლილი იყო. დანიელმა განიზრახა აჯანყების მოწყობა, რაც თავის დროზე შეიტყო ოლქის უფროსმა და მიუბტა დანიელს ელისუსში, ცხარე ბრძოლის შემდეგ დანიელი დამარცხდა, დაღესტანში გაიქცა და შამილს შეუერთდა.

რუსეთის მხედრობამ მიწასთან გაასწორა ელისუ და სულთნობა 1844 წლიდან გაუქმებული იქმნა. მის მაგიერ ორი სამოქალაქო დაარსდა — კახისა და ყარაასუსი. ზაქათლის ოლქთან შეერთებით.

ასე დასრულდა ამ პატარა სამთავროს ანუ სასულთნოს დღეები.

(გაგრძელება იქნება).

## როგორ ისჯალავენ ჯიბას გერმანიის ფაშისკი მეარსთველნი

გერმანიის ახლანდელი ფაშისტი მმართველნი — ბანდიტთა ხროვაა, რომელიც 1933 წელს ხელისუფლების სათავეში დასვა გერმანიის კაპიტალისტთა ყველაზე რეაქციულმა ნაწილმა. ფაშისტები ხელისუფლებას გამდიდრების საშუალებად იყენებენ. ფართოდ გავრცელებულია კორუპცია და მჭკრთამეობა. პიტლერი — ამ ხროვის მეთაური — სრულიად მოურადებლად ამბობდა მასთან დაახლოებულთა პირადი გამდიდრების შესახებ: „რაც უნდათ ის აკეთონ. ოღონდ ნურავინ წაუსწრებს ამ საქმეზეო“. ეს სიტყვები დანციგის სენატის ყოფილ თავმჯდომარე რაუშნიგს მოჰყავს თავის წიგნში „პიტლერმა მითხრა“.

რაუშნიგი სწერს: „...ახალ მმართველთა შორის სიამოვნებით მოვესმინეთ „დოქტორ“ ლეის, „შრომის ფრონტის“ ამ გალოთებულ ხელმძღვანელს, რომელიც თავისი ჩახლჩილი ხმით ყველგან ლილინებდა პოპულარულ კუპლეტს „მოსწყვიტეთ ვარდი, სანამ დასკვნება“. ყოველი მათგანი სიხარულით იმეორებდა: „ისარგებლეთ და გამდიდრდით“.

ცნობილია, რომ პიტლერი, მცირე მოხელის შვილი, ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ დიდი კაპიტალისტი გახდა. იგი მფლობელია ფაშისტური გამომცემლობისა, რომელიც გერმანიის უმდიდრეს გამომცემლობად იქცა. სულ მცირე გამოანგარიშებით, პიტლერმა 3.750.000 დოლარი შეიძინა თავისი საზიზღარი ნაჯღაბნით — „მაინ კამპფით“ („ჩემი ბრძოლა“), რომელშიც ყაჩაღურ ომს ჰქადაგებს სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნებისა და ხალხების წინააღმდეგ; ამ წიგნის ყოველთვიური შემოსავალი კი 90 ათას დოლარს შეადგენს. ეს წიგნი გერმანიაში იძულებითი წესით გაავრცელეს, რითაც აიხსნება პიტლერის უხვი მოგება. მაგრამ, რასაკვირველია, პიტლერი არა სჯერდება ამ მილიონების ჩაჯიბვას. იგი აშკარად მდიდრდება სახელმწიფოს ხარჯზე. მაგალითად, გერინგმა სახელმწიფოს ხარჯზე პიტლერს „აჩუქა“ საუცხოო ციხე-დარბაზი ბერხტესჰაიდენში. პიტლერმა ალპებში საიდუმლო ადგილას აიშენა ციხე-დარბაზი, დიდებული ორჩხომელი გაიჩინა და ა. შ.

ფულის საქმეში პიტლერის პირადი ნდობით აღჭურვილი პირია ვინმე მაქს ამანდი, რომელიც ყელამდე პატივისცემაში ჰყავთ. ეს ამანდი პიტლერის გამომცემლობისა და სარეკლამო სააგენტოების დირექტორია, რომლებიც მას ევებერთელა შემოსავალს აძლევენ.

პირადი გამდიდრების მხრივ განსაკუთრებული ვირტუოზობა გამოიჩინა გერინგმა. წარმოუდგენელი ფუფუნება, რომელშიც ცხოვრობს გერინგი, მისი მდიდრული ბინებისა და შენობების დაუსრულებელი რაოდენობა ცნობილია გერმანელ ფაშისტთა წრეებში. „გერინგმა თავისი ერთი მრავალთაგანი ოფიციალური ბინის საბაზანო ოქროს მასივური ფირფიტებით მოავა“, — იუწყება თავის წიგნში რაუშნიგი. გერინგმა თავისი მტაცებლური კლანკები გერმანიის უდიდეს საწარმოებსაც ჩაავლო და უშუალო მონაწილე გახდა მათი სამხედრო მოგებისა.

მილიონობით შემოსავალს აძლევს გერინგს მრავალი მთლიანი სახელმწიფო თანამდებობა, რომლებიც მას უკავია. იგი არის პრუსიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გენერალ-ფელდმარშალი, ავიაციის საიმპერატორ მინისტრი, ავიაციის მთავარსარდალი (განსაკუთრებული თანამდებობა, განსაკუთრებული ჯამაგირი); იგი არის სახელმწიფო ტყეთა საიმპერიო გამგე, რაიხსტაგის თავმჯდომარე, რწმუნებული სამხედრო მეურნეობათა ხაზით, იმპერიის სამხედრო საქმის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. თვითეული ეს თანამდებობა მას კარგა დიდ თანხას აძლევს, რამდენიმე წლის განმავლობაში გერინგი მილიონერი გახდა.

გებელსი პროპაგანდის მინისტრია. როცა ხელთ იგდო ძალაუფლება, მან ცოლად შეირთო გერმანელი უდიდესი კაპიტალისტის კევანდტის ნათესავი („გადასდეთ ცოლის შერთვა მანამდე, სანამ ხელისუფლებას სათავეში ჩავედგებოდე“, — ურჩევდა პიტლერი თავის დაახლოებულებს). კევანდტი არის გერმანიის 29 უდიდესი საწარმოს ზედამხედველი საბჭოს თავმჯდომარე ან წევრი. ამ საწარმოთა შორის არიან: გერმანიის ბანკი, ა. ე. გ. ელექტროკონცერნი, ვინტერსპალის კალიუმის კონცერნი, გერთიანებული ბურთულსაკისარის ქარხნები, გერმანიის იარაღისა და საომარი მასალის ქარხნები, მაუზერის რევოლვერის ქარხნები, რამდენიმე მანქანათმშენებელი ქარხანა, რომლებიც ომისათვის მუშაობენ, უმნიშვნელოვანესი სადაზღვევო კონცერნები. ყველა ამ საწარმოს უზარმაზარი სამხედრო მოგება აქვს, მაგრამ გებელსის „მოღვაწეობის“ უშუალო ასპარეზია კინო და თეატრები. ყველა ფილმმა და პიესამ მისი სანქცია უნდა მიიღოს. ფილმების წარმოება და პიესების დადგმა მთლიანად გებელსის მეურვეობაშია და იგი თავის „წილს“ იღებს მეწარმეთა მონაგებიდან.

ფაშისტური „შრომითი ფრონტის“ ხელმძღვანელ ლეის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი“ მის შესახებ შემდეგ ფაქტს იუწყება, რომელიც ამავე დროს შუქს ჰფენს ანტიფაშისტურ სულიერ განწყობილებას გერმანიაში. ახლანდელი თანამდებობის მიღების შემდეგ ლეის ერთერთ უპირველეს საზრუნავს შეადგენდა ბავარიაში 100 ათას მარკად ღირებული სახლის აგება ქალაქგარეთ. სახლი ჯერ კიდევ მთლად მზად არ იყო, რომ შესასვლელ კარზე ასეთი წარწერა გაჩნდა: „გვითხარი, ლეი, სად იშოვე 100 ათასი მარკა, რაც ეს სახლი დაგიჯდა?“ ლეი ცოფებს პყრიდა. იგი საჩივრებად პოლიციაში გაიქცა და ათასი მარკა ჯილდო აღუთქვა მას, ვინც მისი „ღირსების“ შეურაცხყოფელ პირს იპოვნდა. მეორე დღისა ახალი წარწერა გაჩნდა: „გვითხარი, ლეი, სად იშოვე 101 ათასი მარკა?“

გერმანელი მშრომელებისა და დამონებული ხალხის მხრივ მრისხანე მიზნების შიშით, ფაშისტმა მეთაურებმა თავიანთი ნაძარცვი თანხების ერთი ნაწილი უცხოეთის ბანკებში მოათავსეს.

ამერიკელმა ჟურნალისტმა ნიკერბოკერმა გამოიანგარიშა, რომ ექვსმა თუ შვიდმა მთავარმა ფაშისტმა მმართველმა დაახლოებით მილიარდნახევარი ფრანკი მოათავსა უცხოეთის ბანკებში. ეს, რასაკვირველია, მათ მიერ ნაძარცვი ფულის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილია.

ასე მდიდრდება გერმანიის პირსისხლიან ფაშისტ მმართველთა ზოგა გერმანელი ხალხის სისხლითა და ტანჯვით, დამპყრობლური ომით, ხალხთა დამონებით და გაპარტახებით.

## პიტლერის უჩაღები ვარშავაში



აი რას გადმოგვცემს ვარშავიდან გამოქცეული ქალი იუდეის მემკვიდრეობის გერმანელი ფაშისტების უჩაღური თარეშის შესახებ ვარშავაში:

„მე მოვახერხე ვარშავიდან თავის დაძვრენა და საბჭოთა კავშირში გადმოსვლა. მოვახერხე ეს რამდენიმე დღით ადრე გერმანიის გამხეცებული ფაშისტების საბჭოთა კავშირის საზღვრებზე თავდასხმამდე. მოვალედ ვრაცხ თავს ეანობო ყველას ის საზიზრობა, ის ბოროტმოქმედება, რომელსაც სჩადიან პიტლერის ფაშისტები პოლონეთში.

პოლონელ ხალხს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ განუცდია ისეთი ტანჯვა-წამება, როგორსაც განიცდის იგი ამჟამად. მთელი პოლონეთი ფაშისტების ფეხქვეშ არის გათელილი. ხალხი დამონებულია, დამცირებული. ვარშავის უბნებში გამეფებულია შიმშილი და სიღატაკე, მძვინვარებს ათასობით სენი და ავადმყოფობა.

გერმანელმა ფაშისტებმა გაძარცვეს პოლონეთი. გაიტანეს ყველაფერი, რის გატანაც შეიძლებოდა: ქარხნების იარაღ-მოწყობილება, სურსათ-საწოვადე, სხვადასხვა საქონელი, საცვალი, ტანისამოსი. ვარშავის მღაზიები მთლად გასწმინდეს და გაძარცვეს. კერძო ბინებიდან გაიტანეს ყველაფერი, რასაც რაიმე საფასური ჰქონდა. აღარ დასტოვეს მავიღებზე მუშაობის გადასაფარებლებიც კი.

ვარშავის მოსახლეობა აუტანელ შიმშილს განიცდის. პოლონელებს ეძლევათ სულზე 350 გრამი დღეში, ხოლო ებრაელებს — 750 გრამი კვირაში. დიდი ხანია თვალთ აღარავის დაუნახავს შაქარი, ჩაი, ხორცი და მრავალი სხვა რამე.

მთელი მოსახლეობა სამ ჯგუფად არის გაყოფილი: სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი, პრივილეგიური ზედაფენა — გერმანელები, უუფლებო, ფეხქვეშ-გათელილი, დამონებული, გაძარცვული პოლონელი ხალხი და, ბოლოს, სიღატაკისა და დამცირების უკანასკნელ საზღვრამდე მიყვანილი ებრაელობა. გერმანელი ფაშისტები მასხრად იგდებენ პოლონურ კულტურას. პოლონური სკოლები დაკეტილია, პოლონური მოსახლეობა გაძევებულია ბევრი პოლონური ქალაქიდან. კრაკოვეში მოკალათებულია გერმანელი გენერალ-გუბერნატორი, რომელიც თავისი ხელქვეითებით განაგებს პოლონეთს. პოლონელები ათასობით არიან გამომწყვდეული საკონცენტრაციო ბანაკებში. მასობრივი დახვრეტა და დაპატიმრება ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავია.

ვარშავა წალეკილია გერმანიის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებიდან შემოსეული გერმანელებით. ქალაქი გაყოფილია სამ ნაწილად — გერმანულ, პოლონურ და ებრაულ ნაწილად. ეს ნაწილები იზოლირებული, მოწყვეტილი არიან ურთიერთს. ესპანეთის ინკვიზიციის საშინელება არად მოსჩანს იმ სიმხეცესთან შედარებით, რასაც ებრაელი მოსახლეობა განიცდის. ებრაელებისთვის შემოღებულია იძულებითი სტერილიზაცია. გერმანიის ხელისუფლებამ აკრძალა მკურნალობა ებრაელი ბავშვებისა 3 წლამდე და მოხუცებისა 60 წლის შემდეგ.

ვარშავის ქუჩებში არა ერთხელ წაეწყდომივარ გულშემზარავ სცენებს. ვნახე უსუსური ბავშვი, რომელსაც რაღაც საქციელით გერმანელი ოფიცერი განერისხებინა. ოფიცერმა სილა გააწნა ბავშვს. შემდეგ გააჩერა — უეცრად

„ახალმა აზრმა“ გაუელვა თავში: მიიხმო პოლონელი პოლიციელი და მუქარით უბრძანა — ეცმნა ბავშვისათვის. და აი პოლიციელი შეუძღვა ბავშვის ცემას; ტროტუარი ბავშვის ცხვირ-პირიდან წამსკდარი სისხლით იწებებოდა, ხოლო განზე გამდგარი ოფიცერი ფოტო-აპარატით იღებდა ამ სურათს. ვერ გავიგე, რატომ დასჭირდა ოფიცერს ეს ფოტო-სურათი, ალბათ, რომელიმე გერმანულ გაზეთში მოსათავსებლად.

დავინახე, როგორ გააშიშვლეს რაღაც „დანაშაულისათვის“ ერთი მოხუცი პოლონელი დედაკაცი. ჩემ თვალწინ გერმანელმა ენდარმმა ტყვიით განგმირა ქალი, რომელიც ენდარმის დაყვირებაზე — შეჩერდით, არ შეჩერდა. გამოირკვა, რომ ეს ქალი ყრუ-მუნჯი ყოფილა. შეუძლებელია ყველა იმ საზიზღროების აწერა, რასაც ფაშისტი არამზადები სჩადიან. წარმოდგენაც კი არ შეიძლება იმისა, თუ როგორ დასცინიან და მასხრად იგდებენ ისინი ვარშავის მოსახლეობას. ორი ქუჩის კუთხეში, ტროტუართან, ვნახე მოხუცი, რომელიც ხელებით და ფეხებით ხეზე იყო მიბმული. თოვლი მოდიოდა, ციოდა, მოხუცი კი ქუდმოხდილი იდგა. მნახველებმა სთქვეს, მოხუცმა ქუდის მოხდა ვერ მოასწრო, როცა გვერდით გერმანელმა ოფიცერმა ჩაუარაო.

არ ვიცოდი, თუ მომეცემოდა შემთხვევა მეამბნა ცივილიზებული ქვეყნიერებისათვის ყოველივე ის, რაც ამჟამად ვარშავაში ხდება. რომ მცოდნოდა, უფრო გულდასმით დავაკვირდებოდი ქუჩურ სცენებს.

შეუძლებელია ვარშავის პოლონელი და ებრაელი მოსახლეობის სიღატაკის აღწერა. საკმაოა ითქვას, რომ ქალაქის ქუჩებში ამას წინად რიკშები გაჩნდნენ: გადატაკებული, დამშეული პოლონელი და ებრაელი სტუდენტები ეტლში შებმული ცხენების მაგიერობას ეწევიან, რადგან თავის გადასარჩენად სხვა გზა აღარ დარჩენიათ.

ამას წინად ასეთი ამბავი შემემთხვა. ქუჩაში მივდიოდი. ხელში პურის ნაქერი მეჭირა. პურზე პალტოს კალთა მჭონდა გადაფარებული. უეცრად მშერი მოზარდი მომვარდა. ვერ მოვასწარი გონს მოსვლა, რომ მოზარდმა პური გამომტაცა, განზე გაბტა და უზარმაზარი ლუკმა მოკმინა. საღ შემეძლო ჩემი დასწეული ფეხებით დავდევენბოდი მოზარდს! ან კი რა გამოვიდოდა: ერთ წუთში მთელი პური გადაყლაპა.

განა სიტყვით შეიძლება იმ სიძულილის გადმოცემა, რომლითაც გამსჭვალულია პოლონელი ხალხის გული და სული? არასოდეს დედამიწაზე არსად არავენ ისე არ სძულებიან, როგორც ამჟამად პოლონეთში პოლონელ ხალხს პიტლურის ბანდიტები სძულს. ისინი, ეს ბანდიტები, გრძნობენ და ყოველნაბიჯზე ხედავენ კიდევ ამ სიძულილს. ამიტომაც ასე დაუზოგავად უსწორდებიან ისინი პოლონელებს.

მაგრამ ტერორი მიზანს ვერ აღწევს. სიძულილის ჩახშობა შეუძლებელი გახდა. კედლებზე, სივსების შემდეგ კინოში ჩნდება წარწერები, ლექსები, ლოზუნგები, რომლებითაც პოლონელი ხალხი წყევს-კრულვას უგზავნის თავის მჩავერელებს.

ბედნიერი ვარ, რომ თავი დავაღწიე იმ ჯოჯოხეთს, მაგრამ ვერ მოვისვენებ ვერც ერთ წუთს, ვიდრე მეცოდინება, თუ როგორ იტანჯებიან მილიონები პიტლურის უღელქვეშ, ვერ მოვისვენებ ვერც ერთ წუთს, ვიდრე არ მოვესწრები ამ მილიონების განთავისუფლებას, ვიდრე არ მოისპობიან ადამიანის სახით მოვლენილი ეს მხეცები“.

## დაფუძვლილი ქალაქის დემონსტრაციები ბელგიაში

ბელგია უდიდეს სასურსათო გაჭირვებას განიცდის. ბელგიაში გაჭირვების გაღმორცემით, ეს გაჭირვება განსაკუთრებით გამწვავდა მისისა და იენისში. გერმანელი დამპყრობელები აღარაფერს უტოვებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ბელგიაში ამჟამად, ფაშისტების მტაცებლური პოლიტიკის შედეგით, მოსახლეობას ეძლევა მხოლოდ შეთხვედი იმისა, რაც საჭიროა ნორმალური კვებისათვის. ესეც ყველას არ ეძლევა. ბელგიას მეტად მცირე სასურსათო მარაგი აქვს და ისიც თითქმის მთლიანად გერმანიის ჯარს ხმარდება. მშრომელი მოსახლეობა უაღრეს შიმშილს განიცდის. ატმოსფერო იმდენად დაძაბულია, რომ ხშირად უბრალო ინციდენტი დამშველთა არეულებას და ფაშისტების წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციებს იწვევს.

ამას წინად ქალაქ ანტვერპენში შემდეგი დამახასიათებელი შემთხვევა მოხდა. მუშებით დასახლებულ ერთ-ერთ განაპირა უბანში შინ დაბრუნებულ ბავშვს დედისთვის პური გადაუცია. ეს პური ბავშვს მალაზიაში მოეპარა თურმე. დედას უცემია შეილისთვის და უბრძანებია—პური უკანვე წაეღო, მალაზიაში. ბავშვს უარი უთქვამს. დედას კვლავ დაუწყია ცემა. ბავშვი ქუჩაში გავარდნილა, დედა უკან დასდევნებია. შეკრებილან მეზობელი ქალები. ამტყდარა ლაპარაკი. „იქამდე მიგვიყვანეს, ისე დაგვაშმის, რომ ჩვენმა ბავშვებმა ქურდობას მიჰყვეს ხელი“,—გაიძახოდნენ დედები.

ქალები ქუჩებს მოსდებიან, ურეკაოდნენ ყველას ზარებს,—ქუჩებში იწვეოდნენ სადემონსტრაციოდ. მერე ყველანი ერთად ქალაქის თვითმმართველო<sup>9</sup> ბისკენ წასულან. როდესაც დემონსტრაცია ქალაქის თვითმმართველობასთან მისულა, მასში უკვე რამდენიმე ათასი ქალი ყოფილა. მამაკაცებს, რომელნიც დემონსტრაციას უერთდებოდნენ, ქალები ეუბნებოდნენ თურმე: „თქვენ მოიცადეთ. თქვენი ჯერი ჯერ არ დამდგარა, თქვენ შემდეგში მოგიხდებათ გამოსვლა. ახლა ჩვენ მოვითხოვთ და ვერც ვერაფერს დაგვაკლებენო“.

ქალაქის თვითმმართველობასთან შეკრებილთ პური მოუთხოვიათ. თვითმმართველობაში მყოფ ფაშისტ ოფიცერს, გერმანელს, ყვირილი დაუწყია და მოუთხოვნია—დაუყოვნებლივ დაიშალენითო, ამასთან რამდენჯერმე რევოლვერისთვის წაუტანებია ხელი. მაგრამ ქალები უყვიროდნენ თურმე: გვესროლეთ, ამაზე მეტს რაღას გვიზამთო.

ხელად გაჩენილა ფაშისტების ეანდარმთა რაზმი, რომელიც შეეცადა ქალების გარეკას, მაგრამ დემონსტრანტები ადგილიდან არ დაძრულან.

ეანდარმებს შეუპყრიათ ერთი მამაკაცი, მაგრამ ქალებს მალე გაუნთავისუფლებიათ იგი. ეანდარმებს ფაშისტთა ახალი რაზმები მიშველებიან და ბოლოს გაუფანტავეთ დემონსტრანტები. დაუპატიმრებიათ 12 დემონსტრანტი.

ასეთი დემონსტრაციები ხშირად იმართება თურმე ბელგიის სხვა ქალაქებშიაც—ბრიუსელში, შარლერუაში, ლიეჟში.

უფრო მეტიც: ბრიუსელში გავრცელებული ხმების მიხედვით, ქალთა დემონსტრაციები გერმანიაშიც იმართება თურმე. იქ ქალები ომის წინააღმდეგ გამოდიან. ამბობენ, ასეთი დემონსტრაციები ბერლინსა და კელნში ტყვიამფრქვევებით გაფანტესო.



## გერმანელი ჯარისკაცების დემორალიზაცია ბელგიაში



გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმს“-ში გამოქვეყნებულია ამ გაზეთის ბელგიელ კორესპონდენტის ცნობა, სადაც ლაპარაკია ბელგიაში მყოფ გერმანიის საოკუპაციო ჯარის განწყობილებაზე. გერმანელ ჯარისკაცთა უმრავლესობის ყოფაქცევა ცხადად გვიჩვენებს, — ნათქვამია ცნობაში, — რომ გერმანელი ჯარისკაცები სრულიად არ თანაუგრძნობენ ფაშისტურ იდეებს. ჯარისკაცები ისე მოიქნენ, რომ მათ აღარათფერი აინტერესებთ. დემორალიზაციამ აშკარად იჩინა თავი მათ შორის. ბელგიაში მყოფი გერმანელები უნდობლად ეპყრობიან ფაშისტური მთავრობის პროპაგანდას. გერმანელი ჯარისკაცები ხმამაღლა გაიძახიან — გვეზიზღება ომი, შინ დაბრუნება გვინდაო. ხშირად ისინი ბელგიელებს თავიანთი ცოლებისა და შვილების ფოტო-სურათებს უჩვენებენ, — აწუხებთ მათი მდგომარეობა, რადგან დღე არ გაეა ისე, რომ ინგლისის ავიაციამ ყუმბარები არ დაუშინოს ჩვენს ქალაქებსაო. ისინი აკრიტიკებენ დანიის, ნორვეგიის ოკუპაციას, ამბობენ — რატომ შემოგვიყვანესო ბელგიაში. მათ არ უნდათ ბრძოლა და თავდადება ფაშისტური მთავრობისათვის. ჯარში იმიტომ ვართო, — ამბობენ თურმე ისინი, — რომ სხვა ვხა არა ვაქვს: ფაშისტური ტერორი თავისუფლად ამოსუნთქვის ნებას არ გვაძლევსო.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ბელგიის ხალხი ზედაეს გერმანიის ჯარის ამ დემორალიზაციას და გერმანიის უღლისაგან განთავისუფლების იმედი უცხოველდებაო. ერთმა ბელგიელმა მუშამ განაცხადა: „გერმანელი ჯარისკაცები გვეუბნებიან — გვწადიან გერმანიაში დაბრუნებაო. მიუხედავად ამისა, ისინი განაგრძობენ აქ ყოფნას. ლაპარაკს უმჯობესია დააჩქარონ წასვლა, თორემ შემდეგში გვიან იქნება და შეიძლება ვერც ერთმა მათგანმა ველარ იხილოს თავისი ქვეყანა“. ბელგიაში ყველა დარწმუნებულია, რომ თუ რომელიმე ოკუპირებულ ქვეყანაში აჯანყებამ იფეთქა, იგი მყისვე ბელგიასაც მოედება.

### „არ გვინდა ბრძოლა წითელ არმიასთან“

(ფინელი ჯარისკაცების ნათქვამი)

ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო ო ლ ქ ი. დიდხანს იკვლევდნენ ისინი გზას საბჭოთა კავშირის საზღვრისაკენ. წითელარმიელების დანახვისთანავე მათ ზელები აიშვირეს. ორნი იყვნენ, ფინები, ზელსინკელები, ქარხნის მუშები — მათი პ. და ემილ ლ.

ფინები მეთაურთან შეიყვანეს. აღლევებულნი უამბობდნენ ისინი მეთაურს თავიანთი გამოქვეყნის ისტორიას. ორივე დასუსტებულ-დაუძღვრებელი იყო. ემილს აქა-იქ დაკერებული შარვალი ეცვა, მატის — გაცვეთილი ფეხსაცმელი.

— ჯარში გამოწვიეს, — განაცხადა მათიმ. — ჯერ კიდევ გაწვევამდე ვიგრძენი და დავინახე კიდევ, რომ რუსეთში გასალაშქრებლად ემზადებოდნენ. რუსების წინააღმდეგ წასვლა, ვუთხარი მე ჩემს მეგობარს ემილს, ნიშნავს სასიკვდილოდ თავის გადადებას. ეს ომი სჭირიათ გერმანელ ფაშისტებს და ჩვენ მიუცკორებს. ჩვენ კი, მუშებმა, დახმარება არ უნდა გავუწიოთ მაგ არაშხადებს. და ჩვენ სიტყვა მივეცით ერთმანეთს, თუ მოწინავე პოზიციებზე გავგზავნიდნენ, გადავპარულიყავით წითელ არმიაში. მოხდა ისე, როგორც ფიქრობდით. დავენიშნეს ერთ-ერთ ბატალიონში. მცირე ხნის შემდეგ საბჭოთა

კავშირის საზღვრის მახლობლად მოეყვით. საღამოობით ბატარეის ჯარისკაცები ერთად ვიკრიბებოდით ერთი სერჯანტის ლაპარაკის შესასმენად. სერჯანტი რეზერვისტი იყო. მას მონაწილეობა მიეღო წარსულ ბრძოლაში, რუსების წინააღმდეგ, და ძრწოლით იგონებდა ყველა იმას, რაც მაშინ განუცადა. ჩემი გადარჩენა სასწაული იყო, — გვეუბნებოდა ის. — რუსების ტყვიასა და ხიშტს ცოტა ვინმე გადაურჩაო. ფინეთის ჯარში ბლომად არიან შიუცკორები — ეულაკებისა და ვაჭრების შვილები. ისინი უშლიდნენ სერჯანტს ლაპარაკს — ნუ აშინებ ახალგაზრდა ჯარისკაცებსო. მაგრამ ის თავისას არ იშლიდა. ჩვენი სერჯანტისთანა ბევრი იყო ფრონტზე. ჩვენ ყურს ვუვდებდით მათ და უფრო გვიძლიერდებოდა გამომპარვის სურვილი. ჩვენს ნაწილში გაათქვეცეს მზადება საბრძოლო მოქმედებისათვის. დაყოვნება აღარ ივარგებდა და ჩვენც დავსახეთ გამოქცევის გეგმა. დისციპლინა ბოლო დროს ძალიან დაეცა ფინეთის ჯარში, ამიტომ ნაწილიდან წასვლა-წამოსვლა ადვილად შეგვეძლო. ბოლოს წამოვედით, გადავლახეთ მავთულის ხლართები, თხრილები და სხვა დაბრკოლებები და მოვედით, რომ გითხრათ: არა გესურს ბრძოლა წითელ არმიასთან.

— არა მარტო ჩვენ, — ჩამოართვა სიტყვა ემილმა, — თქვენთან ბრძოლა არ უნდათ სხვა ფინელ ჯარისკაცებსაც, რომელთა რიცხვიც უამრავია. ჩვენ ხალხი უაღრესად დაიტანჯა. მოსახლეობა შიმშილს განიცდის ქალაქშიც და სოფელშიც. დედას წერილებს ვუგზავნიდი, ეთხოვდი, ორცხობილები გამოგზავნა. აი დედამ რა მომწერა:

ემილმა ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და წაიკითხა:

„შენს თხოვნას, შეილო, ვერ შევასრულებ. შინ ლუკმა პური არ მოგვეპოვება. ძლივს ვიშოვნე შენთვის წიკო.“

— გერმანელი ფაშისტები ჩვენს ჯარს საფლეთად ერეებიან. — დაიწყო ისევ მათიმ და თვალები პიტლერის ყაჩაღებისადმი ზიზღით აევსო, — საზიზღარი შიუცკორები მათ მორჩილ ყმებად გადაიქცნენ. ისინი ატყუებენ ხალხს, ცილსა სწამებენ საბჭოთა კავშირს. მაგრამ ფრონტზე ბევრია ისეთი, რომელთაც წითელმა არმიამ ჰკუთასწავლა წარსულ ომში. მათ საკუთარ ტყავზე განიცადეს საბჭოთა კავშირის იარაღის სიმწვავე და არავითარ შემთხვევაში არ უნდათ პიტლერის ინტერესებისათვის სიცოცხლეს გამოეხალმონ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს მაგალითს მრავალი ჯარისკაცი მიჰბაძავს.“

გამოქცეულებს სადილით გაუმასპინძლდნენ. მათ თვალები გაუბრწყინდათ. როცა გემრიელი სადილი და პურის დიდი ნაჭრები დაინახეს.

## გერმანელი ჯარისკაცის ალურად ლისკოვის ნაამბობი

მე საბჭოთა რუსეთში ვარ. ჩემს გონებას ეს უბრალო და სასიხარულო ახალი ერთბაშად ვერ აუთევსებია. მაგრამ თვალთ ნათლად ვხედავ ჩემთვის ამ ახალ სამყაროს და ვრწმუნდები, რომ არა მძინავს, ყოველივე ამას სიზმრად კი არა, ცხადად ვხედავ.

დიდი ხანია დამებადა სურვილი გამოვექცეოდი ჰიტლერულ საშინელებათა საზიზღარ სამყაროს და ეს სურვილი უფროდაუფრო ძლიერდებოდა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მარჯვე შემთხვევა. და ეს მარჯვე მომენტიც დადგა.

მე ჯარისკაცად ვმსახურობდი საზღვარზე მდებარე დაბა ტილიაშში, საბჭოთა ქალაქ სოკალის მახლობლად. ჯერ კიდევ აწ სახსოვარ დღემდე — 22 ივნისამდე — ჩვენ ყველამ ნათლად ვიგრძენით, რომ რაღაც დიდი რამ მზადდებოდა. მაგრამ რა იყო ესა?

ნათუ ომი უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირთან, — ვეკითხებოდი ჩემს თავს. ნათუ დამთხვეული ჰიტლერი ამ უმაგალითო ავანტურაში გადაეშვება.

და მე გადავწყვიტე საბჭოთა რუსეთში გამოქცევა. დაველოდე, ვიდრე ბრძანება გაიცემოდა შეტევის შესახებ, და ღამით მდინარე ცურვით გადმოვლახე. საბჭოთა ნაპირზე ერთბაშად ხელში ჩაუვარდი მესაზღვრეებს. აქ მეგობრულად შემხედნენ. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და საკმელი მომცეს.

როგორ არა ჰგავს ყოველივე ეს იმას, რითაც ჩვენ, გერმანელ ჯარისკაცებს გვაშინებდნენ! თვითველ ჯარისკაცს ფაშისტები ჩასწიჩინებენ — ტყვედ არ უნდა დანებდეთ, რადგან საბჭოთა რუსეთში ტანჯვა და საშინელებანი მოგელით, იქ წამებით დავბოცავენო. ეს უსირცხვილო სიცრუე მიზნად ისახავს გერმანელი ჯარისკაცის დაშინებას. საბჭოთა რუსეთში ტყვე ჯარისკაცს ისე ეპყრობიან, როგორც გერმანელი ფაშისტები არასოდეს არ მოპყრობიან და არც ეპყრობიან თავიანთ ტყვეებს.

და აი მე დავტოვე სამშობლო, რომელიც ფაშისტის უღელქვეშ ჰგმინავს. რომელიც შიმშილობს და იტანჯება ომის ცეცხლის საშინელებისაგან, რომელშიც წყვეულმა ჰიტლერმა და მისმა თავზეხელაღებულმა დამქაშებმა იგი ჩაადგეს. ხალხში მძიმე სულიერი განწყობილება მეფობს. ხალხი შიმშილობს, მაგრამ ვერავის გაუბედავს საჩივარი გამოსთქვას, თავისი გაჭირვება ამცნოს მეზობელს, რადგან მშვიდობიან მოსახლეობაში ისეთივე ტერორი მძვინვარებს, როგორიც ჰიტლერმა არმიაში დაამყარა.

გერმანელი ხალხი ზავს მოელის. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე ფაშისტების მუხანათური თავდასხმის ერთი დღის წინ ვერავინ დაიჯერებდა, რომ ეს მოხდებოდა. ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეხვდა გერმანელი ხალხი ამ უგუნურ ავანტურას. ეს ომი, რომელიც გაცოფებულმა მხეცმა ჰიტლერმა გერმანელ ხალხს თავს მოახვია, შეუძლებელია პოპულარული იყოს ჩვენს ხალხში. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამართულ ამ ომში ფაშისტმა თავისი აღსასრული უნდა ჰპოვოს და კიდევაც ჰპოვებს.

მძიმე სულიერი განწყობილება სუფევს გერმანელ ჯარისკაცებშიც, რომელთა რიგებში ახლახან თვითონ მე ვიყავი. მაგრამ ყველას ეშინია თავისი

აზრი ერთმანეთს გაუზიაროს. ჯარისკაცებში დანერგილია უნდობლობა. ხმა-  
შაღლა თავისი აზრის გამოთქმას ვერაინ ჰბედავს და ეს აზრს კომუნალს აქვს  
ჩამარბული გულში. ჯარისკაცი გაორადებულ პიროვნებას წარმოადგენს. ჯარ-  
თია — რასაც გარეგნულად ვხედავთ, მეორე — რაც ყოველ მათგანს გულში  
აქვს. ჯარისკაცს ეშინია გულში ჩამარბული აზრი ვინმეს გაუზიაროს, რად-  
გან მას გესტაპო და სიკედილი ემუქრება.

ოფიცრის ჯოჯი, დახვერტის მუქარა გერმანელ ჯარისკაცს იძულებულს  
ხდის იომოს, მაგრამ მას ეს ომი არა სურს, მას მშვიდობიანობა სწყურია ისე-  
ვე, როგორც ეს მშვიდობიანობა სწყურია მთელს გერმანელ ხალხს.

და აი ამჟამად საბჭოთა რუსეთში მყოფს მინდა ჩემს ამასწინანდელ ამხანა-  
გებს მივმართო და ეუთხრა:

— გერმანელო ჯარისკაცებო, მუშებო, გლეხებო, მამაკაცებო და ქალებო!  
რა მოგვით ჰიტლერმა? რა მოგიტანათ ფაშიზმმა? ცხოვრება შიშსა და საში-  
ნელ გაჭირებაში, შიმშილი, სიღატაკე და სიკედილი. სად არის თქვენი ქმრე-  
ბი, ძმები და შეილები? პირსისხლიანმა ჰიტლერმა ყოველივე ეს წაგართვათ.  
როდემდე მოითმენთ ყოველივე ამას? როდემდე გაგრძელდება თქვენი უსაზ-  
ღერო ტანჯვა? ჰიტლერმა თავს მოგახვიათ ახალი ომი საბჭოთა კავშირის  
წინააღმდეგ. ამ ომში ფაშიზმმა თავისი დაღუბვა უნდა ჰპოვოს, აქ, საბჭოთა  
კავშირში მე ვხედავ მრავალმილიონიან ხალხს, რომელიც ერთსულღვნად ამ-  
ხედრდა ფაშიზმის მოსასპობად.

გერმანელო ჯარისკაცებო! თქვენ მოვალენი ხართ ხელი შეუწყოთ ფაშიზ-  
მის რაც შეიძლება მალე განადგურებას. მიაბრუნეთ ზისტები ჰიტლერისა და  
მისი ხროვის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად გერმანიას განაგებს. ამით თქვენ  
გააკეთებთ წმინდა საქმეს. ჩამოვარდება მშვიდობიანობა, რომელიც ესოდენ  
სწყურია გერმანელ ხალხს, და საზიზღარი ფაშიზმი საბოლოოდ მოიპობა!

## ალფრედ ლისკოვი

ქალ. კოლევრის მცხოვრები, ვილი ტაციკის ავეჯის ფაბრიკის მუშა.

## საბრძოლო ეპიზოდები

საზღვარზე

ზანაკს ეძინა. მოულოდნელად მოტორების გუგუნნი გაისმა. საბრძოლო განჯაშზე ჩვენი ნაწილი მყისვე წამოდგა. მტრის პირველი თვითმფრინავები მშობლიურ მიწისკენ მოფრინავდნენ. ფაშისტებს განზრახვით ჩვენი ზანაკის ბომბარდირება და შეიძლება ქვეყნის სიღრმე-შიც ლამობდნენ შეტრას.

ვერც ერთი და ვერც მეორე მათ ვერ მოახერხეს: საზენიტო ბატარეების ძლიერმა ცეცხლმა აიძულა ისინი ზურგი ექციათ. უსიტყვოდ გასაგები იყო, ვერაგმა მტერმა საბჭოთა საზღვარი დაარღვია, ტალანში ამოთხუნა თავისი საკუთარი ვალდებულებანი, ომი აუტება ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

— დაუყოვნებლივ გაკვსისოთ საზღვარი ფაშისტი ქვეწარმავალი. — ასეთი იყო ყველა მებრძოლის ერთსულოვანი აზრი.

ასეთივე იყო ბრძანებაც.

არავეულებრბები სისწრაფით მოვახდინეთ რვა კილომეტრიანი გადაბრუნა საზღვრისაკენ — ფაშისტ მტაცებელთა შესახედრად, რათა დაუყოვნებლივ აღგვეკეთა მათი წინსვლა.

ამ დროის განმავლობაში ფაშისტებმა მოახერხეს ხელთ ეგდოთ სოფელი კ., რომელიც სახელმწიფო საზღვრიდან ოთხ კილომეტრზე მდებარეობს. ჩვენმა ნაწილმა ამ სოფელს აღმოსავლეთით შემოუარა და ალყა შემოარტყა. მტრის არტილერიის ცეცხლის ქვეშ რამდენიმე ასეულ მტერზე მიუვახლოვდით სოფელს. ჩვენს წინ, სოფლიდან ასი მეტრის დაშორებით იყო ტანკის საწინააღმდეგო თხრილი, თხრილის იქით კი მავთულბურთა. ქვედანაყოფის მეთაურმა საბრძოლო ამოცანა მომცა: ჩემი ათეულით ტანკსაწინააღმდეგო თხრილიან მივსულიყავი და მავთულბურთა ცეცხლის ქვეშ მომექცია. მე ჩემი მებრძოლებითურთ დაუყოვნებლივ გავემართე ამოცანის შესასრულებლად.

ფაშისტებმა შეაშინეს ჩვენი წინ წაწევა და ტანკსაწინააღმდეგო თხრილის ხაზზე ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს. ყუმბარები დაბლა ეცემოდა და მიწას შვე სვეტებად ჰყრიდა შაერში. აი, ფაშისტთა არტილერია დადუმდა, მაგრამ მის ნაცვლად დაზვიანი ტყვიამფრტვევი ამუშავდა. მეორე დაზვიანი ტყვიამფრტვევი კი ტყის ბორცვიდან გვესროდა.

— ამხანაგ გრინის ხელის ტყვიამფრტვევმა წინ წაიწიოს და ჩახშოს მტრის ტყვიამფრტვევი. — გავეცი ბრძანება და მებრძოლს მიზანზე მივუთითე. ამხანაგი გრინი მიუცდა მითითებულ ადგილამდე, გამართა ტყვიამფრტვევი და როგორც კი პირველი წყება დააყარა, გაისმა ჩვენი დაზვიანი ტყვიამფრტვევის ხმა. მტრის სასროლო წერტილი ჩახშული იქნა. ამავე დროს ჩვენმა არტილერიამ თავზარდამცემი ცეცხლი დაუნთო ფაშისტთა ჯგუფებს სოფლის განაპირას და თვით სოფელში. თითქოს მიზანს მივადწიეთო, მაგრამ არა, მტრის ჭურჭების სკდომა უფრო გახშირდა. ფაშისტთა ქვემეხები პირვანდელი ძალით ისროდნენ და ყუმბარები პირდაპირ ბრუსტერთან სვდებოდნენ. თითქოს მიხვდა მტერი ჩვენს განზრახვას ეტყობოდა რომ მოსთლიყო ვილაც ახალი მეთვალთვალები, რომელიც სასროლო მიზანს აზუსტებდა. მაგრამ სად?..

შევიწინე რომ ტყიან ბორცვისაკენ, სადაც ჩვენ სულ ამხანაგ მტრის სადაზგო ტყვიამფრტვევი ჩაეაჩუმეთ, მოუსვენრად დაფრინავდნენ ყვავები. როგორც სწანდა, მათ ბუდესთან ვილაც მისულიყო.

ჩემი ვარაუდი ამ ჯერზეც მართალი გამოდგა.

ხეზე ახალი მეთვალთვალები შემეჭადარიყო. ჩვენი სნაიპერების სროლამ ჩამოაგდო იგონის იმპუნ შევატყეთ, რომ ფაშისტების არტილერიამ გაფანტულად იწყო სროლა. დაბოლოს ტანკსაწინააღმდეგო თხრილისკენ გზა გავიკაფეთ, თუმცა ამ თხრილის მთლად გამოყენება

ვერ მოვებრბეთ, რადგან ვიდრე მარცხნიდან მივიწვედით ამ თხრილისაკენ, ფაშისტების ჯგუფმა, ოციოდე კაცმა თხრილს მიადწია. ბრძანება გავეცი იერიშისთვის მომზადებულყვნენ. მტერი სულ ოცი ნაბიჯით იყო ჩვენგან დაშორებული. აი, ისინი ~~სამამულო ომის~~ მტრის გადამა. მწევანე ჩრდილები სანიღბო ხალათებში ჩაცმული ~~და~~ ~~სამამულო ომის~~ ტყვენი თავზე ჰკავში შემოვიდნენ. ისინი მოდიან ჩვენს წინააღმდეგ, ოღონდ ჩვენ კი ახა გეხედავენ, ვერც ხედებიან ჩვენს იქვე უფინას.

— ცეცხლი!..

და ერთობლივად აკაცანდნენ ავტომატები — ტყვიამფრქვევები და შაშხანები. უცბათ შემკორდა ფაშისტთა ბანდა. გადარჩენილებმა გასაქცევად პირი იბრუნეს. შევეტომატენი მსროლენი ზერეტდნენ ფაშისტებს, ზოგს ზისტებზე აგებდნენ. მე ორი ფაშისტი დამესხა თავზე. ერთი მათგანი პირისპირ მოვყალი, მეორე მხოლოდ ჩემი ხალათის სახელურს შეეხო, მაგრამ ისიც დამხეს მამაპაპური ხისტით.

ამ დროის განმავლობაში ფაშისტ ტურების მეორე ჯგუფი ტანკაწინააღმდეგო თხრილიან მოვიდა. ჩვენ მოვალენი ვიყავით გავეყვარა ისინი იქიდან. შევძახეთ: „დაშა“, „სამამულო-სათვის“ და გადავეშვით თხრილში. პიტლერის ვაი-მეორებმა მიიღეს ბრძოლა... ოღონდ ისინი თავშიშველნი, მალა ხელაწეულნი იდგნენ, მათ ფეხქვეშ კი იარაღი ეყარა... ისინი 50 კაცამდე იყვნენ.

### ბრძოლა მდინარის პირას

მდინარე № უკრაინის წყნარი მდინარეა. საზღვარია. თვალგამჭრიახად შესცქერიან მე-საზღვრეები მოპირდაპირე ნაპირს. თითქოს ყველგან სიწყნარე.

და უცბათ — სროლა, მეორედ, მესამედ.

ცეცხლისმფრქვევები, არტილერია, ტყვიამფრქვევები — ფაშისტების მიერ ყველაფერი ამოქმედებულია. უშენენ სასაზღვრო სადარაჯოს და სოფელ ს., თუმცა ამ სოფელში არც ერთი წითელარმიელი არ არის.

მტერი მდინარეზე გადაოსვლას იწყებს. მესაზღვრეთა პატარა რაზმი მას ცეცხლით ხედება. იწყება უთანასწორო ბრძოლა.

ორმოცმა მესაზღვრემ თავდასაკავი ადგილები დაიკავა. მებრძოლთა პატარა ჯგუფით სერჟანტი ოსიბენკო მდინარის გასწვრივ მომავლდინებულ ცეცხლს აჩენს. სერჟანტ კოვალოვის მეთაურობით მეორე ჯგუფი ტყვიამფრქვევების და შაშხანების ცეცხლით მავთულ-ლობურებთან აჩერებს მტრის იერიშს. მდინარეში იბრძობიან ფაშისტები, ჩამოეკიდნენ მოკლულები მავთულლობურებზე.

გმირ მებრძოლთა პატარა ჯგუფი ორი საათი ებრძვის რიცხვით ბევრად ძლიერ მტერს. იმის ცდა რომ ჩვენი მებრძოლები მოულოდნელად ხელში ჩაეგდოთ, ამოა შეიქმნა. მაშინ მათ შორიდან შემოვლა და ალყის შემორტყმა დაიწვეს. მესაზღვრეები შეეცადნენ ალყიდან გამოსულიყვნენ, მაგრამ მტრის ტანკებმა გზა გადაუღობეს. მაშინ მესაზღვრეებმა ასეთ ხერხს მიმართეს. პატარა ჯგუფმა ტანკები ყალბი მიმართულებით გაიტყუა. ამით რაზმმა ისარგებლა და პირველი ალყა გარღვეული იქმნა. ფაშისტთა რაზმებთან ხელახალი ბრძოლა გაჩაღდა. კომკავშირელი-წითელარმიელი პეტელი ჰკლავს ფაშისტ ოფიცერს. მოკლე დარტყმით რაზმი იკაფავს გზას.

საიდანაც რაზმთან მოვიდა ორი ადგილობრივი გლეხი.

— თქვენთან ერთად გეინდა წამოსვლა, ერთად დაეარტყათ მტერს.

მერე გამოჩნდა კიდევ ორი გლეხი, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ სამი.

ისინი ჩვენთან ერთად მზარდამზარ იბრძოდნენ მტრის პირველი შემოტევის დროს.

სოფლის გარეთ ხელახლა მოგვიხდა ბრძოლის მიღება. ახლა უკვე ფაშისტთა ჰეიეთა ჯართან, მესაზღვრეთა რაზმის დარტყმა იყო ელვისებური და მძლავრი. მეორე რკალიც გარღვეული იქმნა. წითელი არმიის საველე ნაწილებთან შეხვედრის შემდეგ მესაზღვრეებმა საჭურველი შეივსეს და კვლავ ემგერენ წვეთულ მტრებს.

### მტრის ბანიბოლიის სიღრმეში

ბრძანება მიღებულია: ბრძანებაში გარკვევით ნათქვამია: ესკადრილის თვითმფრინავები აფრინდნენ პავრში და მტრის ტერიტორიაზე სამხედრო ობიექტების ბომბარდირება მოაწყონ. თვითმფრინავში ადგილს ვიკავებ. ჩემთან ერთად მოფრინავს შტურმანი ჩერბენკო და მსროლელი რადისტა-მაკაროვი.

მტრის საზღვარი საზენიტო ქვემეხების სროლით შეგვხვდა. ჩვენს ირავლივ მტრის შიშველი სკდობადა, მაგრამ ჩვენ უფლებად გავედით ცეცხლის რაკალიდან.

ჩვენს ქვეშ იმ ობიექტებია, რომლებიც ბრძანებაში არის მითითებული, მიზანი მიღწეულია. სასწრაფოდ ვართ ყუმბარების ტვირთს, ებარუნდებით სამშობლომდე. მტრის მტკიცე მოტორის გუგუნის ხმაში ვარკვევ ჩვენი ტყვიამფრქვევის მუშაობას. ჩვენს მხარეში მანქანები მაკაროვი უზის, ვხედავ მტრის ერთი თვითმფრინავი ამდევნებია, მას მოჰყვა მეორე, მერე მესამე ამდევნა. ვუმეტებ სისწრაფეს, ზურგს უკან სულ უფრო ხშირად მომესმის ტყვიამფრქვევის კაჟანი, აი, საზღვარიც, მდევრები აღარ ჩანან. როგორც ეტყობა, ჩვენს გამანადგურებლებს გაურკვია ისინი.

ვეშვებით მიწაზე. პირველ ყოვლისა მივირბინე მსროლელ-რადისტთან. ამხანაგი მაკაროვი მისუსტებული ხმით მიპატაკებს:

— ჩვენი ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის ერთი გამანადგურებელი. ვეხმარები მას კაბინიდან გადმოსვლაში და ვხედავ, რომ მთელი კაბინა სისხლში ამოსვროლია. — გონებადაკარულ მებრძოლს მანქანის შორიხლო ფრთხილად ვაწვევთ. მე და შტურმანი ჩვენს სახელოვან თანამებრძოლს ეუხვევით ოთხ კრილომას.

### მტრისადმი ღარბუმა

საბრძოლო ბრძანებით გაფრინდა ესკადრილია. ამოცანად ჰქონდა მიცემული იერიში მიეცანა მტრის მოტომექანიზირებულ რაზმზე.

მფრინავებმა სწრაფად მიადწიეს მითითებულ უბანს. ჩვენი თვითმფრინავები ელვისებურად თავს დაესხნენ ფაშისტ ქვეწარმავლებს. ერთი წყება ზუსტი ცეცხლისა და მტრის მანქანები განადგურებულია. გზაში უწყესრიგობა შეიქმნა. რაზმის წინსვლა შეჩერებული იქნა. ამვე დროს საბრძოლო ადგილისაგან მოიქეპრთან შენაერთის სხვა ესკადრილები. მფრინავები ხედავენ რა მტრის, ოსტატურად ესკრიან მიზანში და საბოლოოდ ანადგურებენ რაზმს.

საბრძოლად გაფრინამდე ერთმა მფრინავმა განაცხადა: მტრის არც ერთ მანქანას არ დაეტოვებთ. გავიდა მკირე ხანი და კაპიტანმა, რომელიც უფლებად დაეშვა თავის აეროდრომზე, განაცხადა, რომ მტრის მექანიზირებული რაზმი მოსპობილია. არავითარი დანაკარგი ჩვენ არა გვქონია.

აეროდრომზე ბრუნდებიან №-ს საავიაციო ნაწილის მფრინავები. რამდენიმე წუთის წინათ მათ გაანადგურეს მოტორიზირებული ჯარის შენაერთი. დიდის წარმატებით ებრძოდა ფაშისტ ყაჩაღებს ესკადრილის მეთაური კაპიტანი დავიდენკო. გაფრინის დროს ჩვენი შევარდნები შეხედნენ გერმანელთა გამანადგურებლებს. ეს შეხედვარა მტრისათვის ცუდად დამთავრდა: ფაშისტთა თვითმფრინავების ნაწილი ჩამოგდებული იქნა, ნაწილმა კი მოპლურცხლა.

### მტრის თავდასხმა მოგვიჩვენებია

— პაერი! ნომრის მიზანია ორი, გერმანიის ყუმბარმშენები, — გაისმა მშვერავი წითელ-არმიელის ფომენკოს ხმა.

ბატარია შენიღბული იყო. მის განლაგებას არაფერი არ ამელავებდა. მოისმა თუ არა მშვერავის გაფრთხილება, გახურებული მუშაობა გაჩაღდა.

განთიადის ბურუსში ძლივს განირჩევა ორი ყუმბარმშენის სილუეტი.

უმცროსი ლეიტენანტი შკოდარევიჩი კომანდის იძლევა.

გუნდები სწრაფად და მარჯვედ მოქმედებენ. ტყვილა როდი ჩაიარა სწავლის დრომ, ტყვილა კი არ ითვლება ეს ბატარია № საზენიტო ნაწილის საუეთესო ბატარიად.

— მიზანი დატყლილია! — მოახსენებს უმცროსი სერჟანტი შორმშომევი კაზმინი. სიმაღლე გამორკვეულია, ყველა გამოანგარიშება შესრულებულია.

— დაუშინეთ მტრის თვითმფრინავთა ჯგუფს, დაუმიზნეთ მეწინავეს! გრანატით!

ელვისებრ მოქმედებენ ქვემეხების უმცროსი სერჟანტები პავლენკო და სემიონოვი, ზემდეგი არსენიევი, წითელიარმიელები ოსიპიჩი და ხელსაწყოს განყოფილების მეთაური უმცროსი სერჟანტი სოლოვიოვი.

გაისმა სროლა. სროლა ზედიზედ სწარმოებდა. პაერში მტრის თვითმფრინავების გვერდით ყუმბარის სკდომის 5 კვალი გაჩნდა.

— თვითმფრინავი იწვის! — გაისმის ფომენკოს სიხარულის შეძახილი.

გავიდა რამდენიმე წამი. ტელეფონმა დატყეკა. ბატარიის დაშორებით გაზღვრული სა-  
 მეთვალყურეო პუნქტიდან ცნობას იძლევა უმცროსი სერჯანტი შტოლტენბერგი.  
 სამეთვალყურეო პუნქტის რაიონში მტრის ცეცხლმოდებული თვითმფრინავია. დაცემის  
 ადგილას კვამლი მოსმანს.

მტრის თვითმფრინავებს უშენდენ არა მარტო მიწიდან, არამედ შვედენიდან.

აეროდრომის თავზე წითელი შეშენა ავარდა; ეს განგაშის სიგნალია. კაპიტან ნოვიკო-  
 ვის მორიგე ესკადრილია სწრაფად აიჭრა ჰაერში. თვითმფრინავები მკვეთრად ადიან მაღლა.  
 გამანადგურებლები გერმანიის ყუმბარმშენების შესახებდრად მიჰქრიან. წინ მანქანები გა-  
 მოზნდნენ. ისინი დიდ სიმაღლეზე ფრინავდნენ. სწრაფად ავარდა მაღლა ნოვიკოვის თვით-  
 მფრინავი. აი მან უკვე მიაღწია ყუმბარმშენებს. მაგრამ ამ დროს ისინი საზენიტო ცეცხლის  
 ზოლში აღმოჩნდნენ. ეს უმცროსი ლეიტენანტ შკოდარევიჩის მეზენიტური უშენდენ ყუმ-  
 ბარმშენებს. ნოვიკოვმა გადასწყვიტა მათთვის ხელი არ შეეშალა და იეროში შესწყვიტა.

„ვერ წაგვივლენ“ — იფიქრა მან და გამობრუნდა. მაგრამ იქვე მან დაინახა, რომ კო-  
 დეგ 2 ყუმბარმშენი შეუმჩნევლად მიიბარებოდა დასაცავი ობიექტისაკენ. მფრინავი-გამა-  
 ნადგურებელი სწრაფად გაფრინდა მაღლა-მაღლა. აი იგი ქვასავით წამოვიდა ქვემოთ, პი-  
 კრებით. გაეშურა მტრისაკენ. ერთერთ ყუმბარმშენში კვამლი ავარდა. რადგან მას ტყვი-  
 მოხვდა. გვერდზე გადაბრუნდა და დედამიწისაკენ დაექანა. ჰაერში კი კვამლის ზოლი დას-  
 ტრავა. მეორე ყუმბარმშენმა, როცა თავისი თანამომის საგალალო ბედი დაინახა, სწრაფად  
 მოკურცხლა. როგორ უნდოდა ნოვიკოვს მას გამოსდევნებოდა და მოესპო, მაგრამ ხელსაწ-  
 ყომ უჩვენა, რომ ბენზინი თავებოდა.

„უნდა დაებრუნდე. — გადასწყვიტა კაპიტანმა, — მტრის სხვა გამანადგურებლები დაეწე-  
 ვიან“. მფრინავმა მანქანა მოაბრუნა და აეროდრომისაკენ გააჭროლა.

მალე კაპიტანის მანქანის გვერდით დაეშვა ავიაგამანადგურებელი, რომელსაც ლეიტენანტი  
 იბატულონი პილოტობდა.

— ჩამოგდებულა მტრის თვითმფრინავი, — მოახსენა ლეიტენანტმა მთიორ კოსტრომინს.  
 — და ლეიტენანტმა გვიამბო საჰაერო შეტაკება ყჩადურ ყუმბარმშენთან. როცა მტრმა  
 საბჭოთა ავიაგამანადგურებელი შეამჩნია, მან სწრაფად მოკურცხლა, უნდოდა სიმაღლეში  
 მიმალულიყო, მაგრამ იბატულონს იგი მხედველობიდან არ გაუშვია. იეროში მტოცე და  
 ელვისებრი იყო. ტყვიამტრქვევის სროლა ზედიზედ სწარმოებდა, და ყუმბარმშენი ჩამოავდეს.

ასე მოიგერიეს მიწიდან და ჰაერიდან მტრის თავდასხმა. ყველა საბჭოთა ავიაგამანადგურ-  
 რებელი თავის ბაზაში დაბრუნდა.

**მეზენიტთა ჩინებული სროლა**

უმცროსი ლეიტენანტის პიძენკოვის საზენიტო ბატარიის მეთვალყურეებმა შეამჩნიეს  
 მტრის ყუმბარმშენი, რომელიც ლენინგრადისაკენ მოფრინავდა. ბატარიამ თვალის დახამა-  
 მებაში თვითმფრინავს დაუშინა პირველი ბათქი. ბურვები ზედ მანქანასთან გასკდა.

ყუმბარმშენის ეკიპაჟმა ერთბაშად ჩამოკარა ტრიალ მინდორზე თავისი ყუმბარები. ამის  
 შემდეგ იგი ძირს დაიწია და ტყვიამტრქვევი დაუშინა ბატარიის. მამიცი მეზენიტური არ  
 დაიბნენ. მემიზენი ბაშკატოვი და უსენკო, გამტენი სემიონოვი და პოკლუივი გაბედულად  
 და მარჯვედ მოქმედებდნენ მაშინ, როდესაც მტერი ტყვიას უშენდა.

მეოთხე ბათქმა ყუმბარმშენს ცეცხლი გაჭრინა და მან ერთბაშად იწყო დაბლა დაწევა.  
 მალე იგი ხეებს გადალმა ჩამოვარდა.

ეს იყო პირველი ფაშისტური თვითმფრინავი, რომელიც მეზენიტებმა ნახეს. უმცროსმა  
 ლეიტენანტმა პიძენკომ თავის დიღურში ჩასწერა: „23 ივნისს 1 საათსა და 40 წუთზე ჩა-  
 მოვადგეთ მტრის ყუმბარმშენი № 1“.

რამდენიმე წუთის შემდეგ № ნაწილის მეზობოლებმა ტყვედ წამოიყვანეს 4 გერმანელი  
 მფრინავი: ერთი ოფიცერი და სამი ტენტროდიცერი.

**სერჟანტი ზუბარიცი**

— ამხანაგებო! მიღებულია საბრძოლო ბრძანება, ოცი წუთის შემდეგ გავფრინდებით. —  
 აღნობებდა რგოლის პირადს შემადგენლობას კაპიტანი ანზ, მოდესტოვი.

აეროდრომის გუნდის შემორება სიგარისებრი ყუმბარები მოაგორეს ურკებით. რამ-  
 დენიმე წუთის შემდეგ რგოლი მზად იყო პირველი საბრძოლო გავრენისათვის იმისათვის.



რომ პირველი იერიში მიეტანა სისხლისმსმელი მტრის ძირითად სტრატეგიულ ობიექტებზე. კაპიტანმა მოდესტოვმა რადისტები შეჭრიბა და განუმარტა მათ სიგნალები.

უღმარებთი დატვირთული მძიმე მანქანები რაგიადინენ მოსწყდნენ ქვეყნის ტერიტორია წესით ჩამოქრიდნენ და დასავლეთისაკენ გაფრინდნენ.

მთელი ღამე ჰეარავდა თვითმფრინავებს, რგოლის შტურმანი კაპიტანი სიხიციანი ვარსკვლავების მიხედვით აზუსტებდა ორიენტირებას. იმ უკვე გავლილია ექვსას-შვიდასი კილომეტრი. გერმანელთა საზენიტო ნატარების ცეცხლი აიძულებს რგოლს დიდი სიმაღლე აილოს. აქ საბჭოთა უღმარშენებელი გერმანელთა ავიაცამანადგურებლებს წააწყდნენ, მაგრამ მათ ბრძოლას თავი აარიდეს და უკან გაბრუნდნენ.

— ქვემოთ არის მიზნის ობიექტები! — გვაცნობა რგოლის მეთაურმა კაპიტანმა სიხიციანმა.

მეთაურის სიგნალის თანახმად, მარჯვენა და მარცხენა თვითმფრინავები, რომლებსაც გამოცდილი მფრინავები ჰპართავდნენ, მეთაურის მანქანას მოზორდნენ საბრძოლო დავალების შესასრულებლად. ყუღმარები მიზანს ხედებოდა.

— ამხანაგო კაპიტანო, მტრის ობიექტები, რომლებიც ბრძანებაში იყო აღნიშნული, მოსპობილია, — მოახსენა ამა. სიხიციანმა რგოლის მეთაურს, უფრო მაღლა აიყვანა შემსუბუქებელი მანქანა და წაიყვანა იგი დასაცდელ პირობითს ზონაში.

— გერმანიის ორ ავიაცამანადგურებელს ვხედავ. — სალაპარაკო მილის მეშვეობით გავმოვეცა მსროლელმა რადისტმა ზუბრიცკიმ.

— მოემზადეთ თვითმფრინავის ბოლოზე მტრის იერიშის მოსაგერებლად! — დამშვიდებელი ხმით გვიპასუხა მეთაურმა.

ჩვენს თვითმფრინავებსა და გერმანიის ავიაცამანადგურებლებს შორის მანძილი სწრაფად მცირდებოდა. დარბა 350-400 მეტრი. მსროლელმა რადისტმა ზუბრიცკიმ ტყვიამფრქვევის გაშტს დააჭირა. მტრის ავიაცამანადგურებელი უხეიროდ გადაბრუნდა და ცეცხლის აღში გახვეული მიწისაკენ დაეშვა. გერმანიის მეორე ავიაცამანადგურებელმა თავი დაანება საბჭოთა ყუღმარშენების დეცნას.

თენდებოდა. მიწაზე ნისლი ჩამოწევა. არცერთი ორიენტირი არ მოსჩანდა, მაგრამ კაპიტანმა მოდესტოვმა მანქანები თავის აეროდრომზე მიიყვანა და ჩინებულად დაეშვა. მიწაზე მას მოუთმინლად ელოდნენ რგოლის დანარჩენი ეკიპაჟები.

ძირს დაშვებულ თვითმფრინავთან ნაწილის მეთაური მივიდა. ამა. მოდესტოვმა მას მოკლედ მოახსენა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, პირველი საბრძოლო დავალება ეკიპაჟმა შეასრულა. აეროდრომზე რომ გბრუნდებოდით, გზაში თავს დაგვესხნენ გერმანიის ავიაცამანადგურებლები. მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოავდო მსროლელმა რადისტმა, სერჟანტმა ზუბრიცკიმ.

### კამარში და მიწაზე

მებრძოლი მფრინავი ამხანაგ მოლოტოვის გამოხსლას რამდენადმე უჩვეულო იტმოსფეროში ისმენდა. იგი ჰოსპიტალში იწევა, როგორც კი რადიო დადუმდა, მფრინავი საწოლიდან წამოდგა და ჰოსპიტალი დასტოვა. ნახევარი საათის შემდეგ იგი უკვე თავის ნაწილში იყო. მალე მისი ჩქარმავალი ავიაცამანადგურებელი მოახლოებულ იმტრის შესახვედრად აფრინდა.

მეორე დღეს მფრინავმა გასხნა ბრძოლის ნამდვილი „მიმდინარე ანგარიში“. — საპაერო ბრძოლაში იგი ეყვითა მტრის მანქანას და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მიწაზე დასცა ფეშისტური ძეგა.

მხოლოდ სამმა დღემ განვლო, მაგრამ სტალინელმა შეგარდნებმა უკვე მოასწრეს სახელოვნად ეშუშავნათ. მტრის ესკადრილია აპირებდა თავს დასბმოდა აეროდრომს, სადაც ჩვენი ავიაცამანადგურებლები იდგნენ. ანაზღვეულობა იღარ გამოვიდა. სამეთვალყურეო საგუშავგობმა დაასწრეს ფაშისტთა „იუნკერსების“ იერიში. ეს უკანასკნელნი ჯერ კიდევ არ შემოსულიყვნენ აეროდრომის ზონაში, რომ მათ ზურგს უკან მარდი ვარსკვლავიანი მიმანოება გაჩნდნენ. საბჭოთა ავიაციის მებრძოლმა შეგარდნებმა პირველივე საბრძოლო გაფრენისას შესძლეს სწრაფად აღმოჩინათ მტერი ღამის ცაში და თავს დაესხნენ მას.

გერმანელი მელაშური თავდამსხმელები ასეთ შეხვედრას არ მოელოდნენ. დაბნეულებმა კურსი შესცვალეს, ზღვარული სიჩქარე განავითარეს და ცდილობდნენ მოეკურცხლათ. მფრინავ-გამანადგურებელი კოდროიცევის ტყვიამფრქვევი ცეცხლს უჩენს გერმანიის მონოპლანს. თვითმფრინავი, რომელსაც ფრთებზე ფაშისტური სვასტიკა ჰქონდა, ვერცხლისებრ სხეულად



ამ დროს აეროდრომისაკენ მიემართებოდა მტრის ათეული ყუმბარაშენი „სტერეოტიპი“ თანხლებით.

პაერში აფრინდა ავიაგამანადგურებელთა ჯგუფი. ბრძოლა უაღრესად მკვეთრად გააღრმავდა. აეროდრომისაკენ და ყუმბარა დაეშინათ მისთვის. მაგრამ მამაცმა სტალინელმა შევარდნებმა ერთსულოვანი იერიშით დაშალეს მტრის საბრძოლო წყობა.

კომუნისტმა მურინავმა მოკლიაკმა, რომელსაც სოციალისტური სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში გავლილი აქვს მკაცრი სკოლა, პირველმა დაიწყო საპაერო ბრძოლა. მან საბრძოლველად განაშინა თვითმფრინავი და ხელსაყრელ პოზიციიდან მარჯვედ აუტეხა სროლა მტრის თვითმფრინავს. მოკლიაკის თვალწინ გაიფრია ფაშისტური ყუმბარაშენის გამოსაცნობმა ნიშნებმა. ახლა მას შეეძლო მეორეზე მიეტანა იერიში...

კომუნისტ მფრინავის გამართულ მაგალითს მიბაძეს დანარჩენმა მფრინავებმა-გამანადგურებლებმა. მიწიდან აღფრთოვანებით ადევნებდნენ თვალყურს, თუ რა გაბედულად მიჰქონდათ საპაერო მებრძოლთა იერიში და ანადგურებდნენ გათავებებულ მტერს.

რამდენიმე წუთსაც არ გაუვლია, რომ მტრის თვითმფრინავთა მეტი ნაწილი აეროდრომის გარშემო ეყარა. დანარჩენები, რომელნიც არ მოელოდნენ ასეთ ფიცხელ დახვედრას, უკუიქცნენ.

ავიაგამანადგურებლებმა რგოლებად, მკაფიოდ მწყობრით გადაუფრინეს აეროდრომს და შემდეგ რიგრიგად დაეშენენ. ყველანი მივარდნენ მამაც მეოპრებს, ეხვეოდნენ, მაგრამ არ თმევდნენ ხელს:

— მოგილოცავთ პირველ სახელოვან გამარჯვებას!

სანამ ტექნიკოსები და მოტორისტები ამოწმებდნენ საბრძოლო მანქანებს, კვლავ გაისმა განგაშის სიგნალი. აეროდრომს უახლოვდებოდა მტრის კიდევ 12 თვითმფრინავი. პირველმა მაგარმა დარტყმამ, როგორც სიანს, ვერ შეანელა ფაშისტ ყაჩაღთა სიფიცხე. იერიში კვლავ წარმატებით იქნა მოგერიებული.

დაძაბულობა ერთი წუთითაც არ ნელდება. იმ, აეროდრომს უახლოვდება მტრის 16 თვითმფრინავი. მტერი ვერაფერა, შეუპოვარი და არაფერს არ ზოგავს თავისი მიზნის მისაღწევად. ჩვენი მფრინავები გმირულად მოქმედებენ, თავგანწირულად ასრულებენ თავის ვალს საყვარელი სამშობლოს წინაშე.

ამ იერიშში კვლავ წინ არის კომუნისტი მოკლიაკი. იგი დაუცხრომელია და კიდევ ერთი დაზიანებული სეავი ღრმად ეფლობა მიწაში.

ჩვენი ავიაგამანადგურებლების იერიშები სულ უფროდაუფრო სწრაფია. ზედიზედ ვარდებიან აღმოდებული ფაშისტური თვითმფრინავები. და, როდესაც საპაერო ბრძოლის მრისხანე ხმა რამდენიმე დატყრა, ნაწილის მეთაურმა თვით მოველო მინდორს, რომელიც დაუბატოებული სტუმრების სასაფლაოდ გადაიქცა. ირგვლივ ბოლოაშვევრალი ეყარა „სტერეოტიპი“ ნახშირბადქცეული ნახსებრეგები.

ბრძოლის შემდეგ მეთაურმა თავი მოუყარა მფრინავ-ტექნიკურ შემადგენლობას და მოკლედ უთხრა:

— ჩვენი ავიაგამანადგურებლები მამაცად იბრძოდნენ. ხვალ კიდევ უკეთესად ებრძობიან.

## მამაცი სამუშაო

გარბნოვი თავისი რგოლითურთ დავალების შესასრულებლად გაემართა. მისი სამუშაო მფრინავი-გამანადგურებელი საუცხოო სწრაფმავალი მანქანებით მიჰქონდა. რგოლი მცირე სიმაღლეზე მიფრინავდა: ასე უფრო ძნელია ტყვიამტკიცებით ან სახენიტო ქვეშეხებით ჩქაროსნული მანქანის დაზიანება. გარდა ამისა, ასეთი სიმაღლიდან ძალიან სწრაფად შეგობლია გადახვიდე დაბლა ფრენაზე, რათა შეასრულო დავალება: დაანგრიო მტრის აეროდრომის მატერიალური ნაწილი, ცეცხლი გაუჩინო მის თვითმფრინავებს, ანგარებს.

სწორედ ასეთი ვარაუდით მიდიოდა მამაცი სამუშაო, რომელსაც ზუსტი სამიზნო ჰქონდა — ზუზუს აეროდრომი.

უკვე დასახული ობიექტის მახლობლად თვითმფრინავები დაბალ ღრუბლიანობასა და ქვეაქტილიან წვიმაში მოაყვნენ.

რა ექნათ? ღრუბლის საბურველი შემოველოთ? უფრო ზევით აფრენილიყვნენ? არა, ყოველივე ეს მოქმედების გეგმას არღვევდა. ბრძანება ზუსტად უნდა შეესრულებინათ. და

მდრინავეები გულდასმით მისდევდნენ კურსს, ზედ მიწას ეკვროდნენ და ასე გასწავლდნენ თავიანთ ვახს.

მაღე აეროდრომი გამოინდა. რგოლი ზღვრული სისწრაფით გაეჭანა სვეტურა ცეცხლ-გამაზნი ტყეები გამანადგურებელ ნაკადებად დაეფრქვა ანგაბს, ფეხებზე დაეფრქვა დრინა-გებს. ეს იყო იტალიის ყუმბარმშენები „საფოია მარკეტი“. ანგარი მკაფიოდ ხალდა. 4 მანქანას ცეცხლი გაუწნდა. რგოლმა მათ კიდევ რამდენჯერმე დაუშინა ტყვიამფრქვევები, რათა უფრო საიმედო ყოფილიყო, და უკან გამოემართა.

მაგრამ, როგორც კი მდრინავეებმა კურსი იიღეს, ლეიტენანტმა იალოვოიმ მტრის ავიაგამანადგურებელი შეამჩნია. მკეთილად შებრუნდა მისკენ და ტყვიამფრქვევი რამდენჯერმე დაახალა. იგი ნათლად ხედავდა, რომ მიზანი მოხვდა, რომ მოწინააღმდეგის თვითმფრინავი დაზიანებულია. მაგრამ იალოვოის ეს საქმარისად არ მიაჩნია. მას სწავდა თვითმფრინავი საბოლოოდ მოესპო, დაწმენებული ყოფილიყო ბრძოლის შედეგში. ლეიტენანტმა მოტორის მთელი სიმძლავრე ჩააქოვა თავის ნახტომში, ზუსტად გადაუარა მტრის ავიაგამანადგურებელს და თავისი თვითმფრინავის ყავარჯენი დაარტყა მას. მტერი ქვესავით ჩამოგარდა ძირს, იალოვოი, რაკი დაწმენდა, რომ მტერი ვეღარ წამოადგებო, თავისიანებს შეუერთდა.

გამობრუნებისას განსაკუთრებული რაიმე არაფერი მომხდარა, თუ შედეგელობაში არ მივიღებთ, რომ ეარინოვის თვითმფრინავმა დაცხრილა და ჩამოაგდო მტრის კიდევ ერთი ავიაგამანადგურებელი.

• • •

მეორე დღეს აეროდრომი, საიდანაც ეარინოვი აფრინდა, ორი ყუმბარმშენის თავდასხმის ობიექტი გახდა.

ეს იყო დაახლოებით დილის 4 საათზე. ყუმბარმშენებმა დაბლა ფრენით ჩამოჰყარეს ყუმბარები. ჰაერში ალია და კვამლის სმირი სვეტები ავარდა. არც ერთი ყუმბარა არ მოხვედრია არც ნავებობებს და არც თვითმფრინავებს.

მაშინვე ჰაერში 3 ზენი ავიაგამანადგურებელი აფრინდა. ისინი დაედევნენ თავდასხმეულებს. ერთმა მოახერხა გაქცევა, სამავიეროდ მეორეს უფროსი ლეიტენანტი ობორინი დაეწია. ობორინმა უადრესად ხელსაყრელი მდგომარეობა დაიკავა და ჰაშეტს დააწვა. ერთხელ დაუშინა — და ტყვიამფრქვევები დადუმდნენ. მანქანაში რაღაცა გაიჩხირა. მდრინავი ბრაზისა და აჯერისაგან ტუნებს იკვნეტდა. დაეწიო მტრს, მიზანში ამოილო და ხელიდან გაუშვა? არასოდეს! და ობორინმა მყისვე მიიღო გაბედული გადაწყვეტილება. უიაროდ, მდუმარე ტყვიამფრქვევებით ეკეთა იგი მძიმე, კარგად შეიარაღებულ მანქანას. მის სეტყვა-სავით უშენდნენ ტყვიამფრქვევებს. მაგრამ იგი არ ჩერდებოდა, პირისპირ მიადგა ყუმბარმშენს, ჩაუჭროლა მის ზედაპირს და ხრახნი ჩასცა. ობორინი დაბრტყამ შეარყია. მტრის შეუხედავად განზე გაეარდა. ეშაფებოდა პარაშუტით ჩამოხტომისათვის, თუ ავიაგამანადგურებელი დამსხვრეული აღმოჩნდებოდა. მაგრამ მანქანა რიგზე იყო. საიმედო ავიაგამანადგურებელმა ობორინი დაჯახება, გაუძლო უდიდეს დატვირთვას და ლირსელად გამოვიდა ამ განსაკუთრებული გამოცდიდან. ყუმბარმშენი? დაეცა გაჩეხილი ფრთა და ყუმბარმშენი მწვანედ მოხიბნე ბაღებში დაეცა.

ობორინი მშვიდობით დაბრუნდა თავისიანებთან. როცა იგი დაეშვა, მის მანქანასთან ამა-ნაგები მიცივდნენ. ფიზელაეში ნახვრეტებია, ხრახნი გამოცდილია.

უფროსი ლეიტენანტი ობორინი, სამამულო ომის გმირი, მზად არის ახალი საემირო საქმეებისათვის, ახალი ბრძოლებისათვის თავისი სამშობლოს სადიდებლად.

## ლიონ ფინანსანგარი საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შესახებ

ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა ცნობილმა მწერალმა ლიონ ფეიხტვანგერმა საკადესის კორესპონდენტს გამოუგზავნა წერილი, სადაც სხვათა შორის სწერს: „ჩვენ აღშფოთებული ვართ საბჭოთა ხალხზე ფაშისტების თავდასხმით. ჩვენ ვიცით, რომ ამ თავდასხმაში უგუნდურება უფრო მეტია, ვიდრე ვერაგობა. უგუნდურმა ფაშისტებმა ახლა საბრძოლოდ გამოიწვიეს მოწინააღმდეგენი, რომელნიც მათ სჭარბობენ თავიანთი რაოდენობით, რწმენით, თავიანთი ერთიანობით. ახლა ფაშისტებს ბოლო მოეღებათ, ჩვენთვის ამერიკაში ამ ომს კიდევ ერთი სასიხარულო შედეგი აქვს. პიტლერის მეგობრები და საბჭოთა კავშირის მტრები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ამერიკელები, რომ საბჭოთა მოკალაქენი არსებითად ისეთივე ფაშისტები არიან და იმავე მიზნებს ისახევენო. ახლა იმ პირებს, რომელნიც ამგვარ „ინფორმაციას“ ავრცელებდნენ, იარაღი გამოეცალათ ხელიდან. ამერიკაში არ მოქმედებენ ისე სწრაფად, როგორც მოსკოვში ჰგონიათ. მაგრამ სამაგიეროდ აქ საქმიანობას იჩენენ. და როგორც კი ახალი შეზღუდვება გზას გაიკვლევს, ნაციისტთა გასანადგურებლად გამოგზავნილ იქნება კიდევ უფრო ეფექტური იარაღი, ვიდრე დღემდის იგზავნებოდა ცხადია, რომ ეს ომი გააფთრებული იქნება, მას მძიმე შედეგები მოჰყვება. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ საბჭოთა ხალხს და დარწმუნებული ვართ, რომ ძლიერი, ბრძენი ბელადის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი, ორივე დიდ ანგლოსაქსურ ხალხთან დაკავშირებული, საბოლოოდ ალაგმავს ნაციტებს.“

### ფრანგი მფარლის მიუღ რომენის განცხადება

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ფრანგმა მწერალმა ეთელ რომენმა საკადესის კორესპონდენტს განუცხადა:

„მე ვფიქრობ, რომ თავისუფალ ადამიანთა და დემოკრატიულ ერთა პოზიცია იმ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა რუსეთზე პიტლერის თავდასხმის შედეგად, საცხებით ნათელია. ამ ადამიანთა ეალია მთელი ძალღონით, უყოყმანოდ დაუქირონ მხარი რუს ხალხს. შეზღუდვებს, რომელიც ჩვენ შეიძლება გვექონდეს კომუნისმზე და რომელიც ჩვენ უფლება გვაქვს შევინარჩუნოთ, ამჟამად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამჟამად საქმე ეტება იმას, რომ ყველამ ერთად გავილაშქროთ კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ და დავამარცხოთ იგი... რუსი ხალხის ბრძოლას ყველა ხალხი მადლიერების გრძობით უნდა შეხედეს. დე რუსმა ხალხმა თავის მხრივ ასწონ-დასწონოს ის დიდი და სასახელო პასუხისმგებლობა, რომელიც მას ეკისრება, როდესაც იგი მთელი ძალღონით იბრძვის და შეგნებულა აქვს, რომ დამარცხება შეუძლებელია, როდესაც ფიცსა სიუბს ყოველგვარ პირობებში განავრძოს ბრძოლა, იგი მოქმედებს თავისთვის, ევროპისათვის, მთელი მსოფლიოსათვის.“

### ღარიჟარის დეპუტე „სსრ კავშირთან ურთიერთობის საკითხთა ამერიკის საბჭოსადმი“

მწერალმა დრაიზერმა „სსრ კავშირთან ურთიერთობის საკითხთა ამერიკის საბჭოს“ შემდეგი შენიშვნის დებუა გაუგზავნა:

„ამერიკის ლიბერალური დემოკრატიისათვის არაფერს არა აქვს იმაზე დიდი მნიშვნელობა, ვიდრე რუსეთის წარმატებას პიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსების საქმე ყოველთვის და ყველგან დემოკრატიის ნამდვილი საქმეა, ვინაიდან რუსეთმა უბრალო ადამიანისათვის უკვე გააკეთა იმაზე მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანამ ისტორიაში.“

განათლებლის ცნობილი მოღვაწე აბრამ ფლექსნერი თავის დებუებაში სწერს: „მე ვიწონებ ყველაფერს, რის გაკეთებასაც ჩვენ შეეძლებათ, რომ დავეხმაროთ საბჭოთა კავშირს გაანად-“

გუროს ჰიტლერი და შექმნას მსოფლიოში ადამიანთა ცხოვრებისათვის გამოსაღწევი პირობები".



### ჰერბერტ უელსის მოწოდება სსრ კავშირის ხალხებისათვის მზარის დაპირის შესახებ

მწერალმა ჰერბერტ უელსმა გაზეთ „სანდი დისპეტჩში“ მოათავსა სტატია, რომელშიაც ნათქვამია:

„რუსეთზე თავდასხმა წარმოადგენს ჰიტლერის ახალ, შეიძლება ითქვას, სასოწარკვეთილუბით ნაკარნახევ უკანასკნელ ნაბიჯს. ეს თავდასხმა ჩვენთვის, ყველასათვის, გარდა რუსეთისა, მოულოდნელი იყო. საბჭოთა კავშირი ანგარიშს უწყევდა ამ შესაძლებლობას რუსეთს არა ჰყავს არც ფინანსისტები, არც არისტოკრატები. იქ არ არიან ჰესები და მოსლენი. ჰიტლერმა პირველად დაიწყო ბრძოლა სერაიოზულ მოწინააღმდეგეებსთან. პოლანეთში გერმანიის შესვლის შემდეგ რუსეთმა საესებით საფუძვლიანად გადასწყვიტა გაედართოვებინა თავისი საზღვრები და იმის ნაცვლად, რომ გერმანიელებს მოეხდინათ იმ საავიაციო ბაზების ოკუპაცია, რომლებიც რუსეთიდან ზარბაზნის გასართლის მანიძოზე მდებარეობენ, ამ უკანასკნელმა თვით დაიკავა ეს ბაზები. როდესაც მე ამერიკაში ყოფნის დროს ლაპარაკი მჭანდა იმ ხალხთან, რომლებიც აღშფოთებულნი გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ რუსები თავს დაესხნენ „მაჰაჯ პატარა ფინებს“, მე მათ ვეკითხებოდი—როგორ იგრძნობდნენ ისინი თავს, რომელიმე პატარა ტრი ნიუ-იორკის მახლობლად მდებარე კუნძულზე რომ დამკვიდრებულყოფი და, მშვიდობიანობისა და თავისუფლების სიყვარულის გამო, აეშენებინა ძლიერ გამაგრებული ხაზი სრუტეებზე გაბატონებული მძლავრა ბატარიებით, რომლებსაც შეედოთ უმბარები, დაეშინათ ნიუ-იორკისათვის, და ყოველ წელს ჩაეძირათ მის ნათესადგურში მდგომი გემები. საინტერესოა როგორ შეხედავდა ამას ამერიკა. რუსეთი უფრო პატიოსნად ასრულებდა თავის სახელმწიფოებრივ ვალდებულებებს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა მსოფლიოში“.

— ინგლისელმა ხალხმა. — აღნიშნავს შემდეგ ავტორი, — რამდენიმედ უფრო გვიან იწყო იმის გაგება, თუ რას წარმოადგენს რუსეთი. ისეთ ხალხთან, როგორიც რუსი ხალხია, შესაძლებელია არა მარტო კავშირი, არამედ შეგობრობაც.

### ამერიკელი მწერლის ალბერტ რის ვილიამსმა (ვილიამსი ავტორია რამდენიმე წიგნისა საბჭოთა კავშირზე) შორეული კანადიდან შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს:

„მედგარმა წინააღმდეგობამ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰიტლერს უწყევს მის შემდეგარაც ბევრმა ქვეყანამ ქედი მოიხარა მის წინაშე, 150 საბჭოთა ხალხისა და ეროვნების მტკიცე გადაწყვეტილებამ—ბოლო მოუღონ მსოფლიო ბატონობისკენ მიმართულ მის მისწრაფებას, მამაცურმა ბრძოლამ წითელი არმიისა, რომელიც მარტოდ-მარტო უმკლავდება გერმანიის არმიების უდიდეს შემოტევას, იმ არმიების შემოტევას, რომელთაც წარსულ ომში ხუთი დიდი სახელმწიფოს ჯარი ებრძოდა, — ყოველივე ამან ღრმად ააღივდა და ფეხზე დააყენა ამერიკის ხალხები, მიიზიდა და შეამჭიდროვა დემოკრატიისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლი ძალები, მახვილხ ჩასცა ყველა იმას, ვინც მოითხოვდა სამარცხვინო კაპიტულაციას ფაშისტების წინაშე. სახელოვანი საბჭოთა ყავილერია, მფრინავები, ტანკისტები, ქვეითი ჯარი მამაცურად და თავგამოდებით იბრძვის მთელ საბჭოთა საზღვარზე — მდინარე პრუტიდან ბალტიის ზღვამდე. მათ გმირულ საქმეებს უკვე მხურვალედ ეხმარებიან აქაურ ტყვეებში, შალაროებში, ქარხნებში, წყნარ ოკეანეს მთელ სანაპიროზე. ყოველივე ეს და აგრეთვე მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი მოქალაქის სოლიდარობა საბჭოთა კავშირთან გვიათეცებს იმ რწმენას, რომ საბოლოოდ განადგურებული და გაკამტვრეული იქნებიან წყევლიდიდან და ბარბაროსობიდან მოსული ურდოები ნაციათა-სოციალისტებისა“.

### დამოწმებულ საფრანგეთში

თანამედროვე საფრანგეთის ლიტერატურის, ხელოვნების, თეატრის მდგომარეობას ახალსათებს უბრევლეს ყოვლისა. უდიდესი შეძრწუნება, რომელიც განიცადა ინტელექტუალურმა წრემ დამარცხების გამო.

„პროგნოზი შეგვიძლიან ჩვენ კალმის აღება ხელახლა, — განაცხადა საფრანგეთის ერთმა გამოჩენილმა მწერალმა, — იმ საშინელების შემდეგ, რომელიც ჩვენ განვიცადეთ... იმის შემდეგ, რაცა ჩვენ ყველაფერი დაგვარგეთ. ჩვენი თაობისათვის ყველაფერი ვინაობისაა, ახალგაზრდებს დაავიწყდეთ ეს დამარცხება, ჩვენთვის კი მისი დავიწყება შეუძლებელია“.

ფრანგები მილიონობით დარჩნენ უსახლკაროდ, შიატოვებს მათ თავიანთი სამყოფელი. ყოველდღიურ ლუკმა-პურზე, ღამის გასათევზე ზრუნვა აღარ სტოვებს დროს შემოკლებულ ღამის მუშაობისათვის. არაოკუპირებული ზონის გამომცემლობანი ველარ ახერხებენ მუშაობის გაგრძელებას. ჭაღალდი ძნელი საშოვარია, მისი ფასი ყოველდღიურად მატულობს. გამომცემლობებს საშუალება არა აქვთ უკვე წარმოებაში გადაცემული წიგნების გამოშვებისა. იმის გამო, რომ არაოკუპირებული ზონიდან ოკუპირებულ ზონაში ლიტერატურის გადაზიდვა აკრძალულია, უფრო გაძნელდა წიგნების გასაღება-გაფრქველება. საწვევი მასალის და ტრანსპორტის უქონლობა აფერხებს წიგნების გაფრქველებას თვით არაოკუპირებულ ზონაშიაც. ვერ გადააქვთ წიგნები სტამბიდან საწყობებში, ვერ აწვდიან განყოფილებებსა და მღალაზიებს.

აუტრანელი ვახდა ცენზურა. ყველაფერი, რითაც აქამდის ამაყობდა საფრანგეთის ლიტერატურა, ახლა საღანძღავად და საგინებლად არის ამოღებული მიზანში. დაქირავებულ მჯღაბნელებს თავს ესმიან ომამდელ ლიტერატურას და თითქმის მის აბრალებენ... საფრანგეთის დამარცხებას ყველაფერი, რაც ჯანსაღი და მოწინავე აზრით არის გამსჭვალული, სასტიკად იღვინება, სამაგიეროდ დიდი მფარველობა ეწევა რეაქციული პნელეთის მოციქულების „ნაწიერებს“. პროვინციური წიგნი თითქმის აღარ იბეჭდება.

დიდ რეკლამას უკეთებენ რეაქციონერი ეურნალისტის ვორე სიუარესის წიგნს, რომელიც მარშალ პეტენისადმი მიძღვნილია.

ომის პირველ თვეებიდანვე მხატვრებისა და მოქანდაკეების მდგომარეობა ძალიან გაუარესდა. სურათისა და ქანდაკების გაყიდვა შეუძლებელი ვახდა, კერძო გამოფენები დაიხურა, მხატვართა უმრავლესობამ პარიზი მიატოვა. 1940 წლის სექტემბერში ძლივს იწყეს ფრანგმა მხატვრებმა პარიზში დაბრუნება. ცნობილი მხატვრების უმრავლესობა კი დღემდე პროვინციაშია.

რაც შეეხება თეატრს, ომის შემდეგ პირველ თვეებში თითქმის აღარაინ ფიჭობდა სანახაობაზე. მხოლოდ სექტემბერში ვახიხნა მუნიკაპოლის, კინოსი და რამდენიმე თეატრის კარები.

### კინო პეტიონს საფრანგეთში

ცენზურა განსაკუთრებით მძინეარებს კინემატოგრაფში. ჯერ სცენარი, შემდეგ დამთავრებული ფილმი და ბოლოს ის ფილმი, რომელიც ექსპორტისთვის არის განკუთვნილი, რეგრიგობით გაივლიან ცენზურის დაუსრულებელ ინსტანციებს. დღემდე არც ერთი ახალი ფრანგული ფილმი არ გამოჩენილა ეკრანზე. გაზეთები მხოლოდ ერთადერთი სურათის შესახებ იუწყებიან, რომელსაც „ორმოცი წელი“ ეწოდება. მისი სიუჟეტი ასეთია: ორი ფრანგი არისტოკრატი, როგორც კი გაიგებენ, რომ გერმანია თავს დაესხა საფრანგეთს, სკლიან თავიანთ ბინას და მთელ ქონებას ბრეტანში ვახეიან. მათ იმედი აქვთ, რომ ბრეტანში ისინი თავიანთი ქონებით უფლებლად დარჩებიან. მაგრამ გერმანიის ჯარი იპყრობს ბრეტანსაც და ფილმის გმირები ჰკარგავენ მთელს ივლა-დიდებას. ამის შემდეგ ისინი იძულებულნი არიან „ისწავლონ ღარიბი ცხოვრება“. ფილმი თავდება არისტოკრატი გმირების დაბრუნებით ძველ საყოფელში. სცენარის ავტორის განზრახვით ეს დაბრუნება სიმბოლიურად გამოხატავს „მიწასთან დაბრუნებას“.

### ფრანგი კინო-არტისტები კოლივოჯში

საფრანგეთის ყველა, ისე თუ ისე გამოჩენილმა კინო-რეჟისორმა და მსახიობმა მიატოვა დაშიზმის მიერ დაპყრობილი სამშობლო. ისინი ვაეჭუნენ დენას და დამკირებას, შიმშილსა და უმუშევრობას. ბევრმა მთვანმა თავი შეაფარა პოლივოჯს. ამათ რიცხვშია რენე კლერი (ცნობილი სურათის — „პარიზის სახურავების ქვეშ“ — ის დამდგმელი), ეიულიენ დიუვივიე („დიდი ვალის“ დამდგმელი), ეან ვაბენი, ვაჟ ფეიდერი და სხვანი.

## გონკურების პრემიის ბაღი

პარიზის ლიტერატურული ცხოვრების ყოველწლიური სენსაცია — გონკურების პრემია 1940 წელს არავის მიაკლავინა. გონკურების პრემიის მიკლავინება ჩვეულებრივ კრებულ კრებულ ტრანში სუფრაზე, გონკურების აკადემიის წევრები დაფანტული არიან საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეში, მათ ვერ მოახერხეს ტრადიციულ სუფრაზე შეკრება. მაგრამ მთავარი მიზეზი პრემიის გაუცემლობისა ის არის, რომ მთელი 1940 წლის განმავლობაში არ გამოსლდა არც ერთი ზეირიანი რომანი.

## პალემიოსები „მუშაობაზე“

წინააღმდეგ გონკურების აკადემიისა, საფრანგეთის აკადემია ისევ განაგრძობს „მუშაობას“, ვითომ და არაფერი მომხდარიყოს. აკადემიის წევრთა უმრავლესობა პარიზშია. ამიტომ ყველა პრემია თავის დროზე იქნა განაწილებული. საფრანგეთის აკადემია მაინც და მაინც ღირსეულ ნაწარმოებს არ არჩევდა, იგი მტრწილად რეაქციულ, უნიჭო წიგნებს აძლევდა პრემიების უმრავლესობას.

1940 წელს „დიდი ლიტერატურული პრემია“ მიაკლავინეს ედმონ პილონს ისტორიული ანეკდოტების კრებულისათვის. პრესა კომენტარებს არ უკეთებს დაჯილდოებულ წიგნებს და მხოლოდ ოფიციალური შენიშვნებით კმაყოფილდება.

სექტემბერში ვარდაიცვალა დრამატურგი ანრი ლავედანი და აკადემიაში განთავისუფლდა საეპიქური ახალი „უცდავის“ ამოსარჩევად გაჩაღდა კამპანია. ახალი კანდიდატი მოხუცია ბარონი სეიერია. იგი უცვლელი მდივანი იყო ზნეობრივ შეცინიერებათა აკადემიისა. იმის გამო, რომ პარიზში სხვა ტრანსპორტი აღარ მოიპოვება, „უცდავის“ მოხუცი კანდიდატი ველოსიპედით დაჰქრის პარიზის ქუჩებში და ვარდა იმისა, რომ საღარბაზოდ დაღის თავის ამომრჩეველ აკადემიოსებთან, ერთგვარად საველოსიპედო სპორტის ავტაკაციასაც უწევდა.

მწერალი აკადემიოსი აბელ ბონარი ქადაგებს „ახალი ფრანგული სულის“ აღორძინებას და ანტისემიტისმ.

## ხელმწიფის საუჯრების გადაცემა ესპანეთისთვის

ამსწინათ პეტენსა და ფრანკოს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის შედეგადაც ესპანეთის გადაეცა მრავალი პირველხარისხოვანი ნაწარმოები ზელოვნებისა, რომელიც დღემდის დაცული იყო საფრანგეთის მუზეუმებში. მათ შორის აღსანიშნავია მურილიოს „უმანკო ჩასახება“. ესპანეთს გადაეცემა აგრეთვე იბერიული ჭანდაკების ნიმუშები, რომის ეპოქის ესპანური ძეგლები და ესპანეთის არტეფიქტებიდან ნაპოლეონის მიერ წაღებული 50-მდის ზელნაწერი.

## წიგნები საფრანგეთის დამარცხებაზე

ამერიკის გაზეთები ფართო ადგილს უთმობენ იმ წიგნების მიმოხილვას, რომლებიც საფრანგეთის დამარცხებას შეეხებიან. ზოგი მათგანი (ა. მორუ „საფრანგეთის ტრაგედია“ და ანდრე სიმონის „მე ბრალს ვებღ“) საბჭოთა მკითხველისთვის უკვე ცნობილია.

ახლახან გამოსულა იმავე ანდრე სიმონის მეორე წიგნი — „ევროპის ადამიანები“, მემორუკენე უფრანკლისტის პერტინაქის — დაქველვი ზღუდე“, კათოლიკი მწერლის ვაკ მარტიტინის — „საფრანგეთი — ჩემი სამშობლო“ და უფრანკლისტ რობერ დე სენ ეანის — „ლაბარაკოს საფრანგეთი“.

ფ. პილინგის წიგნი „იყო ეამეტი მამაკი“, რომელიც ახლახან გამოვიდა ლონდონში, სატრირული ფორმით ცდილობს მისცეს მკითხველს საფრანგეთის დამარცხების ანალიზი. ატტორს გამოვინილი სახელებით გამოჰყავს პოლ რენო და ელენ დე პორტი, „რომელთაც თავიანთ შეთქმულებაში ჩათირეს ვინმე ზნიერი სამხედრო პირი“.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის გორდონ უოტერფილდის წიგნი — „რა მოუვიდა საფრანგეთს“, იძლევა საფრანგეთის დამარცხების პოლიტიკური მიზეზების ანალიზს. წიგნიში მოთხრობილია ფრანგი ჯარისკაცების და მფრინავების სიმამაცეებ და ნაჩვენებია იმ იარაღის უფარვისიანა, რომელთაც მამაკი ფრანგი ჯარისკაცები ებრძოდნენ რეკობრივად და ტექნიკურად აღმტებულ მტერს. წიგნის საუკეთესო თავები მიძღვნილია მკინოს ზაზი-სადმი, „იმ ფეტიშისადმი, რომელსაც ბრმად ენდობოდა მთელი საფრანგეთი“.





მეორე წიგნი, რომელსაც რეკომენდაციას უკეთებს ინგლისური პრესა, წარმოადგენს ინგლისური გაზეთის პარიზელი კორესპონდენტის ალექსანდრე უერტის დღიურს — „პარიზის უკანასკნელი დღეები“. ავტორი კარგად იცნობს საფრანგეთს, მის კულტურას და მასლოტიკას მას საშუალება ჰქონდა დიპლომატიურ და პოლიტიკურ მოღვაწეობათს, აქვეყნებს მას შემთხვევითან საუბარსა, რამაც მას შეაძლებინა მოეცა ნათელი სურათი ომის დროინდელი საფრანგეთისა. გაზეთების სიტყვით, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „საფრანგეთის დღევანდარდაუვალი იყო“.

„არც-დარცვა და რწმენის უქონლობა, რომელიც საფრანგეთის პოლიტიკას ახასიათებდა, ისეთი ადამიანების უყოლობა, რომელთაც შეეძლოთ ეცისრათ ქვეყნის ხელმძღვანელობა, მინისტრების მუდმივი ზრუნვა იმაზე, რომ საფრანგეთი ეხსნათ არა გერმანიისაგან, არამედ თვითონ ფრანგი ხალხისგან,—ყველაფერ ამას არ შეეძლო კატასტროფამდე არ მიეყვანა საფრანგეთი“.

## ჩინეთი

### ინტერესი საბჭოთა ლიტერატურისადმი

ჩინელი სტუდენტები დად ინტერესს იჩენენ რუსულ კლასიკურ და საბჭოთა ლიტერატურა-რისადმი. ცენტრალურ უნივერსიტეტში ორ წელზე მეტია მუშაობს საბჭოთა კავშირის და, კერძოდ, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემსწავლელი წრე.

საბჭოთა ლიტერატურისადმი ინტერესის ზრდას მოწმობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კულტურის საზოგადოებამ ოთხ ჰალაქში მოაწყო რუსული ენის კურსე-ბი. კურსებზე ორას კაცზე მეტი სწავლობს.

### მწერლები ფრონტზე

მწერლების ლიტერატურული ბრიგადები და ჯგუფები უკვე ნახევარ წელზე მეტია, რაც ფრონტზე მუშაობენ. მათ მდიდარი მასალა შეაგროვეს, ახლა ამ მასალის დამუშავება ხდება. ექვსი თვის განმავლობაში დასაბუქდად მომზადდა ოცი კრებული, რომელთაც სა-ერთო სათაური აქვთ: „ლიტერატურა პოზიციებზე“. კრებულებში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები, პიესები, ნარკვევები და სხვა მასალა. კრებულებში მონაწილეობენ ჩინეთის მოწინავე მწერლები.

### სუნ ძი-ლინის წიგნილი

ამერიკელმა ურჩაღმა გამოაქვეყნა სუნიატსენის ქერივის — სუნ ძი-ლინის წერილი. „ჩი-ნეთის ხალხი,—სწერს იგი,—ურყვევი სიმტკიცით განაგრძობს თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ჩინეთის არმიამ მოიგერია მტრის იერიშები და სამი წლის წინააღმდეგობის შემდეგ ანტიიამპონური ფრონტი დღეშდის ინარჩუნებს საბრძოლო პოზიციებს“.

ჩვენ დაწმუნებული ვართ, რომ ჩინეთის ყველა მეგობარი, რომელიც ჩინეთის საზღ-ვრებს გარეთ ცხოვრობს, მომავალშიც ყოველმხრივ დაგვეხმარება“.

## ინგლისსა და ამერიკაში

### ბიოლოგიური დანიშნის გამოსვლიდან

„23 წლის განმავლობაში ვცდილობდი, რომ ამერიკელებს უკეთ გავგოთ საბჭოთა კავ-შირის სული და მისწრაფება. ამ დროს ჩვენი კამიტალისტური ხროვა მის კონტროლ ქვეშ მოქცეული პრესის, სკოლის, ეკლესიისა და საკანონმდებლო ორგანოების დახმარებით, ცდი-ლობდა ამერიკელი ხალხისათვის დაემალა სიმართლე საბჭოთა კავშირზე, შეეცავლა იგი ყო-ველგვარი სიცრუით და ცალსმწამებლური გამოგონებით“.

როგორ დაეუბრისპირდეთ ამ კამპანიას,—აი არსებითი პრობლემა თავისუფლებისა და სამართლიანობის ყველა მოყვარულისთვის.

ჩვენ რომ ნამდვილად თავისუფალი პრესა და რადიო გვქონოდა, ჩვენ შევძლებდით დაგ-ვემტკიცებინა, რომ საბჭოთა კავშირი ერთად-ერთია მსოფლიოს ქვეყნებს შორის, რომე-



**ინგლისური შუინალის ანკება**



ინგლისური ეურნალის „ანტრიმენ“-ის რედაქციამ ანკება დაუგზავნა „სტრეტივი“-ს კითხვებს. ანკეტის თემაა: როგორ შევინარჩუნოთ ომის დროს საჭირო მთავრობის მდგომარეობა. უმრავლესობამ ანკეტაზე უპასუხა: მუსიკით, ასტრონომიით და დედამკურნო მანების კითხვით.

**ღამის სიბნელეში**

ინგლისელმა ეურნალისტმა ჯ. ზოდსონმა მრავალი ღამე გაატარა ლონდონის ბომბარდირებულ რაიონებში. იგი იწერდა შენიშვნებს, დაზარალებულებთან, მეხანძრეებთან, მეზენიტებთან და სხვებთან საუბრებს.

ეს დოკუმენტები დაედო საფუძვლად ზოდსონის წიგნს „ღამის სიბნელეში“.

**ინგლისური სამხედრო შარბონი**

ომმა თავისებური გავლენა მოახდინა ინგლისურ ენაზეც. უკვე გაჩნდა ახალი, ომის ეარგონი. იგი ხასიათდება სიტყვების შემოკლებით, მაგალითად: „ამონიცია“-ს მაგივრად ამბობენ შოკლედ—„ამო“; „მესერსმიდტის“ მაგივრად ამბობენ „მე“, ტორპედს ეძახიან—„ტორპ“.

საპატრო განგაშის დაწყების და შეწყვეტის ნიშანი ჭალების სახელებით აღინიშნება: პირველს უწოდებენ „მონა“-ს, მეორეს — „კლარა“-ს.

ყუმბარშშენს „გუგულები“ დაარქვეს. იმის მაგივრად, რომ თქვან „ყუმბარებს ყრიანო“, ამბობენ „კვერცხებს აწყობენო“.

პაატა გუგუშვილი — „ქართული ჟურნალისტიკა,  
საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის“.

ტ. I. საბელზაში, 1941 წ.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორია ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. ქართული პერიოდული გამოცემების მოლიანად შესწავლა, რაც საჭირო და აუცილებელია ჟურნალისტიკის ისტორიის დასამუშავებლად, ჯერ კიდევ არ მომზადარა. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს წინათ ყურადღება თითქმის არ ექცეოდა. ქართული პერიოდიკის სერიოზული დამუშავება და შესწავლა ჩვენი დროის საქმეა. ასეთ პირობებში, იმგვარი ნაშრომი, როგორც სარცენზო წიგნია, საინტერესოა.

განსახილველი წიგნი შეიცავს: შესავალს (ეპოქის მიმოხილვა, პრესა და ცენზურა), სამ ნაწილს (ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან, „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“) და დამატებას.

ეპოქის მიმოხილვა საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი, თითქმის მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-19 საუკუნის 60-ან წლებამდე და ეხება საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურსა და კულტურულ ყოფას, ასახავს იმ საფუძვლების რაობას, რომლებზეც შექმნეს შესაძლებლობა საქართველოში პერიოდულ გამოცემათა ბეჭდვის დაწყებისა. დაწერილებითაა მოთხრობილი საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე და ამ ისტორიული ფაქტის მომდევნო ამბებზე (განმალეობით მე-19 საუკუნე პირველ ნახევარში). ქართული ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის თანდათანობით დაჭედილობა-დაშლაზე, კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდის ხელის შეწყობ პირობებზე და სხვა. წიგნში ვრცლად არის განხილული მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული პრესის ხასიათი. თავში: „პრესა და ცენზურა“ იეტორი საინტერესო მასალას უყრის თავს. მოტანილი აქვს მარტინოვის კლასიკოსებისა და სხვათა შეხედულებანი გაზეთის არსსა და დანიშნულებაზე. „ჟურნალისტიკაში“ ვრცლად არის განხილული რუსული ცენზურის ისტორიაც, როგორც „გამოსავალი პუნქტი“ და წინასწარი სკოლა“ საქართველოს მაშინდელ ცენზურისათვის. დაწერილებითაა აგრეთვე წარმოდგენილი ისტორია და ჩასახვა პირველი ქართული გაზეთებისა. მათი ხასიათი და მიმართულება, ზელმძღვანელები და სხვა, რაც ქართული პრესის პირველ პერიოდის ნათელ სურათს გვიხატავს.

სარცენზო წიგნის პირველი ნაწილი მიძღვნილია ქართული ჟურნალისტიკის სათავეებისადმი, აქ განხილულია: „საქართველოს გაზეთი“, „ტფილისის უწყებანი“, „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი“, „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, „ქართული კალენდარი“ და სხვა პერიოდული გამოცემანი.

მეორე ნაწილი ეხება ჟურნალ „ცისკარს“, ხოლო მესამე — ილ. ჭავჭავაძის ჟურნალს „საქართველოს მოამბეს“.

ნაშრომს დართული აქვს დამატება — „შეკრება ოცდაერთის პარტია ორსაორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“ (გვ. 389—470).

ასეთია, მოკლედ, სქემატურად, პ. გუგუშვილის წიგნის — „ქართული ჟურნალისტიკის“ შინაარსი.

ნაშრომი მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, იგი იესებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის შესწავლაში.

ქართული ეურნალისტიკის ისტორია საქმარისად რთულ მოვლენას წარმოადგენს, რაც მის მიკვლევას დიდ პასუხისმგებლობას და სიფხვრელს უკარნახებს. სარეცენზო წიგნის ავტორს, თუმცა სადღესასწაულოდ გაუცნია საარქივო თუ გამოკვეთილად ქრთული წინადადება გულსმხიერებით მოპყრობა მას, მაგრამ თავი ვერ დაუღწევია ურც მწიფე წიგნს. აი, ეს შეცთომები: წინასიტყვაობაში ავტორი იცხადებს, რომ 1941 წელს დაბეჭდილი წიგნი (ბელმოწერლია) დასაბუთდად 20 იანვარს 1941 წ.). მას უკანასკნელად 1936 წელს გადაუსწავეს, მაშინ როდესაც ყოველ წელს, თვის, თუ დღეს ახალ-ახალი გამოკვლევებით იზრდება და იცვება ჩვენი მეცნიერება, ავტორი კი ზეით წლის განმავლობაში აღარ ათავალერებს ერთხელ დაწერილს და ისე აქვეყნებს მას!

შავალითად, ამ ბოლო დროს ცნობილი ვახდა, რომ სოლომონ დოდაშვილის ეურნალში („სალიტერატორნი ნაწილი ტფილისის უწყებათაში“, 1932, №№ 4 და 5) დაბეჭდილი მოთხრობა „ოდენა“ ორიგინალური მხატვრული თხზულება და არა თარგმნილი. ვაუშიფრავად არის წარმოდგენილი ზოგიერთი დადგენილი ლიტერატურული ფაქტი. არ არის მართებული, რომ ავტორი კითხვის ქვეშ აყენებს ს. დოდაშვილის მიერ მოხსენებულ პეროვესის (გვ. 96). ს. დოდაშვილმა „ლოგია“ პეროვესის უძღვნა. პეროვესის გავრიცა და ვინაობაც „ლოგიაში“ მოთავსებულ „მიოდენაში“ საქმად ნათლად არის მოცემული, თანაც პეროვესკა ვილად არ არის, იგი თავის დროის გამოჩენილი მწერალი იყო, პოეტოვლესის ესევედონიით ცნობილი.

შეორე ნაწილში ეურნალ „ციკარის“ განხილვას ემატება ამავე ეურნალის 1852 და 1853 წლებში დაბეჭდილი ნომრებში მოთავსებულ თხზულებათა სია, იმ მოსაზრებით, რომ „ეურნალის ბიბლიოგრაფია დღემდე არ არის შედგენილი და დაბეჭდილი“ (გვ. 117). ეურნალის შინაარსის ჩამოთვლის უბრაავს 7 გვ. ამ ეურნალის ბიბლიოგრაფია „ეურნალისტიკაში“ ბევრად იდრე გამოკვეთილ და სავ. საყარო ბიბლიოთეკის მიერ შედგენილ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის პირველ ტომში, ამასთანავე, ვანცხადება იმისა, რომ „ამ პერიოდის „ციკარია“ იმდენად მარტივი და ღარიბია, რომ შთელი მასში მოთავსებული ლიტერატურული სიმდიდრის გაცნობა თანამედროვე მკითხველს თავისუფლად შეუძლია გამოცემული შინაარსის (სარჩევის) წაკითხვით...“ (გვ. 177). ძალზე ვადუარბებულა, მეტი რომ არა ეთქვას, საზოვადოდ, სარჩევის წაკითხვით „ლიტერატურული სიმდიდრის“ გაცნობა შეუძლებელია, და, თუ გავითვალისწინებთ მოტანილ „სარჩევს“, ენახავთ, რომ იმ დროის მიხედვით, ეურნალი სრულად იყო არ არის „მარტივი და ღარიბი“ (დაბეჭდილია: ალ. კავკავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, სულხან-საბა ორბელიანი, ვ. ჰიუგო, მარლინსკი და სხვა).

„ციკარის“ გარეგნულ სახის შეცვლასთან დაკავშირებით შრომის ავტორი აღნიშნავს: „ამავე წელს (ე. ი. 1861 წელს) „ციკარის“ შეემატა თანამშრომლები, რომელთაც უჩვეულო სიხვი შემოიტანეს ამ ეურნალში. ესენი იყენენ: ანტონ ფურცელაძე, შიხ. დავლენოვი, ნ. პაული, იოს. საყარელიძე, გ. დედებულიძე, ს. მესხა, სოლ. გურგენიძე, ა. ჩხვიძე, ალავაძე, ალ. ყაზბეგი, ავ. წერეთელი და სხვა“. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილ მწერალთაგან მხოლოდ აკაკი და ფურცელაძე შერჩნენ ეურნალს (თუმცა, აკაკი ბევრად იდრეც ბეჭდავდა ლექსებს „ციკარში“), რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი მხოლოდ თითო წერილით, ან ლექსით გამოჩნდნენ 1861 წ. ნოემბრის ნომერში. რამდენად ახალი სიხვი შემტანნი იყენენ, იმითაც დამტკიცდება, თუ ენახავთ, რა წერაბილი მოათავსა მასში ს. მესხმა, — იყო რუსული ეურნალიდან იმონაწერი და ვადმოქართულებული პატარა ამბავი ზენიკისმეტყველებიდან — „გმირული ნაღვი“, სულ რაღაც 15-ოდე სტრიქონი, ალ. ყაზბეგმა კი დაბეჭდა, თუ დაუბეჭდეს (1861 წელს იგი 13 წლისა იყო) ლექსი „ნანა, მიხილ გიორგისძე ყაზბეგზედ“. რასაკვირველია, ჩამოთვლილ ავტორებს „ციკარში“ ახალი სიხვი არ შეუტანიათ.

ნაშრომში ადგილი აქვს ისეთ შეცთომებსაც, რომლებიც დაუკვირებლობით და ზოგიერთი ქართულ მოღვაწეთა ცხოვრების შეუსწავლელობით უნდა იხსნას. ავტორს „ციკარის“ პატარაქად და მფარველად (გვ. 249) სამართლიანად მიუღწევია ალ. ორბელიანი, მის სტატიას „მოთმინებიდან გამოსვლა“, „სადირქტივი“ წერილსაც კი უწოდებს, მაგრამ ამ წერილის ტონის ახსნა იმით, რომ თითქოს ალექსანდრე ორბელიანი იყო „მათი იმპერატორობით უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტი და ტფილისის გუბერნიის თავდაუნაწარობის მარშალი, რომელსაც 1860 წელს პეტერბურგს ყოფნის დროს „მიეცა ბედნიერება“ პირადად წამდგარიყო წინაშე იმპერატორისა“... და სხვა (გვ. 250. შენიშენაში) — ჭმარებულა, მით უმეტეს, რომ ეს ცნობა სხვა ალექსანდრეს შეეხება. არასდროს ალექ-

სანდრე ვახტანგისძე ჯამბაყურ ორბელიანი თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა/მარშალი და მ. ი. უდიდებულესობის ფლიველ-ადიუტანტი არ ყოფილა. მოგუწმინოთ თვით ალექსანდრე ვახტანგისძეს: „როდესაც ძლიერი რუსეთი და ოსმალთა იმპერატორმა მუსტაფა და 1829-სა წელსა, მე მაშინ ტფილისის უეზლის კეთილშობილთ წინამძღვრობით ცხადვესა ლუბერსკის წინამძღოლად იყო ლენკოვად მაიორი თ-ი კონსტანტინე ბაგრატიონ- მუხრანსკი“... (საქ. სახ. მუხ. ავტოგრაფი, ფონ. წ: 165-ა). გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ (1841 წ.), მის მაშინდელი რუსეთის მართებლობა ნდობის თვალთ არ უცუქროდა, ვორონცოვისა და ბუნებულები კი იყო თითქოს შამილით მიწერ-მოწერისათვის და თვალ-ყურსაც ადევნებდნენ (საქ. სახ. მუხ. № 1653-ა S ავტოგრაფი). მურავიოვის მართებლობისას შემცივრდა მისი დენა, მაგრამ მტეი სიმწვაგით განახლდა ბარიატინსკის დროს: „რადა გავაგრძელო, ბარიატინსკის დროს კიდევ ის ამბები იყო ჩემზე, როგორც წარსულში და ჩემიც ისეთი გაფრთხილება“). ბოლოს ბარიატინსკი რომ წავიდა, ჩემი დეიდაშვილის შვილი ლენკოვად ადუტანტი თ-ი გრიგოლ ჯ. ორბელიანი, ჩემი ერთი სახლის შვილი დაადგეს აქ, დროებით იმის შოადგილედ... ადრე ვარანცოვიდან მოკიდებული, ვიდრე ბარიატინსკის წასვლამდის, თუმცა მადრთობილებდნენ, მაგრამ, მაინც კიდევ მოსვენებული არ ვიყავ, რა ვიცი არ დამეჩიონ შეთქი.—ბევრჯერ ღამე ამ ფიქრში წაივდიოდი ძილის დროსა და ამ ფიქრით გავთვებდი, ამისთვის რომ ჩემი თავისთვის არ ვმისობდი, ვმისობდი საქართველოსთვის, სრუნიველი აღარვიინ აღარ იწებოდა—პატრიოტი და თუ იყენენ ვინმე, ისინიც ჩემს უბედურებასთან ვაჭკინენ. სადაც ამ გრიგოლის (ორბელიანის. ლ. ქ.) დროს სრულიად მოვიცვენე. ამიტომ რომ, რაც უნდა ყოფილიყო, ჩემი სისხლ-ხორცი ნათესავი იყო და ნამდვილი გართველიყო...“ (აქ სახ. მუხ. S: 1162 ავტოგრაფი). როგორც დავინახეთ, ორენურტიდან (გადასახლებიდან) დაბრუნების შემდეგ 1861—1862 წლებამდე ალექსანდრე ვახტანგის ძეს, ძლიერ კი გამართალი ჰქონდა იმდროინდელი მთავრობის მისდამი დამოკიდებულებისა გამო, ამიტომ, ზედმეტად ღამარაკი მის მალ ჩინსა და თანამდებობაზე, ან 1860 წ. იმპერატორის წინაშე წარდგომაზე პეტერბურგს.

ვინ უნდა იყოს ალექსანდრე ორბელიანი „გუბერსკი“ მარშალი და მ. ი. უდიდებულესობის ფლიველ-ადიუტანტი? შორს რომ არ წავიდე, მივმართოთ ჟურნალ „მნათობს“ (1869 წ., ნოემბერ-დეკემბერი) „ნეკროლოგი. ალექსანდრე ვახტანგისძე ჯ. ორბელიანი გარდაიცვალა 1869 წ. 13 დეკემბერს, დაკრძალეს 16 დეკემბერს სიონში“... და სხვა. ამავე გვერდზე ქვემოთ: „ავტოგრაფი 1869 წელს (დეკემბერში) გარდაიცვალა იალტაში, ბერლინის გუბერნიისა თ. ალექსანდრე დავითისძე ორბელიანი. განსვენებული ალექსანდრე დავითისძე ჯერ იყო ქართლ-კახეთის თავდაზნაურთ წინამძღვრად და შემდეგ დაინიშნა მ. ი. დიდებულესობის ფლიველ-ადიუტანტად, რის გამო წავიდა პეტერბურგს და იქ ცხოვრობდა...“ და სხვა. მაშასადამე, ალ. ვახტანგისძე ჯ. ორბელიანის ტონი, „ცისკარში“ მოთავსებულ წერაღლისა „მოთმინებიდან გამოსვლა“, მისი თანამდებობით არ ყოფილა გამოწვეული. ალექსანდრე ვახტანგისძე და ალექსანდრე დავითისძე ორბელიანების არევა ერთმანეთში „ჟურნალისტიკის“ ავტორს არ უნდა დავუვა.

ნაშრომში მრავლადაა ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეთა არა წესიერი შედარების შემთხვევები. დავამოუფილდებით რამდენიმე შენიშვნით, მაგ.: არაა მართებული დაულაღავი მუშაის ივ. კრესელაძის მოხსენება „ეონგლორად“ (გვ. 151) და „ონაზაზე“ (გვ. 210), აგრეთვე ტანსუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს ავტორი გრ. ორბელიანის მიმართაც (გვ. 153). მიუხედავად იმისა, რომ წიგნში კორექტურული შეცდომები საკმაოდ იპოვეთ, ნაშრომს არ აქვს დართული შეცდომების ვასწორება. შეუძლებელია შევნიშნავად დარჩეს ისეთი შეცდომა მაინც, რომელიც მცნებას სრულიად ცვლის, მაგ. ანტ. ფურცელაძის „სამის თავგადასავალი“ ნაცვლად წარმოდგენილია „სამის თავგადასავალი“ (გვ. 164), შესაძლოა შეიხვედმა იფიქროს, რომ ავტორს „სამაიანი“ (შანამედანი) ფურცელაძის მოთხოვნად მიუწინეია, აგრეთვე გვ. მე-160-ზე გვიოხულობთ: „სურამის ციხე“ ისე მალა სდგას ამ თხზულებაზე თავისი სიგანითა და იდეათი, როგორც იალბუზი კვერნაზედა“ და ვის მოუფილდა ახრად იალბუზი პატარა ცხოველისათვის შეედარება?! არც ანტონი, ფურცელაძის დაუშვია ასეთი შეუსაბამობა. ის ამბობს: „სურამის ციხე“ ისე მალა სდგას ამ თხზულებაზე თავისი სიგანითა და იდეათი, როგორც იალბუზი კვერნაზედა“ („ცისკარი“,

! 1) ალ. ვახტანგისძეს მეგობრები ატყობინებდნენ რუსის მთავრობის განწყობილებას მისდამი და აღრთობილებდნენ მხეჩრავების მიჩენის შესახებ.

1863 წ. № 1. 114—116), თუ კორექტორული შეცდომაა, ავტორს ავტორის ავტორისა და უნდა შევნიშნა.

სარტყენიო წიგნს, როგორც აღვნიშნეთ, დართული აქვს დამატებები, რომლებიც დაერთის პაზრისა ორსაორმოცთა საქართველოს მეტაბონეთა მიერ წარმოებული ცხოველ-ყოფილება“ (გვ. 389—470). ამ დოკუმენტს იმდენადვე აქვს საერთო წიგნის ძირითად ნაწილში წარმოდგენილ მასალასთან, რამდენიც ექნებოდა საგლებო რეფორმის, ანდა 1832 წლის შეთქმულების მასალების შეტანას მთლიანად, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული საზოგადოებრივ აზრის განვითარებისათვის. რასაკვირველია, ყოველივე, რაც კი საზოგადოებრივი აზრის ისტორიას ეხება, არ შეიძლება შევიდეს წიგნში, რომლის სათაურიც „ქართული ეურნალისტიკა“.

წიგნი გამოცემულია კარგად.

დასურათებულია პაპუნა წერეთლის მიერ შერჩეულ ეურნალისტიკა პორტრეტებით.

ლ. კუთათილაძე

## ნიკოლოზ აგიაშვილი — „სერვანტესის ცხოვრება“

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა, 1941 წ.

ახლანდელი გამოვიდა ნიკოლოზ აგიაშვილის საინტერესო ბიოგრაფიული რომანი „სერვანტესის ცხოვრება“, ამ წიგნის გამოსვლას თავისებური მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველოში ბიოგრაფიულ რომანებსა და ნოველებს დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. „შესანიშნავი ადამიანების ცხოვრების“ ბიბლიოთეკით მსოფლიოს ყველა გამოჩენილი მწერლის, მხედართმთავრის, მუსიკოსის თუ, სხვა მოღვაწეთა ცხოვრება, ბრძოლა და შემოქმედება ნათელი და ახლოებელი ხდება რუსი მკითხველისათვის, გამოჩენილი რუსი მწერლები მუშაობენ ბიოგრაფიულ რომანებზე და ნოველებზე.

საქართველოში გურამიშვილის, საბა-სულხანის, ვეფხე, ბესიკის, ბარათაშვილის, ყაზბეგის და სხვთა ცხოვრება და შემოქმედებითი ბრძოლა ჯერ კიდევ არ გამოდარა ქართველი მწერლების თვმა. ამ ხარვეზის გამოსწორება ქართული ლიტერატურის ამოცანაა.

ნიკოლოზ აგიაშვილის „სერვანტესის ცხოვრება“ შეუნელებელი ინტერესით იკითხება. მიველ დე სერვანტეს სავედრას სახელი რამოდენიმე საუკუნის მანძილზე ბრწყინავს მსოფლიო ლიტერატურის ცაზე, მან გაუძლო ფეოდალიზმის ველურ ეპოქას, ეკლესიის სუსხიან და დამამცირებელ რეჟიმს და უკანასკნელად ესპანეთის დამსტ-ბარბაროსების სისხლიან ქუთლს. სერვანტესის „დონ-კიხოტი“ მსოფლიოს ყველა ხალხის საყვარელი წიგნია და ქართველმა მკითხველმაც საყვარელით მიიღო მისი ქართული, თუმცა არასრული თარგმანი.

ნიკოლოზ აგიაშვილს ეტყობა ბევრი უმუშევარი წიგნზე და ზომიერად და თავის იდგოლზე გამოუყენებია სერვანტესის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ რომანები, მონოგრაფიები, კრიტიკული ნარკვევები და წერილები. სწორედ ამით შესძლო ნ. აგიაშვილმა სრულად და ნათლად მოეცა ამ დიდი ადამიანის საარაგო თავგადასაველი.

წიგნის დაწერისას ნ. აგიაშვილს გამოყენებული აქვს ბ. ფრანკის, პ. რინერის, ე. ვიგოდსკაის, ჯ. ტენორის და სხვათა შესანიშნავი შრომები; წიგნი აგრეთვე გამოყენებულია ადგილები თვით სერვანტესის „დონ-კიხოტიდან“ და მისი ავტობიოგრაფიული ნოველებიდან. წიგნი ამით მეტ ინტერესს იწვევს და უფრო დამაჯერებელია.

რომანი იხსნება მიველ დე სერვანტეს სავედრას მოკლე ბიოგრაფიით, რაც მკითხველს უადვილებს წიგნის შემდეგი თავების გაგებას.

ნ. აგიაშვილი ნიჭიერად აგვიწერს სერვანტესის ცხოვრებას მშობლიურ ესპანეთში, ესპანეთის სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას სერვანტესის ეპოქაში, მეფისა და ეკლესიის დესპოტიზმს და „დარბი იდალგოს“ თუმცა მეოცნებე, მაგრამ ერთგუროვანი ცხოვრების საშინელებას. შესანიშნავადია აგრეთვე აღწერილი მეფე ფილიპეს სასახლის ბნელი ცხოვრება, დონ ხუან ესტრეიელის ბრძოლები, მეფის მოხელეთა ბინძური და ბნელი მოღვაწეობა და სხვა. უნდა ითქვას, რომ ავტორს სათანადოდ და საფუძვლიანად შეუსწავლია მე-16 საუკუნის ესპანეთი.

შეატრულად კარგად არის გაკეთებული სერვანტესის პირველი რომანი ბოშა ქალითან, რამაც კვალი დააჩნია მწერლის შემოქმედებით სულს.





# შინაარსი



33

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და სახალხო საქმეთა სახალხო კომისიის ამხ. ვიკტორ ლავ მიხეილისძე	5
ტოვის გამოხვლა რადიოთი 1941 წლის 22 ივნისს	7
თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოხვლა რადიოთი 1941 წლის 8 ივნისს	13
სამამულო ომი და საბჭოთა მწერლობა	

## მხატვრული ლიტერატურა

ილიო მაშაშვილი — სიმღერა გამარჯვებისა (ლეჟი)	17
ა. აბაშელი — ცამ დაიქუბა გუშინ (ლეჟი)	18
სემონ ჩიქოვანი — ორი ლეჟი	20
ილიო მისაშვილი, კონსტ. ლორთქიფანიძე — ერთხელ, ღამით (ლიტ. სცენარი)	23
კ. გაშახურდია — დავით აღმაშენებელი (რომანი)	35
ფიარალო — მაძიებელი (რომანი)	60

## ლერმონტოვის დღეებისათვის

გიორგი ჯაბღაძე — ლერმონტოვი — დიდი რუსი პოეტი.	91
ალ. ქუთათელი — ლერმონტოვი (ლეჟი)	105
გიორგი ვიასელი — მ. ლერმონტოვის	108
მ. ი. ლერმონტოვი — მაქიმ მაქიმიჩი (თარგ. გ. ქიქოძის)	109
მ. ი. ლერმონტოვი — ფატალისტი (თარგ. გ. ქიქოძის)	117
მ. ი. ლერმონტოვი — ტამანი (თარგ. დემნა შენგელაიასი)	125
მ. ი. ლერმონტოვი — მწირო (პოემა, თარგ. ბაბილინასი)	134

## ჩვენი ძველის მხედართმთავრები

ნ. მოდოროვი — ა. ვ. სუვოროვი	154
ვ. მ. ბაგრატიონი — უშიშარი სარდალი	164

## გმირები გმირების შესახებ

მ. გრომოვი — რა არის სიმამაცე?	171
დ. ლევჩენკო — სიმამაცე	175
ვ. კაშუბა — თავგანწირულება	178

## კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

ა. ფეფრალსკი — ცოცხალი მაიაკოვსკის შესახებ	180
--	-----

## ეთნოგრაფია

ზ. ედილი — საინგილო	193
---------------------	-----

## ფაშისების სამყაროში

როგორ ისტუმრებენ ჯიბეს გერმანიის ფაშისტი მმართველნი	212
გერმანელი ჯარისკაცის აღფრედ ლისკოფის ნაამბობი	219

## სამამულო ომის გმირები

საბრძოლო ეპიზოდები	211
რუსეთის ტრონიკა	229

## ბიბლიოგრაფია

ლ. ქუთათელიძე — პაატა გუგუშვილი — „ქართული ეზრნალისტიკა, საზოგადოებრი- ვი აზრის ისტორიისათვის“	236
ალ. მეგრელიძე — ნაკოლაზ აგიაშვილი — „სერგანტის ცხოვრება“	239

8.12/364

5.10/364

8260 8 826.

7  
КОНКОВЕЛИ 5  
Гос. ПУБЛИЧН. Б.КА  
1 1 12

МНАТ



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ